გიორგი ხუციშვილი



როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები

(2006-2013)

წიგნი II

გიორგი ხუციშვილი

როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები

წიგნი II

მასალა გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და ბიოგრაფია დაურთო

ნინო ციხისთავი-ხუციშვილმა

თბილისი
2016

გიორგი ხუციშვილი

როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები

წიგნი II

წიგნში წარმოდგენილია ქართველი კონფლიქტოლოგის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ხუციშვილის 2006–2013 წწ. საგაზეთო ინტერვიუებისა და ანალიტიკურ სტატიათა ნაწილი. განკუთვნილია როგორც დარგის სპეციალისტების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის.

შემდგენელი, რედაქტორი: **ნინო ციხისთავი-ხუციშვილი**

ტექნიკური რედაქტორი, კორექტორი: **ირინა კაკოიაშვილი**

დიზაინი: **მაია კაციტაძე**

დაკაბადონება და დიზაინი: **ალექსანდრე ჯიქურიძე**

წიგნი გამოიცა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით

გარეკანის ფოტოზე: გიორგი ხუციშვილი, 2006 წ. მარტი

© ნინო ციხისთავი–ხუციშვილი, 2016

UDC (უაკ) 316.48
გ – 512

ISBN 978-99928-937-4-6 (ორივე წიგნის)
ISBN 978-99928-937-8-4 (მეორე წიგნის)

შინაარსი

შესავალი viii

დიტერ ბოდენი გიორგი ხუციშვილის შესახებ x

DIETER BODEN ABOUT GEORGE KHUTSISHSVILI xiv

ხელისუფლების ფავორიტები სამოქალაქო სექტორის გაკონტროლებას ცდილობენ 19

„მთავარია, პროვოკაცია თავიდან ავიცილოთ“ 23

კონფლიქტები პრეზიდენტის ვარდისფერ სათვალეში 26

აფხაზეთი — მესამე გზა 33

ოქრუაშვილმა კოკოითის გუდეს გადაუფრინა 42

„პოლიტიკური თამაში გაცვეთილი პარალელებით“ 49

გამოყენებული პოლიტ- და ფიარ-ტექნოლოგიები 53

რუსეთთან ისე ფრთხილად უნდა ვიყოთ, როგორც სტიქიურ მოვლენასთან 56

შინნაზარდი სეპარატიზმი ნებადართულია 61

სეპარატისტები გაერო-ს ტრიბუნას ითხოვენ 65

აფხაზეთს და ცხინვალს კრემლის კურანტები უხმობენ 69

„ქართულ პოლიტიკაში ერთი ტენდენცია გაჩნდა - მოვლენათა დაჩქარება, რაც სარისკოა“ 71

„ხელისუფლება ისეთ შეცდომებს უშვებს, რომ, შესაძლოა, საბოლოოდ დავკარგოთ აფხაზეთი“ 80

ავანტიურა, რომელიც, შესაძლოა, თბილისისთვის სახიფათო შედეგებით დასრულდეს 87

„პარტიზანული მოძრაობა აფხაზეთის საკითხს ვერ გადაწყვეტს“ 91

მასმედიის როლი ხელისუფლების თვალით 94

გიორგი ხუციშვილი: კონფლიქტების მოგვარებისკენ სერიოზული ნაბიჯი არ გადადგმულა 97

საქართველოს მასმედია და მართლმსაჯულების სისტემა ხელისუფლების პოლიტიკის ჭრილში 99

მოძებნილია სკოლაში პოლიციური რეჟიმის ალტერნატივა 102

კოკოითს ზურგს რუსეთი უმაგრებს, მაგრამ... 105

ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის თავისებურებანი 110

შეფასება მარტი-აპრილი 112

რა გავლენას იქონიებს გლობალურ პოლიტიკაზე აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც ერთი კვირის წინ გამოქვეყნდა: რამდენად ხელსაყრელი პოლიტიკური კონიუნქტურა ჩამოყალიბდება საქართველოსთვის 121

რას უნდა ველოდოთ და რას - არა კონფლიქტის ზონებში 123

გიორგი ხუციშვილი: კაზაკები აფხაზეთში წარმატებით მკვიდრდებიან 126

შიდა პროგლემების მოუგვარებლობის გამო ნატო-ში გაწევრიანება, შესაძლოა, უვადოდ გადაიდოს 128

„საქართველოს რეალური პერსპექტივა სწორედ ნატო-ს რკალის შეკვრით იწყება" 130

რუსეთს ცხინვალში დამატებითი ძალები შეჰყავს 138

სოხუმში რუსეთის მიმართ ნდობა ქრება 142

კოკოითი საბრძოლო მოქმედებებისთვის აქტიურად ემზადება 146

ქარავნიდან დანახული სახალხო პროტესტი 151

გოგი ხუციშვილი - საქართველო კონფლიქტების მოგვარებაში საერთაშორისო მხარდაჭერის დაკარგვის რისკის წინაშეა 155

„ოპოზიცია უნდა გააქტიურდეს" 157

გიორგი ხუციშვილის სიტყვა 161

გიორგი ხუციშვილი: როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები 164

ხუციშვილი ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობას ელის 170

ახალი პოლიტიკური კურსი: საფრთხის შემცველი კოსმეტიკა 174

„კოსოვოში შესაძლოა, საომარი მოქმედებები დაიწყოს" 184

წინააღმდეგობები ნატო-სკენ მიმავალ გზაზე და სეპარატისტთა გაწყობილებები 189

„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივიღებთ მაპ-ს" 193

გიორგი ხუციშვილი: თამაშის ამ ეტაპზე რუსეთმა დაგვამარცხა, თამაში გრძელდება... 199

რუსეთი საქართველოს ანექსიისთვის ემზადება?! 204

ნახევარზე მეტი არჩევნების შედეგებს არ ენდობა 208

ყველაფერი რუსეთის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული 212

როგორ უთხრის რუსეთი ძირს გერმანიის ჯერ არდაწყებულ ინიციატივას 214

გიორგი ხუციშვილი: „დასავლეთი თავისი პასიურობით შეცდომას უშვებს" 217

დავუპირისპიროთ რუსულ ოკუპაციას "მშვიდობის გუფერები" 221

გაღაფშს რუსულ სამხედრო გაზებზე აზრი შეაცვლევინეს 224

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესახებ 227

საზოგადოებრიობამ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დასვას 230

ოსებთან და აფხაზებთან დიალოგის შანსი დღეს ნულის ტოლია 234

ახალგორი - თბილისზე იერიშის მისატანი პლაცდარმი?! 237

ახალგორი - ჟენევის იმედად 239

გიორგი ხუციშვილი: თუ რუსეთს საომარი მოქმედებების დაწყების საბაბი მიეცა, კრემლი მას აუცილებლად გამოიყენებს 241

ეს შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო 244

ოკუპანტები ძსნის ხეობაში გამოზამთრებისთვის ემზადებიან 247

კოლაფსირებული სამშვიდობო პროცესი და „მავნებლების“ პრობლემა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში 249

გაზაფხულზე ალბანეთი და ხორვატია ნატო-ში შევლენ 277

კოკოითი ფინანსებს თავისთვის „ტეხავს“?! 279

ტოლერანტობის ცნებისათვის თანამედროვე ქართულ აზროვნებაში 282

რუსეთი რეზოლუციის იგნორირებას მოახდენს: კონფლიქტოლოგი 287

ცხინვალი და სოხუმი ჟენევას ბოიკოტს გამოუცხადებენ?! 290

ალქიმიური ცდები პოლიტიკაში 293

განცხადება 300

საქართველო რუსეთის პირისპირ მარტო დარჩა - გაერო-ს მისიამ საქართველოში მუშაობა შეწყვიტა! 302

იყო თუ არა შესაძლებელი გაერო-ს დარჩენა 307

ომის საფრთხე და რისკის მთავარი ზონები 311

დიქტატურა შესაძლებელია? 313

„კრემლს სურს, აფხაზეთი და ოსეთი სამხედრო პლაცდარმად გამოიყენოს“ 319

გოგი ხუციშვილი: თუ რუსეთი კვლავ დაგვარტყამს, თურქეთი აჭარას დაიკავებს! 324

„შპიგელი“: ტალიავინის კომისია საქართველოს ადანაშაულებს 329

გოგი ხუციშვილი: ნატო-ში გაწევრიანება ხანგრძლივი პროცესია 334

ახალგორში ოსური პასპორტების გაცემა იწყება! 336

სართაშორისო ურთიერთობები 339

გოგი ხუციშვილი: „ირანთან ურთიერთობების განვითარება რუსეთის როლის დაბალანსებისთვის აუცილებელია“ 342

ხუციშვილი: ხელისუფლება ხალხის ხარჯზე ცდილობს, თავი პროგრესულად წარმოაჩინოს 346

წინასწარ განწირული მოლაპარაკებები? 350

გიორგი ხუციშვილი: ის, რასაც გვთავაზობენ, ჩვენზე მაღალი დემოკრატიის მქონე ქვეყნისთვის იქნებოდა მისაღები... 353

პერევი რუსების და ახალგორი ქართველების გარეშე?! 358

სახალხო დიპლომატიის პოტენციალი ომის შემდგომ - ქართულ-ოსური კონფლიქტის მაგალითი 362

საქართველოს უსაფრთხოების დილემა აგვისტოს შემდგომ რეალობათა შუქზე 365

ვის გადააბარებს სააკაშვილი ხელისუფლებას 381

„ადრე თუ გვიან კავკასიელებს კოლექტიური უსაფრთხოების ხედვა გაუჩნდებათ" 386

უნდა შეასრულოს თუ არა საქართველომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მედიატორის ფუნქცია 392

რაშია შეუთავსებლობა მათ შორის 395

გოგი ხუციშვილი: მოლაპარაკების დაწყებამდე საქართველომ აფხაზეთის სტატუსის განხილვაზე მორატორიუმი უნდა გამოაცხადოს ... 397

გოგი ხუციშვილი: ვინც არ უნდა გახდეს აფხაზეთის ახალი ლიდერი, ის მოსკოვის პოზიციის ალი-კვალი იქნება 399

გოგი ხუციშვილი: ახალ პოლიტიკურ ვითარებაში სტატუს-კვო შეიძლება დაირღვეს 401

ვერტიკალი 408

გოგი ხუციშვილი: დსთ-ში დაბრუნების საკითხი, შესაძლოა, გვიან ეტაპზე განვიხილოთ 413

მედვედევი საქართველოსთან მოლაპარაკებას სააკაშვილის გარეშე აპირებს 415

ერგნეთის ბაზრის აღდგენის მითი და რეალობა 417

პოლიტიკური სოლიფსიზმი ქართულად 419

ივანიშვილის მოსვლა რუსულ გავლენას ვერ გაზრდის 425

გოგი ხუციშვილი: კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით "ქართული ოცნების" წინაშე სერიოზული ამოცანა დგას 430

გოგი ხუციშვილი პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას მხარს არ უჭერს 432

„სტამბოლის პროცესზე" ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა განცხადება შეიმუშავეს 435

აფხაზეთში თურქი აფხაზების ჩასახლების თემა კიდევ ერთხელ წამოსწიეს 437

ლავროვის განცხადება დამაბრკოლებელ გარემოებად გამოიყურება, მაგრამ ამ მდგომარეობიდან დიპლომატიური გამოსავალი არსებობს 440

კონფლიქტოლოგები გიგი წერეთლის წინააღმდეგ 443

აფხაზურ და ოსურ მხარეს საქართველო-რუსეთის დაახლოების ეშინიათ, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს მათ პოზიციებს რისკის ქვეშ აყენებს 445

გოგი ხუციშვილი: რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა უნდა გვქონდეს 447

კოჰაბიტაციის ფენომენი საქართველოს პოლიტიკაში 451

გოგი ხუციშვილი: აფხაზეთსა და ცხინვალში ჰგონიათ, რომ შესაძლოა, თბილისსა და მოსკოვს შორის გარიგება ხდება 453

ცხინვალისა და სოხუმის ფოგიები 455

ქართულ-ოსური დიალოგის აუცილებლობა 461

საბჭოეთისდროინდელი საზღვრების აღდგენა თუ სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება 463

გიორგი ხუციშვილი - პრემიერ-მინისტრის არც ერთ განცხადებასა და მოსაზრებას ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვის ზიანი არ მიუყენებია 466

ჩვენი თანამემამულეების სახლ-კარში რაღაც ხდება და ამას რეაგირება სჭირდება 474

გოგი ხუციშვილი: „თურქეთი საქართველოს ნატო-ში შესვლას ხელს არ შეუწყობს“ 480

ჟენევის მოლაპარაკებები 487

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები საქართველო-რუსეთის დიალოგის ფონზე 490

„შესაძლოა, მძიმე პროცესები დაიწყოს" 513

შესაძლოა, მძიმე პროცესები დაიწყოს 517

ამონარიდები (2006-2013) 518

ბიოგრაფია 521

RESUME 532

სახელთა საძიებელი 533

შესავალი

თქვენ წინაშეა წიგნის, **„გიორგი ხუციშვილი: როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები“** – მეორე ნაწილი.

ორივე წიგნში თავმოყრილია საქართველოში პირველი კონფლიქტოლოგის, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) დამაარსებელი დირექტორის (1994–2013), ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ გიორგი ხუციშვილის (1948–2013) საგაზეთო ინტერვიუებისა და ანალიტიკური სტატიების პუბლიკაციათა ნაწილი. მასალა ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური კონფლიქტების მოგვარებას ეხება. აღნიშნულ წიგნებში წარმოდგენილი ინტერვიუები, განცხადებები და სიტყვები ქრონოლოგიის დაცვით ქვეყნდება: პირველი ნაწილი მოიცავს 1991–2005 წწ., ხოლო მეორე ნაწილი კი, 2006-2013 წლების მასალას.

ორივე წიგნში თავმოყრილი გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი მასალა ორიგინალთან შესაბამისია. თუმცა, თვითონ ტექსტებში შესწორდა პუნქტუაცია და ორთოგრაფიული შეცდომები, რომლებიც ორიგინალ პუბლიკაციებში აღმოჩნდა გაპარული. ზოგი ინტერვიუ, რომელშიც სხვა რესპონდენტიც მონაწილეობდა, მცირედად შეკვეცილია, მოტანილია მხოლოდ გიორგი ხუციშვილის ნააზრევი. გამოუქვეყნებელ მასალაში ზოგან ამოღებულია მოხსენიებული გვარ–სახელები, რათა პუბლიკაციისათვის რაიმე „მხილების“ ფორმატი არ მიმეცა, ისევ და ისევ წიგნის უფრო მაღალი მიზნებიდან გამომდინარე.

საგაზეთო პუბლიკაციების სათაურები აქაც უცვლელადაა წარმოდგენილი, ისევე, როგორც წიგნის პირველ ნაწილში. ასევე, გამოყენებულია გიორგი ხუციშვილის პირადი არქივის მასალა. წარმოდგენილი სტატიების ნაწილი გამოქვეყნებულია, ხოლო გიორგი ხუციშვილის რამდენიმე დოკუმენტი კი პირველად ქვეყნდება.

პროფესორ გიორგი ხუციშვილის მრავალმხრივი მოღვაწეობის ამსახველი საგაზეთო, ტელე, რადიო ინტერვიუებისა და დებატების, საკონფერენციო გამოსვლებისა და კვლევითი თუ საგანმანათლებლო საქმიანობის ამსახველი არქივი მრავალი საინტერესო მეცნიერული კვლევის საშუალებას იძლევა. მსგავსი კვლევები მომავალ თაობებს აქტიური მოქალაქის პოზიციის, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარებისა და, ზოგადად, საქართველოს კონფლიქტების მოგვარების ისტორიის შესწავლაში დაეხმარება.

მადლობა გიორგი ხუციშვილის ხსოვნისთვის. მადლობას ვუხდი მკითხველს, გიორგი ხუციშვილის ყველა კოლეგას, ინტერვიუერ ჟურნალისტს, სტუდენტსა და, საერთოდ, ყველა იმ ადამიანს, ვისაც სამსახურებრივი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა გიორგისთან. მადლობა ამ წიგნების მომზადებაში მონაწილე ყველა ადამიანს.

პატივისცემით,

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი

15 ნოემბერი, 2015 წელი,
თბილისი, საქართველო



დოქტორი დიტერ ბოდენი, ელჩი (გადამდგარი)

გიორგი ხუციშვილი

გიორგი ხუციშვილს პირველად 1990-იან წლებში თბილისში შევხვდი, როდესაც იგი ახალი დაბრუნებული იყო სტენფორდის უნივერსიტეტიდან, მე კი ჩამოსული ვიყავი რომ დამეწყო მუშაობა ეუთო-ს რეგიონული მისიის ხელმძღვანელად. სტენფორდის უნივერსიტეტში გიორგი დაკავებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში ეთნო-ტერიტორიული კონფლიქტების საკითხების კვლევებით. იგი უმალვე დაინტერესდა საქართველო-ოსეთის კონფლიქტის სტაბილიზაციის საკითხზე ჩემი მუშაობით. ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით კონფერენციებზე, არაფორმალური დისკუსიის სესიებზე და, ასევე, ცხინვალის ტერიტორიაზე ცეცხლის შეწყვეტის ხაზის მიმდებარე სადამკვირვებლო ვიზიტისას.

ძალიან კარგი მოგონებები მაქვს 1996 წელს ქობულეთში ეუთო-ს მედია-კონფერენციაზე, რომელსაც ორივენი ვესწრებოდით. უკან თბილისში ერთი მანქანით წავედით და ამან მშვენიერი შესაძლებლობა მოგვცა ერთმანეთთან გრძელი საუბრისა. მან ჩემი ყურადღება მიაპყრო სამოქალაქო საზოგადოების მზარდ როლს მისი ქვეყნისთვის, რომელიც მაშინ შევარდნაძის მმართველობის ქვეშ იყო. ეს სამოქალაქო საზოგადოება თვით-გამოხატულებას პოულობდა, ძირითადად, არასამთავრობო ორგაიზაციების სექტორის მეშვეობით, რომლის აქტიური წევრიც იყო გიორგი. გზაზე მან შემომთავაზა გელათის მონასტრის დათვალიერება, რასაც

სიხარულით დავთანხმდი. მაშინ გავიგე, რომ გიორგი არა მარტო საქართველოს ისტორიისა და კულტურის ბრწყინვალე ექსპერტი გახლდათ, არამედ, რომ მას საკუთარი ცოდნის სხვისთვის გადაცემის განსაკუთრებული უნარი გააჩნდა.

როდესაც 1999 წლის ბოლოს საქართველოში დავბრუნდი, როგორც გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი და გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის (UNOMIG) ხელმძღვანელი საქართველოში, ჩვენ განვაახლეთ და უფრო გავაღრმავეთ ჩვენი ურთიერთობები გიორგისთან. იმავდროულად, საქართველოს დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების მნშვნელობა გაიზარდა და ეს, სწორედაც რომ, გიორგის მიერ დაფუძნებულ არასამთავრობო ორგანიზაციას – კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრს (ICCN) ეხებოდა. ამ ცენტრის კონკრეტულ ინტერესთა სფერო იყო კონფლიქტების მოგვარება და აქ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს საუკეთესოდ ემთხვეოდა. სწორედ მაშინ დაიწყო ჩვენი დიალოგი ახალი კონცეფციების შემუშავებაზე აფხაზებსა და ქართველებს შორის დიალოგისთვის არასამთავრობო სექტორის წინამძღვრობით. მე ვცდილობდი, დავხმარებოდი მას აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კავშირების გამყარების საქმეში. გიორგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე იყო აფხაზეთისა და საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების სამახსოვრო შეხვედრაზე, რომელის მოწყობაც შეძლო გაერო-ს სადამკვირვებლო მისიამ საქართველოში (UNMORG) თბილისში, 2000 წლის სექტემბერში.

2002 წლის ივნისში წამოვედი საქართველოდან ჩემი მეორე მისიის დასრულების შემდეგ, მაგრამ პერიოდულად ვბრუნდებოდი იქ ოფიციალურ თუ სემი-ოფიციალურ როლებში. ამან საკმაო შესაძლებლობა მომცა, გამეგრძელებინა გიორგისთან თანამშრომლობა, რომელიც, დროთა განმავლობაში, მეგობრობასა და ღრმა ურთიერთ-პატივისცემაში გადაიზარდა. ჩემი 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელობის პერიოდში საქმიანობის დროს მისი ექსპერტული ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ ვიზიაებდით მოსაზრებას, რომ ეს არჩევნები ხარვეზიანი იყო, რადგან ისინი არღვევდნენ რიგ წესებს, რომლების ზოგადად აღიარებულია ვალიდურად მათი დემოკრატიულად ჩატარებისთვის.

ჩვენი თანამშრომლობის კიდევ ერთი გამოკვეთილი მაგალითია კონფერენცია კონფლიქტზე პოსტ-საბჭოთა ევროპაში,

კონკრეტულად – სამხრეთ კავკასიაში, რომელიც 2009 წლის ოქტომბერში მოაწყო გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბერლინში. საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები განხილვის მთავარი თემა იყო და გიორგის პრეზენტაციამ ამ კონფერენციაზე ბრწყინვალე ანალიტიკური შესავალი იყო ამ თემაში. საქართველოს შიდა ორი კონფლიქტის წარმომავლობასთან დაკავშირებულმა მისმა ნათქვამმა ახალი ჟღერადობა შესძინა დისკუსიას. მან ახსნა, რომ ეს იყო, უმეტესად, საქართველოს პრეზიდენტების – გამსახურდიას, შევარდნაძისა და სააკაშვილის – ნაციონალური პოლიტიკის გამო და, ასევე, იმის გამო, რომ მათ არ უნდოდათ მომავალზე ორიენტირებული შერიგებისა და ნდობაზე დამყარებული პოლიტიკის შემუშავება და ეს კონფლიქტები აგრძელებდნენ არსებობას, როგორც ჩიხში შესული. იმ პერიოდში ეს დიაგნოზი ბევრის მიერ უარყოფილი იყო; ამასთანავე, აღიარებული იყო მისი სიახლოვე რეალობასთან.

მადლობელი ვარ მრავალი წლის განმავლობაში გიორგისთან ერთიანი ძალისხმევით თანამშრომლობის შანსისათვის. ეს, ნამდვილად, შერწყმული ძალისხმევა იყო ერთი მხრივ, დიპლომატიისა და, მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებას შორის, საქართველოსთვის საკვანძო მნიშვნელობის მქონე საკითხზე: როგორ წამოვიწყოთ კონფლიქტის მოგვარება, რომელსაც მივყავართ მომავლისკენ, წარსულის მწარე გამოცდილების უგულვებელყოფის გარეშე. სხვა მცირდთა მსგავსად, გიორგიმ იცოდა, როგორ აემაღლებინა საზოგადოების ცნობიერება ამ საკითხზე; სხვა მცირდთა მსგავსად, მან 2003 წლის ვარდების რევოლუციისა და 2008 წლის აგვისტოს ომის და, კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიებზე მათი გავლენის სრულიად ახალი ანალიზი წარმოადგინა. მას ნამდვილად გააჩნდა თვალსაჩინო უნარი, რომ აღმოეჩინა აზროვნების ახალი გზები.

გიორგიმ იცოდა, რომ საჭირო იყო ფართო მიდგომა, რომელიც უნდა შეიცავდეს რუსეთის ჩართულობას. ამისათვის, გარდაცვალებამდე მხოლოდ რამდენიმე თვით ადრე, მან წამოიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთ-საქართველოს დიალოგის განახლების აღდგენის პროცესს. ამ პროექტის პირველი ფაზა უნდა ყოფილიყო ორივე მხარის დამოუკიდებელ მაღალ-პროფილურ ექსპერტთა შეხვედრა მოსკოვში. ეს პროექტი ახლა მისი ერთ-ერთი მემკვიდრეობაა.

როდესაც შევიტყვე გიორგის მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ, თავზარი და სევდა დამეცა თავს. სევდას დღესაც

ვგრძნობ, თბილისში რომ ჩამოვდივარ კოლეგებისა და მეგობრების შესახვედრად. ახლა დარჩენილია მისი საქმე, რომელიც გარანტირებულად დაუმკვიდრებს მას საპატიო ადგილს მათ შორის, ვინც ჩართულად მუშაობდა ფუნქციონირებადი სამოქალაქო საზოადოებისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ. დღეს მე ისევ მაკლია მეგობარი, ძალიან ძვირფასი ჩემთვის მისი უნიკალური ადამიანური და პროფესიული თვისებების გამო.

დოქტორი დიტერ ბოდენი, ელჩი (გადამდგარი)[1]

27/12/2014

1 გერმანელი დიპლომატი, რომელიც უძღვებოდა ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბუროს (ODIHR) 2008 წლის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას. როგორც ელჩი, იგი იყო ეუთო-ს გერმანიის წარმომადგენელი ვენაში 2002-დან 2005-მდე. 1999-2002 წლებში ის გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი იყო საქართველოში. 1995-ში იგი გახდა ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელი საქართველოში და 1999-2002 წლებში დაბრუნდა კავკასიაში, როგორც გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი და გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი საქართველოში. დოქტორი ბოდენი დღეს საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორია პოტსდამის უნივერსიტეტში. მას უჭირავს დოქტორის ხარისხი სლავურ ფილოლოგიაში ჰამბურგის უნივერსიტეტიდან.

GEORGE KUTSISHVILI

I first met George Kutsishvili in Tbilisi in the mid-1990ies when he was just back from Stanford University and I had arrived to take up my new job as Head of the local OSCE Mission. At Stanford, George had been pretty busy with studies that focussed on issues of ethno-territorial conflicts on former Soviet territory. George immediately took a lively interest in my work on the settlement of the Georgian – Ossetian conflict. We used to see a lot of each other at conferences, informal discussion rounds, but also during monitoring excursions to the cease-fire-line around Tskhinvali.

It is with delight that I remember an OSCE media conference in Kobuleti in spring 1996 which both of us attended. We went back to Tbilisi in the same car, and this offered a most welcome opportunity to talk extensively to each other. He drew my attention to the growing role the civil society had begun to play in his country which was then under Shevardnadse's firm rule. This civil society articulated itself mostly through the NGO community, of which he had become an active member. On our way he proposed to show me the Gelati monastery to which I gladly agreed. I learnt that George was not only an excellent expert of Georgia's history and culture, but that he also had a remarkable ability to convey this knowledge to others.

When I came back to Georgia in late 1999 as the Special Representative of the UN Secretary General and Head of UNOMIG we renewed and deepened our relationship. Meanwhile, the importance of NGO's for Georgia's democratic transformation process had increased, and this was particularly relevant for George's foundation, the International Center on Conflict and Negotiation (ICCN). ICCN's particular field of interest was conflict settlement, and this was the point where our interests met perfectly. It was then that our dialog on how to work out new concepts for a NGO-driven dialog between Abkhaz and Georgians started. I tried to be helpful in his endeavours to intensify contacts with representatives of the Abkhaz NGO's. In the memorable meeting between NGO's from Abkhazia and

Georgia which UNOMIG managed to arrange in Tbilisi in September 2000 George was one of the most active participants.

I departed from my second mission to Georgia in June 2002, but came back since then in a variety of official or semi-official roles. This gave me ample opportunity to continue the cooperation with George which had meanwhile developed into a relation of friendship and deep mutual appreciation. His expertise was of particular value to me during my activities as Head of the OSCE Observation Mission for the Presidential Elections of January 2008. We shared the view that these elections were flawed because they violated a number of key rules generally recognized as valid for their democratic conduct.

There was one further highlight of our cooperation which was the Conference on Conflict in Post-Soviet Europe, in particular the South Caucasus, organised by the German Ministry of Foreign Affairs in Berlin in October 2009. The August war of 2008 in Georgia and its consequences were a major topic of debate, and George's presentation to the conference gave a brilliant analytical introduction into this matter. What he said concerning the origins of the two internal conflicts in Georgia struck a new note. It was largely due to nationalistic policies under Georgia's presidents Gamsakhurdia, Shevardnadze and Saakashvili, he explained, and to their lack of willingness to adopt a forward-looking policy of reconciliation and trust-building that these conflicts continued to exist as basically deadlocked issues. This diagnosis was vigorously rejected by many in those days; meanwhile it has been accepted as close to reality.

I am grateful for the chance I have had to cooperate with George during many years in one common effort. It was a truly complementary effort between diplomacy on one side and civil society on the other on a theme which is and remains of key importance for Georgia: how to initiate a meaningful conflict settlement process which leads into the future without ignoring the bitter lessons of the past. Like few others George knew how to raise public awareness on this matter, like few others he has presented fresh analysis, for example on the 2003 Rose Revolution and the August 2008 war and their impact on conflict settlement strategies. He really had the visionary power to open up new ways of thinking.

And he was aware of the fact that a broad approach was needed, one that should include an involvement of Russia. To this effect, just a few months before his sudden death, he started a project aimed at restoring a process for the resumption of a Russian-Georgian dialog. Its first stage was supposed to

be a meeting in Moscow among independent high-profile experts from both sides. This project now stands out as one of his legacies.

When I learned about George's unexpected passing away I was struck with consternation and sadness. It is a sadness which I feel even nowadays

when I come back to Tbilisi to meet with colleagues and friends. What is left is his work which will assure him a place of honour among those who have engaged themselves for a functioning civil society after Georgia became independent. Still, I miss a friend who was dear to me for all the unique human and professional qualities which he had.

Dr. Dieter Boden, Ambassador (ret)[1]

27/12/2014

[1] German diplomat who headed the OSCE/ODIHR Mission to observe the presidential elections in Georgia in 2008. As an Ambassador he headed the German OSCE Representation in Vienna from 2002 to 2005. From 1999-2002, he acted as the UN Secretary General's Special Representative in Georgia. In 1995 he became Head of the OSCE Mission in Georgia and, from 1999 to 2002, went back to the Caucasus as UN Special Representative to the Secretary General in Georgia and Head of UNOMIG. Dr. Boden is now an Adjunct Professor of International Relations at the University of Potsdam. He holds a Ph.D. in Slavic Philology from Hamburg University.

„ყველა დიდი კრიზისისათვის საერთოა ის, რომ
შეუძლებელია მათი დაძლევა,
თუ არ შევიცვლით აზროვნების წესს“





ხელისუფლების ფავორიტები სამოქალაქო სექტორის გაკონტროლებას ცდილობენ

„რეზონანსი“, საკვირაო გამოცემა ბასტა, 2006 წ. 5-11 თებერვალი, # 030 (4833) გვ. 3, ჟურნალისტი გერა მამულაშვილი, ფოტოთი

„მას შემდეგ, რაც რევოლუცია მოხდა და ამის შემდეგ რევოლუციის მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები უკვე ხელისუფლებაში გადავიდნენ და პოსტები დაიკავეს, შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, უფრო სწორად არა შემთხვევით, მიზანმიმართულად შექმნეს ეს შთაბეჭდილება, რომ ამით ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის ამოცანა ამოწურულია“, – აცხადებს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ხუციშვილი. მისი აზრით, არასამთავრობო სექტორის ერთი ნაწილი ხელისუფლების ფავორიტად გადაიქცა და მის ხელში უზარმაზარი ძალაუფლების კონცენტრირება მოხდა, რაც გამოიხატება სხვადასხვა სამეურვეო და მონიტორინგის საბჭოების დაკომპლექტებაზე მონოპოლიაში. ამასთანავე, ეს ორგანიზაციები ახლა, ხუციშვილის თქმით, ცდილობენ სამოქალაქო სექტორში სიტუაციის გაკონტროლებას.

როგორც კონფლიქტოლოგი აცხადებს, დღევანდელი ხელისუფლებისთვის ერთადერთი გასაგები ენა „ბრძოლის ენაა“, რაც აბსოლუტურად გამორიცხავს ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს. არადა, ხუციშვილის თქმით, სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი ყველა ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის მრავალფეროვნებით და სიძლიერით ფასდება.

„ბასტა“: რატომ არის, თქვენი აზრით, დღევანდელი ხელისუფლებისთვის უფრო მისაღები ძალისმიერი ბრძოლის ენა და მიუღებელი ურთიერთთანამშრომლობის პრინციპი?

გიორგი ხუციშვილი: ამისი ახსნის რამდენიმე ვერსიაა. ერთი ვერსია იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლებაში მოსულ ახალგაზრდას უფროსი თაობისგან ავტომატურად მოელის ახალგაზრდულობაში, არაკომპეტენტურობაში და გამოუცდელობაში ბრალდება. ხელისუფლებას ამის გამო გარკვეული კომპლექსი უვითარდება და ითრგუნება, რის გამოც თვლის, რომ ეს უფროსი თაობა თავის ადგილზე ისეთნაირად უნდა ჩასვას, რომ ამ გზით თავისი ადგილი დაიმკვიდროს და გაამართლოს. ეს ერთი ვერსია.

მეორე ვერსია იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში იქმნება მმართველობის გარკვეული სტილი და სისტემა, რომელიც, მათი აზრით, ქვეყნის მართვის მენეჯმენტს მაქსიმალურად გაამარტივებს. ამაში ჯდება მათი ზოგიერთი ქმედება, როცა აშკარად სურთ, გაიმარტივონ მართვის მენეჯმენტის ამოცანები.

მესამე – უფრო მძიმე და შორსმიმავალი ვერსიაა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებს, რომლებსაც საერთოდ არ ახასიათებთ დემოკრატიული ღირებულებების გააზრება და გაგება, ნებისმიერ შემთხვევაში უჩნდებათ მიდრეკილება, როგორც კი მოვლენ ხელისუფლებაში, დაამყარონ ავტორიტარული რეჟიმი.

„ბ“: ჯერ ყურადღება გავამახვილოთ პირველ ვერსიაზე, ანუ უფროსი თაობის დამოკიდებულების მიმართ კომპლექსზე. რამდენად მართალია უფროსი თაობა მსგავსი დამოკიდებულებით შვილებისადმი?

გ.ხ.: უფროს თაობას, რა თქმა უნდა, აქვს მიდრეკილება ჭკუის სწავლებისა და მისთ., მაგრამ აქ ისიც უნდა გავითვა-

ლისწინოთ, თუ ვის აქვს რეალური ძალაუფლების ბერკეტები ხელში. დღეს ეს ბერკეტები ხელში „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს, პარტიას, რომელიც პარლამენტში, მთავრობაში უმრავლესობას წარმოადგენს და ამიტომ ძალაუფლების კონსოლიდაციის ყველა ბერკეტი გააჩნია. ასეთ შემთხვევაში მას ეკისრება პასუხისმგებლობა იმაზე, თუ რა სტილის მმართველობა ყალიბდება ქვეყანაში. მას აქვს რევოლუციის დროს აღებული ვალდებულება იმაზე, რომ დაამყაროს ცალსახად დემოკრატიული წეს-წყობილება.

„ბ“: რაც შეეხება ახალგაზრდა ხელისუფლების სურვილს, მაქსიმალურად გაიმარტივოს მმართველობა და იმას, რომ ამ გზაზე ავტორიტარიზმზეც უარს არ ამბობს. ეს შესაძლო გზა რას მოუტანს ქვეყანას და თვითონ ხელისუფლებას?

გ.ხ.: მას შემდეგ, რაც რევოლუცია მოხდა და ამის შემდეგ რევოლუციის მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები უკვე ხელისუფლებაში გადავიდნენ და პოსტები დაიკავეს, შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, უფრო სწორად არა შემთხვევით, მიზანმიმართულად შექმნეს ეს შთაბეჭდილება, რომ ამით ქვეყანაში სამოქალაქო სექტორის ამოცანა ამოწურულია. ვინაიდან დემოკრატიული ოპოზიცია ხელისუფლებაში მოვიდა, რაღა საჭიროაო კრიტიკოსები, ის ხალხი, ვინც გარკვეულად ეჭვის ქვეშ დააყენებს, ვთქვათ, მათ დემოკრატიულობას ან კომპეტენტურობას ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.

მაგრამ ეს მიდგომა აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ნებისმიერი ცივილიზებული და დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბების მსოფლიო გამოცდილებას. ეს გამოცდილება კი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ეტაპზე უნდა არსებობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, თავისუფალი მასმედია და ა.შ., რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში გააკონტროლებენ იმას, გადაუხვია თუ არა ხელისუფლებამ დემოკრატიულ პრინციპებს.

„ბ“: გვაქვს თუ არა სახეზე დღეს ქმედითი არასამთავრობო სექტორი?

გ.ხ.: ნამდვილად გვაქვს. უბრალოდ, საჭიროა მისი გააქტიურება. თუნდაც იმიტომ, რომ ბოლო ხანს ეს სექტორი ცოტა მიძინებულ მდგომარეობაში იყო. დიახ, აკეთებენ პროექტებს,

რეალურ საქმიანობას ეწევიან, მაგრამ სამოქალაქო სექტორის საჯარო პოლიტიკური გააქტიურება რამდენიმე მომენტის გამო მოხდა. ერთ-ერთი სერიოზული იყო უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საქმე, სადაც ყველამ დაინახა, რომ მოსამართლეების გათავისუფლებისას პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო მიღებული, რაც მათ მიერ მოტანილ სამართლებრივ არგუმენტს ეწინააღმდეგება. ესე იგი, კანონის სრული დარღვევით მოხდა პოლიტიკური გადაწყვეტილების გატანა.

მეორე – თავდასხმა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაზე. ეს სამოქალაქო სექტორმა მისი შევიწროების კამპანიის დასაწყისად აღიქვა და ამიტომ გააქტიურდა. მაგრამ, ამან მთლიანობაში კატალიზატორის როლი შეასრულა, რათა სამოქალაქო სექტორი კიდევ უფრო გააქტიურებულიყო და სიცოცხლისუნარიანობა დაემტკიცებინა.

„ბ“: თქვენ აცხადებთ, რომ ხელისუფლებას ფავორიტი არასამთავრობოები ჰყავს.

გ.ხ.: ჰყავს და, რა თქმა უნდა, ეს არ არის მისაღები. როდესაც ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ძირითადად, ხდება ისეთი ფავორიტი არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც ხელისუფლების მიერ ანგაჟირებულნი არიან, მსოფლიო ამით არაადეკვატურ და არასწორ ინფორმაციას იღებს. და, შესაბამისად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე საერთაშორისო რეაგირებაც არაადეკვატურია.

მათ აქვთ სრული უფლება, თავიანთი აზრი გამოთქვან და დააფიქსირონ, თან სადაც ნებავთ, იქ. მაგრამ არ უნდა მოხდეს სხვა ორგანიზაციების დისკრედიტაცია და რამე შეზღუდვა მათი მხრიდან ინფორმაციის მიწოდებაზე. ერთი სიტყვით, ეს უნდა იყოს გათანაბრებული მუშაობა.

სინამდვილეში ჩვენ ვხედავთ, რომ ფავორიტი ორგანიზაციები ჩაყენებულნი არიან ისეთ მდგომარეობაში, რომ მათ ეძლევათ უფლება, დააკომპლექტონ სამეურვეო საბჭოები, მონიტორინგის საბჭოები და ა.შ. და ეს ხდება მრავალ დარგში. ამით ეს ფავორიტი ორგანიზაციები იძენენ უზარმაზარ ფაქტობრივ ძალაუფლებას და იმის საშუალებას, რომ სამოქალაქო სექტორში სიტუაცია გააკონტროლონ.


ინტერვიუ

«მთავარია პროვაკაცია თავიდან ავიცილოთ»

ინტერვიუ პოლიტოლოგ გიორგი ხუციშვილთან

2006

მოკლედ...

უკრაინის რადა სამხრეთ ოსეთში სამშვიდობოების გაგზავნის წინააღმდეგია

„ყველაფერი აუცილებელ სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა გაკეთდეს."

„მთავარია, პროვოკაცია თავიდან ავიცილოთ“

ინტერვიუ პოლიტოლოგ გიორგი ხუციშვილთან

„რეზონანსი“, 2006 წ. 23 თებერვალი, ჟურნალისტი გერა მამულაშვილი, ფოტოთი

თბილისსა და მოსკოვს შორის დაძაბულმა ურთიერთობამ პიკს მიაღწია. საქმე იქამდე მივიდა, რომ რუსულმა საფრენმა აპარატებმა ქართულ საჰაერო სივრცეში პროვოკაციული შემოჭრები განაახლეს. კრემლი ვიზების გაცემას წყვეტს და პრემიერ ნოლაიდელის მოსკოვურ ვიზიტს შლის. ამას თან ახლავს მასობრივი პროპაგანდისტული შეტევა, რომელიც დღითიდღე მძაფრდება.

რა მეთოდებით უნდა განიმუხტოს ქართულ-რუსული ურთიერთობები? ამ კითხვით „რეზონანსმა“ პოლიტოლოგ გიორგი ხუციშვილს მიმართა.

„ვთვლი, რომ სამშვიდობოების გაყვანის მოთხოვნაში საქართველოს პოზიცია აბსოლუტურად გამართლებულია. ამ მხრივ ქართულ საზოგადოებაშიც და ხელისუფლებაშიც კონ-

სენსუსია – ეს მანდატი უნდა შეწყდეს და ე.წ. „სამშვიდობო ძალები“ აქედან უნდა გავიდნენ.

მაგრამ, ამავე დროს, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დაძაბულობა არავითარ შემთხვევაში კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას ხელს არ უწყობს. ეს აქსიომაა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი სამშვიდობოების გაყვანაში წინააღმდეგობას გვიწევს, ჩვენ ურთიერთობების უსასრულო ესკალაცია არ უნდა დავუშვათ. რაღაც მომენტში ეს უნდა შეწყდეს და მოლაპარაკებების რელსებზე უნდა გადავიდეთ. ჩვენი მხრივ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩავრთოთ საერთაშორისო ორგანიზაციები და მეგობარი ქვეყნები. ისინი სიტუაციის მოწესრიგებაში და დიპლომატიურ ჩარჩოში გადასვლაში უნდა დაგვეხმარონ.

„რ“: მაგრამ რუსეთი თქვენ მიერ ხსენებული ობიექტური რეალობის მიღებაზე უარს ამბობს.

გ.ხ.: რუსეთი ჩვენ გვახვევს სქემას, რომლის მიხედვითაც სამშვიდობო ძალები მხოლოდ თავის მანდატს ასრულებდნენ. მათი ვერსიით, ქართული მხარე კონფლიქტის ზონაში ოსურ მხარესთან პირისპირ რომ დარჩენილიყო, ჩვენ მათ აუცილებლად ჩავყლაპავდით. გამოდიოდა, რომ ჩვენ ისინი გვაკავებდნენ და მათი მისია ამით იყო აღსრულებული.

სინამდვილეში სამშვიდობო ძალები ცხინვალში ხელოვნურად შექმნილი რეჟიმის დამცველები იყვნენ და ქართველებს და ოსებს შორის დაპირისპირებას აღვივებდნენ. ამის გათვალისწინებით მათ გასასვლელად ყველაფერი უნდა გაკეთდეს. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, ვისთან, რა ტიპის სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე. ისინი ჩვენ არა მხოლოდ შანტაჟს გვიწყობენ, პირდაპირ მუქარაზეც გადმოდიან და ამ მუქარიდან რასაც შეძლებენ, განახორციელებენ კიდევაც.

„რ“: ალბათ, რუსული საფრენი აპარატების მხრიდან ქართული საჰაერო სივრცე დარღვეულია და ომის განახლებაც ამ ჯაჭვის რგოლია...

გ.ხ.: ასეთი პროვოკაციები იქნება, მაგრამ უარესები დიპლომატიურ დონეზეც ხდება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი ცხინვალში თავისი მოქალაქეების დაცვის

უფლებაზე საუბრობს. პირდაპირ გვეუბნებიან, ნებისმიერი თქვენი გადაწყვეტილების მიუხედავად, კონფლიქტის ზონაში მაინც დავრჩებითო. გარდა ამისა, იქ კიდევ შემოვლენ მოხალისეები ჩრდილოეთ კავკასიიდან, რომლებიც ჩვენ არ გვექვემდებარებიან და თავისთავად მოქმედებენო; საზღვარი დაუცველია, მას შეიარაღებული ჯგუფები გადაკვეთენ, მერე მათთან გქონდეთ საქმე და იომეთო. ერთი სიტყვით, ყველაფერს აკეთებენ დიდი კავკასიური კონფლიქტის გასაჩაღებლად.

„რ“: ამავე დროს, ბოლო დღეებში მოსკოვი არანაირ დიალოგზე არ მოდის, მათ სავიზო პრობლემებთან ერთად პრემიერ ნოღაიდელის ვიზიტიც ჩაშალეს. ამ პირობებში როგორ უნდა გაგრძელდეს რუსი სამშვიდობოების გაყვანის პროცესი?

გ.ხ.: ეს ყველაფერი აუცილებლად სამართლებრივ ჩარჩოებში უნდა გაკეთდეს. ჩვენ ურყევი სამართლებრივი პოზიცია უნდა გვქონდეს და, აი, აქ არ შეიძლება მივმართოთ იმ გზას, რომელიც, თავის მხრივ, პროვოკაციებს გაუხსნის გზას. კონფლიქტის ზონაში არანაირ პროვოკაციებზე არ უნდა წამოვეგოთ. ამ მხრივ ქართული მხარის პოზიციები ისეთივე უნდა დარჩეს, როგორიც აქამდე იყო.

მზარდი დაძაბულობის და ემოციური განცხადებების ფონზე ძალიან ძნელია, რომ სიტუაცია სწრაფად განიმუხტოს. ამას გარკვეული დრო დასჭირდება. ამ დროის განმავლობაში, მთავარია, პროვოკაციები ავიცილოთ, თორემ უეჭველია, რომ სიტუაცია განსამუხტავია. არ შეიძლება, ასეთ დაძაბულ ფონზე ჩვენ რაიმეს მივაღწიოთ. ეს ჩვენ ობიექტურად კონფლიქტის გადაწყვეტის პერსპექტივასთან გვაშორებს და არ გვაახლოებს.


8 რეპორტაჟი 17 - 23 მარტი 2006 წ.
კონფლიქტები პრეზიდენტის ვარდისფერ სათვალეში
2006
Weekly
ფასი 50 თეთრი

კონფლიქტები პრეზიდენტის ვარდისფერ სათვალეში

წალკის და ახალქალაქის მოვლენების მიზეზი – სოციალური პრობლემები

„ახალი 7 დღე“, 2006 წ. 17-23 მარტი, #10 (390), გვ. 3, ჟურნალისტი მადლენ მაჭარაშვილი, ფოტოთი

წალკაში სომეხი ეროვნების მოქალაქის მკვლელობის ფაქტს სიტუაციის გამწვავება ახალქალაქის რაიონშიც მოჰყვა. საკითხი რეზონანსული იმის გამოც გახდა, რომ იგი ქართველებსა და სომხებს შორის ეთნიკური დაპირისპირების ერთ-ერთ დადასტურებად გამოცხადდა. ახალქალაქში საკმაოდ ხალხმრავალი აქციებიც გაიმართა, საპროტესტო ტალღებმა შეაღწია იქაური უნივერსიტეტის და სასამართლოს შენობებშიც... ჯავახეთის რეგიონში არსებული სხვადასხვა რეაქციული სომხური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა წალკის ინციდენტი ხმამაღალი სეპარატისტული და პოლიტიკური განცხადებების გასაკეთებლად გამოიყენეს.

ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატი, ჰამლეტ მოვსესიანი, ახალქალაქში სიტუაციის გამძაფრებას ეთნიკურ პრობლემებს

არ უკავშირებს. მისი თქმით, ეს გამოწვეულია უამრავი სოციალური პრობლემის არსებობით, რომლებიც თუ არ მოგვარდება, რა თქმა უნდა, პოლიტიკურ პრობლემებში გადაიზრდება.

„ჩვენი სახელმწიფო მრავალეროვანია. აქ ბერძნები, სომხები, აზერბაიჯანლები... ერთად ცხოვრობენ. როცა კონფლიქტი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის ხდება, ერთერთ მოტივად ნაციონალური ნიადაგიც სახელდება ხოლმე. ყველა ნორმალური სომეხი და ქართველი, რომელიც ჯავახეთის რეგიონში ცხოვრობს, დაგმობს იმ ფაქტებს, როგორებიც იყო პროტესტის ნიშნად უნივერსიტეტში, სასამართლოსა და ეკლესიაში შეჭრა. ქართველები და სომხები წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ ერთად და ეს გაგრძელდება კიდეც. ერთად უნდა ავაშენოთ დემოკრატიული სახელმწიფო.

ახალქალაქის რაიონი შევარდნაძის დროს ერთგვარად მიყრუებულ კუთხედ იქცა. არაფერი კეთდებოდა არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდში, მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდებოდა ხელისუფლებას ჯავახეთის რეგიონი. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლება ცდილობს სოციალური პრობლემების მოგვარებას, მაგრამ ჯერ შედეგი არ ჩანს. პრობლემა არის საკადრო საკითხიც. რაიონში ისე ნიშნავენ ხალხს თანამდებობებზე, რომ არც მე და არც გამგებელს არაფერს გვეკითხებიან. ხალხის მიერ ვარ არჩეული და ჩემს აზრს უნდა ითვალისწინებდნენ“

სოციალური პრობლემები საქართველოში ქვეყნის მასშტაბით არსებობს, მაგრამ სამცხე-ჯავახეთის და ქართლის რეგიონებში მის საფუძველზე ეთნიკური კონფლიქტის გაღვივების მცდელობაც არის ხოლმე. მაინც რა საფუძველი არსებობს ჯავახეთში ეთნიკური კონფლიქტისთვის?

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი, განმარტავს: „რომ გავიგოთ, რა ხდება სამცხე-ჯავახეთში და გავარკვიოთ, რატომ ხდება, ვთქვათ, ლოკალური ინციდენტების სახელმწიფო მნიშვნელობის პრობლემად გადაქცევა, ამისთვის უნდა ვიცოდეთ ეთნიკური, დემოგრაფი-

ული და ქვეყნის ადმინისტრაციული მოწყობის კანონზომიერებები.

ჩვენ გვაქვს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები. ამ რეგიონებში ვითარდება აბსოლუტურად სხვა ურთიერთობათა სისტემა და დამოკიდებულება ცენტრალურ სტრუქტურებთან. ყალიბდება ერთგვარი თავდაცვითი მექანიზმები იმისთვის, რომ საკუთარი თვალთახედვით გაუცხოებული ძალისგან თავი დაიცვან. გამოსავალი, რა თქმა უნდა, იქნებოდა ინტეგრაცია – ის, რომ ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონი სათანადოდ იყოს ჩართული სახელმწიფოებრივ პროცესებში“.

რუსულ ბაზებზე დასაქმებულები და სახელმწიფო ენის არმცოდნენი

სამცხე-ჯავახეთში ეთნიკური შეფერილობის მქონე აქციები განსაკუთრებით გახშირდა მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. მოსალოდნელი იყო, რომ რუსული მხარე ყველაფერს გააკეთებდა, რათა ეს პროცესი საქართველოსთვის უმტკივნეულოდ არ განხორციელებულიყო. ამდენად, ექსპერტები არ გამორიცხავენ ამ რეგიონში რუსეთის პროვოცირებით ეთნოკონფლიქტის გაღვივებას. მით უმეტეს, რომ რუსული სამხედრო ბაზების სისტემაში ახალქალაქის მცხოვრებთა საკმაოდ დიდი ნაწილი იყო დასაქმებული და მათი გაყვანის შემდეგ უმუშევრად დარჩენილი ადამიანები პროტესტს ნამდვილად არ მოერიდებოდნენ.

გიორგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად სახელმწიფოს წინასწარ უნდა შეემუშავებინა სპეციალური გეგმა – დიდი ფიქრი არ უნდა დასჭირვებოდა იმას, რომ სამუშაოს გარეშე ათასობით ადამიანის დარჩენა მღელვარებას გამოიწვევდა. უნდა არსებობდეს დასაქმების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც დაარწმუნებს იქაურებს, რომ სამხედრო ბაზის გასვლის შემდეგ უმუშევრობა არ ემუქრებათ, ამით ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ნდობის ხარისხი ამაღლდება და ეს იქნება კონფლიქტის აცილების ერთ-ერთი ფორმაც.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს რეგიონებში კონფლიქტის საფუძველს ქმნის, არის მათ მიერ სახელმწიფო ენის უცოდინრობა.

გიორგი ხუციშვილი: „საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ის რეალობა, რომ ჯავახეთში სახელმწიფო ენის ცოდნა დღეს პრობლემას წარმოადგენს. მთელი ძალები უნდა მოხმარდეს იმას, რომ იქაურმა მოსახლეობამ ქართული ენა ისწავლოს. მაგრამ რამდენიმე თვეში, თუნდაც ერთ წელიწადში ეს ვერ მიიღწევა. ამიტომ დღეს საკითხს უფრო სხვაგვარად უნდა მივუდგეთ და არა ადმინისტრაციულ-ავტორიტარული მეთოდების გამოყენებით: რომ მოსამართლეებმა არ იციან ქართული ენა და მოვხსნათ ეს მოსამართლეები! ასეთი დამოკიდებულება დაძაბულობას გამოიწვევს და შექმნის ნიადაგს მღელვარებისა და ეთნოკონფლიქტებისთვის. ასეთი უხეში მეთოდებით ეროვნებათშორისი ურთიერთობები არ რეგულირდება, ეს უნდა იცოდეს ნებისმიერმა ხელისუფლებამ. ჯავახეთის რეგიონში დღეს შექმნილი სიტუაცია არის შენელებული მოქმედების ბომბი. იქ დიდი ხანია მუშაობენ აგენტები, მუშაობენ „დაშნაკ-ცუწუნის“ წარმომადგენლები, რუსული სპეცსამსახურები და უკვე აქვთ დამკვიდრებული მოსახლეობაზე ზეგავლენის სისტემა – ეს ხომ ყველამ ვიცით. ასეთ პირობებში ისინი საქართველოს ხელისუფლების ნებისმიერ შეცდომას გამოიყენებენ.“

მხოლოდ „თავისუფლების ინსტიტუტის“ რეკომენდაცია და კომპეტენცია

ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად და ფეთქებადი სიტუაციების განსამუხტავად სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა არის საჭირო. თავის მხრივ, მნიშვნელოვანია ამ პროცესში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, კონფლიქტოლოგების, სოციოლოგების და ექსპერტების მონაწილეობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ხელისუფლება ამ საკითხზე მათთან თანამშრომლობას გაურბის და, ძირითადად,

საკუთარ ინტელექტუალურ პოტენციალს ან ყველაზე ახლო მეგობარ NGO-ს – „თავისუფლების ინსტიტუტს“ ეყრდნობა.

გიორგი ხუციშვილი: „არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ახლა გვიხდება ანალიზის გაკეთება, რომ მივაწოდოთ ხელისუფლებას გარკვეული რეკომენდაციები შესაბამისი ზომების სწრაფად მისაღებად.

მოვლენების ჩვენეული შეფასება განსხვავდება იმ ადამიანების შეფასებებისგან, რომლებიც ამბობენ, რომ არსებული პრობლემების მოგვარება სამცხე-ჯავახეთში სპეცდანიშნულების რაზმის გაგზავნით არის შესაძლებელი. ჩვენ ვიკვლევთ საზოგადოებრივ აზრს და შეგვიძლია ვთქვათ – საზოგადოება დღეს საუბრობს სცენარზე, რომ ჯავახეთში სიტუაციების დაძაბვა ხდება სპეციალურად, იმ მიზნით, რომ მოსახლეობამ რეალურად არსებული პრობლემებიდან ყურადღება იქით მიმართოს.

სახელმწიფოს მართვა გულისხმობს ქვეყნის პრობლემების მოგვარებას და არა ზედმეტი პრობლემების შექმნას. ჩვენი ხელისუფლება თავად ქმნის პრობლემას ჯავახეთში, როცა იქაურ მოსახლეობას ვერ სთავაზობს პრობლემის გადაწყვეტის გზას. სახელმწიფომ უნდა აჩვენოს მათ, რომ სამართლებრივი მანქანა არსებობს და დამნაშავე დაისჯება, ეროვნების მიუხედავად.

ხელისუფლება აღნიშნულ საკითხზე არასამთავრობოებთან არ ურთიერთობს. მიიჩნევს, რომ თავად აქვს საკმარისი რესურსები და ძალები იმისთვის, რომ ყველაფერი გადაწყვიტოს. ერთადერთი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის წარმომადგენლების აზრსაც ხელისუფლება ითვალისწინებს, არის ხელისუფლებასთან, პრაქტიკულად, შეზრდილი „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელიც ყველაფერში „კომპეტენტურია“.

კონფლიქტების მართვის არარსებული სტრატეგია

რევოლუციით მოსული ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღეებში აქტიურად დაიწყეს საუბარი კონფლიქტების მოწესრიგებაზე, შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებაზე. ექსპერტთა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შექმნეს კიდეც შესაბა-

მისი კონცეფციები. თუმცა ყველაფერი მაინც ზეპირი განცხადებების დონეზე დარჩა.

გიორგი ხუციშვილი: „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მეც გამიჩნდა იმედი, რომ ხელისუფლება სერიოზულად ფიქრობდა სტრატეგიული გეგმების შემუშავებაზე. გამოქვეყნდა თავად პრეზიდენტის გეგმა „სამხრეთ ოსეთის“ შესახებ – მაშინ ხმარობდა ტერმინს – „სამხრეთ ოსეთი“, ახლა ისევ „სამაჩაბლოს“ იყენებს. იმ პერიოდში პრეზიდენტს უნდა გაეგზავნა ცხინვალისთვის მესიჯი: მზად ვარ, „სამხრეთ ოსეთი“ დავარქვა ამ მიწას, თუ თქვენ წამოხვალთ ჩვენთან თანამშრომლობაზეო. მაგრამ საქმე ის კი არ არის, რომ „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობა არ წამოვიდა თანამშრომლობაზე, წინასწარ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, რომ ეს დიდ გეოპოლიტიკურ პროცესებს გამოიწვევდა და რუსეთი ყველაფერს გააკეთებდა აფხაზეთში და სამაჩაბლოში სტატუს-კვოს შესანარჩუნებლად. ეს სტრატეგიული გეგმა, თავისთავად, დადებითი მოვლენა იყო, მაგრამ მოლაპარაკებების პროცესში არ ყოფილა თანმიმდევრული პოლიტიკა, რომელიც დაარეგულირებდა ურთიერთობებს იმ საკვანძო პირებთან და პირთა ჯგუფებთან, რომლებზეც არის დამოკიდებული კონფლიქტის ზონაში სიტუაციის შეცვლა. გარდა ამისა, იმ გეგმებში, რომელსაც „საგზაო რუკას“ ეძახიან, უამრავი წინააღმდეგობრივი და არარეალური ნაბიჯია, რომელიც ვერ განხორციელდება. თავად ვნახე კოკოითი-ნოღაიდელის დეკემბერში დაგეგმილი შეხვედრისთვის შექმნილი სამუშაო პროგრამა. იგი ითვალისწინებდა 2006 წლის სექტემბრისთვის კონფლიქტის იმგვარად განმუხტვას და ურთიერთობის ისე შეცვლას სამაჩაბლოსა და დანარჩენ საქართველოს შორის, რომ ქართული პასპორტების გამცემი პუნქტები ოფიციალურად ცხინვალის ტერიტორიაზე ყოფილიყო მასობრივად გახსნილი. წარმოიდგინეთ, რამხელა ოპტიმიზმია აქ ჩადებული და როგორი დარწმუნებაა საკუთარ ძალებში – ერთ წელიწადში ადგილობრივი ხელისუფლების თანხმობით უკვე დარიგდება ქართული პასპორტები ოფიციალურად, ე.ი. სექტემბრისთვის ცხინვალის რეგიონში, ფაქტობრივად, უნდა იყოს აღდგენილი საქართველოს იურისდიქცია“.

კონფლიქტების მოგვარების საკითხში საქართველოს ხელისუფლებას და მის პირველ პირს ოპტიმიზმი ნამდვილად აქვთ. სწორედ ამაზე მეტყველებს საქართველოს პრეზიდენტის ხმამაღალი განცხადება-კომენტარები, რომლებშიც ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ხშირად კონკრეტული ვადებით განსაზღვრავს, უკავშირებს ხან რომელიმე მინისტრის მოღვაწეობას, ხან კი საკუთარი საპრეზიდენტო ვადის რომელიმე ფაზას. სააკაშვილმა ერთ-ერთი ასეთი განცხადება ორი დღის წინ ნატახტარშიც გააკეთა – ავტობანის მშენებლობის პრეზენტაციაზე, რომ 2008 წელს ამ ავტობანით ის ცხინვალში ჩავა, 2010 წელს კი – აფხაზეთში.

გიორგი ხუციშვილს უჭირს პრეზიდენტის ოპტიმიზმის გაზიარება და აღნიშნავს: „იმისათვის, რომ ჩვენ 2008-ში კი არა, 2015-ში ვილაპარაკოთ ცხინვალში რეალურ შესვლაზე, დღეს უკვე დაწყებული უნდა იყოს მასობრივი და ინტენსიური პროცესები, რომლებიც კი არ ამწვავებს სიტუაციას და კონფლიქტს, პირიქით – არეგულირებს მას. სიტუაციაზე ზეგავლენის მრავალი ბერკეტი არსებობს, მაგრამ ჩვენ ამას არ ვიყენებთ. პირიქით – რჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ხელისუფლების მაღალჩინოსნები ქაღალდომანიით და საზღვარგარეთ სიარულით იმდენად გაერთნენ, რომ საერთოდ არ სცალიათ ამ საკითხისთვის“.



აფხაზეთი – მესამე გზა

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
არასამთავრობო ორგანიზაციათა პირველი კონგრესის კრებული,
2006 წ. 25 ივნისი[1]

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა, ქვეყნის თანამედროვე ტიპის ცივილიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, ყველაზე ხელშემწყობი და კეთილგანწყობილი ხელისუფლების პირობებშიც კი არ ხდება თავისთავად და უმტკივნეულოდ. ეს მუდმივი ბრძოლის ველია, სადაც დემოკრატიამ უნდა სძლიოს ბიუროკრატიას, საზოგადოებაშიც და ხელისუფლებაშიც დამკვიდრდეს სამართლებრივი და ჰუმანური მსოფლმხედველობა და ქცევა.

[1] იმ რთულ პერიოდში, როდესაც ადამიანის უფლებების უხეში, მასობრივი დარღვევები ხელისუფლების მხრიდან განხორციელდა, პროფესორი გიორგი ხუციშვილი აგრძელებდა თავის საქმიანობას, გაეძლიერებინა სამოქალაქო საზოგადოება, ხელი შეეწყო მისი განვითარებისათვის. სწორედ მისი უშუალო ძალისხმევით გახდა შესაძლებელი, ქართულ ორგანიზაციებს გაეერთიანებინათ ხმა ძალადობის წინააღმდეგ. მისი თაოსნობით ჩატარდა არასამთავრობო ორგანიზაციათა პირველი ეროვნული კონგრესი, რომელშიც მთელი საქართველოდან 200-ზე მეტმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. ნ.ც., მონაწილე.

სამწუხაროდ, დღეს ამ ჭეშმარიტების გაცნობიერებამ განსაკუთრებით მტკივნეული ფორმები მიიღო ზოგიერთ და, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, არსებულ გაყინულ ეთნოკონფლიქტებთან მიმართებაში. აქ ნათლად ჩანს ტოტალიტარული სისტემის მემკვიდრეობის გავლენა იმ ადამიანებზეც, რომელნიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბდნენ. მოწინააღმდეგესთან კომუნიცირების, შეფასების და თვითშეფასების უნარები, საკუთარი ნამოქმედარისთვის პასუხისმგებლობის აღება, სხვისი დანაშაულისთვის პასუხის მოთხოვნა, რისკის შეფასება და ქმედებათა შედეგების წინასწარ გათვლა – ყველაფერ ამისი დეფიციტი იგრძნობა როგორც საზოგადოებასა და მასმედიაში, ისე ხელისუფლებაში. რატომ აღმოვჩნდით ასეთ მდგომარეობაში და სადაა გამოსავალი?

აფხაზეთის და სამაჩაბლოს კონფლიქტების მოუგვარებლობის შეფასებისას, გარკვეული ფაქტორების ზეგავლენით, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, საერთაშორისო წრეებში გავრცელდა ქართული მხარის უინიციატივობის, არასანდოობისა და უნიათობის სურათი, რომელიც უკავშირდებოდა არა იმდენად შევარდნაძის ხელისუფლებას, რომელიც ახერხებდა ამგვარი ბრალდებების აცილებას, რამდენადაც ქართული საზოგადოების პოსტტოტალიტარულ მენტალიტეტს, ქვეყნის თავისებურებებს და, ასევე, ქართველთა ხასიათს. იმაში, რომ საზღვარგარეთ საქართველოს უნიათო და მათხოვარი ქვეყნის რეპუტაცია დაუმკვიდრდა, ლომის წილი ექსპრეზიდენტ შევარდნაძეს და მის გარემოცვას ეკუთვნის: მის მიერ არჩეულ მინიმალური რისკის და კრიმინალურ ძალთა დაბალანსების და დაკმაყოფილების პოლიტიკას სჭირდებოდა ქართველ ხალხში არასრულყოფილების კომპლექსის გაღვივება, რათა ყველას იმისი შეშინებოდა, თუ რა ეშველებოდა ამ ქვეყანას შევარდნაძის ბრძნული მართვის გარეშე. ბუნებრივია, ამან თავისი დამანგრეველი შედეგი იქონია საქართველოს და გარე სამყაროს ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.

ამავე დროს, აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის შესახებ იმავე საერთაშორისო წრეების მხრიდან, მიუხედა-

ვად პოლიტიკურ დონეზე გაკეთებული მკაცრი განცხადებების და „დიალოგისკენ ორივე მხარის“ ტრადიციად ქცეული მოწოდებებისა, ჩამოყალიბდა გაცილებით უფრო რბილი და ჰუმანიზირებული სურათი: მცირერიცხოვანი გაჭირვებული ხალხი, რომელიც არავის თავს არ ესხმის, „მეზობელ“ საქართველოში არასტაბილური ვითარებით და დევნილთა მასობრივი დაბრუნების შედეგად შურისძიების საფრთხით შეშინებული და თავისი ეთნოფონდის გადარჩენით შეწუხებული. გარდა ამისა, ბოლო წლების განმავლობაში პროცესების გარკვეული მიმართულებით წარმართვის შედეგად, ჩიხი მიზანმიმართულად ღრმავდებოდა, იზრდებოდა ბზარი და გაუცხოება გახლეჩილი საზოგადოების ნაწილებს შორის, და რა თქმა უნდა, „მტრის ხატის“ ინტენსივობა.

ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები, საყოველთაოდ აღიარებული შეფასებით, მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილური განვითარებისთვის ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. ამიტომაც, მათი მოგვარება, ანუ სამშვიდობო პროცესებისთვის ხელშეწყობა, საერთაშორისო დონეზე ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ და რთულ ამოცანად ითვლება. ამავე დროს, უმრავლესობა მსოფლიოში არსებული ეთნოპოლიტიკური დისპუტებისა ათწლეულების განმავლობაში გადაუჭრელი რჩება, ხოლო თუ გვარდება, როგორც წესი, სეცესირებული ნაწილის ლეგიტიმიზაციის ხარჯზე (ისტ. ტიმორი, ერითრეა, ყოფილი იუგოსლავიის ნაწილები და სხვ.). პრაქტიკულად, ერთადერთ საპირისპირო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს სუეცის ქვეისი ეგვიპტეში. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მაგალითს უახლეს ისტორიაში პრაქტიკულად ვერ ვპოულობთ. რატომ? უპირველეს ყოვლისა, უნდა მკვეთრად გავმიჯნოთ ორი სურათი: პირველი – ინფორმაციული, რომელიც განკუთვნილია მასობრივი მომხმარებლისთვის. ეს სურათია ყველა იმ ძალისხმევისა და ქმედებისა, რომელიც ხორციელდება კონფლიქტის ზონაში, როგორიცაა ოფიციალური მოლაპარაკებები, ჰუმანიტარული პროგრამები, სამშვიდობო ინიციატივები, შეხვედრები, დისპუტები, ეკონომიკური პროექტები და სხვ., ე.ი. მრავალარხიანი დიპლომატიის მთელი

სპექტრი. ხოლო მეორე და სრულიად სხვაგვარია რეალური პოლიტიკის სურათი – დაუნდობელი, დაუკავშირებელი რაიმე ღირებულებებთან, გარდა მატერიალურისა – თამაში წესების გარეშე. ნებისმიერი კონფლიქტის ზონის გარშემო ყალიბდება იმ ძალთა გავლენის ჯგუფები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ან კონფლიქტის მოგვარებით ან კონფლიქტის მოუგვარებლობით. ის ფაქტი, რომ მსოფლიოს თითქმის ყველა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი მოუგვარებელია, გვაფიქრებინებს, რომ რეალური გავლენა იმ ძალებისა, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი კონფლიქტის მოგვარებით, კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესებულ ძალთა გავლენასთან შედარებით აშკარად ჭარბობს.

ქართულმა მხარემ დღემდე ვერ შეძლო სამართლებრივი გზით იმ ბერკეტის გამოყენება, რომელიც აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ჩატარებულ ეთნოწმენდაში და დევნილთა მშობლიურ მიწაზე არდაბრუნებაში მდგომარეობს. საერთაშორისო თანამეგობრობა დუმს იმის თაობაზე, რომ რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალები თავისი საერთაშორისო მანდატის საპირისპირო როლს ასრულებენ კონფლიქტის ზონაში. ჩვენს ქვეყანაში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტების არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში კონფლიქტის წარმოშობასა და გაღვივებაში რუსეთის როლს გამოყოფილი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული. ამის შედეგად არა მხოლოდ მთელ რიგ საკითხებზე საქართველოს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი იყო მიჩქმალული, არამედ კონფლიქტის ესკალაციაზე და შემდგომ გაყინვაზე უფრო ფართო კონტექსტის გავლენა ყურადღების მიღმა რჩებოდა, რაც, თავის მხრივ, რუსეთის როლის ჩარჩოების დადგენასაც უშლიდა ხელს. კერძოდ, აფხაზეთის ომის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებული ვითარება ხელსაყრელია მთელი რიგი ადგილობრივი, რეგიონული და გლობალური დონის აქტორებისთვის (დავარქვათ მათ ერთობლიობას, პირობითად, *ვირტუალური კონსორციუმი*). ამ ერთობლიობაში გამოიკვეთება მეტ-ნაკლებად კოორდინირებულად მოქმედი ჯგუფები. ეს არც გლობალური შეთქმულებაა და არც სპეც-

სამსახურების დონეზე შემუშავებული და ერთი ცენტრიდან მართული ოპერატიული გეგმა, არამედ კუმულატიური ეფექტი მრავალგვარი ჯგუფების ინტერესის თანხვედრისა და ამ გარემოების გაცნობიერების შედეგად თანმხვედრი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯებისა. სოხუმის რეჟიმის კონსოლიდირებული და ურყევი პოზიცია ძლიერდება იმის შედეგად, რომ ეთანხმება გეოპოლიტიკური სტაბილურობის გარკვეულ სქემაში რეგიონისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის მიჩენილ ადგილს.

ერთ-ერთი მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: „გაყინული“, გაჭიანურებული კონფლიქტი სტაბილურობის შთაბეჭდილებას (სიმულაციას) ქმნის, რასაც საერთაშორისო პოლიტიკაში ჩართული ჯგუფებისთვის გარკვეული მიმზიდველობა გააჩნია. აქაც, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, უნივერსალურად მოქმედებს *უმცირესი ქმედების პრინციპი*, რომელიც შეესატყვისება პოლიტიკოსთა სავსებით გასაგებ სწრაფვას, გაიადვილონ საქმე იმით, რომ მართოს უმცირესი რესურსებით, გაამარტივოს ამოცანის პირობები და რისკის მინიმიზაცია მოახდინოს. ბიუროკრატიულ სისტემაში ეს პროცესი მახინჯდება და კონფლიქტების მენეჯმენტის სფეროში ღებულობს გაჭიანურებისათვის ხელშეწყობის ფორმას.

ყოველი ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ზონის გარშემო საერთაშორისო დონეზე სპონტანურად იქმნება გარკვეული *მხარდაჭერის და ლობირების სისტემა*. შემდეგ დონეს წარმოადგენს ამგვარ სისტემათა ურთიერთმხარდაჭერის და ლობირების სისტემები (მაგალითად, აფხაზური სეპარატიზმის დაცვას და ლობირებას უზრუნველყოფენ მთიანი ყარაბაღის სეპარაციის დამცველი ძალები). მიუხედავად ამისა, (ან, შეიძლება, სწორედ ამის გამო), პროექტები, რომელთაც ჩიხში მივყავართ, კვლავ ფინანსდება. არც ჩავარდნილი პროექტების წარუმატებლობის მიზეზები ანალიზდება ისე, რომ ფართო საზოგადოებისთვის გახდეს ცნობილი და შემდგომ შეცდომებს და ხარჯებს დაუდოს ზღვარი. ამას სამშვიდობო პროცესების *სტერილიზაცია* შეგვიძლია ვუწოდოთ. სტერილური პროცესი, რომელსაც არანაირი ნაყოფის გამოღება არ ძალუძს, პროცესი პროცესისთვის, პროფანაციად გადაქცეული პროექტები,

ფინანსების, ადამიანთა ძალისხმევის, ნერვების ხარჯვა – ინფორმაციული სურათია იმისა, რომ რაღაც კეთდება, მაგრამ, ამასთან – საბოლოო ნულოვანი რეზულტატი წინასწარ განსაზღვრულია, სამშვიდობო პროცესი კი – განწირული. ამ მოჯადოებული წრის გარღვევას სჭირდება სულ სხვა დონის პოლიტიკური ნება, რომელიც, ყველას იმედი გვქონდა, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ თვეებში დავინახეთ. ხოლო რაც ამის შემდგომ – 2004 წლის ზაფხულიდან დღემდე – ხდებოდა, შეიძლება დავახასიათოთ, როგორც რეალური პოლიტიკის პი-არ პოლიტიკისთვის შეწირვა და კონფლიქტების გაყინვის სისტემისადმი ადაპტირება.

საქართველოს ახალი ხელისუფლება აუცილებლობით ექცევა ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა გავლენის ქვეშ – ერთი მხრივ, ხალხი სამართლიანად მოითხოვს ამ საკითხის გადაჭრას, რეალური ნაბიჯების გადადგმას. ლიდერებს ესმით, ხალხმა უნდა დაინახოს, რომ ამ მიმართულებით რაღაც კეთდება. მაგრამ, მეორე მხრივ, არსებობს საშიშროება, დიდი ცდუნება, როდესაც ამოცანა რეალურად განუხორციელებელია ან რთულია შესასრულებლად, შეიქმნას ილუზია, საინფორმაციო სურათი, რომ რაღაც კეთდება. ქვეყანაში ბოლო დროს დამკვიდრებული მოვლენათა შეფასების შავ-თეთრი სურათი, განსხვავებული აზრის მიუღებლობა დაღს ასვამს, აგრეთვე, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტებისადმი მიდგომებს, დაბალანსებული კომპრომისის დისკრედიტაციას ახდენს მოსახლეობის თვალში. მიუხედავად ამისა, რეალურად არსებობს *მესამე გზა*, რომელიც ინტენსიური პოლიტიკური ქმედებებით და საზოგადოების მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს.

პირველი გზა, რომელმაც არ გაამართლა: მეორე მხარე კონფლიქტის ზონაში კი არ უნდა ვეძიოთ (იქ ჩვენი საკადრისი მოსაუბრე არავინაა; აბა, კრიმინალებს რაზე ველაპარაკოთ, მათი ბოიკოტირება უნდა მოვახდინოთ), არამედ რუსეთში – ხომ სწორედ მასთან გვაქვს კონფლიქტი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თაობაზე. ზოგადად ვილაპარაკოთ, რომ დიალოგის მომხრენი ვართ და, ამავე დროს, ღიად განვაცხადოთ, რომ არ ვაპირებთ, რაიმე დავუთმოთ, ხისტი და მკაცრი პო-

ზიცია შევინარჩუნოთ, ვილაპარაკოთ ულტიმატუმების ენით, ყველას მოვუწოდოთ, არ ითანამშრომლონ სეპარატისტებთან და მათ მფარველებთან, ჩავიკეტოთ შეურიგებელ პოზიციაში; არანაირი პასუხისმგებლობა არ ავიღოთ იმაზე, რაც მოხდა.

[ქვეყნის შიგნით ასეთი პოზიცია და პოლიტიკა აღვივებს იმის შეგრძნებას, რომ აფხაზეთი მაინც დაკარგულია, ხელისუფლებას კი სახის შენარჩუნება სჭირდება, ამიტომაც ირჩევს ჩიხური სიტუაციის გენერირებას, საბოლოოდ ხომ მაინც რუსეთს დაბრალდება ყველაფერი. შანსი კი ისაა, რომ ხალხის თვალში მაინც, „კაი ბიჭებად“, გამოჩნდებიან.

ქვეყნის გარეთ ასეთ შემთხვევაში ძლიერდება ქართული მხარისადმი უნდობლობის ფაქტორი. მოლაპარაკების ჩიხში შეყვანა, საომარი მოქმედებების განახლების საფრთხის გაძლიერება, პრობლემის მოგვარების შანსის მკვეთრი დაქვეითება ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისგან მხარდაჭერას ნაკლებად სავარაუდოდ ხდის].

მეორე გზა, რომელმაც ასევე არ გაამართლა: ლავირებისა და ყველას დაკმაყოფილების პოლიტიკის გატარება. ერთი მხრივ, მოლაპარაკების დროს ცალმხრივი დათმობებისთვის მზადყოფნა, ამავე დროს არაფრის ბოლომდე მიყვანისა და პოზიციის არდაკავების შედეგად გაურკვეველი სიტუაციის გაჭიანურება. „მოვიფიქროთ ყველაზე ხელსაყრელი პირობები, რაზეც სეპარატისტები უნდა წამოეგონ, იქნებ, ამითი აფხაზები მოვხიბლოთ“. საგარეოდ საერთაშორისო სტრუქტურების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად და საშინაოდ რადიკალების კრიტიკის ასაცილებლად რთულ თამაშებში ჩაბმა და, ქვეყნის საზიანოდ, ორმაგი სტანდარტების დამკვიდრება.

[უკიდურესი პოზიცია იქნებოდა ის, რომ მთელი პასუხისმგებლობა მომხდარისთვის ჩვენს თავზე ავიღოთ, დევნილთა დაბრუნების მოთხოვნა მოვხსნათ და აფხაზებს დავეხმაროთ სახელმწიფოებრივ მშენებლობაში ისე, რომ არანაირი წინაპირობები არ წავუყენოთ. ძნელი არაა იმისი დანახვა, რომ არც ეს იქნებოდა გამოსავალი].

საყურადღებოა, რომ ორივე შემთხვევაში შედეგად ვღებულობთ კონფლიქტის გაყინვას. სამწუხაროდ, ეს ორი გზა აქამ-

დე იხილებოდა, როგორც ერთადერთი შესაძლო ალტერნატივა (და ეს ქმნიდა ჩიხის სინდრომს), მაშინ, როდესაც რეალურად კიდევ ერთი ალტერნატივა არსებობს.

მესამე გზა, რომელმაც უნდა გაამართლოს: ქვეყნის შიგნით საჯარო განხილვის შედეგად უნდა მოხდეს კონფლიქტის მიზეზების და შედეგების ობიექტური შეფასება. კონფლიქტისათვის გარე მესამე ძალისთვის მთლიანი პასუხისმგებლობის დაკისრების მაგივრად მოხდეს მომხდარის რეალური და ობიექტური სურათის დადგენა, ძირითად აქტორთა როლისა და პასუხისმგებლობის ჩვენებით. სიტყვით და საქმით მოხდეს სამშვიდობო და არაძალადობრივი კურსისადმი ერთგულების დემონსტრირება. ქვეყნის გარეთ მოვახდინოთ საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზება იმ კუთხით, რომ რასაც აცხადებენ (რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ურღვევია), ის პრაქტიკულად განახორციელონ. საერთაშორისო დონეზე რეალურად დადგეს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე დევნილთა დაბრუნებისა და 1993-94 წლებში დადებულ ხელშეკრულებებში დადგენილი მოლაპარაკებათა ფორმატის გადასინჯვის საკითხი. კონფლიქტური ზონის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაცია მოხდეს იმ პირობით, რომ ეს კონფლიქტში ჩაბმულ მხარეთა დაახლოებას და შერიგებას შეუწყობს ხელს (ეს პირობა დღემდე არ სრულდება). აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს შევთავაზოთ, ჩვენი შეფასებით, ნორმალური და სამართლიანი სტატუსი; ამავე დროს, ნუ განვიხილავთ სტატუსის საკითხს მოლაპარაკებათა საწყის ეტაპებზე, ამავე დროს, მოვისმინოთ მათგან მომდინარე წინადადებები. არ ვიკეკლუცოთ და არ ვეცადოთ, მოვაჩვენოთ თავი იმად, რაც არ ვართ. ავიღოთ ჩვენს თავზე ჩვენი წილი რეალური პასუხისმგებლობისა. პარალელურად განვითარდეს პოლიტიკური (დიპლომატიის პირველი არხი) და საზოგადოებრივი (დიპლომატიის მეორე არხი) დიალოგი. საშუალება მივცეთ ბიზნესს, დევნილთა ორგანიზაციებს და დიასპორებს, აქტიური როლი ითამაშონ კონფლიქტის მოგვარების ყველა ეტაპზე და ყველა დონეზე. ამავე დროს, ვეცადოთ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზება მოვახდინოთ. ყველაფერ ამის შედეგად,

უნდა შეიქმნას ჯანსაღი გარემო და ხელსაყრელი წინაპირობები, რათა კონფლიქტები მშვიდობიანად მოგვარდეს. ხოლო გადამწყვეტი პირობა იქნება იმ საკმარისად ძლიერი სტიმულის ამოქმედება, რომელიც კონფლიქტის გადაწყვეტის სასარგებლოდ კრიტიკულ მასას შექმნის (მაგალითად, დიდი ინვესტიცია ან სხვ.). რა თქმა უნდა, მოვლენები შეიძლება არასასურველი სცენარით წარიმართოს და გეგმაც ჩაიშალოს, მაგრამ ყველა შემთხვევაში ქვეყნისაგან მოითხოვება პასუხისმგებელი და თანმიმდევრული პოლიტიკა.

დასკვნები:

არც ერთ შემთხვევაში აფხაზეთის პრობლემა არ გადაწყდება უახლოეს წლებში: ეს ხანგრძლივი დროის პერსპექტივაა და, საერთოდ, განხორციელების შანსი აქვს მხოლოდ საქართველოს მხრიდან თანმიმდევრული, სტრატეგიულად გათვლილი და დაბალანსებული პოლიტიკური კურსის გატარების შემთხვევაში. ხელსაყრელ პოლიტიკურ პირობებში ცხინვალის რეგიონის პრობლემას მოგვარების უფრო მეტი შანსი აქვს ახლო მომავალში. მაგრამ თუ კიდევ დრო დავკარგეთ, პრობლემას საერთოდ არ ექნება გადაწყვეტის შანსი. იმისათვის, რომ ახლო მომავალში პროგრესს მივაღწიოთ, ხოლო ცოტა უფრო დაცილებულ პერიოდში პრობლემა სამართლიანად მოგვარდეს, დღესვე უნდა დაიწყოს ის პროცესები, რაზედაც მოხსენების ბოლოს გვქონდა საუბარი. გმადლობთ ყურადღებისათვის.



ოქრუაშვილმა კოკოითის ბუდეს გადაუფრინა

რომ არ მივიღოთ დიდ სახელმწიფოებზე დამოკიდებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები

„ახალი 7 დღე“, 2006 წ. 8-14 სექტემბერი, #35 (415) გვ. 6, ჟურნალისტი მადლენ მაჭარაშვილი, ფოტოთი

სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ნოემბერში რეფერენდუმის, დეკემბერში კი საპრეზიდენტო არჩევნების გამართვას აპირებენ. საპრეზიდენტო არჩევნებში კოკოითის შემცვლელს აირჩევენ, რეფერენდუმით კი იქაური ამომრჩევლის ხმების მიხედვით „გაარკვევენ,“ უნდა გახდეს თუ არა სამხრეთ ოსეთი რუსეთის ფედერაციული სახელმწიფოს ასოცირებული წევრი. აღნიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებსა და რეფერენდუმზე და, ზოგადად, კონფლიქტის ზონაში მიმდინარე პროცესებზე „ახალი 7 დღე“ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, გიორგი ხუციშვილს ესაუბრა.

– **ბატონო გიორგი, რამდენად მნიშვნელოვანია ქართული მხარისთვის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საპრეზიდენტო არ-**

ჩევნები და ის, თუ ვინ მოვა იქაური დე ფაქტო ხელისუფლების სათავეში?

– აფხაზეთის მაგალითმა ნათლად აჩვენა, რომ დე ფაქტო ხელისუფლების სათავეში არ მოვა ისეთი ძალა, რომელიც მანამდე არსებული ძალისგან რადიკალური პოზიციებით იქნება გამორჩეული. ცხინვალის რეგიონშიც, აფხაზეთის მსგავსად, სიტუაცია რუსეთის მიერ მთლიანად კონტროლდება. ამიტომ, რა თქმა უნდა, აქაც არაფერი შეიცვლება არჩევნებით. თუმცა ერთი რამ მაინც მნიშვნელოვანია, ქართული მხარისთვის ხელსაყრელი იქნება, დე ფაქტო ხელისუფლების მმართველი გახდეს ადამიანი, რომელთანაც დიალოგი შესაძლებელია. კოკოითთან დიალოგი შეუძლებელია იმის გამო, რომ ეს ადამიანი არ არის განვითარებული იმ დონეზე, რომ რაღაც რთულ საკითხებზე ესაუბრო. უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნებას, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რუსეთის პოლიტიკისგან განსხვავებულ ხაზს იქ არავინ გაატარებს. ყველას კარგად ახსოვს აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული მოლოდინები. ქართული მხრიდან ბევრი ამბობდა, რომ ხელისუფლებაში მოვა ბაღაფში, რომელიც არის დამოუკიდებელი და უფრო დემოკრატი, ვიდრე ხაჯინბა.

– თუმცა აფხაზეთის არჩევნებმა აჩვენა ისიც, რომ რუსეთის მხარდაჭერა არ აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ პრეზიდენტი ხაჯიმბა გამხდარიყო...

– ეს ნიშანდობლივი იყო იმ თვალსაზრისით, რომ აფხაზეთის საზოგადოება გაიზარდა. მას უფრო გააზრებული გადაწყვეტილების უნარი აღმოაჩნდა. რაც, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ აფხაზებთან დამოკიდებულებაში ქართულ მხარესაც სხვანაირი მიდგომა უნდა ჰქონდეს, უფრო სერიოზულ დონეზე უნდა მოვამზადოთ ურთიერთობები.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ აფხაზეთისგან განსხვავებული სიტუაციაა. იქ ხელოვნურად არის შენარჩუნებული უცხო ანკლავი. ეს არის გაუცხოებული ტერიტორია, რომელიც თავის დროზე ქართველების მიმართ ყველაზე ლოიალურად და მეგობრულად განწყობილი ხალხი იყო დასახლებული. შემდეგ

ხელოვნურად მოხდა მათი გაუცხოება და ანკლავიც ხელოვნურად შენარჩუნდა დღემდე.

– რაც შეეხება რეფერენდუმს, რომელიც ნოემბერში იგეგმება: რა არის მისი ძირითადი მოთხოვნა, რა უნდა გადაწყვიტოს ამ რეფერენდუმმა და რამდენად შესაძლებელია მისი შედეგების ლეგიტიმურად ცნობა?

– ყველა რეფერენდუმი, რომელიც კონფლიქტის ზონაში ტარდება, უკანონოა, რადგან ამ რეფერენდუმში, ფაქტობრივად, მონაწილეობს ადამიანთა მცირე ჯგუფი, ისინი, ვინც იქ დარჩნენ კონფლიქტის შემდეგ – ეთნიკური ნიშნით მოსახლეობის განდევნის შედეგად. ამდენად, ამ რეფერენდუმის ლეგიტიმურობაზე საუბარი, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ რეფერენდუმის გამართვის მიზანი სხვა რამეა. უნდათ, შექმნან შთაბეჭდილება, რომ საქართველო იქ შეჭრას და იურისდიქციის ძალისმიერი მეთოდებით აღდგენას აპირებს; და რომ ამის გამო სჭირდებათ დაცვა რუსეთის მხრიდან, რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის გაძლიერება და ამ ფონზე – რუსეთის სათათბირო დუმის წინაშე საკითხის დასმა, რომ რუსეთის ფედერაციაში სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა ასოცირებულ წევრად მიიღონ.

სხვათა შორის, „ასოცირებული წევრობა“ სამართლებრივად ძალიან საეჭვო სტატუსია. ასეთი სტატუსი დღეს, პრაქტიკულად, არ არსებობს. სახელმწიფოს შემადგენლობაში ან უნდა იყო ან – არა. ასოცირებული წევრობა კოლონიურ სისტემას ჰგავს, იმ პერიოდს, როცა არსებობდნენ პროტექტორატები, ვასალები და ა.შ. თანამედროვე სამყაროში, ვიმეორებ, ასეთი რამ არ არსებობს. არსებობენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები და სახელმწიფოები, რომლებიც შედგებიან სხვადასხვა სახელმწიფო წარმონაქმნებისაგან, რომლებიც, თავის მხრივ, დამოუკიდებლები არ არიან და ამ დიდი სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ.

ეს ყველაფერი იმისთვის ხდება, რომ რეგიონში პოსტკონფლიქტური მდგომარეობა დროში უსასრულოდ იქნას გაწელილი. ამ რეფერენდუმის ორგანიზატორების ერთადერთი მიზანი არის ის, რომ საქართველო დაიშალოს და დაშლილი

საქართველოს ნაწილები ვინმემ შეიკედლოს ან გახდნენ დიდ სახელმწიფოებზე დამოკიდებული დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ეს, რა თქმა უნდა, არარეალურია და არასდროს მოხდება. ამიტომ მთავარ მიზნად რჩება ის, რომ რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნდეს კონფლიქტები, ეს ზონები იყვნენ საქართველოსთან გაუცხოებულ, განცალკევებულ მდგომარეობაში და გამოიყენებოდნენ ჩვენს დასასუსტებლად, ჩვენზე ზეგავლენის ბერკეტად.

თავისთავად, არც რეფერენდუმია ლეგიტიმური და არც ის სტატუსი, რომელსაც კოკოითი ან ბაღაფში რუსეთის შემადგენლობაში მოითხოვენ. ბოლო დროს ხშირად კოსოვოს მაგალითს იშველიებენ, მაგრამ იქ აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა.

– **საპრეზიდენტო არჩევნების და რეფერენდუმის დროს როგორი უნდა იყოს ქართული მხარის პოზიცია და სტრატეგია, რომ იქ მიმდინარე პროცესებზე ზეგავლენა შესაძლებელი გახდეს ოსური მოსახლეობის გაღიზიანების გარეშე?**

– ვემხრობი იმას, რომ საერთოდ არ იყოს საუბარი ძალოვანი სტრუქტურების ამოქმედებაზე და კონფლიქტის ზონაში ძალისმიერი ოპერაციების განხორციელებაზე. მსგავსი რამ ცალსახად უარყოფითად იქნება აღქმული ყველა საერთაშორისო სტრუქტურისა და მეგობარი სახელმწიფოების მხრიდან. საუბარი უნდა იყოს მშვიდობაზე, კონფლიქტის მოგვარებაზე, რაც გულისხმობს ნაბიჯ-ნაბიჯ ჩვენი იურისდიქციის აღდგენას.

აქამდე საერთაშორისო ორგანიზაციები ნომინალურად გვიჭერდნენ მხარს – საქართველოს მთლიანობას აღიარებდნენ, მაგრამ მის გასამყარებლად კონკრეტულ ნაბიჯებს არ დგამდნენ. სიტუაცია მთლიანად მინდობილი და გადაბარებული იყო რუსეთისათვის. რუსეთი იყო მბრძანებელი.

კარგია, რომ დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ კონფლიქტის ზონაში მოღვაწე ნებისმიერი საერთაშორისო ან უცხოური ორგანიზაცია, ეს იქნება პოლიტიკური, კომერციული, შპს თუ არასამთავრობო, ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დარეგისტრირებული თბილისში.

შემდეგ უნდა გაკეთდეს ის, რომ კონფლიქტის ზონაში მიმოქცევაში რუსული რუბლის ნაცვლად ეროვნული ვალუტა დამკვიდრდეს. ამ მიმართულებით ზეგავლენა საერთაშორისო ორგანიზაციებს აქამდეც შეეძლოთ, მაგრამ სურვილს არ ავლენდნენ და რუსეთი კი სულ უფრო მკვიდრდებოდა იქ რუბლის საშუალებით. სხვათა შორის, ჩვენს ორგანიზაციას ამ საკითხზე კონკრეტული პროექტიც ჰქონდა მომზადებული, რომელიც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტშიც მოისმინეს, მაგრამ იგი დაინტერესებული პირების მიერ შემდგომ ინსტანციებში დაიბლოკა.

საერთაშორისო ორგანიზაციებს თუ ნამდვილად უნდათ ჩვენთვის დახმარება, თავისთავზე უნდა აიღონ საზღვრების კონტროლი, მაგალითად, ფსოუზე, სადაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარია. უნდა გაკონტროლდეს როკის გვირაბიც. თუ ჩვენებს არ შეუშვებენ იქ, მათ გააკონტროლონ საქართველოს სახელით ეს ტერიტორიები.

– **როგორ ფიქრობთ, თუ ამგვარად შესაძლებელია საქართველოს საზღვრების გაკონტროლება, დღემდე რატომ არ დაისვა ეს საკითხი?**

– ამაზე მხოლოდ საუბრობდნენ, კონკრეტული ქმედებები კი არასდროს განხორციელებულა. ვფიქრობ, კონფლიქტის ზონაში სიტუაციის შეცვლა და ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შეიცვლება 1995 წელს დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მოლაპარაკების ფორმატი, რომლის მიხედვითაც ოთხმხრივ შერეულ საკონტროლო კომისიაში ერთის (საქართველოს) წინააღმდეგ ყოველთვის არის სამი (რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, სამხრეთ ოსეთის) ხმა. ფორმატის შეცვლა საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციაზეც იქნება დამოკიდებული. მათ რუსეთის მიმართ დამოკიდებულება მკაცრი პრინციპული პოზიციით უნდა შეცვალონ.

– **საერთაშორისო ორგანიზაციების ორმაგ სტანდარტებზე საუბრობთ... როგორც ცნობილია, ცხინვალის რეგიონში კონტროლს, ძირითადად, ეუთო ახორციელებს, ამ ორგანიზაციას აქვს ასეთი პოლიტიკა რუსეთთან?**

– ეუთო-ს მისია იქ გარკვეული ხნის განმავლობაში საკმაოდ კონსტრუქციულად მუშაობდა. საზღვრის მონიტორინგიც ეფექტურად ხორციელდებოდა, საჰაერო გადაადგილებებზეც იყო კონტროლი. მაგრამ შემდეგ რუსეთმა მიაღწია ამ მონიტორინგის მოხსნას. ეუთო-ს შტაბ-ბინაში რუსეთის გავლენა საკმაოდ დიდია და, რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი მოქმედებს. რუსეთს ასეთივე გავლენა აქვს სხვა უდიდეს საერთაშორისო ორგანიზაციებშიც, მაგალითად, გაერო-ს გენერალურ ასამბლეაში და ყველგან, ნატო-ს გარდა. იმ ორგანიზაციებში რუსეთი ეფექტურად იყენებს ვეტოს უფლებას. ასეთ პირობებში საქართველოს ხელისუფლებამ არ უნდა ისაუბროს იმაზე, რომ გვაქვს უპრეცედენტო მხარდაჭერა აშშ-სგან, რომ ამ პარტნიორის გამო ჩვენ კარგი მომავალი გვაქვს და ყველა საქმე გაკეთდება, არამედ უნდა აღიაროს, რომ ასეთი ვითარებაა და ადეკვატური სტრატეგიის შემუშავება გვჭირდება.

თუ ასეთი ძლიერი, მსოფლიოში ყოვლისშემძლე პატრონი გვყავს, რატომ ვერ ახდენს გავლენას რუსეთზე? რატომ არ მიდის პროცესი წინ? თუ ეს მხარდაჭერა მხოლოდ სიტყვიერია და ყველაფრის შეთანხმება მაინც რუსეთთან ხდება, გამოდის, რომ ვერაფერს მივაღწევთ, თუ ვაშინგტონი რუსეთთან არ შეთანხმდა. ასეთ პირობებში კი იმაზე საუბარი, რომ, რა მნიშვნელობა აქვს რუსეთს, როცა მხარს ამერიკა გვიჭერს, არის ბლეფი.

– მედიაში მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვერტმფრენის დაბომბვის საკითხს, რომელიც ოსური მხარის მიერ განხორციელდა... გაჩნდა ეჭვები, რომ ქართული მხარე იქ ამ საფუძველზე სამხედრო კონტიგენტის გაძლიერებაზე ფიქრობს. მით უმეტეს, ახლოვდება 2007 წლის 1 იანვარი, რომელიც, ამ უწყების ხელმძღვანელის თქმით, ცხინვალში უნდა ვიზეიმოთ.

– თავდაცვის მინისტრის ვერტმფრენის ჩამოგდების მცდელობა, თავისთავად, დასაგმობი ფაქტია. მაგრამ საყურადღებოა, რომ ეს არის საქართველოს ტერიტორია და მაშინ საქართველოს ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს იქ გადაადგილების უფლება. ოსური მხარე კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ

ჩამოაგდებს ნებისმიერ თვითმფრინავს, რომელიც მათი ტერიტორიის თავზე გადაიფრენს. დე ფაქტო ხელისუფლება და რუსეთის წარმომადგენლები არგუმენტად იმას იშველიებენ, რომ არსებობს საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც, კონფლიქტის ზონა არ არის ჩვეულებრივი ტერიტორია. მძიმე ტექნიკის შეყვანა და სამხედრო პირების გადაადგილება ოთხმხრივი კომისიის თანხმობის გარეშე არ შეიძლება. ჩვენ თუ ამას უგულებელვყოფთ, მაშინ უნდა ვთქვათ და თავიდან უნდა დაიდოს სხვა შინაარსის ხელშეკრულებები.

რაც შეეხება 2007 წლის 1 იანვარს ცხინვალში შესვლას: ჩემი ვარაუდით, ამ თარიღისთვის კონფლიქტის ზონაში მდგომარეობა რადიკალურად შეცვლილი არ იქნება. ცხინვალში შესვლა არის ამოცანა, რომლის გადაჭრა ხანგრძლივ დროს მოითხოვს.



„პოლიტიკური თამაში გაცვეთილი პარალელებით“

„ახალი 7 დღე“, 2006 წ. 22-28 სექტემბერი, #37 (417), გვ. 9, ჟურნალისტი ნონა სუვარიანი, ფოტოთი

რა აქვთ საერთო და რითი განსხვავდებიან სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, დნესტრისპირეთის, კოსოვოსა და ჩერნოგორიის კონფლიქტები? რამდენად საფუძვლიანია მათი ერთმანეთთან შედარება და ერთი სტანდარტით მოქმედება? რატომ იყენებენ ასე ხშირად კოსოვოსა და ჩერნოგორიის ფაქტორს რუსეთისა და თვითგამოცხადებული რესპუბლიკის წარმომადგენლები? ამის გარკვევაში დაგვეხმარება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილი. მისი აზრით, საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესში ყველა უმცირესობა შიშობდა იმის გამო, რა ელოდა ახალ ვითარებაში, ახალ რეალობაში. ამიტომ ის უმცირესობები, რომლებსაც ჰქონდათ ავტონომიები საბჭოთა პერიოდში, ამ ავტონომიის სტატუსს იყენებდნენ, რათა გაეძლიერებინათ თავიანთი სტატუსი და ამით უფრო დაცული ყოფილიყვნენ. ეს თავისთავად არ ნიშნავდა გამოყოფას და სეპარაციას, არამედ იმას, რომ მათ სჭირდებოდათ უსაფრთხოების გარანტიები,

თვითმყოფადობის შენარჩუნების და განვითარების გარანტიები. ეს ხელს აძლევდა რუსეთს, რადგან ის არ ურიგდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლას და ყველგან დატოვა ეს ნაღმები, რათა ხელი შეეშალა ახლად გათავისუფლებული ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის.

ჩერნოგორია

კომუნისტური სისტემის ნგრევის შედეგად დაიშალა სამი ფედერაციული სახელმწიფო – სსრკ, იუგოსლავია და ჩეხოსლოვაკია. რა პრინციპით უნდა ეღიარებინათ ან არ ეღიარებინათ ახლადშექმნილი ქვეყნები? საბოლოოდ გადაწყვიტეს, ეღიარებინათ ის ტერიტორიები, რომლებსაც დაშლილი ქვეყნების ფარგლებში ჰქონდათ სუვერენიტეტი, ანუ საბჭოთა კავშირის შემთხვევაში – 15 რესპუბლიკა. ავტონომიური წარმონაქმნები, რომლებიც შედიოდნენ ამ რესპუბლიკების ფარგლებში, დამოუკიდებლები ვერ გახდებოდნენ.

ამგვარად, საბჭოთა კავშირის ნაცვლად შეიქმნა 15 რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკიის ნაცვლად – ორი. იუგოსლავიის შემთხვევაში კი ჩერნოგორიამ არ ისურვა სერბეთისგან გამოყოფა და ნაცვლად ექვსი სახელმწიფოსი, შეიქმნა მხოლოდ ხუთი – სლოვენია, ხორვატია, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია, სერბეთი და ჩერნოგორია. თუმცა კონსტიტუციაში ისიც იყო ჩადებული, რომ ჩერნოგორიას, სურვილის შემთხვევაში, რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ გამოყოფა შეეძლო, ანუ ეს წინასწარვე იყო გათვალისწინებული.

იმ ადამიანისთვის, რომელიც არ არის დაინტერესებული კონფლიქტების გადაჭრით თვითგამოცხადებული რესპუბლიკების – სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და დნესტრისპირეთის – სასარგებლოდ, ჩერნოგორიის „ამბავი“ გასაგებია. თუმცა სრულიად „გაურკვეველია“ ამ ე.წ. „რესპუბლიკების“ და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებისთვის: რატომ შეიძლება ჩერნოგორიისთვის და რატომ არა – ჩვენთვის?

დნესტრისპირეთი

დნესტრისპირეთის სცენარი პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე სხვა კონფლიქტების მსგავსად განვითარდა და იქ ისევე,

როგორც აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“, სისხლისმღვრელ დაპირისპირებამდე მივიდა საქმე. დნესტრისპირეთი მოლდოვასა და უკრაინას შორის მდებარეობს. დნესტრისპირეთს მოლდოვასგან მდინარე დნესტრის სახით ბუნებრივი საზღვარი ჰყოფს. მდინარის ფაქტორი მოლდოვასთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მდინარე დნესტრი მოლდოვას მხარეს რომ ყოფილიყო, ეს გარემოება გაუადვილებდა მოლდოვას დნესტრისპირეთთან ინტეგრაციის პროცესს. დღეს დნესტრისპირეთი რუსეთთან შეერთებას ითხოვს.

აფხაზეთი

აფხაზეთის კონფლიქტში ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს სერიოზულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის უშიშროება ატარებდა. 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აფხაზეთი მოითხოვდა რუსეთთან შეერთებას. თბილისი-სოხუმის ეს დაპირისპირება სისხლისმღვრელ ომამდე მივიდა. აფხაზეთში მოლდოვას ანალოგიური ვითარებაა შექმნილი იმ მხრივ, რომ, როგორც მდინარე დნესტრი მოლდოვაში, ისევე მდინარე ენგური აფხაზეთში კონფლიქტის გაყინვას, კომუნიკაციის გაწყვეტას უწყობს ხელს. მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები შეადგენდნენ.

სამხრეთ ოსეთი

განსხვავებული ვითარებაა ცხინვალის რეგიონში. იქ გადახლართულია ქართული და ოსური სოფლები, არ შეწყვეტილა კომუნიკაცია, ქართული ენა დაკარგული არ არის და ეთნიკური ოსები არ თაკილობენ ქართულად საუბარს. აფხაზეთში კიდევაც რომ მოიძებნოს ქართულად მოლაპარაკე ადამიანი, ის არაეროვნულ ნაბიჯად მიიჩნევს ქართულად საუბარს ან იმის აღიარებას, რომ იცის ქართული.

პარალელების გავლება შეიძლება მოლდოვაში ადრე შექმნილ გაგაუზიის კონფლიქტსა და ცხინვალის კონფლიქტებს შორის. გაგაუზების დასახლებები გაფანტულია მოლდოვაში, როგორც ოსებისა – საქართველოში. ოღონდ გაგაუზების კონფლიქტი მოგვარდა იმიტომ, რომ 1994 წლის სექტემბერში მოლდოვას ხელისუფლებამ მიიღო სპეციალური აქტი გაგაუ-

ზიის სპეციალური სტატუსის შესახებ, რომელიც ავტონომიას ნიშნავდა. აქედან მე ვაკეთებ დასკვნას: ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის დღემდე არსებობა წლების განმავლობაში ქვეყნის ხელისუფლების უნიათობის ბრალია.

კოსოვო

კოსოვო ისტორიულად არის სერბეთის ტერიტორია. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. სერბეთისთვის კოსოვო ისეთივე წმინდა მიწაა, როგორიც საქართველოსთვის – მცხეთა. ერთიანი იუგოსლავიის არსებობის პერიოდში კოსოვომ სერბეთის შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის სტატუსი მიიღო. ალბანელები, რომლებიც მოსახლეობის 90%-ს შეადგენდნენ, სუვერენიტეტს ითხოვდნენ. დაპირისპირება სამოქალაქო ომამდე მივიდა. შემდეგ კონფლიქტში დასავლეთიც ჩაერია და ბელგრადი ეთნიკურ წმენდაში დაადანაშაულა. სერბებმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს, როდესაც სცადეს კოსოვოში ძალისმიერი მეთოდით კონფლიქტის მოგვარება და მოხდა გენოციდი, რომელიც მთელმა მსოფლიომ ვერ აპატია მას, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მზად არის საერთაშორისო თანამეგობრობა, კოსოვოს დამოუკიდებლობა მიანიჭოს, ვფიქრობ, რომ ეს იქნება ძალიან დიდი შეცდომა, ვინაიდან კოსოვოს გაუჩნდება დიდი გეოპოლიტიკური პრეტენზია, შეუერთდეს ალბანეთს და შექმნას დიდი ალბანეთი. თუმცა ამას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ ექნება იმისთვის, რომ რუსეთმა გავლენა მოახდინოს საერთაშორისო საზოგადოებაზე აფხაზეთთან ან ცხინვალთან დაკავშირებით.



გამოყენებული პოლიტ- და ფიარ-ტექნოლოგიები

(„თეთრი“, „შავი“ და „ვარდისფერი“ ფიარი)

გიორგი ხუციშვილი, 2006 წ. 30 სექტემბერი[1]

ქვეყანას აქვს დიდი მიზანი, მაგალითად, აფხაზეთის დაბრუნება. რევოლუციური ხელისუფლება საჯაროდ აცხადებს, რომ ამ მიზანს აუცილებლად მიაღწევს და ძალიან მოკლე დროში. რაც უფრო კრიზისულად ვითარდება და რთულდება მდგომარეობა კონფლიქტის ზონებთან და რუსეთთან მიმართებაში, მით უფრო თავდაჯერებული არიან ხელისუფლების ლიდერები: აი, ცოტაც მოითმინეთ, ჩვენ ვიცით, რას ვაკეთებთ, მაინც იქ (სოხუმში, ცხინვალში) ვიქნებით. აფხაზეთი რომ ველარ დაგვიბრუნდება, როდესაც თითქმის საყოველთაო შეგრძნება ხდება და ხალხი ფიქრობს, რა სასწაული უნდა მოხდესო, რომ ვითარება ჩვენ სასარგებლოდ შეიცვალოს, ლიდერები ისევ გვარწმუნებენ, რომ ყველაფერი მიხედილია, მაინც გავიმარჯვებთო. ამავე დროს, სახელისუფლებო გუნდი ახერხებს იმას, რომ – განსაკუთრებით, წინასაარჩევნო ბრძო-

[1] არ არის გამოქვეყნებული. ნ.ც.

ლის პირობებში – მაღალი რეიტინგი შეინარჩუნოს და კრიტიკოსების იგნორირება მოახდინოს. რითი მიიღწევა ასეთი პარადოქსული შედეგი? გარკვეული ტექნიკის გამოყენებით.

დიდ პროგრამასთან ერთგვარად დაკავშირებული პატარა წინსვლა ამოიღება დროებითი პროგრამული კონტექსტიდან, მასზე ფოკუსირება ხდება, როგორც დამოუკიდებელ მოვლენაზე, პროპორციულად ამის შედეგად ის უზომოდ იზრდება, ამის შემდეგ მასზე მითითება ხდება ისევ კონტექსტში ჩასმული სახით, უკვე მოხდენილი ეფექტის ფონზე და კეთდება დასკვნა: აი, უკვე სერიოზული ნაბიჯი გადავდგით, ე.ი. დიდი მიზნისკენ რეალურად მივიწევთ.

„ჩვენი მატარებელი სოხუმში მიდის“. ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, ვინაიდან წინაპირობები აშკარად არაა ასეთი განცხადების სასარგებლოდ. კონფლიქტის ზონებში ჩამოყალიბებული, ერთი შეხედვით არამდგრადი წონასწორობა სერიოზულ წინააღმდეგობას უწევს მისი შეცვლის ნებისმიერი მცდელობისთანავე – ეს „გაყინული“ კონფლიქტის ინდიკატორია. ამ ვითარებაში იდგმება ნაბიჯები, რომელიც კიდევ უფრო ართულებს კონფლიქტის ზონაში შექმნილ ვითარებას და მოლაპარაკების პროცესი ჩიხში შეჰყავს. რაღაც თამაშს ჰგავს, როდესაც სიტუაციას გამოუვალს ხდი და ამავე დროს ამბობ, აი, მე ისეთი მაგარი ვარ, რომ შეუძლებელს გავაკეთებო. ხალხს ისღა დარჩენია, რომ წარმოიდგინოს ვაშინგტონში არსებული რაღაც საიდუმლო გეგმა, რომელშიც გაწერილია, თუ როგორ უნდა იყოს გაძევებული საქართველოდან რუსი „სამშვიდობოები“, როგორ უნდა იყოს გადალახული რუსეთის და სეპარატისტთა წინააღმდეგობა და როგორი თანმიმდევრობით უნდა აღდგეს კონფლიქტის ზონებში საქართველოს იურისდიქცია. ფიცი მწამს, მაგრამ რა ვუყო იმ უტყუარ ჭეშმარიტებას, რომ კონფლიქტები სასწაულებრივად არ გვარდება? აქ მახსენდება სააკაშვილის შაშიაშვილის მიმართ ქუთაისში ნათქვამი სიტყვები 2003 წლის შუა ნოემბერში: „არა უშავს, ამათი პატრონი შევარდნაძე რომ აღარ იქნება, ესენი შარშანდელი თოვლივით გაქრებიანო“. ასეთივე ვარაუდი გვაქვს სეპარატიზმთან მიმართებაში? თუ ვინმეს ჰგონია, რომ ოფიციალური რუსეთის

როლის შესუსტების ან გაუქმების შემთხვევაში აფხაზებთან უფრო ადვილი იქნება მოლაპარაკება, ის აფხაზეთში არსებულ ვითარებას საერთოდ არ იცნობს. მაშინ ის მაინც უნდა იყოს მიღწეული, რომ დღეს საერთოდ ღია საქართველო-რუსეთის საზღვარი გარანტირებულად იყოს დალუქული. მაგრამ ზუსტად ამ მიმართებით დღემდე არანაირი პროგრესი მიღწეული არ არის (და, საერთოდაც, ძნელი წარმოსადგენია ამისი მიღწევა მთელი საზღვრის პერიმეტრზე რთული ლანდშაფტური და მეტეოროლოგიური პირობების გამო). ყველაფერი ეს მწარედ გვაფიქრებინებს, რომ მიზანი პრობლემის გადაწყვეტა კი არა, არამედ გადაწყვეტის მიმართულებით მოძრაობის ილუზიაა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდებში უნდა გაძლიერდეს.

შეიძლება უფრო მარტივად იყოს საქმე, ანუ ხელისუფლებას გათვლილი აქვს, რომ სამშვიდობო პროცესის კონსტრუქციულად განვითარების შემთხვევაში კონფლიქტის მოგვარება მისი მმართველობის პერიოდში ვერ მოესწრება. საფუძველი ჩაყრილი იქნება, მაგრამ გამარჯვებულის გვირგვინი სხვას, პოლიტიკოსთა მომდევნო პლეადას ერგება.



რუსეთთან ისე ფრთხილად უნდა ვიყოთ, როგორც სტიქიურ მოვლენასთან

თქვენ ხალხი არ ხართ და ცხოველებივით გექცევითო

„კვირის პალიტრა“, 2006 წ. 9-15 ოქტომბერი, #46 (606), გვ. 11, ჟურნალისტი იზო რიკაძე, ფოტოთი

ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების „დიდი ანგარიშით“ გამარჯვებამ მკაფიოდ წარმოაჩინა ოპოზიციის სისუსტე და დაბნეულობა. როგორც ჩანს, რევოლუციის შემდგომ დეპრესიას პოლიტიკურმა სპექტრმა ჯერაც ვერ დააღწია თავი. ხელისუფლება პირველობას არ თმობს, ოპოზიცია კი ისეა დათრგუნული და შიშშეპარული, რა გზას დაადგეს და რა ქნას, ვერ გაუგია. შეშინებული კაცის გამარჯვება ვის უნახავს?

საქართველოს ხელისუფლებას საშინაოს გარდა, საგარეო ფრონტზეც მძიმე ბრძოლა უწევს. რუსეთის ბოლოდროინდელი ბრაზით სავსე გადაწყვეტილებები და გახელება უკვე რუსეთში დაბადებულ და გაზრდილ ქართველებსაც მისწვდა. რატომ იღებს ჩვენი მეზობელი ისეთ არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მის საერთაშორისო ავტორიტეტს მნიშვნელოვან ჩრდილს აყენებს? – ამ კითხვით დავიწყეთ საუ-

ბარი კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის თავმჯდომარესთან, პროფესორ გიორგი ხუციშვილთან:

– რუსეთი ძალზე სპეციფიკური ქვეყანაა. მასთან ისე ფრთხილად უნდა ვიყოთ, როგორც სტიქიურ მოვლენასთან, რომელსაც უნდა ერიდო, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება გაგიჟდეს და მერე ვერსად წაუხვალ.

რუსეთიდან საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაკადი მოდის; მათ იქ სამუშაო ჰქონდათ, აქ კი არაფერი ელით. ამის გამო სოციალური პრობლემები შეგვექმნება. მართალია, ეკონომიკური განვითარების მინისტრმა განაცხადა, დასაქმების ცენტრში მოვიდნენ და სამსახურებს ვუშოვითო, მაგრამ ნამდვილად ასე იქნება?

ძალზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ქართველებს დეპორტაცია სატვირთო თვითმფრინავით გაუკეთეს; როგორც ტრაილერებზე დებენ ტვირთს, ისე გამოაგზავნეს. ხალხი თვითმფრინავში ფეხზე იდგა და ხელსაც ვერაფერს ჰკიდებდა. საქართველოს მოქალაქეებს დამამცირებელი პირობები განგებ შეუქმნეს. თქვენ ხალხი არ ხართ და ცხოველებივით გექცევითო – ეს აგრძნობინეს.

რუსეთი ჩვენ გვაბრალებს, სახელმწიფო ტერორიზმის ქვეყანა ხართო. ტერორიზმი უდანაშაულო ადამიანებზე სოციალური ეფექტის მოხდენის მიზნით ჩატარებული არაკანონიერი ძალადობრივი აქტია, რომელიც მიზნად ისახავს, პოლიტიკური ცვლილება შეიტანოს ქვეყანაში. ასეთ დროს სამიზნედ შემთხვევით ადამიანებს იყენებენ და არა წინასწარ შერჩეულებს. სწორედ ასე ექცევა რუსეთის ხელისუფლება საქართველოს მოქალაქეებს. ხალხი დამნაშავე არ არის ორ ქვეყანას შორის გამწვავებულ ურთიერთობაში. აქედან ჩანს, რომ რუსეთი თავად არის სახელმწიფო ტერორიზმის ქვეყანა. ეს საერთაშორისო ორგანიზაციებს უნდა გავაგებინოთ, თუმცა მსოფლიო თავში ხელის ცემას არ დაიწყებს, რას უშვებიან ქართველებსო. მათ ბევრად უფრო დიდი საქმე აქვთ ირანში, ერაყში, ლიბანში და სხვაგან. ამ ქვეყნების ფონზე რუსეთში მიმდინარე პროცესები მსოფლიო აღშფოთების საგანი ვერ გახდება. ამიტომ არ

ვემხრობი ასეთ სასტიკ მეზობელთან ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებას.

თუ იქნება იმისი შესაძლებლობა, ღირსეულად გამოვიდეთ ამ ვითარებიდან, ისე, რომ ჩვენი მოსახლეობა არ დაზარალდეს, მაშინ ღირს რადიკალური ნაბიჯების გადადგმა. თუ სიტუაცია ამას არ მოითხოვს, თავშეკავება გვმართებს.

ეტყობა, ხელისუფლებას საქმე იქითკენ მიჰყავს, საერთაშორისო საზოგადოებრიობამ ზეწოლა მოახდინოს რუსეთზე, რათა მან გაიყვანოს სამშვიდობო ძალები და კონფლიქტი დარეგულირდეს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებში კი მხოლოდ თავშეკავებისკენ მოწოდებაა, სხვა არაფერი. შესაძლოა, კულუარებში ჩვენთვის სასარგებლო რაღაც შეთანხმებები კი იდება, მაგრამ საჯაროდ არავინ იტყვის, რუსეთი ცუდია, საქართველო კი – კარგიო. მართალია, ბუშმა და პუტინმა ამასწინათ ილაპარაკეს საქართველოზე, მაგრამ ბუში პუტინის საწინააღმდეგო და საქართველოსთვის სასარგებლო ნაბიჯს არ გადადგამს. ის ვითარების დაბალანსებას შეეცდება. ამიტომაც, არა მგონია, კონფლიქტურ რეგიონებზე საერთაშორისო ორგანიზაციებმა რაიმე მკვეთრი გადაწყვეტილება მიიღონ. პირიქით, არ არის გამორიცხული, რუს სამშვიდობო ძალებს მანდატი გაუგრძელონ. როდესაც ჩვენი ხელისუფლება კატეგორიულობას იჩენს, აქვს ეს რისკები გათვლილი? წინასწარ იმისი თქმა, რაც უნდა მოხდეს, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო, მიამიტური, ბავშვური განცხადებაა. სალომე ზურაბიშვილმა ამასწინათ სწორად თქვა, ხელისუფლება ინფანტილურ გადაწყვეტილებებს იღებსო. მაშინ, როცა რუსი საზოგადოება გაბოროტებულია ქართველებზე, ხუმრობა და თითო მტევანი ყურძნის გაგზავნა რუსეთში უადგილოა. სახუმაროდ საქმე ნამდვილად არ გვაქვს.

ჩვენი ოპოზიცია იმდენად მხდალი აღმოჩნდა, რომ ვერც ერთმა ლიდერმა, სალომე ზურაბიშვილის გარდა, სიტუაციის ობიექტურად შეფასება ვერ გაბედა.

– **ოპოზიციის ინერტულობას რითი ახსნით?**

– ძალზე ადვილი გახდა რუსეთის აგენტის იარლიყის მიკერება პოლიტიკოსებისთვის. ერთადერთი პოლიტიკოსი, რო-

მელსაც არ ეშინია, სალომე ზურაბიშვილია. ამის გამოა, რომ ხელისუფლება ოპოზიციისგან ავტომატურ მხარდაჭერას პოულობს. რუსეთის დუმაში გამართულ კლოუნადას ხომ მაინც უნდა დავეფიქრებინეთ, ვისთან გვაქვს საქმე. უნდა გამოვნახოთ ისეთი გამოსავალი, რომელიც თავმოყვარე პატარა ქვეყანას შეეფერება; თავდაცვისუნარიანობას კი ვამტკიცებთ, მაგრამ არც მოდუნების და ბაქიბუქის დრო გვაქვს, აბა, ვინმემ რამე გაგვიბედოს, დავარტყამთო. რას დაარტყამ? ვის დაარტყამ? როგორ დაარტყამ?

– **ამ დაძაბულ ვითარებაში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. მიტროფანოვი წუხდა, წინასაარჩევნოდ უნებლიეთ ისეთი რეკლამა გავუკეთეთ საააკაშვილს, მისი პარტია მოიგებსო.**

– რუსებმა მართლაც გაუკეთეს რეკლამა „ნაციონალურ მოძრაობას“. ამ მოვლენების შემდეგ სახელისუფლებო პარტიის რეიტინგი ამაღლდა, მაგრამ მე გრძელვადიანი შედეგები მაწუხებს, ეს მხოლოდ მოკლევადიანი წარმატება და ქულების ჩაწერა იყო. შესაძლოა, დღეს ვითომ წარმატებულმა ნაბიჯმა საბოლოოდ მწარე წაგება მოგვიტანოს.

– **ოპოზიცია ამ არჩევნებზე ძალზე უსუსური ჩანდა...**

– ამ არჩევნებს გაყალბება არც სჭირდებოდა, „ნაცმოძრაობას“ იმდენი ქულა ჰქონდა, სხვანაირად ჩარევა არც იყო საჭირო. ეს არჩევნები მეტ-ნაკლებად ობიექტური იყო, მაგრამ არჩევნებზე მოსახლეობის დაახლოებით 1/3-ის მისვლა ჩემთვის იმისი მაჩვენებელია, რომ ხალხი შექმნილმა ვითარებამ ძალზე დააბნია და ამიტომაც გამოიჩინა პოლიტიკური აქტიურობა. ოპოზიციის წარუმატებლობის მიზეზი მისი დაქსაქსულობაა. თუმცა ამ არჩევნებზე რომც გაერთიანებულიყვნენ, სახელისუფლებო პარტიას მაინც ვერ აჯობებდნენ. შეკრიბეთ ყველა პარტიის მიერ აღებული პროცენტი – „ნაციონალების“ შედეგებისგან მათი ერთობლივი შედეგი ძალზე შორსაა. ყველაზე ეფექტიანი ბოიკოტის გამოცხადება იქნებოდა, ოღონდ ყველა ოპოზიციური პარტია ამ პოზიციაზე უნდა ყოფილიყო. ეს სახელისუფლებო გუნდს იზოლაციაში დატოვებდა.

– შესაძლოა, ამ წარმატების შემდეგ ხელისუფლება ზედმეტად თავდაჯერებული გახდეს და, სავარაუდოდ, ნაკლებდემოკრატიულიც.

– რა თქმა უნდა... მაგრამ ქვეყნისთვის ძალიან დიდი რისკია ერთპარტიული სისტემა, თუ ოპოზიცია არ გაძლიერდა, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები ერთპარტიულ პარლამენტს მოგვცემს. ეს კი ყველა მიმართულებით პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას. უპირველესი პრობლემა ის იქნება, რომ საკანონმდებლო ორგანოში აწონ-დაწონილ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებენ და ეს გზას გაუხსნის ავტორიტარიზმს, რის ნიშნებსაც (მაგალითად, განსხვავებული აზრის აუტანლობა) უკვე ვხედავთ.

ოპოზიცია უფრო გამბედავი უნდა გახდეს; არ უნდა შეეშინდეს კრიტიკული შენიშვნების გამოთქმისა. სამოქალაქო საზოგადოება ვალდებულია, პასუხი მოსთხოვოს არჩეულ ხელისუფლებას. საზოგადოების მენტალიტეტია შესაცვლელი. ჩვენთან რატომღაც ვერ გაუგიათ, რომ სახელმწიფო გადამხდელთა ფულით არსებობს. პრეზიდენტი ხშირად ჩუქნის რაღაცეებს ვიღაცას, რაც სინამდვილეში მისი კი არა, ჩვენი საჩუქარია.

ჩვენ გვინდა ისეთი ქვეყანა, სადაც ხელისუფლებაც ძლიერი იქნება და ოპოზიციაც. ამის მისაღწევად ბრძოლა საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ, უნდა ვეცადოთ, გავაქტიურდეთ და სიმართლის თქმის არ შეგვეშინდეს.



შინაზარდი სეპარატიზმი ნებადართულია

საქართველოს ხელისუფლებისა და კოკოითის ინიციატივები ერთმანეთს ემთხვევა

„ახალი 7 დღე“, 2006 წ. 27 ოქტომბერი – 2 ნოემბერი, #42 (422), გვ. 1, 3.
ჟურნალისტი თამარ ჯეჯელავა, ფოტოთი

12 ნოემბერს ცხინვალში ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ თვითაღიარებული ხელისუფლება სახალხო რეფერენდუმს ატარებს. იმავე დღეს დანიშნულია საპრეზიდენტო არჩევნებიც. ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებში ქართული მხარის ინიციატივით ჩატარდება ე.წ. „ალტერნატიული არჩევნები“, რომელშიც პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსით მონაწილეობას მიიღებს პროქართული ორიენტაციის მქონე ოსი ეროვნების ორი კანდიდატი – მაია ცაბოშვილი და ვლადიმერ სანაკოევი.

კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი ამბობს, რომ ტერიტორიაზე, საიდანაც ძირძველი მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოდევნილია, არც რეფერენდუმისა და არც არჩევნების ჩატარებას იურიდიული ძალა არ აქვს. ცხინვალის რეგიონში დარჩენილ მოსახლეობას, საერთაშორისო სამართლით აღიარებული ნორმების მიხედვით, არავითარი ლეგიტიმაცია არ

გააჩნია იმისთვის, რომ აირჩიოს ხელისუფლება და გამოხატოს საერთო სახალხო ნება. „რეფერენდუმისა და არჩევნების ჩატარება ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან უკიდურესად უარყოფით შეფასებას იმსახურებს, რადგან რეგიონის მკვიდრი მოსახლეობა ორ ნაწილად არის გაყოფილი. ერთი ნაწილი დარჩენილია რეგიონში, მეორე კი – განდევნილი“.

აფხაზეთსა და ცხინვალში აქამდე ჩატარებულ არც ერთ სხვა რეფერენდუმს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან აღიარება არ მოჰყოლია. „არც ერთ სახელმწიფოს, რუსეთისა და ზოგიერთი მისი მეგობარი ქვეყნის გარდა, არ უღიარებია და არც აღიარებს არალეგიტიმური რეფერენდუმისა და არჩევნების შედეგებს“. ამაზე საუბრობდნენ და ისაუბრებენ მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც ეს ე.წ. „რეფერენდუმები“, ძირითადად, ჩვენს სახელმწიფოსთან პოლიტიკური თამაშისთვის და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე მანიპულაციისათვის სჭირდებათ. ბ-ნ გიორგის მიაჩნია, რომ ასეთი ვითარება რუსეთის სასარგებლოდ დიდხანს ვერ იმუშავებს, რადგან როგორც კი რუსეთი დაარღვევს საერთაშორისო საზოგადოების შეთანხმებათა პრინციპს, რომ საქართველოს ტერიტორია არის ურღვევი და ოფიციალურად აღიარებს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას, იგი დაკარგავს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერას. თუმცა აღნიშნულ ტერიტორიებზე რუსეთს უკვე აქვს გარკვეული მოქმედების თავისუფლება, რადგან აფხაზეთისა და ცხინვალის მცხოვრებლებს ამჟამად რუსული პასპორტები აქვთ და რუსეთის მოქალაქეებად ითვლებიან. ამ შემთხვევაში რუსეთს ხელ-ფეხი ეხსნება, აფხაზეთისა და ცხინვალის ხელმძღვანელებთან სამხედრო პოლიტიკური კავშირი დაამყაროს იმ მოტივით, რომ დაიცვას თავისი მოქალაქეების ინტერესები და უსაფრთხოება. „აღნიშნული ტერიტორიების მოსახლეობას შეუძლია, თხოვნით მიმართოს რუსეთის სახელმწიფოს, იზრუნოს მის უსაფრთხოებასა და სიმშვიდეზე. ასეთ შემთხვევაში რუსეთს საშუალება ეძლევა, აღნიშნულ ტერიტო-

რიებზე ჯარები შეიყვანოს და, მოგეხსენებათ, უკვე შესული სამხედრო ნაწილების გამოყვანა რამდენად რთული იქნება.“

რუსეთი უკვე კარგა ხანია, ცდილობს, აფხაზეთსა და ცხინვალში ვითომცდა თავისი მოქალაქეების დაცვის მიზნით სამხედრო დანაყოფები განალაგოს, მაგრამ, როგორც ბ-ნი გიორგი ამბობს, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზი და ოსი მოქალაქეები მიიჩნევიან რუსეთის ორმაგ მოქალაქეებად და, აქედან გამომდინარე, რუსეთი არ არის უფლებამოსილი, მთლიანად აიღოს პასუხისმგებლობა ამ ადამიანებზე. „კონფლიქტის ზონებში ზოგადად ხდება რიგი შეთანხმებებისა და სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინება. რუსეთის ამგვარ ნაბიჯს უნდა მოჰყვეს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მკაცრი შეფასება. სამწუხაროდ, ასეთი შეფასება ჯერჯერობით არ კეთდება.“

და აი, ასეთ ვითარებაში ცხინვალში ტარდება არჩევნები, რომელშიც საქართველოს ოსური წარმოშობის მოქალაქეებიც აპირებენ მონაწილეობას. „არჩევნებში, რომელიც ყველანაირი თვალსაზრისით არალეგიტიმურია, ნებისმიერი მოქალაქის კანდიდატად წარდგენა და, თუ გნებავთ, არჩევაც, არათუ გაუმართლებლად მიმაჩნია, ვფიქრობ, სერიოზულიც კი არ არის ამაზე ფიქრი“.

საინტერესოა, ეთანხმება თუ არა საქართველოს ხელისუფლება რეგიონის არალეგიტიმური ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ არჩევნებში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობას; რამდენად უწყობენ ხელს ხელისუფლების წარმომადგენლები ასეთ პოლიტიკურ მოქმედებას? ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეს ნაბიჯი არ დაუგეგმავს. ბ-ნი გიორგი ფიქრობს, რომ ინიციატივა, სავარაუდოდ, საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებული უნდა იყოს, თუმცა დაზუსტებით ვერ ამბობს, ვისთან და სად მოხდა ასეთი შეთანხმება.

კონფლიქტის მოგვარება ასეთი გზებით ნამდვილად არ არის სწორი. მით უფრო, რომ მოსახლეობის ორივე მხარე, არასწორი პოლიტიკური ნაბიჯებით წყალობით, მუდმივი საფრთხისა და დაძაბულობის განცდით ცხოვრობს. „როცა ხალხს საფრთხის

ეშინია, რთულია სიტუაციის მართვა და ამიტომაც ჯერ ადამიანებში საფრთხის განცდა უნდა ჩავაცხროთ. გასაგებია, რომ არსებობს უარყოფითი დინამიკა, თუნდაც რუსეთთან ურთიერთობა, მაგრამ მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლისათვის აუცილებელია დამოკიდებულებების შეცვლა, ყოველგვარი ექსპერიმენტების გარეშე“.

პოლიტიკა უნდა წარიმართოს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების სამართლებრივ ჩარჩოებში გადაყვანის რეჟიმში, რაც, ბ-ნ გიორგის თქმით, სულაც არ გულისხმობს მხოლოდ ერთი მხრიდან დათმობას. „მოვლენათა მუდმივი ესკალაცია ისეთ შედეგამდე მიგვიყვანს, რომ საბოლოოდ დავკარგავთ აფხაზეთსაც და სამაჩაბლოსაც“.

გარდა ამისა, საჭიროა, ქვეყნის ხელისუფლებამ მსგავსი საკითხი გადაწყვიტოს არა დამოუკიდებლად და კონფიდენციალურად, არამედ პროფესიონალებისა და ექსპერტების ჯგუფებთან მუშაობის საფუძველზე. მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას სწორედ ასეთი თანამშრომლობის პრინციპით ხელმძღვანელობენ.

მაია ბუთბაია

სეპარატისტები გაეროს ტრიბუნას ითხოვენ

თბილისი გაეროს გენასამბლეის გადაწყვეტილებას ელოდება



სეპარატისტები გაერო-ს ტრიბუნას ითხოვენ

თბილისი გაერო-ს გენასამბლეის გადაწყვეტილებას ელოდება

„ახალი ვერსია“, 2006 წ. 4-5 დეკემბერი, #117 (519), გვ. 4, ჟურნალისტი მაია ბუთბაია, ფოტოთი

6 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა იწყებს დისკუსიას საქართველოსა და მოლდოვას ტერიტორიებზე არსებული კონფლიქტის თაობაზე. გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხების გაერო-ს უშიშროების საბჭოსთან ერთად ამ ორგანიზაციის გენასამბლეაზე გატანის შესახებ სუამ-ის ქვეყნების ინიციატივით ამ წლის სექტემბერში იქნა მიღებული. საქართველოს მიერ ახალი ტრიბუნის მოპოვება, სადაც, უშიშროების საბჭოსგან განსხვავებით, რუსეთს ვეტოს უფლება არ აქვს, გაერო-ში საქართველოს ელჩმა ირაკლი ალასანიამ ქართული დიპლომატიის „უპრეცედენტო გამარჯვებად“ შეაფასა.

როგორც მოსალოდნელი იყო, გაერო-ს გენასამბლეის 61-ე სესიის დღის წესრიგში სუამ-ის წევრი სახელმწიფოების ტე-

რიტორიებზე არსებული კონფლიქტების საკითხის შეტანამ სეპარატისტული ხელისუფლებების უკმაყოფილება გამოიწვია. კერძოდ, გენასამბლეაზე „გაყინული კონფლიქტების“ ცალმხრივი განხილვა სოხუმმა იქიდან გამომდინარე გააპროტესტა, რომ გაერო-ს მიერ აფხაზეთი კონფლიქტის მხარედაა აღიარებული.

რუსეთის წარმომადგენლებმა ორგანიზაციაში გაავრცელეს თვითგამოცხადებული სეპარატისტული რესპუბლიკების – აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის დე ფაქტო მთავრობის მემორანდუმი, სადაც აღნიშნულია: „კოლონიალური ხასიათის აგრესიული ომები, რომლებსაც საქართველოსა და მოლდოვის მმართველები ჩვენი ერების თვითგამორკვევის თხოვნის საპასუხოდ აწარმოებდნენ, კანონზომიერი კრახით დასრულდა“. ამ მემორანდუმის ავტორები გაერო-ს საქართველოსა და მოლდოვის მხრიდან აგრესიისა და მათი „მინი-იმპერიების“ წიაღში დაბრუნების საშიშროებაზე მიუთითებენ. მათივე შეფასებით, მსოფლიოს საფრთხეს სწორედ ეს „აგრესორი-სახელმწიფოები“ უქმნიან და არა – „დამოუკიდებელი სახელმწიფოები“ – აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი. და ბოლოს, მემორანდუმი გაერო-ს მოუწოდებს, საკუთარ ტრიბუნაზე არა მარტო საქართველოსა და მოლდოვის, არამედ არაღიარებული რესპუბლიკების წარმომადგენლებიც მიიწვიოს, რომლებსაც „ასევე სურთ, მათი ხმა საერთაშორისო საზოგადოებამ გაიგოს“.

სეპარატისტული რეგიონების ამ თხოვნასა და კონფლიქტების პრობლემის გაერო-ს გენასამბლეის ფორმატში განხილვის თაობაზე „ახალი ვერსია“ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების ცენტრის ხელმძღვანელს, გიორგი ხუციშვილს, ესაუბრა

გიორგი ხუციშვილი: „მართალია, გენასამბლეის, ისევე, როგორც გაერო-ს, მიერ მიღებულ სხვა დოკუმენტებს არ აქვთ სავალდებულო ხასიათი და მხოლოდ სარეკომენდაციო შინაარსისაა, მაგრამ ისინი სახელმწიფოსთვის გარკვეული ნორმისა და სტანდარტის მიმცემია. ისინი მიუთითებენ, თუ რომელი პრინციპებია საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მისაღები და რომელი – მიუღებელი. სხვა ორგანოთა მიერ მიღებული

დადგენილებები გაერო-ს რეკომენდაციების საწინააღმდეგო ვერ იქნება. ამ თვალსაზრისით, გაერო-ს რეკომენდაციები მნიშვნელოვანია“.

– რამდენად „გაანეიტრალებს“ გაერო-ს გენასამბლეის დადგენილებები აფხაზეთის კონფლიქტის თაობაზე უშიშროების საბჭოს „პრორუსულ“ რეზოლუციებს?

– უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს გენასამბლეის გადაწყვეტილება ვერ „გადაფარავს“, თუმცა გააჩნია, რა შინაარსის გადაწყვეტილებასთან გვექნება საქმე. ცხადია, გენასამბლეის დადგენილება უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისგან განსხვავებული უნდა იყოს, რადგან უშიშროების საბჭო დოკუმენტებს პრაქტიკულად რუსეთის კარნახის ქვეშ იღებს. გაერო-ს ამ ორგანოს მუშაობაში კარგად ჩანს, თუ როგორ უწევს ანგარიშს რუსეთს ჩვენი მეგობარი აშშ და ამის მაგალითი აფხაზეთის საკითხზე უშიშროების საბჭოს ბოლო რეზოლუციაა. ქართულ მხარეს უდიდესი ძალისხმევა მართებს, რათა მსგავსი რამ არ განმეორდეს.

– გაერო-ს გენასამბლეაზე სეპარატისტული რესპუბლიკების წარმომადგენელთა დასწრების თხოვნაზე რას იტყოდით?

– ცხადია, გაერო ამას არ დაუშვებს, რადგან ეს თავად ამ ორგანიზაციის პრინციპების დარღვევა იქნება. ეს სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებაა, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი კი სახელმწიფოებს არ წარმოადგენს. განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელია ავტონომიის საკითხის გატანა, ისიც – იმ სახელმწიფოს რეკომენდაციით, რომელშიც ეს ავტონომია შედის. აქედან გამომდინარე, გაერო-ს, უბრალოდ, უფლება არ აქვს, რუსეთის რეკომენდაციით განიხილოს საქართველოს ფარგლებში აღიარებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელთა გენასამბლეაზე დასწრების საკითხი. ეს მხოლოდ საქართველოს დელეგაციის ფარგლებში იქნებოდა შესაძლებელი.

საერთაშორისო ასპარეზისგან განსხვავებით, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში ქართულ დიპლომატიას ჯერჯერობით რაიმე წარმატებისთვის არ მიუღწევია. კოდორის ხეო-

ბის ოპერაციის შემდეგ ორმხრივი დიალოგი შეწყვეტილია და მისი აღდგენის პერსპექტივები ჯერჯერობით არ ჩანს. დღემდე უპასუხოა კითხვა, რჩება თუ არა თბილისისთვის აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებაში ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად ქართულ-აფხაზური დიალოგი.


8 - 15 დეკემბერი 2006 წ. საქართველო 3

აფხაზეთს და ცხინვალს კრემლის კურანტები უხმობენ

ლიკა თოდუა

2006

Weekly

ახალი 7 დღე

აფხაზეთს და ცხინვალს კრემლის კურანტები უხმობენ

„ახალი 7 დღე“, 2006 წ. 8-15 დეკემბერი, #48 (428), გვ. 1, 3.
ჟურნალისტი ლიკა თოდუა, ფოტოთი

კვირის პოლიტიკური ცხოვრება ერთობ გამოაცოცხლა 6 დეკემბერს რუსეთის დუმის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ.

დუმის გადაწყვეტილებას 418-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი გზით და მხარეების ინტერესების გათვალისწინებით უნდა მოგვარდეს; კონფლიქტის ზონებში სიტუაციის გაუარესება საქართველოს ხელისუფლების არაკონსტრუქციული პოლიტიკის შედეგია და პასუხისმგებლობაც მასვე ეკისრება. რუსმა დეპუტატებმა აგრეთვე გადაწყვიტეს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ არის აღიარებული, თბილისის პოლიტიკური კურსის მიერ დაირღვა და ამიტომ გახდა სამხრეთ ოსეთი იძულებული, საკუთარი სახელისუფლებო ორგანოები შეექმნა. ამავე გადაწყვეტილებაში რუსი დეპუტატები პასუხისმგებლობის მთელ სიმძიმეს საქარ-

თველოს ხელისუფლების ამგვარი ქმედებების გამო დასავლეთის იმ პოლიტიკოსებს აკისრებენ, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებას ედგნენ გვერდით. რუსი დეპუტატები ასკვნიან, რომ სამხრეთ ოსეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ოსი ხალხის სურვილს ასახავს და მას ვერავინ აღუდგება წინ.

გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტოლოგი: „რუსეთის გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. რაც შეეხება ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკას, ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რომ რუსეთის აგრესია გამოგვეწვია. ეს არის სარისკო პოლიტიკა. ჩვენ რუსეთის საჯაროდ დადანაშაულებებითა და ლანძღვით მივედით იმ შედეგამდე, რაც გვაქვს და კიდევ უარესი შეიძლება გვქონდეს. რის იმედად ვიყავით? ევროპის. რა შეიცვალა ევროპის პოზიციებში? არაფერი. პირიქით, რუსეთის ენერგომონოპოლიური უპირატესობა სულ უფრო საგრძნობლად აისახება ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაზე.

რა თქმა უნდა, სისუსტე არ უნდა გამოვიჩინოთ, მაგრამ რაციონალურად გათვლილი ნაბიჯებით (ზოგჯერ კომპრომისულითაც) ნამდვილად შესაძლებელი იყო და არის ვითარების დარეგულირება. ცალმხრივად დათმობა ჩვენი მხრიდან რუსეთის სასარგებლოდ (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მისი გაწევრიანებისათვის ხელის შეწყობა) უგუნურება იქნება. სანაცვლოდ აუცილებლად უნდა მოგვეთხოვა რაღაც, თუნდაც ეკონომიკური ბლოკადის გაუქმება.

რუსეთის დუმის გადაწყვეტილება არის ფსიქოლოგიური ტერორი ქართველების წინააღმდეგ, მაგრამ არსებობს რეალური საშიშროებაც. თუ გავითვალისწინებთ კვიპროსის მაგალითს, სეპარატიზმის საფრთხე სრულიად რეალურია. კვიპროსი მხოლოდ ერთადერთმა სახელმწიფომ, თურქეთმა, აღიარა და დღეს ის რუკაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არის აღნიშნული“.


„ქართულ პოლიტიკაში ერთი ტენდენცია გაჩნდა – მოვლენათა დაჩქარება, რაც სარისკოა“
2006
კვირის პალიტრა
#50 (615) ◆ 11 – 17 დეკემბარი, 2006 წ. ◆ ფასი 60 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.

„ქართულ პოლიტიკაში ერთი ტენდენცია გაჩნდა – მოვლენათა დაჩქარება, რაც სარისკოა“

იმედი მინდა ვიქონიო, რომ „ხავერდოვანი ავტოკრატიისკენ“ არ მივდივართ...

„კვირის პალიტრა“, 2006 წ. 11-17 დეკემბერი, #50 (615) გვ. 3, ჟურნალისტები იზო რიკაძე, დაჩი გრძელიშვილი, ფოტოთი

საპარლამენტო უმრავლესობას ოპოზიცია ტყუილად მოუწოდებდა – დსთ-დან გამოსვლა კომუნისტური წარსულისა და ძონძებისგან გათავისუფლებააო – საქართველოს დსთ-ში ყოფნის მიზანშეუწონლობის საკითხი კენჭისყრაზე არც დამდგარა. საამისოდ საპარლამენტო უმრავლესობა გვარიანად შეფუცხუნდა – დღის პირველ ნახევარში თითქმის ცარიელი დარბაზი საღამოს (როდესაც დსთ-ში ყოფნის საკითხისთვის კენჭი უნდა ეყარათ) სავსე იყო. ოპოზიციის მცდელობები ამაო გამოდგა. „ეს არის შეცდომა, რომელიც დანაშაულზე მეტია“ – ასე შეფასდა უმრავლესობის ქმედება (თუმცა ამჯერად უმრავლესობაც არ იყო ერთიანი. როდესაც დსთ-დან გამოსვლის საკითხის კენჭისყრასთან დაკავშირებით დარბაზში დებატები

გამწვავდა, ერთ-ერთი „ნაციონალი“ დეპუტატი დარბაზს მიღმა საკუთარ თავს ებრძოდა და სიმწრისგან თითებს იჭამდა)...

ღირს კი იმ ორგანიზაციაში ყოფნა, სადაც მუსიკას რუსეთი უკვეთს?

რამდენიმე თვის წინ პრეზიდენტმა მთავრობას მოუწოდა, დსთ-ში ყოფნის პლუსები და მინუსები დაითვალეთო. როგორც ჩანს, ფინანსისტი ნოღაიდელი დათვლაში არც ისე მარჯვეა. ის ჯერ ისევ ითვლის და არც იცის ვინმემ, როდის დაასრულებს იმ პროცესს, ამიტომაც კანცელარიისკენ თვალმიპყრობილ უმრავლესობას ოპოზიციის საყვედურების მდუმარედ მოსმენა უწევს, რადგან ხეირიანი არგუმენტი ვერ მოუძებნია, თუ რატომ არ ვტოვებთ დსთ-ს.

რუსეთი ბოლო დროს ძალზე გაბრაზებულია და თანაც იმდენად, რომ აგრესიულობას საგარეო საქმეთა მინისტრიც ვეღარ ფარავს. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ნიკოლას ბერნსის მიერ საქართველოს (და მოლდოვის) ხსენებამ იმდენად დააკარგვინა წონასწორობა სერგეი ლავროვს, ისიც კი განაცხადა, შესაძლოა, რუსეთმა ეუთო დატოვოს, თუკი იგი არ შეწყვეტს აშშ-ისა და პროამერიკული ქვეყნების – საქართველოსა და მოლდოვის მხარდაჭერასო. ეუთო-ს ბრიუსელის მინისტერიალზე მომხდარი სკანდალის შეფასებით დავიწყეთ ინტერვიუ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის თავმჯდომარესთან, პროფესორ გიორგი ხუციშვილთან:

– ყველას ეგონა, რომ ამ განცხადების შემდეგ რუსეთი ეუთო-დან გავიდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი ლავროვმა საერთაშორისო თანამეგობრობის შესაშინებლად გააკეთა. ამით რუსეთმა მიანიშნა, ჩემს ეუთო-დან გასვლას მნიშვნელოვანი სანქციები მოჰყვება ევროპის ენერგომომარაგების თვალსაზრისით. ეს იყო მხოლოდ ერთგვარი ჟესტი, თორემ რუსეთს ეუთო-დან გასვლა არანაირად არ აძლევს ხელს. ჩანს, ევროპამ იგრძნო საშიშროება, რომელიც რუსეთისგან ელის. ამიტომ არჩევს კონსოლიდირებულ პოლიტიკას, რათა თავის კონტროლს დაუქვემდებაროს რუსეთის პრეტენზიები ენერგომონოპოლისტობაზე. ვფიქრობ, ევროპა ერთობლივ ზომებს მიიღებს

რუსეთის დასაბალანსებლად. ხშირად პოლიტიკური სვლები სპექტაკლს ჰგავს. ასეთი იყო სახელმწიფო დუმის გაფრთხილება – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას ვცნობო. ასევე – ლავროვის მძაფრი რეაქცია ეუთო-ში, რითაც აჩვენა, თუ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე მკაცრად საუბრობს რუსეთზე, მეც მაგარი ბიჭი ვარო. რუსეთს ეუთო სჭირდება და ამ ორგანიზაციაში ყოფნას ყოველთვის თავის სასარგებლოდ იყენებდა.

ვენაში, ეუთო-ს შტაბ-ბინაში ყოველთვის მეუბნებოდნენ – ყველაფერზე, რაც აქ ხდება და, საერთოდ, ეუთო-ზეც დიდი ზეწოლა და ფსიქოლოგიური კონტროლი აქვს რუსეთსო. უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთს ისევ შენარჩუნებული აქვს ის კონტროლი და ამას ხელიდან არ გაუშვებს. იგი ეუთო-ში დარჩება. ბოლო თვეებში საქართველოს საგარეო პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზება მოახდინოს ჩვენს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოსაგვარებლად. ეს ითვალისწინებს საერთაშორისო დონეზე რუსეთის იმპერიული და მონოპოლისტური ზრახვების დაბალანსებას და მისი გავლენის შეზღუდვას კონფლიქტურ რეგიონებზე. სააკაშვილის და მისი გუნდის პოლიტიკა სარისკოა, რადგან საქართველო მრავალი თვალსაზრისით, თუნდაც ეკონომიკურად, ძალზე დაუცველია. არსებობს მოსაზრება, რომ საქართველო თურქეთის ბაზარზეა მიბმული. თურქეთმა თუ ეს არტერია გადაუკეტა, საქართველო შიმშილით არ მოკვდება, მაგრამ ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდებაო. თურქეთის ბაზარზე ნაკლებმნიშვნელოვანი არ იყო ჩვენთვის რუსეთის ბაზარი – მედიკამენტების, საყოფაცხოვრებო თუ კომპიუტერული ტექნიკისა და კვების პროდუქტების დიდი წილი სწორედ რუსეთიდან მოდიოდა. სხვათა შორის, ბოლო დრომდე საერთაშორისო ფოსტა რუსეთის გავლით აღწევდა საქართველოში და, შესაბამისად, რუსეთის საფოსტო სისტემაზეც ვიყავით მიბმულნი. ევროპაში წერილი ერთი ქვეყნიდან მეორეში ერთ დღეში ჩადის, ჩვენთან კი თვეც სჭირდებოდა. ასევე მიბმული ვიყავით რუსეთის შრომის ბაზარზეც და როდესაც ქართველების იქიდან გამოდევნა დაიწყეს, რუსეთის ხელისუფლებაში

ფიქრობდნენ – დეპორტირებულები, რომლებიც კრიმინალურ ქსელში იყვნენ ჩაბმულნი, კრიმინალურ ვითარებას გააუარესებენ საქართველოშიო. ასე რომ, რუსეთს ჩვენ წინააღმდეგ ბევრი კოზირი ჰქონდა და გამოიყენა კიდეც. ქართულ პოლიტიკაში ერთი ტენდენცია გაჩნდა – მოვლენათა დაჩქარება, რაც სარისკოა. ჩვენს ხელისუფლებას თავდაპირველად რუსეთის მარწუხებისგან თავის დაღწევაზე უნდა ეზრუნა, საქართველო სხვა ბაზრებსა და მომარაგების არხებზე უნდა გადაეყვანა და ამით რუსეთის გავლენიდან ეტაპობრივად გამოსულიყო. ეს კრიზისს თავიდან აგვაცილებდა, მაგრამ ავჩქარდით. საქართველოს ხელისუფლებამ კონფრონტაცია არჩია რუსეთთან – გამანებე თავი, არ მინდიხარო. ბუნებრივია, ამას საპასუხო მტკივნეული და არაადეკვატური ნაბიჯები მოჰყვა. ეს მოსალოდნელიც იყო რუსეთისგან. ძნელია 4 რუსი სამხედრო პირის დეპორტაციას რუსეთის ქალაქებიდან ქართველთა მასობრივი გამოდევნა ლოგიკურად მიაბა, მაგრამ სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია რუსეთის აგრესიული ქმედებები. რუსეთმა ქართველებს სახელმწიფო ტერორი მოუწყო, რასაც ნებისმიერი ნორმალური ქვეყანა გაურბის, ნორმალური და მისაღები აღმოჩნდა რუსეთისთვის. სხვა მაგალითს მოგიყვანთ: ლიტვინენკოს მკვლელობით რუსეთმა კიდევ ერთი ტერორი მოუწყო მსოფლიოს, რითაც მიანიშნა – რადიოაქტიური ნივთიერებები მაქვს და შემიძლია თქვენს ქალაქებში, სასტუმროებსა თუ სახლებში ისეთი რამეები დავატრიალო, რომ სულ რადიოაქტიური ნივთიერებების ძებნაში იყოთ. ჩემი გეშინოდეთ, ეგეთი გიჟი ვარო. რადიოაქტიური ნივთიერებები არაერთ ქვეყანას აქვს, მაგრამ მას აკონტროლებენ კიდეც. რუსეთი კი მას ტერორისა და პროვოკაციებისთვის იყენებს.

– რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს განცხადება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობაზე ზოგიერთის შეფასებით არაფერს ნიშნავს, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს არ იქნებოდა „არაფრისთვის“ გაკეთებული განცხადება. რა უნდა ვიგულისხმოთ რუსეთის დუმაში დადგმული სპექტაკლის მიღმა?

– ამ განცხადებას არც იურიდიული ძალა აქვს და მასში არც ის წერია, ამა და ამ დღეს ვცნობთ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობასო. მაგრამ არ არის გამორიცხული, როდესაც საჭიროდ ჩათვლის, რუსეთის ხელისუფლებამ მართლაც ცნოს მათი დამოუკიდებლობა. ხშირად მეკამათებიან – რუსეთი მთელ მსოფლიოს არ დაუპირისპირდება და არ გადადგამს ასეთ ნაბიჯსო... მაგრამ, ჩემი აზრით, იგი შეიძლება წავიდეს ამ ნაბიჯზე. თანაც ისე, რომ, შესაძლოა, კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობასაც არ დაელოდოს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გამწვავდება კრიზისი რუსეთ-საქართველოს შორის. საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლა რუსეთზე ამ საკითხში ნაკლებად მოსალოდნელია. სულ სხვა დონის და მასშტაბის მოვლენებზე კი გამორიცხული არ უნდა იყოს ერთობლივი კონსოლიდირებული მოქმედებები რუსეთის საწინააღმდეგოდ. ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად უნდა გაითვალისწინოს პროპორციები. საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ჩვენ ნაკლებად მნიშვნელოვანი ვართ. ამის ნაცვლად ხელისუფლება სულ ამტკიცებს – პატარა ქვეყანა კი ვართ, მაგრამ იმდენად დიდი მოთამაშეები – გლობალურ დონეზეც კი გამოვდივართო. სინამდვილეში ჩვენ არც გავლენის ბერკეტები გვაქვს და არც იმდენად დიდი ბუნებრივი რესურსები, რომ ეს არგუმენტი მყარად მივიჩნიოთ.

– დსთ-ში დარჩენა-არდარჩენის საკითხი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში სერიოზული კამათის საგანი რომ არის, კარგად გამოჩნდა გასული კვირის საპარლამენტო ვნებათაღელვის მაგალითზე. დსთ-ში დარჩენაა სწორი გადაწყვეტილება თუ მისი დატოვება?

– რაკი დასავლური ორიენტაცია ავირჩიეთ, საქართველო დსთ-დან უნდა გამოვიდეს. ჩვენი ამ ორგანიზაციაში დარჩენა თვალშისაცემი შეუსაბამობაა. წლების განმავლობაში ვაკეთებთ განცხადებებს, რომ დსთ არ მოგვწონს, იქ ყოფნა არ გვინდა, მაგრამ რატომღაც ისევ იქ ვრჩებით. ქვეყანას გათვლილი უნდა ჰქონდეს, რას იღებს დსთ-ში ყოფნით და რას დაკარგავს, თუ მას დატოვებს. ჩვენთან ასეთი გათვლები არავის გაუკეთებია, რიტორიკულ განცხადებებს კი ვისვრით და

დადგენილებებსაც ვიღებთ, დსთ არ გვინდაო. თუ არ გვინდა, მაშინ რატომ ვამბობთ, ჯერ ისევ დავრჩეთო. ეს ჩვენი არათანმიმდევრულობის გამოვლინებაა. ქვეყანა, რომელსაც ჩამოყალიბებული და განსაზღვრული პოლიტიკა აქვს, ასე არ იქცევა. თავის დროზე დსთ-ის შექმნის მიზანი რუსეთის ეგიდით საბჭოთა კავშირის განახლებული ფორმით აღდგენა იყო. მაგრამ დსთ აღმოჩნდა თავყრილობა იმდენად განსხვავებული ინტერესებისა და ვექტორების მქონე ქვეყნებისა, რომელთა ერთად ყოფნაც წარმოუდგენელია. დსთ-ში დარჩენის მომხრეები ასახელებენ არგუმენტს, დსთ-ის ქვეყნებს უვიზო მიმოსვლა აქვთო. უვიზო მიმოსვლისთვის საერთოდ არ არის საჭირო დსთ, ასეთი მიმოსვლა ბევრ სხვა ქვეყანას აქვს. ჩვენს მტრებსაც და მეგობრებსაც უნდა დავანახოთ თანმიმდევრულობა... თუ რაღაცისთვის მაინც გვჭირდება დსთ-ში ყოფნა, ეს არ უნდა დავმალოთ. ჩვენი განცხადებები და მოქმედებები ერთმანეთს უნდა შეესაბამებოდეს.

– დსთ-ში საქართველოს ყოფნის ერთ-ერთი არგუმენტი იაფი გაზი იყო. თუმცა ეს არგუმენტი აღარ არსებობს. საქართველოს, უკვე მეორე ზამთარია, ფორსმაჟორულ ვითარებაში უწევს ბუნებრივი აირის ალტერნატიული წყაროების ძებნა.

– კარგია, რომ თურქეთი დაგვპირდა დახმარებას. არ გამოვრიცხავ, რომ ამაში ჩვენი დასავლელი მეგობრების ხელი ერიოს. თუმცა აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ თურქეთის პოლიტიკის დამოუკიდებლობის ხარისხი გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ გვგონია. თურქეთი ყოველთვის საკუთარი ეროვნული ინტერესებით ხელმძღვანელობს და არასოდეს ახმოვანებს სხვა, უფრო დიდი მოთამაშის ინტერესებს. თურქეთი ისლამური ქვეყანაა, მაგრამ ახერხებს იმას, რომ იქ სარწმუნოებრივი ფუნდამენტალიზმი მეტისმეტად არ გაძლიერდეს. ისლამური ქვეყნები არცთუ ისე კეთილგანწყობილნი არიან რომის პაპის, ბენედიქტე XVI-ისადმი (მისი ანტიისლამური განცხადების გამო). ამის მიუხედავად, ის თურქეთში მიიწვიეს, რითაც ხაზი გაუსვეს – ჩვენ ევროპასთან ურთიერთობა გვჭირდება, ამიტომ ვმასპინძლობთ რომის პაპს და ჩვენს ევროპულ ორიენტა-

ციას არ დავთმობთო. თურქეთის საქციელი მხოლოდ კეთილ ჟესტად არ უნდა აღვიქვათ (ასეთი რამ პოლიტიკაში არ არსებობს!). ეს თურქეთის ხელისუფლების გათვლილი ნაბიჯია. სავარაუდოდ კი – რუსეთის ალტერნატიული საერთაშორისო მასშტაბის ენერგეტიკული დერეფნის შექმნის მცდელობა, რომელიც აშშ-ის, ევროპისა და ნატო-ს ინტერესებს ემსახურება.

შევარდნაძისგან განსხვავებით, სააკაშვილის პოლიტიკა უფრო აქტიური, შემტევი და სარისკოა. შექმნილმა ვითარებამ სეპარატისტულ რეჟიმებთან ურთიერთობა გაართულა. ამგვარ სიტუაციაში კონფლიქტების მოლაპარაკებებით გადაწყვეტა გაცილებით ძნელი იქნება. არადა, ნატო-ში შესასვლელად სწორედ კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა გვჭირდება. ნატო-ში მალე შესასვლელად ჯარს კი ვწვრთნით მისივე სტანდარტებით, მაგრამ აქვე აუცილებელია, საზღვარიც ნატო-ს სტანდარტებით დავიცვათ, ეკონომიკის განსაზღვრულ პარამეტრებსაც ვაკმაყოფილებდეთ, დემოკრატიის ხარისხიც მაღალი გვქონდეს და საკუთრების ხელშეუხებლობაც – დაცული...

– თუმცა, შესაძლოა, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ კანონში მალე შევიდეს ცვლილება, რომელიც ქონების ექსპროპრიაციის უფლებას ანიჭებს თვითმმართველობის ორგანოებსაც კი. ეს კანონპროექტი ჩამორთმეული ქონების სანაცვლოდ შესაბამისი კომპენსაციის გაცემას ითვალისწინებს, თუმცა ზოგიერთი მასში საკუთრების უფლების შელახვის საფრთხეს ხედავს. შესაძლოა ამ საკანონმდებლო ცვლილებებმა ხელი შეუშალოს ნატო-ში შესვლას?

– არ გამოვრიცხავ, რადგან ასეთი სახის საკანონმდებლო ცვლილება საერთაშორისო სტანდარტებს ეწინააღმდეგება და, შესაბამისად, საქართველოს არ წარმოაჩენს დემოკრატიულ ქვეყნად. კერძო საკუთრება ხელშეუხებელი უნდა იყოს, ეს უპირობო მოთხოვნაა. ქონების ჩამორთმევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ის საზოგადოებრივ საშიშროებას ქმნის. ხელისუფლებამ არ უნდა მიიღოს ნებისმიერი ობიექტის ჩამორთმევის უფლება, ეს უაღრესად არადემოკრატიული ქმედება იქნება.

ყოველივე ამის უკან ვხედავ ხელისუფლების თვითმიზანს, საზოგადოებისგან აბსოლუტურად უკონტროლო იყოს, თვითონ კი ყველას და ყველაფერს აკონტროლებდეს! რატომღაც ვერ გაუგია, რომ დემოკრატიულობა ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს. რატომ გავექეცით საბჭოთა კავშირს, თუ ისევ მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე საკუთარი უფლებების გაზრდისკენ იქნებოდა მობილიზებული ხელისუფლება? თავისუფლება ხომ სახელმწიფოსგან მოქალაქის დაცვას ნიშნავს. ზოგჯერ დემაგოგიურ განცხადებებს ვისმენთ, რაკი სახალხო რევოლუციით მოვედით ხელისუფლებაში, სახალხო ხელისუფლება ვართ და რასაც გავაკეთებთ, ხალხმა ისე უნდა მიიღოს, როგორც მის სასიკეთოდ გაკეთებულიო. ნურას უკაცრავად! ეს ცვლილებები ნახსენებ კანონპროექტში სულაც არ გახლავთ ხალხის სასიკეთოდ გამიზნული ქმედება.

იმავეს ვიტყოდი მაუწყებლობის შესახებ კანონპროექტზე, რომელიც, ფაქტობრივად, ჟურნალისტების შეზღუდვას უფრო გულისხმობს. მართალია, ჟურნალისტმა საზოგადოების მაპროვოცირებელი განცხადებები არ უნდა გააკეთოს, მაგრამ როგორ შეიძლება, მას აზრის გამოთქმა აუკრძალო საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. კანონპროექტის ის ნაწილი – ჟურნალისტის მიერ მომზადებული მასალა მთავრობის გადაწყვეტილებებზე გავლენას არ უნდა ახდენდესო, საერთოდ არ მესმის. თავისუფალი პრესის ჟურნალისტის ამოცანა ყოველთვის ის არის, რომ გავლენა მოახდინოს და ზოგჯერ კი პრევენცია გაუკეთოს ხელისუფლების ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. აღნიშნული ცვლილება კი პრესის თავისუფლების შეზღუდვისკენაა მიმართული, რის მიღმაც ძნელი არ არის იმისი დანახვა, რომ ხელისუფლებას მოაზროვნეებისა და თავისუფალი აზრის ეშინია. როდესაც ხელისუფლებაში საბჭოთა პარტიული, გაქსუებული „ბოსები“ იყვნენ, მათ ეშინოდათ თავისუფალი აზროვნების და ეს არც მიკვირს... მაგრამ მიკვირს ის, რომ ეს ახალგაზრდა, დასავლეთში განათლებამიღებული ხალხი ზღუდავს თავისუფალი აზრის გამოთქმას. როგორც ჩანს, ხელისუფლება, რომელსაც დემოკრატიის დამცველად

და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლად მოაქვს თავი, შინაგანად არცთუ დემოკრატიულია.

ხელისუფლების ამ ქმედების ასახსნელად რამდენიმე ვერსია მაქვს: პირველი – ის მართვის ამოცანას იმარტივებს და ხალხს აგრძნობინებს, თუ თვინიერი იქნები, პრობლემები არ გექნება, ხოლო თუ სხვაგვარად მოიქცევი, დაზარალდებიო. მეორე – ხელისუფლება დაინტერესებულია, ბიუროკრატია ხალხისგან მაქსიმალურად დაცული, განცალკევებული და ჩაკეტილი იყოს, რათა მის შიგნით სარფიანი ადგილებისა და პოზიციების განაწილებაზე საზოგადოებამ კონტროლი ვერ განახორციელოს (ამ ბირთვის შიგნით ჩაკეტილ სივრცეში ხდებოდეს გარკვევა იმისა, თუ ვინ გაამართლა, ვინ დანაშაული ჩაიდინა, ვის ხელი წაუცდა და ა.შ., ხალხს კი ამის შესახებ ინფორმაციაც არ ჰქონდეს!). მესამე – ხელისუფლება ვერ ეგუება დემოკრატიას და სურს, დაამყაროს ე.წ. „ხავერდოვანი ავტოკრატიის“ მმართველობა. „ხავერდოვანი ავტოკრატიის“ დროს, როგორც წესი, ქვეყანაში არსებობს კარგი კანონმდებლობა, საერთაშორისო დონეზე ხელისუფლება პოზიტიურად ჩანს და მის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს, ქვეყნის შიგნით კი ხალხი ისეთი დაშინებულია, რომ ხელისუფლებაზე აუგის თქმას ვერ ბედავს.

იმედი მინდა ვიქონიო, რომ ვცდები და „ხავერდოვანი ავტოკრატიისკენ“ არ მივდივართ.


„ხელისუფლება ისეთ შეცდომებს უშვებს, რომ შესაძლოა საბოლოოდ დავკარგოთ აფხაზეთი“
2007

„ხელისუფლება ისეთ შეცდომებს უშვებს, რომ, შესაძლოა, საბოლოოდ დავკარგოთ აფხაზეთი“

„ჯორჯიან თაიმსი“, 2007 წ. 15-22 თებერვალი, გვ. 10, ჟურნალისტი მეგი მარაბდელი, ფოტოთი

ყველას კარგად გვახსოვს 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ და პრეზიდენტის დაპირება იმის თაობაზე, რომ ერთ წელიწადში გიორგობას ერთიან საქართველოში შევხვდებოდით, მაგრამ დღემდე ეს დაპირება დაპირებად დარჩა და, სამწუხაროდ, ვერც წინგადადგმულ ნაბიჯებს ვხედავთ ამ მიმართულებით.

დღესაც ბევრს საუბრობენ ამ საკითხის ირგვლივ და არც ამბიციები გაჰქრობია ჩვენს ხელისუფლებას, რაც ოთხი წლის წინ ჰქონდა, მაგრამ რეალურად რა კეთდება იმისათვის, რომ დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნოთ, ეს ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. ხელისუფლება ან საიმედოდ მალავს რეალურ მდგომარეობას ან საზოგადოების დაბრმავებას ცდილობს, რადგან ფაქტი ერთია – აფხაზეთი დღეს ჩვენი არ არის და მისი დაბრუნების პერსპექტივაც არსად ჩანს. ამ საკითხში უკეთ გასარკვევად კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების სა-

ერთაშორისო ცენტრის დირექტორს, კონფლიქტოლოგს, პროფესორ გიორგი ხუციშვილს ვესაუბრეთ.

გიორგი ხუციშვილი: „ჩვენთან 2003 წლის 23 ნოემბრის შემდეგ უამრავი სხვადასხვა რეფორმა გატარდა. ითვლება, რომ ზოგიერთი მათგანი წარმატებულია, ზოგი კი ნაკლებად მომგებიანი, მაგრამ მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ყველაზე წარუმატებელი მხარე ამჟამინდელი ხელისუფლებისა კონფლიქტის ზონებია, სადაც დღემდე უამრავი გადაუჭრელი პრობლემა არსებობს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კონფლიქტები გაყინულია, არამედ იმიტომ, რომ ამ კონფლიქტების გადაწყვეტის საკითხი ადგილიდან არ იძვრის და წინ არ მიიწევს. მეტსაც გეტყვით, ამ მხრივ უკან მივდივართ და დაუშვებელ შეცდომებსაც კი ვუშვებთ, ისეთ შეცდომებს, რომელთა შედეგადაც, შესაძლოა, დავკარგოთ აფხაზეთი. რუსეთი კრემლის ძალებით ცდილობს და ყოველთვის ეცდება, თავისი კონტროლის ქვეშ ჰყავდეს ორივე კონფლიქტის ზონა და, ამავე დროს, არანაკლები ყურადღება მიაქციოს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტსაც. დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ რუსეთი ცდილობს, ფარული ანექსია ჩაატაროს სამხრეთ ოსეთის შემთხვევაშიც, რაც იმაში გამოიხატება, რომ მასობრივად დარიგებულია პასპორტები და რის საფუძველზეც რუსეთი ამ ხალხს თავის მოქალაქეებად მიიჩნევს, რისი უფლებაც მას არ გააჩნია. თუ იქ არიან ადამიანები რუსეთის პასპორტებით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთს უფლება აქვს, შეიჭრას ამ ხალხის შინაურ საქმეებში და ჩაერიოს მათი ქვეყნის მართვაში. სხვა ქვეყნებში ამ ხერხს არც მიმართავს, მაგრამ საქართველოს შინაურ საქმეებში ცდილობს, რომ ჩაერიოს და ამას საკმაოდ უხეშად აკეთებს. ეს კი იმაში გამოიხატება, რომ რუსეთი ყველანაირად ცდილობს, მიიბას ჩვენი ტერიტორიები. გარდა ამისა, 2004 წლის ზაფხულში ქართველების მხრიდან საკმაოდ უგუნური პოლიტიკა იქნა გატარებული, რამაც ძალიან დაგვაცილა ჩვენი მიზნისგან, ანუ დაგვაკარგინა კიდევ ერთი შანსი ამ ტერიტორიების დაბრუნებისა. ამის შემდეგ გამოქვეყნდა პრეზიდენტის გეგმა სამხრეთ ოსეთის ინტეგრაციის შესახებ, რომელიც საკმაოდ კეთილგანწყობილი სიტყვებითა

და მიმართვებით იყო გაჯერებული. მე მიმაჩნია, რომ ეს გეგმა 2004 წლის ზაფხულამდე უნდა გამოქვეყნებულიყო, მაშინ მას სულ სხვა რეზონანსი ექნებოდა, თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. 2005 წელს, როდესაც ეს გეგმა გამოჩნდა და გაჟღერდა, მან დადებითი როლი ითამაშა, მაგრამ ამას მოჰყვა კიდევ რამდენიმე სრულიად გაუთვლელი და აბსურდული ნაბიჯი სხვადასხვა ხელისუფლების განშტოების მხრიდან. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, არაფერს უთმობდნენ და თუ, დავუშვათ, ერთი მათგანი რაიმე წარმატებას მიაღწევდა, მეორე მისთვის ფეხის დადებას და წაქცევას ცდილობდა. კონკრეტულად გეტყვით, 2005 წლის შემოდგომაზე ჩვენი მხრიდან ამერიკელების დახმარებით შემუშავებული იქნა საგზაო რუკა, რომელიც ცხინვალის რეგიონში ნდობის აღდგენისა და მოლაპარაკებების აქტივიზაციის გეგმას წარმოდგენდა. სიმართლე გითხრათ, ეს გეგმა არარეალური იყო, რადგან მასში ჩადებული იქნა ისეთი მომენტები, რომლის განხორციელებაც შეუძლებელი იყო, მაგრამ კეთილგანწყობის უამრავ ფაქტს შეიცავდა ეს დოკუმენტი. იგი არ იყო განკუთვნილი ფართო საზოგადოებისათვის, რადგან ჩვენთან ასეთი დოკუმენტები არ ვრცელდება. პირადად მე არც ეს მიმაჩნია სწორად, რადგან როდესაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მიმართ რაიმე გეგმები და მნიშვნელოვანი რუკები მუშავდება, ფართო საზოგადოების განხილვის საგანი არ ხდება და არც ინფორმაცია მიეწოდება საზოგადოებას. ეს არის დოკუმენტები, რომლებიც რატომღაც საიდუმლოდ ინახება. თუ ეს დოკუმენტი შეიძლება მაგიდაზე ედოს კოკოითსა და ბაღაფშს, რატომ არ შეიძლება, იგი ქართველი ხალხის განხილვის საგნად იქცეს. მიუხედავად ასეთი გასაიდუმლოებისა, ეს დოკუმენტი მაინც გამოჩნდა რუსეთის ვებგვერდებზე და მიიღო ყველამ, ვინც მოინდომა და დაინტერესდა. ეს კიდევ არაფერი, ამ მოვლენას ხელისუფლების მიერ გადადგმული კიდევ ერთი აბსურდული ნაბიჯი მოჰყვა, ამ დოკუმენტის შემუშავებისთანავე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა კრიმინალური და კლანობრივი დაჯგუფებების სქემა ცხინვალში, სადაც კრიმინალთა სათავეში კოკოითი დაასახელა. გასაგებია, რომ კოკოითი კრიმინალია და ეს ფაქტი

არავითარი ეჭვის ქვეშ არ დგას, მაგრამ ამით ხომ რთულდება და იძაბება იმ მხარესთან ურთიერთობა, რომელთანაც მოლაპარაკებები უნდა ვაწარმოოთ, იმიტომ, რომ ის არის ამჯერად დე ფაქტო ხელისუფლება იმ რეგიონში, რომელიც ჩვენთვის პრობლემას წარმოადგენს.

როდესაც, ერთი მხრივ, შენ გყავს ისეთი ძლიერი მეგობარი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ხოლო მეორე მხარეს არის ვიღაც, ვისთან დალაპარაკებაც არ გსურს და გინდა, როგორმე თავიდან აიცილო მასთან საუბარი, ამის გამო გაუთვლელ ნაბიჯებს აკეთებ და ვითარება კიდევ უფრო იძაბება. საქმე იმანაც გაართულა, რომ თვითაღიარებულ რესპუბლიკებს რუსეთი მფარველობს და ჩვენ კი რუსეთთან მოლაპარაკება არ გამოგვდის, რადგანაც ჩვენ შორის უკიდურესად დაძაბულია ვითარება და ნელ-ნელა კიდევ უფრო იძაბება.

ისინი იმას კი არ მოითხოვენ ჩვენგან, რომ უკვე დაბრუნებული დავანახოთ ეს ტერიტორიები, არამედ მათ სურთ დაინახონ, რომ საქმე წინ მიდის და მოლაპარაკება გააქტიურებულია, მაშინ ეს ჩაგვეთვლება და საკმარისიც იქნება მათ დასარწმუნებლად, რომ რაღაცას მივაღწევთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეც არ ხდება. რეალურად, ჩემი პირადი მოსაზრებით, ვინაიდან არჩევნები ახლოვდება, წინა პერიოდში ხელისუფლებას სასწრაფოდ სჭირდება, ყველას დაანახოს, რომ რაღაცა კეთდება ამ მიმართულებით და საქმე წინ მიდის“. ბატონი გიორგის მოსაზრებით, ხელისუფლებამ შეიმუშავა გეგმა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ რადგან მთელი აფხაზეთის დაბრუნება ვერ მოახერხეს, დაკარგული ტერიტორიების ერთ ნაწილში მაინც უნდა აჩვენონ, რომ დაიწყო ქართული იურისდიქციის აღდგენა.

მინდა აქვე აღვნიშნო, რომ ეს არანაირად არ იქნება არავის მიერ ჩათვლილი, როგორც კონფლიქტის მოგვარებაში წინგადადგმული ნაბიჯი, რადგანაც, იმისათვის, რომ ჩვენ დაკარგული ტერიტორიები სრულად დავიბრუნოთ, ეს უნდა მოხდეს სიტუაციის განმუხტვასთან ერთად, გარკვეული მოლაპარაკებებისა და ორივე მხრიდან შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება დადებით ნაბიჯად და დადებით

დინამიკად. თუ ეს პროცესი დაძაბულობისა და შეიარაღებული აფეთქებების ფონზე წარიმართა, მაშინ ეს მინუსად და უკუსვლად ჩაგვეთვლება და საქართველო მიჩნეული იქნება იმ მხარედ, რომელიც ამგვარი პოლიტიკით ემზადება იმისთვის, რომ სხვა გამოსავალი არ დარჩეს, გარდა პრობლემის სამხედრო ძალებით გადაწყვეტისა. ეს ასე იქნება, ჩვენ გვინდა ეს თუ არა. მე ღრმად მწამს, რომ არც სააკაშვილს და არც არავის ჩვენს ხელისუფლებაში არ სურთ აფხაზეთის ომით დაბრუნება და არავინ ემზადება ომისთვის, თუმცა, ჩვენი არასწორი ქმედებიდან გამომდინარე, ასეთი შთაბეჭდილება აუცილებლად შეიქმნება. თუ გვსურს, ყველას დავანახოთ, რომ ეს პროცესი დადებითად მიმდინარეობს, იმისათვის, რომ ნატო-ში მალე მიგვიღონ და დაჩქარდეს ჩვენი ევროკავშირში გაერთიანების პროცესიც, ხოლო ჩვენმა პარტნიორებმა უფრო გაბედულად დაგვიცვან იგივე რუსეთისგან, ამისთვის სხვაგვარი სტრატეგია უნდა შევიმუშაოთ, დაძაბულობის მატება ჩვენს პარტნიორებს უფრო ფრთხილს და გაუბედავს ხდის ჩვენ მიმართ. აუცილებელია, რომ სახელმწიფოში გამომუშავდეს სტრატეგიული ხაზი კონფლიქტის ზონებთან მიმართებაში, რომელიც გარდატეხას მოახდენს ჩვენ შესახებ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრში და ამით მეტი შანსი და შესაძლებლობა გვექნება, რომ ჩვენი ინტერესები გავატაროთ. მე არ ვარ დათმობის მომხრე და არც იმისი, რომ პასიურები ვიყოთ და, რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს იმისა, რომ დე ფაქტო ხელისუფლებები შევავიწროვოთ, ჩავაყენოთ ისეთ პირობებში, რომ იძულებულნი გახდნენ, შეთანხმებაზე წამოვიდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი ჭკუით უნდა ხდებოდეს. ხდებოდეს ისე, რომ ჩვენ მომავალში შეგვეძლოს იმისი თამამად და ხმამაღლა თქმა, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ დაკარგული ტერიტორიები დაგვებრუნებინა.

ჩვენ უნდა ვფლობდეთ დამოუკიდებელ, ძლიერ პოლიტიკას და არ უნდა ვიყოთ ზედმეტად დამოკიდებული ვინმეზე, მათ შორის, არც ენერგეტიკულად. ჩვენი ხელისუფლების მხრიდან დიდი დანაშაული იქნა ჩადენილი მაშინ, როდესაც ასეთი პრობლემები გვქონდა რუსეთთან და იმავდროულად მათზე დამო-

კიდებულნი ენერგეტიკულად აღმოვჩნდით. ეს იყო ძალიან დიდი და უხეში შეცდომა, თუ დანაშაული არა. ასეთ პირობებში ძალიან ძნელია რუსეთთან საუბარი კონფლიქტურ ზონებზე. ჩვენი ხელისუფლება კაბინეტებში სულ სხვა მოლაპარაკებებს აწარმოებს, მასმედია სულ სხვა სურათს გვიხატავს და, ფაქტობრივად, საზოგადოება მოქცეულია იმ ვაკუუმში, რომელსაც ხელისუფლება უქმნის მედიისა თუ სხვა საშუალებებით. რეალური სურათი კი სულ სხვაგვარია. თუ ჩვენ უუნარო პოლიტიკის გატარებას განვაგრძობთ, რუსეთი კვლავ შეეცდება, გამოიყენოს ყველა რესურსი იმისათვის, რომ ჩვენი ტერიტორიის მთლიანობის აღდგენას ხელი შეუშალოს.

რუსეთს ჰყავს თავისი სატელიტები და, შესაძლოა, შეიქმნას გარკვეული ჯგუფი ქვეყნებისა, რომლებიც აღიარებენ დე ფაქტო რესპუბლიკების დამოუკიდებლობას, ეს კი სრულიად დაუშვებელია და ძალიან საშიშია ჩვენთვის. იმისათვის, რომ ამას არ მიაღწიოს რუსეთმა, აუცილებელია გავატაროთ ძალიან ჭკვიანური პოლიტიკა და გადავდგათ კარგად გათვლილი ნაბიჯები, მას შემდეგ, რაც ჩვენ ამას გავაკეთებთ, ინვესტიციების პერსპექტივაც გამოჩნდება. ეკონომიკური დიდი პროექტების გარეშე ვერ მოხერხდება კონფლიქტების მოგვარება. ერთი წლის წინ ჯერ კიდევ იყო საუბარი იმაზე, რომ ამერიკაში და, კერძოდ, ვაშინგტონში შემუშავებულია გეგმა იმის თაობაზე, რომ ქართულ-აფხაზური დიდი პროექტები შესთავაზონ იმ მხარეს და ამ გეგმის განსახორციელებლად რამდენიმე ასეული მილიონი დოლარია გამოყოფილი. დღეს ამის შესახებ ლაპარაკი შეწყდა, რადგანაც როდესაც ქვეყანაში არ არსებობს სტაბილურობა, არ არსებობს იმისი გარანტია, რომ დაცული იქნება ინვესტიცია, ფულს არავინ ჩადებს, მით უმეტეს, ამერიკელები. საჭიროა მივაღწიოთ დემილიტარიზაციას თუ არა, სტაბილიზაციას მაინც კონფლიქტის ზონებთან მიმართებაში. ასეთ შემთხვევაში რაღაცა შანსები აუცილებლად გაჩნდება. დღევანდელ სინამდვილეში უკონტროლოდ და უგონოდ ვითარდება მოვლენები, რაც ძალიან დიდ საშიშროებას ქმნის და საქმის წინსვლის ნაცვლად უკან მივიწევთ, განსაკუთრებით აფხაზეთის შემთხვევაში, რადგან აფხაზეთი გამოყოფილია სა-

ქართველოს ტერიტორიიდან ენგურის ბუნებრივი საზღვრით, მაშინ, როდესაც სამხრეთ ოსეთი ჩართულია ისეთ ლანდშაფტში, რომელიც აადვილებს ჩვენს დაახლოებას და მთელ პერიმეტრზე ადვილია ამ ტერიტორიის გაკონტროლება, ამიტომაც სხვადასხვა შანსი და პერსპექტივაა ამ კონფლიქტების მოგვარებისა. გაცილებით რთულად დგას აფხაზეთის საკითხი და ამიტომ განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ გარდატეხა მოხდეს აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში და შეიცვალოს ჩვენი სტრატეგია, თორემ მართლა საშიში ვითარებაა და, შესაძლოა, საბოლოოდ დავკარგოთ იგი“.



ავანტიურა, რომელიც, შესაძლოა, თბილისისთვის სახიფათო შედეგებით დასრულდეს

რას ემსახურება საპროტესტო აქციები კონფლიქტის ზონაში

„ახალი ვერსია“, 2007 წლის 5-6 მარტი, #25 (555), გვ. 4, ჟურნალისტი ნინო ჯაფარიძე, ფოტოთი

შს სამინისტრო გამწვავებულ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ხელოვნურად კიდევ უფრო ძაბავს – ამის შესახებ განცხადებას კონფლიქტოლოგთა ერთი ნაწილი აკეთებს. ექსპერტთა აზრით, ამ პროცესების უკან ვანო მერაბიშვილის მოადგილე ამირან მესხელი, ასევე, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე და მისი მოადგილე ნიკა რურუა დგანან.

გოგი ხუციშვილი: „კონფლიქტების მოგვარებისთვის უფრო სხვა ტიპის მუშაობაა საჭირო და არა კონფლიქტის ზონაში ასეთი აქციების მოწყობა. თუმცა ისეთ ფონს ქმნიან, თითქოს ვინც ასეთი ავანტიურული ნაბიჯების წინააღმდეგ გამოდის, მას კონფლიქტების მოგვარების კუთხით ცვლილება არ სურს“.

პოლიტიკურ ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამირან მესხელი არა მხოლოდ დიმიტრი სანაკოევის ხელისუფლებას აკონტროლებს, არამედ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, რომლებიც კონფლიქტის ზონებში საპროტესტო აქციებს მართავენ, ისეთი პროვოკაციული ხასიათისას, როგორიც აფხაზეთის ე.წ. „საპარლამენტო არჩევნების“ წინააღმდეგ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა ერთიანი საქართველოსთვის“ მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია იყო. ის კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დაძაბვის მიზეზი გახდა. ახალგაზრდები დე ფაქტო ხელისუფლების მიერ დანიშნულ ე.წ. „საპარლამენტო არჩევნებს“ აპროტესტებდნენ. ასევე იმას, რომ სეპარატისტული ხელისუფლება გალის რაიონის ქართულ მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობას აიძულებდა.

შამგონის ინციდენტი კოსოვოს პრეცედენტს გვაახლოებს

ექსპერტები ფიქრობენ, რომ ასეთი ნაბიჯებით ქართული მხარე აფხაზებთან ურთიერთობების უკიდურესად გართულებას ადასტურებს. 1992 წლიდან პირველად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქართველების და აფხაზების ერთად ცხოვრება შესაძლებელია. რაც საქართველოს კონფლიქტურ ზონებზე ე.წ. „კოსოვოს პრეცედენტის“ გავრცელების სურვილის წისქვილზე ასხამს წყალს. კოსოვოს პრეცედენტის ამოსავალი წერტილი სწორედ ის არის, რომ კოსოვოს ალბანელებსა და სერბებს ერთად ცხოვრება არ შეუძლიათ. აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში ასეთი რამ არ დაფიქსირებულა.

1 მარტს სოფელ შამგონაში გამართული საპროტესტო აქციის სამი ქართველი მონაწილე აფხაზებმა დააკავეს და სოხუმში გადაიყვანეს. მათი გათავისუფლება გაერო-ს მისიის წარმომადგენელთა ჩარევის შემდეგაც ვერ მოხერხდა. სოხუმში აცხადებენ, რომ აფხაზეთის საზღვრის უკანონო დარღვევის ბრალდებით დაკავებული 3 ახალგაზრდის სასამართლო პროცესი 7 მარტს გაიმართება. დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. „საგარეო საქმეთა“ მინისტრი სერგეი შამბა აცხადებს, რომ აფხაზური მხარე მათ საქმეზე სამართლებრივ ან სულაც პოლიტიკურ გადაწყვეტილებას მიიღებს. ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ დე ფაქტო რესპუბლიკის ე.წ. „საპარლამენტო არჩევნების“ წინ

კონფლიქტის ზონის საზღვართან ასეთი ტიპის აქციების ორგანიზება თბილისის მხრიდან გადადგმული მორიგი ავანტიურული ნაბიჯია. ბევრს გალში 1998 წლის მაისის თვეში განვითარებული მოვლენებიც კი გაახსენდა, როდესაც ქართული მხარის ასევე ავანტიურულ ნაბიჯს შედეგად გალის რაიონზე თბილისის კონტროლის დაკარგვა და ლტოლვილთა ახალი ნაკადი მოჰყვა.

„ხელისუფლება ცდილობს, ქულები ჩაიწეროს, ვითომ კონფლიქტების მოგვარების კუთხით რაღაცას აკეთებს, მაგრამ სინამდვილეში არ კეთდება ისეთი რამ, რასაც შეიძლება შედეგი მოჰყვეს. რეალურად კი აფხაზეთის დაკარგვის საფრთხის წინაშე ვდგავართ“, – აცხადებს „ახალ ვერსიასთან“ საუბარში კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი გოგი ხუციშვილი.

კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ ისეთი საპროტესტო აქციები, როგორიც ქართველმა სტუდენტებმა აფხაზეთის დაბრუნების მოთხოვნით მოაწყვეს, კარგია, ხშირად უნდა იმართებოდეს, მაგრამ მხოლოდ მაშინ არა, როდესაც ვინმეს დააკავებენ ან გაიტაცებენ. „საზოგადოება მუდმივად უნდა შეახსენებდეს ხელისუფლებას, რომ აფხაზეთი დასაბრუნებელია. კონფლიქტი გაყინულ მდგომარეობაში აღარ უნდა დარჩეს. დასავლეთის მხრიდანაც სულ ისმის, რომ კონფლიქტების მოგვარების საქმეში უფრო აქტიურად ჩაერთვება, მაგრამ ეს იმდენჯერ უთქვამთ, ხალხს აღარც კი სჯერა. რაც შეეხება გალში მომხდარ მოვლენებს, ვფიქრობ, რომ ეს გაუმართლებელი რისკია და ავანტიურას ჰგავს. არავინ უარყოფს, რომ კონფლიქტის ზონაში ძალთა თანაფარდობის და სტატუს-კვოს შეცვლა აუცილებელია, მაგრამ ეს მისია ისეთმა პოლიტიკოსმა უნდა იტვირთოს, რომელსაც პასუხისმგებლობის გრძნობა აქვს, ყველაფერს სერიოზულად დაგეგმავს და საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლეს აშკარა საფრთხეში არ ჩააგდებს“, – აცხადებს გოგი ხუციშვილი.

„ჩვენს ხელისუფლებაში არიან ადამიანები, რომელთათვისაც პრობლემების გადაწყვეტაზე ზრუნვა აბსოლუტურად შეუთავსებელი და გაუგებარია. მათ მხოლოდ უხეში, პირდაპირი

მეთოდებით ქმედება შეუძლიათ. ასეთი აქციები სადაც იგეგმება, კარგად ვიცით. გეგმავენ გივი თარგამაძე, ნიკა რურუა, ნიკა გვარამია, გიგა ბოკერია და ჩანს, არცთუ კარგად, რადგან შედეგად ვიღებთ არა იმას, რაც ქვეყნისთვის არის საჭირო, არამედ სულ სხვა რამეს. კონფლიქტების მოგვარებისთვის უფრო სხვა ტიპის მუშაობაა საჭირო და არა კონფლიქტის ზონაში ასეთი აქციების მოწყობა. თუმცა ისეთ ფონს ქმნიან, თითქოს ვინც ასეთი ავანტიურული ნაბიჯების წინააღმდეგ გამოდის, მას კონფლიქტების მოგვარების კუთხით ცვლილება არ სურს. ამ კონფლიქტების კვლავ გაყინულ მდგომარეობაში დარჩენა წარმოუდგენელია, მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად უნდა გაკეთდეს“, – აცხადებს გოგი ხუციშვილი.



„პარტიზანული მოძრაობა აფხაზეთის საკითხს ვერ გადაწყვეტს“

ვინ არიან ის გავლენიან პირთა ჯგუფში, რომელთაც ქალაუფლება დღემდე არ დაუკარგავთ

2007

„პარტიზანული მოძრაობა აფხაზეთის საკითხს ვერ გადაწყვეტს“

ასეთ ხისტ ქმედებებს არა მგონია, უკეთესობისკენ მივყავდეთ

„კვირის პალიტრა“, 2007 წლის 12-18 მარტი, გვ. 14, ჟურნალისტი მარი ზანდუკელი, ფოტოთი

15 აპრილს გაერო რუსი სამშვიდობო ძალების საკითხის განხილვას აპირებს. ოფიციალურ თბილისს საერთაშორისო ტრიბუნაზე რუსების გაშავება აქვს განზრახული – ჩვენ თქვენს მითითებებს გულდასმით ვასრულებთ, რუსი სამშვიდობო ძალები კი არღვევენო. არადა, ერთი შეხედვით, ჩვენთვის სახეირო ვითარება, შესაძლოა, საპირისპიროდ შეიცვალოს. აფხაზეთის ტერიტორიაზე, კერძოდ კი გალში, ვითარება თანდათან იძაბება. რამდენიმე დღის წინ გალში აფხაზ პატრიოტთა ხელმოწერილი ასეთი პროკლამაციებიც გავრცელდა: „ქართველებო! ხომ არ დაგავიწყდათ არაერთი სისხლიანი ღამე, ხომ არ დაგავიწყდათ სისხლიანი ომის წლები, დარბევისა და გაჟლეტის დღეები. როდემდე უნდა გვქონდეს ქედი მოხრილი მტარვალი სეპარატისტების მახვილქვეშ, ჩვენს წინაპრებს სისხლი არავისთვის შეურჩენიათ და არც ჩვენ უნდა შევირცხვინოთ თავი,

ძირს ჩვენი ხალხის სისხლში ხელებგასვრილი ოკუპანტები და მათი სამხედრო ხროვა. ძირს მოღალატე ქართველები. არჩევნები არ ჩატარდება! მტერი დამარცხდება! საქართველო გაბრწყინდება! პატრიოტები აფხაზებისთვის“.

„კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის“ დირექტორი გიორგი ხუციშვილი გალში შექმნილ ვითარებას საგანგაშოდ მიიჩნევს და რამდენიმე საგულისხმო აქცენტს აკეთებს:

– ზოგადად, არსებობს ერთგვარი სტრატეგია, მეთოდი, როდესაც ხდება კონკრეტულ პრობლემაში ჩართული ძალებისა თუ მოსახლეობის მობილიზება, რათა ახალი შესაძლებლობები გაჩნდეს ამ პრობლემის გადასაწყვეტად; ანუ კრიზისის შექმნით გაჩნდეს შესაძლებლობები. ეს სტრატეგია დიდ გათვლებს, რეალობის გათვალისწინებასა და ჭკუას მოითხოვს. ჩვენმა ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, ეს სტრატეგია აირჩია, მაგრამ სიფრთხილის ნაცვლად ძალზე უხეშად მოქმედებს. შესაძლოა, საქართველოს ხელისუფლება ცდილობს კონფლიქტის გამწვავებით გალში ვითარების მართვა უკეთ შეძლოს, მაგრამ ყველაფერი ისე მიდის, რომ კონფლიქტის ზონა ჩვენი გავლენისთვის უფრო იკეტება, სეპარატისტები კი მეტად კონსოლიდირებულნი ხდებიან.

ქართული მედიასაშუალებების თქმით, მოძრაობა „აფხაზეთის პატრიოტები“ ადგილობრივი მოსახლეობის შექმნილია, მაგრამ ფაქტია, ის რომელიღაც ცენტრიდან იმართება. ამ პროკლამაციების გავრცელება და სხვადასხვა ქალაქში გამართული ახალგაზრდული მიტინგები უთუოდ ურთიერთკავშირშია.

ძალიან კარგი ფაქტია, რომ გალში არალეგიტიმური არჩევნები მოსახლეობის ბოიკოტის გამო ჩავარდა. ცხადია, ამაში „აფხაზეთის პატრიოტები“ მონაწილეობდნენ, მაგრამ არის საშიშროება, რომ კარგად დაწყებული საქმე გაფუჭდეს. თუნდაც პროკლამაციის შინაარსიდან ჩანს, თითქოს ქართველებს შურისძიება და სისხლის აღება გვინდა. გარდა ამისა, პროკლამაციის ადრესატები მხოლოდ ქართველები არიან, თითქოს სხვა ეროვნების ადამიანები ჩვენი მოქალაქეები არ იყვნენ. ეს ქართველებისა და არაქართველების დაპირისპირების მცდე-

ლობადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამ მოწოდებაშივე ქართველები დაყოფილი არიან პატრიოტებად და არაპატრიოტებად. ე.ი. რასაც „აფხაზეთის პატრიოტები“ აკეთებენ, იმას თუ არ მიჰყევი, არ ყოფილხარ პატრიოტი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ნაკლებრადიკალური გალელები, შესაძლოა, მოღალატეებად გამოცხადდნენ. ეს საშიში ტენდენციაა.

– **მაგრამ ქართველი სტუდენტების დაპატიმრებაზე როგორ არ უნდა ყოფილიყო რეაქცია?**

– ეს მართლაც გასაბრაზებელია, მაგრამ ხომ ფაქტია, ამით განგებ გვაღიზიანებენ, ჩვენს პროვოცირებას ცდილობენ. ქართველი სტუდენტების ბოლოდროინდელმა აქტიურობამ, შესაძლოა, მეტად მობილიზებულნი გახადოს სეპარატისტები. არ კმარა აფხაზეთის დაკარგვა და გალში უფლებააყრილი, გაუბედურებული ქართველების ყოფნა?

– **ისეთი განწყობა გაქვთ, თითქოს ოფიციალურ თბილისს ადანაშაულებდეთ სეპარატისტების ყველა უკეთურ ქმედებაში.**

– არის ხალხი, რომლებიც ამ პროცესებს მართავს. არადა, ისინი საქმეში არ არიან ჯეროვნად ჩახედული. მავანნი პარტიზანული მოძრაობის აღორძინებას ცდილობენ, რაც ძალზე არასასურველი იქნება არსებულ ვითარებაში. პარტიზანული მოძრაობა აფხაზეთის საკითხს ვერ გადაწყვეტს.

– **იქნებ დააკონკრეტოთ, ვის გულისხმობთ?**

– ამ ყველაფერს „თავისუფლების ინსტიტუტის“ სულისკვეთებას ვუკავშირებთ, ის ახალ „კმარას“ იწყებს. აქციებით სიტუაციის შეცვლა აჭარაში შეიძლებოდა, მაგრამ აფხაზეთში ეს გამორიცხულია. ამ ჯგუფების საქმიანობა საფრთხის წინაშე გვაყენებს. არის საშიშროება, გალიდან ხელახლა აყარონ ქართველები და ისევ გადაკეტონ ენგურის ხიდი.

ნურავის ეგონება, რომ არაფრის კეთებისა და ჩაურევლობის მომხრე ვარ და გაყინულ კონფლიქტებში დარჩენა მსურს, მაგრამ ასეთ ხისტ ქმედებებს არა მგონია, უკეთესობისკენ მივყავდეთ.



მასმედიის როლი ხელისუფლების თვალით

გიორგი ხუციშვილი, 2007 წ. 21 მარტი[1]

ხელისუფლების დღის წესრიგში აშკარად დადგა „იმედის“ ტელევიზიის პრობლემა, რომელიც არ ექვემდებარება ხელისუფლების კონტროლს, უხვად ფინანსდება უცხოეთიდან, ოფიციალური მფლობელი ავსტრალიელი მედიამაგნატი ჰყავს და საქართველოს მასმედიის ლიდერობის ამბიცია გააჩნია. დიდი ხნის განმავლობაში არხი მეტ-ნაკლებად დაბალანსებულ პოზიციას ინარჩუნებდა, მაგრამ ბოლო დროს თავისი შეხედულებების და შეფასებების რადიკალიზაცია მოახდინა. რას უნდა ნიშნავდეს ეს? პატარკაციშვილი დიდ პოლიტიკაში მოდის და ნიადაგს ამზადებს? ოპოზიციასთან შეიკრნენ? მაგრამ რისი მომცემია ეს არხისთვის? ან რა შეიძლება იყოს ამ მედიაპოლიტიკის საბოლოო მიზანი: გარკვეული გარიგება და კომერციისათვის მაქსიმალური ხელშეწყობის პირობების გარანტია; ძალაუფლების გაყოფა და ქვეყნის მართვაში მონაწილეობა თუ რაიმე კიდევ სხვა, უფრო შორსმიმავალი

[1] არ არის გამოქვეყნებული. ნ.ც.

მიზანი? ერთი რამ ცხადია: ხელისუფლება ხედავს „იმედის“ გაძლიერებას, მზარდ პოპულარობას და ეს აშინებს. მეტიც, „რუსთავი 2“ ბოლო დროს გააქტიურდა და სტილი შეიცვალა, თითქოს „იმედს“ ბაძავს. ისიც არ გამოვიდეს კონტროლიდან და, სულაც, ბოლოს და ბოლოს, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ანაბარა არ დავრჩეთო.

ხელისუფლების თეზისი: სატელევიზიო არხებს (იგულისხმება „იმედი“) წინა პლანზე გამოაქვთ ტრივიალური სასამართლო პროცესები და ყურადღების მიღმა ტოვებენ მნიშვნელოვან პრობლემებს (*წაიკითხე*: მასმედია აღიზიანებს მაყურებელს და მიზანმიმართულად უქმნის განწყობას ხელისუფლების უუნარობისა და ანტიხალხური პოლიტიკის შესახებ).

თეზისის დასაბუთებათა სპექტრი: კომერციული არხი ცდილობს, მაყურებლის ყურადღება ყველა საშუალებით მიიპყროს; ცდილობს, ხელი შეუწყოს ოპოზიციური აზრების მოსახლეობაში გავრცელებას; უცხო ძალების სასარგებლოდ დესტაბილიზაციას უწყობს ხელს ქვეყანაში; ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევა სახელმწიფოს წინააღმდეგ და ნიადაგს ამზადებს სახელმწიფო გადატრიალებისთვის. იმისდა მიხედვით, თუ როგორ განვითარდება მოვლენები და შორს წავა პროცესი, ესა თუ ის დასაბუთება გახდება დომინანტური და ინსტრუქციის ფორმით მიეწოდება სახელმწიფო სტრუქტურებს და ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ ინფორმაციის საშუალებებს.

სასამართლო და სამართალდამცავი სისტემა

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება საზოგადოებას ყოფს ორ ნაწილად: ვინც ეჭვის ქვეშ აყენებს ხელისუფლების წარმომადგენელთა რაიმე ქმედებებს და ვინც არ აყენებს. პირველებს ნორმალურ მოქალაქეებად თვლის, მეორეებს კი საეჭვოდ მიიჩნევს. გირგვლიანის, რობაქიძის და მსგავსი საქმეების მნიშვნელობა რადიკალურად განსხვავებულად ფასდება საზოგადოების „ლოიალურ“ და „საეჭვო“ მხარეზე.

„საეჭვო“ მოქალაქეების აზრით, ქვეყანაში, სადაც არ არსებობს სამართლებრივი ცნობიერება და კანონის უზენაესობის ტრადიცია, საშიშია ნებისმიერი უსამართლო განაჩენი და განსაკუთრებით საშიშია ხელისუფლების მხრიდან მუნდირის

ღირსების უზენაეს პრინციპამდე აყვანა. ეს მოქალაქეს უმკვიდრებს იმ რწმენას, რომ სამართალი საერთოდ შერჩევითია და სუბიექტური, სამართლიანი განაჩენის მოლოდინი ფუჭია, სასამართლო არ არსებობს (ასეთი დასკვნა სულ უფრო ხშირად ისმის) და ადამიანმა ისევ სახელმწიფოსთვის გვერდის ავლით, პირად ურთიერთობათა და არაფორმალური შუამავლების გამოყენებით უნდა სცადოს, გადაწყვიტოს ყველა დავა. ასე, გიორგი ზერეკიძისთვის გამოტანილი განაჩენისა და მანდატურის ქმედების ხელისუფლების მხრიდან უპირობო დაცვა სამართალდამცავი ორგანოებისადმი უნდობლობის ზრდაში გადაიზარდა და პერსპექტივაში ხელს შეუწყობს დანაშაულის ზრდას, რომელსაც ვერანაირი მასობრივი დაშინება ვერ გააჩერებს. ერთადერთი ბერკეტი, რომლითაც ხელისუფლებას შეუძლია სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნება, ესაა სასამართლოს საქმეში ჩაურევლობა, შეცდომათა აღიარება (თუნდაც იძულებით და არა გულწრფელად) და ამ შეცდომათა გასწორების მცდელობა. მაგრამ ეს ნაკლებად მოსალოდნელია. არსებობს ვარაუდი, რომ სულ სხვაგვარი სცენარი ამოქმედდება.

გიორგი ხუციშვილი: კონფლიქტების მოგვარებისკენ სერიოზული ნაბიჯი არ გადადგმულა

Mar 25,2007 00:00



კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ საქართველომ ვერ შეძლო `გაყინული კონფლიქტების~ თავის დროზე მოგვარება, რამაც სიტუაცია უფრო გაართულა.

როგორც გიორგი ხუციშვილმა `მედიანიუსთან~ საუბრისას აღნიშნა, ქვეყნის ხელისუფლებას წარსულში ჰოქნდა მცდელობა, მოეწესრიგებინა მდგომარეობა აფხაზეთისა და `სამხრეთ ოსეთის~ სეპარატისტულ

გიორგი ხუციშვილი: კონფლიქტების მოგვარებისკენ სერიოზული ნაბიჯი არ გადადგმულა

„მედიანიუსი“, 2007 წ. 25 მარტი, ფოტოთი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ საქართველომ ვერ შეძლო „გაყინული კონფლიქტების“ თავის დროზე მოგვარება, რამაც სიტუაცია უფრო გაართულა.

როგორც გიორგი ხუციშვილმა „მედიანიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, ქვეყნის ხელისუფლებას წარსულში ჰქონდა მცდელობა, მოეწესრიგებინა მდგომარეობა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტულ ხელმძღვანელობასთან, თუმცა ეს იმდენად არაეფექტიანად ხდებოდა, რომ ყველაფერი უშედეგოდ დასრულდა. „ამ დროისთვის ძალისხმევა უფრო ცხინვალის რეგიონისკენაა მიმართული, ვიდრე აფხაზეთისკენ. მართალია, კოდორის ხეობას სახელწოდებაც გადაერქვა, მაგრამ იგი არც არასდროს ყოფილა სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების კონტროლის ქვეშ. აფხაზეთში პრაქტიკულად არაფერი

ხდება ისეთი, რაც იმის იმედს მოგვცემს, რომ კონფლიქტის ზონაში რაიმე შეიცვლება“, – განაცხადა გიორგი ხუციშვილმა.

მისივე თქმით, სერიოზული ნაბიჯები არც „სამხრეთ ოსეთთან“ მიმართებაში გადადგმულა, თუმცა დიმიტრი სანაკოევის ალტერნატიული მთავრობის გამოჩენა რეგიონში ორხელისუფლებიანობის დამკვიდრების გარკვეულ იმედს იძლევა. „აღსანიშნავია, რომ იმედი იმისა, თითქოს საქართველოს იურისდიქცია ცხინვალზე მალე აღდგება, არარეალურია, მაგრამ სანაკოევის ხელისუფლებას საკმაო გავლენა მაინც გააჩნია და შედეგს მხოლოდ მას შემდეგ გამოიღებს, თუ იგი ხანგრძლივი სტრატეგიული გეგმის ნაწილი იქნება. აუცილებელია კოკოითის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებმა მოსახლეობამ დაინახოს, რომ დანარჩენ ტერიტორიაზე ცხოვრება უფრო მძლავრი ტემპით ვითარდება, ამაში კი ჩვენი ქვეყნის პარტნიორებმა – ნატო-მ, ევროკავშირმა და სხვა ორგანიზაციებმა საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობით გარკვეული ინვესტიციები უნდა განახორციელონ ცხინვალის რეგიონში“, – აღნიშნა გიორგი ხუციშვილმა.

ექსპერტი ასევე მიიჩნევს, რომ კონფლიქტების მოსაგვარებლად საჭიროა მოლაპარაკებების ფორმატის შეცვლა. „ქართულ-ოსური კონფლიქტის შერეული საკონტროლო კომისია შედგება ოთხი წევრისგან, ესენია: საქართველო, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“, რუსეთი და ჩრდილოეთ ოსეთი (რომელიც რუსეთის შემადგენელი ნაწილია), ე.ი. ყველა კარდინალური საკითხის გადაწყვეტისას ჩვენი მხარე ყოველთვის გარანტირებულ უმცირესობაში იყო. ამ ფორმატის შეცვლის შესახებ დიდი ხანია მიმდინარეობს მსჯელობა, თუმცა რუსეთის ლობირების გამო მისი შეცვლა ვერ ხერხდება. როცა შეიცვლება მოლაპარაკებების ფორმატი, მსჯელობა რაიმე შედეგის მიღებაზე მხოლოდ მას შემდეგ გახდება ლოგიკური, მანამდე აზრი არ აქვს“, – დასძინა გიორგი ხუციშვილმა.



საქართველოს მასმედია და მართლმსაჯულების სისტემა ხელისუფლების პოლიტიკის ჭრილში

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, „მთელი კვირა, 2007 წ. 26 მარტი, ორშაბათი, გვ. 7, ფოტოთი

გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი:

„ევროპის ისტორიიდან და კლასიკური ლიტერატურიდან გვახსოვს, რომ პატარა ადამიანების მიმართ უსამართლო განაჩენის გამოტანას საზოგადოებრივ ცნობიერებაში მთელი გადატრიალება გამოუწვევია და ისტორიული მოვლენები დაუჩქარებია. ვნახოთ, ახლა რა ხდება დღევანდელ საქართველოში. ხელისუფლება აცხადებს: სატელევიზიო არხებს წინა პლანზე ტრივიალური სასამართლო პროცესები გამოაქვთ და ყურადღების მიღმა ტოვებენ მნიშვნელოვან პრობლემებს. საინტერესოა, რა მოტივი უნდა ჰქონდეს ამისთვის ქართულ მასმედიას?

ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ბოლო დროს გაკეთებულ შეფასებებში შემდეგი იგულისხმება: მასმედიის კრიტიკულად განწყობილი ნაწილი სპეციალურად აღიზიანებს მოსახლეობას და მიზანმიმართულად უქმნის მას ხელისუფლების

საწინააღმდეგო განწყობას. არსებობს ასეთი შეფასების დასაბუთებათა მთელი სპექტრი, რაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მიმართებაში ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გაჟღერებულა (აღმავალი სიმწვავით თუ დავალაგებთ): კომერციული არხები და გამოცემები ცდილობენ, მოსახლეობის ყურადღება ყველა საშუალებით მიიპყროს; ცდილობენ, ხელი შეუწყოს ოპოზიციური აზრების მოსახლეობაში გავრცელებას; უცხო ძალების სასარგებლოდ დესტაბილიზაციას უწყობენ ხელს ქვეყანაში; ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან სახელმწიფოს წინააღმდეგ და ნიადაგს ამზადებენ სახელმწიფო გადატრიალებისთვის და ა.შ და ა.შ.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად გამწვავდება ურთიერთობები (ან ჩინოვნიკთა შიშები) და შორს წავა პროცესები, ესა თუ ის დასაბუთება ხდება დომინანტური და სახელმძღვანელოდ მიეწოდება კონკრეტულ სახელმწიფო სტრუქტურებს და ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მყოფ ინფორმაციის საშუალებებს. ხელისუფლება თვლის, რომ გამკაცრების, დაშინების და ხალხის პროტესტის იგნორირების გზით შეიძლება საზოგადოებაში წესრიგის დამყარება და მართლმსაჯულების რეფორმის ჩატარება. სწორედ ამის შედეგად აგორდება ხოლმე ის პროცესები, რაც შემდეგ მასმედიას ბრალდება.

გირგვლიანის, რობაქიძის და მსგავსი საქმეები ქვეყანაში მართლმსაჯულების მდგომარეობის ინდიკატორია საზოგადოების უდიდესი ნაწილის თვალში. რომელ ტრივიალობაზე შეიძლება აქ საუბარი? ქვეყანაში, სადაც არ არსებობს სამართლებრივი ცნობიერება და კანონის უზენაესობის ტრადიცია, საშიშია ნებისმიერი უსამართლო განაჩენი და განსაკუთრებით საშიშია ხელისუფლების მხრიდან მუნდირის ღირსების უზენაეს პრინციპამდე აყვანა. სწორედ ეს აღიზიანებს მოსახლეობას, უკარგავს რწმენას, რომ სახელმწიფო ხალხის უფლებათა და ინტერესების დასაცავად არსებობს. სამაგიეროდ, მოსახლეობაში მკვიდრდება ის აზრი, რომ სასამართლო საერთოდ ფიქტიური ინსტიტუტია, სამართლიანი განაჩენის მოლოდინი ფუჭია და ადამიანმა ისევ ძველებურად, სახელმწიფოსთვის გვერდის ავლით, პირად ურთიერთობათა და არაფორმალური შუამავ-

ლების გამოყენებით უნდა სცადოს ყველა დავის და პრობლემის გადაწყვეტა.

გიორგი ზერეკიძისთვის გამოტანილი განაჩენისა და ხელისუფლების მხრიდან მანდატურის ქმედების უპირობო დაცვა და წახალისება სამართალდამცავი ორგანოებისადმი უნდობლობის ზრდაში უკვე გადაიზარდა. პერსპექტივაში ასეთი დამოკიდებულება, როგორც წესი, ხელს უწყობს დანაშაულის ზრდას, რომელსაც ვერანაირი დამთრგუნავი ღონისძიებები ვერ შეაჩერებს. ერთადერთი ბერკეტი, რომლითაც ხელისუფლებას შეუძლია სიტუაციაზე კონტროლის შენარჩუნება, ესაა ხალხთან დიალოგი, სასამართლოს საქმეში ჩაურევლობა, შეცდომებზე დროული რეაგირება (თუნდაც იძულებით და არა გულწრფელად) და შეცდომათა გასწორების მცდელობა.


მოძებნილია სკოლაში პოლიციური რეჟიმის ალტერნატივა

2007

მოძებნილია სკოლაში პოლიციური რეჟიმის ალტერნატივა

„ახალი 7 დღე“, 2007 წ. 30 მარტი – 5 აპრილი, გვ. 7, ჟურნალისტი მარიკა გორდელაძე

ბოლო დროს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რიცხვმა საქართველოში საგრძნობლად იმატა. განსაკუთრებით გახშირდა სკოლის მოსწავლეების მიერ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ერთმანეთის დაჭრა და მკვლელობა.

მოზარდებში გახშირებული კრიმინალის აღმოფხვრისა და დანაშაულის პრევენციის მიზნით განათლების მინისტრი სკოლებში მკაცრი კონტროლის დაწესებას, სპეციალური დეტექტორების დამონტაჟებას სკოლებში პოლიციელთა შესვლითა და მოსწავლეების ჩხრეკით აპირებს.

განათლების მინისტრის ამ პოლიტიკას საქართველოში ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა და თანასწორობის ინსტიტუტმა ხელისუფლებას სკოლებში რეჟიმის გამკაცრების ალტერნატივად თანატოლთა მომრიგებლობისა და სასკოლო მედიაციის პროგრამები შესთავაზა.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითმა ცენტრმა და თანასწორობის ინსტიტუტმა ერთობლივი ინიციატივით 28 მარტს პრესკონფერენცია გამართეს სახელწოდებით: „მედიაცია ციხის სანაცვლოდ“. პრესკონფერენციის ორგანიზატორებს მიაჩნიათ, რომ შედეგზე გალაშქრება მიზეზს ვერ მოსპობს, რომ არასრულწლოვნები ციხისათვის ვერ უნდა გავიმეტოთ, ვინაიდან ალტერნატივა არსებობს. მათი აზრით, ალტერნატივა თანატოლთა მომრიგებლობისა და სასკოლო მედიაციის პროგრამებია (Peer Mediation Programs). პროგრამები, რომლებიც წარმატებით მოქმედებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის ქვეყნებში, მათი თქმით, აუცილებლად უნდა დაინერგოს საქართველოს განათლების სისტემაში.

თანატოლთა მედიაცია არის პროგრამა, რომელიც სპეციალური ტრენინგების შედეგად საშუალებას იძლევა, გამოავლინოს ბუნებრივი ლიდერობის პოტენციალის მქონე მოზარდები და განავითაროს მათში ლიდერობის უნარ-ჩვევები; კონსტრუქციული მიმართულება მიეცეს მოზარდთა ენერგიის რეალიზებას; ხელი შეეწყოს ღია და გულწრფელი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის დამყარებას სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შორის.

შედეგად შესაძლებელი გახდება, რომ უფროსკლასელები ეფექტურად ჩაებან სკოლის მართვისა და პრობლემების მოგვარების საქმეში. მოხდება ლატენტური კონფლიქტების დროული გამოვლინება და დანაშაულებრივ ქმედებათა პრევენცია; დაქვეითდება მოზარდებში აგრესიულობის დონე; გაჯანსაღდება საერთო ვითარება სკოლებსა და სასწავლებლებში.

გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი: „პრესკონფერენცია თანასწორობის ინსტიტუტთან ერთად გავმართეთ იმისათვის, რომ საზოგადოებას გავაცნოთ პროგრამები, რომელიც ამერიკასა და ევროპაშია აპრობირებული და წარმატებით ხორციელდება. ეს არის პროგრამები თანატოლთა მომრიგებლობისა და სასკოლო მედიაციის შესახებ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს განათლების სისტემაში ეს პროგრამა

აუცილებლად უნდა დაინერგოს. ჩვენ გვქონდა მსგავი საპილოტო პროექტი რამდენიმე წლის წინ. დაახლოებით 15 სკოლაში შევძელით ამ პროგრამის დანერგვა (2001-2002 წლებში). პირველ ეტაპზე მოვამზადეთ რამდენიმე ფსიქოლოგი, შემდეგ ეტაპზე მოვამზადეთ შერეული ჯგუფები, სადაც თანატრენერებად ასევე ფსიქოლოგები მონაწილეობდნენ ჩვენს თანამშრომლებთან ერთად. მათ გაიარეს სპეციალური კურსები, თუ როგორ უნდა ემუშავათ უფროსკლასელებში. ეს ადამიანები მზადდებოდნენ იმისათვის, რომ სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და თავიანთ თანატოლებთან ერთად ჩაბმულიყვნენ კონფლიქტების ადრეულ გამოვლენაში, მოგვარებაში და სკოლაში ნორმალური ვითარების დამყარებაში, რაც, თავისთავად, მიზნად ისახავს, მოხდეს დანაშაულის პრევენცია. ეს არის ძალიან ქმედითი მეთოდი. ჩვენ გვჭირდება განათლების სამინისტროს მხარდაჭერა, რომ პროგრამის დანერგვა შევძლოთ სხვადასხვა სკოლებში. ის კურსი, რომელიც ახლა აქვს აღებული განათლების სამინისტროს – სკოლებში რეჟიმის გამკაცრება, ვფიქრობ, პრობლემას ვერ მოაგვარებს, ხოლო თუ უხეშად და გაუაზრებლად გატარდა, შეიძლება საპირისპირო შედეგიც მოგვცეს. ამიტომაც არის საჭირო ასეთი პროგრამების დანერგვა. ჩვენ საშუალება გვაქვს და ვაპირებთ კიდეც, ამ პროგრამებში ჩავრთოთ ამერიკელი სპეციალისტები. ჩემი აზრით, ეს კარგ შედეგს გამოიღებს“.


30 მარტი - 5 აპრილი 2007 წ. საქართველო 7

კოკოითს ზურგს რუსეთი უმაგრებს, მაგრამ...

მარიკა გორდელაძე

2007

კოკოითს ზურგს რუსეთი უმაგრებს, მაგრამ...

„ახალი 7 დღე“, 2007 წ. 30 მარტი – 5 აპრილი, ჟურნალისტი მარიკა გორდელაძე, ფოტოთი

ხელისუფლება „სამხრეთ ოსეთში“ შექმნილი სიტუაციის გასაკონტროლებლად დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბებას აპირებს. ინიციატივა მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. პრეზიდენტი თავისი წამოწყების შესახებ მთავრობის წარმომადგენლებს სამშაბათს მთავრობის სხდომაზე ესაუბრა, ხოლო პარლამენტს კონფლიქტურ ზონაში ახალი, დროებითი ადმინისტრაციის შექმნის შესახებ სპეციალური კანონის მიღება სთხოვა. პრეზიდენტის განცხადებით, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენები, პროვოკაციები და ქართველ სამართალდამცველებზე თავდასხმა მხოლოდ „კოკოითის ბანდიტური დაჯგუფების“ არაადეკვატური და გაუაზრებელი ქმედებების გამოხატულება გახლავთ.

ახალი ინიციატივის განხორციელების შედეგად საქართველოს პრეზიდენტს სადავო ტერიტორიაზე საკუთარი რწმუნებულიც ეყოლება. ამ თანამდებობას უეჭველად დიმიტრი სანაკოევს შესთავაზებენ. დე ფაქტო ალტერნატიული მთავრობის

ლიდერს სააკაშვილის ინიციატივა მოეწონა (რაც სატელევიზიო კომენტარებში აღნიშნა კიდეც), თუმცა ოფიციალური შეთავაზება ჯერ არ მიუღია.

ახალ ინიციატივას, უმრავლესობისგან განსხვავებით, ოპოზიცია სკეპტიკურად უყურებს. ოპოზიციის ერთი ნაწილი ინტერესდება, რამდენად შეუწყობს ხელს კონფლიქტის მოწესრიგებას „სამხრეთ ოსეთში“ დროებითი ადმინისტრაციის შექმნა, ნაწილს კი კითხვები დიმიტრი სანაკოევის ლეგიტიმაციის მიმართ უჩნდება. ოპოზიცია სააკაშვილის ინიციატივის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ხელისუფლებისგან წერილობით მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილს ახალი ინიციატივა ჯერჯერობით კანონ-პროექტის სახით არ წარმოუდგენია, ოპოზიციის მოთხოვნის დაკმაყოფილება (მეტი ინფორმაციის ფლობის შესახებ) მიხეილ სააკაშვილმა თავად გადაწყვიტა: საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა და ახალი ინიციატივის დეტალები გააცნო. ექსპერტთა აზრით, პრეზიდენტის ახალ ინიციატივაში მიუღებელი არაფერია, მაგრამ ის შედეგიანი მაშინ იქნება, თუ ხელისუფლებას კარგად გაწერილი გეგმა აქვს, რომელსაც მხარს საერთაშორისო თანამეგობრობაც დაუჭერს.

რას შეიძლება ითვალისწინებდეს პრეზიდენტის ახალი ინიციატივა და როგორი შედეგები შეიძლება მოიტანოს ახალი, თუნდაც დროებითი ადმინისტრაციის შექმნამ? ამის შესახებ „ახალმა 7 დღემ“ კომენტარი კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს, გოგი ხუციშვილს, სთხოვა.

– ბატონო გოგი, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნით რა პოლიტიკის გატარებას გეგმავს საქართველო?

– ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა, ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული გეგმის ნაწილია, იმ გეგმისა, რომელიც მიზნად ისახავს ლეგიტიმური წარმომადგენლის ფუნქციების მინიჭებას დიმიტრი სანაკოევისა და მისი მთავრობისთვის. გეგმის განხორციელების შემთხვევაში ქართულ მხარეს

ურთიერთობა ექნება სწორედ სანაკოევთან და მის მთავრობასთან. საბოლოოდ, მოლაპარაკებების გზით სამხრეთ ოსეთის ყოფილი ადმინისტრაციული ოლქის ნაწილი, რომელსაც დღეს ხელმძღვანელობს სანაკოევი, საქართველოს შემადგენლობაში შევა. საქართველოსთან გაერთიანება ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სურვილიცაა, მაგრამ ეს რომ მოხდეს, ამისათვის საჭიროა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომლებიც ჩართულნი არიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში. აუცილებელია, რომ ისინიც იზიარებდნენ საქართველოს ხელისუფლების ამ გეგმას. რას ითვალისწინებს ეს გეგმა და რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას აპირებს ჩვენი ხელისუფლება, ექსპერტებისათვის ცნობილი არ არის. გეგმის დეტალები თანდათან იკვეთება.

– **როგორც აღვნიშნეთ, კონფლიქტურ რეგიონში დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებული გეგმის ნაწილია. გარდა ამ ფაქტისა, ამ გეგმიდან არის თუ არა სხვა რამ ცნობილი?**

– გეგმის პირველი ეტაპის განხორციელება მაშინ დაიწყო, როდესაც კონფლიქტის ზონაში ალტერნატიული დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ადამიანებმა პრეზიდენტად დიმიტრი სანაკოევი აირჩიეს. დღეს სანაკოევი სწორედ ამ ხალხის სახელით საუბრობს. ეს იყო გეგმის პირველი ეტაპი. ცხადია, ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლება ვერ გაჩერდებოდა, რადგან აქ გაჩერება დესტრუქციულ შედეგს მოიტანდა. ეს ნიშნავდა, რომ ლეგიტიმაციას მივანიჭებდით დე ფაქტო ხელისუფლებას. პირველი ეტაპი გამართლებული მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ მას მეორე ეტაპი მოჰყვებოდა. მეორე ეტაპი პრეზიდენტის ახალი ინიციატივაა. იქ მცხოვრები მოსახლეობა მიიჩნევს, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა საქართველოს ნაწილი უნდა გახდეს, დაბრუნდეს საქართველოს იურისდიქციაში.

– იურიდიული თვალსაზრისით, შეუძლია თუ არა საქართველოს ხელისუფლებას, არაკონტროლირებად ტერიტორიაზე გახსნას ახალი, თუნდაც დროებითი ადმინისტრაციული ერთეული?

– შეუძლია. კონფლიქტის ზონის ნაწილი, სადაც ქართველები ცხოვრობენ, განსხვავდება მეორე, დე ფაქტო, კოკოითის მიერ კონტროლირებადი ნაწილისაგან. ყოველთვის აღვნიშნავდი, რომ ამ ტერიტორიაზე შესაძლებელი იყო, გადადგმულიყო დადებითი ნაბიჯი საქართველოს იურისდიქციის აღსადგენად, ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს. ჩემი აზრით, დღევანდელი მთავრობის ინიციატივა გარკვეული რისკის შემცველია, თუმცა ნამდვილად სწორია. ეს არის ერთადერთი შესაძლო შანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ, თუ ჩვენ გვინდა, პრობლემა ძალის გამოუყენებლად გადავჭრათ. ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება ნიშნავდა ან პირდაპირ მოლაპარაკებას კოკოითთან, რომელსაც თავად ის მხარე გამორიცხავს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ან ეს ტერიტორია ძალის გამოყენებით უნდა დაგვეკავებინა, ეს კი საერთაშორისო დონეზე ძალიან დიდ გართულებას გამოიწვევდა.

– ხელისუფლების გეგმის მეორე ეტაპის განხორციელების შემთხვევაში, როგორც თავად აღნიშნეთ, შესაძლებელია, საქართველოს იურისდიქცია გავრცელდეს სამხრეთ ოსეთის მხოლოდ იმ ნაწილზე, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ნაწილზე, რომლის პრეზიდენტი ასევე დე ფაქტო დიმიტრი სანაკოევია. ნახევარი ტერიტორიის დაბრუნება რამდენად კარგ შედეგად უნდა მივიჩნიოთ საქართველოსთვის?

– ყველაფერი, რასაც ახლა საქართველოს ხელისუფლება აკეთებს, არის ეს დროებითი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა თუ სანაკოევის ფუნქციის შეცვლა, შეიძლება ითქვას, დროებითი კარგი ნაბიჯია, თუ ამას არ მოჰყვა შემდეგი ეტაპი, კონფლიქტი ისევ გაიყინება. ტერიტორია, რომელსაც კოკოითი აკონტროლებს, დარჩება მილიტარიზებული, ჩაკეტილი და გახდება კიდევ უფრო მტრული. როგორც მოგახსენეთ, ახალი ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში ცხინვალის ტერიტორიის ნაწილი შევა საქართველოს იურისდიქციაში და

გახდება ლეგიტიმური. ეს იქნება ლეგიტიმური მხარე, რომელიც ჩაერთვება საერთაშორისო შეთანხმებებით მოლაპარაკების პროცესში. შემდეგი ეტაპი, ჩემი აზრით, უნდა იყოს ის, რომ მეორე ნაწილის მმართველს, ანუ დე ფაქტო კოკოითს, საერთაშორისო შეთანხმებებით უნდა ჩამოერთვას მოლაპარაკებების პროცესში მონაწილეობის უფლება, როგორც მხარეს. მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება რეალური, ჩვენთვის დადებითი ცვლილებები.

– **კოკოითს ზურგს ძლიერი რუსეთი უმაგრებს. როგორ ფიქრობთ, ასეთ ცვლილებებს ჩრდილოელი მეზობელი ადვილად შეეგუება?**

– რა თქმა უნდა, არა. კოკოითის უკან ყველამ კარგად ვიცით, რომ რუსეთი დგას. რუსეთი ლობირებს მას და ყველაფერს გააკეთებს, რათა ხელი შეუშალოს საქართველოს ხელისუფლებას ამ გეგმის განხორციელებაში. რუსეთს საქართველოს ამ მხარის შესანარჩუნებლად ერთ-ერთ არგუმენტად მოჰყავს ის, რომ ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსებსა და ქართველებს რუსული პასპორტები აქვთ და რომ ისინი რუსეთის მოქალაქეები არიან. ეს ხომ ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებული არგუმენტია, ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით, გეგმის სწორად განხორციელებით და საერთაშორისო საზოგადოების აქტიური ჩარევით რუსეთს სხვა გზა აღარ დარჩება. ის შეეგუება ამ ტერიტორიის დაკარგვას. ამიტომაც ვფიქრობ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადადგას.



გამოუქვეყნებელი

ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის თავისებურებანი

გიორგი ხუციშვილი, 2007 წ. 11 აპრილი[1]

ხშირად ისმის კითხვა, თუ რატომ მიდის ხელისუფლება აშკარად არაპოპულარულ ნაბიჯებზე, როდესაც სხვა გამოსავალი არსებობს? ბოლო მაგალითია ისტორიულ უბნებში 1 კვ. მეტრზე 3 ლარის მოსაკრებლის შემოღება, რაც მასობრივად დაბალშემოსავლიანი მოსახლეობისთვის საშინელი დარტყმა იქნება. ოფიციალური ვერსია, რომ ეს კეთდება ისტორიული უბნების და ძეგლების რეაბილიტაციის თანხების დასაფარად, კრიტიკას ვერ უძლებს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში უპრიანი იქნებოდა ან ბიუჯეტში თანხების მოძიება, ანდა, აუცილებლობის შემთხვევაში, მთელი მოსახლეობისთვის (და არა მხოლოდ ისტორიულ უბნებში მცხოვრებთათვის) გონივრულ ფარგლებში ახალი გადასახადის შემოღება. მაშინაც კი, თუ 3 ლარის თემა „სავაჭროდ“ იქნა შემოგდებული იმისათვის, რომ შემდგომში მოსახლეობა უფრო დაბალი ტარიფის შემოღებაზე უმტკივნეულოდ დათანხმდეს, ჩნდება უფრო მძიმე კითხვე-

[1] არ არის გამოქვეყნებული. ნ.ც.

ბი: რატომ უნდა იყვნენ დასჯილნი ის ადამიანები, რომელთა საცხოვრებელი ადგილი კულტურულ-ისტორიული ძეგლების მახლობლად აღმოჩნდა? უფრო ფართო მასებზე გადანაწილებული ხომ გაცილებით ნაკლები გადასახადი მოვა თითოეულ მოსახლეზე? ან რა აუცილებლობაა საერთოდ და სულ სხვა მიზნები ხომ არა აქვს ყველაფერ ამას?

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი პრაქტიკა სხვა ქვეყნებში არსებობს (ამ არგუმენტს ხშირად მოიშველიებენ ხოლმე), ყველგან მოსახლეობის რეალური გადამხდელუნარიანობის გათვალისწინებით დგინდება ტარიფები. საქართველოში არსებულ მძიმე სოციალურ ფონზე, ნუთუ არ ფიქრობენ იმას, რომ ქვეყანაში სოციალური დაუცველობის შეგრძნებას კიდევ უფრო აღვივებენ? და თუკი ამაზე რეაგირებას არ ახდენენ და არ ცდილობენ, მდგომარეობა განმუხტონ, ამით ხალხს აფიქრებინებენ, რომ ინვესტორებთან შეკრული ჩინოვნიკები ასეთი გზით ცდილობენ, ძველი უბნების მოსახლეობას გაუსაძლისი პირობები შეუქმნან იმისათვის, რომ განდევნონ გარეუბნებში და ქალაქების ცენტრებში სივრცე ახალი ელიტისთვის გაათავისუფლონ.

მოსახლეობაში გაჩენილი ახსნები ვარირებს: ერთი, რომ ასეთი ქმედებები ეკონომიკურ-ინსტინქტური ხასიათისაა (საჭიროა სახელმწიფო შემოსავლების ახალ-ახალი შევსება მოხდეს, რისთვისაც რაც შეიძლება მეტი ფული რაც შეიძლება მოკლე დროში რაც შეიძლება მეტი ხალხისგან უნდა იყოს აკრეფილი) და ისიც კი, რომ მოხდეს მოსახლეობის სტაბილური ყოფის მიზანმიმართული შერყევა, რათა ყველამ დაუცველად და ჩინოვნიკთა განწყობაზე დამოკიდებულად იგრძნოს თავი.

დასკვნა: ანტისოციალური პოლიტიკა.



შეფასება მარტი–აპრილი

გიორგი ხუციშვილი, 2007 წ. 17 აპრილი[1]

ქვეყანა კვლავ სავალალო მდგომარეობაშია. რა თქმა უნდა, ბევრი რამ გაკეთდა 2003 წლის ნოემბრის შემდეგ. ამავე დროს, ნუთუ წყვდიადიდან გაკეთებული რამდენიმე ნაბიჯი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მიღწევებით თავი ვიქოთ? 2007 წელია კალენდარზე, მოსახლეობის რეალური შემოსავალი კი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში. თითქმის არ შენდება მსხვილი საწარმოები. სოფლად ვერა და ვერ მოიკიდა ფეხი თანამედროვე ფერმერულმა მეურნეობებმა. ტრადიციულად განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანაში დღეს აგრომრეწველობა პრაქტიკულად აღარ არსებობს. მსხვილ ინვესტიციებზე, რომელიც ათასობით უმუშევარს დაასაქმებდა, დასავლეთის ბიზნესი დღეს ისევე იკავებს თავს, როგორც ეს შევარდნაძის პერიოდში იყო. გეოგრაფიულად, ლანდშაფტის და ბუნებრივი რესურსების თვალსაზრისით ასეთ საინტერესო ქვეყანაში ინვესტიციებისგან თავის შეკავება შეიძლება მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებდეს: ინვესტორები ქვეყანა-

[1] არ არის გამოქვეყნებული. ნ.ც.

ში არსებულ საინვესტიციო გარემოს არაუსაფრთხოდ მიიჩნევენ. რომელ უსაფრთხოებაზეა საუბარი, როდესაც, ბევრი იმ ქვეყნისგან განსხვავებით, სადაც მათ დიდი ინვესტიციები უკვე ჩადებული აქვთ, აქ არავინ ესვრის, აფეთქებს, ართმევს რამეს? კანონმდებლობაც თითქოს ნორმალურია (საგადასახადო და საბაჟო წესების გარდა, მაგრამ მათ ხომ უარეს პირობებშიც ჩაუდვიათ კაპიტალი)? საქმე ეხება ურთიერთობათა დაუწერელ წესებს, რომელიც ვერ თავსდება დასავლელი ბიზნესმენის წარმოდგენებში. ლაპარაკია არა მხოლოდ „ხალტურაზე“ მუშაობის ტრადიციაზე – ეს გამოსწორებადია – არამედ ჩინოვნიკების უპასუხისმგებლობასა და კლანობრივ მიდგომაზე, რომელნიც თვითონ არ სცემენ პატივს მათსავე მიღებულ კანონებს. პოსტრევოლუციური ჩინოვნიკი დარწმუნებულია იმაში, რომ ეს ქვეყანა მას უნდა ემსახურებოდეს და არა პირიქით. კერძო საკუთრების დაცულობის მდგომარეობა ცნობილია. ერთადერთი, რუსებთან გამოსდით საქმის კეთება და ამით აიხსნება ძალიან ბევრი. თურქებთან მსხვილი ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების წვრილი საწარმოებია.

„დაბოლება“, ჰიპნოზი

უპრინციპობის პრინციპები

პრინციპი 1. ყველაფერი მანიპულირებადია

პრინციპი 2. ხალხი – საშუალებაა, ძალაუფლება – მიზანი

პრინციპი 3. ხედი გარედან: „სახ.დეპი“, „ჰუმან რაიტს უოტჩი“, „აი-არ-აი“?

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება საზოგადოებას ყოფს ორ ნაწილად: ვინც ეჭვის ქვეშ აყენებს ხელისუფლების წარმომადგენელთა რაიმე ქმედებებს და ვინც არ აყენებს. პირველებს ნორმალურ მოქალაქეებად თვლის, მეორეებს კი საეჭვოდ მიიჩნევს. გირგვლიანის, რობაქიძის და მსგავსი საქმეების მნიშვნელობა რადიკალურად განსხვავებულად ფასდება საზოგადოების „ლოიალურ“ და „საეჭვო“ მხარეზე.

მართვის სტილის შეცვლა?

ექსცესების გარეშე ხავერდოვანი ავტოკრატიის დამყარება

კვაზი საბჭოთა მინისისტემის შექმნის ექსპერიმენტი

სისტემის ნიშნები: ჩაკეტილობა, თვითკმაროზა, ეგოცენტრიზმი; ლუსტრაციის კანონპროექტი და „თავისუფლების შეზღუდვის ინსტიტუტი“

რუსეთთან ურთიერთობა

ბილაინის შემოსვლა, ვი-თი-ბი

ვითიბი ბანკი – „ილია ჭავჭავაძის საუკეთესო მეგობარი“ (რეკლამა)

რუსეთთან გამწვავების პერიოდულობა

მენტალიტეტი და ძალაუფლება

ყველაზე ძნელი შესაცვლელია მენტალიტეტი. მას ბუნებრივად გააჩნია ინერცია, რომელიც წინააღმდეგობას უწევს მანიპულირებას. ამიტომაც ახლადდამკვიდრებულ ძალაუფლებას ყოველთვის აქვს მენტალიტეტთან ურთიერთობის პრობლემა.

მენტალიტეტი – ადამიანთა ნებისმიერი ჩამოყალიბებული ერთობის ერთ-ერთი ყველაზე მდგრადი მახასიათებელია. ეს არაა ეროვნული სულისკვეთება ან ეროვნულ-კულტურული ტრადიცია. მენტალიტეტი არის მოვლენათა აღქმის და შეფასების მასობრივი, ტიპური გზა.

საქართველოში მენტალიტეტი ითვლება ჩამორჩენილად, არაცივილიზებულად, უფრო აზიურად, ვიდრე ევროპულად. ამიტომ მას საბოლოოდ ბრალდება ყველაფერი, რაც ვერ გამოდის: აბა, ამ მენტალიტეტის ხალხთან შეიძლებოდა რამე გამოსულიყოო? აქ მენტალიტეტი ძალაუფლების განმტკიცებისათვის ხელისშემწყობ გარემოებას წარმოადგენს. გამზადებული ინდულგენციაა.

რევოლუციური ძალაუფლების ამოცანას განხორციელების შანსი რომ ჰქონდეს, მენტალიტეტთან რაღაცნაირად უნდა დაბალანსდეს (ამას მმართველ გუნდში ყველაზე უკეთესად ახერხებს პრეზიდენტი). ხანგრძლივი პერიოდის ძალაუფლება (განზრახვა კი სწორედ ასეთია) საკუთარი განმტკიცებისთვის მთავარ დამაბრკოლებელ ძალას პირველ ეტაპზე უფროს თაობაში (ძველ ელიტაში) ხედავს, ხოლო მომდევნო ეტაპზე მას უკვე ახალგაზრდა თაობა (მზარდი ელიტა) უპირისპირდება.

არსებულ მენტალიტეტთან ურთიერთობაში კი ძალაუფლების განმტკიცების ხელისშემწყობ ფაქტორს ტოტალიტარული ეპოქის კოლექტიური მეხსიერება და გამოცდილება წარმოადგენს, ანუ სწორედ ის თვისებები, რაც აღმოსაფხვრელია და დასაძლევი. წინააღმდეგ შემთხვევაში, სრულიად გაუგებარი დარჩებოდა, თუ საიდან აღმოაჩნდებათ ხოლმე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაზრდილ ბიჭუნებს და გოგონებს საბჭოური მიდგომა და მართვის სტილი.

პოსტტოტალიტარული საზოგადოების ცნობიერების მანიპულირება ზუსტად იმით უნდა მოხდეს, რაც ადვილად მუშაობს: რას დაიჯერებს ქართველი კაცი უფრო ადვილად, იმას, რომ ყველაფერი ისმინება, ყველა ერთმანეთის ჩაშვებაზეა გადასული, მოსამართლეები პროკურატურის დაკვეთებით მოქმედებენ თუ პირიქით? ხოდა ესაა, რაც შესაძლებელს ხდის ძალაუფლების ამოცანის განხორციელებას: მთავარი ის კი არ არის, რომ ყველა მუდმივად კონტროლის ქვეშ იყოს, არამედ ის, რომ ხალხს სჯეროდეს, რომ ეს ასეა.

როდესაც საზოგადოებაში საფრთხეების გაცნობიერების პროცესი მიმდინარეობს (სადაც გადაჭარბებები ბუნებრივია), ხოლო ხელისუფლება ამ პროცესს დასცინის, ამითაც ხალხში გარკვეულ საფრთხეებს აღვივებს და ადასტურებს: თუ ბევრ ადამიანს სჯერა, რომ ამ ხელისუფლებას არა აქვს განზრახული დემოკრატიის შენება და „ხავერდოვანი ავტოკრატია“ აქვს ჩაფიქრებული, ხოლო ხელისუფლები ამას იგნორირებას უკეთებენ, ამით ამ ადამიანებს ეუბნებიან: თქვენ სწორედ გეჩვენებათო. თუ ძალისმიერი სტრუქტურების ძალისმიერ ქმედებებზე და მხოლოდ მათზე ხელისუფლებისგან ისმის ქება და წახალისება, მოსახლეობას უღვივდება უსამართლობის დამცველი რეჟიმის განმტკიცების და გამკაცრების მოლოდინი. შეგნებულად თუ შეუგნებლად ხდება ეს? რატომ აიძულებს ხელისუფლება ხალხს, უფრო მეტად გაიდებილონ თავი, ვიდრე ეს აბსოლუტურად აუცილებელია? ეს ხელისუფლების ხალხთან ურთიერთობის არჩეულ სტრატეგიაზეა დამოკიდებული.

ძალაუფლების ამოცანას აადვილებს ციკლური სქემა, რომლის შიგნით ყველაფერი უნიფიცირებულია, რომელიც აბ-

სტრაჰირებულ ხალხს უნივერსუმის შიგნით, ხოლო კონკრეტიზებულ მტერს უნივერსუმის გარეთ ათავსებს: „ანა ელ ჰაგგ“, (მე ვარ ჭეშმარიტება), „ნაროდ ი პარტია ედინი“ და ა. შ. შესაბამისად, ხორცმეტები ხალხს ადვილად შეუძლია ამოიცნოს.

რა არის პრეზიდენტის რეიტინგის შემანარჩუნებელი მექანიზმები? გულწრფელობის შთაბეჭდილებას ტოვებს, კეთილი განზრახვები ამოძრავებს, აფხაზეთი სტკივა (გაიხსენეთ, როგორ არ მოსცილებია თვითმფრინავის ფანჯარას, როდესაც აფხაზეთს გადაუფრინა), წურბელებს და პარაზიტებს აცილებს ხოლმე ხალხს. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ემოციების სფეროა? ჰოდა, ამაშია ქართული მენტალიტეტის თავისებურება, რომელსაც მშვენივრად იყენებენ: ემოციური მხარე ფაქტობრივს განსაზღვრავს. გარდა ამისა, შეჩვეული როლის ფარგლებში ყოფნა სტაბილურობის ფაქტორია: პოლიტიკოსს თუ ისტერიული ტონი ახასიათებს, შეიძლება ჯობდეს კიდევაც, ეს ტონი შეინარჩუნოს, იმასთან შედარებით, თუ რა რეაქციები შეიძლება გამოიწვიოს უფრო წყნარ ტონზე გადასვლამ.

ტერიტორიული მთლიანობა

საქართველოში დავა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვუწოდოთ დღემდე გადაუჭრელ კონფლიქტებს – ეთნიკური, პოლიტიკური, ეთნოპოლიტიკური, ეთნოტერიტორიული, ტერიტორიული თუ სხვა, ვერასდროს ვერ გადაწყდება, ყოველთვის კი დარჩება საშიშროება, რომ, საქმის კეთების მაგივრად, გადავყვებით ტერმინების გამო ერთმანეთის გინებას და, შეიძლება, „ბრიყვების“ კვალიფიკაციაც კი დავიმსახუროთ. ბევრჯერ მინახავს, ტერმინების გამო როგორ შესკდმიან ერთმანეთს საქმიანი დისკუსიისთვის შეკრებილი ადამიანები და ეს გრძელდებოდა გაუთავებლად, თუკი იმ დასკვნამდე არ მიდიოდნენ, რომ ყველაფერი ეს სინამდვილეში საქართველო-რუსეთის კონფლიქტია. ასეთ შემთხვევაში ტერმინოლოგიური დავა წყდებოდა და ზოგჯერ საგნობრივი საუბარიც გაგრძელებულა. ამ ფენომენს ფსიქოლოგიური ახსნა გააჩნია, რაც პასუხისმგებლობის გასხვისებასთანაა დაკავშირებული. რუსეთი, რა თქმა უნდა, დაინტერესებული მხარეა და კონფლიქტების გამღვივებელი და მანიპულატორია (ანუ მე-

სამე მხარეა), მაგრამ, როგორც კი მას კონფლიქტის მეორე მხარედ გამოვაცხადებთ, გვეკარგება კონფლიქტის ის მხარე, ვის გვერდით ცხოვრება გვიწევს და ვისთანაც დალაპარაკების გარეშე პრობლემას ვერ გადავწყვეტთ. აქაც ფსიქოლოგიური სარჩულია: ამბიციური ხალხის თავმოყვარეობისთვის მტკივნეულია იმისი გაცნობიერება, რომ პატარა მოწინააღმდეგე ვერ მოარჯულე; გარდა ამისა, დამამცირებელია მოლაპარაკების წარმოება იმასთან, ვისაც შენთან საერთო არაფერი უნდა. ამიტომ რუსეთზე მთელი აქცენტის გადატანა ერთგვარ გამოსავლად გამოიყურება. მართალია, ამით რეალურ მეორე მხარეს აუქმებ; სამაგიეროდ, იგებ პოლიტიკურად და „ძლიერი პოზიციიდან“ შეგიძლია ეჩხუბო იმას, ვისთანაც, ძალთა უთანაბრობის გამო, პირდაპირი შებრძოლება მაინც არ მოგიწევს. ჩვენი საზოგადოებაც კოლექტიური არაცნობიერის სიღრმეებიდან ამოტივტივებული ამ დავითისა და გოლიათის არქეტიპულ შებრძოლებას შეჰყურებს.

საქართველოში არსებული კონფლიქტებისადმი საქართველოს ხელისუფლების არჩეული საერთო მიდგომაა დე ფაქტო ხელისუფლების ბოიკოტი, მათი დელეგიტიმაცია და მარგინალიზაცია, მოლაპარაკებებზე ფაქტობრივი უარის თქმა (მოლაპარაკებებისთვის „წინაპირობების გარეშე“ დეკლარირებული მზადყოფნის საწინააღმდეგოდ), სეპარატისტთა ბანაკში პრობლემების გაღვივებისათვის ხელის შეწყობა, კონფლიქტის ზონების იმ ნაწილში გამაგრება, სადაც სეპარატისტთა კონტროლი ვერ ხორციელდება, ასეთი ტერიტორიების გამოყოფა და იქ საქართველოს იურისდიქციის ეტაპობრივი აღდგენა. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ სეპარატისტებისთვის თავსმოხვეულმა დაყოფამ (ორი აფხაზეთი, ზემო და ქვემო; ორი სამხრეთ ოსეთი) სეპარატისტებს გარესამყაროსთან ურთიერთობა უნდა გაურთულოს და საერთაშორისოებიც უნდა დააბნიოს: მაინც რომელთან დავიჭიროთ საქმეო? ეს რისკიანი და რთული, მაგრამ შანსის შემცველი გზაა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს გლობალურ პარტნიორებთან შეთანხმებული და ხანგრძლივი დროით (სტატუს-კვოს არადესტრუქციულ შეცვლამდე) გათვლადია. წინააღმდეგ შემთხვევაში წამგები-

ანია და ქვეყნის ინტერესებისთვის დიდი საშიშროების შემცველია, ვინაიდან ხელს უწყობს კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის ზრდას, საზღვრების ჩაკეტვას და ტერიტორიის მილიტარიზაციას, მოსახლეობის სეპარატისტული მთავრობის გარშემო კონსოლიდაციას, ქართული მხრიდან ძალის გამოყენების საფრთხის მუსირებას, საერთაშორისოების მხრიდან უფრო ფრთხილ პოლიტიკას და რუსეთისთვის მიცემული კარტბლანშის გაგრძელებას. გარდა ამისა, არსებობს თუ არა შანსი, საქართველომ არსებული რესურსებით ეს გეგმა ხელშესახებ შედეგამდე მიიყვანოს? ერთი ეტაპია კოდორის ხეობაში და სამაჩაბლოს რამდენიმე სოფელში გამაგრება (მათი სპეციფიკის გათვალისწინებით). სულ სხვა და გაცილებით ძნელია, გასცდე ამ ტერიტორიებს და აფხაზეთის და სამაჩაბლოს დანარჩენი ტერიტორიის რომელიმე ნაწილში იმავე შედეგს მიაღწიო. პირველმა ეტაპმა სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა რიგებში გარკვეული დაძაბულობა გამოიწვია, მაგრამ ესეც ჩვენ წინააღმდეგ შემოტრიალდება, თუ აღმოჩნდება, რომ მეორე ეტაპი მიუღწეველია ან საერთოდ არ ყოფილა გათვლილი. არადა, ჯერჯერობით ასეთი პირი უჩანს.

სეპარატისტების იგნორირება ქართული საზოგადოების ერთ ნაწილს იმპონირებს (მოტივები: თუ ისინი ჩვენთან შეუთავსებელ პოზიციას არ თმობენ, აბა, რაზე ველაპარაკოთ; მოლაპარაკების გზა ხომ საერთოდ ფიქციაა; „ომით წართმეულის მშვიდობით დაბრუნება, აბა, ვის გაუგია“ და ა. შ.). რომელ აფხაზებზეა ლაპარაკი, აქიშბაიაა ნამდვილი აფხაზი; მთელი დევნილი მოსახლეობა – ესაა აფხაზები. ანუ აფხაზები განისაზღვრებიან არა ეთნიკური, არამედ ტერიტორიული პრინციპით. სეპარატისტთა გამაღიზიანებელი თემის წამოწევა არ გვაშინებს, ისინი კი შეიკვრებიან კიდევ უფრო მეტად ქართველების წინააღმდეგ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, თუ ვიცით, რომ ჩვენი მატარებელი საბოლოოდ მაინც სოხუმში იქნება.

დიმიტრი სანაკოევის მთავრობას ღიად გაეწევა მხარდაჭერა: პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა ის, რასაც ერიდებოდა ყველა ოფიციალური პირი. შეიცავს თუ არა ეს სეპარატისტული ხელისუფლების ლეგიტიმაციის მომენტს? რა თქმა

უნდა, შეიცავს. რა ისეთი უპირატესობა შეიძლება ჩვენ ამის სანაცვლოდ გამოგვივიდეს, რომ ეს რისკიანი ნაბიჯი გამართლებული იყოს? ბევრი ასე მსჯელობს, რა მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ მხარეს: სამაჩაბლო იკარგება, სანამ რუსეთს ბოლომდე ანექსირება არ გაუკეთებია, ყველა საშუალება უნდა ვცადოთ და გამოვიყენოთ. რა ვქნათ, თუ ამ ორხელისუფლებიანობამ კოკოითის მხარეზე ცვლილებები არ გამოიწვია? რით შეიძლება დამთავრდეს ყველაფერი? არსებობს სერიოზული საშიშროება, რომ რუსეთი წავა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივ აღიარებაზე. მართალია, მაშინ მას ენგრევა ის დასაბუთების ჯაჭვი, რაც აქამდე ჰქონდა: პასპორტები რიგდებოდა და კონფლიქტის ზონის მოსახლეობა რუსეთის მოქალაქეებად ცხადდებოდა თითქოსდა ჰუმანიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე, რათა შეუმსუბუქდეს მოძრაობა და ცხოვრება, მოემატოს დაცულობის ხარისხი ქართული აგრესიის მუდმივი საფრთხის პირობებში. ახლა კი ნათელი გახდება ამის უკან არსებული მოტივები: რუსეთს სეპარატისტთა მხარდაჭერა იმიტომ სჭირდებოდა, რომ თვითონ იყო დაინტერესებული ამ ტერიტორიების მითვისებით.

ვაპირებთ თუ არა ცვლილებისკენ მიმართული რაიმე ზემოქმედების მოხდენას სამხრეთ ოსეთის იმ ნაწილში, რაც კოკოითს ექვემდებარება? ერთადერთი, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, ესაა სანაკოევის მხარეზე ისეთი პროგრამების განხორციელება და ცხოვრების დონის ისეთი ამაღლება, რომ ცხინვალში ხალხმა მღელვარება დაიწყოს: ეს ვის ხელში ვართო, დახეთ, იმ მხარეზე რა კარგად წაუვიდათ საქმეო. ახლა ვიფიქროთ, რამდენად რეალურია, რომ ეს უახლოეს წლებში მიღწეული იქნება. ამავე დროს, თუ სტატუს-კვოს შეცვლის შანსი გაჩნდა, მოსკოვში შეიძლება ამას არ დაელოდონ და ცალმხრივად ცნონ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. სარისკო თამაშია, ვინ ვის დაასწრებს, მაგრამ ყველა შემთხვევაში პროაქტიული როლი უფრო გამართლებულია.

თავისთავად, უთუოდ კარგია, რომ კოდორის ხეობა დღეს ჩვენია. ამავე დროს, ის ხომ სეპარატისტთა ხელში არასდროს ყოფილა? ვთქვათ, გავიდა დრო, გავმაგრდით და ავითვისეთ

ზემო აფხაზეთი, მერე რა? თუ ეს იმისთვის კეთდება, არჩევნების წინ სათქმელი იყოს, აფხაზეთის პრობლემა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გადავწყვიტეთო, ეს არ გამოდგება. კოდორის ხეობა არც ადრე ექვემდებარებოდა სოხუმის ხელისუფლებას და არც აფხაზეთის დაბრუნება შეიძლება ნაწილ-ნაწილ დაითვალოს (90-იანი წლების ბოლოს მუსირებდა აფხაზეთის გაყოფის და გალის რაიონის ცალკე დაბრუნების გეგმა, მაგრამ საქართველოში არავის სერიოზულად არ მიუღია). თუკი ეს კეთდება იმიტომ, რომ კოდორიდან სოხუმამდე ახლო მანძილია და სეპარატისტები თავდასხმის საფრთხის მუდმივი წნეხის ქვეშ იყვნენ, მათ ამან შეიძლება რადიკალური ზომებისკენ უბიძგოს. არ შეიძლება ამას არ ვითვალისწინებდეთ. იქნებ, ჩვენს ხელისუფლებას ზემო აფხაზეთისთვის სწორედაც რომ გამაღიზიანებლის ფუნქცია აქვს მინიჭებული? მაგრამ რისთვის? ის, რომ ხეობის დასაცავად მზად არ ვართ, ამასწინანდელმა დაბომბვამ უკვე უჩვენა, ხოლო თავდაცვის ძალებს საგრძნობლად ვერ გავზრდით, ამას საერთაშორისო შეთანხმებები გვიკრძალავენ.

გალის მოვლენები („კმარა“ და პარტიზანები)

რეგიონული და გლობალური ასპექტები

თითქმის მთელი პოსტსაბჭოური განვითარების პროცესში ეკონომიკის არარსებობის და გადაუჭრელი კონფლიქტების პირობებშიც კი ჩვენი ქვეყანა მაინც ინარჩუნებდა კავკასიის გასაღების, ევრაზიული დერეფნის და კიდევ ბევრ სხვა ეპითეტს. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ პერიოდში საქართველომ დაკარგა კავკასიის რეგიონის ლიდერი ქვეყნის სტატუსი. კავკასიის ცენტრმა უკვე კარგა ხანია, ბაქოში გადაინაცვლა.

საქართველოს შიდაპოლიტიკა სულ უფრო ემსგავსება მეზობელთა შიდაპოლიტიკას. მიმდინარეობს სამივე ქვეყნისთვის დამახასიათებელი შიდაპოლიტიკური წყობის და მმართველობის სტილის ჰომოგენიზაციის პროცესი.

არსებობს გარკვეული კანონზომიერება, რომელი ხალხი რომელ ქვეყანაში რამდენ ხანს უთმენს ხელისუფლებას, სანამ აჯანყდება.



დღის შეკითხვა

რა გავლენას იქონიებს გლობალურ პოლიტიკაზე აშშ-ს საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც ერთი კვირის წინ გამოქვეყნდა; რამდენად ხელსაყრელი პოლიტიკური კონიუნქტურა ჩამოყალიბდება საქართველოსთვის?

შტატების შიდა პოლიტიკური ცხოვრებაში, ვერანაირად ვერ შეცვლის უკვე ჩამოყალიბებულ საგარეოპოლიტიკურ მიდგომებს. ყოველ შემთხვევაში, არსებობს რიგი საკითხებისა, რომლის შესახებაც ამერიკის მმართველ ელიტაში კონსენსუსია. ამგვარი კონსენსუსი საქართველოსთან მიმართებაშიც არსებობს.

გოგი ხუციშვილი,
კონფლიქტოლოგი:

2007

რა გავლენას იქონიებს გლობალურ პოლიტიკაზე აშშ-ის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც ერთი კვირის წინ გამოქვეყნდა: რამდენად ხელსაყრელი პოლიტიკური კონიუნქტურა ჩამოყალიბდება საქართველოსთვის

„24 საათი", 2007 წ. 20 აპრილი, #84, გვ. A4, ჟურნალისტი ვერიკო თევზაძე, ფოტოთი

ერთია, როცა აშშ იღებს თავის სტრატეგიულ დოკუმენტს, რომელშიც გამოხატულია საქართველოსადმი მხარდაჭერა და ჩვენი პოზიციების გაგება. ამგვარი მხარდამჭერები ამერიკის სამთავრობო დოკუმენტებში ბოლო დროს აშკარად ჩანს.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ არ არის საკმარისი. ამერიკა ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა. მისი გადაწყვეტილებები ეფექტურად მოქმედებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილებში. ჩვენ, რატომღაც, ვერ მივაღწიეთ იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს პოზიციაზე გავლენა მოახდინოს.

საქართველოსთვის აუცილებელია, შეიცვალოს კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების შეფასება საერთაშორისო მასშტაბით.

ამას წინათ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა მკაცრად ილაპარაკა რუსეთის როლზე კონფლიქტებთან მიმართებაში. მის კრიტიკულ გამოსვლას არანაირი გავლენა არ მოუხდენია გაერო-ში უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

ნახეთ, რა ხდება: იმისათვის, რომ გაერო-ს 15 ოქტომბრამდე დამკვირვებელთა მისია გაეგრძელებინა, საჭიროდ ჩათვალა, რეზოლუციაში დსთ-ს სამშვიდობო ძალების საქმიანობა დადებითად შეეფასებინა. თუ წლების განმავლობაში მიღებულ რეზოლუციებს ერთმანეთს შევადარებთ, გამოდის, რომ გაერო კოლექტიურად უხდის რუსეთს მადლობას. მთელი პოსტკონფლიქტური წლების განმავლობაში რუსეთის სამშვიდობო ძალები, თურმე, კარგ საქმეს აკეთებენ.

უნდა ვიგრძნოთ, რომ სიტუაცია მართლა ჩვენ სასარგებლოდ იცვლება. ამერიკის მთავრობის მიერ მიღებულმა ამგვარმა დოკუმენტებმა, აშშ-ის პოზიციებმა გავლენა უნდა მოახდინოს უშიშროების საბჭოს რეზოლუციასა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებზე, რომლებიც ჩვენს კონფლიქტებს ეხება.



რას უნდა ველოდოთ და რას – არა კონფლიქტის ზონებში

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მენიერებათა დოქტორი, „მთელი კვირა“, 2007 წ. 23 აპრილი, #103 (5262) გვ. 6, ფოტოთი

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით საზოგადოებას ბოლო იმედი ეწურება; გაერო ერთმანეთზე უფრო არაფრისმთქმელ და კონფლიქტების კიდევ უფრო „გამყინავ“ რეზოლუციებს იღებს. საქართველოს ხელისუფლების მიერ არჩეული მიდგომა კი დე ფაქტო ხელისუფლების ბოიკოტი (რაც ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს იმპონირებს კიდევაც) და პირდაპირ მოლაპარაკებებზე ფაქტობრივი უარის თქმაა (მოლაპარაკებებისთვის „წინაპირობის გარეშე“ დეკლარირებული მზადყოფნის საწინააღმდეგოდ). სტრატეგიად არჩეულია კონფლიქტის ზონების იმ ნაწილში გამაგრება, სადაც სეპარატისტთა კონტროლი ვერ ხორციელდება და იქ საქართველოს იურისდიქციის ეტაპობრივად აღდგენა. რა მოკლევადიან და გრძელვადიან შედეგებს უნდა ველოდოთ ამ სტრატეგიისგან?

იდეა, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ სეპარატისტებისთვის თავსმოხვეულმა დაყოფამ (ორი აფხაზეთი, ზემო

და „ქვემო“, ასევე, ორი „სამხრეთ ოსეთი“) გარესამყაროსთან მათი ურთიერთობა უნდა გაართულოს და საერთაშორისოებიც უნდა დააბნიოს: მაინც, რომელთან დავიჭიროთ საქმეო? ეს რისკიანი და რთული, მაგრამ შანსის შემცველი გზაა იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს გლობალურ პარტნიორებთან შეთანხმებული და ხანგრძლივი დროით (სტატუს-კვოს არადესტრუქციულ შეცვლამდე) გათვლილია. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თამაში წამგებიანია და ქვეყნის ინტერესებისთვის დიდი საშიშროების შემცველი, ვინაიდან ხელს უწყობს კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის ზრდას, პროვოკაციებს, საზღვრების ჩაკეტვას, ტერიტორიის მილიტარიზაციას და ქართული მხრიდან შეიარაღებული ძალის გამოყენების საფრთხის შესახებ ხმების მუსირებას, რაც, თავის მხრივ, აუცილებლობით იწვევს დასავლეთის მხრიდან კიდევ უფრო ფრთხილ პოლიტიკას და რუსეთისთვის მიცემული კარტ-ბლანშის გაგრძელებას.

არსებობს თუ არა შანსი, ხელისუფლებამ არსებული რესურსებით არჩეული გეგმა ხელშესახებ შედეგამდე მიიყვანოს? ერთი საქმეა კოდორის ხეობაში და სამაჩაბლოს რამდენიმე სოფელში გამაგრება (რაც, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით, რეალურად მიღწევადი იყო), ხოლო სულ სხვა და გაცილებით ძნელია, გასცდე ამ ტერიტორიებს და აფხაზეთის და სამაჩაბლოს დანარჩენი ტერიტორიის რომელიმე ნაწილში ანალოგიურ შედეგს მიაღწიო. პირველმა ეტაპმა სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა რიგებში გარკვეული დაძაბულობა გამოიწვია, მაგრამ ესეც ჩვენ საწინააღმდეგოდ შემოტრიალდება, თუ აღმოჩნდება, რომ მეორე ეტაპი მიუღწეველია ან საერთოდ არ ყოფილა გათვლილი. არადა, ჯერჯერობით ასეთი პირი უჩანს.

ვაპირებთ თუ არა ცვლილებისკენ მიმართული რაიმე ზემოქმედების მოხდენას სამხრეთ ოსეთის იმ ნაწილზე, რომელიც კოკოითს ექვემდებარება? ერთადერთი, რაც შეიძლება წარმოვიდგინოთ, ესაა სანაკოევის მხარეზე ისეთი აღმშენებლობის პროგრამების განხორციელება და ცხოვრების დონის ისეთი ამაღლება, რომ ამან ცხინვალში ხალხის მღელვარება გამოიწვიოს: ეს ვის ხელში ვართო, ნახეთ, იმ მხარეზე რა კარგად წაუვიდათ საქმეო. ახლა ვიფიქროთ, რამდენად რეალურია, რომ

ეს უახლოეს წლებში მიღწეული იქნას (ჯერჯერობით კოკოითი რუსული ფულით გაცილებით მაღალ პენსიებსა და ხელფასებს უხდის თავის მოსახლეობას). ამავე დროს, ცხადია: ახლა გაჩერება აღარ შეიძლება და ამ კონკრეტულ პროექტს მაქსიმალურად მხარი უნდა დაეჭიროს.

რაც შეეხება აფხაზეთს, ვთქვათ, გავიდა დრო, გავამაგრეთ და ავითვისეთ ზემო აფხაზეთი, ამის შემდეგ რა? თუ ეს იმისთვის კეთდება, არჩევნების წინ სათქმელი იყოს, აფხაზეთის პრობლემა მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც გადაწყვეტილიაო, ეს არ გამოდგება: არც კოდორის ხეობა ექვემდებარებოდა აქამდე სოხუმის ხელისუფლებას და არც კონფლიქტის მოგვარება შეიძლება, ნაწილ-ნაწილ დაითვალოს.

საბოლოო ჯამში, თუკი კონფლიქტის ზონებთან დაკავშირებულ ძალთა და გავლენათა სისტემაში სერიოზული ცვლილება არ მოხდა, ამჟამად წარმოებული პოლიტიკის უმაღლესი შედეგი შეიძლება იყოს საქართველოს იურისდიქციის აღდგენა ზემო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონის სანაკოევის კონტროლის ქვეშ მყოფ ნაწილში. გალის რაიონიდან სეპარატისტთა გასვლის სცენარი (ენგურის გამყოფი ფუნქციის მნიშვნელობის გათვალისწინებით) შეიძლება რეალური გახდეს მხოლოდ დანარჩენ აფხაზეთზე საქართველოს მხრიდან ხელის აღების შემთხვევაში. ასეთი ვარიანტი შეიძლება გაჩნდეს, თუ სეპარატისტებმა კრიტიკულ ვითარებაში იგრძნეს თავი (მაგალითად, საქართველოს ნატო-ში შესვლასთან დაკავშირებით). ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენი აფხაზეთის ფასად გალის „ყიდვა“ ქართული მხარისთვის როდისმე შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს. ჩემი აზრით, ასეთ ვარიანტზე საქართველოს ხელისუფლება არასდროს არ უნდა წავიდეს, ვინც უნდა გვირჩევდეს ასეთ გამოსავალს. გვეუბნებიან, ჩვენი მატარებელი სოხუმში მაინც ჩავაო და ამ დროს საკითხის საბოლოო გადაწყვეტაზე გათვლილი სახელმწიფო სტრატეგიის რაიმე მინიშნებაც კი არ ჩანს.



გიორგი ხუციშვილი გაკვირვებას გამოთქვამს ყუბანის კაზაკთა შეიარაღებული ძალების ატამანის ივან ბუზუგლის განცხადების

გიორგი ხუციშვილი: კაზაკები აფხაზეთში წარმატებით მკვიდრდებიან

მედიანიუსი", 2007 წ. 27 აპრილი, „ფოტოთი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილი გაკვირვებას გამოთქვამს ყუბანის კაზაკთა შეიარაღებული ძალების ატამანის, ივან ბუზუგლის, განცხადების გამო, რომელიც ქართველებისგან აფხაზების წინააღმდეგ მიმართული აგრესიის შესახებ საუბრობს. გიორგი ხუციშვილის თქმით, კაზაკებსა და აფხაზებს შორის მართლაც არსებობს ისეთი ურთიერთობა, რომ საომარი მოქმედებების დროს ერთმანეთს გვერდში დაუდგნენ, მაგრამ რატომ დასჭირდა კაზაკთა წარმომადგენელს ქართველების წინააღმდეგ მსგავსი განცხადებების ამჟამად გაკეთება, ექსპერტისთვის გაუგებარია.

როგორც გიორგი ხუციშვილმა „მედიანიუსთან" საუბრისას აღნიშნა, ბუზუგლის განცხადება, შესაძლოა, თავად საკუთარი თავის გაპიარებისკენ იყოს მიმართული. „ამ დროისათვის არაფერი ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე ისეთი, რომ ბუზუგლის განცხადება ჩემთვის გასაგები იყოს. ეს ხალხი ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირებისას აფხაზების მხარეს

იბრძოდა, ყოველთვის ამტკიცებდნენ, რომ დაიცავდნენ მოძმე აფხაზებს და ასე შემდეგ, მაგრამ ეს იყო მაშინ, როცა სიტუაცია მართლაც მწვავე იყო, ახლა კი კონფლიქტი ფაქტობრივად გაყინულია, საქართველოს მხრიდან არავითარი მუქარა, მიმართული საბრძოლო მოქმედებების განახლებისაკენ, არ არსებობს და არც თავად აფხაზეთში ხდება ისეთი რამ, რის გამოც საჭირო გახდება კაზაკების ჩარევა. კაზაკებს, ან, ვთქვათ, ჩეჩნებს, ჩერქეზებს, ვინც უნდა იყოს, გააქტიურების საბაბი არ აქვთ და, როგორც ჩანს, ბუზუგლი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს", – განაცხადა გიორგი ხუციშვილმა.

მისივე თქმით, კაზაკები აფხაზეთში წარმატებით მკვიდრდებიან და მათი რაოდენობა არაღიარებული რესპუბლიკაში საკმაოდ მაღალია. „რამდენადაც ვიცი, აფხაზები კაზაკებს მისაღებ ფასებში აძლევენ საცხოვრებელ ფართებს, ნაკვეთებს და ისინიც ძალიან მშვენივრად გრძნობენ თავს ზღვისპირეთში", – დასძინა პოლიტოლოგმა.

ცნობისათვის: ივან ბუზუგლი აცხადებს, რომ კაზაკები ქართველებს მოძმე აფხაზების წინააღმდეგ აგრესიის უფლებას არ მისცემენ და დაანახვებენ, ვინ არის აფხაზეთში მასპინძელი. „ჩვენ შეგვიძლია იმ „ძლიერი" სპეცდანაყოფებისთვის ადგილის მიჩენა, რომელსაც ასე აქებენ ქართველები და ამერიკელები", – აღნიშნავს ბუზუგლი.


კონფლიქტებისა და მოლაპარკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ ამ დროისათვის ნატოს წევრი თითქმის ყველა ქვეყანა ფაქტობრივად, მზად არის საკუთარ რიგებში მიიღოს საქართველო, თუმცა ყველაფერი თავად ოფიციალურ თბილისზეა დამოკიდებული.

საუბრისას აღნიშნა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ყველაზე ს ქვეყანა გერმანია და საფრანგეთი იყო. თუმცა საფრანგეთში ქვეყნის რუსულ ორიენტაციაზე საუბარი უკვე აღარ შეიძლება. ილოატლანტიკური ალიანსის ყველა წევრი ქვეყანა და მათ შორის ოს ნატოში გაწევრიანებას მხარს დ[illegible] როგორ ნსაღარ ამის თქმა [illegible], რადგან ჩვენს ქვეყანას ნატოში რდება", - ექსპერტმა გიორგი ხუციშვილმა.

პარამეტრების დახვეწის გარეშე აუცილებელი ყველას დანახოს ნამიკა. ნატოში გაწევრიანების აუცილებელი პირობაა შიდა აქვს პრობლემების მოუგვარებლობა. კონფლიქტები ეს ავტომატურად შევძლებთ მოვიდეს და დავანახოთ ყველას, რომ შეგვიძლია დარტებსაც ვახორციელებთ, შესაძლოა ამ ყველაფერმა საქართველოს აანების საკითხი რეალურად დასვას დღის წესრიგში, მაგრამ თუ სამხედრო მოქმედებები, ვერ ჩამოვყალიბდებით ნამდვილ ატოში შესვლის საკითხი საეჭვო გახდება და საერთაშორისო – დასძინა ექსპერტმა.

ქვეყნის ხელისუფლება ნატოს სტანდარტებს ასრულებს ჯარის

5/24/2007

შიდა პრობლემების მოუგვარებლობის გამო ნატო-ში გაწევრიანება, შესაძლოა, უვადოდ გადაიდოს

„მედიანიუსი“, 2007 წ. 8 მაისი, ფოტოთი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ ამ დროისათვის ნატო-ს წევრი თითქმის ყველა ქვეყანა, ფაქტობრივად, მზად არის, საკუთარ რიგებში მიიღოს საქართველო, თუმცა ყველაფერი თავად ოფიციალურ თბილისზეა დამოკიდებული.

როგორც ექსპერტმა „მედიანიუსთან“ საუბრისას აღნიშნა, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ყველაზე გამორჩეული პრორუსული ორიენტაციის ქვეყანა გერმანია და საფრანგეთი იყო. თუმცა საფრანგეთში ნიკოლა სარკოზის გამარჯვების შემდეგ ქვეყნის რუსულ ორიენტაციაზე საუბარი უკვე აღარ შეიძლება. „დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა წევრი ქვეყანა და მათ შორის საფრანგეთი და გერმანიაც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას მხარს დაუჭერს, თუმცა როგორ წარიმართება პროცესები მომავალში,

წინასწარ ამისი თქმა რთულია, რადგან ჩვენს ქვეყანას ნატო-ში შესვლამდე კიდევ რამდენიმე წელი დასჭირდება“, – განაცხადა გიორგი ხუციშვილმა.

მისივე თქმით, საქართველომ, სამხედრო პარამეტრების დახვეწის გარდა, აუცილებელია, ყველას დაანახვოს კონფლიქტების მოგვარების დადებითი დინამიკა. „ნატო-ში გაწევრიანების აუცილებელი პირობაა შიდა სტაბილურობა და როდესაც ქვეყანას აქვს მოუგვარებელი კონფლიქტები, ეს ავტომატურად არასტაბილურობას ნიშნავს. თუკი ჩვენ შევძლებთ მომდევნო პერიოდში დავანახოთ ყველას, რომ შეგვიძლია კონფლიქტების მოგვარება და ნატო-ს სტანდარტებსაც ვასრულებთ, შესაძლოა, ამ ყველაფერმა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების საკითხი რეალურად დასვას დღის წესრიგში, მაგრამ თუ გამწვავდება სიტუაცია და განახლდება სამხედრო მოქმედებები, ვერ ჩამოვყალიბდებით ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოდ, ჩვენი ნატო-ში შესვლის საკითხი საეჭვო გახდება და საერთაშორისო მხარდაჭერას აუცილებლად დავკარგავთ“, – დასძინა ექსპერტმა.

ამასთან, გიორგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყნის ხელისუფლება ნატო-ს სტანდარტებს ასრულებს ჯარის მშენებლობის, საერთაშორისო ვალდებულებების საკითხში, მაგრამ რაც შეეხება ადამიანის უფლებების დაცვას, სასამართლოს დამოუკიდებლობას, სამართალდამცავი ორგანოების მუშაობას – ამ მხრივ სერიოზული დარღვევები და ჩავარდნებია. „დრო გავა, გვეყოლება ძლიერი ჯარი, მაგრამ სხვა პრობლემების მოუგვარებლობის შემთხვევაში ჩვენი ნატო-ში გაწევრიანების პროცესი უვადოდ გადაიდება“, – განაცხადა გიორგი ხუციშვილმა.


„საქართველოს რეალური პერსპექტივა სწორედ ნატოს რკალის შეკვრით იწყება“

2007

„საქართველოს რეალური პერსპექტივა სწორედ ნატო-ს რკალის შეკვრით იწყება“

„კვირის პალიტრა“, 2007 წ. 4-10 ივნისი, გვ. 3, ჟურნალისტი დაჩი გრძელიშვილი, ფოტოთი

თუ გასული კვირის მოვლენებს გადავხედავთ, ყველაზე მნიშვნელოვანი კვლავაც კრიმინალური ვითარება აღმოჩნდება. ზვიად ცეცხლაძის მკვლელობა ნათელი მაგალითია იმისა, რომ სადამსჯელო ღონისძიებებით, პრეზიდენტის უშუალო მუქარით და ქუჩაში ხალხის დახვრეტით კრიმინალური ვითარების მოწესრიგება შეუძლებელია. სხვათა შორის, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბიზნესმენის მკვლელობა რეკორდულ დროში გაიხსნა – ალბათ, სამართალდამცავებმა გულით იმიტომაც მოინდომეს, რომ დღეს შინაგან საქმეთა სამმართველოებში მომუშავე მაღალჩინოსანი ახალგაზრდები თავის დროზე ზვიად ცეცხლაძის დაცვაში მუშაობდნენ და მისგან ბევრი სიკეთე ახსოვთ – ისევე, როგორც ბევრ ჩვენს სხვა თანამემამულეს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ადამიანი ყაჩაღებს ფულის გამო მოუკლავთ ან უწამებიათ იმიტომ, რომ გადამალულ ფულს არ აჩენდა, მაგრამ სამჯერ დახმარების გაწევის შემდეგ მეოთხედ

იარაღით მიხტომოდნენ – უფრო მეტი რად არ მომეციო, ეს უკვე ყველანაირ წარმოდგენას სცდება. არა მხოლოდ ხელისუფლებას, ზოგადად საზოგადოებას, ამ ტრაგედიის შემდეგ დიდი დაფიქრება გვმართებს – საით მივდივართ და ვის ვემსგავსებით, რა იქნება იმ საზოგადოების საბოლოო სახე, სადაც 15 წლის ბავშვები ერთმანეთს გულში ტყვიას ახლიან, სადაც 14 წლის გოგონას სადისტურად კლავენ, სადაც ეკლესიებს ხელაღებით ანგრევენ და სადაც ქველმოქმედს უპოვარები უსწორდებიან... გასული კვირის ბოლოს საზოგადოების სამსჯავროზე მობილური ტელეფონით გადაღებული კიდევ ერთი ამბავი გამოჩნდა – მასწავლებელი, რბილად რომ ვთქვათ, მოსწავლეს სცემდა. რასაკვირველია, პედაგოგი სამსახურიდან გაათავისუფლეს და სკოლის ადმინისტრაციამაც ამაყად განაცხადა, კონფლიქტი ამოწურულია, დამნაშავე გათავისუფლებულია სამსახურიდანო. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, დაზარალებული მოსწავლე მასწავლებელს თავში ტყემლებს ესროდა(?) და ეს მიზანში სროლით გართობა მანამდე გაუგრძელებია, სანამ პედაგოგმა წონასწორობა არ დაკარგა. ბუნებრივია, პედაგოგობა მხოლოდ განათლებას არ გულისხმობს – ისიც უნდა შეგეძლოს, რომ ბავშვებთან საერთო ენა გამონახო და თავი ტყემლის სამიზნედ არ გაიხადო, მაგრამ მეორე არანაკლებ საინტერესოა – თითისტოლა ბავშვის სწავლაში რომ ხუთას და ექვსას დოლარს გადაიხდი (ი-ეს-ემი ერთ-ერთი პრესტიჟული, ძვირადღირებული სასწავლებელია) და მერე ის ბავშვი, სხვათა შორის, ასევე ძვირადღირებულ ტყემალს ჩანთაში ჩაიყრის და შუა გაკვეთილზე მასწავლებელს თავში დაუშენს, მეთოდოლოგიაში მის მშობელსაც პედაგოგზე არანაკლებად უნდა უჭირდეს. საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე უფრო კონკრეტულად პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილს ვესაუბრებით.

– სახელისუფლებო პარტიის ლიდერებმა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელობასთან ერთად ოსური კულტურის ცენტრი გახსნეს. გამომსვლელებმა ოსი და ქართველი ხალხის დაახლოებასა და მეგობრობაზე ისაუბრეს, მეორე მხრივ კი, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების აგრესია უფრო და უფრო იზრდება – კო-

კოითმა ქართულ სოფლებს სასმელი წყალი კიდევ ერთხელ გადაუკეტა. ამ ყველაფრის ფონზე რამდენად შედეგიანი აღმოჩნდება სანაკოევისა და საქართველოს ხელისუფლების თანამშრომლობა?

– დროთა განმავლობაში ჩემი დამოკიდებულება ამ პროექტის მიმართ იცვლებოდა. იყო პერიოდი, როცა ყოველივე პოლიტიკურ ავანტიურად, ხოლო გაწეული რისკი არაკეთილგონივრულად მიმაჩნდა. ახლა უნდა ვაღიარო, რომ გეგმის პირველმა ეტაპმა საკმაოდ წარმატებით, მშვიდობიანად ჩაიარა და მას თავისი პირველი შედეგები აქვს. რაც შეეხება თავად გეგმას – ერთი შეხედვით, ის ორმაგი სტანდარტების მატარებელია და უარყოფითი დამოკიდებულება მის მიმართ გასაგებიც არის – სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც თავიდან ბოლომდე სეპარატისტული მოსაზრებებით იყო გაჯერებული, ოფიციალურ თბილისთან შეთანხმებით, რამდენიმე ლოიალურად განწყობილმა პირმაც მიიღო მონაწილეობა, ანუ გამოვიდა, რომ თბილისი დათანხმდა, კოკოითის შემოთავაზებული წესებით ეთამაშა. ეს ხდება მაშინ, როდესაც ანალოგიურ არჩევნებში მონაწილეობისათვის, ოღონდ ამჯერად აფხაზეთის შემთხვევაში, გალის ქართველ მოსახლეობას მოღალატეებად აცხადებდნენ. თავისთავად ამ ფაქტორმაც ერთგვარი გაურკვევლობა წარმოშვა. თუმცა ის, რისი მიღწევაც აფხაზებთან ჯერჯერობით ძნელია, იოლად მოხერხდა სამხრეთ ოსეთთან. დიმიტრი სანაკოევის სახით საქართველოს ხელისუფლებამ არჩევნებში გამარჯვებულად ის პირი ცნო, რომელიც თბილისთან მშვიდობიანი ურთიერთობისა და მეგობრობის მომხრედ გამოდიოდა. სანაკოევის გავლენა ცხინვალის ზონაზე მთლიანად არ გავრცელებულა, ის მხოლოდ შუაში მოქცეულ იმ ქართულ სოფლებს შეეხო, რომლებსაც ქართული იურისდიქცია ბოლომდე ვერ სწვდებოდა, თუმცა, ამავე დროს, მათ ვერც კოკოითის სეპარატისტული რეჟიმი აკონტროლებდა. ოფიციალური თბილისი სანაკოევის ადმინისტრაციის მეშვეობით სრულად ახორციელებს კონტროლს ამ სოფლებზე და მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც ზრუნავს, რაც ძა-

ლიან კარგი და მისასალმებელი ფაქტია. ბუნებრივია, ამისი გაკეთება ადრეც შეიძლებოდა და ეს საჭიროც იყო, მაგრამ შევარდნაძის ხელისუფლებას საამისო პოლიტიკური ნება არ ჰქონდა. ახალ ხელისუფლებას ნებაც გააჩნია და ბერკეტებიც.

– ის ცდილობს, კოკოითის ხელისუფლება წონასწორობიდან ისე გამოიყვანოს, რომ მშვიდობიან ფარგლებს არ გასცდეს. სწორედ ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და გამართლებული.

– ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით კონფლიქტის ზონაში რაიმე დადებითის მიღწევა შეუძლებელია. თუნდაც ყველაზე კარგად დაგეგმილი და განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შედეგად შეგიძლია ტერიტორია დაიკავო, მაგრამ მის შენარჩუნებაზე გაცილებით მეტი პრობლემა შეიქმნება, ვიდრე მანამდე იყო. ესკალაციით მხოლოდ საპირისპირო ეფექტის მიღება შეიძლება. ასე რომ, რაც შეეხება ცხინვალთან დაკავშირებით განხორციელებული გეგმის პირველ ნაწილს, აქ ყველაფერი საკმაოდ წარმატებულად განვითარდა. მომდევნო ეტაპზე სანაკოევი საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მიიწვიეს და ცხინვალის ორმაგი ხელისუფლებიდან ამ გზით ერთ-ერთის ლეგალიზება მოხდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ხელისუფლება სწორედ სანაკოევის მეშვეობით ახორციელებს კონფლიქტის ზონაში ეკონომიკურ საქმიანობას.

თუ ყველა პროექტი რეალურად დაიძრა და განვითარდა, ცხინვალის მიმდებარე ქართულ სოფლებში გაიყვანენ გზას, მოხდება ელექტროფიკაციის სრულყოფა, დაიგება გზები, განვითარდება კომუნიკაციები და სხვა ინფრასტრუქტურები. ანუ, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, ამ, თუ არ ვცდებით, 24 სოფლის მოსახლეობას აქვს პერსპექტივა, საქართველოს დანარჩენ მოსახლეობაზე უკეთესი პირობები შეექმნას.

– შესაბამისად, შედარების გაკეთების საშუალება ექნება კოკოითის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხსაც...

– ბუნებრივია, ისინი თავად განსაზღვრავენ, სად ჯობია ცხოვრება, სიდუხჭირესა და კლანური ბატონობის პირობებ-

ში თუ ეკონომიკურად ძლიერ, მზარდი პერსპექტივის მქონე საქართველოსთან ერთიანობაში – ასეთ პირობებში კოკოითს უკმაყოფილო ელექტორატი უნდა მოუმრავლდეს, უნდა დაიწყოს საპროტესტო გამოსვლები თუ არა, მისი საწინააღმდეგო მითქმა-მოთქმა მაინც ცხინვალის ადგილობრივ ოს მოსახლეობაში და ა.შ. მაგრამ სწორედ აქ ჩნდება მეორე ეტაპთან დაკავშირებული საფრთხეებიც და კითხვებიც – სანაკოევიც და კოკოითიც ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალს, ერთსა და იმავე ხალხს რომ აკონტროლებდნენ, მაშინ ეს პოლიტიკა ღია კონკურენციის სახეს მიიღებდა და, ბუნებრივია, საბოლოოდ გაიმარჯვებდა ის, ვისაც ხალხი დაუჭერდა მხარს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ როდესაც სამხრეთ ოსეთის რეგიონის ორხელისუფლებიანობაზე ვსაუბრობთ, აქ პრაქტიკულად გაყოფილ ტერიტორიაზე გვაქვს მსჯელობა – შუაში მოქცეული, ძირითადად, ქართული სოფლების სახით, სანაკოევს თავისი სამოქმედო არეალი აქვს, კოკოითს კი – თავისი. სეპარატისტები ყოველნაირად ცდილობენ, საკუთარი მოსახლეობა დააშინონ და გააუცხოონ. ამისთვის ისინი ყველანაირ ხერხს გამოიყენებენ – შედეგად, შერიგების ნაცვლად, შეჯიბრებაში ჩართული მოსახლეობა კიდევ უფრო დაუპირისპირდება ერთმანეთს. საუკეთესო შედეგი იქნება, თუ სანაკოევის ადმინისტრაცია თავის სამოქმედო ზონაში წარმატებას ისე მიაღწევს, რომ ესკალაცია არ მოხდება და რუსეთი კოკოითს ხელისუფლებას ჩამოართმევს. სხვათა შორის, რუსულ პრესაში იმდენად ხშირად აკრიტიკებენ კოკოითს, რუსი პოლიტოლოგები კი სეპარატისტების ლიდერის უუნარობასა და უმოქმედობაზე იმდენს ლაპარაკობენ, ეს პროცესი უკვე დაწყებულად შეიძლება ჩაითვალოს. რუსებს უკვე მიაჩნიათ, რომ კოკოითმა ვერაფერი დაუპირისპირა სანაკოევისა და ოფიციალური თბილისის მეგობრულ გაერთიანებას. თუმცა ამ ყველაფრის შედეგად, რუსეთი სამხრეთ ოსეთის სათავეში ახალ კოკოითს მოიყვანს – ან უფრო ნიჭიერს ან უნიჭოს და ყველაფერი ისევ თავიდან დაიწყება. ამიტომაც, უფრო და უფრო აქტიური და პრობლემური ხდება საქართველოს კონფლიქტური ზონების მოგვარების ფორმატში რუსეთის როლის გადახედვა. მოგეხსენებათ,

რომ ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირებაზე ოთხმხრივი კომისია მუშაობს: ერთი მხარეა – საქართველო, მეორე – რუსეთი, მესამე – ჩრდილოეთ ოსეთი, ანუ ისევ რუსეთი და მეოთხე – სამხრეთ ოსეთი, ანუ ისევ და ისევ რუსეთი. არ ვიცი, რა ჰქონდა თავში იმ ადამიანს, ვინც საქართველოს მხრიდან ასეთ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და ამაზე დათანხმდა.

– ეს 1994 წელს შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში მოხდა და მაშინ თავს იმართლებდნენ – სხვაგვარად საქართველო დაიღუპებოდაო. ფაქტია, რომ მას შემდეგ რუსეთს საქართველოს კონფლიქტებში მანიპულაციისა და მოქმედებისათვის სრული თავისუფლება აქვს და იმას აკეთებს, რაც გაუხარდება.

– ბაღაფშმა უკვე გაავრცელა „საგანგაშო“ განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო კონფლიქტის მოგვარების ფორმატიდან რუსეთის გამოყვანას ცდილობს და ეს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შანსებს, უბრალოდ, გააქრობს. როგორც ჩანს, „დიდი რვიანის“ შეხვედრის წინ ასეთი „საფრთხე“ მართლაც არსებობს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ ამ შეხვედრის წინ ბუშმა პუტინი თავის საუკეთესო მეგობრად გამოაცხადა, შესაძლებელია პირიქითაც მოხდეს – რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ან სხვა „გლობალური“ საკითხების სანაცვლოდ საქართველო თავის კონფლიქტებიანად დახურდავდეს.

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ურთიერთობას დაამყარებს ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთთან. თუ ვაშინგტონს რუსეთისთვის სამაგიეროს გადახდა ან მისთვის ძალების დემონსტრირება დასჭირდა, მან შეიძლება ყველაფერი გააკეთოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით – რასაკვირველია, საქართველოს სასარგებლოდ. არის მეორე, უფრო ზოგადი მომენტიც – ევროპასაც და ამერიკასაც რუსეთი აქტიური კონტროლის ქვეშ სურთ ჰყავდეთ – ასე უფრო დაცული იქნებიან. კონტროლი კი მაშინ განხორციელდება, როდესაც რუსეთის გარშემო ნატო-ს წევრი სახელმწიფოების სახით დემოკრატიული სარტყელი შეიკვრება. საქართველოს რეალური პერსპექტივაც სწორედ აქ იწყება. თავად განსაჯეთ

– სერიოზული მოლაპარაკება მიმდინარეობს მოლდოვასთან იმის თაობაზე, რომ მას დნესტრისპირეთს უპრობლემოდ და უომრად გადასცემენ იმ შემთხვევაში, თუ ნეიტრალიტეტს გამოაცხადებს და ნატო-ზე უარს იტყვის. ეს რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევაში ზემოხსენებული დემოკრატიული სარტყელი რუსეთის გარშემო ვეღარ შეიკვრება. რაც შეეხება საქართველოს და მის რეალურ შანსს, კოკოითის ხელისუფლება მოლაპარაკებათა ფორმატიდან სანაკოევის ხარჯზე ამოვარდეს, აქ ბევრი კითხვა ჩნდება. უმთავრესი კი მათგან ეს გახლავთ – რამდენად დროული და საჭირო იყო სანაკოევის ხელისუფლებისა და ოფიციალური თბილისის ლეგალიზება. აქ უფრო და უფრო რეალურია საფრთხე იმისა, რომ რუსეთმა შეიარაღებული კონფლიქტის ესკალაცია სცადოს და შემდეგ თავის გამართლებების ტრადიციული საშუალებები გაჩნდეს, თუ, რასაკვირველია, საქართველოს სხვა, უფრო დიდი და გლობალური ბერკეტების იმედი არ აქვს – ასეთი შეიძლება იყოს ამერიკის შეერთებული შტატების, საერთაშორისო თანამეგობრობის და გაერო-ს უშიშროების საბჭოს მხარდაჭერა. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, დიდი პოლიტიკის დღის წესრიგში იმდენად გლობალური საკითხები დგას, არავინ იცის, რამდენად სერიოზულად დაფიქრდება დასავლეთი ცხინვალის ბედზე.

– რთული საერთაშორისო ვითარების მიღმა სიტუაცია მთლად დალაგებული არც საქართველოშია. უფრო და უფრო მძაფრდება სურათი წინააღმდეგობისა – ერთი მხრივ, ნულოვანი ტოლერანტობაა, მეორე მხრივ კი – უკიდურესად გამწვავებული კრიმინალური ფონი. ალბათ, ამ სფეროში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, ზვიად ცეცხლაძის მკვლელობის განზოგადებაც შეიძლება...

– ამ საკითხზე მსჯელობისას, პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ დღეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. კიდევ უფრო საშიში ტენდენცია ფენების დიფერენცირება გახლავთ, ადრე გაჭირვებული მოსახლეობა მდიდრების მიმართ უფრო ტოლერანტული იყო. როგორც ჩანს, მასობრივმა დაპატიმრებებმა და

ქუჩაში განხორციელებულმა დახვრეტებმა შედეგი გამოიღო – მოსახლეობის უქონელ ნაწილს აგრესია გაუჩნდა. ნულოვანი ტოლერანტობა ახსენეთ – პრობლემა ის კი არ არის, რომ ხელისუფლება წესრიგს არ იცავს ან ამისი სურვილი არ აქვს, პრობლემა თავად წესრიგის დაცვის კონცეფციაში მდგომარეობს – არ შეიძლება ერთს, ვთქვათ, იმავე პროკურორს, ყველაფრის უფლება ჰქონდეს და მეორეს კი – არაფრის. ჩვენთან კანონის უზენაესობა მოისპო და სწორედ ესაა მთავარი პრობლემა. სანამ ვიცხოვრებთ ქვეყანაში, სადაც სამართალდამცველი სამართალზე მაღლა იდგება, კრიმინალური ვითარება კიდევ უფრო დამძიმდება.

– ალბათ, ამ წინააღმდეგობის ნათელ მაგალითად გასულ კვირაში მომხდარი ფაქტიც შეიძლება გამოდგეს.

– ჩვენ კადრებში ვნახეთ, როგორ გაუსწორდა ფიზიკურად მასწავლებელი მოსწავლეს. არის ლაპარაკი იმაზეც, რომ ეს ერთეული შემთხვევა არ არის და, მიუხედავად ამისა, ბოლო დროს მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაული ერთი-ორად მომრავლდა.

მოზარდებიც სწორედ იმას აკეთებენ, რასაც უფროსების ქცევაში ხედავენ – აკეთებენ იმას, რაც სურთ და თვლიან, რომ თუ ვინმეს გირგვლიანის ცემით მოკვლა შერჩა, მათაც ყველაფერი შერჩებათ. რიგ შემთხვევაში ასეც ხდება ხოლმე. ამიტომაც კიდევ ერთხელ დაბეჯითებით გავიმეორებ, რომ წესრიგი ქვეყანაში, ქუჩაში, სახლებში არ დამყარდება, თუ, პირველ რიგში, სახელმწიფო სისტემა არ დგას თავისი მოწოდების სიმაღლეზე.



რუსეთს ცხინვალში დამატებითი ძალები შეჰყავს

„კოკოითი ცდილობს არეულობის პროვოცირებას“

„რეზონანსი“, 2007 წლის 5 ივლისი, #176 (5335), გვ. 1, ჟურნალისტი თამთა ქარჩავა, ფოტოთი

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კონფლიქტის ზონის ქართულ სოფლებში ქართველი ძალოვანი სტრუქტურების ქვედანაყოფების დიდი რაოდენობაა თავმოყრილი. მათივე ინფორმაციით, ზნაურის რაიონის ქართულ სოფელ ავნევში 4 ივნისს, 10:10 საათზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობა და შეიარაღებით სავსე 7 სამხედრო მანქანა შევიდა. კონფლიქტის ზონაში დამატებითი ძალების შეყვანასთან დაკავშირებით ცხინვალის ინფორმაციას არ ადასტურებს სამშვიდობო ძალების სარდალი მამუკა ყურაშვილი. მისი განცხადებით, რეგიონში არანაირი დამატებითი ძალები არ შესულა. ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროშიც.

მიუხედავად იმისა, რომ ერგნეთის საგუშაგოსთან კარვები დაიშალა, რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლობა-

ში კონფლიქტის ზონაში დამატებითი ძალების შეყვანის შესაძლებლობაზე ალაპარაკდნენ. მათი მტკიცებით, სოციალური პრობლემის მოგვარების მოთხოვნით გამართული აქცია რეგიონში ხელოვნურია. რეგიონში დამატებითი ძალების შესაძლო შემოყვანასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ თბილისში. ქართველი ექსპერტების განცხადებით, რუსული მხარე რეგიონში კონტინგენტს ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად ვერ შეიყვანს. რატომ ალაპარაკდა რუსეთი რეგიონში დამატებითი ძალების შესაძლო შეყვანასთან დაკავშირებით და არსებობს თუ არა კოკოითის რეგიონიდან გაყვანის შესაძლებლობა? ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „რეზონანსი“ გთავაზობთ ინტერვიუს კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილთან.

„რეზონანსი“: რუსეთის სამშვიდობო ძალების შტაბში კონფლიქტის ზონაში დამატებითი ძალების შეყვანას არ გამორიცხავენ. როგორ ფიქრობთ, რას შეიძლება ემსახურებოდეს ეს განცხადება?

გიორგი ხუციშვილი: რუსეთის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია, იქ გაიზარდოს რუსეთის სამშვიდობო ძალების კონტინგენტი, მაგრამ ცალმხრივად, ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად, ამისი გაკეთება არის ოთხმხრივი შეთანხმების დარღვევა. მე მგონია, რომ ქართული მხრიდან შესაბამისი ორგანოები გააკეთებენ გარკვეულ განმარტებას. რუსები ჩვენ გვადანაშაულებენ, რომ რევოლუციის შემდეგ გავზარდეთ ბლოკ-საგუშაგოების რაოდენობა და ამბობენ, რომ ის დაყვანილი უნდა იყოს იმ რაოდენობამდე, რაც ჯდება შეთანხმების ფარგლებში.

ქართული მხრიდან საგუშაგოების გაზრდას თავისი მიზეზი ჰქონდა. კერძოდ ის, რომ რეალურად არსებობდა საფრთხე ქართული სოფლებისთვის. სამშვიდობოთა რაოდენობის გაზრდა აუცილებლად უნდა იყოს ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილება. არ შეიძლება, ბატალიონში ჯარისკაცთა და ოფიცერთა რაოდენობა გაზარდოს რუსულმა მხარემ ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად.

„რ“: რუსული მხარის განცხადებით, კონტინგენტის რაოდენობის გაზრდა ვითარების შესაძლო ესკალაციის აღსაკვეთად არის საჭირო.

გ.ხ.: ეს მათი შიშებია. ხედავენ, რომ ძალიან გააქტიურდა ქართული პოლიტიკა ამ რეგიონთან მიმართებაში, მათ შორის, საერთაშორისო დონეზეც. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, ის 8 მილიონი ევრო, რომელიც გამოყოფილი იყო ცხინვალის რეგიონის სარეაბილიტაციო პროგრამისთვის, მოხმარდება სანაკოევის კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიის რეაბილიტაციას.

ეს არის სერიოზული გადაწყვეტილება. წარმომიდგენია, რა რეაქცია ჰქონდა ცხინვალს ამაზე. რა თქმა უნდა, ახლა ელოდებიან ვითარების კიდევ უფრო გამძაფრებას, ეს გამძაფრება არაა დაკავშირებული რაიმე თავდასხმასთან. ამ ვითარებაში ქართული მხარის ინტერესებში არაა, დაძაბოს ვითარება. ცხინვალზე ხორციელდება საერთაშორისო ზეწოლა. მოსკოვმაც შეიძლება რაღაცა ფინანსური დარღვევა აღმოუჩინოს კოკოითს. ამ პირობებში, რა თქმა უნდა, ცხინვალის რეჟიმს სჭირდება, გარკვეული გამართლება მოძებნოს თავისი არსებობის გახანგრძლივებისათვის. ასეთი გახანგრძლივების არგუმენტი იქნება სიტუაციის დაძაბვა.

„რ“: არსებობს ინფორმაცია, რომ ცხინვალში შემოყვანილია მოხალისეთა რაზმები, რომლებიც განლაგებული არიან ჯავის რაიონში. როგორ ფიქრობთ, გამოიწვია თუ არა დამატებითი ძალების შემოყვანის აუცილებლობა ერგნეთში მიმდინარე მოვლენებმა?

გ.ხ.: დამატებითი ძალების შემოყვანა მოხდა იმისთვის, რომ შიგნით მოხდეს მობილიზაცია. კოკოითი ამტკიცებს, რომ არსებობს თავდასხმის საფრთხე. სინამდვილეში არსებობს პოლიტიკური საფრთხე მისი რეჟიმისა და არა მოსახლეობისთვის. ცხინვალისთვის იდეალური ვარიანტია, ცხინვალის მოსახლეობა შეიარაღდეს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულ მოხალისეებთან ერთად, დადგნენ ცხინვალის სადარაჯოზე და ამით მოახდინონ ძალის დემონსტრირება.

„რ“: რამდენად არსებობს კოკოითის რეგიონიდან გაყვანის შესაძლებლობა? რამდენიმე დღეა, ამაზე აქტიურად საუბრობენ.

გ.ხ.: ნამდვილად არის ამაზე საუბარი, რომ შეიძლება, მოსკოვმა გაიყვანოს კოკოითი, რომელიც ვერ ფლობს სიტუაციას. ასეთი ვარაუდები გამოითქვა. კოკოითი და მისი ჯგუფი ამზადებს ნიადაგს იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს. არადა, მისი გაწვევის შანსი არსებობს. მოსკოვიდან გამოყოფილი თანხები დაიკარგა, მოლაპარაკებებში ეს ადამიანი არ მონაწილეობს. შეიძლება, მოსკოვმა უფრო ჭკვიანი და მოხერხებული ვიღაც მოძებნოს, ვინც ჩაანაცვლებს კოკოითს. თუ მართლა მიაღწია კოკოითმა იმას, რომ რეგიონში დაძაბა ვითარება, უფრო მეტი შანსია, დარჩეს.

„რ“: კოკოითმა გამოთქვა სურვილი, შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს. როგორ ფიქრობთ, უნდა შეხვდეს თუ არა სანაკოევის ფიგურის არსებობის შემთხვევაში სააკაშვილი დე ფაქტო პრეზიდენტს?

გ.ხ.: როგორც ვხვდები, ეს არ მოხდება. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა აგებულია სანაკოევის საერთაშორისო ლეგიტიმაციის სურვილზე. ამ ვითარებაში სააკაშვილისა და კოკოითის შეხვედრა ნიშნავს იმას, რომ საქართველო კოკოითს აღიარებს, როგორც კონფლიქტის მხარეს და ამან, შეიძლება, ხელი შეუშალოს სანაკოევის ლეგიტიმაციას. ამიტომ, ჩემი აზრით, ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლება ამას არ გააკეთებს.


სოხუმში რუსეთის მიმართ ნდობა ქრება
გოგი ხუციშვილი: „აფხაზები მიხვდნენ, რომ რუსეთის იქით დიდი, საინტერესო სამყაროა“
ელზა წიკლაური
2007
რეზონანსი

სოხუმში რუსეთის მიმართ ნდობა ქრება

გოგი ხუციშვილი: „აფხაზები მიხვდნენ, რომ რუსეთის იქით დიდი, საინტერესო სამყაროა“

„რეზონანსი“, 2007 წ. 17 აგვისტო, გვ. 5, ჟურნალისტი ელზა წიკლაური, ფოტოთი

„აფხაზებისთვის ადრე რუსეთი მთელი სამყარო იყო, ახლა კი იქ პოზიციები შეიცვალა. სოხუმში კარგად დაინახეს, რომ ეს ასე არ არის, რომ რუსეთის იქით უფრო მიმზიდველი და საინტერესო სამყაროა. ამის გამო აფხაზეთში დისკომფორტს გრძნობენ“, – აცხადებს „რეზონანსთან“ საუბარში კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი და დასძენს, რომ აფხაზეთში ევროატლანტიკური ალიანსისკენ ფარული მისწრაფება უკვე არსებობს.

რა ხდება აფხაზეთში და როგორ ხვდებიან დე ფაქტო ხელისუფლების წევრები საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების სურვილს? არსებობს თუ არა ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების პროცესის განახლების პერსპექტივა და როდის შეიძლება, აფხაზები მოლაპარაკებათა

მაგიდას მოუსხდნენ? ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „რეზონანსი“ კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილს ესაუბრა.

გიორგი ხუციშვილი: რამდენიმე დღის წინ სოხუმში ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ორგანიზებით სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივებთან დაკავშირებით შეხვედრები გაიმართა. ამ შეხვედრაზე საუბარი იყო იმაზე, თუ რა დონეზეა საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, რა პროგრამებშია საქართველო ჩართული და ა.შ. ამ შეხვედრაში, გარდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წარმომადგენლებისა, გერმანიისა და ბულგარეთის წარმოგზავნილი ექსპერტებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ამ კონფერენციის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა აფხაზ პოლიტიკოსებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან. მართალია, აფხაზები საქართველოსთან ერთიან სამართლებრივ სივრცეში ყოფნაზე უარს ამბობენ, მაგრამ, ამავე დროს, ის პოზიცია, რაც ადრე რუსეთის მიმართ ჰქონდათ, ნელ-ნელა იცვლება. სოხუმში კარგად ხედავენ, რომ რუსეთი მათ ევროპისკენ გზას არ უხსნის და ახალი ბაზრებისა თუ გზების ძიებაში არიან. ჩვენ ავუხსენით, რომ თუ ისინი საქართველოსთან ერთიან სამართლებრივ სივრცეში იქნებიან, ევროპაშიც შევლენ, მაგრამ ამაზე არ თანხმდებიან.

„რ“: რატომ განელდა რუსეთის მიმართ ნდობა აფხაზეთში? ეს ხომ არ უკავშირდება დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის პროაფხაზურ ორიენტაციას?

გ.ხ.: რუსეთის მიმართ ნდობის განელება ბაღაფშის პროაფხაზურობაში არ მდგომარეობს. უბრალოდ, აფხაზეთში კარგად მიხვდნენ, რომ რუსეთმა ისინი გამოამწყვდია იმ ნაჭუჭში, საიდანაც ამდენი წლის განმავლობაში ვერ გამოდიან. სწორედ ამის გამო შეიცვალა რუსეთის მიმართ პოზიციები.

აფხაზებისთვის ადრე რუსეთი მთელი სამყარო იყო, ახლა კი იქ პოზიციები შეიცვალა. სოხუმში კარგად დაინახეს, რომ ეს ასე არ არის, რომ რუსეთის იქით უფრო მიმზიდველი და საინტერესო სამყაროა. ამის გამო აფხაზეთში დისკომფორტს გრძნობენ.

„რ“: აფხაზეთში ევროატლანტიკური ალიანსისკენ სწრაფვას ხმამაღლა აღიარებენ?

გ.ხ.: ამაზე სოხუმში ღიად არავინ საუბრობს, ერთადერთი, დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის განცხადება არსებობს, სადაც ის ხმამაღლა ამბობს, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესი აფხაზეთს არ აშინებს. ამის გარდა აფხაზეთში არაფერს ამბობენ და ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების სურვილს ღიად არ აფიქსირებენ.

სოხუმში სურთ, რომ ევროპის ნაწილი არა კავკასიის ცალკეული ქვეყნები, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასია გახდეს. ამ დროს კი საზღვრების საკითხი სხვანაირად დგება, ნებისმიერი ტერიტორია ევროკავშირის დაცვის ქვეშაა. მაგრამ ერთობლივ მომავალს ვერ ხედავენ. ამაზე ხმამაღლა, მართალია, არავინ საუბრობს, თუმცა კერძო საუბრებში აღიარებენ ამ მისწრაფებას. ღიად კი, რუსეთის ფაქტორის გამო, საკუთარ პოზიციას არ იცვლიან. ამიტომ კარგი იქნება, რომ მოხდეს საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლა ან განხორციელდეს ახალი პროექტები, სადაც ქართველები და აფხაზები ერთობლივად იქნებიან ჩართულები.

„რ“: როგორ ფიქრობთ, აფხაზების ეს სურვილი საქართველოსთან ინტეგრაციის პროცესს ხომ არ შეუწყობს ხელს?

გ.ხ.: რა თქმა უნდა, ამისი შანსი არსებობს, მაგრამ ამ ეტაპზე ინტეგრაციაზე საუბარი ნაადრევია. ვიმეორებ, ამ ეტაპზე კარგი იქნება, თუ შეიქმნება ისეთი პროექტი, სადაც ქართველები და აფხაზები ერთობლივად იქნებიან ჩართულები. ეს კი, თავისთავად, უკვე სხვა შესაძლებლობებსაც გახსნის. აუცილებელია ეკონომიკური პროცესების დაწყება, რასაც შემდეგ დევნილების დაბრუნება მოჰყვება. ყველაფერმა ამან კი, გამორიცხული არ არის, რომ დაახლოების პროცესი გამოიწვიოს. მაგრამ თუ სიტუაცია ისევე დარჩა, როგორიც ახლაა, მაშინ არაფერი მოხდება.

„რ“: წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. სოხუმი პოზიციას არ იც-

ვლის და დიალოგზე არ მოდის. თუ იყო ამაზე საუბარი შეხვედრებისას და რას ამბობენ სოხუმში?

გ.ხ.: აფხაზები დღესაც ამტკიცებენ, რომ ისინი მოლაპარაკებების განახლებისთვის მზად არიან. თუმცა ამბობენ, რომ ეს კოდორის საკითხის გადაწყვეტის შემთხვევაში მოხდება. აცხადებენ, რომ კოდორის ხეობაში არსებობს საფრთხე და სანამ ეს საფრთხე, ანუ ერთი შეიარაღებული პირიც იქნება იქ, მოლაპარაკების პროცესი არ განახლდება. მაგრამ ეს არის მხოლოდ განცხადება, მაგრამ თუ დაიწყო ახალი ეკონომიკური პროექტების განხორციელება, დარწმუნებული ვარ, ისინი პოზიციებს შეიცვლიან.


2007, 26 აგვისტო – 1 სექტემბერი, №234

7

კოკოითი საბრძოლო მოქმედებებისთვის აქტიურად ემზადება

ახალი ელექტრომაგნიტური სადგურის მშენებლობაზე მსჯელობენ

ინტერვიუ პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილთან

2007

კოკოითი საბრძოლო მოქმედებებისთვის აქტიურად ემზადება

„ახალი თაობა“ (კვირიდან კვირამდე), 2007 წ. 26 აგვისტო – 1 სექტემბერი, #234, ჟურნალისტი შორენა კოწოწაშვილი, ფოტოთი

ინტერვიუ პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილთან

– **ბატონო გოგი, ცხინვალის რეგიონში განვითარებულ პროცესებს როგორ აფასებთ და არის თუ არა იგივე წითელი სოფლის ინციდენტი ქართული მხარის მიერ პროვოცირებული, როგორც ამას რუსეთის ხელისუფლება აცხადებს?**

– არავითარ შემთხვევაში ასე არ არის. საერთოდ, ცხინვალის რეგიონი იმიტომ მოექცა ყურადღების ცენტრში, რომ იქ ძალიან არაორდინალური პროცესი მიმდინარეობს. ეს პროცესი დაკავშირებულია იმასთან, რომ ხდება საკმაოდ საინტერესო პროექტის აპრობირება ცხინვალის რეგიონში. ეს არის ე.წ. „სანაკოევის პროექტი“. ამასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, ორივე მხარე ცდილობს, თავისი გაიტანოს. დიდი მცდელობაა კოკოითის და მისი მომხრეების მხრიდან, რომ ეს პროექტი ჩაიშალოს. პრაქტიკულად, ეს არის მიზეზი საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღებისა. ყველამ იცის, რომ ცხინვალთან

მიმართებაში დაძაბული ვითარებაა. რაც შეეხება იმას, თუ ვის აწყობს ეს დაძაბულობა, ეს უკვე მეორე საკითხია. როგორც იცით, ამ ბოლო დროს მოხდა საქართველოს ტერიტორიაზე ამოუცნობი საფრენი აპარატის შემოჭრა, რომელმაც დააგდო (თუ დაუვარდა) ჭურვი, რომლის ნარჩენებიც იქნა შესწავლილი. ამის შესახებ საერთაშორისო დონეზე იყო ძალიან სერიოზული დისკუსია. ამ ჭურვის შესახებ გაცილებით მაღალია საერთაშორისო ინტერესი, ვიდრე ჩვეულებრივად არის ხოლმე საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ. ეს, თავისთავად, საინტერესოა.

– რამ განაპირობა ასეთი სერიოზული ინტერესი, იმან, რომ რუსეთმა აშკარად დაარღვია სუვერენული საქართველოს საჰაერო სივრცე?

– რა თქმა უნდა. ბოლო დროს გაცილებით ღია და აგრესიულ პოლიტიკას ატარებს საქართველოს მიმართ, ვიდრე ეს იყო ადრე. ადრე იყო იმედი, რომ ეს ურთიერთობები ნორმალიზდებოდა. ბოლო დროს ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს პროცესი ცივი ომივით მიმდინარეობს. თითქოს ეს არის ისეთი გამოუსწორებელი მდგომარეობა, რომ ეს ორი ქვეყანა განწყობილი იყოს იმისათვის, რომ დიდი ხნის განმავლობაში დაპირისპირების მდგომარეობაში იყოს. ადრე ეს არ იყო.

– რაში დასჭირდა რუსეთს ასეთი საკმაოდ სახიფათო თამაშის გათამაშება? ფაქტია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ისედაც დაძაბულია.

– იმისათვის, რომ სანაკოევის პროექტი განხორციელდეს, ანუ მოგვარდეს ქართულ-ოსური კონფლიქტი ისე, როგორც ამას საქართველოს ხელისუფლება გეგმავს, ამისათვის უნდა მოხდეს საერთაშორისო აღიარება, როგორც კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის, ანუ არა მხოლოდ კოკოითი უნდა იყოს აღიარებული, არამედ სანაკოევიც, როგორც კონფლიქტის ზონის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის გამომხატველი, წარმომადგენელი. ამან, თავის მხრივ, ცვლილება უნდა გამოიწვიოს, ცვლილება მოლაპარაკებათა პროცესში, ანუ მოლაპარაკებათა პროცესში, ანუ მოლაპარაკებებში უნდა ჩაჯდეს არა მხოლოდ კოკოითი, არამედ სანაკოევი, როგორც კონფლიქტის მხარე.

ეს ვითარებას იმდენად შეცვლის, რომ ამას მოჰყვება ისეთი პროცესები, რაც საბოლოოდ კოკოითის დელეგაციას გამოიწვევს. ეს რომ ესმის რუსეთს, ამიტომ სწორ სვლას აკეთებს, რუსეთმა იცის, რომ მოლაპარაკებათა მხარეების შეცვლა ხდება მხოლოდ მშვიდ ვითარებაში, ანუ როცა კონფლიქტის ზონაში არის უსაფრთხო და სტაბილური მდგომარეობა. ეს რომ იცის რუსეთმა, ამიტომ ცდილობს, რაც შეიძლება დიდი საინფორმაციო დაფარვა ჰქონდეს ნებისმიერ ინციდენტს. და, საერთოდ, შეიქმნას ახალი ინციდენტები იმისათვის, რომ მსოფლიოში ყველამ დაინახოს, რომ ეს არის ძალიან არასტაბილური ზონა.

– **ანუ ქართულ მხარეს არ აწყობდა ამ პროვოკაციის გათამაშება?**

– რა თქმა უნდა, არა, იმიტომ, რომ ეს ხელს უშლის სანაკოევის პროექტის განხორციელებას. ეს აწყობს რუსეთს და კოკოითის მხარეს. აქ აშკარად ლოგიკურად ჩანს, ვის აწყობდა მდგომარეობის დაძაბვა. იმათ აწყობთ, რომ ქართული მხარე იყოს ყველგან დაფიქსირებული, როგორც დაძაბულობის გამომწვევი.

– **რატომ მიდის კოკოითი ასეთ თამაშზე, ის მოახლოებულ რევოლუციურ ტალღას გრძნობს?**

– არა. შიგნით ვითარება საკმაო კონტროლის ქვეშ არის. ადგილი არ აქვს სახალხო მღელვარებას, რაც მისასალმებელი იქნებოდა ქართული მხრიდან. იქ სიტუაცია კონტროლის ქვეშ არის, ანუ იმდენად ეშინია ხალხს ხმის ამოღების, რომ ჩუმად ყოფნას ამჯობინებს. ზოგი იმით არის კმაყოფილი, რომ ნორმალურ პენსიას და ხელფასს იღებს. მოსახლეობის ნაწილი ამითი არის კმაყოფილი, მეორე ნაწილი კი, რომელიც უკმაყოფილოა ან პოლიტიკური აქტივობა უნდა, დაშინებულია. შესაბამისად, ვერ ვიტყვით, რომ კოკოითი რეგიონის შიგნით აჯანყებას ელოდება. კოკოითი იმასაც ითვალისწინებს, რომ ამ ვითარებაში რუსეთი შეიძლება მასზე გაღიზიანდეს, როგორც ადგილობრივ ლიდერზე, რომელსაც უნარი არა აქვს, შეეწინააღმდეგოს სანაკოევის პროექტის განვითარებას. ქართული მხრიდან გათვლა მდგომარეობს იმაში, რომ თუ არ გამოდის, რეჟიმის ეროზია ცხინვალში (ტერიტორიის შიგნით) მოხდეს,

არამედ მოხდეს რაღაც ზეგავლენა ფაქტორების შედეგად, რომ შეირყეს ადგილზე კოკოითის გავლენა. საქართველოს ხელისუფლებაშიც არიან ადამიანები, რომლებიც ძალიან ჩქარობენ, ცდილობენ პროცესების დაჩქარებას და ამ დროს ცოტა შეცდომებსაც უშვებენ.

– **როგორ ფიქრობთ, გამოიწვია თუ არა შიში კოკოითში მოძრაობამ „კოკოითი ფანდარასტ!“?**

– გაღიზიანება იგრძნობა. უკან დახევა ვერც იქნება, რადგან რუსეთი კოკოითს ამის უფლებას არ მისცემს. რაც შეეხება იმას, თუ რა სიტუაციაა ახლა ცხინვალში, მე ვიტყოდი, რომ ძალიან დაძაბული და გაღიზიანებული სიტუაციაა. არის შიშის ფაქტორი. შიშის ფაქტორია იმასთან დაკავშირებით, თითქოს ფარულად ქართული მხარე თავდასხმას ამზადებს. ამას მთელი მსოფლიოს გასაგონად ყვირიან და ყველა ქვეყანას ატყობინებენ. ოსები ითხოვენ, დაგვიცავით ქართული აგრესიისგანო.

– **ცრუ განგაშში არიან ოსები?**

– რა თქმა უნდა, მათ ეს სჭირდებათ.

– **რისთვის სჭირდებათ?**

– იმისთვის სჭირდებათ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში თავიანთი მომხრეების მობილიზება მოახდინონ.

– გამოდის, კოკოითი და მისი მომხრეები აქტიურად ემზადებიან საბრძოლო მოქმედებისთვის. სხვათა შორის, იარაღდებიან და მომხრეებიც ჩამოჰყავთ. იქ ძალიან ძლიერდება რუსეთის სპეცსამსახურები. ეს ყველაფერი მიმართულია იმისაკენ, რომ ამ საბაბით ქართული საფრთხისგან თავდაცვა მოხდეს, ცხინვალის რეგიონის აუღებელ ბასტიონად გადაქცევა. შემდეგ, ალბათ, იქნება მცდელობა, რომ ზემოქმედება მოახდინონ იმ ტერიტორიებზე, რომელიც ახლა სანაკოევისა და მისი მთავრობის მხრიდან კონტროლდება. ალბათ, იმისი მცდელობა იქნება, რომ ისე ვერ მოისვენებენ, სანაკოევის მომხრეები მშვიდად აცხოვრონ. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ეს პროცესი სამართლებრივ ფარგლებში უნდა იყოს მოქცეული. აუცილებელია, მიღწეული იქნას ის, რაც არის მიზნად დასახული, ანუ საერთაშორისო დონეზე უნდა მოხდეს მოლაპარაკებების ფორმატში გარკვეული ცვლილება. ამის შედეგად უნდა შეიც-

ვალოს ფორმატი შემდეგნაირად: რუსეთის მედიატორობასთან ერთად, უნდა იყოს ევროკავშირი, როგორც მედიატორი, მოლაპარაკების პროცესში.

– **რუსეთის გამოდევნა მოლაპარაკებების პროცესიდან შესაძლებელია?**

– რუსეთის გამოდევნა გამორიცხულია, ვიცი და ამიტომ ვამბობ ამას. ეს არის უტოპია. თუ ვინმე ფიქრობს, რომ რუსეთს ამერიკა ან ევროპა შეიძლება ჩავანაცვლოთ, ეს არ გამოვა. რუსეთი დარჩება, მაგრამ არ უნდა იყოს მთავარი და ერთადერთი. ეს არის ჩვენი მიზანი და ამისი მიღწევა იქნება დიდი მონაპოვარი. გარდა ამისა, კონფლიქტის მხარეებში კოკოითი არ უნდა იყოს ერთადერთი. კონფლიქტის მეორე მხარე – საქართველოსთან ერთად, კოკოითთან ერთად უნდა იყოს ჩართული თანაბარი უფლებით, სანაკოევიც და მისი წარმომადგენელიც. ასეთ შემთხვევაში უკვე თვითონ სიტუაცია იმდენად შეიცვლება, რომ შემდგომ სამშვიდობო პროცესის შეფასებაც (იქ არსებული მდგომარეობაც) შეიცვლება. ეს შეცვლილი შეფასება კი შევა საერთაშორისო გადაწყვეტილებაში. აი, ეს გვინდა ჩვენ და ამას მოჰყვება კონფლიქტის მოგვარება.



ქარავნიდან დანახული სახალხო პროტესტი

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, „მთელი კვირა“, 2007 წლის 5 ნოემბერი, #299 (5457), გვ. 1, 4. ფოტოთი

ამ დღეებში რუსთაველის გამზირზე კულმინაციას მიაღწია იმ ღრმა განხეთქილებამ, რაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა. ესაა განხეთქილება ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ყველა ოლიგარქს ერთბაშად რომ ოპოზიციის ლიდერებისთვის გადაეცა თავისი რესურსი, ამდენ ქართველს თავს ერთად ვერ მოუყრიდა. ხელისუფლებამ თავისი ქმედებით, განსხვავებული აზრის აუტანლობით, გეგმაზომიერად გამოიწვია და გააღვივა მოსახლეობაში საპროტესტო მუხტი. დღეს კი ამის შედეგებს ვიმკით.

ითვლება, რომ ისეთ მასობრივ მიტინგში მონაწილე ხალხის რაოდენობა, სადაც სხვადასხვა პროფესიის, ასაკის, სოციალური მდგომარეობის, ქალაქისა და სოფლის მცხოვრები ადამიანი მონაწილეობს, დაახლოებით ათზე უნდა გაამრავლო, რომ მხარდამჭერთა რეალური რიცხვი მიიღო (იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ფიზიკურად ვერ შეუერთდა, შეეშინდა დაფიქსირება, ოჯახი ვერ დატოვა ან რაიმე მიზეზით სხვაგან

ყოფნა მოუწია). ხოლო თუ ასეა, 2 ნოემბრის მიტინგი ამ მხრივ მილიონს „ურტყამს“. სერიოზული ციფრია ქვეყნის მასშტაბის გათვალისწინებით. ამავე დროს, ხელისუფლება თვლის, რომ საგანგაშო არაფერია და რაოდენობრივად ცოტა უფრო გართულებული ამოცანის წინაშე დგანან: ახლა უკვე ასი ათასი ადამიანის მიერ გამოხატული პროტესტის მოტივირების დისკრედიტაციაა საჭირო. სავსებით შესაძლებელია, სწორედ ის ხალხი, ვინც 2003 წლის ნოემბერში გაზრდილი სამოქალაქო ცნობიერების სიმბოლოდ გამოცხადდა, 2007 წლის ნოემბერში ოლიგარქის ნაყიდ „უბადრუკ ოპოზიციას“ აყოლილ ბრბოდ წარმოაჩინო.

თვლიან, რომ წაუგებელი თამაშია: როგორც უნდა დათვალო, ჯამში მოსახლეობის ნახევარზე მეტი არ უნდა გამოვიდესო. და რომც გამოვიდეს მომავალში, იმ „ცოტა უფრო გართულებულ“ ამოცანასაც მოუვლიან. ვინაიდან პოლიტტექნოლოგიების მსოფლიო დონის ექსპერტებად თვლიან თავს. ზეამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ პოსტრევოლუციურ ბიუროკრატიას არაფერი არასდროს არ უნდა დაემუქროს: სახელმწიფო სისტემა, რომელიც ყალიბდება, ხალხისგან აბსოლუტურად დაცული უნდა იყოს.

ამისთვის კი საჭიროა, ქვეყნის გარეთ არსებობდეს ერთი ბოროტების ცენტრი, რომელსაც უნდა მიებას ქვეყნის შიგნით ბიუროკრატიული სისტემისთვის საფრთხის მატარებელი ყველა სუბიექტი და, შეძლებისამებრ, ჩანასახშივე ისპობოდეს. სახელმწიფო აპარატის წინმსწრები ქმედებების უზრუნველსაყოფად, ლოგიკას ნაკლები დატვირთვა ენიჭება. მთავარია, ხალხს რეპრესიის მოლოდინის სინდრომი ჩაუნერგო. ოღონდ აქ დროთა განმავლობაში გაუთვალისწინებელი რამ ხდება: პროპორციების დარღვევა, რეალობის იგნორირება და საკუთარი ტყუილის დაჯერება. საკუთარი გლობალური უსაფრთხოების არქიტექტორებს წიგნი რომ უყვარდეთ, წაიკითხავდნენ, რომ დიდი პოლიტიკოსების და სუპერსახელმწიფოების საბედისწერო შეცდომები და ისტორიაში ცნობილი კატასტროფები ხშირად სწორედ იმითი იყო გამოწვეული, რომ ისინი რეალობას შორდებოდნენ და ჯგუფურ აზროვნებაში ჩაკეტვის შედეგად

მათივე შექმნილი სურათის მძევლები ხდებოდნენ. მოდი, მე იმ სურათს შევქმნი, რაც დღეს მჭირდება, შენ კი, თუ მეგობარი ხარ, დაეთანხმე მას. ჩვენ ხომ საერთო მტერი გვყავს, მაშ, რატომაც არა? ოღონდ საერთაშორისო პოლიტიკა საბავშვო ბაღის დონიდან დიდი ხანია, გამოსულია.

ხელისუფლებას ოლიგარქების ეშინია არა იმიტომ, რომ დემოკრატიული იდეალები აწუხებს, არამედ იმიტომ, რომ ეშინია ნებისმიერის, ვინც რესურსს ფლობს, მათ კონტროლს არ ექვემდებარება და შეუძლია, ოპონენტი გააძლიეროს. მაგრამ ვერა და ვერ გააგებინეს უბრალო მოკვდავს, რატომ არის ოლიგარქი პატარკაციშვილი ქვეყნისთვის უფრო საშიში, ვიდრე ოლიგარქი ბენდუქიძე. „გუნდისთვის“ რატომაა საშიში, გასაგებია, მაგრამ აი, ქვეყნისთვის?..

მეთოდად გამოიყენება მტრის ხატის შექმნა, შეთქმულების თეორიები, სტერეოტიპების გარღვევა. შეთქმულების თეორიების მოყვარული რომ ვიყო, ვიტყოდი, რომ ხელისუფლება და პატარკაციშვილი შეთანხმებულად მოქმედებენ. ხელისუფლების დავალებით, ჯერ კიდევ უზარმაზარ დამამცირებელ, დამცინავ ბანერს, რომელსაც ყველა მომიტინგე საკუთარ შეურაცხყოფად აღიქვამს, შემდეგ კი გაკვირვებას გამოხატავენ, რატომ გადათქვა პატარკაციშვილმა თავისი დაპირება, არ გამოსულიყო მიტინგზე, რათა არ დაეძაბა მდგომარეობა?! დასკვნასაც აკეთებენ: თავიდანვე ასე გეგმავდა, ხალხს კი თვალში ნაცარს აყრიდაო. ადრეც ხომ ასე მომხდარა: ისეთი რამ ითქმებოდა მასზე, რაც ქვეყნიდან გასულ პატარკაციშვილს უკან აბრუნებდა და განცხადებებს აკეთებინებდა.

მართლა თუ უნდა სახელისუფლებო გუნდს პატარკაციშვილის მოცილება? თუ რაღაც მაზოხისტური მელა-მახჩობელას თამაშია? ობიექტური შედეგი კი პატარკაციშვილისთვის უმრავლესობის ლიდერთა შეფასებებითა და „რუსთავი 2-ის“ მეშვეობით გაკეთებული უზარმაზარი რეკლამა და მისი პოლიტიკური გააქტიურებაა. რაც უფრო ხისტი და მოუქნელი იქნება მოვლენებზე ხელისუფლების რეაგირება, მით უფრო გაიზრდება პატარკაციშვილის, როგორც პოლიტიკოსის, შეფა-

სება და შანსები საქართველოშიც და ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორებშიც.

ოპოზიციას, რამდენიც უნდა ეცადოს, რევოლუციის გამოწვევა არ შეუძლია. რევოლუციამდე ქვეყნის მიყვანა შეუძლია ხელისუფლებას. სწორედ შევარდნაძისა და მისი უახლოესი გარემოცვის ქცევა იყო იმ კრიტიკული მასის გამომწვევი, რამაც 2003 წლის შუა ნოემბერში საქართველოში საბოლოოდ ჩამოაყალიბა რევოლუციური სიტუაცია. დღეს რევოლუციური სისტემა თუ შეიქმნა, ესეც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე უბადრუკი რეაგირების სავალალო შედეგი იქნება, თუნდაც 2003 წლის ნოემბერში ხელისუფლების უნიჭო ქცევის უნიჭო პაროდიის სახით.



გოგი ხუციშვილი – საქართველო კონფლიქტების მოგვარებაში საერთაშორისო მხარდაჭერის დაკარგვის რისკის წინაშეა

„ინტერპრესნიუსი“, 2007 წ. 23 ნოემბერი

კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილის შეფასებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით არსებული მოლოდინები არ გამართლდა და საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერის დაკარგვის რისკის წინაშე დადგა.

ექსპერტი აღნიშნავს, რომ რევოლუციურმა ხელისუფლებამ საკმაოდ პერსპექტიული – „სანაკოევის პროექტი“ წამოიწყო, მაგრამ დღეს უკვე საეჭვოა, რომ ამ პროექტის ბოლომდე მიყვანა მოხერხდება.

„საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა საეჭვო გახადა ხელისუფლების დემოკრატიული არჩევანი. „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლებას მოუწევს, ჯერ ის დაამტკიცოს, რომ მართლაც ლიბერალური და დემოკრატიული ქვეყნის აშენება სურს და ნატო-ს წევრობასა თუ კონფლიქტების მოგვა-

რებაზე მერე უნდა ვისაუბროთ. ეს საკითხი საერთაშორისო დონეზე უკვე ძალიან სერიოზულად დგას“, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ გოგი ხუციშვილმა.

როგორც ექსპერტი აღნიშნავს, თუ საქართველო აჩვენებდა, რომ თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება შეუძლია, საერთაშორისო მხარდაჭერა გაცილებით მაღალი იქნებოდა. „რუსეთი ცდილობს, ანექსიის გეგმების განსახორციელებლად აქტიურად იმოქმედოს. აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის მთავრობების სხდომები ერთობლივად იმართება, რაც ძალიან საგანგაშოა, რადგან ეს უკვე ინტეგრაციის ღია ნიშნებია“, – განაცხადა გოგი ხუციშვილმა.

ამასთან, მისივე თქმით, თუ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ თავად დე ფაქტო რესპუბლიკების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას საქართველოსთან ინტეგრაციის სურვილი არ ექნებათ.

„მათ სტაბილურ ქვეყანასთან ინტეგრაცია სურთ და არა ისეთთან, სადაც ტელეკომპანიებს ძალადობრივი გზით ხურავენ. ჩვენ შიდა ვითარება ვერ მოგვიწესრიგებია და დე ფაქტო ხელისუფლებების მხრიდან დიალოგის იმედი არ უნდა გვქონდეს. ამას ჩვენი მტრები ძალიან აქტიურად გამოიყენებენ და არც აფხაზებსა და ოსებს ექნებათ ჩვენთან დაახლოების სურვილი“, – აცხადებს კონფლიქტოლოგი.

თუმცა, მისივე აზრით, დადებითი ფაქტორია, რომ „არ გამართლდა დე ფაქტო ხელისუფლების შიში, თითქოს თბილისი შიდა პოლიტიკური დაძაბულობის გადასაფარად კონფლიქტის ზონებში ვითარების გამწვავების პროვოცირებაზე წავიდოდა“.

„საბედნიეროდ, ეს არ მოხდა, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ცხინვალი და სოხუმი თბილისისკენ მაინც შიშით იყურებიან, დღეს უნდობლობა ძალიან დიდია. ეს უნდობლობა არ გაივლის, ვიდრე თბილისშიც და კონფლიქტების ზონებშიც სხვა ძალები არ მოვლენ“, – განაცხადა გოგი ხუციშვილმა.


6 რეზონანსი საქართველოს ამბები/პოლიტიკები/გამოძიებები 2007 წლის 24 ნოემბერი, შაბათი
ინტერვიუ
«ოპოზიცია უნდა გააქტიურდეს»
გოგი ხუციშვილი: „წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საკაშვილის დამარცხება გაუჭირდებათ“
2007

„ოპოზიცია უნდა გააქტიურდეს“

გოგი ხუციშვილი: „წინააღმდეგ შემთხვევაში მათ საკაშვილის დამარცხება გაუჭირდებათ“

„რეზონანსი“, 2007 წ. 24 ნოემბერი, გვ. 6, ჟურნალისტი ელზა წიკლაური, ფოტოთი

„საქართველო კონფლიქტების მოგვარებაში საერთაშორისო მხარდაჭერის დაკარგვის რისკის წინაშეა“, – აცხადებს კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი. ის ამის მიზეზად ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების მიმართ საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას ასახელებს. აქვე ხუციშვილი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრობს და მიაჩნია, რომ „თუ ოპოზიცია არ გააქტიურდა და არ დაამტკიცა, რომ მის კანდიდატს მოქმედ პრეზიდენტზე მეტი უპირატესობა აქვს, ოპოზიციის ნებისმიერ კანდიდატს გამარჯვება ძალიან გაუჭირდება“.

რატომ შეიძლება საქართველომ კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებით საერთაშორისო მხარდაჭერა დაკარგოს და როგორ უნდა იმოქმედოს ხელისუფლებამ, რომ ეს თავიდან აიცილოს? რა შანსები აქვს ოპოზიციას და მოქმედ პრეზიდენტს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე? ამ საკითხებთან

დაკავშირებით „რეზონანსი“ კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილს ესაუბრა.

გიორგი ხუციშვილი: „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით არსებული მოლოდინები არ გამართლდა და საქართველო საერთაშორისო მხარდაჭერის დაკარგვის რისკის წინაშე დადგა. გავიხსენოთ 2004 წლის ზაფხული, როდესაც აბსოლუტურად უაზრო ოპერაციის შედეგად გავამწვავეთ სიტუაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. მართალია, რევოლუციურმა ხელისუფლებამ საკმაოდ პერსპექტიული – „სანაკოევის პროექტი“ წამოიწყო, მაგრამ დღეს უკვე საეჭვოა, ამ პროექტის ბოლომდე მიყვანა მოხერხდეს.

რაც შეეხება აფხაზეთს, ამ კონფლიქტის მიმართ არსებული ხელისუფლების მიერ არანაირი რეალური გეგმა და წინადადება არ ყოფილა. ბოლო წლებში აფხაზურ მხარეს ჰქონდა დიალოგის სურვილი, თუმცა ჩვენ ეს ნაბიჯი ვერ და არ გადავდგით, რაც ძალიან ცუდია.

ამიტომ „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლებას მოუწევს, ჯერ ის დაამტკიცოს, რომ მართლაც ლიბერალური და დემოკრატიული ქვეყნის აშენება სურს და ნატო-ს წევრობასა თუ კონფლიქტების მოგვარებაზე მერე უნდა ვისაუბროთ. ეს საკითხი საერთაშორისო დონეზე უკვე ძალიან სერიოზულად დგას. მაგრამ, თუ საქართველო აჩვენებდა, რომ თანმიმდევრული პოლიტიკის გატარება შეუძლია, საერთაშორისო მხარდაჭერა გაცილებით მაღალი იქნებოდა.

ამასთან, თუ საქართველოში განვითარებულ მოვლენებს გავითვალისწინებთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ თავად დე ფაქტო რესპუბლიკების ხელისუფლებებსა და მოსახლეობას საქართველოსთან ინტეგრაციის სურვილი არ ექნებათ. მათ სტაბილურ ქვეყანასთან ინტეგრაცია სურთ და არა ისეთთან, სადაც ტელეკომპანიებს ძალადობრივი გზით ხურავენ. ჩვენ შიდა ვითარება ვერ მოგვიწესრიგებია და დე ფაქტო ხელისუფლებების მხრიდან დიალოგის იმედი არ უნდა გვქონდეს. ამას ჩვენი მტრები ძალიან აქტიურად გამოიყენებენ

და არც აფხაზებსა და ოსებს ექნებათ ჩვენთან დაახლოების სურვილი.

„რეზონანსი“: რატომ შეწყდა მოლაპარაკებების პროცესი, რა იყო ამისი მთავარი მიზეზი?

გ.ხ.: საერთოდ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მოლაპარაკებების პროცესთან დაკავშირებით გარკვეული სიძნელეები გააჩნიათ. ეს პრობლემები აშკარაა როგორც პოლიტიკური, ისე კონფლიქტების მოგვარების ხაზით. ამ ხელისუფლებას პრობლემა აქვს განსხვავებული აზრის ატანასთან, მოთმენასა და მოსმენასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი კი ყველაზე აშკარად კონფლიქტებთან დაკავშირებით გამოიკვეთა, რადგან ამ დროს პოზიცია მეორე მხრიდან შეურიგებელია.

ასეთ ფონზე წარმოუდგენელია, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველომ მხარდაჭერა მოიპოვოს და რომელიმე ქვეყანამ ლობირება გაგვიწიოს მოლაპარაკებათა შეცვლის ფორმატთან დაკავშირებით.

„რ“: რაც შეეხება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებს, როგორ ფიქრობთ, რა შანსები აქვს ხელისუფლებას და შეიძლება თუ არა, რომ პრეზიდენტის გუნდმა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება სცადოს?

გ.ხ.: ვინაიდან საპრეზიდენტო არჩევნები ძალიან სწრაფად დაინიშნა, მიხეილ სააკაშვილს დიდი უპირატესობა გააჩნია. ფაქტია, რომ მას ადვილად შეუძლია, ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენოს, აამუშავოს რეგიონებში ის მანქანა, რომელიც სააკაშვილს გამარჯვებას მოუტანს.

მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების შედეგად, განსაკუთრებით 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ, პრეზიდენტის რეიტინგი სერიოზულად შემცირდა. ამის გათვალისწინებით ოპოზიციას ძალიან სერიოზული მუშაობა მოუწევს. თუმცა ოპოზიციას აქვს მთავარი ნაკლი და ეს არის მისი დაქსაქსულობა. ოპოზიციაში იმდენი კანდიდატი წარმოიშვა, რომ ისინი, პრაქტიკულად, ერთმანეთს ასუსტებენ. ასეთ მომენტში აუცილებლად უნდა მოხდეს გაერთიანება და ერთი რომელიმე კანდიდატის სასარ-

გებლოდ თამაშიდან გასვლა. ამისი კონტურები 7 ნოემბრამდე შეიმჩნეოდა, თუმცა დღეს ეს უკვე აღარ ჩანს.

თუმცა ოპოზიციას შანსი მაინც აქვს, ვინაიდან მოსახლეობის მხრიდან ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება უფრო და უფრო იზრდება. მაგრამ თუ ოპოზიცია არ გააქტიურდა, თუ არ ეცადა, პროცესი მაქსიმალური ეფექტურობით წარმართოს და წარმოადგინოს, თუ რა უპირატესობა აქვს მის რჩეულ კანდიდატს პრეზიდენტთან მიმართებაში, მათ ბრძოლა ძალიან გაუჭირდებათ. თუმცა ყველაფერი მაინც დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ განვითარდება მოვლენები.

„რ“: როგორ ფიქრობთ, თუ 7 ნოემბრამდე ოპოზიციის ერთობლიობა შეიმჩნეოდა, დღეს რატომ დაიქსაქსნენ ისინი? და კიდევ ერთი – არსებობს თუ არა იმისი რეალური შესაძლებლობა, რომ არჩევნების მეორე ტური შედგეს?

გ.ხ.: რატომ დაიქსაქსა ოპოზიცია და რატომ წამოაყენეს მათ რამდენიმე კანდიდატი, ამისი თქმა ძალიან რთულია. თუმცა იმედს არ ვკარგავ, რომ ისინი საბოლოოდ გაერთიანდნენ და ერთიანი კანდიდატით გამოვიდნენ. რაც შეეხება არჩევნების მეორე ტურს, ვფიქრობ, რომ ყველაფერი იქითკენ მიდის.



გიორგი ხუციშვილის სიტყვა

არასამთავრობო ორგანიზაციათა მე-2 ეროვნული კონგრესი

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, არასამთავრობო ორგანიზაციათა მე-2 ეროვნული კონგრესის მასალები, 2007 წ. 25 ნოემბერი

შესავალი სიტყვა

მე ვარ გიორგი ხუციშვილი, გულითადად მივესალმები კონგრესის დელეგატებს, საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლებს, სტუმრებს, ჟურნალისტებს.

ეს უკვე მეორე კონგრესია, რომელიც ეწყობა კოალიცია – დემოკრატიისათვის თაოსნობით, რაც იმისი საწინდარია, რომ შემდგომი კონგრესებიც ჩატარდება. პირველი კონგრესი ჩატარდა ჰოლანდიური ფონდის, „კორდეიდის“ მხარდაჭერით, 2006 წელს. ახლა კი ჰოლანდიის საელჩოს მხარდაჭერით ტარდება, რისთვისაც პირადად მადლობას ვუხდით ელჩს ონო ელდერენბოშს. კოალიცია დგას სამოქალაქო საზოგადოების ავანგარდში. კონგრესს ამზადებდა საორგანიზაციო კომიტეტი კოალიციის საკოორდინაციო საბჭოს სახით (წარმოდგენილია

ამ მაგიდასთან), ამავე დროს, აღსანიშნავია საია-ს წვლილი კონგრესის ორგანიზებაში.

სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ამოცანაა, მედგრად და უშიშრად იდგეს დემოკრატიის სადარაჯოზე. საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება თავის მეორე კონგრესს გაძლიერებული და გააქტიურებული ხვდება. ამავე დროს, პერიოდი, რომელშიც კონგრესი ტარდება, ქვეყნისთვის სერიოზული სირთულეებით გამოირჩევა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მიერ ევროპული ლიბერალური დემოკრატიის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი დღეს კითხვის ქვეშ დადგა. დღემდე დახურულია ტელე-იმედი და რადიო-იმედი. დაპირებაც კი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ გამოძიებული იქნება სპეცნაწილების მიერ 7 ნოემბრის მიტინგის დარბევის დროს გამოჩენილი სისასტიკე, რომლის შედეგადაც ასობით ადამიანმა მძიმე დაზიანებები მიიღო. ამის საწინააღმდეგოდ პოლიციამ ქება და მადლობა დაიმსახურა. მიმდინარეობს ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დევნა.

ეს პრობლემები გუშინ და დღეს არ დაწყებულა. ქართული საზოგადოება თავიდან იმედის თვალით უყურებდა ქვეყანაში წამოწყებულ რეფორმებს. მაგრამ ბოლო წლების მანძილზე ჩვენ მოწმენი გავხდით, თუ როგორ იზღუდებოდა დამოუკიდებელი მედია და სულ უფრო დამოკიდებული ხდებოდა სასამართლო, თუ როგორ ირღვეოდა ადამიანის უფლებები და ხდებოდა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის ხელყოფა.

ტელე-იმედის დაუყოვნებელი აღდგენა აუცილებელია არა მხოლოდ იმისათვის, რომ საარჩევნო პროცესებმა ლეგიტიმურობა არ დაკარგოს, არამედ და უფრო მეტად იმისათვის, რომ ხალხმა დემოკრატიული მომავლის იმედი არ დაკარგოს. თუ ჩვენ დემოკრატიულ არჩევანს გადავუხვევთ, ვერც ქვეყნის მთლიანობას ვერ აღვადგენთ, ვერც ნატო-ში შევალთ და ვერც დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას განვამტკიცებთ, ვინაიდან საერთაშორისო იზოლაციაში აღმოვჩნდებით და საბოლოოდ ისევ რუსეთის გავლენის სფეროში დავბრუნდებით. როდესაც ჩვენი დასავლელი მეგობრები ხაზს უსვამენ იმას, რომ ევროპულ ოჯახში ქვეყნის მისაღებად დემოკრა-

ტიული სტანდარტების მიღწევა არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო მშენებლობა, ქვეყნის ხელმძღვანელობა ამას სერიოზულად უნდა დაუფიქრდეს. სამოქალაქო საზოგადოებამ კი უნდა მიაღწიოს იმას, რომ ყველა სასიცოცხლო პროცესი გამჭვირვალედ და საზოგადოების კონტროლის ქვეშ მიმდინარეობდეს, რის შედეგადაც ქვეყანაში დაისადგურებს ეროვნული თანხმობა, ადამიანი კი შეძლებს, თავისუფლად ისუნთქოს და ღირსეულად იგრძნოს თავი.



გიორგი ხუციშვილი: როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, „საქართველოს რესპუბლიკა“, 2008 წ., გვ. 5, ჟურნალისტი თეა რუსია, ფოტოთი

რეინტეგრაცია... თემურ იაკობაშვილი...

ახალი საქმე ახალ სახეს დაუკავშირდა.

რეალურად კი არც საქმეა ახალი და არც იაკობაშვილის პერსონაა უცნობი. პირიქით, მან ამ არჩევნებზე ეგზიტპოლების კვლევებით დაგვამახსოვრა თავი, თუმცა, როგორც მისი ოპონენტები ამბობენ, არცთუ სახარბიელოდ.

რას ნიშნავს რეინტეგრაცია, რა უნდა გააკეთოს ახალმა მინისტრმა? – თავის შეხედულებებს გვიზიარებს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილი.

– თქვენთან საუბრის შემდეგ ახალ მინისტრთან შეხვედრაზე მივდივარ. ახალმა მინისტრმა მიგვიწვია არასამთავრობო ორგანიზაციები, რათა ერთობლივი გადაწყვეტილებები მივიღოთ. თანამშრომლობა შემოგვთავაზა. ეს ქცევა განსხვავდება წინა შემადგენლობის ქმედებისაგან, დავით ბაქრაძეს მსგავსი სურვილი არასოდეს გამოუხატავს.

– ვინ არის თემურ იაკობაშვილი, რა წარსული აქვს და რამდენად შეესაბამება ის რეინტეგრაციის მინისტრის პოსტს?

– ის ახალ სახედ აღიქმება, დიდი ხანია ვიცნობ და ვიცი, რომ მუშაობდა კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებზე. მას აქვს სერიოზული თეორიული განათლება ამ დარგში, ასევე, პოლიტოლოგიაში, გეოპოლიტიკაში. ის მუშაობდა სტრატეგიული დაგეგმარების ფონდში და არაერთ სერიოზულ პროექტში მონაწილეობდა. იაკობაშვილი ამ თანამდებობაზე მოუმზადებელი არ მოსულა. მას მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილება სჭირდება, მას მძიმე ამოცანა აქვს, ხელისუფლებას არ ეტყობოდა, რომ ფიქრობდა კონფლიქტების მოგვარებაზე, არ აინტერესებდა დიალოგის განვითარება, ყოველ შემთხვევაში, აქამდე მაინც.

– ყოფილი მინისტრი დავით ბაქრაძე ამბობდა, რომ ხელისუფლებამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და ერთ-ერთია გაზაფხულიდან საერთაშორისო საზოგადოების მიერ მოლაპარაკების ფორმატის გადახედვის დაწყება.

– მოლაპარაკების ფორმატის შეცვლაზე საუბარი ბაქრაძის დროს არ დაწყებულა. ეს ხდებოდა გოგა ხაინდრავას, მერაბ ანთაძის მუშაობის პერიოდში, მაგრამ ამ მხრივ ყველაზე მეტი ირაკლი ალასანიამ გააკეთა.

– კონკრეტულად რა იგულისხმება ფორმატის შეცვლაში?

– მოლაპარაკების ის ფორმატი, რაც დღეს არსებობს, დისკრიმინაციული და დანაშაულებრივია, უნდა დაისვას საკითხი, ვინ და რატომ მოაწერა ხელი თავის დროზე ასეთ ხელშეკრულებას.

1992 წელს დაიდო ოთხმხრივი ხელშეკრულება ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში. მხარეები არიან: საქართველოს რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა (თითქოს ეს უკანასკნელი რაღაც განსხვავებული ცალკე სუბიექტი იყოს!). როდესაც შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეები იღებდნენ გადაწყვეტილებას „კონსენსუსით“ ან

ხმათა უმრავლესობით, საქართველო უმცირესობაში იყო. სამი ხმა ყოველთვის ერთის წინააღმდეგია. ეს კი რუსეთს დომინირების საშუალებას აძლევს. აფხაზეთის საკითხის განხილვის დროს სამი მხარეა და აქაც აფხაზეთი და რუსეთი ყოველთვის საქართველოს წინააღმდეგია.

– **ფორმატის გადახედვა რას მოგვცემს?**

– აუცილებელია დაბალანსებული მდგომარეობა იყოს. მაგალითად, სასურველია, შემოვიდეს ისეთი სუბიექტი, რომელიც ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში სანაკოევის მხარეა.

– **დიმიტრი სანაკოევს საერთაშორისო დონის ლეგიტიმაცია აქვს?**

– არა, არ აქვს. ლეგიტიმაციისკენ პირველი ნაბიჯები შარშან გადაიდგა, როცა ის წარუდგინეს საერთაშორისო საზოგადოებას ბრიუსელში, იქ ოსურ ენაზეც გამოვიდა. ამას უნდა მოჰყოლოდა განვითარება, მაგრამ ასე არ მოხდა.

– **რატომ?**

– როცა ამის შესახებ აზრს დიპლომატებს ვეკითხებოდი ბრიუსელში, რა უნდა გაკეთებულიყო და რა არ გაკეთდა, ასეთ რამეს ამბობდნენ: თქვენ თუ აპირებთ სანაკოევის ლეგიტიმაციას, ჩვენ შეგვიძლია მხარი დაგიჭიროთ იმ შემთხვევაში, თუ ეს კაცი წარმოადგენს კონფლიქტის მხარეს, მაგრამ თუ ის თქვენს მხარეზეა და მასთან პრობლემა არ გაქვთ, მაშინ მოლაპარაკება უნდა წარმოებდეს იმასთან, ვისთანაც უთანხმოება გაქვთო.

– **ე.ი. სანაკოევი გამოირიცხა და მხარედ არ აღიარეს?**

– ამ პროექტს თეორიულად ძალიან დიდი შანსი ჰქონდა, პრაქტიკულად კი არაფერი გაკეთდა ამ შანსის გამოსაყენებლად. ხელისუფლებამ იჩქარა.

– **ვინ არის რეალურად დიმიტრი სანაკოევი?**

– სანაკოევი კოკოითის მთავრობის შემადგენლობაში იყო, მერე გარკვეულ ჯგუფთან ერთად განუდგა მას და ქართულ მხარეს გადმოვიდა. ეს, რა თქმა უნდა, დადებითი ფაქტია, რომელიც იმის თქმის უფლებას გვაძლევს, რომ იქითა მხარეს არიან ადამიანები, რომლებიც არ იზიარებენ კოკოითის რეჟიმს.

– პრესაში იყო სანაკოევის ნათესავების წერილი სააკაშვილისადმი, სადაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ ის ქართული მხარის მძევალია და მის გათავისუფლებას ითხოვენ.

– ეს იმიტომ მოხდა, რომ კოკოითის რეჟიმმა ბოიკოტი გამოუცხადა სანაკოევის მთელ გვარს, ზეწოლის ქვეშ არიან იქ მყოფი მისი ნათესავები, რომლებსაც საგანგებოდ მოწვეულ ყრილობაზე ხელი მოაწერინეს, რომ უარს ამბობენ დიმიტრი სანაკოევზე.

– ანუ, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს გადაწყვეტილება მართებული იყო?

– გადაწყვეტილება მართებული იყო, მაგრამ ისე ვერ განვითარდა, რომ მას რეალური შედეგი მოჰყოლოდა. ხელისუფლებას ეგონა, რომ სანაკოევსაც კონფლიქტის მხარედ აღიარებდნენ კოკოითთან ერთად, რაც არ მოხდა.

– ბატონო გიორგი, პრეზიდენტი სამხრეთ ოსეთს ამბობს, თქვენ ცხინვალის რეგიონს უწოდებთ, რომელი უნდა ვთქვათ?

– კონფლიქტის ზონის გამო არსებობს მრავალფორმატიანი ტერმინოლოგია. მე ვფიქრობ, რომ საქართველოში უნდა ვიხმაროთ ცხინვალის რეგიონი. მაგრამ როცა საერთაშორისო ორგანიზაციები ამდენი ხნის განმავლობაში წერენ სამხრეთ ოსეთს, ამას ადვილად ვერ შეაცვლევინებ. მათი არგუმენტი ასეთია: ეს არის გეოგრაფიული ტერიტორიის დაფიქსირება და არა პოლიტიკური პოზიციის გამჟღავნებაო, სხვა რამე რომ ჩავწეროთ, ვერავინ ვერ გაიგებს, რაზეა ლაპარაკიო. ამაში არის ლოგიკა. სიტყვა „სამხრეთი“ მიანიშნებს იმას, რომ არის ორად გახლეჩილი საზოგადოება, სხვადასხვა სახელმწიფოში მოხვედრილი ხალხი, რომელსაც სრული სანქცია ეძლევა იმისთვის, რომ იფიქროს გამოყოფაზე და გაერთიანებაზე.

აფხაზეთი ისტორიულად აფხაზეთია. აქ პრობლემა არ არის. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დოკუმენტებში ყველგან წერია „სამხრეთ ოსეთი“, მაგრამ როცა აფხაზეთზეა საუბარი, წერია – „აფხაზეთი, საქართველო“.

– რეინტეგრაცია მართლაც ნაადრევია?

– რა თქმა უნდა. როდესაც ვამბობდით კონფლიქტების მოგვარებას, ეს იყო ნეიტრალური პოზიცია და მეორე მხარეს საბაბი არ ჰქონდა მოლაპარაკების შესაფერხებლად. რეინტეგრაცია კი მისცემს იმის თქმის საშუალებას, რომ ადრეა ამაზე ლაპარაკი, მაშინ, როცა ჯერ ურთიერთობა არც გაგვირკვევიაო. ესეც ერთ-ერთი წინდაუხედავი ნაბიჯია, რადგან საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულება, მგონია, რომ უარყოფითი იქნება.

– კოდორის ხეობისადმი თქვენი მიდგომა როგორია?

– კოდორის ხეობაში გამაგრდა ქართული პოზიციები კვიციანის გასვლის შემდეგ. მას ზემო აფხაზეთი დაერქვა. ესეც კარგად მოფიქრებული გეგმაა, რომელსაც განვითარება არ მოჰყვა. თუ იმისი მტკიცება გვინდა, რომ არსებობს ორად გაყოფილი აფხაზეთი, მაშინ უნდა დავინახოთ ორად გაყოფილი აფხაზები.

– ანუ ხელისუფლებას სანაკოევის მსგავსი აფხაზი უნდა ეპოვა?

– დიახ, იმიტომ, რომ თუ ამბობს, რომ არსებობს მეორე აფხაზეთი, რომელიც ჩვენია, სადაც აფხაზი არ ცხოვრობს, ეს ალოგიკურია. ამიტომაც საერთაშორისო საზოგადოება არ არქმევს მას ზემო აფხაზეთს და ამბობს, რომ ეს არის კოდორის ხეობის ზემო ნაწილი, რომელიც იყო სადავო ტერიტორია, თუმცა ის არასოდეს არ ექვემდებარებოდა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას. არც ის ტერიტორია იყო ოსეთის, რომელსაც ახლა სანაკოევი აკონტროლებს. კარგია, რომ ამ ტერიტორიაზე ქართული იურისდიქცია აღდგა, მაგრამ ნუ გავასაღებთ ამ ფაქტს ისე, რომ თითქოს რაღაც ცვლილებები შევიდა კონფლიქტის ზონაში. ეს შეიძლება მომხდარიყო კიდეც, მაგრამ არ მოხერხდა იმის გამო, რომ არა გვაქვს გათვლილი და თანამიმდევრული პოლიტიკა. არ არსებობს გეგმა, რომლითაც კონფლიქტების მოგვარება შეიძლება. ის, რომ რეგიონიდან რეგიონში დადიან „კოკოითი ფანდარასტის“ ძახილით, არაფერია. მსვლელობა იქ ჩერდება, სადაც საზღვარია. იქით მხარეს ამითი არაფერი იცვლება.

– ალბათ, ამ საკითხებზე ისაუბრებთ იაკობაშვილთან, მაგრამ თუ მიიღებს მხედველობაში, ნეტავ?! ის ხომ ხელისუფლების კურსის ერთგულია?

– ის ჭკვიანი, მოაზროვნე კაცია. ხელისუფლებისკენ რომ იხრება, იმიტომაც არის ხელისუფლებაში, სხვანაირად იქ ვერც მოხვდებოდა, ეს მივიღოთ, როგორც ფაქტი. მაგრამ ვინაიდან ის მთავრობაშია, მგონია, რომ პოზიციის დაცვა შეუძლია. ახლა მთავარია, რამდენად შეუწყობს ხელს ხელისუფლება. ალბათ, ცვლილებებს გეგმავენ და იმიტომაც დანიშნეს იაკობაშვილი.



ინტერვიუ

ხუციშვილი ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობას ელის

„მთელმა საზოგადოებამ უნდა აიმაღლოს ხმა, რათა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო პარტიული სიით არ დაკომპლექტდეს“

ელზა წიკლაური

2008

5

ხუციშვილი ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობას ელის

„მთელმა საზოგადოებამ უნდა აიმაღლოს ხმა, რათა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო პარტიული სიით არ დაკომპლექტდეს“

„რეზონანსი“, 2008 წ. 26 იანვარი, გვ. 4, ჟურნალისტი ელზა წიკლაური

„სახმინისტრად რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილის დანიშვნას პირადად მე დადებითად ვაფასებ. მაგრამ აქ მთავარი ის არის, თუ რამდენად შეძლებს ეს პიროვნება საკუთარი სიტყვის თქმას და საქმის გაკეთებას“, – აცხადებს კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი და, სამთავრობო გუნდის მუშაობის სტილიდან გამომდინარე, ამას ეჭვის თვალით უყურებს.

აქვე ხუციშვილი საზოგადოებრივი მაუწყებელზეც საუბრობს და არ გამორიცხავს, რომ სამეურვეო საბჭოში მისი კანდიდატურის გასვლას „ვილაცამ“ ხელი შეუშალოს.

რას ნიშნავს კონფლიქტების მოგვარების სამინისტროს რეინტეგრაციის სამინისტროდ გადაკეთება და და როგორ აფასებს ამ სამინისტროს ხელმძღვანელად თემურ იაკობაშვილის

კანდიდატურის წარდგენას? რამდენად ქმედითი შეიძლება გახდეს ეს უწყება და უნდა ველოდოთ თუ არა ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ კონფლიქტებთან მიმართებაში რამე სერიოზულ ძვრებს? ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „რეზონანსი“ კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილს ესაუბრა.

„რეზონანსი“: ორი დღის წინ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ „დემოკრატიისთვის“ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად თქვენი კანდიდატურა წარადგინა. რატომ გადაწყვიტეთ სამეურვეო საბჭოს წევრობა?

გიორგი ხუციშვილი: დიდი ხანია, საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობას თვალს ვადევნებ და, შესაბამისად, მაქვს მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართულებით უნდა იმუშაოს სამეურვეო საბჭომ; ასევე როგორ უნდა გაუმჯობესდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის იმიჯი.

ჩვენ ბოლო წლებში აშკარად ვხედავდით, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი საზოგადოების ხმა აღარ იყო, შეინიშნებოდა სისუსტე, სარედაქციო პოლიტიკა არ უწყობდა ხელს იმას, რომ გადაცემები აგებული ყოფილიყო ისე, რომ იქ გამოჩენილიყო მთელი სპექტრი იმ პოზიციებისა, რომელიც საზოგადოებაში რეალურად არსებობდა და არსებობს. არ იქმნებოდა ასპარეზი იმისათვის, რომ სხვადასხვა აზრის ჭიდილი მომხდარიყო. არ გადიოდა ეთერში დებატები და თოქ-შოუები, სადაც საზოგადოება მიიღებდა მონაწილეობას.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისათვის, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი დაემსგავსოს საზოგადოების ხმას. მე ამისი მომხრე ვარ და იმედი მაქვს, რომ ამ საბჭოში მოვხვდები, თუ წინააღმდეგობა არ იქნება.

„რ“; კერძოდ, ვისგან ელოდებით წინააღმდეგობას და რამ შეიძლება თქვენს საბჭოში დანიშვნას შეუშალოს ხელი?

გ.ხ.: წინააღმდეგობა იმისი მხრიდან შემხვდება, ვინც თვლის, რომ სამეურვეო საბჭო უნდა იყოს სრულიად კონტროლირებადი და ცალსახად ერთი პოზიციის მატარებელი. რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგეში ხელისუფლებას ვგულისხმობ. მიმაჩნია, მე კიდევაც რომ არ ვიყო სამეურვეო საბჭოში, მთელმა საზოგა-

დოებამ უნდა აიმაღლოს ხმა, რათა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო პარტიული სიით არ დაკომპლექტდეს და იქ მოხვდნენ სამოქალაქო პოზიციის მატარებელი ადამიანები.

„რ“: რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობას, სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახეშეცვლილი მოგვევლინა, ანუ დღეს მას რეინტეგრაციის სამინისტრო ჰქვია. შეიცვალა მინისტრიც. როგორ აფასებთ ამ ცვლილებას?

გ.ხ.: პირველ რიგში, ყურადღება მინდა გავამახვილო თვითონ ამ სამინისტროსთვის დასახელების შეცვლაზე. როდესაც ამ სამინისტროს სახელწოდება იყო კონფლიქტების მოგვარება, ეს აჩვენებდა იმას, რომ კონფლიქტები და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ქვეყნისთვის პრიორიტეტული იყო. ახლა, როდესაც მას დასახელება შეეცვალა, ისმის კითხვა, ხომ არ შეიცვლება მისი მიმართულების სფეროც და ტერიტორიული მთლიანობის საკითხი შორეულ პერსპექტივად ხომ არ იქცევა.

ასევე ჩნდება ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ, შესაძლოა, ეს სამინისტრო და მთლიანად სახელმწიფო უფრო მცირემასშტაბიანი საკითხების მოგვარებაზე გადავიდეს, როგორიცაა რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების რეინტეგრაცია. ეს საკითხები კი აქამდე ამ სამინისტროს სფეროში იშვიათად შედიოდა. შეიცვლება თუ არა პროფილი, ეს უკვე მომავალში გამოჩნდება.

„რ“: რაც შეეხება თემურ იაკობაშვილის ფიგურას...

გ.ხ.: იაკობაშვილის ამ თანამდებობაზე დანიშვნას პირადად მე მივესალმები. ის არის ენერგიული და მცოდნე პიროვნება, მიუხედავად იმისა, რომ მას სახელმწიფო ადმინისტრაციის დონეზე მუშაობის გამოცდილება არ აქვს. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მისი არასამთავრობო ორგანიზაცია მხარდაჭერილი იყო სახელმწიფოს მხრიდან, შექმნილი იყო დასავლეთის სტანდარტებით და, შესაბამისად, მასაც სერიოზული ორგანიზაციული გამოცდილება გააჩნია.

მაგრამ აქ ასევე ისმის კითხვა, რამდენად შეძლებს თემურ იაკობაშვილი საკუთარი პოლიტიკის გატარებას და საქმის

გაკეთებას, ამ მიმართულებით ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. ფაქტია, რომ ის ამ გზაზე დიდ სიძნელეებს წააწყდება. ამისი მიზეზი კი სამთავრობო გუნდის მუშაობის სტილი იქნება.

ვიცით, რომ დღეს მთავრობა ერთიანი მიდგომებით, ვიტყოდი „კლიშეებით“ და ტრაფარეტებით მუშაობს. ასეთ შემთხვევაში ძალიან ძნელია, როგორი პიროვნებაც უნდა იყო, შენი საკუთარი როლი და მიდგომა განახორციელო იმ სფეროში, რომელიც შენ გაბარია. ეს პრობლემა საერთოდ დგას სახელმწიფოს მართვის სისტემაში.

„რ“: სტრატეგიის შეცვლაზე საუბრობს იაკობაშვილი, მეტიც, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა სააკაშვილის პრიორიტეტიც...

გ.ხ.: ამაში ეჭვი მეპარება, რამდენადაც კარგად ვხედავთ, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში კონფლიქტების მიმართულებით არათანმიმდევრული, წინააღმდეგობრივი და ზოგჯერ უგუნური ნაბიჯები იდგმება. იწყებოდა რაღაც, მაგრამ ამ ნაბიჯებით ყველაფერი წყალში იყრებოდა და შევდიოდით დიდ ჩიხში.

ასეა დღესაც, ორივე მიმართულებით ჩიხში ვიმყოფებით. ამიტომ ვეჭვობ, რომ თუ ახალი პოლიტიკა არ შემუშავდა, კონფლიქტების მხრივ რაიმე რადიკალურად შეიცვლება.

„რ“: იაკობაშვილის დანიშვნის შემდეგ საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი, რომ ის ცნობილი ეგზიტპოლებისთვის „დაასაჩუქრეს“...

გ.ხ.: არჩევნების მიმდინარეობისას გაკეთებულმა ეგზიტპოლებმა მის დანიშვნას ხელი შეუწყო, მაგრამ ეს პირდაპირ კავშირში არა მგონია, რომ იყოს. ვიმეორებ, იაკობაშვილი არის ექსპერტი გეოპოლიტიკურ საკითხებში, მას თეორიულად სერიოზული შეხება ჰქონდა კონფლიქტებთან და ამიტომ მის მინისტრად დასახელებაში ამანაც იმოქმედა.



ახალი პოლიტიკური კურსი: საფრთხის შემცველი კოსმეტიკა

„მთელი კვირა“, 2008 წ. 28 იანვარი, 023 (5536), გვ. 1, ჟურნალისტი ნათია ახალაია, ფოტოთი

„არ ვფიქრობ, რომ ეს სხვა პოლიტიკური კურსია – იმიტომ, რომ ოთხი წლის განმავლობაში ეს ხელისუფლება ძალიან დიდ სახელმწიფო რესურსს ახმარდა პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას; ყველა პრევენციულ ღონეს იღებდა იმისათვის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ოპოზიცია არ ჩამოყალიბებულიყო“, – გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

– **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაზე ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრმა – მათიას იორშიმ მიხეილ სააკაშვილს დელიკატურად ჰკითხა, დაუშვა თუ არა მან შეცდომა 7 ნოემბერს. სააკაშვილის პასუხი იყო: „მთავარი არის არა ის, თუ რა მოხდა 7 ნოემბერს, არამედ ის, თუ რა მოხდა 7 ნოემბრის შემდეგ“. როგორია თქვენი შეფასება 7 ნოემბრისა და შემდგომი პროცესებისა?**

– 7 ნოემბრის მოვლენები 2 ნოემბერს (და უფრო ადრე)

დაწყებულ პროცესებზე ხელისუფლების მხრიდან არაადეკვატური რეაგირების შედეგი იყო. 2 ნოემბერს პარლამენტის წინ ადამიანების არნახული რაოდენობა შეიკრიბა; იყო სერიოზული სახალხო პროტესტი და ეს ხელისუფლების მხრიდან იგნორირებული, უფრო ზუსტად, გამასხრებული იყო.

– ხელისუფლების წარმომადგენლები ნოემბრის მოვლენების გამომწვევ მიზეზად ისევ სოციალურ პრობლემებს ასახელებენ. ერთ-ერთმა მათგანმა – ნიკა გვარამიამ – რამდენიმე დღის წინ ამის შესახებ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, იზიარებთ თუ არა ამ აზრს?

– არავითარ შემთხვევაში! ეს ვერსია ხელისუფლების მიერ თავიდანვე იყო წინ წამოწეული. მომიტინგეთა ასეთი რაოდენობა და ოპოზიციის ლოზუნგების მხარდაჭერა იმან განაპირობა, რომ ხალხი შეშფოთებული იყო ქვეყანაში შექმნილი ვითარებით, ხელისუფლების არადემოკრატიული პოლიტიკით, რომელიც სულ უფრო იკიდებდა ფეხს. ხალხი შეწუხებული იყო თავისუფლებების დარღვევის, თავისი საკუთრების დაუცველობის, ძალოვანი სტრუქტურების წინაშე დაუცველობისა და სხვა მიზეზთა გამო. რა თქმა უნდა, მიზეზთა შორის იყო უმუშევრობა და სიდუხჭირე, მაგრამ ამაზე მეტად ადამიანები იმას აპროტესტებდნენ, რომ ქვეყანაში სელექციური სამართალი არსებობს.

პრეზიდენტის მხრიდან ამ პროტესტის იგნორირებას, ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან დაცინვას აუცილებლად მოჰყვებოდა მომიტინგეთა ლოზუნგების გამკაცრება და მათი პოზიციის რადიკალიზება. 2 და 3 ნოემბერს პრეზიდენტის გადადგომის თაობაზე 1-2 შეძახილი თუ იყო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი მიტინგის მოთხოვნად იყო ქცეული. მაგრამ 4 ნოემბრის შემდეგ ეს მიტინგის ლაიტმოტივად იქცა.

– ეს პოლიტიკური კრიზისი იყო?

– რა თქმა უნდა, ეს იყო პოლიტიკური კრიზისი. და ეს მოგვიანებით ყველამ აღიარა – მსოფლიო დონეზე.

ხელისუფლება მოქმედებდა ასეთი პრინციპით: რაც უნდა მოხდეს, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მაინც ტელევიზორებთან დარჩება, ამიტომ, მომიტინგეები, 300 ათა-

სი იქნება თუ, თუნდაც, 600 ათასი, ტელევიზორთან მსხდომ ხალხთან შედარებით მაინც უმცირესობაა. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ეს უმცირესობა ხალხის განწყობას არ გამოხატავს. ეს არის მანიპულირება! ეს არის დემაგოგია! საზოგადოების განწყობების მიმართ ასეთი მიდგომა, ჩვენთან, სამწუხაროდ, მეთოდად არის არჩეული.

თვით ყველაზე კრიტიკულ დროსაც კი – 7 ნოემბერს – შეიძლებოდა მოვლენების სხვაგვარად წარმართვა. ვთქვათ, დილიდან გადაწყვიტეს რუსთაველის გადაკეტვა. რა მოხდა? გადაეკეტათ! იმის შემდეგ მომიტინგეთა მხრიდან ძალმომრეობა თუ იქნებოდა, ამაზე ყოფილიყო რეაგირება! ქუჩის გადაკეტვა არ შეიძლება იყოს ხელკეტებით ცემის და უზომო რაოდენობით გაზის გაშვების მიზეზი! მომიტინგეებზე მთელი არსენალის გამოყენება რას ისახავდა მიზნად? ეს ხომ მიზნად ისახავდა არა მიტინგის დაშლას, არამედ ტელევიზიების, საინფორმაციო არხების საშუალებით რაც შეიძლება მეტი პოტენციური მომიტინგის დაშინებას. ამიტომ ძალის გადაჭარბება შეცდომა კი არა, პოლიტიკის ნაწილი იყო!

აგებული იყო ასეთი პირამიდა: თავში – კრემლი, როგორც ბოროტების მსოფლიო ცენტრი; მისი წარმომადგენელი – ბადრი პატარკაციშვილი, რომელსაც დაქირავებული ჰყავს მთელი ოპოზიცია; და მომიტინგეები, რომლებიც ამ შეთქმულების სცენარში არიან ჩართულები. ამის შედეგად ტელევიზორთან მჯდომ საქართველოს მოქალაქეს უნდა შეჰქმნოდა უარყოფითი კომპლექსი მთელი ამ პირამიდის მიმართ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არა მხოლოდ ცალკეული ადამიანები, არამედ, მთლიანად, ეს პირამიდა – მომიტინგეთა ჩათვლით – საქართველოს მტერია. ეს განწყობა ადამიანების ქვეცნობიერებაში უნდა შესულიყო. ხალხი კი, როგორც ქუჩაში გასული, ისე – ტელევიზორთან მსხდომი, რეალურად აფასებდა სიტუაციას და ამიტომ იყო მისი მხრიდან საშინელი გაღიზიანება.

7-მა ნოემბერმა მთელ მსოფლიოში დასვა დიდი კითხვის ნიშნები საქართველოს მიმართ: არსებობს თუ არა აქ დემოკრატიული ხელისუფლება და, საერთოდ, რა გზით მიდის ქვეყანა, ღირს თუ არა, ასეთ ქვეყანას ნატო-ში წევრობა და ევრო-

ინტეგრაცია ვაღირსოთ? ამაზე სერიოზული საუბარი დაიწყო. დაიწყო საინვესტიციო პაუზა: ყველა მსხვილი ინვესტიცია, პრაქტიკულად, შეჩერებულია და არავინ იცის, ეს რამდენ ხანს გაგრძელდება.

არჩევნების შემდეგ კი მოხდა გარკვეული ძვრები – იმისათვის, რომ ყველას დაანახვონ, რომ უფრო დემოკრატიულები არიან ვიდრე დასავლეთში ჰგონიათ, მაგრამ ლოგიკურია, ვივარაუდოთ, რომ ასე მხოლოდ საპარლამენტო არჩევნებამდე გაგრძელდება. თუ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ დიდ უმრავლესობას აიღებს და პარლამენტს მისი სახით ისევ დომინირებული პარტია ეყოლება, მაშინ მოვლენები უარესად განვითარდება, ერთადერთ გამოსავლად მიმაჩნია ქვეყანაში ყველა დემოკრატიული ძალის კონსოლიდაცია – იმისათვის, რომ გაზაფხულზე დაბალანსებული პარლამენტი მივიღოთ.

– ზემოთ შეთქმულება ახსენეთ. მიხეილ სააკაშვილმა ევროსაბჭოს სესიაზეც ახსენა ეს სიტყვა, აღნიშნა რომ 7 ნოემბერს საქართველოში დემოკრატიას საფრთხე შეექმნა და მან ეს საფრთხე ქვეყანას აცილა. შესაძლებელია, ეს ვერსია ევროსაბჭოსთვის დამაჯერებელი იყოს.

– პატარკაციშვილის მიერ ხელისუფლების დამხობის მცდელობა საბუთდება კოდუასთან მისი საუბრის ჩანაწერების მეშვეობით, მაგრამ ის ჩანაწერები საკმარისად მიჩნეული არ არის. ფართომასშტაბიანი შეთქმულების თეორია უცხოეთში გამოქვეყნებულ არც ერთ დოკუმენტში არ დასტურდება. კონკრეტულად, რა დოკუმენტებს დაასახელებთ?

– ასეთია, მაგალითად, 29 ნოემბერს ევროპარლამენტის მიერ მიღებული დასკვნა; ასევე, საერთაშორისო საკრიზისო ჯგუფის მიერ გაკეთებული შეფასება ნოემბრის მოვლენებთან დაკავშირებით.

მაშინ, ევროსაბჭოს სესიაზე რატომ შეხვდნენ ოლიმპიური დუმილით მიხეილ სააკაშვილის აღნიშნულ განცხადებას?

– არჩევნების პროცესში ხელისუფლებამ შეძლო, საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე შეექმნა ასეთი მოლოდინი:

თუ პირველ ტურში სააკაშვილი არ გაიმარჯვებს, მაშინ უბედურება მოხდება და 6 იანვარს ოპოზიცია ხალხს არეულობისკენ მოუწოდებს. ანუ, გაცილებით დიდი აქცენტი კეთდებოდა 6 იანვარზე და არა – 5 იანვარზე. იმ მოტივით, რომ ქვეყანა დესტაბილიზაციისთვის აერიდებინათ, უცხოეთის ქვეყნების მთავრობებმა არჩიეს, ცესკო-ს შედეგები ეღიარებინათ. დასავლეთის მხრიდან ეს, რა თქმა უნდა, საკითხისადმი არაობიექტურ მიდგომას ნიშნავს.

საქართველოში ფსიქოლოგიური ზეწოლა მოხდა: ჯერ მოხდა ეგზიტპოლის გამოქვეყნება, რომლის მიხედვით ზუსტად ის პროცენტი იყო დასახელებული, რაც შემდეგ ცესკო-მ მიიღო.

– თუმცა, ეგზიტ-პოლის მწარმოებელი ჯგუფის წევრმა – თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ ცესკო-ს მონაცემები და ჩატარებული ეგზიტპოლი ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ არის.

– მე ფაქტების დამთხვევას განვიხილავ. ფაქტი კი ის არის, რომ 5 იანვრის საღამოს ეგზიტპოლი გამოქვეყნდა იმ მონაცემებით, რომ ამ ციფრებს ერთმანეთთან შეთანხმებით წერდნენ. მე მხოლოდ ფაქტებს ვადარებ. ეგზიტპოლის მონაცემებს ყოველ წუთს იმეორებდნენ. რა არის ეგზიტპოლი? ის ხომ ცესკო-ს მიერ დათვლილი შედეგი არ არის? იგი ხმების დათვლის ერთ-ერთი, დამხმარე საშუალებაა. მას კი იმავე საღამოს, უდიდესი საინფორმაციო სივრცე დაეთმო. ტელეკომპანია „მზე“ რამდენიმე წუთში ერთხელ იმეორებდა ეგზიტპოლის შედეგს, რითაც მაყურებელს თავის ტკივილი გაუჩინა! ეს ნორმალურ პირობებში ხდება? ეს ზეწოლა არ მოქმედებს საერთაშორისო დამკვირვებლებზე? არ მოქმედებს კომისიებზე, რომლებიც ხმებს ითვლიან? აი, აქედან დაიწყო ეს ყველაფერი!

– თქვენ ამბობთ, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განხორციელდა?

– დიახ. ამას ნორმალური საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ადეკვატური რეაქცია უნდა მოჰყოლოდა. მაგრამ დასავლეთი გაჩუმდა. ამით კი ხელი შეუწყო ამ არაჯანსაღი პროცესის განვითარებას. მე გადაჭრით არ ვამბობ, რომ არჩევნები გაყალბდა. მე ვამბობ, როგორ იყო წარმართული პროცესები

იმ მიმართულებით, რომ ის შედეგები ყოფილიყო მიღებული, რაც წარმოგვიდგინეს. ეს შედეგები კი დამკვირვებლების მიერ მხარდაჭერილი იყო, ვინაიდან მათ თავიანთი მთავრობებისგან დავალება ჰქონდათ მიღებული: ხელი შეუწყვეთ იმას, რომ საქართველოში არ მოხდეს მოულოდნელი ძვრები. უკვე ნათელი იყო, რომ თარხნიშვილი სააკაშვილის კაცია – აბა, ვისია?

პროცენტულ მაჩვენებელსაც დავაკვირდეთ: ეს არ იყო 60-70%. დათვლილი ხმების რაოდენობა 50-51%-ის ფარგლებში მერყეობდა. ესეც ხომ ლოგიკურად ბადებს ეჭვს, რომ ჩვენისათანა ქვეყანაში ეს ციფრი შეიძლებოდა, ხელოვნურად ამოქაჩული ყოფილიყო! თავად ციფრი – 51-52 – არის ეჭვის გამჩენი. ეს, თავისთავად, კითხვის გამჩენი ხომ უნდა ყოფილიყო საერთაშორისო დამკვირვებლებისთვის? ეს კი სურათის კარდინალური შეცვლაა! საერთაშორისო დამკვირვებლებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებით გათვალისწინებული ჩარევა განახორციელეს?

– თქვენ ეჭვებზე საუბრობთ, მაგრამ დასავლეთი სულ სხვას ამბობს. სტრასბურგის სესიაზეც ხაზგასმით ითქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ლეგიტიმური პრეზიდენტია.

– ეს იყო პოლიტიკური დასკვნა, რომელიც უნდა გაეკეთებინათ, ვინაიდან ასე იყო შეთანხმებული მსოფლიოს ყველა წამყვანი ძალა.

– თქვენ მიგაჩნიათ, რომ მიხეილ სააკაშვილი არალეგიტიმური პრეზიდენტია?

– მე არჩევნების გამოცხადებულ შედეგებს ვემორჩილები, მაგრამ ეჭვი შემაქვს არჩევნების შედეგების დათვლის სისწორეში.

– ზემოთ აღნიშნეთ, რომ საქართველოს მიმართ მთელ მსოფლიოში კითხვები გაჩნდა. მაგრამ ევროსაბჭოს საპარლამენტო სესიაზე საქართველოს მიმართ ასეთი განწყობა არ შეიმჩნეოდა.

– იმიტომ, რომ მათ სტაბილურობა სჭირდებათ. მთელ მსოფლიოში ასე ხდება: კითხვები ჩნდება, ეჭვები ჩნდება, მაგრამ საბოლოოდ დასკვნები კეთდება იმ პროცესის სასარგებლოდ,

რომელიც სტაბილიზაციას იწვევს და არა – დესტაბილიზაციას. საქართველოს მიმართ ლოიალური განწყობა კი იმასაც ნიშნავს, რომ მთელ მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის ოპოზიცია სუსტ, არაორგანიზებულ ოპოზიციად არის მიჩნეული და მათთვის საერთაშორისო მხარდაჭერა, ხმების უმრავლესობაც რომ აეღოთ, ძალიან საეჭვო იქნებოდა.

– მეორე ტურის ჩატარების მოთხოვნა ოპოზიციის მხრიდან, ფაქტობრივად, შესუსტდა. მიგაჩნიათ, რომ მან უკან დაიხია? პოლიტიკურ ოპოზიციაში საპროტესტო მუხტი შემცირდა? სხვათა შორის, ოპოზიციური გაერთიანების ერთ-ერთი წარმომადგენელი – კახა კუკავა ამბობს, რომ პრობლემა არის არა ახალი საარჩევნო კანონის შექმნა, არამედ არსებული კანონის შესრულება.

– ოპოზიცია უკან იხევს. თუ არჩევნების შედეგები მართლაც გაყალბდა, მაშინ სულ სხვანაირად უნდა იმოქმედონ – უფრო კონსოლიდირებულად. ოპოზიცია უფრო შემტევი უნდა გახდეს. მაგრამ მისი ლიდერების ქცევა იმაზე მეტყველებს, რომ...

– რაზე?

– სულ სხვა რაღაცეებზე ლაპარაკობენ: „ჩვენ ახლა გადავჯგუფება უნდა მოვახდინოთ, საპარლამენტო არჩევნებისკენ ავიღოთ გეზი“ და ა.შ. პრაქტიკულად, ცესკო-ს შედეგებს ეგუებიან.

– თქვენი აზრით, მათ რა აკლიათ?

– მათ კონსოლიდირებული ქმედების უნარი აკლიათ. ეს გამოიხატა მაშინაც, როდესაც კრიტიკულ მომენტში თავიანთი კანდიდატურები არ მოხსნეს ერთი კანდიდატის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში ხომ სულ სხვა სურათი იქნებოდა ხმების რაოდენობის თვალსაზრისით! ახლა კი ასეთი სიტუაციაა: გვჭირდება ძლიერი ოპოზიცია ახალ პარლამენტში.

– ოპოზიცია სწორედ ამისთვის იბრძვის – პარლამენტში სურათის რეალურად შეცვლისთვის.

– მაგრამ მათ სხვა თვისებები გამოავლინეს და სიტუაციაც სხვაგვარად წარიმართა. ხმების საკმაოდ დიდი პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც ლევან გაჩეჩილაძემ მიიღო, არის არა ლევან გაჩეჩილაძის, როგორც პოლიტიკოსის აღიარება. ეს

არის პროტესტის ხმები – სააკაშვილის წინააღმდეგ მიცემული ხმები. ეს სიგნალი იყო და მან, სხვათა შორის, გარკვეული გავლენა მოახდინა.

– გავლენა კონკრეტულად რაში გამოიხატა?

– ხელისუფლებას ეტყობა, რომ ნოემბრის მოვლენებიდან და წინასაარჩევნო პროცესებიდან რაღაც დასკვნები გაკეთებული აქვს. მაგრამ ეს სანამდე გასტანს? საპარლამენტო არჩევნებამდე თუ შემდეგაც? ცივილიზებულ ქვეყნებს ჰგონიათ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გაკვეთილები უკვე გამოიტანა და იმედი აქვთ, რომ ამ ქვეყანაში სხვა პოლიტიკური კურსი დაიწყება. არ ვფიქრობ, რომ ეს სხვა კურსია – იმიტომ, რომ ოთხი წლის განმავლობაში ეს ხელისუფლება ძალიან დიდ სახელმწიფო რესურსს ახმარდა პოლიტიკური ოპონენტების დისკრედიტაციას; ყველა პრევენციულ ზომას იღებდა იმისათვის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ოპოზიცია არ ჩამოყალიბებულიყო. ამ ხალხს ვიცნობ. ისინი იმაზე ფიქრობენ, რომ ახალი მოწვევის პარლამენტშიც თავისი ხალხი დასვან.

– მაგრამ ევროსაბჭოს მაღალი ტრიბუნიდან სულ სხვა რამ გაისმის: ოპოზიციას სახელისუფლებო პოსტების დაკავებას სთავაზობენ.

– ეს გარესამყაროსკენ მიმართული პიარ-აქციაა. ამ ქვეყანაში კი სულ სხვა განწყობაა.

– ზემოთ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლებამ ნოემბრის პროცესებიდან გარკვეული დასკვნები გამოიტანა. რა იგულისხმეთ?

– ეს, ნაწილობრივ, ჩანს მთავრობის ახალ შემადგენლობაში: იგი პარტიული ნიშნით არ არის დაკომპლექტებული.

– ახალი მთავრობა – ეს, თქვენი აზრით, თვისებრივად ახალი შემადგენლობაა? მაშინ, როცა მერაბიშვილი პოსტს ინარჩუნებს, ადეიშვილს ტყეშელაშვილი ცვლის, ნოდია და იაკობაშვილი კი მინისტრის პორტფელებს იბარებენ.

– სოციალური მხარე თითქოს პრიორიტეტი გახდა (სააკაშვილისა და გურგენიძის დაპირებებს ვგულისხმობ). ყველაფერზე ვამბობ: თითქოს. მაგრამ ეს ყველაფერი „ძალაში“ საპრეზიდენტო არჩევნებიდან საპარლამენტო არჩევნებამდე რჩება თუ

შემდეგაც? შესაძლებელია, რომ ეს მოჩვენებითი, ზედაპირული პროცესები აღმოჩნდეს – არჩევნებიდან არჩევნებამდე.

საქართველოს ხელისუფლების თამაშის წესები 7 ნოემბრის შემდეგ დაინგრა. მსოფლიო თამაშის ამ წესებზე უკვე აღარ მოდის. ახლა ხელისუფლებაში სჭირდებათ, შექმნან სურათი, თითქოს მთავრობას არა პარტიული, არამედ პროფესიული ნიშნით აკომპლექტებენ. ამაზე მერე ბევრი ლაპარაკი იქნება. იმასაც იტყვიან: ხომ ხედავთ, მოხუცი კაციც ჩავრთეთო. ახალ მთავრობაში თვისებრივ ცვლილებას ვერ ვხედავ. მიმაჩნია, რომ ეს გარე სამყაროსთვის დასანახი კოსმეტიკური ზომებია.

– ეს ახალი აფეთქების საფრთხეს ხომ არ შექმნის?

– რა თქმა უნდა. ყველაფერი, რაზეც ახლა ვიმსჯელეთ, ახალი დესტაბილიზაციის, ახალი აფეთქების მუხტის მატარებელი პროცესებია.

– ოფიციალური მოსკოვი, ერთი მხრივ, მზადყოფნას გამოთქვამს რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დათბობისთვის, მეორე მხრივ კი, სწორედ რუსეთის წარმომადგენლობა შეეცადა, ევროსაბჭოს საპარლამენტო სესიაზე სააკაშვილის გამოსვლა დაებლოკა.

– რუსეთის მხრიდან ურთიერთობის დათბობის მცდელობას არ უნდა ველოდოთ. რუსეთი საქართველოს განიხილავს, როგორც რეგიონში თავისი ინტერესების მანიპულირების საშუალებას. კონფლიქტის ზონებიც მათთვის მანიპულირების იარაღია.

– გააქტიურდა საუბარი კოსოვოს პრეცედენტზე. ამ თვალსაზრისით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებით საფრთხე რეალურად არსებობს?

– კოსოვო უკვე პრეცედენტია, რადგან ეს პროცესი უკვე დაწყებულია. და კოსოვო უკვე აძლევს სეპარატიზმს საყრდენს. მაგრამ ძნელი სათქმელია, აღიარებს თუ არა რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. ეს მაინც საქართველოში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე იქნება დამოკიდებული.

– თემურ იაკობაშვილმა ახალ მთავრობაში რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პორტფელი ჩა-

იბარა. თქვენი აზრით, ახალი სამინისტრო დავით ბაქრაძის უწყებისგან განსხვავებით, რა უფლებამოსილებას იძენს?

– ეს მეც მაფიქრებს. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარს ვამბობთ კონფლიქტების მოგვარებაზე? მივიჩნევთ, რომ ეს კონფლიქტები მაინც მოუგვარებელია და რეინტეგრაცია უნდა მოხდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში? მეორე მხრივ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ სამინისტროს სფეროები შევცვალეთ? რეინტეგრაცია არის ის, რაც ეხება არა მხოლოდ კონფლიქტების ზონებს: მაგალითად, ასეთია მაჰმადიანი მესხების რეპატრიაცია და მათი საზოგადოებაში რეინტეგრაცია; დევნილთა, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრირება და ა.შ. იგულისხმება თუ არა ტერიტორიული რეინტეგრირება იმ ზონებისა, რომლებიც გაუცხოებული იყო? სამინისტროს უფლებამოსილება ძალზე მკაფიოდ უნდა განისაზღვროს.



„კოსოვოში შესაძლოა, საომარი მოქმედებები დაიწყოს“

კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი რუსეთისაგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას არ ელოდება

„მთელი კვირა“, 2008 წ. 18 თებერვალი, ჟურნალისტი სოფო ქვლივიძე

კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი აღნიშნავს, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება მსოფლიოში სეპარატისტული მოძრაობების წახალისებას გამოიწვევს. მისი აზრით, ის, შესაძლოა, პრეცედენტად იქცეს სხვა კონფლიქტებისათვის და მსოფლიოში ახალი ცხელი წერტილები წარმოიშვას. არის თუ არა კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება პრეცედენტი სხვა გაყინული კონფლიქტებისათვის და რას უნდა ველოდოთ რუსეთისაგან?

ამ საკითხებთან დაკავშირებით „მთელი კვირა“ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელს, გიორგი ხუციშვილს, ესაუბრა.

გიორგი ხუციშვილი: კოსოვოს დამოუკიდებლობა დიდი ხნის განმავლობაში მზადდებოდა. პირველ რიგში მისი მომხრე და სულისჩამდგმელი აშშ იყო, შემდეგ ევროკავშირიც. ნატო, ევ-

როკავშირი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა უკვე ჩამოყალიბებულია იმაზე, რომ როგორც კი კოსოვოს დამოუკიდებლობა გამოცხადდება, 24 საათის ფარგლებში ამ გადაწყვეტილებას ექნება ძალიან მძლავრი საერთაშორისო მხარდაჭერა. პრაქტიკულად, კოსოვო დამოუკიდებელი ხდება შეთანხმებით მთელ ცივილიზებულ სამყაროსთან. გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება სერბეთი, რომელიც თვლის, რომ მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ხდება, ასევე, რუსეთი და კიდევ რამდენიმე ქვეყანა, რომლებიც რუსეთს უცხადებენ სოლიდარობას. კონკრეტულად რომელი ქვეყნები წავლენ კოსოვოს აღიარების წინააღმდეგი, ეს გამოჩნდება მაშინ, როცა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გავა ეს საკითხი. შეიძლება ითქვას, რომ აღიარების მოწინააღმდეგე ქვეყნები უმცირესობაში იქნებიან, ისინი ხელს ვერ შეუშლიან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას.

„მ.კ.“: რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ამ გადაწყვეტილებამ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტებზე?

გ.ხ.: რუსეთი ყოველთვის უცხადებდა მხარდაჭერას სერბეთს, მაგრამ, ამავე დროს, ამბობდა, რომ თუ მოხდება კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაშინ დაისმება კითხვა – რატომ არ შეიძლება იგივე მოხდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ. შესაბამისად, გვემუქრებოდა, რომ ასეთი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. რეალურად, რუსეთის საწინააღმდეგოდაც იმუშავებს ეს პრეცედენტი, ვინაიდან მას რთული ვითარება აქვს ჩრდილოეთ კავკასიაში. ბევრი სამართლებრივი და პრაქტიკული დაბრკოლება არსებობს. რამდენადაც არ უნდა ხმაურობდნენ ამ საკითხზე, საბოლოოდ, რუსეთის მიერ ვერ იქნება აღიარებული აფხაზეთის, დნესტრისპირეთის ან სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

„მ.კ.“: თუმცა ცოტა ხნის წინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ კოსოვოს აღიარება უარყოფითად იმოქმედებს სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან მიმართებაში...

გ.ხ.: შესაძლოა, მოხდეს ამ რეგიონების დაჩქარებული ინტეგრაცია რუსეთის ფედერაციაში. შესაძლოა, ამოქმედებული იყოს რაღაც პროგრამები, რომლებიც უფრო დააახლოებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს რუსეთთან, მაგრამ, ამავე დროს, არა მგონია, რომ იურიდიულად გაფორმდეს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება. იმ ფონზე, როცა რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობის შერბილების ნიშნებია, გარდა ამისა, არსებობს ერთობლივი ეკონომიკური პროექტების პერსპექტივა, რაც ამის შემდეგ შეწყდება. ასევე, რუსეთმა იცის, რომ სააკაშვილის ხელისუფლება მკვეთრად დაუპირისპირდება ასეთ გადაწყვეტილებას, ორ ქვეყანას შორის გაწყვეტილი იქნება ყოველგვარი ურთიერთობა და საქართველოც და რუსეთიც ომის პირას აღმოჩნდებიან. მიმაჩნია, რომ რუსეთის მხრიდან იქნება ზეწოლა, პროვოკაციებიც, შესაძლოა, ამ ტერიტორიების ანექსია, სხვა მცდელობებიც, მაგრამ დამოუკიდებლობის იურიდიული გაფორმება ვერ მოხდება.

კოსოვოს პრეცედენტი კარგა ხანია, შექმნილია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სეპარატისტული მოქმედებები წახალისებულია მსოფლიო მასშტაბით. გასაგებია, რომ სერბების მხრიდან ადგილი ჰქონდა კოსოვოს მოსახლეობის გენოციდს, მაგრამ ასეთივე სიტუაცია გვაქვს კვიპროსში და იქ არ მომხდარა დამოუკიდებლობის ცნობა. მართალია, კოსოვო ჯერჯერობით ერთადერთი შემთხვევაა, მაგრამ მისი აღიარება ხდება საერთაშორისო პრინციპების საწინააღმდეგოდ. ის, რომ ეს გადაწყვეტილება მზადდებოდა მასობრივი მხარდაჭერის პირობებში, უკვე ქმნის პრეცედენტს.

აღსანიშნავია, რომ უნდა არსებობდეს სახელმწიფოს თვითმმართველობა, რომ ის ცნობილი იყოს სხვა სახელმწიფოების მიერ. თუმცა კოსოვოს წლების განმავლობაში გაერო-ს მისია განაგებს, ხოლო წესრიგს ნატო-ს ჯარი იცავს. როგორც კი ეს ფაქტორები გამოვა ამ ტერიტორიიდან, მაშინვე დაიწყება ქაოსი. ამის გათვალისწინებით დაგეგმილია ევროკავშირის მისიის რამდენიმე ათასი კაცით გაძლიერება. გაძლიერდება ნატო-ს

ჯარიც და ასეთი გზით უნდათ, თავიდან აიცილონ გართულებები, რომლებიც მოსალოდნელია.

სერბეთი არ აპირებს რაიმე აგრესიულ ქმედებას. თუმცა წინააღმდეგობის გაწევას კოსოვოში მცხოვრები სერბები აპირებენ. მიტროვიცას პროვინცია დაუმორჩილებლობას გამოაცხადებს. იქ ფეთქებადი სიტუაციაა შექმნილი. როგორც კი კოსოვოს დამოუკიდებლობა იქნება აღიარებული, ეს პროვინცია აპირებს, მაშინვე გამოაცხადოს კოსოვოსაგან დამოუკიდებლობა და დაემორჩილოს სერბეთს. კოსოვოს შიგნით უკვე არის განხეთქილება და ამის შედეგად შეიძლება საომარი მოქმედებები განვითარდეს.

„მ.კ.“: საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად აცხადებენ, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება პრეცედენტი ვერ გახდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის. რა არგუმენტები არსებობს ამისათვის?

გ.ხ.: არსებობს საერთაშორისო ნორმები და პრინციპები, მაგრამ მხოლოდ კოსოვოსათვის კეთდება გამონაკლისი. მაგრამ, ვინაიდან უკვე არსებობს პრეცედენტი, დადგება საკითხი, რატომ არ უნდა იყოს ის სხვაგანაც გამოყენებული. ამ პროცესს უკვე ვეღარავინ გააჩერებს. კოსოვოს მაგალითი მსოფლიოში სეპარატისტული მოძრაობების გაძლიერებისათვის იქნება გამოყენებული. მაგრამ ჩვენმა სახელმწიფომ მკაცრად უნდა განაცხადოს, რომ საქართველოში არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში სიტუაცია განსხვავებულია და საქართველო არასოდეს წავა იმაზე, რომ პრეცედენტი ცნოს და ანალოგიური რამ განხორციელდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც.

„მ.კ.“: რამდენად იმოქმედებს კოსოვოს აღიარება სააკაშვილი-პუტინის შეხვედრაზე? ეს გარკვეული დაძაბულობის ელემენტებს ხომ არ შეიტანს საქართველო-რუსეთს შორის დამთბარ ურთიერთობებში?

გ.ხ.: მეშინია იმისი, რომ დათბობა და დაახლოება არ მოხდეს საქართველოს მხრიდან სტრატეგიული ობიექტების გასხვისების ხარჯზე. ამისი საშიშროება არსებობს. მაგალითად, საუბარია საქართველოს რკინიგზის გასხვისებაზე. მთავარია, რომ ურთიერთობის ნორმალიზება არ მოხდეს ისეთი გზით, რომ

საქართველო მიბმული აღმოჩნდეს რუსეთზე. რა თქმა უნდა, ჩვენ გვინდა რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო კიდევ უფრო განიმტკიცებს არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკურ დამოუკიდებლობას.



წინაალმდეგობები ნატო-სკენ მიმავალ გზაზე და სეპარატისტთა განწყობილებები

„გზა“, 2008 წ. 3 აპრილი, #14, გვ. 14, ჟურნალისტები ხათუნა ბახტურიძე და ლალი პაპასკირი, ფოტოთი

ბუქარესტის სამიტი, საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ზე გადასვლის საკითხი, რუსეთის გააფთრებული ბრძოლა ევროატლანტიკური ალიანსის გაფართოების წინააღმდეგ, თვითგამოცხადებული რესპუბლიკების პოზიციები და აფხაზებისთვის მიხეილ სააკაშვილის მიერ შეთავაზებული წინადადება – აი, ის თემები, რომლებიც ნატო-ს სამიტის წინა დღეს ქართველ პოლიტოლოგთან საუბრისას განვიხილეთ.

გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტოლოგი:

– დავიწყოთ იმით, რომ MAP-სა და IPAP-ს შორის შუალედური პროგრამა არ არსებობს. თუკი საქართველოსთვის გამონაკლისს დაუშვებენ და შუალედურ პროგრამაზე გადაიყვანენ, ეს პროგრესი კი არა, შეღავათი იქნება და, იმედი მაქვს, საქართველოს ხელისუფლება ამაზე უარს იტყვის. ამერიკის პრეზიდენტის სურვილის მიუხედავად, არა მგონია, ბუქარესტის სამიტზე საქართველოს საკითხი განიხილონ. ნატო-ში ჩვე-

ნი გაწევრიანების წინააღმდეგ გამოსულ ევროპულ ქვეყნებს რუსეთთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურთ, ამისი მიზეზი კი საგარეო ვაჭრობა, ინვესტიციები და ენერგეტიკაა. გარდა ამისა, რუსეთში ახლა გარდამავალი პერიოდია, ანუ ერთი პრეზიდენტი უკვე წასულია თანამდებობიდან, მეორეს კი მოვალეობის შესრულება ჯერ არ დაუწყია და ამ ქვეყნებს არ სურთ, რუსეთის ახალ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა ცუდად დაიწყონ. თუ საქართველომ თავისი პოლიტიკა სწორად არ წარმართა, ჩვენ წინააღმდეგ ბრძოლას უკვე ახალი ლიდერი განაგრძობს. რუსეთის ფაქტორი მართლაც მნიშვნელოვანია, მაგრამ ყველაფრის მისთვის დაბრალებაც არ შეიძლება. მიზნის მიღწევაში მას საქართველოში განვითარებული პოლიტიკური პროცესებიც „წაეხმარა“: რომ არა 7 ნოემბერი, შესაძლოა, საქართველოსთვის MAP-ი მიეცათ. ასეა თუ ისე, წლის ბოლომდე ეს საკითხი რეალურად დადგება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საპარლამენტო არჩევნები ობიექტურად ჩატარდება. რაც შეეხება რუსეთს, ის იმიტომ შფოთავს, რომ ნატო-ს გაფართოება მასთან შეუთანხმებლად მიმდინარეობს. საქართველო ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია. მოსკოვი ცდილობს, დაგვსაჯოს და სეპარატისტული რეგიონების რუსეთში ინტეგრაცია დააჩქაროს. ამით არჩევანის წინაშე გვაყენებს: გვიღირს ნატო-ში გაწევრიანება ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის ფასად? თუმცა ცხადია, რომ რუსეთი იმ რეგიონებს ასე ხელაღებით ვერ აღიარებს.

– **თქვენ მადრიდში აფხაზური პოლიტიკის მთავარ იდეოლოგებს შეხვდით, კონკრეტულად ვისთან გქონდათ საუბარი და როგორია მათი პოზიცია?**

– იქ იყვნენ აფხაზური პოლიტიკის მთავარი იდეოლოგები: ნათელა აკაბა, ვიაჩესლავ ჩირიკბა, არდა ინალიფა, ლიანა კვარჩელია და რამდენიმე ნაკლებად ცნობილი ადამიანი. მათთან შეხვედრის მერე მივხვდი, რომ აფხაზეთში ორი ძირითადი პოლიტიკური ბანაკი არსებობს. ერთი – რუსეთთან ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის, მეორე კი – დამოუკიდებელ აფხაზეთზე ოცნებობს. „მესამე ბანაკი“ – ანუ ქართველებთან თანაცხოვრების მსურველები არ არსებობენ. შესაძლოა, არსებობენ,

მაგრამ ჩუმად არიან... ყველაზე აქტიური პროაფხაზური ბანაკია. მისი წარმომადგენლები უკმაყოფილო არიან რუსეთის პოზიციით. რაც შეეხება პრორუსულ ძალებს, ისინი ცდილობენ, რუსეთის პოლიტიკა გაამართლონ: ამ ეტაპზე აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არ გამოდის, მაგრამ ასეთი განცხადებები მაინც სერიოზული ბიძგიაო. თავის მხრივ, რუსეთიც ყველანაირად ცდილობს, აფხაზები თავის „კეთილ განზრახვაში“ დაარწმუნოს. სინამდვილეში დიდი ბრძოლა მიმდინარეობს იმისთვის, რომ როგორმე აფხაზებს დამოუკიდებლობაზე უარი ათქმევინონ. ისინი ამას ეწინააღმდეგებიან: დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდით და არა რუსეთთან შესაერთებლადო!.. რუსეთი ჯერჯერობით ახერხებს, რომ აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ „ხელში ჰყავდეს“ – იზოლაციაში მოგაქცევთ და საქართველოსთან პირისპირ მარტო დარჩებითო.

– მიხეილ სააკაშვილმა სეპარატისტებს ახალი წინადადებით მიმართა – გაფართოებული ავტონომია და თავისუფალი ეკონომიკური ზონა შესთავაზა, რაც სოჭის ოლიმპიადის ეკონომიკური ალტერნატივა უნდა გახდეს...

– მართალია, აფხაზი სეპარატისტები დაინტერესებული არიან აფხაზეთის განვითარებით, მაგრამ ახლა ამ პროგრამის განხორციელება გამორიცხულია, მიზეზი საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულობაა. რუსეთმა ევროპული ქვეყნები განაწყო ჩვენ წინააღმდეგ და არც სეპარატისტების „მობილიზება“ გაუჭირდება. ამ ეტაპზე სააკაშვილმა აფხაზებს რომ უთხრას, გამგებლებიც თქვენ იყავით, საპარლამენტო უმრავლესობაც და ქვეყნის დედაქალაქი სოხუმი იყოსო, მაინც უარს იტყვიან, რადგან რუსეთის ზეწოლა ძლიერია. თუმცა, ზეწოლის მიუხედავად, ისინი გამორიცხავენ რუსეთში ინტეგრაციას, ამბობენ, რომ ევროინტეგრაცია აფხაზეთისთვის ყველაზე მისაღებია.

– ცნობილია, რომ სოჭის ოლიმპიადის მშენებლობა სეპარატისტებს უმუშევრობის პრობლემას უგვარებს, მაგრამ, ამავე დროს, საფრთხეებსაც შეიცავს.

– დიახ, რუსეთი ჰპირდება, რომ აფხაზეთში სამუშაო ადგილები შეიქმნება და მოსახლეობას ლუკმა-პურის საშოვნელად

სახლ-კარის დატოვება არ მოუწევს. ეს პერსპექტივა მიმზიდველია. თუ ოლიმპიადამდე საქართველომ ნატო-ში „შეასწრო“, შეიძლება, ფსოუს საზღვარი ოფიციალურად დაიკეტოს, რაც რუსეთისთვის მიუღებელია. აფხაზეთში რუსული ძალების მიერ მართულ ეკონომიკაზეც რომ არაფერი ვთქვათ, მოსკოვს სოჭის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის საჭირო მასალა „კაპიკებად“ გააქვს აფხაზეთიდან, რის გამოც აფხაზები აღშფოთებული არიან. რუსეთს ქვიშა, ხრეში, ქვა და სხვა საშენი მასალა მხოლოდ სიმბოლურ ფასად გააქვს, რაც სანაპირო ზოლის მოშლას გამოიწვევს. ეს კი ტურისტულ ბიზნესს სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენებს.



10

„ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ“: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲦᲔ

«აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივიღებთ მაპ-ს»

„პანორამა ჟურნალისტი“
18 აპრილი
ჟურნალისტი: თამარ ჩიქოვანი
სტუმარი: გიორგი ხუციშვილი, პოლიტოლოგი

2008

გოგი ხუციშვილი: „ეს ბოლო აკორდი არ არის, ამას მოჰყვება კიდევ სხვა აკორდები, არანაკლებ შემაშფოთებელი. მე ვიტყოდი, რომ ეს რუსეთის მხრიდან გამიზნული, თანმიმდევრული პოლიტიკაა, რომლის მიზანიც ჩვენი ქვეყნის მაქსიმალურად დასუსტებაა, ჩვენი ქვეყანა უკვე მოწინააღმდეგე ბანაკში მოიაზრება.

„აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივიღებთ მაპ-ს“

„რეზონანსი“, 2008 წ. 18 აპრილი, გვ. 10, ჟურნალისტი თამარ ჩიქოვანი, ფოტოთი

თამარ ჩიქოვანი: ბატონო გოგი, დავიწყოთ იმ თემით, რომელიც დღეს ყველაზე „ცხელია“, ვგულისხმობ იმ დავალებას, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა საკუთარ მთავრობას მისცა – საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლობების გახსნის თაობაზე. რამდენად ლოგიკურად გეჩვენებათ თქვენ ეს ყველაფერი? მგონი, ბოლო აკორდი იყო.

გიორგი ხუციშვილი: ეს ბოლო აკორდი არ არის, ამას მოჰყვება კიდევ სხვა აკორდები, არანაკლებ შემაშფოთებელი. მე ვიტყოდი, რომ ეს რუსეთის მხრიდან გამიზნული, თანმიმდევრული პოლიტიკაა, რომლის მიზანიც ჩვენი ქვეყნის მაქსიმალურად დასუსტებაა, ჩვენი ქვეყანა უკვე მოწინააღმდეგე ბანაკში მოიაზრება.

თ.ჩ.: ანუ ბუქარესტის სამიტზე გაკეთებულმა განცხადებამ, რომ საქართველო ოდესმე აუცილებლად გახდება ნატო-ს წევრი, ამ პროცესების დაჩქარება გამოიწვია?

გ.ხ.: არა, დააჩქარა მთლიანმა პროცესმა. ჩვენ ვართ მიბმული უკრაინასთან და უკრაინაზე და საქართველოზე ერთდროულად არის ლაპარაკი ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ნატო ფართოვდება აღმოსავლეთისკენ, ეს კი საფრთხეს უქმნის რუსეთს. რუსეთი ცდილობს, რომ ეს საფრთხე თავიდან აიცილოს და ამიტომ ხელს უშლის საქართველოს და უკრაინას ამ პროცესის განხორციელებაში. მაგრამ ის მეთოდი, რომელსაც რუსეთი იყენებს, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე პრობლემების შექმნა, მიუღებელია.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს, მრავალი წელია, აქვს შუამავლის ფუნქცია და ეკისრება სამშვიდობო მისია, საპირისპიროდ იქცევა – ქმნის პრობლემას და ომის პროვოცირებას აწყობს. მიუხედავად ამისა, არანაირი შენიშვნა რუსეთის მიმართ კაცობრიობას არ ებადება. მეტიც, მათ უგრძელებენ 6 თვით ამ ფუნქციას და ამაზე თანხმდება ყველა.

დღეს ჩვენ რეალურად უნდა შევხედოთ სიტუაციას. როდესაც ვამტკიცებთ, რომ უპრეცედენტო მხარდაჭერა გვაქვს, ეს არის უპასუხისმგებლო განცხადება. ძალების რა განლაგებაა მსოფლიოში, რისი პერსპექტივა გვაქვს პრაქტიკულად, რა არის არარეალური – ეს ყველაფერი უნდა განვუმარტოთ საზოგადოებას.

თ.ჩ.: პირველი განცხადებები, რაც ჩვენმა მხარემ გააკეთა, იყო ასეთი: საქართველოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები იქნება ადეკვატური. რას გულისხმობდნენ?

გ.ხ.: ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენელი სხვადასხვას გულისხმობს. არიან ისეთებიც, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენ ომით უნდა ვუპასუხოთ, ზოგი ამაში ყველა დიპლომატიური ხერხის გამოყენებას გულისხმობს. საბოლოოდ, ალბათ, პრეზიდენტის პოზიცია გადაწყვეტს. მე ვიტყოდი, რომ იქმნება ძალიან საშიში პრეცედენტი. ჩვენ იძულებულნი ვართ, ვაჩვენოთ, რომ ჩვენ რაღაც შეგვიძლია. რუსეთის გათვლა კი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს საპასუხოდ პრაქტიკულად

ბერკეტი არ აქვს. ანუ, ასეა გათვლილი: რუსეთს აქვს ბერკეტი სამოქმედოდ, საქართველოს კი – არა.

თ.ჩ.: ანუ არის ორი გზა – დიპლომატიური განცხადებები, რომელსაც, სამწუხაროდ, არანაირი შედეგი არ მოჰყვება ხოლმე და ტერიტორიის იარაღით დაცვა, რაც რითი დამთავრდება, არავინ იცის...

გ.ხ.: განლაგება და სიტუაცია ისეთია, რომ ეს იქნება რუსეთისთვის „ტოპკა“.

თ.ჩ.: ანუ პროვოკაციას თუ წამოვეგებით?

გ.ხ.: დიახ, თუ წამოვეგებით, კიდევ უფრო წავაგებთ.

თ.ჩ.: გამოსავალი სად არის? უნდა იჯდე და უყურო, 25-ში რუსეთი რა იზამს? იარაღით ვერ შევვარდებით, იმიტომ, რომ ჩვენი მეგობარი სახელმწიფოებიც კი...

გ.ხ.: როდესაც კომპიუტერს ეთამაშები ჭადრაკს და დახმარებას სთხოვ, ის, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, გთავაზობს შემდეგ სვლას. არსებობს კიდევ ერთი გამოსავალი: გააანალიზო წინა სვლები და იქიდან გააკეთო დასკვნა, რა სტრატეგია უნდა გქონდეს იმისათვის, რომ შემდეგი სვლები იყოს გათვლილი. პროტესტი გასაგებია, მაგრამ, ფაქტობრივად, ამ პროცესის შემაფერხებელი მექანიზმი არ არსებობს. რუსეთი გვთავაზობს, რომ ორიენტაცია შევიცვალოთ, ანუ პროდასავლური ორიენტაცია, რაც გვქონდა, შევიცვალოთ პრორუსულით, რაც დამღუპველია ქვეყნისთვის.

ამ ეტაპზე რუსეთის მხრიდან ამაზე ფიქრიც კი უგუნურებაა. მაგრამ ამას ისინი ისევ და ისევ შიდაპოლიტიკური სიტუაციის დასაძაბად აკეთებენ. პუტინს უნდა, რომ წავიდეს ძლიერი პრეზიდენტის სტატუსით, იმისთვის, რომ ხალხმა ის მოითხოვოს და შემდეგ ისევ პრეზიდენტი გახდეს. აი, ამისთვის მუშაობს და ამას იყენებს.

თ.ჩ.: აფხაზეთში შექმნილი სიტუაცია შესანიშნავია იმისთვის, რომ ქართველი ერის კონსოლიდაცია მოხდეს, იმიტომ, რომ ეს ის თემაა, რომელზეც ორი აზრი არ შეიძლება გქონდეს, ანუ მე რას ვგულისხმობ: წინასაარჩევნოდ ეს დამატებით ქულას ხომ არ შესძენს მმართველ პარტიას, რომელიც იტყვის, რომ ვინც მე მაკრიტიკებს, რუსეთის აგენ-

ტია და რა დროს ეგაა, მე ქვეყნის მთლიანობისთვის უნდა ვიბრძოლოო?

გ.ხ.: ამის შესახებაც იყო რუსეთის პრესაში კომენტარი: ჩვენ ამითი დამატებით ქულებს ვაძლევთ ხელისუფლებას და ვაკლებთ ოპოზიციასო, მაგრამ, ამ აზრის მიუხედავად, არსებობს რაღაც ფაქტორები, რომელიც ამას აკეთებინებს რუსეთს ზუსტად ამ მომენტში. ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ ძველდება კოსოვოს პრეცედენტი. ისინი ამბობენ, რომ ჩვენ კოსოვოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგები ვართ, მაგრამ თუკი ეს მოხდა საერთაშორისო ნორმების დარღვევით, რატომ არ შეიძლება საერთაშორისო ნორმები დაირღვეს აფხაზეთთან დამოკიდებულებაშიო.

თ.ჩ.: გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა მთლიანად პოზიტიურია, მაგრამ ერთ-ერთი საყვედური ის არის, რომ არ ხერხდება კონფლიქტში მონაწილე მხარეების პირდაპირი კონტაქტი.

გ.ხ.: იმიტომ, შუაშია რუსეთი და ამ დიალოგს თიშავს.

თ.ჩ.: მე მოვისმინე გაერო-ში რუსეთის წარმომადგენლის კომენტარი, რომ ის სამშვიდობო ინიციატივები, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა შესთავაზა, აფხაზურ მხარეს არც მიუღია, რატომ ხდება ეს?

გ.ხ.: საგარეო უწყებამ რომ გადასცეს დე ფაქტო საგარეო უწყებას დოკუმენტი, ეს აღიქმება ჩვენში, როგორც აღიარება და ამიტომ ამას ყველანაირად გაურბიან. ყველაფერი ამითი იწყება. ჯერ უნდა გქონდეს გამბედაობა და სურვილი იმისთვის, რომ დაელაპარაკო შენს მოწინააღმდეგეს და, მიუხედავად ყველა განსხვავებისა და იმ ემოციისა, რომელიც არსებობს, უნდა საღად მიუდგე საკითხს.

აუცილებელია, წერილობითი სახით არსებობდეს სტრატეგიული გეგმა, რომელიც ამ ყველაფერს დაალაგებს და ყველა შესაძლო სიტუაციას გაითვალისწინებს. რა ნაბიჯი უნდა გადადგა ამ შემთხვევაში და ა.შ. საბოლოოდ უნდა დაფიქრდნენ სოხუმში, რას კარგავენ, თუ ამ პროცესებიდან იქნებიან ამოვარდნილი და მერე გაჩნდება საშუალება, რომ ირიბად, მესამე პირების საშუალებით მოხდეს კონტაქტები, მოლაპარაკებები.

ისინი მართლა ფიქრობენ, რომ ეს წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილია და სინამდვილეში არაფერ სერიოზულს ქართველები არ გულისხმობენ. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ მართლა ვფიქრობთ მათთან დაახლოებაზე, რომ მართლა გვსურს კონფლიქტის მოგვარება ისე, რომ მათი ინტერესები იყოს დაცული. ამას უნდა ვაკეთებდეთ ყველა ჩვენი მეგობრის პირით, ეს უნდა იყოს გაშლილი და მრავალმხრივი პროცესი და ამ შემთხვევაში რუსეთი გამოჩნდება, როგორც ცალკე მდგომი, აგრესიული მოთამაშე. მაგრამ ჩვენ ვერ შევძლებთ ამის გაკეთებას.

თ.ჩ.: რატომ?

გ.ხ.: ვთვლი, რომ ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელ ხელმძღვანელს აქვს რაღაც პრობლემები დიალოგთან, კომუნიკაციასთან დაკავშირებით. კომუნიკაცია მხოლოდ მათთან ეადვილებათ, ვისი აზრიც არ არის განსხვავებული. ეს შიდა პოლიტიკაშიც ჩანს, კონფლიქტებთან მიმართებაშიც და რუსეთთან ურთიერთობაშიც.

თუკი იბადება განსხვავებული აზრი, ჩნდება მისი დახშობის და არა გადალახვის სურვილი. ეს გამოიხატება მომიტინგეებთან, ოპოზიციასთან, მასმედიასთან ურთიერთობაში, ვინღა დარჩა? პანიკური დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობდეს მთავრობისგან არაკონტროლირებადი ინფორმაციის საშუალებები. მე მგონი, არაფერი შეიცვლებოდა, „ტელე-იმედი“ რომ მაუწყებლობდეს – ის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს ვერ შეცვლიდა, მაგრამ ეტყობა, უფრო მშვიდად სძინავთ და ამის ხარჯზე ჩვენ ვიფუჭებთ იმიჯს მსოფლიოში. ჩვენ ბუქარესტში მაპ-ს მივიღებდით, ნოემბრის მოვლენები რომ არ ყოფილიყო.

თ.ჩ.: ჩვენც წინასაარჩევნო პერიოდში ვართ, იმ პარტიებს, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობენ, აფხაზეთთან დაკავშირებით თუ აქვთ რაიმე კონკრეტული გეგმა თავიანთ პროგრამებში?

გ.ხ.: ოპოზიცია გამოიყურება ძალიან სუსტად და დაქსაქსულად. ჩვენ გვინდა მრავალფეროვანი პარლამენტი, სადაც ერთი პარტიის აზრი არ გავა ავტომატურად. მაგრამ ოპოზიცია

ვერ ქმნის ალტერნატივას. იმიტომ, რომ მათ არ აქვთ გაწერილი გეგმა. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ მათ ყველაფერი მოფიქრებული აქვთ და რეალურად იციან, როგორ შეცვალონ სიტუაცია უკეთესობისკენ.

თ.ჩ.: ბატონო გოგი, დავუბრუნდეთ „ადეკვატურ პასუხს“. როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა, პარლამენტმა „ცისფერჩაფხუტიანების“ კონფლიქტის ზონიდან გამოსვლა მოითხოვოს?

გ.ხ.: ვუბრუნდებით ისევ ბერკეტის თემას, რა ბერკეტი შეიძლება გვქონდეს იმისათვის, რომ ეს რეალურად ბოლომდე განვახორციელოთ? ვფიქრობ, რომ ეს მოთხოვნა ქაღალდზე დარჩება, ისე, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა. ვინაიდან ამას ხელს უშლის მთელი რიგი საერთაშორისო მექანიზმები, რომლებსაც ჩვენ ვერ გადავახტებით. გვჭირდება საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა იმისათვის, რომ ჩვენი პარლამენტის გადაწყვეტილება გავიდეს და განხორციელდეს. ცალმხრივად ჩვენ ამას ვერ ვახორციელებთ.

თ.ჩ.: ვთქვათ, მიიღო პარლამენტმა გადაწყვეტილება გასვლის შესახებ, მაგრამ სამშვიდობო ძალები არ გავიდნენ, რა ხდება ასეთ სიტუაციაში?

გ.ხ.: ანუ, გაყვანის რეჟიმში რომ გადავიყვანოთ და ოკუპანტებად გამოვაცხადოთ? ამ ყველაფერზე იყო ლაპარაკი, მაგრამ რეალურად ეს არც ერთხელ არ განხორციელებულა. ვინაიდან ჩვენ ყოველთვის უკან ვიხევდით, უკან ვიხევდით იმიტომ, რომ ამას ჩვენი დასავლელი „უფროსი ძმები“ გვეუბნებოდნენ.

თ.ჩ.: როგორ ფიქრობთ, აფხაზეთისა და ცხინვალის მოთხოვნას დამოუკიდებლობის შესახებ რუსეთის დუმა 25-ში დააკმაყოფილებს?

გ.ხ.: არა, ცოტა ხანი დაიცდის, ვინაიდან ახლა რუსეთი ამას „ასაღებს“, როგორც საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვას, დახმარებას, ანუ ჰუმანიტარულ სფეროში ხდება მსჯელობა. აღიარება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მივიღებთ მაპ-ს. თუ უარს ვიტყვით – არ აღიარებენ. აი, ასეთ ალტერნატივას გვთავაზობენ დღეს რუსები.



გიორგი ხუციშვილი: თამაშის ამ ეტაპზე რუსეთმა დაგვამარცხა, თამაში გრძელდება...

მე ბიძა მყავს ვაშინგტონში და არ მეშინიაო – ხელისუფლების ასეთი „პოზა“ გულუბრყვილობაა

„საქართველოს რესპუბლიკა“, 2008 წ. 19 აპრილი, #73 (5931), გვ. 2,
ჟურნალისტი თეა მოსია, ფოტოთი

საქართველო სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. გააჩნია, საფრთხეს როგორი ინტერპრეტაციით აღვიქვამთ, ომად თუ ტერიტორიების დაკარგვად, რუსეთთან პირისპირ მარტო დარჩენად თუ დასავლელი მეგობრების იმედად ყოფნად. ყველა შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ხელისუფალთა გონივრული სტრატეგია თუ გვიხსნის. საქართველოს რთული ჟამი უდგას, ერთ-ერთ გადამწყვეტ ეტაპზეა როგორც შინ, ისე გარეთ. გათამამებული რუსეთის ქმედებებზე ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში და საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე გვესაუბრა კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი.

– რუსეთი გააქტიურდა. თუ უწინ საქართველოს ტერიტორიების ფარული ანექსია ხდებოდა, ახლა ღია და ლეგალიზებულ ანექსიაზე გადავიდა, ანუ უკვე სხვა ეტაპი დაიწყო რუსეთისა და კონფლიქტური ზონების ურთიერთობაში. საკვირველი ის არის, რომ ამ დღეებში გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა ჩატარდა, სადაც საქართველოს დიალოგისკენ მოუწოდეს და არავინ აღიარა ის, რომ კონფლიქტის სხვა, ახალი ეტაპი დაიწყო. ადრე რუსეთი ცდილობდა, შეენიღბა მაინც თავისი ქმედებები და პოლიტიკა, ახლა რასაც სჩადის, ეს აბსოლუტურად ღია ანექსიაა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა მთელმა მსოფლიომ აღიარა და, მათ შორის, რუსეთმაც. და თუ ჩვენს ქვეყანაში არის დროებით გამოყოფილი ტერიტორია, ის არალეგიტიმურია. რუსეთს არაფერი ესაქმებოდა ამ ტერიტორიაზე, ის შუამავლად ჩააყენეს. მან კი ამით ისარგებლა, წლების განმავლობაში გაამყარა სეპარატისტთა პოზიცია, განხეთქილება გააღრმავა ქართველთა და აფხაზთა შორის, რაღაც ჰუმანიტარული საბაბით თავისი პასპორტები დაურიგა იქ მაცხოვრებლებს, მერე კი ისინი თავის მოქალაქეებად გამოაცხადა. ახლა საქართველოს ემუქრება, რომ მას უფლება აქვს, დაიცვას თავისი მოსახლეობა, გაუწიოს ყველანაირი დახმარება, სამხედრო თვალსაზრისითაც კი.

პრაქტიკულად, რუსეთმა იქამდე მიიყვანა პროცესი, რომ სრულიად ადვილი მოსალოდნელია, აღიაროს აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობა.

– მხოლოდ რუსეთის მხრიდან კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება თითქოს არ გვაშინებს...

– ჩვენ გვამშვიდებენ, თითქოს ეს აღიარება არაფერს ნიშნავს, არაფერი შეიცვლება, ვინ მიიღებს მათ გაერო-ში, ეუთო-ში, ევროსაბჭოშიო და ა.შ. საქმე ისაა, რომ რუსეთს ამის შემდეგ გაუადვილდება ამ ტერიტორიებზე ყველანაირი ოპერაციების ჩატარება. ფაქტობრივად, მისივე ჯარის მიერ საზღვარი ჩაკეტილია საქართველოსთან, ხოლო რუსეთთან საზღვარი ღიაა როკზე და ფსოუზე. იქიდან შევა სამხედრო ტექნიკა, მოხდება

მილიტარიზაცია, მერე პრივატიზაცია, ცალმხრივად დაიდება სხვადასხვა სახელმწიფოსთან სავაჭრო ხელშეკრულებები...

– **და თანდათან საბოლოოდ დავკარგავთ ამ ტერიტორიებს?**

– კი, იქამდე მივდივართ. ნელ-ნელა პროცესი შეუქცევადი ხდება. და კიდევ: ვისა აქვს იმისი გარანტია, რომ რუსეთის მერე სხვა სახელმწიფოებიც არ აღიარებენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, ანუ ეს არ არის ადვილად მოსაგვარებელი პრობლემა. ჩვენი ხელისუფლების პათოსით ნათქვამი – მე ბიძა მყავს ვაშინგტონში და არავისი მეშინია, საბოლოოდ მაინც ისე იქნება, როგორც მე მინდაო – გულუბრყვილობა და დანაშაულია.

– **რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ?**

– ეს საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა, ასე დავაყენებდი საკითხს!

– **ახლა დილემის წინაშეა?**

– დიახ.

– **და რა ჰქვია ამ დილემას?**

– რუსეთი გვეუბნება ასეთ რამეს: ჩვენ ამ პროცესს გავაჩერებთ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო უარს იტყვის ნატო-ში გაწევრიანებაზე, რაც ჩვენს საზღვრებთან საშიშროებას ქმნისო.

– **დავუშვათ, ვთქვით ნატო-ზე უარი...**

– თუ ვიტყვით უარს, მაშინ საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან ბევრს დავკარგავთ.

– **მაგრამ ახლა ვკარგავთ ჩვენს ტერიტორიებს?**

– ამავე დროს, რუსეთის ნდობა შეიძლება? დაგვიბრუნებს ის ჩვენს ტერიტორიებს? დავუშვათ, უარი განვაცხადეთ ნატო-ზე და ავიღეთ რუსეთთან კარგი ურთიერთობა, ეს რეალურია? რუსეთი მით უფრო გათამამდება და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დაიწყებს დომინირებას. საქართველო შეიცვლის ორიენტაციას და დამოკიდებული იქნება რუსეთზე, ანუ დათმობით პრობლემა არ წყდება. რუსეთმა უნდა შეიგნოს, რომ საქართველო მაგისტრალურ, სტრატეგიულ ხაზს არ შეიცვლის იმის გამო, რომ მასთან პრობლემა ექნება.

– **რუსეთმა ეს ვერ შეიგნო, არ შეიგნო და არც შეიგნებს!**

– დიახ, ასეა. რუსეთში ლაპარაკობენ, თუ რა შეუძლია საქართველოს, დაუპირისპიროს რუსეთს? გათვლა ასეთია: არაფერი, არაფერი არ შეუძლია, საქართველო ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ ამ ტერიტორიების ანექსია, ამით დაიწყება არეულობა, საპროტესტო გამოსვლები საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ და ძალიანაც კარგი – მთავრობა იძულებული გახდება, შეინარჩუნოს სტაბილურობა ქვეყნის შიგნით, ხოლო მდგომარეობის განსამუხტავად წამოიწყოს საომარი მოქმედებები იმის დასამტკიცებლად, რომ რაღაცის მაქნისები არიან. მაშინ კი მთელ მსოფლიოში საქართველო აგრესორ ქვეყნად გამოჩნდება, რომელიც ავიწროებს პატარა ერებს. აი, ასე მსჯელობენ!

– **რუსეთის პოზიცია გასაგებია, მაგრამ ჩვენ რა რესურსი გვაქვს მასთან დასაპირისპირებლად?**

– ჩემი დასკვნა ასეთია: ან უნდა ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში იმდენად არის გამეფებული ორმაგი სტანდარტით მოქმედება, რომ რაღაცას სწორად ვერ ვაფასებთ, ვერ ვკითხულობთ ან მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ყველა მხარდაჭერა, თუკი ის მართლა არსებობს. ომის დაწყება არ შეიძლება, მაგრამ არსებობს რაღაც ზემოქმედების მექანიზმი, რომელსაც გამოვიყენებთ. ეს არის ის, რომ რუსეთის სამშვიდობო მისია და მოლაპარაკების უსამართლო ფორმატი შეიცვალოს.

– **გაერო-ში ჩვენი ელჩი ირაკლი ალასანია ამაზე მუშაობს და, მგონი, ეს საკითხი უკვე დადგა.**

– დადგა, მაგრამ არ გავიდა, რადგან რუსეთი ისე იქცეოდა, თითქოს მართლაც საქართველოს მხრიდან იყო აგრესიის საშიშროება და სწორედ რუსეთი იყო მშვიდობისმყოფელი. რუსეთი აქამდე ჯერ კიდევ ახერხებდა ამაში მსოფლიოს დარწმუნებას, მაგრამ ამიერიდან მისი ზრახვები დაფარული არავისთვის არის.

– **ვთქვათ, შეიცვალა მოლაპარაკების ფორმატი, მერე რა?**

– დასავლეთმა უნდა გამოყოს სერიოზული შუამავალი პიროვნება, რომელიც წარმოადგენს რომელიმე სახელმწიფოს და

იქნება გავლენიანი, ვინც დაიკავებს ადგილს მოლაპარაკების მაგიდასთან.

– მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ არც აშშ, არც ნატო და ევროპა რუსეთს პატარა საქართველოს გამო მკვეთრად არ დაუპირისპირდება?

– ეს იმას ნიშნავს, რომ თავიდანვე იყო არასწორი გათვლა, არასწორი სტრატეგიული ხაზი, რომელიც არ ითვალისწინებდა რეალურ ძალთა განლაგებას.

– მაშ, რისთვის ვილტვით ნატო-სკენ?

– დიახ, პრაქტიკულად, გამოდის, რომ დამხმარე არავინ არის.

– და ნეიტრალიტეტზე ვიფიქროთ?

– ნეიტრალიტი უკვე იმას ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ პროდასავლურ ორიენტაციაზე. გვიანია, უარს ვერ ვიტყვით.

– სად არის გამოსავალი?

– ძნელია გამოსავლის პოვნა იმ ვითარებაში, რაშიც ვიმყოფებით.

– ბატონო გიორგი, როცა საქართველოს საგარეო ვითარება ასე დაძაბულია, არ მოიყარეთ თავი კონფლიქტოლოგებმა, პოლიტოლოგებმა ან არ დაგიძახათ ხელისუფლებამ, რომ ერთად გემსჯელათ ან თქვენი მხრიდან არ ყოფილა ინიციატივა?

– კოლექტიურად მართლა შეიძლება გამოსავლის პოვნა, მაგრამ ხელისუფლება ილუზიების ტყვეობაშია, სიტუაციას სერიოზულად ვერ აღიქვამს. ასეთ დროს ძნელია, რამე შესთავაზო. ერთი სიტყვით და ერთი ნაბიჯით გამოსავალი არ არსებობს. ამას სჭირდება პროცესები, სწორი გათვლა. რუსებმა, პრაქტიკულად, ამ ეტაპზე მოგვიგეს, მაგრამ თამაში არ დამთავრებულა, თამაში გრძელდება. შემდეგი ეტაპი ჩვენ უნდა მოვიგოთ. ამისათვის რეალობას უნდა გავუსწოროთ თვალი. ამ წუთში ხელისუფლება უმართებულო სურათის ტყვეობაშია.

რუსეთი დღეს ომს ელოდება. ომი კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან სწორედ ეს არის ის კოზირი, რითაც რუსეთი საბოლოოდ მთელ თამაშს იგებს საქართველოს დასამარცხებლად.



რუსეთი საქართველოს ანექსიისთვის ემზადება?!

„რეიტინგი“, 2008 წ. 21 აპრილი, #16, გვ. 16, ჟურნალისტი ლალი პაპასკირი, ფოტოთი

მას შემდეგ, რაც დასავლეთმა კოსოვოს პრეცედენტი დაუშვა, რუსეთი ყველა ღონეს ხმარობს, რომ აფხაზეთს რაიმე ახალი მოდელი გამოუძებნოს. როგორც ჩანს, მათთვის ყველაზე მისაღები ტაივანის მოდელი აღმოჩნდა. პუტინი აფხაზეთის ბედით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივა რეალურად დაინახა. გასულ კვირას რუსეთი აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ თვითაღიარებულ რესპუბლიკებთან ოფიციალური ურთიერთობების დამყარების ინიციატივით გამოვიდა. ვლადიმერ პუტინმა მთავრობას საქართველოს კონფლიქტური რეგიონების იურიდიულად რუსეთის რეგიონებთან გათანაბრებისკენ მოუწოდა. იმავდროულად, დუმამ აფხაზეთში სამშვიდობო ძალები გაასამმაგა. რუსეთის ქმედებები საერთაშორისო საზოგადოებამ დაგმო. ამერიკამ პუტინის გადაწყვეტილება საქართველოს ტერიტორიების ანექსიად შეაფასა და რუსეთს მეტი თავშეკავებისკენ მოუწოდა, რაზეც ნატო-ში რუსეთის მუდმივმა წარ-

მომადგენელმა დიმიტრი როგოზინმა ამერიკას, ნატო-სა და საქართველოს სიმშვიდისკენ მოუწოდა: „ნატო-სა და საქართველოს ეს ჰუმანიტარული ქმედებები არ უნდა აშფოთებდეს, რადგან რუსეთს საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვას კონსტიტუცია ავალდებულებს“. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის დირექტორის, გიორგი ხუციშვილის თქმით, არ არის გამორიცხული, რუსეთმა ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს, მით უფრო, რომ საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებისგან საჭირო მხარდაჭერა არ აქვს.

– ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით რუსეთის გადაწყვეტილებას?

– რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებები ანექსიის ლეგალიზებას ნიშნავს. თუ ადრე რუსეთი ამ ყველაფერს ჩუმად აკეთებდა, ახლა უკვე მისთვის ჩვეული სიხისტით აპირებს ჩანაფიქრის განხორციელებას, რადგან საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას საკუთარ დამარცხებად მიიჩნევს. თავის მხრივ, ამით ცდილობს, ნიშნი მოუგოს ამერიკას, რომელმაც თავისი გაიტანა და კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა. მართალია, რუსეთი სამხედრო ოპერაციებს ვერ დაიწყებს, რადგან ამ შემთხვევაში მისი ნამდვილი ზრახვები გამოაშკარავდება, მაგრამ სხვა მხრივ, აშკარად თუ ფარულად, ყველანაირად იბრძოლებს, რომ საქართველოს ეს ტერიტორიები საბოლოოდ დააშოროს. თანაც, რუსეთი ცდილობს თავისი ქმედებები იძულებით ნაბიჯად წარმოაჩინოს, თითქოს საქართველოს ტერიტორიულ ანექსიას კი არ ახდენს, უბრალოდ, აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრებ თავის მოქალაქეებს ეკონომიკურად და ჰუმანიტარულად ეხმარება. იმავდროულად კი კონფლიქტის ზონაში სამშვიდობოების რაოდენობა გაზარდა. სრულიად დასაშვებია, შეიარაღებული ძალებიც ჰყავდეს შეყვანილი. იმავდროულად ადგილობრივ მოსახლეობას არწმუნებს, რომ საქართველოს ხელისუფლება თავდასხმისთვის ემზადება. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა საქართველო ვერ დააშინა და საგარეო კურსი ვერ შეაცვლევინა, არ არის გამორიცხული, რომ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა ცალმხრივად აღიაროს.

– თუმცა ხშირად საუბრობენ, რომ ერთი სახელმწიფოს აღიარება არაფერს წყვეტს...

– კი ბატონო, არაფერს წყვეტს, მაგრამ ამით სეპარატისტულ რეგიონებს ხელ-ფეხი გაეხსნებათ და ამის შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაზე კი არა, ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებზეც უარს იტყვიან. მათი სტრუქტურები და კანონმდებლობა სამართლებრივად ცნო რუსეთმა, ეს კი, ფაქტობრივად, აღიარებას ნიშნავს. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ტერიტორიების დაბრუნება მაშინ ვერ შეძლო, როცა ორივე რეგიონი ჰაერში იყო გამოკიდებული, ახლა კი მით უფრო გაუჭირდება.

– როგორ შეიძლება საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის აგრესიას უპასუხოს?

– მთავარია, საქართველოს ხელისუფლება რუსეთის პროვოკაციაზე არ წამოეგოს. ბოლოდროინდელი ქმედებებით რუსეთი ცდილობს, ჩიხში შეგვიყვანოს და შეცდომა დაგვაშვებინოს. ანუ, პრაქტიკულად, ომის პროვოცირებას ახდენს და ყველა ღონეს ხმარობს, ისეთი რამე გაგვაკეთებინოს, რასაც ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენებს. ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა კოსაჩევმა, რომელიც ხელწამოსაკრავი ფიგურა არ არის, ღიად განაცხადა, სამხედრო ოპერაციებსაც არ გამოვრიცხავთო... ასეთი განცხადებებით ისინი საქართველოს მოთმინებას ცდიან. თუკი მიზანს მიაღწიეს და საქართველომ შესაბამისად უპასუხა, მერე უკვე მთელ მსოფლიოში განაცხადებენ, რომ პატარა ხალხებს საქართველოს ჯარი თავს ესხმის, ჩვენ კი მათი უფლებების დაცვას ვცდილობთო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ იქ სამხედრო შენაერთების გაზრდის აუცილებლობა გაამართლონ. არადა, სინამდვილეში არანაირი საფრთხე არ არსებობს.

– ბატონო გიორგი, რამდენად შეიძლება გვქონდეს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის იმედი?

– საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა საკმარისი არ არის. რაც უნდა გააკეთოს რუსეთმა, მათი მხრიდან ისევ დიალოგისკენ მოწოდებები იქნება, თითქოს ეს ადვილი და შესაძლებელი იყოს. ასეთ პირობებში მოლაპარაკებებისკენ

მოწოდება საკითხისადმი გულგრილ მიდგომას ნიშნავს. ამავდროულად, ჩვენს ხელისუფლებას დაგვიანებული რეაქციების გამო ვადანაშაულებთ. ხელისუფლების შეცდომაა ის, რომ სეპარატისტებთან მოლაპარაკებისა და ურთიერთობის უამრავი გზა არსებობდა, მაგრამ თავი არავინ შეიწუხა.

– **კი, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა მათ არც ისე დიდი ხნის წინაც შესთავაზა ახალი პროგრამა...**

– გეთანხმებით, მაგრამ მხარეებს შორის გაუცხოება იმდენად დიდია და აფხაზები იმდენად დამოკიდებული არიან რუსეთზე, რომ ეს პროგრამა თავიდანვე „ჩავარდნილი“ იყო.



ნახევარზე მეტი არჩევნების შედეგებს არ ენდობა

გამოკითხვის ავტორები აცხადებენ, რომ საქართველოში უიმედობამ დაისადგურა

„რეზონანსი“, 2008 წ. 28 მაისი, გვ. 4, ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი

საპარლამენტო არჩევნების შედეგებისადმი უნდობლობა და ვითარების უკეთესობისკენ შეცვლისადმი უიმედობა გამოიკვეთა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული სატელეფონო გამოკითხვისას. ეს შეფასება გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით „რეზონანსთან“ ამავე ცენტრის დირექტორმა, გიორგი ხუციშვილმა, გააკეთა.

შემთხვევითი შერჩევის წესით თბილისში ტელეფონით 503 რესპონდენტი გამოიკითხა. ეს პროცესი 25 მაისს დილით დაიწყო და საღამოს დასრულდა.

გამოკითხვა ხუთკაციანმა ჯგუფმა ჩაატარა. რესპონდენტებს ოთხ კითხვაზე მოუწიათ პასუხის გაცემა:

1. ენდობით თუ არა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების გამოცხადებულ შედეგებს?

2. როგორ აფასებთ ოპოზიციური პარტიების მხრიდან პარლამენტში შესვლაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას?
3. როგორ აფასებს ახალი პარლამენტის მიღებულ შემადგენლობას?
4. თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები 26 მაისიდან?

კვლევის შედეგების თანახმად, საპარლამენტო არჩევნების გამოცხადებულ შედეგებს სრულიად არ ენდობა 56,92%; უფრო არ ენდობა, ვიდრე ენდობა – 10,74%; უფრო ენდობა, ვიდრე არ ენდობა – 6,56%; სრულიად ენდობა – 25,65%; პასუხის გაცემა 10,14%-ს გაუჭირდა.

ოპოზიციური პოლიტიკური ძალების მხრიდან პარლამენტში შესვლაზე უარის თქმა უარყოფითად შეაფასა გამოკითხულთა 37,3%-მა; უფრო უარყოფითად, ვიდრე დადებითად – 13,12%-მა; უფრო დადებითად, ვიდრე უარყოფითად – 5,77%-მა; ოპოზიციის ამ ნაბიჯს 31,01% დადებითად აფასებს, ხოლო 12,72%-ს პასუხის გაცემა უჭირს.

ახალი პარლამენტის შემადგენლობა ერთპარტიელ მმართველებად შეაფასა 41,15%-მა; გამოკითხულთა 24,25% ახალი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობას მრავალპარტიულად და დემოკრატიულად აფასებს; 30,02% თვლის, რომ ის, ფაქტობრივად, წინა პარლამენტის გაგრძელება იქნება; გამოკითხულთა 4,57%-ს პასუხის გაცემა გაუჭირდა.

რაც შეეხება პროგნოზებს და იმას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები 26 მაისის შემდეგ – 10,54% ფიქრობს, რომ ფართომასშტაბიან, მშვიდობიან აქციებს მოჰყვება არჩევნების შედეგების გაუქმება და ახალი არჩევნების დანიშვნა; 49,30%-ს აზრით, ფართომასშტაბიანი მშვიდობიანი აქციები პრაქტიკულად ვერაფერს შეცვლის და ახალი პარლამენტი თუნდაც ოპოზიციის გარეშე შეუდგება მუშაობას; 28,03%-ს მიაჩნია, რომ ხალხი ოპოზიციის მოწოდებებს არ აჰყვება და არაფერი შეიცვლება; გამოკითხულთა 12,13% თვლის, რომ უკონტროლო, დესტრუქციული პროცესები განვითარდება და სიტუაცია გამწვავდება.

„ამ გამოკითხვამ უპირველესად ის აჩვენა, რომ არჩევნების შედეგებისადმი დიდი უნდობლობაა გამოცხადებული. ამავდროულად, დიდი უიმედობაა იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება რამე შეიცვალოს. ეს შედეგები გვიჩვენებს იმას, რომ რესპონდენტები ამ სიტუაციიდან გამოსავალს ვერ ხედავენ – ერთი მხრივ, ამბობენ, რომ, პრაქტიკულად, მივიღეთ ერთპარტიული პარლამენტი, ხოლო კითხვაზე – შეიძლება თუ არა რაიმე შეიცვალოს, პასუხობენ, რომ ვერაფერი შეიცვლება.

ამასთან, ბოიკოტის გადაწყვეტილებას უარყოფითად შედარებით მეტი რესპონდენტი აფასებს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოსავალს ამაშიც ვერ ხედავენ. თითქმის 50% ამბობს, რომ ფართომასშტაბიანი მშვიდობიანი აქციები პრაქტიკულად ვერაფერს შეცვლის და ახალი პარლამენტი მუშაობას შეუდგება, ანუ უიმედობა გამოიკვეთა. ამასთანავე, ახალ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მოსახლეობა როგორც ერთპარტიულს, ისე უყურებს“, – აღნიშნა „რეზონანსთან“ საუბრისას გიორგი ხუციშვილმა.

მისივე განმარტებით, გამოკითხვის დროს პასუხის გაცემის ბევრს ეშინოდა; ზოგიერთი ამბობდა: „გიპასუხებთ, მაგრამ ტელეფონები ისმინება, არ მინდა ჩემი ტელეფონის დაფიქსირებაო“.

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი აზრის კვლევა 25 მაისს, ოპოზიციის მიერ ორგანიზებული მრავალათასიანი საპროტესტო აქციის წინა დღეს, ჩატარდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოკითხულთა თითქმის 50%-მა განაცხადა, რომ ფართომასშტაბიანი აქციებით არაფერი შეიცვლება, მაგრამ 26 მაისს დანიშნულ აქციაზე ძალიან ბევრი ადამიანი მივიდა, რაზეც გიორგი ხუციშვილი ამბობს:

„ეს ჩვენც გაგვიკვირდა, მაგრამ ესაა სურათი, რომელიც გამოკითხვის შედეგად მივიღეთ. რით ავხსნი ამ შეუთავსებლობას?! – უიმედობით. იმით, რომ ხალხს ახალი პარლამენტი არ მოსწონს, არჩევნების შედეგებს არ ენდობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჰგონიათ, რომ ის გზა, რომლითაც ახლა ოპოზიცია მოძრაობს, ის აქციები და სტრატეგია, რომელიც არჩეულია,

შედეგს არ გამოიღებს; ალტერნატიულ სტრატეგიას კი ვერ ხედავენ. გამოსავლის ჩვენ მიერ შეთავაზებული ვარიანტების დასახელების შემდეგ რესპონდენტებს ვეკითხებოდით, ხომ არ ჰქონდათ ალტერნატიული ვარიანტი, მაგრამ ასეთი პრაქტიკულად არ იყო“.


ყველაფერი რუსეთის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული

2008

ყველაფერი რუსეთის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული

„ალია“, 2008 წ. 29-30 მაისი, #64 (2189), გვ.5
ასევე გამოქვეყნდა „ინტერპრესნიუსში“

კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილის შეფასებით, აფხაზეთში ეუთო-ს ეგიდით საპოლიციო ოპერაციის ჩატარების შესახებ ქართული მხარის მიერ შემუშავებული რეზოლუცია იმაზე იქნება დამოკიდებული, მიიღებს თუ არა პრეზიდენტი სააკაშვილი პრეზიდენტ მედვედევისგან გარანტიას, რომ მოსკოვი თბილისს ამ ოპერაციის ჩასატარებლად აფხაზებთან მოლაპარაკებებში ხელს არ შეუშლის.

კონფლიქტოლოგის განმარტებით, ქართული მხარის წინადადებები საკმაოდ სერიოზული განაცხადია აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლად, მაგრამ მისი განხორციელება ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. ეუთო-ს ეგიდით საპოლიციო ოპერაციის განხორციელებაზე თანხმობა მოსკოვის გარდა სოხუმმაც უნდა გამოთქვას, მაგრამ შემუშავებული გეგმის განხორციელება იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ პრეზიდენტმა სააკაშვილმა რუსეთის

პრეზიდენტ მედვედევისგან მიიღო გარანტიები, რომ ამ ოპერაციის ჩატარებაზე სოხუმი უარს არ იტყვის.

ხუციშვილის აზრით, თუ მოსკოვმა ამჯერადაც თქვა, რომ ეს საკითხები სოხუმთან იქნება შესათანხმებელი, მაშინ ცხადი გახდება, აფხაზური მხარე ამ ოპერაციაზე უარს რუსეთის კარნახითა და დავალებით იტყვის. ამ შემთხვევაში ბევრი რამ დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად აქტიურ პოლიტიკას აწარმოებს ამ საკითხთან დაკავშირებით გაერო, ეუთო და ევროკავშირი.

კონფლიქტოლოგის თქმით, იმ ფონზე, როცა გაერო-მ ჯერ დევნილთა დაბრუნების აუცილებლობის შესახებ მიიღო რეზოლუცია, ხოლო შემდეგ აღიარა, რომ 20 აპრილს აფხაზეთში ქართული უპილოტო თვითმფრინავი რუსულმა გამანადგურებელმა ჩამოაგდო, მიუთითებს იმაზე, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ აფხაზეთთან მიმართებაში რუსეთის პოლიტიკის სერიოზული გადახედვა დაიწყო. თუ ამ შემთხვევაშიც მოსკოვმა თბილისისგან საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებაზე პოზიციის გადახედვა კვლავაც ხისტად მოითხოვა, ქართული მხარის ამ კარგი ინიციატივის რეალიზება ამ ეტაპზე შეუძლებელი გახდება.



როგორ უთხრის რუსეთი ძირს გერმანიის ჯერ არდაწყებულ ინიციატივას

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, „მთელი კვირა“, 2008 წ. 21 ივლისი, გვ. 5

რუსეთის პოლიტიკის მესვეურები იმხელა მედიასივრცეს აკონტროლებენ, რომ არ გაუჭირდებათ ფართომასშტაბიანი მედიადივერსიების ჩაფიქრება და განხორციელება. ჩემი აზრით, ამგვარი დივერსია ხორციელდება ამჟამად აფხაზეთის პრობლემის მოგვარებისათვის გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, შტაინმაიერის მიერ გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარ სახელმწიფოთა სახელით წარმოდგენილ გეგმასთან დაკავშირებით, რაც მან საქართველოს, რუსეთის და დე ფაქტო აფხაზეთის ხელმძღვანელებს გააცნო.

აქამდე ეს გეგმა არაფორმალური დოკუმენტის სახით არსებობს და ისეა ჩამოყალიბებული, რომ კონფლიქტში ჩაბმულ არც ერთ მხარეს საბაბს არ აძლევდეს, ხელაღებით უარყოს ეს ახალი ინიციატივა. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ გეგმა ეტაპობრივი განვითარებისთვისაა გათვალისწინებული, რაც გულისხმობს, რომ კონფლიქტის მხარეებთან კონსულტაციე-

ბის შედეგად იგი უნდა დაიხვეწოს, შეივსოს და დაზუსტდეს. უცვლელი დარჩება (თუ გეგმა საერთოდ გადარჩა, რა თქმა უნდა) სამი მთავარი ეტაპის თანმიმდევრობა, რაც კონფლიქტის მოგვარების პროცესმა ლოგიკურად უნდა გაიაროს:

1) უსაფრთხოების განმტკიცების, ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმებისა და დევნილთა ღირსეული დაბრუნების შედეგად;
2) ნდობის აღდგენის მიღწევა ეკონომიკურ-სოციალური პროგრამების განხორციელებით, და საბოლოოდ;
3) კონფლიქტის უშუალო მხარეთა შეთანხმების საფუძველზე აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა.

ცხადია, რომ რუსეთს კონფლიქტის ზონებთან მიმართებაში (და უფრო ფართოდაც) უნდა, ბურთიც და მოედანიც შეინარჩუნოს, ამიტომ შეეცდება, ნებისმიერი რეალური სამშვიდობო გეგმა ჩაშალოს. მაგრამ ამას უნდა ისე მიაღწიოს, რომ ეს კონფლიქტში უშუალოდ მონაწილე მხარეებს დაბრალდეს, თვითონ კი გლობალურ გეოპოლიტიკურ ასპარეზზე კეთილი რეპუტაცია და გერმანიასთან, ევროკავშირთან კარგი ურთიერთგაგება შეინარჩუნოს.

რუსული საინფორმაციო საშუალებებიდან ბოლო დღეებში ისეთი კომენტარები გვესმის, რაც გერმანიის ინიციატივის შინაარსს ან ამახინჯებს ან არარსებულ მომენტებს ამატებს.

ქართველი მედიამომხმარებლის გასაღიზიანებლად გაშვებულია დეზინფორმაცია, რომ გერმანიის გეგმა პირველსავე ეტაპზე კოდორის ხეობიდან ქართული მხარის გასვლას ითვალისწინებს. სინამდვილეში ასეთი წინაპირობა გეგმაში არ არის. აფხაზი და რუსი მედიამომხმარებლისთვის კი გაშვებულია დეზინფორმაცია, რომ გერმანიის გეგმა საბოლოო ეტაპზე აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრას გულისხმობს საქართველოს შემადგენლობაში (რეგულარულად მეორდება რუსული ტელეარხებით). გერმანიის პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შესახებ საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ საქმე ისაა, რომ გეგმაში აფხაზეთის საბოლოო სტატუსი შეგნებულად ღიადაა დატოვებული. რა

არის ეს, რუსი ჟურნალისტების არაინფორმირებულობა? უფრო სავარაუდოდ, გეგმისათვის უარყოფითი ფონის შექმნისა და მისი საბოლოოდ ჩაგდების მცდელობაა.

ლავროვმა და ბაღაფშმა კეთილი და ბოროტი პოლიციელის ცნობილი როლების განაწილება გაითამაშეს: ბაღაფში ხელაღებით უარყოფს ყოველგვარ გეგმას (ჩვენთვის ყველაფერი დიდი ხანია, გადაწყვეტილიაო), ხოლო ლავროვი გეგმაზე პოზიტიურად საუბრობს, თუმცა გარკვეული შენიშვნებით. ბაღაფში ქართულ მხარეს 90-იან წლებში ხელმოწერილი ხელშეკრულებების დარღვევაში ადანაშაულებს და ამის საფუძველზე მხარეებს შორის მოლაპარაკების განახლებას შეუძლებლად მიიჩნევს. მეორე მხრივ, აცხადებს, გეგმაში დევნილთა დაბრუნებაზე საერთოდ რატომაა ლაპარაკიო. ეს არაა აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის მხრიდან იგივე ხელშეკრულებების უგულებელყოფა? მეტიც, ეს საერთაშორისო სამართლის იმ ფუნდამენტური პრინციპების დარღვევაა, რომელიც ლტოლვილთა და დევნილთა საკუთარ სახლებში უპირობო დაბრუნებას გულისხმობს! ამჯერად აშკარაა, ვინ ბლოკავს მოლაპარაკების განახლებას და რეალური სამშვიდობო პროცესის დაწყებას.


გიორგი ხუციშვილი: «დასავლეთი თავისი პასიურობით შეცდომას უშვებს»
გამოსავალი – რეგიონში გაერო–ს, ან სხვა სამხედრო, ან პოლიტიკური შენაერთები უნდა შემოვიდეს
ნინო მიქიაშვილი
2008

გიორგი ხუციშვილი: „დასავლეთი თავისი პასიურობით შეცდომას უშვებს“

გამოსავალი – რეგიონში გაერო-ს ან სხვა სამხედრო ან პოლიტიკური შენაერთები უნდა შემოვიდეს

„მთელი კვირა“, 2008 წ. 11 აგვისტო, გვ. 5, ჟურნალისტი ნინო მიქიაშვილი, ფოტოთი

იმაზე, თუ რის გამო დაიწყო ომი საქართველოში და რა პოზიცია შეიძლება დაიკავონ დასავლურმა ქვეყნებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა, „მთელი კვირა“ შეხვდა და ესაუბრა კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორს, გიორგი ხუციშვილს.

„რეზონანსი“: ვის აბრალებთ სიტუაციის ამ მდგომარეობამდე მისვლას?

გიორგი ხუციშვილი: სიტუაციის აქამდე მიყვანას ყველას ერთად ვაბრალებ. ეს იყო ყველა მხრიდან დაშვებული უგუნური ნაბიჯების შედეგი, მაგრამ ახლა მთავარი ისაა, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ხორციელდება ღია და დაუფარავი აგრესია. ეს გამოიხატება იმაში, რომ ხელყოფილია ადამიანების სიცოცხლე, დაბომბილია ქალაქები და დასახლებული პუნქტები, სტრატეგიული ობიექტები. რუ-

სეთი საბოლოო შეტევაზე გადმოვიდა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყანა დაამონოს. საქართველოს ყველა მოქალაქე ერთიანია იმაში, რომ ეს უნდა შეწყდეს და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

„მ.კ.“: რატომ პასიურობს დასავლეთი?

გ.ხ.: იმიტომ, რომ მსოფლიო რუკაზე საქართველოს პატარა ადგილი უკავია. დასავლეთი თავისი პასიურობით შეცდომას უშვებს. ესაა ძალიან მნიშვნელოვანი რეგიონი, რომლის გამო ახლა ასეთი გააფთრებული ბრძოლა მიდის. ამიტომ ამ ვითარებაში სულერთი არ არის, რუსეთი აქ თავის პოლიტიკას გაატარებს თუ ვერ გაატარებს. ამ შემთხვევაში ჩვენი აქტიურობაა საჭირო, ჩვენ უნდა ვიაქტიუროთ იმისთვის, რომ საქართველომ საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიიქციოს.

„მ.კ“: როგორ წარმოგიდგენიათ ეს აქტიურობა?

გ.ხ.: ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში უნდა შევიდეს საჩივარი, რომ აგრესია ხორციელდება, რომელიც უნდა შეწყდეს. გარდა ამისა, რუსეთის წინააღმდეგ რაღაც სასჯელი, რაღაც ზომები უნდა იყოს გამოყენებული.

„მ.კ.“; კონკრეტულად რა ფორმებით შეიძლება დასავლეთმა ზეწოლა განახორციელოს რუსეთზე?

გ.ხ.: საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ უფლება, შეფასება გააკეთონ და ისე გამოაქვეყნონ, რომ ამას მსოფლიოში დიდი საინფორმაციო დაფარვა ჰქონდეს. გარდა ამისა, უნდა იყოს კატეგორიული მოთხოვნა, რომ შეწყდეს აგრესია. საქართველოს ქალაქები იბომბება. ახლა მსგავსი რამ სადმე მსოფლიოში ხდება?! ყველაზე ცხელი კონფლიქტი ახლა აქ არის.

„მ.კ.“: არ შეიძლება, ეკონომიკური სანქციები გამოიყენონ რუსეთის წინააღმდეგ?

გ.ხ.: შეიძლება, მაგრამ სანქციების გამოყენების პროცედურა დროში გაიწელება. რუსეთზე ზეწოლა უნდა განახორციელოს აშშ-მ, ევროკავშირის ხელმძღვანელობამ, თუ არიან ჩვენი მეგობრები და აინტერესებთ, რა მიმართულებით წავა საქმე რეგიონში, იქნება თუ არა აქ კავკასიური ომი, იქნება თუ არა აქ დესტაბილიზაცია. ეს მათ უნდა აწუხებდეთ, რადგან ეს ამბავი მათ საზღვრებთან ხდება.

„მ.კ.“; მეგობრები ისე იქცევიან, როგორც ახლა ჩვენთან მიმართებაში დასავლეთი აკეთებს ამას?

გ.ხ.: მეგობრები ასე არ იქცევიან. ისინი საკუთარ ინტერესებს, საკუთარ მომავალს უნდა გაუფრთხილდნენ და ამიტომ უნდა დაგვეხმარონ, რომ ამ რეგიონში ყველამ ერთად მშვიდობა დავამყაროთ.

„მ.კ.“: რა საფრთხე შეიძლება შეექმნას დასავლეთს, ეს კონფლიქტი მთელ კავკასიას რომ მოედოს?

გ.ხ.: ჯერ ერთი, დავიწყოთ იმით, რომ ეს არის დერეფანი ნავთობსადენის, გაზსადენის და სწორედ რუსეთის ინტერესშია ის, რომ დასავლეთმა აქაურობა აღარ განიხილოს, როგორც ენერგოდერეფანი და მიმართოს ალტერნატიულ გზებს, რომელსაც რუსეთი სთავაზობს. რუსეთს უნდა, დერეფანი გავიდეს ისეთ ქვეყნებში, რომელსაც ბოლომდე აკონტროლებს. ახლა აქ მიმდინარეობს ბრძოლა მსოფლიოში ენერგოექსპანსიისთვის და ენერგომონოპოლიისთვის.

„მ.კ.“: ვინ და ვინ ებრძვიან ერთმანეთს?

გ.ხ.: ენერგომონოპოლიისთვის რუსეთი და დასავლეთი იბრძვიან.

„მ.კ.“: მაგრამ ფაქტი ხომ ისაა, რომ პირისპირ ჩვენ და რუსეთი ვართ?!

გ.ხ.: დიახ, ფაქტია, მაგრამ რას მოვითხოვთ, რომ ბრძოლაში აზერბაიჯანი და სომხეთი ჩაებან?

„მ.კ.“: რასაკვირველია, არა, მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ რუსეთის საელჩოს პარალელურად აქციები სამოქალაქო საზოგადოებამ აშშ-ის და ევროპის ქვეყნების საელჩოებთანაც უნდა მოაწყოს, რათა ისინი ვაიძულოთ, მშვიდობის დამყარებაში დაგვეხმარონ?

გ.ხ.: ასეთი აქციები უნდა მოეწყოს იმ მოთხოვნით, რომ საქართველოს ამ მძიმე სიტუაციაში ქმედითი დახმარება გაუწიონ.

„მ.კ.“: ელემენტარულად, სინდისი არ აწუხებთ – ერაყში ჩვენი ჯარისკაცები ამერიკელების გვერდიგვერდ იბრძოდნენ და ახლა ჩვენ რატომ არ დაგვიდგნენ გვერდზე?

გ.ხ.: აბსოლუტურად სწორი ბრძანდებით. გვერდზე იმიტომ არ დაგვიდგნენ, რომ ეს არის განსხვავება დიდსა და პატარა ქვეყანას შორის. ჩვენ მათ მეგობრულ დახმარებას ვუწევთ და ხელს ვუწვდით, როცა საჭიროა. ამას ვაკეთებთ იმისთვის, რომ ძნელბედობის ჟამს ისინი ჩვენ გვეხმარებოდნენ, მაგრამ ამჟამად დარწმუნებული არა ვარ, რომ მათგან საპასუხო დახმარებას მივიღებთ.

„მ.კ.“: შეგიძლიათ, პროგნოზი გააკეთოთ?

გ.ხ.: რუსეთის გეგმაში შედის, ხანგრძლივი და გაჭიანურებული დაპირისპირება წარმოიქმნას, იყოს პარტიზანული ომი და ა.შ. სინამდვილეში შეიძლება ასეც მოხდეს – შეიძლება მშვიდობა დიდხანს ვერ დამყარდეს. ამიტომ რაც შეიძლება მალე ქმედითი ჩარევა უნდა განხორციელდეს – რეგიონში გაერო-ს ან სხვა სამხედრო ან პოლიციური შენაერთები უნდა შემოვიდეს.



დავუპირისპიროთ რუსულ ოკუპაციას "მშვიდობის ბუფერები"

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
კონფლიქტოლოგიის ცენტრის განცხადება, 2008 წ. აგვისტო, გამოქვეყნდა ცენტრის ვებ-გვერდზე www.iccn.ge

გრძელდება რუსეთის აგრესია და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია. საქართველოს ხანგრძლივი დროით დასუსტების და დამორჩილების გეგმის კომპონენტებია:

- სამხედრო ნაწილებისა და ბაზების გაძარცვითა და ინფრასტრუქტურის განადგურებით, ჯარისკაცებში წაგებული ერის სინდრომის გაღვივებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხანგრძლივი დროით დაქვეითება;
- კონფლიქტის ზონების გარშემო გაურკვეველი საზღვრების მქონე და არამდგრადი ბუფერული ზონების დაწესებით ქვეყანაში მუდმივი არასტაბილურობის მიღწევა;
- სეპარატისტების გამალებული შეიარაღების გზით და თბილისთან ცხინვალის რეგიონის სიახლოვის გამო დედაქალაქისთვის მუდმივი საფრთხის შექმნა;
- სამეგრელოში მოსახლეობის დემორალიზაცია და დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტისა და იზო-

ლირების შედეგად მისი გაუცხოების მიღწევა (ფოთის პორტის დაკავება, ტრასებზე და კონფლიქტის ზონიდან მოშორებულ დასახლებულ პუნქტებში რუსული სამხედრო ტექნიკის მოძრაობა, მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების დარიგების მცდელობა, მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზეწოლა და სხვ.);

- ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში აჭარის დაკავების გეგმის ამუშავება და სარფის საბაჟო პუნქტის ბლოკირება (რომელსაც ყარსის ხელშეკრულება გარკვეულწილად შეუშლიდა ხელს).

საქართველოში განხორციელებულ ქმედებათა შედეგად რუსეთის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნებია:

- მსოფლიოსთვის რუსეთის, როგორც ზესახელმწიფოს, ახალი გლობალური როლის დემონსტრირება;
- ამერიკის ღია დაპირისპირებაში გამოწვევა (ევროპაში არსებული ერაყის კამპანიის საწინააღმდეგო განწყობათა გამოყენებით);
- საქართველოს „ლიბანიზაციის“ შედეგად მისი ნატო-სთვის უვარგისობისა და საქართველოს გავლით ენერგომატარებლების გაყვანის არამიზანშეწონილების დამტკიცება.

რუსეთის მიერ გამოყენებული მეთოდები:

საქართველოს მიმართ:

- მართვადი ჰუმანიტარული კატასტროფა (გახანგრძლივებული ოკუპაციისა და რუს სამხედროთა თარეშის შედეგად დევნილთა ახალ-ახალი ტალღების გამოწვევა და მოსახლეობისთვის ცხოვრების პირობების გაუარესება);
- მოსახლეობის დემორალიზაცია ქართული სახელმწიფო ინსტიტუტების იგნორირებისა და რუსი ჯარის დაუსჯელობის სინდრომის შექმნით.

მსოფლიოს მიმართ:

- გარესამყაროში საქართველოს, როგორც არასტაბილური, საშიში და ინვესტიციებისთვის შეუფერებელი გარემოს სურათის განმტკიცება;

- საინფორმაციო ვაკუუმის ან დეფიციტის შექმნა ომისა და ოკუპაციის იმ მხარეებზე, რაც რუსეთს არ აწყობს;
- მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისა და საერთაშორისო არენაზე თავის ქმედებათა ლეგიტიმაციის მიზნით ფსევდოჰუმანური არგუმენტაციის შექმნა და პროპაგანდირება.


სოხუმში კოსოვოს შემდეგ ახლა ტაივანის პრეცედენტია აქტუალური

რეზონანსი საქართველოს ამბები 2008 წლის 12 სექტემბერი, პარასკევი

6

ბაღაფშს რუსულ სამხედრო ბაზებზე აზრი შეაცვლევინეს

სოხუმში კოსოვოს შემდეგ ახლა ტაივანის პრეცედენტია აქტუალური

პირველი

2008

მაკა ქობალია

სერგეი ბაღაფში აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების გახსნას დათანხმდა. ამის შესახებ დე ფაქტო პრეზიდენტმა თავად გააკეთა განცხადება.

თუმცა ერთი კვირის წინ იგი რუსული ბაზების აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგების კატეგორიული წინააღმდეგი იყო და აცხადებდა, რომ აფხაზეთი რუსეთის სამხედრო პოლიგონი არ გახდებოდა. აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში ფიქრობენ, რომ ბაღაფშს ეს გადაწყვეტილება რუსეთმა ზეწოლის შედეგად მიაღებინა.

ბაღაფშს რუსულ სამხედრო ბაზებზე აზრი შეაცვლევინეს

სოხუმში კოსოვოს შემდეგ ახლა ტაივანის პრეცედენტია აქტუალური

„რეზონანსი“, 2008 წ, 12 სექტემბერი, გვ. 6, ჟურნალისტი მაკა ქობალია, ფოტოთი

სერგეი ბაღაფში აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების გახსნას დათანხმდა. ამის შესახებ დე ფაქტო პრეზიდენტმა თავად გააკეთა განცხადება.

„აფხაზეთი ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, რომ რუსეთმა აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები გახსნას, რადგან დაიცავს რესპუბლიკას აგრესიისაგან“, – ამბობს სერგეი ბაღაფში.

თუმცა ერთი კვირის წინ იგი რუსული ბაზების აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგების კატეგორიული წინააღმდეგი იყო და აცხადებდა, რომ აფხაზეთი რუსეთის სამხედრო პოლიგონი არ გახდებოდა. აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში ფიქრობენ, რომ ბაღაფშს ეს გადაწყვეტილება რუსეთმა ზეწოლის შედეგად მიაღებინა.

„სამხედრო ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება და რუსეთს მიეცემა საშუალება, აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები გახსნას, რადგან არ იყოს აგრესია, ადგილი არ ჰქონდეს გენოციდს, რაც უკვე იყო სამხრეთ ოსეთში. ეს დოკუმენტი ასევე შეძლებს, დაიცვას აფხაზეთი არა მარტო ხმელეთზე, არამედ ზღვაზეც“, – განაცხადა ბაღაფშმა.

მისი ეს ბოლო ფრაზა განსაკუთრებით საინტერესოა. ცნობისათვის, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივად ცნობის შემდეგ ორიოდე დღეში რუსულ მედიაში გაჩნდა პირველი ცნობები ამ სეპარატისტულ რეგიონებში რუსული ბაზების გახსნის შესახებ. რუსული მედია სახელმწიფო სტრუქტურებიდან სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ უკვე გადაწყვეტილი იყო სამხედრო ბაზების გახსნა ჯავაში, გუდაუთასა და ოჩამჩირეში. ამასთან, საუბარი მიდიოდა აფხაზეთის პორტებში რუსეთის შავი ზღვის ფლოტის გემების დისლოცირებაზეც.

თავისი გუშინდელი გამოსვლისას ბაღაფში მოსკოვსა და სოხუმს შორის ასეთი „სამხედრო თანამშრომლობის“ იურიდიულ ასპექტებსაც შეეხო.

„თუ საქართველოს ნატო-ში უნდა, ეს მათი საქმეა. ჩვენ გავაკეთეთ ჩვენი არჩევანი“, – თქვა მან და მაგალითად აშშ-სა და ტაივანს შორის შემდგარი შეთანხმება მოიყვანა, რომლის მიხედვითაც თუ ტაივანს სამხედრო პრობლემები შეექმნება, ამერიკა დაეხმარება.

„ეს მუშაობის ნორმალური ფორმაა. ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის შემდეგ რუსული სამხედროები იქნებიან გარანტი იმისა, რომ ვერავინ ვერ შეძლოს აფხაზი ერის განადგურება“, – აცხადებს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი.

აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობაში მიიჩნევენ, რომ სეპარატისტული ხელისუფლება და აფხაზური საზოგადოება რუსული ბაზების წინააღმდეგი არიან, მაგრამ რუსეთმა ბაღაფშს ეს გადაწყვეტილება სერიოზული ზეწოლის შედეგად მიაღებინა.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის დირექტორი, გოგი ხუციშვილი, ბაღაფშის განცხადებას

გაუგებარს უწოდებს. მისი თქმით, აშშ-ტაივანისა და რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობებს შორის არანაირი პარალელი არ არსებობს.

„ტაივანს აშშ არ ცნობს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, მაგრამ აქვს განვითარებული ფაქტობრივი ურთიერთობები და აქვს გახსნილი წარმომადგენლობები, რომელიც უტოლდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს. 16 აპრილიდან გამოცემულ დეკრეტში პუტინის გეგმა იყო, რომ სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში ტაივანის მოდელი გატარებულიყო, მაგრამ ეს უკვე აღარ არის აქტუალური, რადგან რუსეთმა უკვე ოფიციალურად ცნო აფხაზეთი.

ჩემთვის გაუგებარია, ახლა რატომ იხსენებს ბაღაფში ამას. საერთოდ, ბაღაფში წინააღმდეგია იმისა, რომ აფხაზეთი გახდეს რუსეთის სამხედრო ბაზა. ანუ, ბაღაფში ამბობდა, რომ ჩვენ დამოუკიდებლობის მისაღებად იმისათვის არ ვიბრძოდით, რომ ახლა გავხდეთ რუსეთის სამხედრო პოლიგონიო. თუ რამდენად გაუვა ეს პოლიტიკა და რამდენად შეეფერება ამ პოლიტიკას ბაღაფში, ეს ძნელი სათქმელია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, კოკოითისაგან განსხვავებით, მან ეს ხმამაღლა გააკეთა.

აშშ-ტაივანისა და რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობას შორის არ შეიძლება პარალელი გავავლოთ და რა კონტექსტში შეადარა ბაღაფშმა, გაუგებარია. თავის დროზე აშშ-ს ჩინეთთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდა. ჩინეთი ყველა ქვეყანას უკრძალავდა, რომ ტაივანი ეღიარებინათ, როგორც სახელმწიფო და წინააღმდეგ შემთხვევაში ურთიერთობის გაწყვეტით ემუქრებოდა. ამერიკამ ტაივანთან მიმართებაში შეიმუშავა მოდელი, რომელიც ასე ჟღერს: „ვცნობ ფაქტობრივად, მაგრამ არ ვცნობ დე იურე“. ამგვარად უნდოდა პუტინსაც, მაგრამ აგვისტოს ომმა ეს თემა არააქტუალური გახადა, რადგან რუსეთი აფხაზეთს ელაპარაკება, როგორც სახელმწიფოს“, – განმარტავს „რეზონანსთან“ საუბარში გოგი ხუციშვილი.



ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესახებ

გიორგი ხუციშვილი, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი, პროფესორი

„რეზონანსი“, 2008 წ. 30 სექტემბერი, #267 (5780), გვ. 6

ევროკავშირსა და რუსეთის ფედერაციას შორის მიღწეული ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოში მიმდინარეობს კონფლიქტის ზონების გარშემო გამოყოფილ ადგილებში ევროკავშირის მისიით აღჭურვილ შეუიარაღებელ დამკვირვებელთა განლაგება, რის შედეგადაც რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა უნდა საბოლოოდ დატოვონ, კონფლიქტის ზონების გარდა, ყველა ბლოკ-პოსტი და, საერთოდ, მთელი ის ტერიტორია, რომელიც მათ აგვისტოს მოვლენების შედეგად ჰქონდათ დაკავებული.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სრული მასშტაბით ამუშავებამ ხელი უნდა შეუწყოს კონფლიქტის ზონების გარე პერიმეტრზე და გარშემო ტერიტორიებზე ცეცხლის არგანახლებას, ჯარების და სამხედრო ტექნიკის არგადანაცვლებას და

მოსახლეობის უსაფრთხო ცხოვრების განმტკიცებას, ასევე რეგიონში სტაბილურობის ხელშემწყობ ფაქტორად არის მოაზრებული. ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ მისიის წარმატებული განხორციელება.

ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ სადამკვირვებლო მისიის როლი გარკვეულ პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს. ამისათვის შევადაროთ რუსეთიდან და ევროპიდან დანახული საქართველოში არსებული სიტუაციის სურათები. ცნობილია, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა კრიზისის დაწყებისთანავე ცდილობდა და ახლაც ცდილობს, მსოფლიოში გაავრცელოს თავის ქმედებათა სურათი, რომლის თანახმად, ესაა საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი, რომელშიც რუსეთს ჩარევა მოუწია, რათა საქართველოს მხრიდან აგრესია აღეკვეთა და ცხინვალის მოსახლეობა გენოციდისგან გადაერჩინა. ამის შესაბამისად, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია წარმოდგენილია, როგორც საქართველოს მშვიდობისკენ იძულება, რუსეთის მიერ საკუთარ მოქალაქეთა დაცვა და დსთ-ს სამშვიდობო მისიის ვალდებულებებიდან გამომდინარე ქმედება.

NGO იმავე არგუმენტაციის მიხედვით, რუსეთის ჯარებისთვის ბლოკ-პოსტების შერჩევა, ე.წ. „ბუფერული ზონების“ შემოსაზღვრა, საოკუპაციო ჯარების მთელი განლაგების სქემა მიზნად ისახავდა ქართული საჯარისო შენაერთების შეკავების, მათ გადაადგილებაზე კონტროლისა და სწრაფი კონტრშეტევის განხორციელების საშუალებას. ანუ ბლოკ-პოსტების სქემა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის დაცვის ქვეშ მყოფი არაღიარებული რესპუბლიკების მიმართ გარედან მომდინარე საფრთხის ვარიანტზე იყო გათვლილი.

თუ ევროპელი დამკვირვებლების განლაგება მოხდება იმავე სქემით, იგივე ბლოკ-პოსტების ადგილებზე, რაც რუსეთის ჯარებს ეკავათ (ყოველ შემთხვევაში ან დამკვირვებელთა მოძრაობა ამ კუთხით რამენაირად შეიზღუდება და, მით უმეტეს, თუ დამკვირვებლებს კონფლიქტის ზონის შიგნით აეკრძალებათ გადაადგილება), მაშინ:

1) რუსეთს ექნება საშუალება, სადამკვირვებლო მისია თავისი პოლიტიკური პოზიციის გასამართლებლად გამოიყენოს,

2) მისია ფაქტობრივად დაეთანხმება იმას, რომ არსებობს მხოლოდ ერთი მიმართულებიდან, ანუ საქართველოს ტერიტორიიდან მომდინარე საფრთხე და რომ 3) მისია იმავე ფუნქციით ჩაენაცვლა რუსეთის ჯარს.

ნეიტრალური მხარის სადამკვირვებლო მისია ბუნებრივად უნდა ითვალისწინებდეს ცეცხლის განახლების და დესტაბილიზაციის შექმნის ყველა მიმართულებიდან არსებულ რეალურ საფრთხეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადამკვირვებლო მისია არასრული, ცალმხრივი და, საბოლოოდ, არაეფექტური გამოდგება.

რუსეთი ცდილობს, ევროპის სადამკვირვებლო მისია თავის სტრატეგიულ სქემაში მოაქციოს და აგვისტოში ჩადენილ ქმედებათა გასამართლებლად გამოიყენოს, კერძოდ, თავისი „სამშვიდობო ოპერაციის“ გაგრძელებად და დანამატად გამოაჩინოს. ამავე დროს, ცნობილია, რომ სადამკვირვებლო მისიის შესახებ გადაწყვეტილება ევროპის კავშირმა, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის აგრესიის შესაკავებლად და საოკუპაციო ჯარების გასაყვანად მიიღო.

ამიტომაც არ შეიძლება, მავანს მიეცეს საფუძველი იმისი მტკიცებისა, რომ გაერთიანებული ევროპის სადამკვირვებლო მისია იმავე სქემით და იმავე ლოგიკით ხელმძღვანელობს, როგორითაც რუსეთის საოკუპაციო ჯარი.

დამკვირვებლებს უნდა მიეცეთ საშუალება და შეექმნათ შესაბამისი პირობები, რათა მათ სრულად და ეფექტურად განახორციელონ თავიანთი ამოცანა: საქართველოში მშვიდობის, სტაბილურობისა და აგრესიისგან დაცულობისათვის ხელის შეწყობა. ქართულმა დიპლომატიამ ეს საკითხები საერთაშორისო დონეზე აქტიურად უნდა დააყენოს, მათ შორის, 15 ოქტომბერს ჟენევაში დაგეგმილი მოლაპარაკების დროს.


ნომრის სტუმარია კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი

საზოგადოებრიობა ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დასვას

2008

6

საქართველოს რესპუბლიკა

საზოგადოებრიობამ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დასვას

„საქართველოს რესპუბლიკა“, 2008 წ. 7 ოქტომბერი, #188, ჟურნალისტი თეა მოსია, ფოტოთი

ნომრის სტუმარია კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი

– ბატონო გიორგი, თქვენ მხოლოდ მშვიდობიანი გზით ფიქრობდით კონფლიქტების მოგვარებას და არამც და არამც ომით. ჩვენი ინტერვიუების დროს ყოველთვის სასტიკად ეწინააღმდეგებოდით ძალისმიერი მეთოდის გამოყენებას. ომი მაინც არ აგვცდა თუ ვერ ავიცდინეთ? რა მოხდა?

– ორი სიტყვით ძნელია იმისი თქმა, რა მოხდა. ეს გრძელი პროცესი იყო. კონკრეტულად მაინც ვერ ვიტყვით, ომი ვინ დაიწყო. ცხინვალის რეგიონში ძალიან გართულებული სიტუაცია იყო, რომელზეც სხვადასხვაგვარი რეაგირება შეიძლებოდა. განსაკუთრებით 1 აგვისტოდან დაიძაბა სიტუაცია. რუსეთი პროვოკაციებს აწყობდა, თვეების განმავლობაში ემზადებოდნენ იმისთვის, რომ კონფლიქტური რეგიონები საქართველოზე ზეწოლისთვის გამოეყენებინა. ეს ყველაფერი ცნობილი იყო. სწორედ ამიტომ მთელი ძალისხმევა უნდა მიმართული-

ყო იქითკენ, რომ ჩვენს ხელისუფლებას თავიდან აეცილებინა კონფლიქტი, თუმცა რთული იყო თავშეკავება. ნაცვლად ცხინვალზე თავდასხმისა, ხელისუფლებას საერთაშორისო დონეზე უნდა აეტეხა განგაში, მომხდარიყო მრავალგზის გაფრთხილებები, ინფორმაციის გახმოვანება და არა დაფარვა, უნდა ეზრუნათ ამ ამბის ინტერნაციონალიზაციაზე, დაეწყოთ მოსახლეობის ევაკუირება და ა.შ. ხელისუფლებამ მოსახლეობა სერიოზულ საფრთხეში ჩააყენა. მათ მოჩვენებითი, არარეალური შანსის გამოყენება სცადეს – იქნებ, შევძლოთ ცხინვალის აღება და ამ რეგიონში საქართველოს იურისდიქციის აღდგენაო, ანუ ისეთ სამხედრო ოპერაციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომელსაც გამარჯვების შანსი არ ჰქონდა.

სწორედ ამის გამო იმ დღეებში მოაზროვნე ადამიანებში ასეთი აზრიც კი გავრცელდა, ეს, იქნებ, გარიგებააო, საინტერესოა, რის ფასად, აფხაზეთის დათმობის ხარჯზე ხომ არაო?! აღმოჩნდა, რომ ასეთი გარიგება არ ყოფილა და ეს მხოლოდ გაუთვლელი ნაბიჯები და შედეგები იყო. ხელისუფლებამ მიიჩნია, რომ მხოლოდ შეიარაღებული ძალების იმედად შეიძლებოდა კონტრშეტევა. ამიტომ დამთავრდა ეს სამხედრო ოპერაცია კატასტროფული მარცხით.

– **ამის შემდეგ რა ხდება?**

– ამის შემდეგ ხდება არა სიტუაციის გადაფასება, დამნაშავეების გამოვლენა და პასუხისგებაში მიცემა, სერიოზული სამთავრობო გადაადგილებები და ა.შ. არამედ პირიქით, ამ ომით ხელისუფლების რეაბილიტაცია. თითქოს შეცდომები მთავრობას არ დაუშვია და მხოლოდ გარე ძალები უშვებდნენ. გავრცელდა აზრი, თითქოს სხვა შანსი არ იყო, ყველა შესაძლო გზა მოისინჯა და ამ ეტაპამდე მივედით.

ასეთ ვითარებაში შეუძლებელია, ქვეყანას და მის ხელმძღვანელობას საერთაშორისო რეპუტაცია ჰქონდეს. ამიტომაც მსოფლიოში უკვე ვრცელდება ბევრი დამამცირებელი მასალა ჩვენზე, რომ არ ვართ შემდგარი სახელმწიფო, მოგვიაზრებენ, როგორც დესტაბილურ ქვეყანას. შედარებით პროქართული განწყობა აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ეს იმოქმედებს ჩვენს ევროკავშირში, ნატო-ში გაწევრიანების საკითხზე, ინვესტიციების მოზიდვის პრობლემებს შექმნის...

– **გამოსავალი რა არის?**

– ის, რომ ქვეყანამ თავისი სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცოს. უპირველესად, მოვლენები უნდა შეფასდეს.

– **ამას ხელისუფლება თუ არ გააკეთებს, ვინ უნდა გააკეთოს?**

– გარკვეული შეფასება უკვე გააკეთა სახალხო დამცველმა, ასევე სხვადასხვა სამოქალაქო თუ პოლიტიკურმა ორგანიზაციამ.

– **გასაგებია, მაგრამ როცა ელექტრონული მედია მეტნაკლებად დახშულია, რამდენად ხელმისაწვდომია ეს შეფასებები საზოგადოების ყველა წევრისთვის. მაგალითად, რეგიონებში განსხვავებული აზრი თითქმის არავის აქვს, მცირედი გამონაკლისის გარდა, ისინი ძირითადად მთავრობის პროპაგანდის ზეგავლენის ქვეშ არიან.**

– საჭიროა პოლიტიკური პარტიების გააქტიურება, თუ ჰყავთ აგიტატორები რეგიონებში, უნდა გამოიყენონ ეს მომენტი და შეეცადონ საზოგადოების გამოღვიძებას, მოითხოვონ სატელევიზიო ეთერის გახსნა, საჯარო დისკუსიები, აზრის ამოძრავებას შეუწყონ ხელი.

თუ არა და მოხდება ქვეყნის საერთაშორისო იზოლაცია და ამას რუსეთი თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.

თითქოს პოლიტიკური პარტიები რაღაცას აპირებენ 7 ნოემბრისთვის, შარშანდელი მოვლენების წლისთავის აღსანიშნავად. ჩემი აზრით, პროტესტის მშვიდობიანი ფორმა უნდა მოიძებნოს, კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოეწყოს აქცია და იმ კითხვებს გაეცეს პასუხი, რომელიც ხალხს დაუგროვდა.

– **ჩვენ გვქონდა 7 ნოემბერი, მაგრამ შედეგად ღირებული და ფასეული რამ ვერ მივიღეთ; კიდევ ერთი 7 ნოემბერი?..**

– ვერაფერი კარგი ვერ მოგვცა იმის გამო, რომ გადაჭარბებული მოლოდინი გვქონდა, რომ ოპოზიციას პოლიტიკური ცვლილებების მიღწევა შეეძლო. მეორე მხრივ, ხელისუფლებამ უხეში, აგრესიული მეთოდით დაშალა აქცია ჭკუის სასწავლებლად, რომ ასეთი აქციები არ შეიძლება საქართველოში. არ ვი-

ცი, ახლა რა რეაგირება ექნებათ საპროტესტო აქციაზე, მაგრამ არ არის ყველაფერი ისე, როგორც ხელისუფლება ხატავს. საზოგადოებამ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დასვას. ამის გარდა, მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენც ისეთი საზოგადოება ვართ, რომელსაც მოვლენების შეფასების არ ეშინია. ამის გარეშე არავინ დაგვიჯერებს, რომ საქართველო შემდგარი სახელმწიფოა.

– ბატონო გიორგი, ოპოზიციური პარტიების ინერტულობის ფონზე გააქტიურდნენ ხელისუფლებიდან წამოსული ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი, ეროსი კიწმარიშვილი, მათ დასვეს კითხვები იქამდე, ვიდრე ამას საზოგადოება გააკეთებდა. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?

– ჯერ ერთი, უნდა მივაღწიოთ ოკუპაციური ჯარების საქართველოდან გაყვანას, შემდეგ საჭიროა, ყველამ წარმოაჩინოს თავისი თავი, თავისი როლი, თუკი ვინმე რამეს წარმოადგენს.

თუკი ნინო ბურჯანაძეს რამე შეუძლია, მან უნდა შეასრულოს გარკვეული როლი. მით უმეტეს, რომ მას დასავლეთი ანგარიშს უწევს. ასევე შესაძლებელია რაღაც ძალების, ალიანსების შეკვრა.

თავისთავად ხელისუფლების მთლიანად შეცვლა კი არ უნდა მოხდეს, არამედ ისეთი ცვლილება, რომელიც ქვეყანას ახალ პერსპექტივას დაუსახავს.

ამ ეტაპზე რუსეთთან ურთიერთობის გაჯანსაღებაზე ძნელია ლაპარაკი, მაგრამ შესაძლებელია დასავლეთის ნდობის მოპოვება, მათთან ახალი ურთიერთობის აწყობა. ამაზე ბევრად არის დამოკიდებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება. ახლა დასავლეთი კატეგორიულობისაგან თავს იკავებს რუსეთთან ურთიერთობისას, რადგან ხედავს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ არის სტაბილური, რომ ის არადემოკრატიულ პროცესებს ავითარებს.


11:33, Wednesday, 27.01.2016

Humanrights.ge

პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ

2008

ოსებთან და აფხაზებთან დიალოგის შანსი დღეს ნულის ტოლია

08.10.2008

ნონა სუვარიანი, თბილისი

„საერთაშორისო თანამეგობრობას არ შეუძლია მოსთხოვოს რუსეთის მიერ აღიარებულ ქვეყნებს კოდორის ან ახალგორის რაიონების ჩვენი იურისდიქციის ქვეშ დაბრუნება, რადგან არ ცნობს მათ დამოუკიდებელ ქვეყნებად. დე-ფაქტო აფხაზეთი და დე-ფაქტო ოსეთი ევროპისთვის არ არსებობს, ამიტომ რუსეთს ელაპარაკებიან. რუსეთი ამბობს, მე ნუ მელაპარაკებით, მათ ელაპარაკეთო. რუსეთი ცდილობს, რომ ამ პროცესის შედეგად

ოსებთან და აფხაზებთან დიალოგის შანსი დღეს ნულის ტოლია

ადამიანის უფლებათა ცენტრი, 08.10.2008,
http://www.humanrights.ge, ჟურნალისტი ნონა სუვარიანი

„საერთაშორისო თანამეგობრობას არ შეუძლია, მოსთხოვოს რუსეთის მიერ აღიარებულ ქვეყნებს კოდორის ან ახალგორის რაიონების ჩვენი იურისდიქციის ქვეშ დაბრუნება, რადგან არ ცნობს მათ დამოუკიდებელ ქვეყნებად. დე ფაქტო აფხაზეთი და დე ფაქტო ოსეთი ევროპისთვის არ არსებობს, ამიტომ რუსეთს ელაპარაკებიან. რუსეთი ამბობს, მე ნუ მელაპარაკებით, მათ ელაპარაკეთო. რუსეთი ცდილობს, რომ ამ პროცესის შედეგად აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებების ლეგიტიმაცია მოახდინოს, რომ ევროპამ მათთან მოლაპარაკება დაიწყოს და არენაზე გამოიყვანოს“, – აცხადებს კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი.

1 ოქტომბრიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ე.წ. „უსაფრთხოების ზონებში“ პატრულირება დაიწყო. მისიის წევრები ახალგორის რაიონში რამდენიმე სოფელში პატრულირებენ. ისინი ზნაურის რაიონშიც შევიდნენ, თუმცა, მათივე თქმით, პატრულირების უფლება მხოლოდ 12-კილომეტრიან ზონაში

აქვთ, რომელიც ქარელის რაიონის სოფელ ქვენატკოცასა და ქვემო ოქონას შორის მანძილს მოიცავს. გარდა ამისა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ პატრულირება სამეგრელოს რაიონშიც დაიწყო. დამკვირვებლები განმუხურში, ხურჩასა და ჩხოროწყუში მოძრაობენ.

რუსმა ოკუპანტებმა, სარკოზი-მედვედევის შეთანხმების თანახმად, საქართველოს ტერიტორია 10 ოქტომბრამდე უნდა დატოვონ. თუმცა რუსეთი საქართველოს ტერიტორიის დატოვებას არ აპირებს. მეტიც, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ და აფხაზეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად გამოაცხადა, ხოლო ამ უკანასკნელებმა დამატებით სხვა ტერიტორიებიც შეიერთეს.

მიუხედავად იმისა, რომ 3 ოქტომბრის ევროსაბჭოს რეზოლუციაში ევროპამ ცალსახად დააფიქსირა თავისი პოზიცია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი აღნიშნავს, რომ ეს საკმარისი არ არის. მისი თქმით, აუცილებელია, ერთმანეთისგან კარგად გაიმიჯნოს საერთაშორისო სამართლის მიხედვით ამ ტერიტორიების დე იურე და დე ფაქტო მდგომარეობა.

გიორგი ხუციშვილი: „დე ფაქტო, ეს ტერიტორიები ახლა ისეთი ძალის ხელშია, რომელსაც საერთაშორისო სამართალი ვერაფერს უშვება. რუსეთი იმ არგუმენტს იყენებს, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ და აფხაზეთის ტერიტორიები აღიარებული აქვს, მათთან ორმხრივი ურთიერთობის განვითარებას აპირებს, ხოლო სამხედრო ურთიერთობების შესახებ გეგმა უკვე არსებობს. ამ ტერიტორიებზე რუსეთი ამ გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოქმედებს. ანუ ის თვლის, რომ მას საერთაშორისო სამართალში არაფერი უპირისპირდება და ამ ფანჯრით სარგებლობს“.

გიორგი ხუციშვილი ამტკიცებს, რომ რუსეთის ასეთი მოქმედების აღკვეთას საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი გადაწყვეტილება სჭირდება, რომელიც ამჯერად არ არსებობს. მხოლოდ სიტყვები – „ჩვენ არ ვცნობთ ამ ტერიტორიებს“ უკვე საკმარისი არ არის.

„რომ გადავხედოთ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებას, რომელიც 3 ოქტომბერს იყო მიღებული, ვნახავთ, რომ იქ რუსეთისთვის არავითარი საფრთხე არ

არსებობს. მაგალითად, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთმა იგნორირება გაუწია ევროპის მოთხოვნებს და ა.შ. ვინაიდან ეს მექანიზმები არ არის ჩადებული, ყველაფერი აღიქმება, როგორც მხოლოდ ფორმალური გაფრთხილება, სანქციების გარეშე. რეალურად, ევროპა არ რეაგირებს ადეკვატურად რუსეთის ქმედებებზე, პირიქით, განსხვავებულ რაღაცეებზე მიდის საუბარი, მაგალითად, არ მოვაქციოთ რუსეთი იზოლაციაში, რუსეთთან ჩვენი მოლაპარაკებები და ეკონომიკური ხასიათის ხელშეკრულებები საფრთხის ქვეშ არ დავაყენოთ. რუსეთი ამით სარგებლობს და პრობლემებს ევროკავშირის დამკვირვებელთა მისიასაც უქმნის“.

და ბოლოს, საერთაშორისო სამართლის უძლურობის თუ რუსეთის უსამართლობის შედეგად გვრჩება ის, რომ საქართველომ დაკარგა ის ტერიტორიებიც, რომლებსაც ჯერ კიდევ 2 თვის წინ აკონტროლებდა. ამ ტერიტორიების დაბრუნება მაშინაც ვერ მოხერხდება, როდესაც რუსეთი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში საქართველოს დატოვებს.

გიორგი ხუციშვილი: „15 ოქტომბრამდე რუსეთი არ არის ვალდებული, დატოვოს, მაგალითად, კოდორი. ეს ტერიტორია აფხაზეთმა შემოიერთა, ასე რომ, აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა უნდა დატოვონ კოდორი. ფაქტობრივად, აღდგენილი ქართული იურისდიქცია აფხაზურმა იურისდიქციამ შეცვალა. რუსები ამბობენ, ჩვენ არ გვაქვს კოდორი დაკავებული, ეს ტერიტორია აფხაზებმა დაიკავეს. აფხაზები კი ამბობენ, რომ ეს მათი ტერიტორიაა, სადაც მათ თავისი იურისდიქცია აღადგინეს, რადგან დამოუკიდებელი ქვეყანაა. იგივე სიტუაცია ცხინვალის რაიონშია. მთელ იმ ტერიტორიებზე, რომლებსაც სანაკოევი აკონტროლებდა, ოლქის მთელ პერიმეტრზე კოკოითმა საკუთარი შეიარაღებული ძალები დააყენა“.



ახალგორი – თბილისზე იერიშის მისატანი პლაცდარმი?!

ვადა ამოიწურა, მაგრამ რუსები ოკუპირებულ ტერიტორიებს არ თმობენ

„რეზონანსი“, 2008 წ. ოქტომბერი, #278 (5791) გვ. 1, 4. ჟურნალისტი მარი ოთარაშვილი, ფოტოთი

მედვედევი-სარკოზის ხელშეკრულების მიხედვით ე.წ. „ბუფერული ზონებიდან“ ოკუპანტების გასვლის ვადა გუშინ დასრულდა, მაგრამ ახალგორში ოკუპანტები უკანონოდ აშენებულ ბლოკ-პოსტებს არ შლიან და ამას საერთოდაც არ გეგმავენ. კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილის თქმით, რუსეთი ახალგორის დათმობას არ აპირებს. ეს კი, კონფლიქტოლოგის თვალსაზრისით, საფრთხეს შეუქმნის თბილისს. როგორც ის „რეზონანსთან“ საუბრისას აცხადებს, თუ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ახალგორის დაბრუნება, რუსეთს ადვილად შეეძლება, საქართველოს დედაქალაქს თბილისიდან სულ რაღაც 60 კილომეტრში მდებარე ახალგორიდან როცა მოესურვება, მაშინ დაარტყას.

მთლიანად ქსნის ხეობა მოსახლეობისგან დაცლილია. ახალგორსა და მის სოფლებში მხოლოდ ასაკოვანი მოსახლეობა

დარჩა. მართალია, მოსახლეობა ოკუპანტების გასვლას 10 ოქტომბრიდან არ ვარაუდობდა, მაგრამ ამისი მცირე იმედი მაინც ჰქონდა. ეს უკანასკნელი კი მას შემდეგ დაეკარგათ, რაც 10-მა ოქტომბერმაც სხვა ოკუპირებული დღეების მსგავსად ჩაიარა და ამ მხრივ არანაირი ცვლილება არ მოუტანა.

კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილის თქმით, რუსეთი ყველანაირად შეეცდება, ახალგორი შეინარჩუნოს.

გიორგი ხუციშვილი: „ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც დადებულია რუსეთ-საფრანგეთის პრეზიდენტებს შორის, ოკუპანტები ახალგორიდან უნდა გავიდნენ, მაგრამ რუსები ყველანაირად ცდილობენ არა მარტო ახალგორის არდათმობას, არამედ საერთაშორისო დამკვირვებლების ახალგორში არშეშვებას. არადა, საერთაშორისო დამკვირვებლების შესვლა კონფლიქტის ზონაში მნიშვნელოვანია, რადგან გავლენ თუ არ გავლენ ოკუპანტები, ამას მნიშვნელობა აღარ ექნება – რეგიონს უკვე საერთაშორისო დამკვირვებლები გააკონტროლებენ. ამ ყველაფერს კი რუსები დაჟინებით უშლიან ხელს. საქმე ის არის, რომ ამ დამკვირვებლების განლაგება ახალგორში ძალიან ძნელია. ეს არის პროგრამული ამოცანა, რომლის ამოხსნაც საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო ორგანიზაციებზე დაყრდნობით უნდა შეძლოს.

რუსეთი ახალგორს არ თმობს, რადგან ეს არის სტრატეგიული ადგილი. ისინი ეცდებიან, გამოუვიდეთ ის, რომ ახალგორში რამენაირად შეინარჩუნონ პოზიციები. ისე რომ მოხდეს, ანუ ახალგორი თუ დარჩა რუსეთს, თბილისს მუდმივად ექნება საფრთხის შეგრძნება. რუსეთს ძალიან ადვილად შეეძლება, როცა მოესურვება, თბილისს მაშინ დაარტყას, რადგან ახალგორი, მოგეხსენებათ, თბილისიდან 60 კილომეტრში მდებარეობს. რუსებმა ახალგორში რომ დადგან დანადგარები, მერე უნდა ვიფიქროთ, რა გვეშველება“.



რეზონანსი საქართველოს ამბები 2008 წლის 15 ოქტომბერი, ოთხშაბათი 3

კონფლიქტის ზონა

ახალგორი – ჟენევის იმედად

ქსნის ხეობის მოსახლეობას შვეიცარიაში დაგეგმილი მოლაპარაკებებისღა ეიმედებათ

მარი ოთარაშვილი

2008

„ისე, მიმოსვლა უფრო გაადვილდა. ანუ, უპრობლემოდ შეიძლება გადაადგილება ახალგორიდან თბილისში და

გიორგი ხუციშვილი: „რუსეთი არ დათმობს ახალგორს, რადგან ეს რაიონი სჭირდება, როგორც თბილისზე გავლენის ბერკეტი"

ახალგორი – ჟენევის იმედად

ქსნის ხეობის მოსახლეობას შვეიცარიაში დაგეგმილი მოლაპარაკებებისღა ეიმედება

„რეზონანსი", 2008 წ. 15 ოქტომბერი, გვ. 3, ჟურნალისტი მარი ოთარაშვილი, ფოტოთი

ახალგორის საკითხის დადებითად გადაწყვეტა ჟენევის კონფერენციაზე არც თავად ქსნის ხეობის მოსახლეობას და არც კონფლიქტოლოგებს არ ეიმედებათ. როგორც ახალგორელები „რეზონანსთან" საუბრისას აცხადებენ, ამ დროისთვის ქსნის ხეობა ისევ რუსული შეიარაღებული ძალების მიერ კონტროლდება და ამ მხრივ რაიმე ცვლილება ბოლო დღეებში არ შეინიშნება. კონფლიქტოლოგების აზრით, რუსეთი ახალგორს თბილისზე ზეწოლის ბერკეტად მოიაზრებს და, შესაბამისად, მის შენარჩუნებას ყოველნაირად შეეცდება.

„ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთი დათმობაზე არ წავა, – აცხადებს კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი, – ამიტომაც ქართულმა მხარემ პრინციპული პოზიცია უნდა დაიკავოს ახალგორთან დაკავშირებით. რუსეთი არ დათმობს ახალგორს, რადგან ეს რაიონი სჭირდება, როგორც თბილისზე გავლენის ბერკეტი, ანუ რუსები არ გამორიცხავენ იმას,

რომ ისინი მომავალში ახალგორში განალაგებენ უფრო მეტ სამხედრო შეიარაღებას დანადგარებთან ერთად და ეს იქნება თბილისზე ზეწოლისთვის. ახალგორი ყოველთვის იქნება გამოყენებული, როგორც ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი. ამიტომ საქართველომ ძალიან მკაცრად უნდა დააყენოს ახალგორის საკითხი".


საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობაზე „ინტერპრესნიუსი" ექსპერტს, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორს გიორგი ხუციშვილს ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, კონფლიქტის ზონებში და მათ ახლოს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ ვითარება ფეთქებადსაშიში რჩება. რამდენად რეალურია საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობა?

– საომარი მოქმედებების დაწყება ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ ვითარება, რომლის პირობებში შესაძლებელია ინციდენტები და პროვოკაციები, ცუდის მომასწავებელი შეიძლება იყოს. რისკის ფაქტორი მაღალია, მაგრამ აგვისტოს მოვლენების განმეორებაზე საუბარი გადაჭარბებულია. ახლა მთავარია,

გიორგი ხუციშვილი: თუ რუსეთს საომარი მოქმედებების დაწყების საბაბი მიეცა, კრემლი მას აუცილებლად გამოიყენებს

„საქართველოს რესპუბლიკა", 2008 წ. გვ. 2, ჟურნალისტი კობა ბენდელიანი, ფოტოთი;
ასევე გამოქვეყნდა „ინტერპრესნიუსში"

საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობაზე „ინტერპრესნიუსი" ექსპერტს, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორს, გიორგი ხუციშვილს ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, კონფლიქტის ზონებში და მათ ახლოს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ ვითარება ფეთქებადსაშიში რჩება. რამდენად რეალურია საომარი მოქმედებების განახლების შესაძლებლობა?

– საომარი მოქმედებების დაწყება ნაკლებად სავარაუდოა, მაგრამ ვითარება, რომლის პირობებში შესაძლებელია ინციდენტები და პროვოკაციები, ცუდის მომასწავებელი შეიძლება იყოს. რისკის ფაქტორი მაღალია, მაგრამ აგვისტოს მოვლენების განმეორებაზე საუბარი გადაჭარბებულია. ახლა მთავარია,

რომ სიტუაცია ჩაწყნარდეს, არ უნდა იყოს ინციდენტები და ევროკავშირის დამკვირვებლებს უნდა მიეცეთ, პირველ რიგში, ახალგორსა და ზემო აფხაზეთში, შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთელ ტერიტორიაზე მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების შესაძლებლობა.

– **რასაც თქვენ ბრძანებთ, ქართული მხარის ინტერესში შედის, მაგრამ ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ დაპირისპირების მეორე სერიისათვის ემზადება და საქართველოზე სრული კონტროლის დამყარებას შეეცდება, თუნდაც კონფლიქტის ზონებში ვითარების პერმანენტულად დაძაბვით.**

– ასეთი გეგმები რუსეთს აგვისტომდე ჰქონდა, რათა საქართველოს ნატო-ში შესვლისათვის ხელი შეეშალა. რუსეთი აგვისტოში საომარი მოქმედებების დაწყებისათვის საბაბს ელოდებოდა. საქართველოს მთლიანად დასაკავებლად კრემლს საბაბი ჯერჯერობით არა აქვს, ამიტომ ცალმხრივად არაფერს ისეთს არ მოიმოქმედებს, რომ გააფართოოს კრიზისის არეალი. თუ რუსეთს საომარი მოქმედებების დაწყების საბაბი მიეცა, კრემლი მას აუცილებლად გამოიყენებს.

– **ექსპერტთა ნაწილი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მხრიდან უხეში ძალის გამოყენების მიზეზად რუსეთშივე არსებულ მწვავე ეკონომიკურ კრიზისს ასახელებს. მათი აზრით, შესაძლოა, რუსეთში არსებული ეკონომიკური კრიზისი აღმოჩნდეს რუსეთის გააქტიურების მიზეზი.**

– კი, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში ამისი გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი მხრიდან რისკის ფაქტორების მთლიანად მოხსნის საშუალება არ არსებობს.

– **რჩება შთაბეჭდილება, რომ სოხუმისა და ცხინვალის მხრიდან საქართველოს მიმართ ტერიტორიული პრეტენზიების გახმოვანება აღმოჩნდეს საფუძველი საომარი მოქმედებების დაწყებისათვის.**

– საშიშროება არსებობს, მაგრამ ამის წინააღმდეგ ბერკეტების გამოყენება ქართულ მხარეზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ ცალმხრივად არ შეგვიძლია, დავამყაროთ ისეთი კონტროლი, რომელიც საომარ მოქმედებას გამორიცხავს.

– ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებანი სიამოვნებით გააგრძელებდნენ საომარ მოქმედებას. რა შეიძლება იყოს ამგვარი მოსაზრების საფუძველი?

– არა მგონია, რომ ეს ასე იყოს და იცით, რატომ? იმიტომ, რომ რუსეთმა საქართველოში თავის მიზანს პრაქტიკულად მიაღწია, ისეთი კონფიგურაცია შექმნა, რომელიც მას დიდი ხანია, სჭირდებოდა.

ახალგორში რუსული სამხედრო ბაზის განთავსებით რუსეთის ჯარები თბილისთან საკმაოდ ახლოს იქნებიან. აქედან რუსეთს საკმაოდ დიდი ტერიტორიის გაკონტროლების საშუალება ექნება, ასეთივე მიზნებისთვის შეიქმნება სამხედრო ბაზა გალის რაიონში. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ რუსეთმა თავის მიზნებს მიაღწია. საქართველოში საომარი მოქმედებების გაგრძელება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ვითარება ქვეყანაში საერთოდ აირია. თუ საქართველოში იქნება სტაბილურობა, საომარი მოქმედებების დაწყებისგან რუსეთი თავს შეიკავებს.

თუ ქართულმა მხარემ ტერიტორიების დაბრუნებაზე და რევანშზე ფიქრი დაიწყო, ეს აბსოლუტური უაზრობა იქნება. ამაზე ვინმე სერიოზულად თუ ფიქრობს, ფსიქიკურად შეშლილი უნდა იყოს. ახლა მთავარი ვითარების დასტაბილურება და სარკოზი-მედვედევის ექვსპუნქტიანი გეგმის შესრულებაა.



ეს შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო

(ინტელიგენტის რემარკა)

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, „რეზონანსი“, 2008 წ. 11 ნოემბერი, #309 (5822) გვ. 1, 5., ფოტოთი

იმავე საათებში, როდესაც აღფრთოვანებული ამერიკა ბარაკ ობამას დამაჯერებელ გამარჯვებას ზეიმობდა, შევესწარი ახალგაზრდების ჯგუფის გულწრფელ გაოცებას, როდესაც ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით „ქორთიარდ მარიოტში“ 5 ნოემბერს მოწყობილ დილის აღლუმზე ქართველები ამერიკელებს ობამას გაპრეზიდენტებას ულოცავდნენ. „ესენი ხომ არ გადაირივნენ, ნეტავი, რა არის ამაში გასახარებელიო?“ – ეკითხებოდნენ ერთმანეთს ეს ახალგაზრდები.

ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილში გაბატონებულია მითოლოგიზირებული, ღრმად ფატალისტური და ოდნავ მაზოხისტური წარმოდგენა საერთაშორისო სისტემაში არსებულ მდგომარეობასა და მასში საქართველოს ადგილზე. გლობალური სურათის ცენტრშია ბოროტების საწყისი – რუსეთი, რომელიც ცდილობს, დაიმონოს საქართველო, კავკასია, ევროპა,

ვისაც კი შეძლებს, რომ მოერიოს. ამერიკასაც კი ემუქრება და პაექრობაში იწვევს. მეკითხებით, რატომ? უბრალოდ იმიტომ, რომ ურჩხულია. ხოლო ვინაიდან ურჩხულია, მასთან მოლაპარაკება შეუძლებელია. როგორ გინდა, ურჩხულს აუხსნა, რომ თავი გაგანებოს ან კომპრომისზე წამოვიდეს? ურჩხულს ხომ ადამიანის ენა არ ესმია. პოლიტიკა ცხოველთა სამყაროს იმით ჰგავს, რომ აქაც ძლიერი სუსტს ჭამს. მით უმეტეს, თუ ის ძლიერი – ურჩხულია. ურჩხულის მოსპობის ან დასუსტების შანსი რომ გაჩნდეს, ის უფრო ძლიერს უნდა შეერკინოს და ბრძოლაში დამარცხდეს. მაგრამ რა ვქნათ, თუ ძლიერი არაურჩხულები – ძველი ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები – ურჩხულს ლაპარაკს უწყებენ და ლაპარაკით თუ გარიგებებით მის დაშოშმინებას ლამობენ? ამის შედეგად ურჩხული კიდევ უფრო გაძლიერდება და გათამამდება და სულ ყველას ჩაყლაპვას მოინდომებს?

მეორე მხრივ, ურჩხული შინაგანად გახრწნილი და დამპალია (ბოროტება ხომ იმთავითვე ნაკლოვანია კეთილთან შედარებით) და როდისმე მაინც დაიშლება და დაქუცმაცდება, მაგრამ ამასობაში ჩვენს შეჭმას ხომ მოასწრებს? ვიღაცამ უნდა ითავოს ქირურგის როლი, რათა ცხადი გახადოს მსოფლიოსთვის, თუ რასთან აქვს საქმე.

დიაგნოზის დასმა და პირველი სისხლის გამოშვებაც უკვე მოხდა, მაგრამ რად გინდა, ეს მსოფლიო ისევ ილუზიებში ყოფნას ამჯობინებს. რა ვქნათ, ველოდოთ, რუსეთი თავისით როდის დაიშლება თუ „დავეხმაროთ“ მას დასუსტებასა და დაშლაში და ამით ჩვენი სულიერი მისია შევასრულოთ? დავითმა უნდა სძლიოს გოლიათს. როგორ? უნდა ურჩხულს შევაჭმევინოთ თავი და როდესაც თითქმის შეჭმულები ვიქნებით, მსოფლიო მიხვდება, რომ ეს ხვალვე შეიძლება მასაც დაემართოს და ჩაერევა არა მხოლოდ ჩვენ გადასარჩენად (ეს მეორეხარისხოვანია), არამედ, რაც მთავარია, ურჩხულის გასაუვნებელსაყოფად. ასეთი ხედვა არსებობდა აგვისტომდე და, რაც უფრო ნიშანდობლივია, დღესაც არსებობს საქართველოში.

ამ ხედვიდან გამომდინარე, დავითისა და გოლიათის შებრძოლების აგვისტოს ამ ეტაპზე ჩვენ გავიმარჯვეთ (ამას სექ-

ტემბერში გამოკითხულ თბილისელთა 23 პროცენტი ადასტურებდა). რუსეთის მიერ საქართველოს დიდი ნაწილის ოკუპაცია, კოდორის და ახალგორის დაკავება და იქიდან ძირძველი ქართველი მოსახლეობის გაძევება, ასიათასზე მეტი ახალი დევნილი, გადამწვარი სოფლები და ტყეები და, რაც მთავარია, კონფლიქტის ზონების მილიტარიზაცია და რუსული ბაზების აშენება, მათ შორის, თბილისიდან 40 კილომეტრში, ყველაფერი ეს უკანგადადგმული კი არა, წინგადადგმული ნაბიჯი ყოფილა!

უკვე შემდეგ ეტაპზე ვიყავით მიმდგარი, როდესაც რუსული ბაზების პირისპირ ამერიკული ან ნატო-ს ბაზები უნდა ჩამომდგარიყო და ნეტავი რამე გაებედა ამის შემდეგ რუსს. ისეთი ხანძარი გაჩაღდებოდა, რომელშიც ურჩხული საცეცებს კარგად მოიწვავდა. მართალია, ჩვენს მიწას გაპარტახების კიდევ ერთი ტალღა გადაუვლიდა, შესაძლოა, კიდევ დაგვეკარგა ტერიტორიები, მაგრამ, სამაგიეროდ, სიკეთისა და ბოროტების გლობალურ ბრძოლაში ჩვენი სიტყვა გვექნებოდა ნათქვამი. ეს კიდევ ბოლო გამარჯვება არ იქნებოდა...

და ამ დროს ამერიკა ირჩევს არა მაკკეინს, რომელიც ურჩხულს ბოლომდე ბრძოლას უქადდა, არამედ ობამას, რომელიც ურჩხულს ინტელიგენტივით ელაპარაკება და აფრთხილებს, ცუდი არ ქნაო. ერთი-ორი ბრიგადა შეიძლება მანაც ჩააყენოს ჩვენსა და რუსს შორის, მაგრამ ამას რაღა მნიშვნელობა ექნება, თუ აქცენტი მაინც მოლაპარაკებაზე იქნება და არა ბოროტებასთან ბოლომდე გაბრძოლებაზე. ცივი ომის ეპოქაში დაბრუნება არ გვსურსო. ინტელიგენტების დაღუპულია ეს მსოფლიო და ეგ არის.



ოკუპანტები ქსნის ხეობაში გამოზამთრებისთვის ემზადებიან

გოგი ხუციშვილი: „ახალგორის საკითხის მოგვარების მესამე გზა სააკაშვილის მმართველობის შეცვლაა“

„რეზონანსი“, 2008 წ. 1 დეკემბერი, ჟურნალისტი მარი ოთარაშვილი, ფოტოთი

ქსნის ხეობის ოკუპაციისგან გათავისუფლების ერთადერთი გზა არსებობს: საქართველო-რუსეთის წარმომადგენელთა შეხვედრა მოლაპარაკების მაგიდასთან. ეს კი დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია. როგორც კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი „მთელ კვირასთან“ საუბრისას განმარტავს, რამდენადაც დიდი რუსეთი სააკაშვილთან ყოველგვარ მოლაპარაკებაზე კატეგორიულ უარზეა, ახალგორის საკითხი სააკაშვილის მმართველობის დროს ჩვენთვის სასიკეთოდ ვერ გადაწყდება და, აქედან გამომდინარე, რუსეთისგან ოკუპირებული დარჩება.

ქსნის ხეობაში კი ოკუპანტები გამოზამთრებისთვის ემზადებიან: ყანჩავეთი-ცხინვალის გზით თბილი ტანსაცმლით და საწვავით მარაგდებიან.

ქსნის ხეობაში ოკუპანტები გამოზამთრებას რომ აპირებდნენ, ეს უკვე დიდი ხანია, აშკარა იყო. შეხვდებიან თუ არა ისინი ქსნის ხეობაში გაზაფხულსაც? – ამის შესახებ „მთელი კვირა“ კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილს ესაუბრა.

გიორგი ხუციშვილი: „ახალგორის დაბრუნებისთვის 2 გზა არსებობს: ან უნდა იყო ძლიერი (ძლიერი სახელმწიფოთი და ჯარით), რომ შეებრძოლო და ამ ბრძოლით წართმეული უკან დაიბრუნო და მეორე – ის, რომ რაღაცნაირად უნდა შეძლო საერთაშორისო თანამეგობრობის მობილიზება იმისათვის, რომ რუსებზე რაღაც გარკვეული ზეწოლით რამე შეიცვალოს. საქართველოს არც ერთი აქვს და, როგორც ვხედავთ, არც – მეორე. რჩება მესამე გზა – ის, რომ პირდაპირ დაელაპარაკო შენს მოწინააღმდეგეს – რუსეთს და რაღაცა შეთანხმებამდე მიხვიდე. ე.ი. ან უნდა მოხდეს საერთაშორისო აზრის მობილიზება ან კიდევ მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დაჯდე რუსეთთან. სხვა გამოსავალი რეალურად ბუნებაში არ არსებობს.

მოლაპარაკება კი, ალბათ, უნდა შედგეს სააკაშვილსა და მედვედევს შორის, მაგრამ ეს ამ წუთში არარეალურია, რადგან რუსული მხარე სააკაშვილთან ნებისმიერ კონტაქტზე უარს აცხადებს. პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთი საქართველოსთან მოლაპარაკებას მაშინ ინებებს, როცა მის სათავეში იქნება არა სააკაშვილი, არამედ სხვა ადამიანი. „ჩვენს ხელშია ყველა ბერკეტი, ჩვენ არ ველაპარაკებით თქვენს ქვეყანას იქამდე, ვიდრე პრეზიდენტად ეყოლება სააკაშვილი“ – აი, ეს ულტიმატუმი აქვს რუსეთისგან საქართველოს. შესაბამისად, გამოდის, რომ ახალგორის საკითხი სააკაშვილის მმართველობის დროს ვერ მოგვარდება. ამისი შემცვლელი ბერკეტი იქნებოდა საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ, როგორც დავინახეთ, მათ არ სურთ საქართველოს გამო ურთიერთობის გაფუჭება რუსეთთან“, – აცხადებს ხუციშვილი.



კოლაფსირებული სამშვიდობო პროცესი და „მავნებლების“ პრობლემა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი.
პირველად გამოქვეყნდა ინგლისურ ენაზე გაერო-ს უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სამეცნიერო ნაშრომთა კრებულში 2006 წელს[1]. ავტორიზებული ქართული ვერსია სპეციალურად საქართველოს უნივერსიტეტისთვის 2008 წ. 2 დეკემბერს მომზადდა.

საბჭოთა კავშირის დაშლა და ამის შედეგად 15 საბჭოთა რესპუბლიკის გათავისუფლება, რომელთაგან მეტი წილი 1991 წლიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში გაერთიანდა, რყევებითა და შფოთის ფონზე მიმდინარეობდა. ცალკეულ შემთხვევებში ეს განმსაზღვრელი ფაქტორიც კი გახდა, კერძოდ – „ბოროტების იმპერიის“ იმ ნაწილებში, სადაც ეთნიკური ნიშნით შექმნილი ავტონომიური ერთეულები არსებობდა. საუბარია აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთზე“ საქარ-

[1] George Khutsishvili. The Abkhazia and South Ossetia Cases: Spoilers in the Nearly Collapsed Peace Process, in Edward Newman and Oliver Richmond, eds. "*Challenges to Peacebuilding: Managing Spoilers During Conflict Resolution"*. Tokyo - New York - Paris: United Nations University Press, 2006

თველოს შემადგენლობაში, მთიან ყარაბაღზე აზერბაიჯანში, დნესტრისპირეთზე მოლდოვაში და ჩეჩნეთზე – რუსეთში. ამ სწრაფად ცვალებად გარემოში უსაფრთხოებისა და თვითგამორკვევის პრობლემები არა მარტო დსთ-ს ქვეყნებს, არამედ ყოფილ ავტონომიურ ერთეულებსაც შეეხო, რომელთაც პროსაბჭოური ძალები დსთ-ს ქვეყნების დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისაკენ სვლის შესაფერხებლად იყენებდნენ. იმ დავათა უმეტესობა, რაც სახელმწიფოებად გარდაქმნილ ყოფილ რესპუბლიკებსა და მათივე ავტონომიურ ერთეულთა შორის წარმოიშვა, სასტიკი შეხლით და სეპარატისტული კვაზი-სახელმწიფოების შექმნით დასრულდა, რომლებიც ყოფილი „პატრონებისაგან“ დამოუკიდებლობას ესწრაფოდნენ. თუმცა კი უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით საერთაშორისო თანამეგობრობას არც ერთი მათგანი არ უცვნია.

აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ კონფლიქტს შეიარაღებული დაპირისპირების უმწვავესი ფაზა ახასიათებდა (1992-93 წწ. აფხაზეთში და 1991-92 წწ. – ცხინვალის რეგიონში) და ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული კრიზისი (იგულისხმება თითქმის 300.000 იძულებით გადაადგილებული პირი და ლტოლვილი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, აფხაზეთის შემთხვევაში, ეთნიკური ქართველი იყო). ამ თვითგამოცხადებულ სახელმწიფოებში ამჟამად გაურკვეველი, გაყინული, „არც ომისა და არც მშვიდობის“ მდგომარეობაა. თანმხლები სამშვიდობო პროცესი ვერა და ვერ გამოვიდა ჩიხიდან. იმისათვის, რომ სამშვიდობო პროცესის არსში და აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევებში ხელისშემშლელი ფენომენის რაობაში გავერკვეთ, ჯერ ამ დაპირისპირების ძირითადი საფეხურები უნდა გამოვიკვლიოთ.

აფხაზეთის კონფლიქტს[1] ღრმა ფესვები აქვს გადგმული რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის იმპერიალისტურ გე-

[1] აღსანიშნია, რომ კონფლიქტამდე აფხაზების რაოდენობა (80,000-90,000) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 18%-ს შეადგენდა და საქართველოს საერთო მოსახლეობის 2%-ს (1989 წ. აღწერის მიხ.). 1993წ. ჩატარებული ეთნიკური წმენდის შედეგად, დაახლოებით 260,000 ქართველი გამოდევნეს რეგიონიდან და, შესაბამისად, აფხაზებმა გარკვეულ (თუმცა არასრულ) დემოგრაფიულ უპირატესობას მიაღწიეს –.გ.ხ.

ოპოლიტიკაში, ხოლო გაუცხოება აფხაზებსა და ქართველებს შორის,[1] კომუნისტური მმართველობის პირველივე წლებიდან იღებს სათავეს. აფხაზეთის მნიშვნელოვანი ნაწილი შავიზღვისპირა, სუბტროპიკული, გამაჯანსაღებელი ზონაა და აფხაზ სეპარატისტთა დახმარება რუსეთის სამხედრო თუ პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხრიდან ლამის საბჭოეთის მსხვრევის პირველივე ნიშნების გამოჩენისას და საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებისთანავე გაძლიერდა. აფხაზეთის გაუცხოება ქართველებისაგან მით უფრო გაღრმავდა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ბატონობდა აზრი, რომ აფხაზეთი ისტორიულად დასავლეთ საქართველოს ნიშნავდა, ხოლო თავად აფხაზები ჯიუტად ცდილობდნენ საკუთარი „ძირძველი“ ისტორიული და ეთნიკური წარმომავლობის დამტკიცებას. ნიშანდობლივია, რომ აფხაზური წყაროები მათი ეთნოსის წინააღმდეგ განხორციელებული სისტემატური ასიმილაციის მცდელობებში რუსულ ან საბჭოთა იმპერიალისტურ პოლიტიკას კი არ სდებდნენ ბრალს, არამედ – ქართულ ნაციონალიზმს, რომელიც, თავის მხრივ, საკმაოდ სუსტი და, ფაქტობრივად, ჩანასახობრივ მდგომარეობაში იყო XX საუკ. 80-იანი წწ. ბოლომდე. საბოლოო ჯამში, მას მერე, რაც ქართულ-აფხაზური ურთიერთობები კიდევ უფრო გაამწვავა საქართველოს ახალ ლიდერთა ეთნონაციონალიზმმა, მთელი ამ დავით მანიპულირება იმპერიის აღორძინების მომხრეებმა აიღეს ხელში და ქართველთა და აფხაზთა დაპირისპირება დუღილის უკიდურეს წერტილამდე აიყვანეს.

2008

ქართულ-ოსური დაპირისპირების ბუნება თვალსაჩინოდ განსხვავებული გახლდათ. მათი ურთიერთობები მშვიდობიან და შემწყნარებლურ ფონზე ვითარდებოდა და ოსები, ალბათ, ყველაზე უკეთ ინტეგრირებული ეთნიკური ჯგუფი იყო უაღრესად ჭრელ ქართულ საზოგადოებაში. ქართულ-ოსური და-

[1] ამიერკავკასიის მხარე ცარისტულმა რუსეთმა სრულად მხოლოდ XIX საუკ. მიითვალა. 1918 წ., I მსოფლიო ომის დასრულების შედეგად შექმნილმა ვითარებამ აიძულა საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ, რაც შემდგომ ამ რესპუბლიკების კვლავ რუსეთის მიერ ანექსიით დამთავრდა. აფხაზეთში კი პირველი მასობრივი სისხლისღვრა და გადასახლება XIX საუკ. ბოლოს მოხდა (მოჰაჯირების აყრა სამურზაყანოდან) – გ.ხ.

ძაბულობის პირველი ნიშნები XX საუკ. 20-იან წწ. გამოიკვეთა – სწორედ საბჭოური მმართველობის დამყარების შემდგომ, თუმცა სეპარატისტული ტენდენციებს აქ არასოდეს უმძლავრია, ვიდრე საქართველოს პირველმა პოსტსაბჭოთა ლიდერმა, ზვიად გამსახურდიამ, მახინჯი ეროვნული პოლიტიკის გატარება არ დაიწყო, რაც საბოლოოდ, 1990 წ. ბოლოს, კონფლიქტის მიზეზად იქცა.[1] საბოლოოდ, მცირე თემის ბრძოლა უფრო მაღალი ავტონომიისა და ფართო სუვერენიტეტისათვის ქართველების მიმართ ეთნიკური შეუწყნარებლობითა და მზარდი პრორუსული განწყობილებებით გამოიხატა. ქართულ-ოსური დაძაბულობის გაღრმავების გათვალისწინებით, გამსახურდიამ სცადა, თავიდან აეცილებინა კონფლიქტის ესკალაცია აფხაზეთში და აფხაზებს გარკვეული პრივილეგიებიც შესთავაზა – მხარდაჭერის სანაცვლოდ, თუმცა ეს ნაბიჯი უკვე დაგვიანებული აღმოჩნდა.

კონფლიქტის მიმდინარეობასა თუ მის მოგვარებაში ჩართული მოქმედი პირები და მხარეები

ისევე, როგორც ბევრ სხვა შემთხვევაში, საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებშიც არაერთი მხარეა ჩართული და მათი გავლენის ხარისხიც განსხვავებულია. აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტებში, მათი ყველაზე მაღალი ინტენსივობის ფაზებში (შესაბამისად, 1992-93 და 1991-92 წწ.) შემდეგი მხარეები მონაწილეობდნენ:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სეპარატისტული ეთნოკრატიული ელიტა (ჯერ კიდევ სსრკ-ს დროს არჩეული, ვლადისლავ არძინბას თავმჯდომარეობით მოქმედი უმაღლესი საბჭო), რომელიც მთავარი პასუხისმგებელი იყო აფხაზურ საზოგადოებაში ანტიქართული განწყობილებების გაღვივებაზე;
- შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემდეგ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ანტისეპარატისტულად განწყობილი,

[1] 1990 წ. 18 ნოემბერს საქართველოს ახალარჩეულმა პარლამენტმა ოსეთის ავტონომიური ოლქი საერთოდ გააუქმა, როგორც „ბოლშევიკების მიერ საკუთარი იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად მოგონილი ხელოვნური წარმონაქმნი“ – გ.ხ.

ეთნიკურად ქართველი დეპუტატები – თამაზ ნადარეიშვილის თავმჯდომარეობით, რომელთაც საქართველოს დედაქალაქში ე.წ. „აფხაზეთის დევნილი ლეგიტიმური ხელისუფლება“ შექმნეს;

- სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სეპარატისტული ეთნოკრატიული ელიტა (საბჭოთა დროს არჩეული უმაღლესი საბჭო ტორეზ კულუმბეგოვის თავმჯდომარეობით). ისინი გადაჭრით არ უარყოფდნენ ქართველებთან ერთ სახელმწიფოში ცხოვრების შესაძლებლობას, თუმცა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ნაციონალისტურმა ლოზუნგებმა დაპირისპირება გააღრმავა და მათი სეპარატისტული ტენდენციების გაღვივებასაც შეუწყო ხელი;
- საქართველოს სახელმწიფო საბჭო (ედუარდ შევარდნაძე, თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი) და დროებითი მთავრობა. სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც დევნილი პრეზიდენტ გამსახურდიას ადგილი დაიკავა1992 წ. მარტში, პასუხისმგებლობა იკისრა სამხედრო ოპერაციაზე, რამაც 1992 წ. აგვისტოში შეიარაღებული დაპირისპირების ესკალაცია გამოიწვია აფხაზეთში, შემდგომ კი კონფლიქტის დასრულებისთანავე, მოლაპარაკებათა წარუმატებელ პროცესში ჩაერთო.
- „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“. ეს იყო ჩრდ. კავკასიაში მოსკოვის ხელით შექმნილი გასამხედროებული პოლიტიკური გაერთიანება და მისი ჩეჩნური თუ კაზაკური შენაერთებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ქართულ-აფხაზურ ომში. სწორედ მათმა დახმარებამ განაპირობა აფხაზთა სამხედრო წარმატება ქართველებთან დაპირისპირებაში – 1993 წლის სექტემბერში. რუსეთის პროსაბჭოური ძალები „დაყავი და იბატონეს“ პოლიტიკას ახორციელებდნენ დსთ-ში შემავალი ქვეყნების დასასუსტებლად და მიზნად მოსკოვს დაქვემდებარებული, ერთიანი კავშირის კვლავ აღდგენას ისახავდნენ.

- დევნილი პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეები (ანუ – ე.წ. „ზვიადისტები“). მათი პოზიცია არაერთგვაროვანი გახლდათ: ერთი მხრივ, ისინი აშკარად უსვამდნენ ხაზს საკუთარ პატრიოტულ და ნაციონალისტურ მრწამსს და, შესაბამისად, გმობდნენ აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს, მეორე მხრივ კი, ყველა შესაძლო ხერხითა და იარაღით ცდილობდნენ შევარდნაძის ხელისუფლების – მათივე თქმით – „უკანონო ხუნტის“ დასუსტებას და ქვეყანაში არასტაბილურობის თუ სულაც სახალხო აჯანყების გამოწვევას ესწრაფოდნენ. ამის შედეგად, ერთი ხანობა აფხაზ მეამბოხეებთან რაღაც კავშირისმაგვარიც კი შეკრეს.

შემდგომ, „გაყინულ“ ეტაპზე (1993-დან – ოსეთის და 1994-დან – აფხაზეთის შემთხვევაში) სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილენი, მოლაპარაკების მაგიდასთან იმ უშუალო და აუცილებელ მხარეებად იწოდებოდნენ, რომელთაგან თუნდაც ერთ-ერთის დაუსწრებლობა ნებისმიერ შეხვედრას ძალადაკარგულად აქცევდა.[1] ქართულ-აფხაზურ დავაში ესენი იყვნენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება, რუსეთის საშუამავლო ჯგუფი (რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები), საქართველოს საკითხში გაერო-ს გენერალური მდივნის „მეგობართა ჯგუფი“) და გაერო-ს სადამკვირვებლო მისია საქართველოში.[2] ქართულ-ოსურ მოლაპარაკებებზე წარმომადგენლები იყვნენ საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური პირები, „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო ხელისუფლება, ჩრდ. ოსეთ-ალანიის რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენლები და რუსეთის ფედერალური ხელისუფლების მაღალჩინოსანნი, მათ შორის – დსთ-ს სამშვიდობო ძალების წარმომადგენელიც.

[1] იგულისხმება ე.წ. “ოთხმხრივი კომისიები” – გ.ხ.

[2] მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში სპეციალური სახელმწიფოთაშორისი კომისიაც კი შეიქმნა ეუთო-ს ეგიდით (ე.წ. „მინსკის ჯგუფი“), მაგრამ არაფერი ამის მაგვარი არ მომხდარა აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით – პირიქით, აქ საყოველთაოდ იყო მიჩნეული, რომ სწორედ რუსეთმა უნდა იკისროს საშუამავლო თუ სამშვიდობო ღონისძიებები საქართველოს შიდა საკითხებთან დაკავშირებით – გ.ხ.

სამშვიდობო პროცესს, გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა შორის შეთანხმების საფუძველზე, მეთვალყურეობას უწევდნენ:

- სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში – ეუთო (რომლის საქართველოს მისია, ძირითადად, ამ რეგიონზეა კონცენტრირებული);
- აფხაზეთში – გაერო (მისი სადამკვირვებლო მისია საქართველოში გენერალური მდივნის საგანგებო წარმომადგენლის ხელმძღვანელობით);
- რუსეთის ფედერაცია – ორივე შემთხვევაში და მთელი პროცესის განმავლობაში. კრემლმა საქართველოში გამართულ ყველა სამშვიდობო მოლაპარაკებაზე წარმმართველი როლი მოითხოვა და გარკვეული წნეხიც გამოიყენა – გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებების მიღებისას საქართველოსთან დაკავშირებით. რუსეთმა განალაგა სამშვიდობო ძალები (ოფიციალურად – დსთ-ს სახელით) აფხაზეთში, მდ. ენგურის სადემარკაციო ხაზის გასწვრივ და „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიის შესასვლელებთან (ჩრდილოეთით – როკის გვირაბთან, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ცხინვალის მახლობლად, ერგნეთში).

დადგენილი ნორმების თანახმად, რუსეთის ფედერაციას უნდა ემოქმედა მანდატის შესაბამისად და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობრების ჯგუფთან თანხმობით (ესაა 5 ქვეყანა: აშშ, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, გერმანია და რუსეთი, რომლებიც ერთობლივად უწევდნენ მეთვალყურეობას სამშვიდობო პროცესს საქართველოში). სინამდვილეში კი ამ ჯგუფმა თავისი უფლებამოსილების რუსეთისათვის დელეგირება მოახდინა, რითაც დაადასტურა საქართველოს, როგორც რუსეთის გავლენის სფეროს ნაწილის, გეოპოლიტიკური სტატუსი.

რუს დიპლომატებს არაერთხელ გაუსვამთ ხაზი, რომ საქართველო არ წარმოადგენს რუსეთის საგანგებო ინტერესის სფეროს და ისეთ მცირე ტერიტორიებზე დავაში ჩაბმა, როგორებიცაა აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, მათთვის უბრალოდ დამატებითი „თავსატკივარია“. თუმცა სინამდვილე საპირის-

პიროს ადასტურებს. სახელმწიფო დუმა აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთსაც“ მიზანმიმართულად აგულიანებს, ასოცირებული წევრობა მოითხოვონ რუსეთის ფედერაციაში, ხოლო მათი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უკვე მიიღო რუსული პასპორტებიცა და მოქალაქეობაც. რუსებმა ასევე ჩაიგდეს ხელში დიდი ქონება აფხაზეთში და სხვა მხრივაც გაამყარეს კავშირები ამ გამოყოფილ ტერიტორიებთან. საქართველოს მხრიდან არაერთხელ გაისმა გაფრთხილებები, რომ კონფლიქტი სინამდვილეში პოლიტიკური და არა ეთნიკური ხასიათისაა, ხოლო რუსები, ფაქტობრივად, მის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენენ და, შესაბამისად, არ შეიძლება შუამავლის ფუნქცია იკისრონ. რუსეთის სახელმწიფო დუმა, საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, ისევე, როგორც ფედერალური უსაფრთხოების სამსახური, დაუფარავად უჭერენ მხარს სეპარატისტებს. იმის მიუხედავად, რომ ჩვეულებრივ, ეს აშკარა მაჩვენებელი იქნებოდა რუსეთის ჩარევისა სხვა ქვეყნის შიდა საქმეებში, მსგავს ქმედებებს მაინც არ შეუშლია ხელი საერთაშორისო თანამეგობრობისათვის, რუსეთი მთავარ მონაწილედ მიეჩნია სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში.

„მავნებლები“ ამიერკავკასიის კონფლიქტების მოგვარების პროცესში

სამშვიდობო პროცესისათვის განსხვავებული ტიპის ხელისშემშლელ პირობათა გავლენა სხვადასხვა კუთხით იქნა შესწავლილი. მაგ. სტედმანი ამ ხელისშემშლელ „მესამე ზედმეტებს“ იმ მოქმედ პირებს უწოდებს, რომლებიც მიზნად ისახავენ სამშვიდობო პროცესი ჩაშალონ,[1] ანუ – იმისათვის, რომ ეს „ზედმეტები“ სცენაზე გამოვიდნენ, აუცილებელია, თავად სამშვიდობო პროცესი „მიმდინარეობდეს“. ამიერკავკასიის გადაუჭრელ კონფლიქტებში – მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი, „სამხრეთ ოსეთი“ – სამშვიდობო შეთანხმებაზე ჯერაც არავის მოუწერია ხელი, მოლაპარაკებები ჩიხშია შესული და მხარეთა პოზიციებიც უცვლელია. ამისდა მიუხედავად, ხშირად სამშვიდობო პროცესს არა მარტო მიმდინარედ მიიჩნევდნენ, არამედ

[1] იხ: Stedman, Stephen J. 1997. “Spoiler Problems in Peace Processes” International Security, Vol. 22, #2. გ.ხ.

დადებითადაც კი აფასებდნენ. ალბათ, უპრიანი იქნებოდა, გვეღაპარაკა არა ჩაშლილ სამშვიდობო შეთანხმებაზე (როგორც იმ შემთხვევებში ხდება, როცა ირღვევა ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმება და ხელახლა იწყება სამოქალაქო ომები), არამედ უშედეგო ან ჩაშლილ სამშვიდობო პროცესზე – მით უმეტეს, როცა შეთანხმების მიღწევა ათწლიანი მოლაპარაკებების შედეგადაც კი ვერ ხერხდება. და მაინც, მეთვალყურეთა მანდატი იმგვარადაა განსაზღვრული, რომ როგორმე თავიდან იქნას აცილებული მსგავსი შეფასება. რამდენადაც შეფასება – „უშედეგო“ – მიუღებელია, მის ნაცვლად ყოველთვის ერთი კლიშე გამოიყენებოდა: „პროცესი სერიოზული სირთულეების თანხლებით მიმდინარეობს“ – რისი მიზეზიც, რა თქმა უნდა, სწორედ ამ „მესამე ზედმეტთა“ ქცევაა, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ სამშვიდობო პროცესის მეთვალყურეები ზოგჯერ სწორედ ამ როლში გვევლინებიან.

მართალია, კონფლიქტის მხარეთა შორის მოლაპარაკების საკანონმდებლო ბაზა ისეთი საერთაშორისო შეთანხმებები და დოკუმენტები უნდა იყოს, როგორიც ვთქვათ, გაერო-ს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციებია; მაგრამ ამ შემთხვევაში მსგავსი დოკუმენტები თუმც კი აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას (1998 წ. ეუთო-ს განცხადებაში სულაც აფხაზთა მიერ ქართველთა ეთნიკური წმენდის ფაქტიცაა აღიარებული), მაგრამ, ამავე დროს, მოუწოდებენ მხარეებს, შეთანხმებაზე მოლაპარაკებას მშვიდობიანი და არაძალადობრივი გზებით მიაღწიონ. ჯერჯერობით ერთადერთი დოკუმენტი, სადაც ვითარება რეალისტურადაა შეფასებული და ორმხრივად მისაღები გადაწყვეტილებაც შემოთავაზებულია, ე.წ. „ბოდენის დოკუმენტია“ (2001 წ.), რომლის განხილვაზეც აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა და რომელიც საერთოდ არც კი გამოქვეყნებულა.[1] ბოდენის დოკუმენტი დავის ერთადერთ რეალისტურ გადაჭრის გზად აფხაზეთის სახელმწიფოს ფედერალური ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში შესვლას მიიჩნევს – შეზღუდული სუვერენიტეტით, მაგრამ ფართო უფ-

[1] 90-იან წწ. დიტერ ბოდენი ეუთო-ს მისიის თავი გახლდათ საქართველოში – გ.ხ.

ლებებით, რაც შესაბამისი ფედერალური კონსტიტუციის თანახმად იქნებოდა უზრუნველყოფილი.

სამშვიდობო პროცესის შედეგი მხარეთა პოზიციების შესაბამისად

კონფლიქტი იმგვარ ურთიერთობებად შეიძლება იქნას განხილული, რაც მიზნების შეუთავსებლობას გულისხმობს. ქართული და აფხაზური სახელმწიფოებრიობის ხედვის შეუთავსებლობა საერთო ენის პოვნის გზაზე უმთავრეს დაბრკოლებად იქცა. აფხაზები ერთსულოვანნი არიან აფხაზეთის რესპ. დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობისაკენ მისწრაფებაში ან – სულ მცირე – რუსეთის ფედერაციაში ასოცირებულ, შეზღუდულ სახელმწიფოებრიობას მოითხოვენ. ქართველებისთვის, როგორც მინიმუმ, მისაღებია აფხაზეთში ლტოლვილთა უპირობო დაბრუნება და აფხაზეთის რესპუბლიკის დაბრუნება განახლებული ფედერალური ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში. სწორედ ესაა პრობლემა და აქ რუსეთიც, თავის მხრივ, ორმაგ სტანდარტებზე „თამაშობს“.

აფხაზთა დეკლარირებული/რეალური პოზიცია

მხარეები უნდა ჩაერთონ მშვიდობიან მოლაპარაკებებში გამოყოფაზე შეთანხმების შემუშავების მიზნით, რომლის თანახმადაც საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებელი სტატუსი, რაც აფხაზეთის პარლამენტის მიერ 1999 წ. აფხაზეთში ფაქტობრივად მცხოვრებ მოსახლეობაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად განისაზღვრა. საქართველო ასევე უნდა დათანხმდეს ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების აფხაზური ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ პირობებს.

ქართველთა დეკლარირებული/რეალური პოზიცია

მხარეებმა უნდა გამართონ მშვიდობიანი მოლაპარაკება გაერთიანების თაობაზე, რომლის თანახმადაც აფხაზეთის დე ფაქტო და საქართველოს სახელმწიფო ხელისუფალნი შეთანხმდებიან გარკვეულ სქემაზე და ამ სქემის მიხედვით დროის შეზღუდულ პერიოდში მოხდება ყველა ლტოლვილისა თუ იძუ-

ლებით გადაადგილებული პირის დაბრუნება აფხაზეთში და, ასევე, განისაზღვრება ავტონომიისა თუ შეზღუდული დამოუკიდებლობის სტატუსი აფხაზეთის რესპუბლიკისათვის საქართველოს ფედერალური სახელმწიფოს ფარგლებში.

რუსეთის დეკლარირებული პოზიცია

რუსეთი პატივს სცემს საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ ტერიტორიულ მთლიანობას და მონაწილეობს მხარეთა შეთანხმებაში ერთ სახელმწიფოში გაერთიანებული ორმხრივად მისაღები მოდელისა თუ ნებისმიერი სხვა სტატუსის თაობაზე, რაც კი მისაღები იქნება როგორც კონფლიქტში მონაწილე მხარეებისათვის, ისე მეთვალყურეებისთვისაც.

რუსეთის რეალური პოზიცია

რუსეთი მხარს უჭერს აფხაზთა მისწრაფებებს – მიაღწიონ დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობას, თუკი ამას აფხაზების პრორუსული ორიენტაციაც დაემატება. რუსეთის სახელმწიფო დუმაში აფხაზეთთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გაკეთდა, სადაც ხაზგასმული იყო მხარდაჭერა სეპარატიზმისადმი და განიხილებოდა აფხაზეთის ასოცირებულ წევრად მიღების შესაძლებლობა რუსეთის ფედერაციაში. რუსეთი მზადაა, განიხილოს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ინტეგრირება რუსეთის ფედერაციაში, თუკი სერიოზული გარე საფრთხე დაემუქრება რუსეთის მოქალაქეებს აფხაზეთში, რომლებიც ამჟამად უმრავლესობას წარმოადგენენ – მასობრივი პასპორტიზაციის პოლიტიკის შედეგად.

აშკარაა, რომ შეუთავსებლობა არსებობს კონფლიქტის უშუალო მონაწილე მხარეთა პოზიციებს შორის; ისიც ნიშანდობლივია, რაოდენ წინააღმდეგობრივია რუსეთის ფედერაციის – სამშვიდობო პროცესის მეთვალყურისა და მთავარი შუამავლის – დეკლარირებული და რეალური ხედვა ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებასთან დაკავშირებით.

კონფლიქტისშემდგომი ვითარება ქართულ-აფხაზური დაპირისპირების მხარეთა თვალსაზრისით

ნათელია, რომ სამშვიდობო პროცესის ორი მთავარი მხარე ქართული და აფხაზური საზოგადოებებია მთლიანობაში, რომელთა შეხედულებებსაც შესაბამისად მათი ელიტა ჯგუფები გამოხატავენ. ამ უმთავრეს ჯგუფთა გარდა, უნდა დავასახელოთ სხვა მოქმედი პირები, რომლებიც გავლენას ახდენენ პროცესზე, ესენია: რუსეთის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ელიტა, აშშ, ევროკავშირი, გაერო და ეუთო, ისევე, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირთა მასა, აფხაზთა მონათესავე ჩრდ. კავკასიური თემები და ეთნიკურ-დემოგრაფიული ჯგუფები საქართველოს მოსახლეობაში.[1] ძალთა არსებული დანაწილების პირობებში ნებისმიერ სამშვიდობო შეთანხმებას ესაჭიროება საქართველოს ხელისუფლებისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელობის ხელმოწერა – სავარაუდოდ, ხელმომწერთა შორის მოიაზრება, ასევე, რუსეთის ოფიციალური წარმომადგენელიც.

დღესდღეობით შეუძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ, რა სამომავლო გავლენას იქონიებს „მავნებლების“ ჩარევა, თუკი უმნიშვნელოვანესი ფაქტორების გათვალისწინებით არ განვიხილავთ კონფლიქტისშემდგომი განვითარების რამდენიმე შესაძლო სცენარს. შემდგომი ანალიზისას აფხაზური კონფლიქტის განვითარების დადებითი და უარყოფითი სცენარები დაყოფილი იქნება „იდეალურ“ და „რაციონალურ“ ვარიანტებად. ისინი კი, შესაბამისად, „დადებითად იდეალურად“ და „უარყოფითად იდეალურად“ და, ასევე, „დადებითად რაციონალურად“ და“უარყოფითად რაციონალურად“ – კონფლიქტში მონაწილე ყველა მხარისათვის ცალ-ცალკე.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართველებისათვის იდეალური სცენარი არ ნიშნავს, რომ ის ყველასათვის ერთნაირად მისაღებია. აქ გასათვალისწინებელია მომხრეთა რაოდენობრივი (რიცხობრივად) და თვისებრივი (საზოგადოებაზე გავლენის მქონე) მახასიათებლები, ანუ – საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელთა

[1] იხ: ICCN. 2002. *The Abkhazia Problem Reflected by Public Opinion (Findings of Sociological Surveys).* Tbilisi: ICCN. გ.ხ.

ინტერესებიც ყოველთვის ერთმანეთისას არ ემთხვევა. ზოგიერთი იმითაც დაკმაყოფილდებოდა, თუკი იდეალურ შემთხვევაში ოპონენტებთან თანაბრად გაინაწილებდნენ ქულებს; მაშინ, როცა სხვები მხოლოდ იმ შემთხვევაში იგრძნობდნენ თავს ბედნიერად, თუკი სრულ თანხმობას მიაღწევდნენ. ეს, რა თქმა უნდა გულისხმობს, რომ აფხაზეთის პრობლემის აღქმა და გათავისება ქართველებში ერთგვაროვნად არ ხდება: საკმარისია ვთქვათ, რომ ქართველები მხოლოდ „ლტოლვილებს“ იხსენიებენ, მაშინ როცა სხვანი „იძულებით გადადგილებულ პირთა“ ცნების ხმარებას ამჯობინებენ.

დადებითად იდეალური სცენარი ქართველთა გადასახედიდან

აფხაზური მხარე გააცნობიერებს, რომ პოლიტიკურად და კულტურულად ისინი არასოდეს ყოფილან არსებითად განსხვავებულნი ქართველებისაგან, არასოდეს ჰქონიათ სახელმწიფო საქართველოს ფარგლებს გარეთ და შეუძლებელია, დამოუკიდებლობას ესწრაფვოდნენ იმ ქვეყნისაგან, რომელმაც გარე ბატონობისაგან დაიცვა ისინი და მფარველობას უწევდა მთელი საბჭოური მმართველობის განმავლობაში. ისინი აღიარებენ, რომ მათი ბრძოლა არ შეიძლება იწოდებოდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად, არამედ მხოლოდ ჯანყად, რომელიც ინსპირირებულია აფხაზური საზოგადოების სეპარატისტული ჯგუფებისა და მათი რუსი თუ ჩრდილო-კავკასიელი მხარდამჭერებისაგან. აფხაზეთის მმართველმა პოლიტიკურმა ელიტჯგუფმა ან პოზიცია უნდა შეიცვალოს ან საერთოდ გაერიდოს პოლიტიკურ ცხოვრებას. რუსეთი იმდენად სწრაფად სუსტდება და იშლება, რომ უკვე ძალა აღარ შესწევს სეპარატისტული რეჟიმების დასახმარებლად. ის, რომ რუსეთმა, შესაძლოა, მიდგომები შეცვალოს, ამ სცენარისათვის წარმოუდგენელია. აფხაზები საჯაროდ და ოფიციალურად გამოხატავენ სინანულს აჯანყების გამო და ბოდიშსაც მოიხდიან ეთნიკური ქართველების მასობრივი წმენდისა და, ასევე, 1992-93 წწ. მომხდარი სხვა ინციდენტების გამო. ყოველივე ამას მოჰყვება აფხაზთა უეჭველი თვალის ახელა და ისინი გაიაზრებენ, რომ ვერასოდეს შექმნიან დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ეს

გამოიხატება მასობრივ დემონსტრაციებში საქართველოსაკენ მობრუნების ლოზუნგებით, სურვილით, ითანამშრომლონ ქართველებთან აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს მმართველობის აღსადგენად და იძულებით გადაადგილებულ პირთა სასწრაფოდ შინ დასაბრუნებლად. აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მიღებასაც კი არ მოითხოვს, თუკი საქართველო ფედერალურ მოწყობას უნიტარულ სახელმწიფო მოწყობას ამჯობინებს და მხოლოდ კულტურული ავტონომიის მოთხოვნებს დასჯერდება.

უარყოფითი იდეალური სურათი ქართველთა გადასახედიდან

აფხაზები არაორაზროვნად განაცხადებენ, რომ ისინი ნებისმიერ ფასად ეცდებიან, მიაღწიონ დამოუკიდებლობას ან ინტეგრირებას რუსეთის ფედერაციაში, საჯაროდ გააგრძელებენ ქართველთა მიმართ შეუწყნარებლობის ქადაგებას და გაამყარებენ კავშირებს რუსეთის ნაციონალისტურ და მილიტარისტულ წრეებთან. რუსეთი აშკარად გამოხატავს თავის მხარდაჭერას საერთაშორისო დონეზე ჯერაც არცნობილი აფხაზური სახელმწიფოს მიმართ. აფხაზი ხელისუფალნი მტკიცე ურთიერთობებს დაამყარებენ ეთნიკურად მონათესავე ჩრდ. კავკასიურ ერებთან, რაც მათი ერთიანობის ნიშანი და აფხაზთათვის შეიარაღებული დახმარების წინაპირობა გახდება. გაერო-სა თუ ეუთო-ს გადაწყვეტილებათა და რეზოლუციათა იგნორირებით, აფხაზები გამოდევნიან ყველა დარჩენილ თუ უკან დაბრუნებულ ეთნიკურ ქართველს და რუსეთის „მშვიდობისმყოფელთა“ დახმარებით ჩაკეტავენ საზღვარს. აფხაზეთი უკონტროლო ტერიტორიად დარჩება, სადაც აყვავდება ტრეფიკინგი, არალეგალური ვაჭრობა და იარაღისა თუ ნარკოტიკების გატან-გამოტანა. რუსეთთან და თურქეთთან[1] სავაჭრო ურთიერთობების შენარჩუნებით და საერთაშორისო ტერორისტულ ჯგუფებთან კავშირების დამყარებით აფხაზებს შესაძლებლობა მიეცემათ, განუსაზღვრელი ვადით

[1] თურქეთმა ოფიციალურ დონეზე ცნო საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობა, თუმცა ამ ქვეყნის კერძო ფირმები დიდ აღებ-მიცემობაში იყვნენ აფხაზებთან – შავიზღვისპირა პორტების გამოყენებით – გ.ხ.

გააგრძელონ საკუთარი დე ფაქტო დამოუკიდებლობა, თუკი მათმა მხარდამჭერებმა რუსეთის სახელმწიფო დუმაში ვერ მოახერხეს აფხაზეთის წარმატებით ინტეგრირება რუსეთის ფედერაციაში. აფხაზები მხარს დაუჭერენ სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღს – მათი დე ფაქტო დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში და ხელს შეუწყობენ ნაციონალისტური, ანტიქართული მოძრაობების გაძლიერებას საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. საქართველოს სახელმწიფო ძალა შესუსტდება, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია, მიუხედავად ოფიციალური გაფრთხილება-განცხადებებისა, პასიური იქნება და, საბოლოო ჯამში, გამოყოფის დაკანონებასაც შესაძლებელს გახდის.

დადებითი რაციონალური სურათი ქართველთა გადასახედიდან

აფხაზები (პოლიტიკური ხელმძღვანელობა ერის სახელით ან მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევი და გავლენიანი ჯგუფები) აცხადებენ ქართულ საზოგადოებასთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენის სურვილს და საკუთარი ნებით თანხმდებიან ქართულ ფედერალურ სახელმწიფოში მობრუნებას; აცნობიერებენ, რომ, უმთავრესი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ რუსეთის პოლიტიკურ ბატონობას და უკვე აღარასოდეს იქცნენ ბრმა იარაღად რუსეთისა თუ ნებისმიერი სხვა დიდი სახელმწიფოს ხელში. ეთნიკურად ქართველთაგან განსხვავებულობის მიუხედავად, საკამათოდ არ ხდიან ქართველ ერთან ისტორიული და კულტურული კავშირების არსებობას, პატივს სცემენ საუკუნოვან საერთო ტრადიციებს და ურთიერთობებს, მზად არიან, ქართველებთან ერთად აღადგინონ ყველაფერი, რაც კონფლიქტმა და ომმა დაანგრია. საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში ფედერალურ პრინციპებზე ავტონომიის შენარჩუნების მოსურნე აფხაზები ხელს აწერენ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც ისინი არ მოითხოვენ სრულ დამოუკიდებლობას, თუკი ადგილი არ ექნება პროვოცირებას საქართველოს ხელისუფლების აგრესიული ნაციონალისტური პოლიტიკის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ისინი დახმარებისათვის საერთაშორი-

სო სამართალს მიმართავენ. საერთაშორისო თანამეგობრობა თანხმდება რუსეთის, როგორც შუამავლის, ჩანაცვლებას და ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში ამ ფუნქციას შესაბამის საერთაშორისო სტრუქტურებს გადააბარებს.

უარყოფითი რაციონალური სურათი ქართველთა გადასახედიდან

აფხაზები მონაწილეობენ მოლაპარაკებებში, თუმცა არ თანხმდებიან ქართველთა არც ერთ შეთავაზებას, ხაზს უსვამენ დე ფაქტო თვითგამოცხადებულ დამოუკიდებლობას და უფრო ძლიერდებიან კავშირების გამყარებით რუსეთის კომუნისტ/ნაციონალისტებთან, პროაფხაზურ ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან და საკუთარ დიასპორებთან თურქეთსა თუ სხვა ქვეყნებში. იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პრობლემისა და ზოგადად აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტა განუსაზღვრელი ვადით გადაიდება. აფხაზეთის ქართველი ლტოლვილებით დასახლებული გალის რაიონი ერთადერთი არეალია, სადაც ორმხრივი მეთვალყურეობა (უკეთეს შემთხვევაში – დე ფაქტო ქართული იურისდიქცია) მაღალი რისკის ზონად იქცევა. საბოლოოდ, საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს ხელმოწერა აფხაზთათვის მისაღები შეთანხმების ერთადერთ ვარიანტზე, რომლის თანახმადაც აფხაზეთი და საქართველო, როგორც საერთაშორისო სამართლის ორი თანასწორი სუბიექტი, აფორმებს ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ისინი ქმნიან კონფედერაციულ სახელმწიფოს – სიმეტრიულ საფუძველზე; ამ შემთხვევაში გარკვეული პრეროგატივები (როგორც, ვთქვათ, საგარეო დიპლომატიური ურთიერთობები, საგარეო ვაჭრობა, საზღვრების კონტროლი, კომუნიკაციები და სხვ.) რჩება ფედერალური სტრუქტურებისა და ხელისუფლების ხელში. აფხაზები ინარჩუნებენ სრული გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას.

დადებითი იდეალური სურათი აფხაზთა გადასახედიდან

ქართველები აცნობიერებენ, რომ აფხაზეთს არც კი უნდა შესთავაზონ რაიმე სტატუსი, არამედ დათანხმდნენ სახელ-

მწიფოებრიობის ნებისმიერ ფორმას, რასაც კი აფხაზი ხალხი თავისთვის მისაღებად მიიჩნევს და არც იმაზე ამოიღონ ხმა, პოლიტიკურად ვისთან კავშირს ამჯობინებენ ისინი. ქართველები აღიარებენ, რომ ისინი აფხაზეთში იქცეოდნენ, როგორც აგრესორები, ახორციელებდნენ მიზანმიმართული ასიმილაციის პოლიტიკას წარსულში, რის შედეგადაც აფხაზები უმცირესობად აქციეს საკუთარ მიწა-წყალზე. ქართველები აცხადებენ მზადყოფნას, დათანხმდნენ აფხაზთა მხრიდან შემოთავაზებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას და თუკი აფხაზები ქართველებთან ერთად კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნას გადაწყვეტენ, მოლაპარაკებების გზით დაადგენენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს. ხოლო თუკი აფხაზები უარს იტყვიან რაიმე სახის პოლიტიკურ ურთიერთობაზე საქართველოსთან, ორივე მხარე საკუთარი ნებით მოაწერს ხელს შეთანხმებას ნეიტრალიტეტისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის თაობაზე. საქართველო იკისრებს ვალდებულებას, არ გამოიყენოს სამხედრო ძალა ან მესამე მხარეთა საერთაშორისო გავლენა აფხაზეთის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ალიანსებში იძულებით გასაწევრიანებლად და არ წამოჭრის 1992-93 წწ. ომის შედეგად აფხაზეთიდან ლტოლვილთა დაბრუნების საკითხს.

უარყოფითი იდეალური სურათი აფხაზთა გადასახედიდან

საქართველო ახერხებს – სამხედრო ძალის გამოყენებით, ანდა დასავლეთიდან მხარდაჭერილი ეკონომიკური და პოლიტიკური წნეხის მეშვეობით – დაამხოს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობა, აღადგინოს საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, ძალით დააბრუნოს ლტოლვილთა (ან ვითომ ლტოლვილებად მონათლულთა) მასები აფხაზეთში და მათ სრული უფლება მისცეს, დაიკავონ აფხაზთა სახლები და განახორციელონ შურისძიების აქტი. აფხაზეთს წალეკავს ბანდიტიზმი, მთელი რეგიონი ქაოსში გაეხვევა. აფხაზეთი გამოცხადდება (და აღიარებულიც იქნება გაერო-სა თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ) საქართველოს კიდევ ერთ პროვინციად, კვლავ იქცევა იძულებითი ასიმილაციის

ობიექტად და ეს, საბოლოო ჯამში, აფხაზი ხალხის სრულ განადგურებასა თუ გათქვეფას გამოიწვევს.

დადებითი რაციონალური სურათი აფხაზთა გადასახედიდან

პოლიტიკური და ეკონომიკური წნეხის მიუხედავად, აფხაზეთი მოახერხებს მიაღწიოს შიდა სტაბილურობას და მდგრად განვითარებას, მოაგვარებს სავაჭრო და ბარტერულ ურთიერთობებს ისეთ მეზობელ ქვეყნებთან, როგორებიცაა თურქეთი თუ რუსეთი (განსაკუთრებით მის ჩრდილოკავკასიურ ავტონომიებთან და გაიმყარებს პოზიციებს მოლაპარაკებებში აფხაზეთის სამომავლო სტატუსთან დაკავშირებით. დარწმუნდება რა, რომ აფხაზეთს უნარი შესწევს, სულ ცოტა, კიდევ 10 წლით თვითკმარ პოლიტიკურ სუბიექტად დარჩეს, საქართველო დათანხმდება, ხელი მოაწეროს ფედერალური კავშირის ხელშეკრულებას აფხაზეთის რესპუბლიკასთან, რომლის საფუძველზეც ისინი შექმნიან კონფედერაციას ან ასიმეტრიულ ფედერაციას, სადაც აფხაზები შეინარჩუნებენ სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და ავტონომიური განვითარების უზრუნველმყოფ ყველა უფლებას. აფხაზეთი მოახერხებს, შეთანხმებაში ჩადოს პუნქტი სრული გამოყოფის თაობაზეც. საქართველოს ხელისუფლებას დარჩება მხოლოდ სამოკავშირეო ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი. ქართველ ლტოლვილთა შეზღუდული ჯგუფები აფხაზთა მიერ შერჩეულ ადგილებში დაბრუნდებიან, სადაც მათ ადგილობრივი ვითარების დესტაბილიზების საშუალება აღარ ექნებათ.

უარყოფითი რაციონალური სურათი აფხაზთა გადასახედიდან

საქართველო მოახერხებს, გააააქტიუროს დსთ-ს ქვეყნების ხელისუფლებები და საერთაშორისო თანამეგობრობა აფხაზეთზე პოლიტიკური წნეხის განსახორციელებლად და მისი ბლოკადის გასაძლიერებლად; გააჩაღებს პარტიზანულ ომს და მოახერხებს, იმდენად გააუარესოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში, რომ იქ ვითარების დესტაბილიზაცია მოხდეს. კრიმინალი და კორუფცია კიდევ

უფრო დაამძიმებს აფხაზური საზოგადოების მდგომარეობას; მოლაპარაკებები საქართველოს ხელისუფლებასთან ჩიხში შევა, რამდენადაც საქართველო უარს იტყვის თანასწორი პარტნიორობის ნიშნით ნებისმიერ შეთანხმებაზე, რაც კონფედერაციული/ფედერალური სახელმწიფოს შექმნას ითვალისწინებს და დაჟინებით მოითხოვს ლტოლვილთა დაბრუნებას აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე. ასეთ შემთხვევაში აფხაზეთი იძულებული ხდება ან რუსეთის ფედერაციაში ინტეგრირება სცადოს ან შეინარჩუნოს დე ფაქტო დამოუკიდებლობა კავშირების დამყარებით ჩრდილოკავკასიელ მეგობარ და ეთნიკურად მონათესავე ხალხებთან (იგულისხმება, მაგალითად, სავარაუდო „ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკის“ მოდელი).

რეალისტური შედეგები

თავისთავად ცხადია, რომ ყოველ ხსენებულ რაციონალურ სცენარს განხორციელების მნიშვნელოვნად მაღალი ალბათობა ახასიათებს, თუმცა ამჟამად მათ შორის გონივრული არჩევანის გაკეთება მაინც ძნელია. არსებობს ერთი „მაგიური ფორმულაც“, რაც ეთნიკურ კონფლიქტებს, კაცმა რომ თქვას, თავისთავად ჩააცხრობდა: ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა, უსაფრთხოება, მიმტევებლობა, გულღია დამოკიდებულება – თავად ეთნიკურ უმცირესობებს უბიძგებდა ამ ქვეყანაში საკუთარი ადგილის პოვნის და არა გამოყოფისაკენ. საქართველო მიზანდასახული, სტაბილური ქვეყანა ხდება; ათასგვარი კრიზისების მიუხედავად, იგი ახერხებს, ფეხზე დადგეს და რეგიონულ თუ საერთაშორისო ურთიერთობებშიც თავისი სიტყვა თქვას.

ვინ მოჩანს „ხელისშემშლელად“ კონფლიქტში ჩართულ მხარეთა შორის

ამ შემთხვევაში წინა პლანზე „მართალი სამართლის ქმნა“ გამოდის, ანუ – როცა ერთი მხარე ეწინააღმდეგება მეორის მცდელობებს, საკითხი ისე გადაწყდეს, როგორც მას მიაჩნია სამართლიანად.

აფხაზთა თვალსაზრისი

საქმეს ქართველები აფუჭებენ, ვინაიდან მუდმივად იმის საწინააღმდეგოს სჩადიან, რასაც თავად აცხადებენ ან ხელს აწერენ. ისინი წინააღმდეგობებს უქმნიან ორმხრივ თუ მრავალმხრივ მოლაპარაკებებს, ხელს აფარებენ პარტიზანებს, სანქციებს უწესებენ და ბლოკადაში აქცევენ აფხაზ ხალხს. თავად აფხაზებს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვთ რუსეთის თუ საერთაშორისო ორგანიზაციების აქტივობების მიმართ – სიფრთხილეს მხოლოდ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ იჩენენ.

ქართველთა თვალსაზრისი

საქმეს რუსი შუამავლები და მოლაპარაკების პროცესში ჩაბმული მათი ოფიციალური სტრუქტურები აფუჭებენ; არღვევენ ნებისმიერ ხელშეკრულებას და არც ერთ დადებულ პირობას არ ასრულებენ. ისინი ღიად თუ ფარულად უჭერენ მხარს აფხაზებს და ჩვენ შორის პოზიციათა დაახლოების ნებისმიერ მცდელობას უშლიან ხელს. აფხაზი დე ფაქტო ხელისუფლება სულაც არაა „მავნებელი“ – უბრალოდ, მათ თავისი უნდათ რომ გაიტანონ. ქართველების მხრივ გარკვეული სკეპტიციზმი გამოსჭვივის არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, თუმცა ზოგადად აცნობიერებენ დასავლური სტრუქტურების მონაწილეობის მნიშვნელობას.

რუსების თვალსაზრისი

საქმეს ქართული სახელმწიფო მოხელეები აფუჭებენ, რადგან სწორედ იმის საწინააღმდეგოდ იქცევიან, რასაც აცხადებენ ან აწერენ ხელს. ისინი არღვევენ ორმხრივ, ისევე, როგორც მრავალმხრივ შეთანხმებებს, აქეზებენ პარტიზანებს და სანქციებისა და ბლოკადის იმედად არიან. „მავნებლები“ კი სწორედ დასავლური სტრუქტურებია, რომლებიც ღიად უჭერენ მხარს ქართველებს.

საკითხის განხილვა

აფხაზეთში ვითარებისადმი ინტერესი იმითაა აღსანიშნავი, რომ ეს შემთხვევა განსხვავებულია ყველა შესწავლილი კონ-

ფლიქტური თუ კონფლიქტისშემდგომი სიტუაციისაგან. პირველ რიგში, აქ არ არსებობს ორივე მხარის მიერ აღიარებული „მესამე ზედმეტი“, არამედ არიან ისეთი მოქმედი სუბიექტები, რომელთაც ამ სახელით ნათლავს ან მხოლოდ კონფლიქტის ერთ-ერთი მონაწილე, ანდა მესამე მხარე. რუანდაშიც, კამბოჯაშიც, შრი-ლანკაშიც, მოზამბიკშიც, ანგოლაშიც, სამხრეთ აფრიკაშიც, ბოსნიაშიც და ბევრ სხვა ქვეყანაშიც პროცესის დინამიკა გულისხმობდა სამშვიდობო მოლაპარაკებებში უშუალოდ ჩართული და შეთანხმების მიღწევის მოსურნე ყველა მხარის როლის, ინტერესისა და რესურსების, ასე ვთქვათ, „გადათამაშებას“. ყველა ხსენებულ ქვეყანაში საერთაშორისო თანამეგობრობის მცდელობები სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერისაკენ იყო მიმართული – შემდგომი გაცხოველებული მოლაპარაკებების გზით, რასაც ზოგან სამოქალაქო ომის განახლება, ზოგან გენოციდი, სხვაგან კი სამშვიდობო ხელშეკრულებების ხელმოწერა მოჰყვა. ამიერკავკასიის მაგალითზე სამშვიდობო ხელშეკრულების დადება არსად მომხდარა, არსებობს მხოლოდ წინასწარი ან შუალედური შეთანხმებები ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე და ამ პროცესზე ერთობლივი მეთვალყურეობის გაწევის თანხმობა.

აზერბაიჯანი და საქართველო მუდამ სიფრთხილეს იჩენდნენ ნებისმიერი ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, რასაც შეეძლო გამოეწვია ან თუნდაც აღქმული ყოფილიყო, როგორც სეპარატისტული ტერიტორიების დე ფაქტო ხელისუფლებების ლეგიტიმიზაცია. ამავე დროს, ნათელი გახდა, რომ ბოიკოტირებისა და „მოულაპარაკებლობის“ სტრატეგიაც ვერ ამართლებდა. ქართველთა მიდგომა აფხაზეთისადმი ნაკლებად ხისტი იყო, ვიდრე აზერბაიჯანისა – მთიანი ყარაბაღის მიმართ, თუმცა ამას მხარეთა პოზიციების დაახლოება არ მოჰყოლია.

საერთაშორისო ორგანიზაციათა მცდელობების ნაკლებეფექტურობა ყველასათვის ნათელი იყო.[1] თუმცა დღემდე არ ჩატარებულა სერიოზული კვლევა ამ არაეფექტურობის მიზეზების გამოსაძიებლად, რამდენადაც ამან შეიძლება გამოავლინოს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციების მოუქნელობის

[1] Stedman, *ibid.*

ხარისხი და ის მახინჯი ვითარებაც, რომ კონფლიქტის „გაყინვა“ შეიძლება დიდი სამთავრობო სტრუქტურების ბიუროკრატიული მანქანის ინტერესებს ემთხვეოდეს. გაცილებით იოლი იყო, ყველაფერი პოსტსაბჭოური სივრცის მარგინალურობას და მხარეთა უუნარობას დაბრალებოდა.

გარე სამყაროში სეპარატისტულ ერთეულებთან დაკავშირებით ჩამოყალიბდა ხედვა, რომელსაც შეიძლება „ტომისა და ჯერის ეფექტი“[1] ვუწოდოთ: პატარა იმთავითვე სუსტადვე აღიქმება და მას დიდისაგან დაცვა სჭირდება; შესაბამისად, ნაწილდება თანაგრძნობაც და კონფლიქტის გალღობის[2] მცდელობებზეც უარს ამბობენ, რამდენადაც ამან, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას სტაბილურობას კონფლიქტურ ზონებში. შედეგად, სეპარატისტები და მათი მხარდამჭერნი ახერხებენ იმ რესურსების მობილიზებას, რაც ძალაუფლების დაბალანსებას უწყობს ხელს, ეს კი, თავის მხრივ, ახანგრძლივებს სტატუს-კვოს, მაგრამ, ამავე დროს, სამშვიდობო პროცესის „სტერილიზაციასაც“ განაპირობებს.[3] აქედან გამომდინარე, სეპარატისტებს უძლიერდებათ განცდა, რომ ისინი „გამარჯვებული პატარა ერის შვილები“ არიან და რომ წარმატებით ახერხებენ თვითდამკვიდრებას უფრო დიდ, „იმპერიულ“ სახელმწიფოებთან დაპირისპირებაში.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუციისა და მასში შემავალი ქვეყნების პოზიციის თანახმად, გამოხატულია ცალსახა მხარდაჭერა როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუღებელია თვითგამოცხადებული აფხაზეთის, მთიანი ყარაბაღისა და სამხრეთ ოსეთის ლეგიტიმაცია შესაბამისი ამიერკავკასიური სახელმწიფოების წინასწარი თანხმობის გარეშე. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეთნიკური სეპარატიზმის შემთხვევათა უმრავლესობა საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ საერ-

[1] იხ.: ხუციშვილი გ. 2004. „ტომი და ჯერის ეფექტი ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტებში“, გაზ. 24 საათი, 21 ივლისი.

[2] Cf. Khutsishvili, George. nd. “What freezes and what unfreezes conflicts?”, http://sef-bonn.org/events/2000/kaukasus/khutsishvili.html.

[3] იხ.: გ.ხუციშვილი, Ibid.

თაშორისო თანამეგობრობამ გამოყოფა დააკანონა და ხელიც შეუწყო ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნას.

აფხაზეთის საკითხში სამშვიდობო პროცესის „ბუნდოვანებაზე“ ისიც მიუთითებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა დათანხმდა რუსეთის ფედერაციის შუამავლობას სამშვიდობო მოლაპარაკებებში და მის დარჩენას კონფლიქტურ ზონაში, სადაც მისი ქმედებები არანაირად არ შეესაბამებოდა ნეიტრალური მხარის სტატუსს. მომრიგებლისა და მეთვალყურის საერთაშორისო მანდატით აღჭურვილი ძალა, საბოლოო ჯამში, მავნებლების როლში მოგვევლინა. თავის მხრივ, საქართველო და აზერბაიჯანი საერთაშორისო შუამავლებში იმ იარაღს ხედავდნენ, რასაც სეპარატისტებზე წნეხის გაძლიერება უნდა გამოეწვია და ვარაუდობდნენ, რომ შესაბამისი ქვეყნების საზოგადოებების რადიკალური ჯგუფები საკუთარ ხელისუფლებებს აიძულებდნენ, საერთოდ უარი ეთქვათ ნებისმიერ მოლაპარაკებებზე, რამდენადაც ეს უკვე იმთავითვე სეპარატისტული ხელისუფლებების ლეგიტიმაციას ნიშნავდა. ამგვარი ჯგუფებისათვის იდეალური პროცესი ის იქნებოდა, თუკი საერთაშორისო ორგანიზაციები ულტიმატუმების ენით თავად დაელაპარაკებოდნენ სეპარატისტებს, ხოლო ოფიციალური ხელისუფლება მუდმივად მოლაპარაკებებში ჩაურევლობის პოზიციას შეინარჩუნებდა. აფხაზეთის შემთხვევა კიდევ ერთ უცნაურობას ავლენს: ქართველ დევნილთა რადიკალური ჯგუფი, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა სამშვიდობო პროცესს 90-იან წლებში, საერთაშორისო მეთვალყურეებს ღიად არასოდეს გაუკრიტიკებიათ, თუმცა არაფორმალურად რეაქცია მათ ქმედებებზე უკიდურესად უარყოფითი გახლდათ. გაერო-სა და ეუთო-ს მისიები საქართველოში ყოველთვის უსვამდნენ ხაზს, რომ მათი პოლიტიკა ამ ჯგუფთან თანამშრომლობას გულისხმობდა, რადგან მას მხარს უმაგრებდა საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება.[1]

აფხაზეთში სამშვიდობო პროცესის წარმატება მხოლოდ „ბინდის გაფანტვის“ შემთხვევაშია შესაძლებელი: მკაფიო

[1] კონსტიტუციის საწინააღმდეგოდ, ამ ორგანოს საქართველოს პარლამენტში 10 ადგილი ჰქონდა „გამოყოფილი“ – გ.ხ.

განსაზღვრებები გამოიწვევს ორმაგ სტანდარტებსა და არაერთგვაროვან პოლიტიკაზე ხელის აღებას ზოგიერთი „მშვიდობის მტრედის“ მხრიდან; მკაფიოდ გამოიკვეთება კონფლიქტში მონაწილე მხარეები და სამშვიდობო პროცესის სუბიექტები, საერთაშორისო მეთვალყურეობაც „მიუკერძოებელ-ნეიტრალურ“[1] მხარეთა მიერ განხორციელდება და ყოველივე ამას დაემატება ძლიერი წნეხი იმათ მიმართ, ვინც არღვევს სამშვიდობო პროცესის საერთაშორისოდ აღიარებულ წესებსა და ნორმებს.

კონფლიქტის „გალღობა“, როგორც ხელისშემშლელი ფაქტორი – „სამხრეთ ოსეთის“ მაგალითზე

კონფლიქტურ ზონაში ძალთა ბალანსის შეცვლის პირველი სერიოზული მცდელობა მთელ ომისშემდგომ პერიოდში 2004 წლის ზაფხულში განხორციელდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიხეილ სააკაშვილი თავის საინაუგურაციო სიტყვაში საჯაროდ დაპირდა ქართველ ხალხს, რომ საქართველო კვლავ ერთიანი იქნებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი აღადგენდა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საკუთარი პრეზიდენტობის ვადაში – ცხადია, არაძალადობრივი გზით. როცა რევოლუციის მეორე ეტაპიც წარმატებით დასრულდა და ქვეყნიდან გაიქცა მოსკოვის მხარდაჭერით დაიმედებული აჭარის დაუმორჩილებელი ლიდერი – ასლან აბაშიძე, საქართველოს ხელისუფლებამ უკვე „მესამე ეტაპისათვის“ დაიწყო მზადება: შეიმუშავა სტრატეგია აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ პოსტკონფლიქტური პროცესების გასალღობად. პირველი ნაბიჯები ცხინვალის მიმართულებით გადაიდგა და აქ გამოყენებული იქნა როგორც „ნაზუქის“ (ჰუმანიტარული დახმარება, უფასო სამედიცინო დახმარება სოფლად მცხოვრები ოსებისა და ქართველებისათვის, პენსიების გაცემა და ა.შ.), ისე „მათრახის“ (ერგნეთის ბაზრობის დახურვა ცხინვალის შესასვლელთან, ქართული ბლოკ-პოსტების გაძლიერება და ა.შ.) ტაქტიკაც. ეს ქართული „ინტერვენცია“ სარისკო ექსპერიმენტი გახლდათ, რაც მიზნად ისახავდა, გაყინული ვითარება

[1] Lederach, John Paul. 1995. Prepearing for Peace. Conflict Transformation Across Cultures. NY: Syracuse University Press. გ.ხ.

გაელღო და უფრო მართვადი გაეხადა იგი. როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება ელოდა, რომ რუსეთი მხარს თუ არ დაუჭერდა, გაგებით მაინც მოეკიდებოდა მის ქმედებებს, მით უფრო, რომ 2004 წლიდან ქართულ-რუსული ურთიერთობების „დათბობა“ შეინიშნებოდა. არადა, შედეგი სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა: რუსეთის მასმედიამ და სახელმწიფო დუმამ სააკაშვილისეული პოლიტიკა „მავნებლების“ მცდელობებად მონათლა და მასში უკვე სამხრეთ ოსეთში განხორციელებული „ვარდების რევოლუციის“ აჩრდილიც დაინახა. მნიშვნელოვნად განსხვავებული იყო დასავლეთის რეაქცია. რუსეთი ამ პროცესში ყურადღებას ამახვილებდა ხელშეკრულებათა დარღვევის კონკრეტულ ფაქტებზე, ისევე, როგორც ქართული მხარის ცალმხრივ ქმედებაზე, რასაც „რისკიანად და უპასუხისმგებლოდ“ ნათლავდა. ქართველები ხაზს უსვამდნენ რუსი სამშვიდობოების ზოგადად მიკერძოებულ ქმედებებს კონფლიქტის ზონაში და სახელმწიფო დუმის მიერ გაკეთებულ განცხადებებს სეპარატისტთა მხარდასაჭერად.

რუსეთის თვალსაზრისით, კონფლიქტის ზონაში საქართველოს ხელისუფლების ვერანაირი ქმედება კანონიერად ვერ ჩაითვლებოდა ოთხმხრივი კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე (მას ამ დროს სამშვიდობო ძალების რუსეთის მიერ დანიშნული მეთაური ხელმძღვანელობდა, რომელსაც არასოდეს უცდია საკუთარი ანტიქართული განწყობის შენიღბვა).[1] რუს ხელისუფალთა განცხადებით, 2004 წლის ზაფხულში ქართველებმა სცადეს, სამხედრო კონტროლი დაემყარებინათ კონფლიქტის ზონაში და დე ფაქტო ქართული იურისდიქცია აღედგინათ სამხრეთ ოსეთში, ქართული კანონმდებლობის ჩარჩოებში მოექციათ მთელი იქაური მოსახლეობა, მაშინ, როცა რეალურად სამხრეთ ოსეთი საკუთარი საკონსტიტუციო და საკანონმდებლო ნორმების მიხედვით იმართებოდა (რუსულ ოფიციალურ დოკუმენტებში თვალს არიდებენ ამ წარმონაქმნის მოხსენიებას „თვითაღიარებულად“ და საერთოდ ცდილობენ, არ ისაუბრონ ამ პოლიტიკური სუბიექტის კანონიერების მართებულობაზე).

[1] საკმარისი იქნებოდა რუს მშვიდობისმყოფელთა მეთაურის, გენერალ ნაბდზოროვის ინტერვიუების მოსმენა „რუსთავი-2“-ის არხზე – გ.ხ.

რუსებისავე თვალსაზრისით, კონფლიქტის ზონაში დაძაბული სიტუაციის დროებით განსამუხტავად, ერთადერთი სწორი გზა იქნებოდა, თუკი საქართველოს ხელისუფლება მთელ ომისშემდგომ პერიოდში არსებულ ძალთა დე ფაქტო დანაწილებას დათანხმდებოდა.

ქართული გადასახედიდან რუსული მიდგომა იმთავითვე უკანონო იყო, რადგან ქართულ მხარეს აიძულებდა ეღიარებინა, რომ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დამოუკიდებელი სახელმწიფოა – რაც ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, ასევე მისი ხელმძღვანელობის მიერ სხვადასხვა დროს გაკეთებულ ოფიციალურ განცხადებებს. თუკი საერთაშორისო დონეზე „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს განუყოფელ ნაწილადაა აღიარებული, მაშინ კონფლიქტის ზონაში ქართულ ჰუმანიტარულ ინიციატივებსა და დახმარებებს საგანგებო ნებართვა რატომ უნდა სჭირდებოდეს? ქართული მხარე ასევე მოითხოვდა საკუთარი სამართალდამცავი ძალების უპრობლემო გადაადგილებას მოცემულ ტერიტორიაზე. მრავალი წლის განმავლობაში ქართველები ხომ, ფაქტობრივად, არასოდეს შესულან იმ ტერიტორიაზე, რომელსაც უკონტროლოდ განაგებდნენ „მშვიდობისდამცველი“ ძალები და, ამის პასუხად, ადგილობრივი დე ფაქტო ხელისუფლებაც შედარებით უსაფრთხო პირობებს უქმნიდა რეგიონის ქართულ სოფლებში დარჩენილ მოსახლეობას. ოს სეპარატისტთა ხელისუფლება იმდროინდელი პრეზიდენტის, ლუდვიგ ჩიბიროვის მეთაურობით თანამშრომლობდა ქართულ ხელისუფლებასთან პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით და გადაადგილებაც კონფლიქტური ზონიდან დანარჩენ საქართველოში მაშინ უფრო გამარტივებული იყო. 2000 წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად კოკოითის არჩევას რუსეთის მხრიდან საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში ჩარევის გააქტიურება მოჰყვა: ამ რეგიონების მოსახლეობას ღიად დაურიგეს რუსული პასპორტები, გაძლიერდა კონტროლი ადგილობრივ მასმედიასა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე და გართულდა მიმოსვლა თბილისთან. კოკოითის ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა სამხრეთ ოსეთის ინტეგრირებას რუსეთის ფედერაციაში, რაც მიუღე-

ბელია საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, მაგრამ მაინც დადებით გამოძახილს პოულობდა რუსეთის სახელმწიფო დუმაში. სწორედ დუმა ემუქრებოდა საქართველოს მუდმივად სანქციების შემოღებით, თუკი სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეები[1] რაიმე საფრთხის წინაშე დადგებოდნენ; ქართველების თვალსაზრისით კი სწორედაც რომ კანონიერია იქაური ქართული მოსახლეობის უფლებათა დაცვა, რაკიღა მას არასოდეს მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

დასავლური გადასახედიდან რუსეთი არ წარმოადგენს ნეიტრალურ მხარეს, რამდენადაც ყველა პოსტსაბჭოურ კონფლიქტში გამოკვეთილად სეპარატისტთა დამცველად გვევლინება და ამიტომ ვერ შეასრულებს მიუკერძოებელი შუამავლის როლს საქართველოს შიდა კონფლიქტებში. თუკი „გალღობა“ მართლაც გულისხმობს გარკვეულ საფრთხეს სტაბილურობისა და მშვიდობისთვის, მაშინ თავად „გაყინვაც“ ვერაფერი ხეირი ყოფილა სამშვიდობო პროცესისათვის, არადა, ეს სწორედ ის მდგომარეობაა, რასაც რუსი „მშვიდობისმყოფელები“ აქამდე ესწრაფოდნენ. ამით რუსები საკუთარ ზრახვებს თავადვე ააშკარავებენ, თუმც კი, ნომინალურად მაინც, არ ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სტრუქტურების როლსა თუ მანდატს ამ რეგიონში.

დასკვნა:

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, „ხელის შეშლა“ მხოლოდ იქ შეიძლება, სადაც საქმე კეთდება – ანუ ჩვენს შემთხვევაში, როცა სამშვიდობო პროცესი რეალურად და არა ვირტუალურად მიმდინარეობს. წლების მანძილზე სამშვიდობო პროცესი საქართველოში სრული ჩაშლის მიჯნაზე იდგა, ასე რომ, ნებისმიერ ხელის შეშლაზე ლაპარაკიც ფრიად სათუოა. ხელისშემშლელთა, ანუ იგივე „მავნებლების“ პოვნა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი სუბიექტურ ჩარჩოებში არ ჩავჯდებით, რაც მხარეების მხრიდან კონფლიქტის ფესვების, მიზეზების თუ თავად გადაწყვეტის შესაძლებლობებს მოიცავს. გადაჭრით

[1] რუსეთი ფართოდ იყენებს ორმაგი მოქალაქეობის მიცემის უფლებას. ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს შეუძლია, იმავე დროს, რუსეთის ქვეშევრდომიც გახდეს. გ.ხ.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არსებულ კონფლიქტებში აშკარად იკვეთება „მავნებლების“ ხელი.

როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის შემთხვევებში რუსეთმა საკუთარი ინტერესებიცა და ორმაგი სტანდარტების გამოყენებაც გამოავლინა: ოფიციალურად იგი ნეიტრალიტეტსა და საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპთა დეკლარირებას არ ერიდებოდა, რეალურად კი მუდამ სეპარატისტთა მხარდამჭერი გახლდათ. რუსმა შუამავლებმა ყველაფერი გააკეთეს მოლაპარაკებათა „გასაყინად“ და ამით, ფაქტობრივად, კონფლიქტში ჩათრეულ ორივე მხარეს შორის უთანხმოება გააღრმავეს. აღსანიშნავია ისიც, რომ საყოველთაო აზრით, დამკვირვებელი, თუკი იგი სამშვიდობო პროცესში რომელიმე მხარის ინტერესებს იცავს, თავადვე ხდება საკუთარი ინტერესების გამტარებელი და, ფაქტობრივად, კონფლიქტის თანამონაწილეც.

კონფლიქტში ჩათრეულ მხარეთა შორის ურთიერთგაგების არარსებობა, უარყოფითი სტერეოტიპების მომრავლება და მოლაპარაკების ჩიხში შესვლა სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას მკვეთრად ამცირებს და, ასევე, შეიარაღებული შეჯახების ალბათობასაც ზრდის. ასე რომ, „გალღობის“ მცდელობისას აქცენტი სწორედ მშვიდობიან ჰუმანიტარულ აქციებზე და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გაძლიერებაზე უნდა გადავიტანოთ. აქამდე ევროპული საპარლამენტთაშორისო, სახელმწიფოთაშორისო და ადამიანის უფლებათა დაცვის სტრუქტურები მუდმივად მოუწოდებდნენ ორმხრივი მოლაპარაკებებისაკენ და მოითხოვდნენ, მხარეებს თავი შეეკავებინათ ვითარების ამა თუ იმ სახით „გალღობისაგან“. ის, რაც სამხრეთ ოსეთში მოხდა (მით უფრო, ადამიანთა მსხვერპლის გათვალისწინებით), საყოველთაო აზრით, სწორედ იმაზე მიათითებს, რამდენად სახიფათოა ძალისმიერი მეთოდების გამოყენება კონფლიქტების გაყინულ ფაზაში. მაგრამ, როგორც ვნახეთ, კონფლიქტის გაყინული ფაზა არაფრით სჯობს მისი „გალღობის“ მცდელობას, განსაკუთრებით, თუკი საერთაშორისო შუამავლობამ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ვერაფერი შედეგი გამოიღო და, ყოველ შემთხვევაში, დამკვირვებელთა ერთი მხარე მაინც მეორის ქმედებებს აშკარად თუ ფარულად აფარებდა ხელს.



გაზაფხულზე ალბანეთი და ხორვატია ნატო-ში შევლენ

„იქ ისეთი მოულოდნელი გართულებები არ ხდება, როგორც ჩვენთან“

„რეზონანსი“, 2008 წ. 5 დეკემბერი, #333, გვ. 6, ჟურნალისტი ია აბულაშვილი

ბრიუსელში გამართულ ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე გადაწყდა, რომ 2009 წელს ალბანეთი და ხორვატია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები გახდებიან. ნატო-ს მინისტერიალზე ალბანეთის და ხორვატიის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელები პირველად ესწრებოდნენ ოფიციალური სტუმრის რანგში.

„ალბანეთმა და ხორვატიამ უკვე დაასრულეს მნიშვნელოვანი რეფორმები. ჩვენი მიზანია, მივესალმოთ ალიანსის ამ ორ ახალ წევრ ქვეყანას ჩვენს მომავალ სამიტზე“ – ნათქვამია ალიანსის 26 წევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებაში.

ნატო-ს ოფიციალურ განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ ბოსნიამ და ჩერნოგორიამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს

ალიანსთან დაახლოების გზაზე, ხოლო რაც შეეხება მაკედონიას, იგი ნატო-ს წევრობას შეძლებს იმ შემთხვევაში, როდესაც მოგვარდება საბერძნეთთან წამოჭრილი დავა სახელმწიფოს სახელწოდებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ნატო-ს წევრობის კიდევ ორ კანდიდატ ქვეყანას – საქართველოს და უკრაინას, როგორც ცნობილია, მათ ნატო-ში გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (მაპი) ნაცვლად სახელდახელოდ მოფიქრებული ახალი შუალედური რგოლი – ყოველწლიური ეროვნული პროგრამა მიიღეს.

პოლიტოლოგი გიორგი ხუციშვილი: „ხორვატია და ალბანეთი დიდი ხანია, რიგში იდგნენ და ამ გადაწყვეტილებას ელოდნენ. ვერ ვიტყვი, რომ ისინი ძალიან განვითარებული ქვეყნები არიან, მაგრამ იქ ისეთი მოულოდნელი გართულებები არ ხდება, როგორც ჩვენთან. პროცესი გამჭვირვალედ მიმდინარეობდა, მოახერხეს სიტუაციის დალაგება და თან ევროპის შუაგულში არიან.

რაც შეგვეხება ჩვენ, რა თქმა უნდა, ის, რაც შემოგვთავაზეს, მაპ-ის ტოლფასი არ არის. რაღაც საშუალო რგოლია მოფიქრებული. გაკეთდა იმის გამო, რომ პროცესი და კომუნიკაცია არ შეწყვეტილიყო. ყოველწლიურად დაგვაკვირდებიან, როგორ დავალაგებთ სიტუაციას ქვეყანაში, არის თუ არა პოლიტიკა გაწონასწორებული, რამდენად გაიხსნა მედია, რამდენად არის დაცული ადამიანის უფლებები და ა.შ., ანუ ისეთი ქვეყანა უნდა გახდე, რომ აქეთ კი არ ეხვეწებოდე, თქვენს ალიანსში მიმიღეთო, პირიქით, თვითონ უნდა შემოგთავაზონ გაწევრიანება“.



კოკოითი ფინანსებს თავისთვის „ტეხავს"?!

„რეზონანსი", 2008 წ. 8 დეკემბერი, #336, გვ. 2. ჟურნალისტი მარი ოთარაშვილი

ოსი სეპარატისტების ლიდერმა ედუარდ კოკოითმა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ფინანსთა მინისტრი ალექსეი პანტელეევი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ქართველ ექსპერტთა ვარაუდით (რაზეც გადამდგარი ოსი ჩინოვნიკებიც საუბრობენ), არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში საკადრო ახალი ცვლილება იმაზე მეტყველებს, რომ კოკოითს „რესპუბლიკის" ფინანსების სრული მართვის საკუთარ ხელში აღება სურს.

მოროზოვი, თეზიევი, ბარანკევიჩი... ახლა კი პანტელეევი – ეს ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" კოკოითის მიერ გადაყენებული ჩინოვნიკების არასრული სიაა.

ალექსანდრე პანტელეევი არაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრობამდე ამავე თანამდებობას ულიანოვსკში განაგებდა. პანტელეევის გაშვება, რომელმაც აღნიშნულ თანამდებობაზე სამხრეთ ოსეთში ფაქტობრივად მხოლოდ ერთი კვირა დაჰყო, ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ეს გადაყენება დაემთხვა ედუარდ კოკოითის იმ გან-

ცხადებებს, რომლებიც ეხებოდა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში“ აღდგენით სამუშაოებს, რაც სეპარატისტების ლიდერმა რუსეთის „კონტროლიორებს“ აუწყა. ამასთან ერთად, გაზეთ „კომერსანტს“ სანდო წყარომ აცნობა, რომ აღნიშნულ გადადგომაში წვლილი თავად კოკოითს მიუძღვის, რომელმაც ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ფინანსური ბერკეტები მთლიანად თავის თავზე აიღო.

„მისი გადაყენების მიზეზი პრეზიდიუმში არ დასახელებულა, მაგრამ, ალბათ, მას არ აკმაყოფილებდა მუშაობის პირობა. ყველა ჩვენგანისთვის ეს ინფორმაცია მოულოდნელი იყო“, – განუცხადა „კომერსანტს“ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ირინა გაგლოევამ.

პანტელეევის მოულოდნელ გადადგომაზე კომენტარს ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ არავინ აკეთებს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ბოლშაკოვმა განაცხადა, რომ ასეთ თემებზე კომენტარი არ სურს, რადგან ეს მხოლოდ კოკოითის კომპეტენციაა.

„თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ პირობებზე დაყრდნობა – ეს არის ძაღლური აუცილებლობა! პრეზიდენტებს კი პროდუქტიული მუშაობისთვის შეუქმნეს ყველა აუცილებელი პირობა. რა თქმა უნდა, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დიდი ხანი არ არის, რაც ომიდან გამოვიდა, მაგრამ ყველა აუცილებელი სამუშაოს პირობა აქ რომ იყოს, ამისი სურვილი არის“, – ასეთი მკვეთრი ორაზროვანი კომენტარი მისცა ბოლშაკოვმა „კომერსანტს“.

„კომერსანტისვე“ ცნობით, საკადრო ცვლილებები სამხრეთ ოსეთში კიდევ მოხდება. ახალი მმართველობა (პრემიერ ბულაცევის გამოკლებით) შემდგარია კოკოითის პროტექციით და მასში მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ჩინოვნიკები სამარიდან და ულიანოვსკიდან.

„კოკოითმა მთავრობაში თავისი ხალხი მოიყვანა, რათა ადვილად მიითვისოს ფული. ახლა, როცა ფინანსები მთლიანად მის ხელშია, მის ირგვლივ კი – თავისივე ხალხი, ასეთი საკითხების გადაწყვეტა არ გაუჭირდება“, – აცხადებს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ექსპრემიერი ოლეგ თეზიევი.

აღნიშნულის შესახებ ამავეს იტყობინებიან ქართველი ექსპერტები.

გიორგი ხუციშვილი: „კოკოითი ცდილობს, თავისი ფინანსური პოლიტიკა გაატაროს, ანუ ეს ცვლილება ფინანსებთან არის დაკავშირებული. პანტელეევი არ აძლევდა იმის საშუალებას, უშუალოდ მას ეხელმძღვანელა ფინანსების სფეროსთვის. ანუ მთლიანად ფინანსების განკარგვა უნდოდა თავად კოკოითს, რითაც, პრაქტიკულად, უნდოდა, ფინანსთა სამინისტრო გაეუქმებინა. ამაზე პანტელეევი აუყირავდა კოკოითს. ამან კი საპასუხოდ მოხსნა და თავისი კაცი დანიშნა. პანტელეევამდე კოკოითმა ბევრი თანამდებობის პირი გაათავისუფლა, თუნდაც – ბარანკევიჩი. ხომ ბადებს ეს იმის ეჭვს, რომ ამით კოკოითს რუსეთთან პოზიციის განმტკიცება სურს? – ეს მცდარია. რაც უნდა გააკეთოს კოკოითმა, იმის დამტკიცებას, რომ ეგ არ არის მოსკოვის მარიონეტი, ვერ შეძლებს, რადგან კოკოითი დამოუკიდებელი ვერ იქნება რუსეთისგან. ეს გამორიცხულია. მას არანაირი დაპირისპირება რუსეთთან არ აქვს, რადგან ის მთლიანად არის დამოკიდებული რუსეთზე. ეს შეიძლება იყოს ფინანსური თამაში, მაგრამ ის, რომ მოსკოვიდან დანიშნულ მინისტრებს კოკოითი იმისთვის ათავისუფლებდეს, რომ დამოკიდებულება მოსკოვის მიმართ შეცვალოს, ამის უფლებას მოსკოვი არ მისცემს. ეს არის ან მხოლოდ ფინანსური ინტერესები ან ადგილობრივი გარჩევები“.



ტოლერანტობის ცნებისათვის თანამედროვე ქართულ აზროვნებაში

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ჟურნალი „რელიგიათმცოდნეობის ძიებანი“, 2009 წ. #1-2, თბილისი

როგორც განსხვავებული კანის ფერისადმი, ისე განსხვავებული აზრისადმი ტოლერანტობა დემოკრატიული საზოგადოებისათვის შესაფერის ღირებულებათა დამკვიდრების მთავარი წინაპირობაა. ცნობილია ვოლტერის სიტყვები: „მე მძულს თქვენი აზრები, მაგრამ მე მზად ვარ, სიცოცხლე შევწირო იმას, რომ თქვენ მათი გამოთქმის უფლება გქონდეთ“. თუ საზოგადოებაში გავრცელებულია რასიზმი და ქსენოფობია, ის საზოგადოება დემოკრატიულად ვერ ჩაითვლება, რაოდენ დიდი მიღწევებიც უნდა ჰქონდეს სხვადასხვა დარგში. არშემდგარი სახელმწიფოების ყოველწლიურად გამოქვეყნებულ სიაში მსხვილ და ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებსაც შეხვდებით, თუკი ისინი ვერ უზრუნველყოფენ სიტყვის თავისუფლებას ან კანონის უზენაესობას.

ყველაზე ნაკლები ტოლერანტობა ახასიათებს ტოტალიტარულ სისტემებს, როგორიც იყო მეოცე საუკუნეში ნაცისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი. ყველაზე მეტი ტოლერანტობაა

საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებულ და განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე ქვეყნებში, მაგრამ იქაც მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობს ავტორიტარულ ტენდენციებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის. სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ადამიანებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის განსხვავებებისადმი ფაქიზი დამოკიდებულება, ამავე დროს, ყველასგან მყარი კონსტიტუციური წესრიგის მოთხოვნა. ტოტალიტარული მენტალიტეტი არ არის მხოლოდ უმრავლესობის ან გაბატონებული აზრის მახასიათებელი, არამედ უმცირესობებსაც (უფრო მეტად, ჩაკეტილ საზოგადოებებს) შეიძლება ახასიათებდეს. მიუხედავად ამისა, როგორც წესი, უმცირესობის აზრისადმი დამოკიდებულებაა საზოგადოებაში ტოლერანტობისა და დემოკრატიულობისადმი მიდრეკილების ტესტი.

2009

ტოლერანტობა მოვლენათა შეფასებაში შავ-თეთრი სურათის დაშვებასაც კი გამორიცხავს. რაც ნაკლებია საზოგადოებაში ტოლერანტობა, მეტია აუტანლობა. შესაბამისად, უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ რაიმე ან, განსაკუთრებით, ადამიანის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა უბრალოდ შეუწყნარებლობა კი არა, სრული აუტანლობაა (რელიგიურ სფეროში ეს, მაგალითად, ისლამური ფუნდამენტალიზმის ქვეყნებში ვლინდება). თუ რომელიმე ავტორიტეტი ან ავტორიტეტებთან მებრძოლი ყველაფერს ორ ყუთში ათავსებს – ეს ჭეშმარიტებაა, ის კი ბოროტებაა, ეს პატრიოტობაა, ის კი მტრის აგენტობა – ის, ლოგიკურად, მისთვის მიუღებელი ან გაუგებარი აზროვნების ან ქცევის რაოდენ მცირე გამოვლინებებისადმი ნულოვანი ტოლერანტობის, ანუ სრული აუტანლობის ქადაგებამდე მიდის (რაც ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის სამართლებრივ და კონსტიტუციურ საფუძვლებს არყევს). აქედან პირდაპირი გზაა ავტორიტარული და ტოტალიტარული აზროვნებისაკენ, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს როგორც პოლიტიკურ, ისე რელიგიურ, მეცნიერულ ან სხვა აზროვნებაში.

თუ გინდა, შეაფასო, გახასიათებს თუ არა ტოლერანტობა, შეარჩიე ის, ვისაც თვლი, რომ ვერ იტან და წარმოიდგინე, თუ ინტეგრირების ან იზოლირების რა ხარისხს დაუშვებდი მას-

თან. ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში ცნობილია ეგრეთწოდებული „ბოგარდუსის შკალა“, რომელშიც რესპონდენტს სთხოვენ აღნიშნოს, შეეგუებოდა თუ არა არჩეული კატეგორიის პიროვნებას (მაგალითად, ლოთს, ნარკომანს, ჰომოსექსუალს, ყოფილ პატიმარს, ლტოლვილს, სხვა ეროვნების ან სარწმუნოების წარმომადგენელს, იეღოვას მოწმეს და ა.შ.), როგორც თანაკლასელს/თანაჯგუფელს, მეზობელს, სიძეს/რძალს, მეუღლეს და ა.შ. საინტერესო ამბები ირკვევა ასეთი გამოკვლევების შედეგად: მაგ., რესპონდენტი გარკვეული ეროვნული, სოციალური ან რელიგიური ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ ზოგადად ტოლერანტულია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა თავისი ოჯახის წევრებთან მათ თანაცხოვრებას ან შეუღლებას ან სულაც ერთ სადარბაზოში ცხოვრებას.

მოდი, გავერკვიოთ, თუ რას ნიშნავს ტოლერანტობა.

ტრადიციულ, ჰუმანიტარულ აზროვნებაში ტოლერანტობა გაგებულია ამ სიტყვის ლათინური ძირის შესაბამისად, როგორც ამტანობა, შემგუებლობა. საზოგადოებრივ ცნობიერებაში ტოლერანტობა განსხვავებულისათვის არსებობის უფლების აღიარებაა. აუცილებელი არაა განსხვავებულის მიმღებლობა ან მოწონება. ტოლერანტობა მხოლოდ წინაპირობაა ინტეგრაციისა, რომელიც ნამდვილად ღირებულ თანაცხოვრებას უდევს საფუძვლად.

ისიც საგულისხმოა აღინიშნოს, რომ ტოლერანტობის ცნების სპეციალურ მნიშვნელობებს ქიმიურ და ფარმაცევტულ სფეროებში ვხვდებით: შენაერთის სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით ცვალებადობის დასაშვები ან შესაძლებელი საზღვრები მის ტოლერანტობას განსაზღვრავენ.

ფორმალურ მეცნიერებებში ტოლერანტობა განიმარტება, როგორც რეფლექსური და სიმეტრიული ბინარული მიმართება, რომელიც ეკვივალენტობის ცნებისგან იმით განსხვავდება, რომ ტრანზიტულობის მოთხოვნა აუცილებელი არაა. ამ განმარტებაში ასახულია რეალურ მოვლენათა ისეთი თვისებები, როგორიცაა მსგავსება და ცვლილებების თანდათანობითობა. მაგალითად, ადამიანი განუწყვეტლივ ბერდება, მაგრამ ეს

მხოლოდ ხანგრძლივი დროის შემდეგ შეიმჩნევა, ანუ ითვლება, რომ ის ტოლერანტულად იცვლება.

დავუბრუნდეთ ისევ სოციალურ სფეროს. თანამედროვე ქართველები დარწმუნებულნი არიან, რომ უძველესი დროიდან ტოლერანტობის მაგალითის მიმცემნი იყვნენ სხვა ერებისათვის. რა არის ეს, მითი თუ სინამდვილე? ერთი მხრივ, ფაქტია, რომ სხვადასხვა ეროვნების ჯგუფები მკვიდრდებოდნენ და უსაფრთხოდ ცხოვრობდნენ საქართველოს მიწაზე (ცნობილია ებრაელთა 26-საუკუნოვანი ისტორია საქართველოში). მეორე მხრივ, საქართველოში მეოცე საუკუნის მიწურულს აღზევებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ქსენოფობიური გადახრებიც ახასიათებდა, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში არსებულ ავტონომიებში ცენტრიდანულ პროცესებს, ეთნოტერიტორიულ კონფლიქტებს და მესამე ძალთა მხრიდან მათ მანიპულირებას. საზოგადოებას, რომლის უდიდეს ნაწილს არ გააჩნია დემოკრატიის პირობებში ცხოვრების გამოცდილება, ყოველდღიურად უხდება რეფლექსიის ჩატარება და განვლილი გზის კრიტიკულად შეფასება. უეჭველად დადებითი ფაქტია ის, რომ საქართველოში ტოლერანტობა უძველეს ეროვნულ ტრადიციად მიიჩნევა (მიუხედავად იმისა, რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს), რაც სამომავლოდ დემოკრატიული სახელმწიფოს შენების გზიდან არგადახვევის სერიოზული ფაქტორია.

დასკვნები:

ერთია ტოლერანტობის დეკლარირება და სულ სხვაა ყოველდღიურ პრაქტიკაში მისი დანერგვა და დამკვიდრება;

აუცილებელია იმისი გააზრება, რომ ტოლერანტობა პოლიტიკური და სოციალური ბალანსის, სტაბილურობის აუცილებელი პირობაა;

ქვეყანაში რელიგიური ტოლერანტობის დამკვიდრება შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული, სამოქალაქო ღირებულებების სისტემის დამკვიდრების შემადგენელი კომპონენტის სახით;

ტოლერანტობა არ გამორიცხავს განსხვავებულის კრიტიკას და მისგან გამიჯვნას;

შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ერთმანეთისგან გაუცხოებულ საზოგადოებებში ძალზე მაღალია მტრის ხატის ჩამოყალიბების საშიშროება. ამ შემთხვევაში განსხვავებული (თუნდაც შეუთავსებელი) პოზიციისადმი ტოლერანტობა კომპრომისის მოძებნისა და კონფლიქტის გადალახვის სერიოზული სტიმულია.


ინტერვიუ

რუსეთი რეზოლუციის იგნორირებას მოახდენს: კონფლიქტოლოგი

თიკო ოსმანოვა

2009

რუსეთი რეზოლუციის იგნორირებას მოახდენს: კონფლიქტოლოგი

„რეზონანსი“, 2009 წ. 11 სექტემბერი, #244, გვ. 5, ჟურნალისტი თიკო ოსმანოვა, ფოტოთი

კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ რუსეთი გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ გუშინწინ მიღებულ რეზოლუციას იგნორირებას გაუწევს. ამასთანავე, არ სჯერა, რომ ამის გამო რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცევა, რადგან ენერგეტიკის მხრივ მას ძალიან ბევრ ქვეყანასთან აქვს ურთიერთობა.

გ.ხ.: ეს საკმაოდ დადებითი რეზოლუციაა. 48 ქვეყანამ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღო. ეს არის საერთაშორისო მეგობრობის კიდევ ერთი მხარდაჭერა. თუმცა ვფიქრობ, ეს რეზოლუციაც ვერ მოახდენს გავლენას რუსეთზე.

„რ“: რუსეთი ამ რეზოლუციას გაითვალისწინებს?

გ.ხ.: ვფიქრობ, რომ იგნორირებას გაუწევს, რადგან რუსეთს სურს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ინფრასტრუქტურა შექმნას, რომ მეტმა ქვეყანამ დაუჭიროს მხარი სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობას. ეს უკვე ფაქტია

– დღეს უკვე ვენესუელამაც აღიარა სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

„რ“: საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ თუ რუსეთმა არ შეასრულა რეზოლუციის პირობები, იგი საერთაშორისო იზოლაციაში მოექცევა. ასე მოხდება?

გ.ხ.: არა, ვერ მოექცევა, რადგან ენერგეტიკის მხრივ მას ძალიან ბევრ ქვეყანასთან აქვს ურთიერთობა. თუმცა, ვფიქრობ, რუსეთს ადრე თუ გვიან მოუწევს, შეცვალოს თავისი პოლიტიკა. ეს არის ისტორიული სამართლიანი გადაწყვეტილება. და ასე შეაფასა მსოფლიომ საქართველოში მიმდინარე მოვლენები.

„რ“: 78 ქვეყანამ თავი შეიკავა. რატომ? რეზოლუციის მხარდაჭერა ხომ არ ნიშნავდა ქართულ-რუსულ კონფლიქტში ჩარევას?

გ.ხ.: არა, ალბათ, იმიტომ შეიკავა თავი, რომ არ იყვნენ გარკვეულნი საქართველოს საკითხებში ან კიდევ არ უნდათ, რუსეთთან გაიფუჭონ ურთიერთობა.

შეგახსენებთ, რომ 9 სექტემბერს გაერო-ს გენერალურმა ასამბლეამ საქართველოს რეზოლუციის პროექტს მხარი დაუჭირა, რომელიც აღიარებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უფლებას სეპარატისტულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. რეზოლუცია ხაზს უსვამს ამ რეგიონში „ჰუმანიტარული საქმიანობის განხორციელებისათვის შეუფერხებელი შესვლის უკიდურეს საჭიროებას“. რეზოლუციას სახელწოდებით „აფხაზეთიდან (საქართველო) და ცხინვალის რეგიონიდან, სამხრეთ ოსეთიდან (საქართველო) იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა სტატუსი“ 48 ქვეყნის დელეგაციამ დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი წავიდა 19, 78-მა კი თავი შეიკავა.

როგორც ცნობილია, გენერალურმა ასამბლეამ 2008 წლის მაისშიც მიიღო ანალოგიური რეზოლუცია 14 ხმით 11-ის წინააღმდეგ. თუმცა მაშინდელი რეზოლუცია მხოლოდ აფხაზეთს ეხებოდა. რა თქმა უნდა, ეს რეზოლუცია რუსეთს არ შეუსრულებია.

2008 წლის მაისის რეზოლუციის მსგავსად, წლევანდელ დოკუმენტშიც ოფიციალური თბილისი მიუთითებს, რომ საჭიროა ზუსტი გრაფიკის შედგენა, რომელიც საქართველოს კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირებს და დევნილებს საშუალებას მისცემს, ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში.

პროექტი ასევე მოუწოდებს გაერო-ს გენერალურ მდივანს, ასამბლეის 64-ე სხდომაზე წარმოადგინოს ამ რეზოლუციის „განხორციელებასთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი ანგარიში“.

რეზოლუციის პროექტი მოსკოვისთვის მიუღებელია. რუსეთის საგარეო უწყების განცხადებით, თბილისი ჰუმანიტარული საკითხების პოლარიზებას ახდენს. გაერო-ში რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენელი ვიტალი ჩურკინი ხმის მიცემის პროცედურის შეწყვეტას ითხოვდა, თუმცა გენერალური ასამბლეის წევრებმა მისი წინადადება არ მიიღეს. ჩურკინი ამტკიცებდა, რომ რეზოლუციის პროექტი აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის კონტრპროდუქტიულია და აგვისტოს ომის შემდგომ რეალობას არ ასახავს.


მოდარა

ცხინვალი და სოხუმი ჟენევას ბოიკოტს გამოუცხადებენ?!

მარი ოთარაშვილი

2009

ცხინვალი და სოხუმი ჟენევას ბოიკოტს გამოუცხადებენ?!

„რეზონანსი“, 2009 წ. 2 მარტი, 53, გვ. 9, 16. ჟურნალისტი მარი ოთარაშვილი, ფოტოთი

ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლება ევროკავშირს ჟენევის დისკუსიებში არმონაწილეობით ემუქრება. როგორც დე ფაქტო ხელისუფლებაში აცხადებენ, ევროსაბჭო ზეწოლას ახორციელებს მინსკზე, რათა მან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა არ აღიაროს. ცხინვალს ამ ბოიკოტში მხარს უბამს სოხუმიც.

„ოფიციალური ცხინვალი“ ევროკავშირის მხრიდან მინსკზე ზეწოლად სწორედ იმ განცხადებას მიიჩნევს, რომელიც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარელ შვარცენბერგმა გააკეთა.

როგორც ცხინვალში აცხადებენ, „ბელარუსის“ „აღმოსავლურ პარტნიორობაში“ მონაწილეობა ამ ქვეყნის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზეა დამოკიდებული. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური ზეწოლა მინსკზე. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა აღნიშნულ განცხადებას დაუფარავ პოლიტიკურ შანტაჟად აფასებს, რომე-

ლიც დაუშვებელი ულტიმატუმის ფორმით მინსკს ევროპასთან დაახლოების შესაძლებლობასა და გადაწყვეტილების მიღების უფლებას შორის არჩევანის წინაშე აყენებს“, – ნათქვამია დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

დე ფაქტო სამინისტროსვე შეფასებით, „ევროკავშირი სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დამოკიდებულებაში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მითზე დაყრდნობით ხელმძღვანელობს, ასეთი პოზიცია კი ჟენევის კონსულტაციების გაგრძელების მიზანშეწონილობას ეჭვქვეშ აყენებს.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი შინაარსის განცხადება რამდენიმე დღის წინ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომაც გაავრცელა. ცნობისათვის, ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის – ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კარელ შვარცენბერგმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ „თუ მინსკი აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას აღიარებს, ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ახალ პროგრამაში ბელარუსის მონაწილეობის საკითხი ეჭვქვეშ დადგება“.

კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი თვლის, რომ სეპარატისტებს ამგვარი განცხადებების გაკეთებაში რუსები აქეზებენ. როგორც ხუციშვილი „მთელ კვირასთან“ საუბრისას აცხადებს, ასეთ განცხადებებს ევროკავშირმა საპასუხო რეაქცია უნდა მოაყოლოს, რათა ჟენევაში კომუნიკაცია-მოლაპარაკებები კვლავ გაგრძელდეს.

გიორგი ხუციშვილი: „ჟენევის მოლაპარაკებაში აფხაზები და ოსები მონაწილეობდნენ, ვინაიდან იქ იყო ისეთი სტატუსი, რომელიც მათი სეპარატისტული რესპუბლიკების აღიარებას არ ნიშნავდა. ამან ძალიან კარგი შედეგიც გამოიღო; ყოველ შემთხვევაში, მივიდნენ გარკვეულ შეთანხმებამდე და ერთობლივი დოკუმენტიც გამოუშვეს. ახლა რუსეთი უჩიჩხინებს მათ იმისათვის, რომ რაღაცა დაბრკოლებები შეიქმნას და დისკუსიები აღარ გაგრძელდეს. ვთვლი, რომ ევროკავშირმა უნდა დააფიქსიროს ისეთი განცხადებები, რომ ევროპა არ შეეგუება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი ქვეყნების

სტატუსს. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ჩეხეთი ასეთ განცხადებას აკეთებს. ძალიან მნიშვნელოვანია დისკუსიების ისეთი ფორმატის გამონახვა, რომლის დროსაც არც ერთი მხარე დაზარალებული არ იქნება და, ამავდროულად, ეს კომუნიკაცია-მოლაპარაკებები გაგრძელდება. აქ სინამდვილეში არანაირი პრობლემა არ არის. თვითონ ჩეხეთიც არ არის იმით დაინტერესებული, რომ რაღაც დაბრკოლებები შეექმნას“.



ალქიმიური ცდები პოლიტიკაში

და ცისარტყელას გაორფერება, როგორც სტრატეგიული ამოცანა

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქორი, „მთელი კვირა“, 2009 წ. 16 მარტი, #67, გვ. 7, ფოტოთი

მრავალი განზომილებით, 2008 წლის აგვისტო წარსულსა და მომავალს შორის გამყოფ ხაზად იქცა. ქართველ ხალხს დღესაც არ აქვს გაცნობიერებული, თუ რა ზომის კატასტროფა დაემართა ქვეყანას აგვისტოს ომის შედეგად. წლების განმავლობაში საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებით და გახანგრძლივებით, როგორც უმთავრესი პრიორიტეტით, დაკავებული მმართველი გუნდისგან არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც საკუთარი მასმედიის საშუალებით აბსოლუტურად ყალბ სურათს ავრცელებენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივების, სახელმწიფო პოლიტიკის და სახელისუფლებო გუნდის საერთაშორისო ავტორიტეტის, ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების, ინვესტიციების მოზიდვის, მდგრადი ეკონომიკის შენებისა და მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრის პერსპექტივების შესახებ. სრულიად დაკნინებული და დამახინჯებული სურათი ვრცელდება

იმ საშიშროების შესახებ, რაც კონფლიქტის ზონების მილიტარიზაციისა და მსხვილმასშტაბიანი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ბაზების მშენებლობის შედეგად ემუქრება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთლიანად შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონების სტაბილურობას. მნიშვნელოვანწილად ეს წლების განმავლობაში გაუაზრებელი სახელმწიფო პოლიტიკის შედეგია, რომლის ბოლო აკორდი აღმოჩნდა 2008 წლის აგვისტოს კატასტროფა.

მახსენდება, ორიოდე წლის წინ ხელისუფლების მთავარი იდეოლოგები როგორ რეაგირებდნენ სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ადამიანის უფლებათა დარღვევებში ბრალდებაზე: ლავროვიც ამბობს, საქართველოში ადამიანის უფლებები ირღვევაო. გამოდის, რომ თქვენ და ლავროვი ერთსა და იმავეს ამბობთ. ჰოდა, თქვენ რა, ლავროვის დავალებას ასრულებთო? რა თქმა უნდა, ერთ უჯრედზე მეტის არმქონე ადამიანების ტვინში ასეთი პრიმიტიული სოფიზმები მწვავე პროტესტს იწვევდა, არავინ გაჩუმებულა იმის გამო, რათა მისსა და ლავროვის გამოთქმებში ერთნაირი ელემენტები არ დაფიქსირებულიყო. საპროტესტო ტალღა ღვივდებოდა და შედეგად მივიღეთ 2007 წლის 7 ნოემბერი, საქართველოს უახლეს ისტორიაში შავი თარიღი. ეს იმისთვის გავიხსენე, ყურადღება სახელისუფლებო გუნდის მხრიდან პრობლემებისადმი სპეციფიკურ დამოკიდებულებაზე რომ გავამახვილო: სიძნელე ადრეულ ეტაპებზე კი არ უნდა იყოს მოხსნილი, პირიქით, ხისტი დამოკიდებულებისა და უკომპრომისობის შედეგად უნდა გამწვავდეს, კრიზისში გადაიზარდოს და შემდეგ ძალისმიერი გზით გადაწყდეს, მთელი ქვეყნის ჭკუის სასწავლებლად. ასეთივე დამოკიდებულების შედეგად არ გამოგვივიდა და არც შეიძლებოდა გამოგვსვლოდა დიალოგი და დაახლოება აფხაზებთან და ოსებთან.

უკიდურესად გამწვავდა ანტაგონიზმი რუსეთსა და საქართველოს შორის. ამავე დროს, აშკარაა, რომ აგვისტოს ომის ქვეყნისათვის კატასტროფული შედეგების და უღიმღამო პერსპექტივების დაკნინებაც რუსეთის ინტერესებშია. არაფერი ისეთი არ მომხდარა, „business as usual“. არ აქვს არანაირი მნიშვნელობა, თბილისს და მოსკოვში ერთსა და იმავე ფრა-

ზებს ამბობენ თუ არა. გაცილებით მნიშვნელოვანია, რა თანხვედრას ავლენენ თავიანთი ქმედებებით.

ამას წინ პრეზიდენტს ხალხის კითხვებზე პასუხების 4-საათიანი სატელევიზიო სესიის დროს, ენგურჰესის კონტროლის რუსებისთვის გადაცემაზეც მოუწია თავის მართლება. ცნობილია, რომ მანამდე ქართულ-აფხაზურ ერთობლივ მმართველობაში მყოფ უმნიშვნელოვანეს ენერგოობიექტზე კონტროლის „ინტერ-რაოსთვის“ გადაცემამ შოკში ჩააგდო საზოგადოება. მემორანდუმის ტექსტი დღემდე გასაიდუმლოებულია. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის რეაქცია იყო არა ობიექტური ანალიზი იმისა, თუ რა რისკებს ან უპირატესობებს შეიცავს ამ მემორანდუმზე ხელის მოწერა, არამედ ისევ შემოსავლის სრულიად არასერიოზულ ზრდაზე აპელირება და გახუმრებაც კი იმის თაობაზე, რომ, აგერ, „თბილისის წყალიც“ ხომ რუსული კომპანიის ხელშია, მაგრამ, აბა, გადაგვიკეტესო?

2009

ამავე დროს, მან თავი ვერ შეიკავა და რუსებთან გარიგების მთავარი თუ არა, ერთ-ერთი ნამდვილი მიზეზი გაგვიმხილა: ენგურჰესის ექსპლუატაციიდან აფხაზურ მხარეზე მიღებული მოგებით მანიპულირების შედეგად თურმე ბაღაფში მდიდრდებოდა და სწორედ ამ წყაროებიდან დააფინანსა თავისი წინასაარჩევნო კამპანია, „ინტერ-რაოსთვის“ პაკეტის გადაცემა კი ამას ბოლოს მოუღებსო. 2004 წელს ბაღაფშის ხაჯინბაზე გამარჯვება და დე ფაქტო პრეზიდენტად არჩევა საქართველოში და მსოფლიოშიც დადებითად იქნა შეფასებული, როგორც რუსეთის გავლენის შემცირებისკენ გადადგმული ნაბიჯი. ახლა კი, შემოსავლის წყაროები რომ გამოეცლება, შემდეგ არჩევნებში ვეღარ გაიმარჯვებს და აფხაზეთში რუსეთისგან ხელდასმული მარიონეტი დამკვიდრდება.

ამავე დროს, თუ „ინტერ-რაოს“ მიერ დასახული გეგმა განხორციელდა, მრავალჯერ იზრდება ელექტროენერგიის ტარიფი, რომლითაც აფხაზეთის მოსახლეობას მოუწევს გადახდა და, საერთოდაც, აფხაზეთი უფრო დამოკიდებული გახდება რუსეთზე. აფხაზთა თვალში ეს საქართველოს მხრიდან მიზანმიმართული პოლიტიკაა და დსთ-ს სანქციებიდან მოყოლებული, აფხაზეთის დასჯის მიზანს ემსახურება: ახია მათზე,

ჩვენთან ყოფნა თუ არ უნდოდათ, ახლა უარესიც უნდა მოუვიდეთო. რა თქმა უნდა, ამის შედეგად აფხაზებში ქართველებთან დაახლოების მოთხოვნილება ნაკლებად ჩნდება. ახლა დავაკვირდეთ იმასაც, რომ საქართველოს ეუთო-ს მისიის გაძევებაზე ქვეყნის ხელისუფლებამ საოცრად სუსტი რეაგირება მოახდინა, თითქოს მაინცდამაინც დიდად არ აღელვებდა ეს.

რუსეთის სტრატეგიული ამოცანაა, საქართველო და, განსაკუთრებით, კონფლიქტის ზონები საერთაშორისო წარმომადგენლების გარეშე დატოვოს და ამით თვითმინიჭებული „გავლენის სფეროს“ პრეროგატივა, ფაქტობრივად, განახორციელოს. თუ ჩვენ ამაში რუსეთს, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს ვუწყობთ, ეს შეიძლება მხოლოდ ერთი მიზეზით აიხსნას: უნდა მოისპოს სეცესირებული რეგიონების საზოგადოებასთან და მეზობლებთან მომავალში დაახლოების ჯერ კიდევ არსებული ყველა არხი, რათა გამართლებული იყოს წინა წარუმატებლობები და მომავალშიც არ გაჩნდეს პროცესების კონსტრუქციული წარმართვის, დიალოგის, შერიგებისა და თანამშრომლობის შანსი, რისი შესაძლებლობათა განვითარებაც, თავის მხრივ, ქვეყანაში პლურალისტური და დემოკრატიული გარემოს შექმნას აუცილებლობით მოითხოვს. ხოლო რუსეთის მესვეურებს საქართველოში არსებული ეს მიდგომა არგუმენტს აძლევს მთელი მსოფლიოს დასარწმუნებლად იმაში, რომ ქართველთა მხრიდან ტერიტორიების ძალისმიერი გზით დაბრუნების საშიშროება რჩება და ამიტომ მათი ტანკების საქართველოს მიწაზე ყოფნა აუცილებელია.

კიდევ ერთი შეთქმულების თეორია, რომელიც პერიოდულად ღვივდება ქვეყანაში პოლიტიკური ბრძოლის გააქტიურების მოლოდინში, ოპოზიციის რუსეთიდან დაფინანსებასა და მართვას უკავშირდება. აქაც საინტერესო პარალელებია რუსეთისა და საქართველოს ხელისუფალთა მოტივაციასა და ქმედებათა ფაქტობრივ შედეგებში. რუსეთში ინტენსიურად ვრცელდება ვერსია, რომლის მიხედვითაც ირაკლი ალასანია ამერიკის ნომერი ორი პროექტია. ამის დასასაბუთებლად იმ არგუმენტსაც იყენებენ, რომ თითქოსდა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს საკადრო ოფიცერია. ცნობილია, რომ

რუსეთში ასეთი „საანკეტო მონაცემი“ ცალსახად აღიქმება, როგორც ნეგატიური. აქედან შეიძლება, სულ ცოტა, ორი დასკვნა გამოვიტანოთ: მოსკოვში ალასანიას კანდიდატურა შეშფოთებას იწვევს და სააკაშვილის ალასანიათი შეცვლა მოვლენათა უარყოფით განვითარებად მიიჩნევა. ვითარება რომ ისეთი იყოს, როგორც აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდში ზედაპირზე ჩანდა – პუტინს და მედვედევს სძულთ სააკაშვილი, სააკაშვილს მთავარ პრობლემად თვლიან და მზად არიან, ყველაფერზე წავიდნენ, თუნდაც ახალ ომზე, რათა თბილისში რეჟიმი შეიცვალოს – მაშინ უნდა ჩასჭიდებოდნენ ალასანიას, როგორც ყველასათვის უფრო მისაღები კანდიდატურის ვარიანტს და ხელი შეეწყოთ მისი პოპულარიზაციისათვის; ყოველ შემთხვევაში, მასზე ნეგატივი არ უნდა გაევრცელებინათ.

მოსკოვის ქმედებიდან და ბევრი სხვა მოსაზრებიდან აშკარაა, რომ მოსკოვს ხელს აძლევს სააკაშვილის რეჟიმის შენარჩუნება საქართველოში. ეს გარკვეულ ანალიზსა და გათვლებს უკავშირდება, რომელთა მიხედვითაც, სწორედ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნით მიიღწევა რუსეთისთვის სასურველი გეოსტრატეგიული მიზნები: ა) მოლაპარაკებათა ჩაშლისა და კონფლიქტის ზონების გარშემო დაძაბულობის ესკალაციის შედეგად მსოფლიოში საქართველოს, როგორც ფეთქებადი და ცუდად მართვადი ტერიტორიის რეპუტაციის განმტკიცება, ბ) კონფლიქტის ზონების რეგიონული მნიშვნელობის სამხედრო პლაცდარმებად გადაქცევა, გ) საინვესტიციო პერსპექტივების დასამარება და ნაბუკო-ს პროექტის სამაგალითოდ ჩაშლა, დ) ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გამძაფრება და მმართველი რეჟიმით უკმაყოფილების ზრდა, რის შედეგადაც ე) გაიზრდება ახალი რევოლუციის შესაძლებლობა და მიიღწევა ვ) სახელმწიფოს ფაქტობრივი დესუვერენიზაცია – მიზანი, რომლისთვისაც რუსეთის რეაქციული წრეები მთელი პოსტსაბჭოთა პერიოდის განმავლობაში იღვწიან.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რუსეთს იმითაც აძლევს ხელს, რომ ანტირუსული რიტორიკის ფონზე სულ უფრო მეტი სტრატეგიული ობიექტი და სფერო გადადის რუსეთის კონტროლის ქვეშ. დიდი ალბათობაა, რომ ეს პროცესი

გაგრძელდეს რკინიგზის ან სხვა ფასეულობის და მნიშვნელობის მქონე ობიექტების ფაქტობრივი გასხვისების სახით. ერთ-ერთი ბოლო მაგალითია ზემოთ ხსენებული „ენგურჰესი“, რომელზეც კონტროლს „ინტერ-რაო-ესმა“ შეუფერხებლად მიაღწია, შესაძლოა, ზეწოლისა და შანტაჟის შედეგად, მაგრამ უფრო სავარაუდოა, რომ ეს ცალკეული პიროვნებების „დაინტერესების“ ან უფრო ზოგად ინტერესთა დამთხვევის შედეგად მოხდა. ამ მხრივ შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირი პარალელი: მე შენგან შექმნილ საგარეო საშიშროების ხაზს ვაღვივებ, რათა ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების და თავისუფალი მასმედიის შებოჭვის საფუძველი მქონდეს და, ამავე დროს, ენერგეტიკასა და სტრატეგიულ ობიექტებზე კონტროლის ეტაპობრივი გადაცემით შენგან ვყიდულობ ჩემს უსაფრთხოებას და ქვეყნის მიმართ რადიკალური ზომების ამოქმედების გადავადებას. ჩიხური აზროვნების დამახასიათებელი ტიპური „რუსული რულეტკაა“, რომლის დროსაც თამაშის დამამთავრებელი ბოლო ტყვია მაინც როდესმე უნდა გავარდეს.

დღის წესრიგიდან დღესაც არ არის მოხსნილი რუსეთთან ახალი ომი, მაგრამ ის შეიძლება რეალობად იქცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე ხელსაყრელი პროცესების გზაზე დაბრკოლება აღმოჩნდება ან ქართული მხარე კონფლიქტის ზონებთან მიმართებაში სერიოზულ შეცდომებს ან გაუთვალისწინებელ ქმედებებს ჩაიდენს, რაც რუსეთს საფუძველს მისცემს, ისევ იმ ყბადაღებულ არგუმენტს მიმართოს, რომ ის მოვალეა, საკუთარი მოქალაქეები დაიცვას და აგრესორი დასაჯოს. გავიხსენოთ, რომ რუსეთი 2008 წლის მარტიდან ინტენსიურად ქმნიდა სტატუს-კვოს მკვეთრი შეცვლის პირობებს, მაგრამ სამხედრო მანქანა მოქმედებაში მოიყვანა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცხინვალის დაბომბვა მოხდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელი მსოფლიო მას არაპროპორციულ რეაგირებაში კი არა, არაპროვოცირებულ აგრესიაში დასდებდა ბრალს.

რა თქმა უნდა, რუსეთის მთელი გათვლები შესაძლებელია შეარყიოს ერთი შეხედვით მარტივად წარმოსადგენმა გარემოებამ: საქართველოს ხელისუფლება ამიერიდან რაციონალუ-

რად იქცევა, მისი ქმედებები ემყარება ლოგიკასა და სწორ გათვლებს, არ წამოეგება პროვოკაციებზე და თვითონაც არ გადადგამს მაპროვოცირებელ ნაბიჯებს, რის შედეგადაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტიც რამდენადმე აიწევს. მაგრამ ზუსტად ამისი ალბათობაა პრაქტიკულად გამორიცხული მოსკოვის გათვლებში: მათი აზრით, თბილისში გადაწყვეტილების მიმღებთა ძირითადი ბირთვი გარე გავლენებისგან შიდა ჯგუფაზროვნებითაა დაცული, ამის შედეგად, ერთნაირად არაადეკვატურია; მათი ამპლუა ფარული ავანტიურული თამაშებია, ისინი თავიანთ ბუნებაზე მაღლა ვერ დადგებიან და ცეცხლთან თამაშისგან თავს ვერ შეიკავებენო.

ამიტომ მოსკოვის მოლოდინია, რომ ცხინვალის რეგიონში ან აფხაზეთში ადრე თუ გვიან რაღაცა იბუთქებს და რუსეთს ისევ მიეცემა საშუალება, „საკუთარი მოქალაქეების დაცვა“ საქართველოს გადავლით მოახდინოს, ოღონდ ამჯერად თბილისშიც შემოივლიან და კარზე დაგვიკაკუნებენ. ხოლო თუკი ამისი საშუალება მაინც არ მიეცათ, ენერგეტიკული დიქტატის ვარიანტი ყოველთვის რჩებათ. ამიტომაც ახლავეა საჭირო საქართველოში ყველა ჯანსაღი ძალის გაერთიანება, რათა მოვლენებზე ზეგავლენა მოვახდინოთ და ყველაზე უარესი სცენარის განხორციელება ავიცილოთ თავიდან.



განცხადება

ბატონი ვახტანგ მაისაიას[1] დაკავების გამო

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, 2009 წ. 6 მაისი, გამოქვეყნდა გაზეთებსა და კონფლიქტოლოგიის ცენტრის ვებ-გვერდზე

„უცხო ქვეყნის“ სპეცსამსახურების სასარგებლოდ მუშაობის ბრალდებით დაკავებულია ცნობილი სამხედრო-პოლიტიკური ანალიტიკოსი, პროფესორი ვახტანგ მაისაია. ამ პიროვნებას ვიცნობ მისი სამეცნიერო და დიპლომატიური

[1] ბატონი ვახტანგ მაისაიას დაკავებისა და „ჯაშუშად“ გამოცხადების შესახებ პროფ. გიორგი ხუციშვილის განცხადება მყისიერად გავრცელდა. მან ცენტრის ვებგვერდზე, დირექტორის სვეტში და სპეციალურ სატელევიზიო გამოსვლაში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ამ საკითხს და არაერთხელ აღნიშნა ამ ფაქტის აბსურდულობა, საჯაროდ დააფიქსირა საკუთარი პროტესტი. თუმცა აქ ერთ საინტერესო გარემოებას უნდა გავუსვა ხაზი: იმ დროს, როგორც კი ვახტანგ მაისაია დააკავეს, სამოქალაქო საზოგადოების ფორმატში რიგითი სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა, სადაც ბ–ნი მამუკა არეშიძე ინიციატივით გამოვიდა, მაისაიას თავდებად დასდგომოდა ადამიანთა ჯგუფი და განცხადებით მიემართათ ხელისუფლებისათვის, რათა მაისაია გამოძიების დასრულებამდე გაენთავისუფლებინათ წინასწარი დაკავებიდან. ამ დროს, სამი ადამიანი აღმოჩნდა, ვინც ყოყმანის გარეშე, მყისიერად გამოთქვა სურვილი და მზაობა თავდებად დადგომაზე. გიორგი ხუციშვილი მათ რიცხვში იყო – ნ.ც., თვითმხილველი.

კარიერის ადრეული ეტაპებიდან. ვახტანგ მაისაია ყოველთვის იყო უაღრესად პატიოსანი, თავის ქვეყანაში შეყვარებული, პრინციპული და გულისხმიერი ადამიანი, ამავე დროს, ნიჭიერი მეცნიერი და შეუპოვარი მკვლევარი, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო წრეებში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული მასალები, კერძოდ, მაისაიას აღიარებითი ჩვენება ჩემზე ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ იგი იძულებითი გზითაა მოპოვებული. ფარული სატელეფონო ჩანაწერები მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ მაისაია რაღაც მასალებს უმზადებდა და უგზავნიდა თავის უცხოელ პარტნიორს და ამისთვის ანაზღაურებას იღებდა, მაგრამ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ჟურნალისტური ან ანალიტიკური მასალები.

მასმედიის მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე ჩემ მიერ გაკეთებული დასკვნაა, რომ ვახტანგ მაისაიას საქმე აღძრეს ზუსტად ისეთ დროს, რომ დაამთხვიეს მუხროვანში გახსნილ გეოპოლიტიკური პროცესების შემატრიალებელ ამბოხებას, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას და ანალიტიკურ წრეებს გაუგზავნეს დამაშინებელი გზავნილი: თქვენც ნებისმიერ დროს იგივე შეიძლება დაგემართოთ, თუ ხელისუფლების კრიტიკას არ მოეშვებით.

პროტესტს გამოვთქვამ პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების მიერ ამგვარი მეთოდებით მუშაობის წინააღმდეგ და მოვითხოვ ვახტანგ მაისაიას საქმის გამჭვირვალე და გულმოდგინე გამოძიებას.



საქართველო რუსეთის პირისპირ მარტო დარჩა – გაერო-ს მისიამ საქართველოში მუშაობა შეწყვიტა!

„საერთო გაზეთი“, 2009 წ. 17 ივნისი, #24 (56), გვ. 6, ჟურნალისტი თამარ შველიძე, ფოტოთი

„საერთო გაზეთის“ სტუმარია კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის თავმჯდომარე, პროფესორი გიორგი ხუციშვილი.

– ბატონო გოგი, დღეს გაერო-ს უშიშროების საბჭო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს განიხილავს. პრეზიდენტმა ახლახან განაცხადა, რომ ტერიტორიული მთლიანობის ხარჯზე კომპრომისები საქართველოს მხრიდან არ იქნება. თქვენი აზრით, როგორ განვითარდება მოვლენები?

– 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როცა რუსეთმა ცალმხრივად ცნო აფხაზეთის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სახელმწიფოებრივი არსებობა, რუსეთი ცდილობს საერთაშორისო მისიების შემცირებას, ანუ ეუთო-ს და გაერო-ს მისია მაქვს მხედველობაში. ეუთო-ს მისია, ძირითადად, სამხრეთ ოსეთის და ცხინვალის ტერიტორიაზე იყო, ხოლო გაერო-სი – აფხაზე-

თის ტერიტორიაზე. უკვე მიღწეულია ეუთო-ს მისიის გასვლა საქართველოს ტერიტორიიდან. ახლა იგივე გაერო-ს მისიაზეც უნდათ განახორციელონ. პრაქტიკულად, ეს ბოლო გაბრძოლებაა – შევინარჩუნებთ თუ არა გაერო-ს მისიას საქართველოში, თუ მასაც ეუთო-ს მისიის ბედი ეწევა. ამ მხრივ სიტუაცია ბოლო დროს გაუარესდა, რაც გაერო-ს გენერალური მდივნის, პან გი მუნის მოხსენებით იყო განპირობებული – მოხსენების სათაურშივე აფხაზეთი ცალკე, საქართველოსგან დამოუკიდებლადაა მოხსენიებული, რაც ნიშნავს, რომ რუსეთის ზეწოლა თავის გავლენას ახდენს. კოსოვოს პრეცედენტიდან გამომდინარე, ეს სავარაუდო იყო – დრო ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებს და თუ სერიოზული დიპლომატიური ძალისხმევა არ გამოვიჩინეთ, ნელ-ნელა, წვეთ-წვეთად განვითარდება აღიარება ჩვენი ტერიტორიების საქართველოს დამოუკიდებლად. ამჯერად საკითხი ასე დგას – 15 ივნისს გაერო-ს მისიის დამკვირვებლების მანდატი ამოწურულია. ეს მანდატი გაგრძელდება თუ არა, ამისი რამდენიმე ვარიანტი არსებობს: პირველი ვარიანტი – საქართველოს მეგობარი სახელმწიფოების მიერ შეტანილია განაცხადი, რომ გაერო-ს მისიას ერქვას ის, რაც აქამდე იყო. მეორე ვარიანტი – გაერო-ს მდივნის, პან გი მუნის წინადადება, რომ მას ერქვას გაერო-ს მისია სტაბილურობისათვის – ეს არის ნეიტრალური დასახელება, რომელიც არ მოიცავს გეოგრაფიულ სახელებს. არსებობს მოსაზრება, რომ ამ ვარიანტს თანხმდებიან აფხაზები და რუსები, მაგრამ წინააღმდეგია საქართველოს მხარე. მესამე ვარიანტი – რუსეთმა, შეიძლება, ვეტო დაადოს და ეს საკითხი საერთოდ მოიხსნას დღის წესრიგიდან.

– თქვენ განვითარების რამდენიმე ვარიანტი ჩამოთვალეთ, იქნებ, მოკლე ანალიზი გააკეთოთ, როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

– რა თქმა უნდა, გაერო-ს გენერალური მდივნის მიერ მოხსენების ასე დასათაურება ცუდი პრეცედენტი იყო, თუმცა ჩვენი მხრიდანაც იყო ტაქტიკური შეცდომები, კერძოდ, კახა ლომაიას რეაქციას ვგულისხმობ.

– თქვენ ლომაიას განცხადებას შეცდომად აფასებთ?

– დიახ, მე ვთვლი, რომ ეს იყო ტაქტიკური შეცდომა. ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ ნამდვილად ვერ ჩავთვლი ამ ფრაზას – თითქოს პან გი მუნი იმდენად სუსტი პიროვნებაა, რომ რუსეთის თამაშს თამაშობს და მასზე ზეწოლის მოხდენა ადვილია. ასე რომ იყოს, თავის შეკავება და მსოფლიოში გარკვეულ ძალთა განლაგების გათვალისწინება გვმართებს.

– ამის შესახებ პრეზიდენტმაც გააკეთა განცხადება. მისი თქმით, პან გი მუნი რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულ შანტაჟს დაექვემდებარა.

– კახა ლომაია სააკაშვილის მითითების გარეშე სიტყვასაც არ იტყოდა, სანქცია ჰქონდა მიცემული. როცა შეცდომაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ, რომ ეს, პირველ რიგში, საქართველოს პრეზიდენტის მხრიდან დაშვებული შეცდომა იყო. დიპლომატიურ ომში ასეთი იარაღით მოგება შეუძლებელია.

– რა შანსები გვაქვს თუნდაც ყველაზე პოზიტიურ შემთხვევაში, რათა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომა ჩვენ სასარგებლოდ დასრულდეს?

– იმ ვითარებაში, რაც დღეს კონფლიქტის ზონაში არსებობს, უკვე ცხადია, რომ პოზიციები შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს: საქართველო უნდა დარჩეს იმ პოზიციაზე, რასაც სამართლიანად მიიჩნევს. ეს კი შემდეგია – ეს ჩვენი ტერიტორიაა, რომელიც დაბომბეს. ამიტომ ჩვენ მიერ გაზიარებული პოზიცია შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია. მაგრამ როდესაც ჩვენი ქვეყნის მეგობარი სახელმწიფოები ამბობენ, რომ გაერო-ში შევიტანოთ ისეთი რეზოლუცია, რომელსაც მხოლოდ მეგობრული მხარდაჭერის ფუნქცია აქვს, რეალურად, საკითხის გატანის და გადაწყვეტის რესურსი არ არსებობს, რაც გასათვალისწინებელია.

– თუ რუსეთი თანახმა არ იქნა, გაერო-ს მისია გაუქმების რეჟიმში გადავა. მას ხომ ვეტოს გამოყენების უფლებაც აქვს.

– დიახ, რუსეთს აქვს ვეტოს უფლება და ამ რეზოლუციის დაბლოკვა შეუძლია. სავსებით შესაძლებელია, მან ვეტოს უფლება გამოიყენოს, ამის გათვალისწინებით საერთოდ ამოი-

ღონ ეს საკითხი და გადაწყვეტილებაც არ იქნას მიღებული. თუ რუსეთის მიერ ამ საკითხს ვეტო დაედება, შემოგვთავაზებენ, გაერო-ს ვარიანტი მივიღოთ. და თუ კატეგორიულ უარს განვაცხადებთ, მაშინ საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისია აღარ იქნება.

– თქვენ როგორ თვლით, გვაქვს შანსი, რომ ჩვენ სასარგებლოდ გადაწყდეს ეს საკითხი?

– საქმე ის გახლავთ, რომ არ გვაქვს შანსი, არ გვაქვს შესაბამისი რესურსი. ამიტომ კომპრომისები უნდა ვეძებოთ, მაგრამ არა ისეთი, რომელიც აფხაზეთის საქართველოსგან ცალკე ყოფნას, არსებობას დაასაბუთებს. ჩვენი მთავრობა კი კომპრომისებზე არ მიდის. ეს მხოლოდ ამ შემთხვევას არ ეხება, ეს საერთო იდეოლოგიაა, ხელისუფლების მხრიდან კომპრომისები არ არსებობს არც ოპოზიციასთან მიმართებაში, არც სხვა საკითხებთან მიმართებაში. ხელისუფლება არ აღიარებს, რომ არსებობს პრობლემა, რაშიც დიდი წვლილი და პასუხისმგებლობა თავად მიუძღვის. ახლაც არაა გამორიცხული, კომპრომისზე არ წავიდნენ, შედეგად წააგებენ და მერე გამოაცხადებენ – რაც მოხდა, ძალიან კარგია, სხვა ვარიანტები არ იყო მისაღებიო.

– ბატონო გოგი, ბოლო დროს მართლაც ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, რომ გაერო-ს დამკვირვებელთა მისია ვერ იცავს ჩვენს მოქალაქეებს, ეუთო-ს მისია უკვე შეწყვეტილია, თუ გაერო-ს მისიამაც იგივე ბედი გაიზიარა, ვფიქრობ, საშიში რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით – ფაქტობრივად, რუსეთის პირისპირ ვრჩებით, რაც არა მგონია, ჩვენთვის სახარბიელო იყოს.

– დიახ, რა თქმა უნდა, გეთანხმებით. არა მარტო ჩვენ, არამედ, საერთაშორისო წრეები რუსეთთან პირისპირ რჩებიან. ეს ნიშნავს იმას, რომ ნაკლებად გაკონტროლდება სიტუაცია კონფლიქტის ზონებში, ასევე, ნაკლებად იქნება საშუალება ადრეული გამოვლენის და სწრაფი რეაგირებისა იმ საკითხში, როცა აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსეთი მოიმოქმედებს ინტენსიურ შეიარაღებას, ბაზების მშენებლობას და ა.შ. და, საერთოდ, ეს

შეიძლება გახდეს საერთაშორისო კრიმინალური ცენტრი საერთაშორისო კონტროლის არარსებობის გამო.

– ვფიქრობ, შეცდომა ბევრია დაშვებული, ტერიტორიების დაბრუნების ნაცვლად ჩვენმა ხელისუფლებამ ახალგორი ისევ ე.წ. „სამხრეთ ოსეთს“ „დაუბრუნა“. დროებითი ადმინისტრაციის შექმნას თავის დროზე მხარი დაუჭირა ჩვენმა ხელისუფლებამ?

– საფრთხეები არის იმ ფონზე, რომ ჩვენ წავიყრუებთ და სათანადო რეაგირებას არ ვახდენთ, რითაც ვკარგავთ პოზიციებს.

– რაც შეეხება აშშ-სთან დადებულ ხელშეკრულებას, ქარტიას, რაში შეიძლება დაგვეხმაროს იგი ამ სიტუაციაში?

– ქარტია თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ მასზე დაყრდნობით კონკრეტული ხელშეკრულებები არ იქნა ხელმოწერილი. ჯერჯერობით მოლოდინის რეჟიმში ვარ. როცა იანვარში ქარტიას ხელი მოეწერა, მაშინვე ითქვა, რომ გაფორმდებოდა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები, მაგრამ უკვე ნახევარი წელი გავიდა. როგორც ამბობენ, ობამას ადმინისტრაცია ჩამოყალიბების პროცესშია ამ რეგიონის, ამ საკითხის მიმართო, მაგრამ გადის დრო და აშკარაა, რომ საკითხისადმი პრიორიტეტულობა მაღალ დონეზე არ არის აყვანილი.

– და ბოლოს, მოლოდინი არსებობს, რომ გაერო აფხაზეთის ცალკე დაფიქსირებას აპირებს. რა მიზანი ამოძრავებს გაერო-ს?

– გაერო-ს ეს ხელს აძლევს იმიტომ, რომ ნაკლები თავის ტკივილი ექნება – ერთი სამშვიდობო ოპერაციით ნაკლები, რაც იმას ნიშნავს, რომ გაუთავისუფლდებათ გარკვეული რესურსები, ასევე, თუ ამ რეგიონში რაიმე მოხდება, ნაკლები პასუხისმგებლობა ექნებათ. რეაგირების მოხდენისგან და გარკვეული დასკვნების გაკეთებისგანაც თავისუფლდებიან.

პ.ს. ინტერვიუ 15 ივნისს ჩავიწერეთ, 16 ივნისს კი გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთმა ვეტო დაადო გაერო-ს მისიის მანდატის გაგრძელებას საქართველოში.



იყო თუ არა შესაძლებელი გაერო-ს დარჩენა

„რეზონანსი“, „მთელი კვირა“, 2009 წ. 17 ივნისი, #158 (6030), გვ. 16.
ჟურნალისტი რუსიკო მაჩაიძე, ფოტოთი

ეუთო-ს შემდეგ გაერო-ს ბედიც გადაწყდა და სამ თვეში საქართველოს დატოვებს, ყოველ შემთხვევაში, აფხაზეთის კონფლიქტურ რეგიონს. ხელისუფლება მაინც აცხადებს, რომ „რუსეთმა თავი იზოლაციაში მოიქცია“ და გამარჯვებული ქართული მხარეა, რადგან რუსეთს თავი არ დააჩაგვრინა. მაგრამ, ექსპერტთა ძალიან დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ „გასახარი და საზეიმო არაფერია.“

რუსეთმა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტს ვეტო დაადო, რითაც წყდება გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში, რომელიც ბოლო 16 წლის განმავლობაში აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარის მონიტორინგს ეწეოდა. კენჭისყრის დროს ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: 10 მომხრე, 1 წინააღმდეგი და 4-მა თავი შეიკავა. უშიშროების საბჭოს სამმა მუდმივმოქმედმა წევრმა – აშშ-მ, საფრანგეთმა და ბრიტანეთმა რეზოლუციის პროექტს მხარი

დაუჭირეს, ჩინეთმა თავი შეიკავა. თავი შეიკავეს, აგრეთვე, დროებითმა წევრებმა – ლიბიამ, ვიეტნამმა და უგანდამ.

გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომისათვის საქართველოს საკითხთან დაკავშირებით დასავლეთის ქვეყნებს თავისი ვარიანტი ჰქონდათ, რომელიც რუსეთს არ მოსწონდა; რუსეთს კი თავისი, რომელიც საქართველოს და დასავლეთის ქვეყნებს არ მოსწონდათ.

სხდომის დაწყებამდე რუსეთის წარმომადგენელი აცხადებს, რომ რუსეთი ვეტოს უფლებას გამოიყენებს იმ შემთხვევაში, თუ უშიშროების საბჭოში კენჭისყრაზე რეზოლუციის „დასავლური“ პროექტის რეზოლუციას წარადგენს.

რუსეთისთვის მიუღებელია, რომ საქართველოს შესახებ რეზოლუციაში ჩადებულიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება, რასაც ე.წ. #1808-ე რეზოლუცია ითვალისწინებდა. ასევე, ის, რომ გაერო-ს დამკვირვებელთა მისია საქართველოში დარჩენილიყო იმავე სახით და იმავე სახელწოდებით, როგორც დღესაა.

ამის გამო, საქართველოს მეგობარმა ქვეყნებმა სხდომაზევე მოამზადეს რეზოლუციის მცირე ვარიანტი, რაც საქართველოში მისიის ორი კვირის ვადით ტექნიკურ გაგრძელებას და ორ კვირაში ახალი კონსულტაციების გავლას ითვალისწინებდა. თუმცა რუსეთისთვის რეზოლუციის ეს ვარიანტიც მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან აქ ჩადებული იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება.

სხდომაზე რუსეთმა გაიტანა რეზოლუციის მის მიერ მომზადებული ვარიანტი, რომელიც საქართველოში გაერო-ს მისიის ერთი თვით ტექნიკურ გაგრძელებას ითვალისწინებს, ოღონდ იმ პირობით, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღარაა აღიარებული, რაზეც საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა უარი განაცხადეს.

საბოლოოდ კი რუსეთმა რეზოლუციის „დასავლური“ ვარიანტი დაბლოკა. ეს კი ვიტალი ჩურკინმა იმით ახსნა, რომ რეზოლუცია საქართველოში შექმნილ ახალ რეალობას არ ასახავდა.

მისი თქმით, რეზოლუციის ბოლო პროექტში არსებობდა დაუშვებელი დაყრდნობა ადრე მიღებულ რეზოლუციებზე. რე-

ზოლუცია ეყრდნობოდა 1994 წელს ხელმოწერილ მოსკოვის შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების თაობაზე. მისი განმარტებით, ეს შეთანხმება უკვე აღარ ფუნქციონირებს, ვინაიდან „საქართველო უკვე კარგა ხანია, გავიდა ამ ხელშეკრულებიდან.“

საქართველოს მხრიდან, ერთი მხრივ, კეთდება განცხადებები, რომ „გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ერთი ქვეყნის გადაწყვეტილების თავს მოხვევა აღმაშფოთებელი ფაქტია“ და, მეორე მხრივ, რომ „რუსეთმა თავი იზოლაციაში ჩაიყენა“ და ქართულმა დიპლომატიამ მოიპოვა გამარჯვება იმით, რომ არ ამოიღეს ისეთი გადაწყვეტილება, სადაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

პოლიტოლოგი გოგი ხუციშვილი აცხადებს, რომ მთავარი იყო მისიის შენარჩუნება და ამისთვის კომპრომისული ვარიანტის მოძებნაც იყო შესაძლებელი. თუნდაც იმით, რომ ქართული მხარე დაეთანხმება პან გი მუნის მიერ შემუშავებულ ვარიანტს. რაც მთავარია, მისი თქმით, გაუგებარია, თუ რატომ იქნა საქართველოს მეგობარი ქვეყნების მიერ ისეთი ვარიანტი წარმოდგენილი, რომელზეც რუსეთის მხრიდან ვეტოს დადების შესახებ წინასწარ იყო ცნობილი.

„ახლა საჭიროა იმაზე მუშაობა, რომ იქ შევიდეს ისეთი საერთაშორისო სტრუქტურა, რომელიც ადგილობრივ დონეზე მისაღები იქნება. ასეთი კი არის მხოლოდ გაერო და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ“, – აცხადებს ხუციშვილი.

ხელისუფლების მხრიდან კი ჯერჯერობით აქცენტი მხოლოდ ევროკავშირის დამკვირვებლებზე კეთდება. სხვათა შორის, რუსეთის მხრიდან უკვე გაკეთდა განცხადებები, რომ ისინი ამ მისიის მუშაობას ხელს არ შეუშლიან.

თუმცა, გოგი ხუციშვილის თქმით, ამ ვარიანტის რეალურად განხორციელება შეუძლებელი იქნება.

„რაც შეეხება ამ პერსპექტივას, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ მიიღოს უფლება, იმუშაოს აფხაზეთის ტერიტორიაზე, ეს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების კეთილგანწყობის გარეშე არ გამოვა. ისინი კი გააკეთებენ იმას, რასაც უკარნახებს რუსეთი. რუსეთი კი იმით არის დაინტერე-

სებული, რომ ეს ტერიტორიები იზოლაციაში მოექცეს და მოხდეს მილიტარიზაცია და მოხდეს იმ გეგმის განხორციელება, რაც მათ აქვთ ამ რეგიონის მიმართ. ამიტომ ახლა ლაპარაკი იმაზე, რომ იქ შევიდეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და მათ მიეცეთ საპოლიციო ფუნქციები, არის ფანტაზია და მეტი არაფერი.“



ომის საფრთხე და რისკის მთავარი ზონები

ვან ბაიბურთი: „გამორიცხულია, რომ საქართველოს სამცხე-ჯავახეთიდან რაიმე საფრთხე ელოდეს“

„რეზონანსი“, 2009 წ. 2 ივლისი, #173, გვ.11, ჟურნალისტი ია აბულაშვილი, ფოტოთი

ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე რუსეთის არმიის მასშტაბური წვრთნის ფონზე განცხადებები, სადაც საქართველო-რუსეთის ახალი ომის საფრთხეებზეა საუბარი, კიდევ უფრო გახშირდა. ამ განცხადებების ავტორები ძირითადად რუსეთის ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი რუსი ექსპერტები და პოლიტოლოგები არიან. ომის ალბათობას არც საქართველოში გამორიცხავენ და ქართველ ექსპერტთა ნაწილს ამ საკითხზე თავისი მოსაზრებები აქვს. მაგალითად, კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილის თქმით, საქართველოში დღეს რისკის ზონად შეიძლება ჯავახეთი ჩაითვალოს.

„ვერ ვიტყვი, რომ იქ სეპარატისტული განწყობაა, მაგრამ არის გარკვეული ჯგუფები, რომლებიც მუშაობენ, რომ შექმნან ისეთი სიტუაცია, თითქოსდა ჯავახეთში მოსახლეობა უკმაყოფილოა. ვინც ამ რეგიონში კარგად არის ჩახედული, იცის,

რომ იქ მოქმედებენ სერიოზული ნაციონალური ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობენ, ხელოვნურად დაძაბონ სიტუაცია. არსებობს ინტერნეტგამოცემა „ბაგინ.ინფო“, სადაც, შეიძლება ითქვას, ითესება შუღლი ქართველებსა და ადგილობრივ სომეხ მოსახლეობას შორის. თითქოსდა, ხდება სომეხი მოსახლეობის დისკრედიტაცია, მეორეხარისხოვან ადამიანებად თვლიან და ა.შ. თანაც ეს ხელისუფლებას კი არ ბრალდება, არამედ მთლიანად ქართველებს. სერიოზულად გამოსაკვლევია, ვინ დგას ამ ჯგუფის უკან.

გასაგებია, რომ არის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ამ ნიადაგზე შეიძლება იყოს რაღაც უკმაყოფილება, მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ ყველაზე დიდი დაფინანსება სამცხე-ჯავახეთს აქვს. სხვა საკითხია, რამდენად მიზნობრივად იხარჯება ის თანხები, რომელიც ამ რეგიონისთვის არის გამოყოფილი.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმას, თუ რა განწყობაა თავად ადგილობრივ მოსახლეობაში. ისინი ნამდვილად არ იზიარებენ იმას, რასაც ეს ჯგუფები ამბობენ და რაც ვებგვერდებზე იწერება. კარგად გრძნობენ, რომ მათი განვითარების მდგრადობა სწორედ რომ ინტეგრაციის მიმართულებაზეა დამოკიდებული და არა ავტონომიაზე. ოფიციალური ერევანიც ყოველთვის მოუწოდებს იქაურ მოსახლეობას სიმშვიდისკენ და ცდილობენ სიტუაციის დაბალანსებას.

აშკარაა, რომ ეს ძალები ძაბავენ სიტუაციას. ამიტომაც მეტი ყურადღება არის საჭირო ამ რეგიონისადმი, რომ ამ ძალებმა არ მოახერხონ და არ გაითამაშონ ეს ვერსია. დიდი ალბათობა არ არის, რომ ომი დაიწყოს, მაგრამ ეს სცენარი არსებობს, თუმცა რუსები ამას ვერ იყენებენ“, – აცხადებს „რეზონანსთან“ საუბრისას გიორგი ხუციშვილი.



დიქტატურა შესაძლებელია?

გიორგი ხუციშვილი: „ოპოზიციამ მომენტი დაკარგა“

„რეზონანსი“, 2009 წ. 11 ივლისი, #182, 1-2 გვერდი, ჟურნალისტი ნათია ახალაია, ფოტოთი

„ადრე ქართველისთვის რომ გეკითხათ, შესაძლებელია თუ არა საქართველოში ავტორიტარული რეჟიმის (არა თუ დიქტატურის) ჩამოყალიბება, ყველა გეტყოდათ: „შეუძლებელია“, იმიტომ, რომ ქართველი ყველაფერს ეგუება: უპენსიობას, უხელფასობას – ყველაფერს, მაგრამ თავისუფლების შეზღუდვას ვერ შეეგუება. ასეთი იყო ავტოსტერეოტიპი. ახლა კი სიტუაცია შეიცვალა: ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგავართ: ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ვცხოვრობთ და ხალხი, პრინციპში, ამას ეგუება. ეს იმას ნიშნავს, რომ ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება მივიდეთ დიქტატურამდე“, – „რეზონანსს“ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, გიორგი ხუციშვილი ესაუბრა.

– პრეზიდენტმა ობამამ მოსკოვში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, მაგრამ მანვე განაცხადა რუსეთის ლიდერებთან შეხვედრის შემდეგ, რომ „ისეთ სა-

დავო საკითხზე, როგორიც საქართველოა, რუსეთთან პოზიციის თანხვედრა უახლოეს მომავალში მოსალოდნელი არ არის“. ამერიკასა და რუსეთს, როგორც ჩანს, საერთო ინტერესები აქვთ ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში, მაგრამ ვერ თანხმდებიან საქართველოსთან მიმართებით. თქვენი აზრით, სად შეიძლება გაჩნდეს ზღვარი საქართველოს კონტექსტში რუსეთსა და ამერიკას შორის?

– თუ რა მიმართულებით შეიძლება წარიმართოს ობამასა და მედვედევს შორის ურთიერთობები, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, როგორ წარიმართება ურთიერთობები მედვედევსა და პუტინს შორის. რუსულ პოლიტიკაში არის ორი ხაზი – პუტინისა და მედვედევის. მედვედევის ხაზი უკვე გამოიკვეთა. ის შედარებით რაციონალური და თავშეკავებულია.

მაგრამ ობამა ამბობს, რომ განსხვავება პუტინისა და მედვედევის პოზიციებს შორის პრაქტიკულადა არ იკვეთება.

– სინამდვილეში განსხვავება არსებობს.

– ნიშანდობლივია ისიც, რომ ამერიკის პრეზიდენტს ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც ამერიკის პარტნიორად ითვლება და სადაც სერიოზული პრობლემა არ არსებობს, მოსკოვის შეხვედრებზე არც კი უხსენებია. მაგრამ საქართველო გამოკვეთილი საკითხი იყო და გარკვეული განცხადებაც გაკეთდა მასთან დაკავშირებით. ამით ობამამ აგვისტოს მოვლენები გარკვეულწილად შეაფასა. მოსკოვი ელოდებოდა, რა რეაქცია ექნებოდა ამერიკის პრეზიდენტს საქართველოსთან მიმართებით. და მან ეს რეაქცია დაინახა.

– მაგრამ ჩვენ ვნახეთ ისიც, თუ რა რეაქცია ჰქონდათ რუსეთის ლიდერებს ობამას განცხადებაზე.

– გასათვალისწინებელია, რომ ობამა-მედვედევის შეხვედრა მოხდა იმ აჟიოტაჟის ფონზე, როდესაც ტალიავინის კომისიის მიერ დასკვნის მიღება გადაიდო. პროცესი იწელება. როგორც ახლა ირკვევა, სექტემბრის ბოლომდეა გადატანილი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ტალიავინზე არის სერიოზული ზეწოლა ყველა მხრიდან და მას კიდევ სჭირდება დრო მოსაფიქრებლად. ტალიავინი, ჩემი აზრით, დროს წელავს.

– ზეწოლას ვინ ახორციელებს?

– ქართული მხარეც და რუსეთის მხარეც.

– და დასავლეთიც?

– და დასავლეთიც.

– დასავლეთის მხრიდან რა ზეწოლა შეიძლება არსებობდეს?

– რომ აქ გათვალისწინებული იყოს დასავლეთის ინტერესები. მათ თავიანთი ინტერესები აქვთ. მაგრამ დასავლეთის მხრიდან ზეწოლა რაციონალური ზეწოლაა, ლოგიკური ზეწოლა. რუსეთისა და საქართველოს მხრიდან კი ზეწოლა არის პოლიტიკური ხასიათის.

ვფიქრობ, ტალიავინის კომისიის დასკვნა უკვე გაკეთებული რომ ყოფილიყო ობამა-მედვედევის შეხვედრისთვის, ობამასა და მედვედევის საუბარი, ალბათ, უფრო საგნობრივი, უფრო კონკრეტული იქნებოდა; ახლა კი იგი დარჩა „სტენდბაის“ რეჟიმში, ასე ვთქვათ, გადადებულ რეჟიმში: „ახლა რაღაც ვთქვათ, მაგრამ ამაზე საუბარი მომავალში გავაგრძელოთ“. არ არის შესრულებული სარკოზი-მედვედევის ექვსპუნქტიანი დოკუმენტი. დაუკვირდით: ამის შესახებ ობამას არაფერი უთქვამს. ნორმალურ პირობებში კი უნდა ეხსენებინა.

– და ეს რეჟიმი რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს, თქვენი აზრით?

– ეს, ალბათ, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განვითარდება საერთოდ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები – მაგალითად, ირანთან მიმართებით. იმედი მაქვს, დასავლეთის მხრიდან შეიქმნება პირობები იმისთვის, რათა ირანი ჩაებას სახელმწიფოთა ენერგეტიკულ წრეში (დასავლეთის სახელმწიფოები, პლუს თურქეთი). ამით დაქვეითდება ირანის დამოკიდებულება რუსეთზე და უფრო უსაფრთხო გახდება მთლიანად რეგიონი. მაგრამ, შეიძლება, პროცესი სულ სხვა მიმართულებითაც წავიდეს.

– მაგალითად, რა მიმართულებით?

– მაგალითად ისე, რომ რუსეთს დასჭირდეს კონფრონტაციის გაღვივება ირანის მომცველ რეგიონში. თუ ნავთობსა და გაზზე ფასები აიწევს, ეს ცალსახად არ აწყობს ამერიკას და

დასავლეთ ევროპას; ეს ცალსახად აწყობს რუსეთს. ფასების მომატება კი, როგორც წესი, საომარი მოქმედების პირობებში ხდება. ამერიკას სჭირდება რუსეთის განეიტრალება იმისთვის, რომ არ მოხდეს ფასების ზრდა. და ამას ჯერჯერობით ცდილობს კონსტრუქციული და მეგობრული მეთოდებით.

ახლა რუსეთს საქართველოსთან ომი არ სჭირდება: ის ვერანაირად გაამართლებს საქართველოს წინააღმდეგ ხელახალ აგრესიას, თუკი მისი პროვოცირება არ მოხდება საქართველოს მხრიდან. რუსეთს ახლა ობამასგან სხვა გარანტიები სჭირდება სწორედ ენერგოპოლიტიკის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. რუსეთს სჭირდება გარანტიები იმისათვის, რომ მსოფლიოს დიდ ნაწილში ენერგოპოლიტიკაში მონოპოლია დარჩეს. ამისთვის კი სჭირდება, სულ მცირე, ის, რომ ამერიკა ამაში არ ჩაერიოს.

– და მიიღო ეს გარანტიები?

– გარანტიები არ მიუღია. ირანის საკითხი დარჩა ძალიან გაურკვეველი. ავღანეთთან დაკავშირებით მოხდა წინსვლა, გარკვეული დათმობა რუსეთის მხრიდან იყო, მაგრამ რის ხარჯზე მოხდა ეს დათმობა, ჯერ არავინ იცის. ამიტომ: გარიგებები ჯერ კიდევ იქნება; კიდევ ბევრჯერ იქნება ამერიკის ტესტირება რუსეთის მხრიდან – თუ რაზეა წამსვლელი ობამა. ნიშანდობლივია, რომ ობამას უკვე უმკვიდრდება ძალიან არასასურველი იმიჯი – აუჩქარებელი მოთამაშის იმიჯი, რომელიც შეიძლება სხვანაირად იყოს გაგებული რუსეთის მხრიდან. ამერიკას კი სულაც არ აწყობს, რომ ასეთი იმიჯი განუვითარდეს „მიმწოლი“ რუსეთის ფონზე. ამიტომ ამერიკის მხრიდან, ალბათ, იქნება გარკვეული დამაბალანსებელი სვლებიც. ამერიკის მმართველ რგოლში ობამასგან უფრო აქტიურ ქმედებებს მოითხოვენ. იმედი მაქვს, რომ ასეთი ქმედებები უახლოეს თვეებში შეეხება „ნაბუკოს“ პროექტის ამუშავებას.

– როგორ დაახასიათებთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს? თქვენი დაკვირვებით, ვინ იმარჯვებს არსებულ პოლიტიკურ კონფლიქტში?

– ვერც ერთი მხარე ვერ იმარჯვებს. ხელისუფლებას ჰგონია, რომ იმარჯვებს, ვინაიდან ჩაცხრა საპროტესტო ტალღა.

მაგრამ ეს არ არის გამარჯვება. პრობლემები გადაუჭრელი რჩება. ამის გამო საპროტესტო ტალღა გამეორდება – სავარაუდოდ, შემოდგომაზე. ზაფხული მაინც მკვდარი სეზონია. სექტემბრიდან მაინც გააქტიურდება პოლიტიკური ცხოვრება.

სელექციური სამართლის იმიჯი არის დამანგრეველი სახელმწიფოსთვის. ახლა ამ იმიჯს კიდევ უფრო ამყარებენ ახალი საკანონმდებლო ცვლილებებით. ცვლილებების ახალი პაკეტი რეჟიმს მნიშვნელოვნად გაამკაცრებს. და უკვე იცით, რა ხდება? სულ უფრო მეტი ადამიანი ფიქრობს საზღვარგარეთ გადასახლებაზე. სულ უფრო ხშირად შეხვდებით ადამიანებს, რომელთა ოჯახის წევრები სამშობლოდან მიდიან. უცხოეთიდან დაბრუნებას კი არ აპირებენ. ეს ყველაზე საშიში პროცესია. ხელისუფლების ქმედებების გამო ხალხში მკვიდრდება აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენთან ნორმალური სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება.

– ამ ლოგიკის მიხედვით, ჩვენი საზოგადოება უფუნქციოა.

– დიახ. ოპოზიცია ჩვენთან ამ პროცესებისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა, მაგრამ მოუმზადებელია საზოგადოებაც. ილუზორული იყო შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენთან სამოქალაქო საზოგადოება მომწიფდა. სინამდვილეში ასე არ არის. საზოგადოების უდიდესი ნაწილი ჩაკეტილი, უფუნქციოა. ის გავლენას ვერ ახდენს პროცესებზე და უფრო მომხმარებლური დამოკიდებულება აქვს გარემოს მიმართ. გარდა ამისა, ოპოზიციასთან მიმართებით იმედები გაუცრუვდათ. როდესაც აცხადებ, რომ საკნების ქალაქად გადააქცევ თბილისს, რიგში უნდა გყავდეს უამრავი ადამიანი, რომლებიც მზად არიან, საკნებში იცხოვრონ. თუკი ეს მუხტი მოდის ხალხისგან, მაშინ ბრძოლის ამ მეთოდს აქვს გამართლება. მაგრამ როდესაც შენ დგამ საკნებს იმისათვის, რომ დისკომფორტი შეუქმნა ხელისუფლებას, სინამდვილეში კი ამით ხალხს უქმნი დისკომფორტს (ხელისუფლება მშვენივრად გრძნობს თავს: შემოვლითი გზებით დადის), საკნები რჩება ცარიელი. და როდესაც ვიღაც მათ აღებას მოინდომებს, გამოჩნდებიან ვიღაცეები და ამბობენ: რატომ მიგაქვთ, აქ უნდა დარჩესო. რატომ უნდა

დარჩეს, თუ თავისი ფუნქცია დაკარგა? ისწავლე სხვა მეთოდით ბრძოლა! სხვა მეთოდის გამოყენება! ოპოზიციის ბრძოლის მეთოდები იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ უკან ხალხი დგას. მათ ეგონათ, რომ ხალხი საკნებისკენ სირბილით გასწევდა. არ გამოიქცა ხალხი საკნებისკენ!

ხელისუფლება კი სათავისოდ ძალიან აქტიურად მუშაობს ზაფხულშიც. საერთაშორისო დონეზეც იმუშავეს. ელჩები აქ, პრაქტიკულად, ისეთ პოზიციას იკავებენ, როგორსაც ანალოგიურ შემთხვევებში ევროპაში არ დაიკავებდნენ.

ოპოზიციამ მომენტი დაკარგა. არასწორი მეთოდების გამოყენებით, პრაქტიკულად, ჩიხში ჩაიგდეს თავი. ხალხი დაინტერესებულია პოლიტიკური ბრძოლით, მაგრამ არა უშედეგო, არაფრისმომცემი მეთოდებით ბრძოლით. მან ხელი ჩაიქნია, ფიქრობს: მაინც ვერაფერს მიაღწევენ და რა აზრი აქვს, რომ მეც თავი გავიგიჟო.

– ამ ფაქტორების გათვალისწინებით, თქვენი აზრით, დიქტატურის ჩამოყალიბება შესაძლებელია თუ არა?

– დიქტატურა შესაძლებელია. ადრე ქართველისთვის რომ გეკითხათ, შესაძლებელია თუ არა საქართველოში ავტორიტარული რეჟიმის (არა თუ დიქტატურის) ჩამოყალიბება, ყველა გეტყოდათ: „შეუძლებელია“. იმიტომ, რომ ქართველი ყველაფერს ეგუება: უპენსიობას, უხელფასობას – ყველაფერს, მაგრამ თავისუფლების შეზღუდვას ვერ შეეგუება. ასეთი იყო ავტოსტერეოტიპი. ახლა კი სიტუაცია შეიცვალა: ჩვენ ფაქტის წინაშე ვდგავართ: ავტორიტარული რეჟიმის პირობებში ვცხოვრობთ და ხალხი, პრინციპში, ამას ეგუება. ეს იმას ნიშნავს, რომ ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება მივიდეთ დიქტატურამდე.


ხათუნა ბახტურიძე

„კრემლს სურს, აფხაზეთი და ოსეთი სამხედრო პლაცდარმად გამოიყენოს“

„ამერიკა და ევროპა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ სიტყვიერად უჭერს მხარს“

2009

ᲒᲖᲐ

რუსეთის ფედერაცია აფხაზეთსა და ცხინვალში ერთმმართველობის დამყარებას აპირებს. კულუარებში გავრცელებულ ინფორმაციას — რომ უახლოეს მომავალში აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ძალოვანი სტრუქტურები მოსკოვიდან გაკონტროლდებიან და ამ ტერიტორიებზე მხოლოდ რუსული კანონები იმოქმედებს, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების ცენტრიც ადასტურებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბაღაფში და კოკოითი რუსეთისგან დამოუკიდებლად ვეღარც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ, ვერც საკუთარი მოქალაქეების უფლებებსა თუ ინტერესებს იცავენ და ვერც ეროვნული სიმდიდრეების შენარჩუნებას ახერხებენ, დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავენ 26 აგვისტოს — დღეს, როდესაც მედვედევმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ

„კრემლს სურს, აფხაზეთი და ოსეთი სამხედრო პლაცდარმად გამოიყენოს“

„ამერიკა და ევროპა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ სიტყვიერად უჭერს მხარს“

„გზა“, 2009 წ. 27 აგვისტო, #35, გვ. 8, ჟურნალისტი ხათუნა ბახტურიძე, ფოტოთი

რუსეთის ფედერაცია აფხაზეთსა და ცხინვალში ერთმმართველობის დამყარებას აპირებს. კულუარებში გავრცელებულ ინფორმაციას – რომ უახლოეს მომავალში აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ძალოვანი სტრუქტურები მოსკოვიდან გაკონტროლდებიან და ამ ტერიტორიებზე მხოლოდ რუსული კანონები იმოქმედებს, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების ცენტრიც ადასტურებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბაღაფში და კოკოითი რუსეთისგან დამოუკიდებლად ვეღარც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ, ვერც საკუთარი მოქალაქეების უფლებებსა თუ ინტერესებს იცავენ და ვერც ეროვნული სიმდიდრეების შენარჩუნებას ახერხებენ, დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნავენ 26 აგვისტოს – დღეს, როდესაც მედვედევმა აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ ბრძანებას

მოაწერა ხელი და „მამა-მარჩენალს“ გადარჩენისთვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღიარებისთვის“ მადლობის წერილებს უგზავნიან. თავის მხრივ, მედვედევი და პუტინი საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს არად აგდებენ, აფხაზეთსა და ცხინვალს სულ უფრო და უფრო ხშირად სტუმრობენ და ადგილობრივ მოსახლეობას „აგრესორი“ ქართველებისგან დაცვის გარანტიებს აძლევენ. თუ როგორ დაიცავენ რუსები აფხაზებსა და ოსებს, რა შედეგი მოჰყვება მოსკოვის თვითნებობას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რა შემთხვევაში გადადგამს ამერიკა რადიკალურ ნაბიჯებს რუსეთის მიმართ? – ამ საკითხებთან დაკავშირებით კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, პოლიტიკური ექსპერტი გოგი ხუციშვილი გვესაუბრება.

– ბატონო გოგი, როგორ ფიქრობთ, რა მიზანს უნდა ისახავდეს მედვედევისა და პუტინის ასეთი ხშირი ვიზიტი მათ მიერ უკვე ოკუპირებულ ტერიტორიებზე?

– მედვედევ-პუტინის გახშირებული ვიზიტები და მათ მიერ სეპარატისტული მთავრობების მიმართ მომეტებული ყურადღება იმისი მაჩვენებელია, რომ რუსეთს რეგიონში ჯერ თავისი საქმე არ დაუსრულებია. ვფიქრობ, აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარება მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო და ახლა ამ რეგიონების რუსეთის ფედერაციაში ინტეგრაცია იგეგმება. მოსკოვს სერიოზული სტრატეგიული გეგმა აქვს შემუშავებული იმისთვის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე საბოლოოდ დამკვიდრდეს როგორც ეკონომიკური, ისე სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით. გარდა ამისა, კრემლს სურს, ეს ტერიტორიები სამხედრო პლაცდარმად გამოიყენოს და ამის საშუალებით შავი ზღვის აკვატორიაში სტრატეგიული ბალანსი შეცვალოს.

– სტრატეგიული ბალანსის შეცვლაში რას გულისხმობთ?

– როდესაც რუსეთი ოჩამჩირეში, გუდაუთასა და ჯავაში სამხედრო ბაზებს აშენებს, რეგიონში მისი სამხედრო პოტენციალი საგრძნობლად გაიზარდა და მეტ საფრთხეს შეუქმნის

ისეთი ტრანსნაციონალური პროექტების განხორციელებას, როგორიცაა ნაბუკო.

– და ეს ხომ მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ იქნება?! თქვენი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციები რუსეთის მიმართ უფრო რადიკალურ ნაბიჯებს რატომ არ დგამენ, მათ ეს საფრთხე გაანალიზებული აქვთ?

– საერთაშორისო ორგანიზაციების ასეთი პასიური ქმედება იმითაა განპირობებული, რომ საქართველოს არა აქვს თანმიმდევრული, გამოკვეთილი პოლიტიკა. ჩვენი ხელისუფლების მხრიდან საერთაშორისო ორგანიზაციები ვერ იღებენ ისეთ იმპულსებს, რომ მათზე დაყრდნობით კონკრეტული ნაბიჯები გადადგან.

– ჩვენმა ხელისუფლებამ მათ რა იმპულსები უნდა მიაწოდოს?

– სააკაშვილმა, პირველ რიგში, დემოკრატიული იმიჯით მანიპულირება უნდა შეწყვიტოს. თუ ჩვენ ნატო-სა და ევროკავშირის წევრობა მართლა გვინდა, ეს საქმით უნდა დავამტკიცოთ და არა ცარიელი განცხადებებით. ჩვენი ხელისუფლება ამბობს, რომ პატივს სცემს დემოკრატიულ ღირებულებებს და სურს, გახდეს ევროპული ქვეყნების ღირსეული პარტნიორი, მაგრამ ქვეყანაში ავტორიტარულ რეჟიმს ამყარებს. ასეთ სატყუარას არც დასავლეთი წამოეგო და არც – ამერიკა. სააკაშვილის გუნდის მიერ ჩადენილი თვალთმაქცობის გამო აღარავინ გვენდობა, ღირსეულ პარტნიორად აღარ მიგვიჩნევენ და ჩვენ მიმართ მხოლოდ წმინდა პრაგმატული გათვლებით მოქმედებენ. ახლა ისინი იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ გამოგვიყენონ რუსეთის შემაკავებელ ბერკეტად. აი, ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რის გამოც ამერიკა და ევროპა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხოლოდ სიტყვიერად უჭერს მხარს და კონკრეტულ ნაბიჯებს არ დგამს.

– კი, მაგრამ ამით ხომ მათი ენერგეტიკული ინტერესები საფრთხის ქვეშ დგება?

– მართალია, კავკასიაში რუსეთის კიდევ უფრო გაძლიერება მათ ინტერესებს სერიოზული რისკის ქვეშ აყენებს, მაგრამ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ საქართველოს ვერ ენდობიან,

ურჩევნიათ, რუსეთთან გარკვეული ბალანსი დაამყარონ. რუსეთის მიმართ ამერიკასა და ევროპას მკაცრი, შემტევი პოლიტიკა რომ ჩამოეყალიბებინა, თურქეთიც უფრო ხისტი და შეურიგებელი იქნებოდა, მაგრამ ახლა, თუ დააკვირდებით, თურქეთის ხელისუფლება რუსეთთან შემრიგებლურ პოზიციას იკავებს და საერთო ეკონომიკური ინტერესების გამოძებნასაც კი ცდილობს.

– რამდენად შესაძლებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის წინააღმდეგ მოსკოვის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალში გატარებული იმპერიალისტური პოლიტიკა გამოიყენოს და რუსების მიერ უფლებაშელახულ აფხაზებსა და ოსებთან კონფლიქტის მოგვარების ახალი გზა გამონახოს?

– ეს ახლა ერთადერთი გამოსავალია. აუცილებელია, რომ დღეს არსებული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, აფხაზ, ოს და ქართველ ხალხს შორის აქტიური დიალოგი დაიწყოს და პოლიტიკურად ხელსაყრელ მომენტში კონკრეტული ნაბიჯები გადავდგათ.

– საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზებსა და ოსებს დიალოგისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ უკვე არაერთხელ მოუწოდა, მაგრამ მათ ეს შეთავაზება არ მიიღეს. როგორ ფიქრობთ, ამისი მიზეზი რა შეიძლება იყოს?

– ჯერ ერთი, ამ საკითხთან დაკავშირებით თავად საქართველოს ხელისუფლებაშია აზრთა სხვადასხვაობა. თემურ იაკობაშვილს არაერთხელ უთქვამს, რომ ამ დიალოგს მხარს უჭერს, მაგრამ ბაიდენის ვიზიტის შემდეგ მიხეილ სააკაშვილი პარლამენტში სიტყვით გამოვიდა და თქვა – სეპარატისტებთან, საერთოდ, რა დიალოგზეა ლაპარაკიო?! გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, აფხაზები და ოსები ოფიციალურ განცხადებებში საქართველოსთან მშვიდობიან თანაცხოვრებაზე უარს რუსეთის შიშით ამბობენ. მე თავად ვმონაწილეობ აფხაზებთან და ოსებთან დიალოგში და კარგად ვიცი, რეალურად, როგორია მათი განწყობილება. ისინი საქართველოსთან თანამშრომლობისთვის მზად არიან. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აქტიური იქნება ქართული

საზოგადოება. ჩვენი ორგანიზაცია ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ ერთ რამეს ითხოვს – ხელს ნუ შეგვიშლიან. რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალში ისეთ ტირანულ პოლიტიკას აწარმოებს და ადგილობრივ მოსახლეობას ისეთ შავ დღეში აყენებს, რომ ჩვენ, თანმიმდევრული და გონივრული გადაწყვეტილებების შედეგად, ამ პრობლემის მოგვარება ნამდვილად არ უნდა გაგვიჭირდეს.



გოგი ხუციშვილი: თუ რუსეთი კვლავ დაგვარტყამს, თურქეთი აჭარას დაიკავებს!

„საერთო გაზეთი“, 2009 წ. 14 სექტემბერი, #35 (67), გვ. 6, ჟურნალისტი თამარ შველიძე, ფოტოთი

რა შემთხვევაში დაუახლოვდება თურქეთი საქართველოს? რა როლს შეასრულებს თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებში სომხეთი? წავა თუ არა იგი საზღვრების გახსნის შემთხვევაში რუსეთის წინააღმდეგ? რა საფრთხე არსებობს დამატებითი ტერიტორიების დაკარგვის და ვინ ისარგებლებს დასუსტებული საქართველოთი? დაიკავებს თუ არა თურქეთი აჭარას? ამ საკითხებზე გვესაუბრება კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის თავმჯდომარე გოგი ხუციშვილი:

– დიდი ხანია მიდის საუბარი, რომ განახლდეს როგორც სარკინიგზო მიმოსვლა, ისე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები თურქეთსა და სომხეთს შორის. მოხდეს არა მხოლოდ ურთიერთობების დათბობა მათ შორის, არამედ ეს გამოიხატოს კონკრეტულ ქმედებებში. ამ საკითხზე შარშან აგვისტოს ომის შემდეგ ინტენსიურად საუბრობდნენ, თუმცა შემდგომში ით-

ქვა, რომ საზღვრების გახსნა რუსეთს არ აწყობდა, სომხეთს აჩერებდა და თურქეთიც თავს იკავებდა. ბოლო დროს ეს თემა ისევ აქტუალური გახდა. შეიძლება ამ თემასთან კავშირი არ არის, მაგრამ საყურადღებოა, რომ ბოლო დროს იძაბება ვითარება ჯავახეთთან მიმართებაში, ანუ სომხეთის პრეზიდენტმა სარქისიანმა წამოსწია თემა – ხომ არ გახდეს სომხური ენა ამ რეგიონში წამყვანი ენაო. სარქისიანმა ეს წინადადება ჯავახეთთან დაკავშირებით გამოთქვა, რამაც საქართველოში დიდი დისკუსია გამოიწვია. გარდა ამისა, გააქტიურდა ორგანიზაციები „ვერგხი“, „ჯავახკი“. არსებობს ინფორმაცია, რომ გარკვეული გართულებები მოხდა საქართველო-სომხეთის საზღვარზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯავახეთი პრობლემურ რეგიონად რჩება და მოუგვარებელი პრობლემები საქართველოსა და სომხეთს შორის არსებობს. მოგახსენებთ, რატომ ვფიქრობ ასე – ცოტა ხნის წინ, ივლისის ბოლოს, მონაწილეობა მივიღე ტელეხიდში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ სომხეთის წარმომადგენლები – ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს იყო ერევანში სააკაშვილის ვიზიტის შემდეგ. ისინი ძალიან გაღიზიანებული იყვნენ – საქართველო სომხეთს როგორც მეორეხარისხოვან ქვეყანას, ისე გვიყურებს, გვიწესებს საბაჟოზე გაუსაძლის რეჟიმს, ჩვენი კუთვნილი ტვირთი მესამე ქვეყნებიდან ვერ მოდის სომხეთში ისე, რომ საქართველომ ტრანზიტული, ძალიან დიდი ფასი არ დააწესოსო. გარდა ამისა, ლარსი რომ ისევ დაკეტილია, ამაში საქართველოს ადანაშაულებენ. ასევე ამბობენ, რომ აგვისტოს ომის შემდეგ გარკვეული სიძნელეები შეიქმნა, რომელიც სომხეთის ეკონომიკაზე აისახა. საკმაოდ ბევრი ბრალდება გაისმა საქართველოს მისამართით. ჩვენ განვუმარტეთ, რომ არ შეესაბამება სიმართლეს, თითქოს საქართველო სპეციალურად უქმნის სომხეთს პრობლემებს. მანამდე კი ვიმყოფებოდი თურქეთში შავი ზღვის რეგიონის კონფერენციაზე, სადაც საუბარი იყო იმაზე, თუ რა კურსს აირჩევდა თურქეთი. აღინიშნა, რომ თურქეთი ინტენსიურ, პარტნიორულ ურთიერთობებს ავითარებს რუსეთთან, მაგრამ, ამავე დროს ვიცით, რომ თურქეთს ამ რეგიონში ლიდერობის პრეტენზია აქვს, რასაც ადვილად არ დათმობს. გავიხ-

სენოთ თურქეთის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი მოსკოვში აგვისტოს ომის დროს. მან რუსეთის ხელმძღვანელობას უთხრა, რომ მისთვის ცნობილია იმ საშიშროების შესახებ, რომ რუსის ჯარი საქართველოს მთელი ტერიტორიის დაკავებას აპირებს, ასეთ შემთხვევაში იცოდეთ, რომ ჩვენ აჭარაში შევალთ, ყარსის ხელშეკრულების თანახმად ამ რეგიონის დაცვა გვევალებაო. მინდა ვთქვა, რომ ამ საკითხებთან მიმართებაში თურქეთს პრაქტიკული მიდგომა აქვს – თუ ამ რეგიონში საქართველო გაძლიერდება, მას დაუახლოვდება და თუ რუსეთი გაძლიერდება, მასთან იქნება. მათ საკუთარი ინტერესები აქვთ, მაგრამ პარტნიორობა და ალიანსი სჭირდებათ იმ ქვეყნებთან, რომლებიც რეალურად უფრო გამოსადეგია მათთვის.

– რა უპირატესობა აქვს თურქეთის სომხეთთან დაახლოებას?

– საკმაოდ დიდი. საერთო საზღვარი ძალზე მნიშვნელოვანია. ტრანზიტული პროექტებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზღვრის გახსნას. ასევე, მნიშვნელოვანია ის სახმელეთო გზა, რომელიც შენდება. ამ ვითარებაში საქართველო-თურქეთის ურთიერთობა ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარიმართება სომხეთ-თურქეთის ურთიერთობა. აქ იკვეთება ორი დიდი ძალა – რუსეთი და თურქეთი და ორი პატარა ძალა – საქართველო და სომხეთი, რომლებიც ცდილობენ საკუთარი ინტერესების გატარებას, თუმცა დისპროპორცია აშკარაა ამ ძალებს შორის.

– როგორ ფიქრობთ, საზღვრის გახსნის შემთხვევაში საქართველოს ფუნქცია რამდენად დაკნინდება?

– ამჟამად მონოპოლია გვაქვს იმიტომ, რომ ჩვენ იქით სომხეთს გზა არა აქვს. თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნით ალტერნატიული გზა უჩნდება საქართველოს გვერდის ავლით.

– კონკრეტულად, რა საფრთხის შემცველია ჩვენთვის რუსეთის თურქეთით ჩანაცვლება. თუნდაც როგორი იქნება საქართველოს ნატო-ში შესვლის საკითხი, რა პერსპექტივა გვექნება აფხაზეთის დაბრუნების და ა.შ.?

– თუ სომხეთი ორიენტაციას შეიცვლის რუსეთის მიმართულებით, მაშინ საქართველოსთვის ახალი, უჩვეულო გარემო შეიქმნება. მაგრამ, ჩემი გათვლით, ეს არ მოხდება.

– ასე ფიქრის საბაბს რა გაძლევთ?

– სომხეთი ყოველთვის ორ ძალას – რუსეთსა და თურქეთს შორის ითამაშებს. იგი არავითარ შემთხვევაში არ ჩამოიშორებს რუსეთს, როგორც პარტნიორს და მის წინააღმდეგ არ წავა, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ სტრატეგიული დაახლოება მოხდება თურქეთსა და რუსეთს შორის, სომხეთი, როგორც ამ ქვეყნებს შორის დამაკავშირებელი, ისე ჩაჯდება და მივიღებთ ასეთ სურათს – რუსეთი, აფხაზეთი, სამეგრელო, აჭარა და მერე მოდის თურქეთი. ანუ ძალიან სერიოზულად დადგება საკითხი იმის შესახებ, რომ რკინიგზა აფხაზეთიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით გავიდეს თურქეთში. ეს სერიოზული პოლიტიკური საკითხია. როგორ შეიძლება, ეს მოხდეს იმ ვითარებაში, როცა თითქმის ომის მდგომარეობა და დაპირისპირებებია. ამ ვითარებაში ეს ვერ მოხდება, ანუ ამას სჭირდება სულ სხვა პოლიტიკური გარემო. შეიძლება ეკონომიკა ამას მოითხოვს, მაგრამ პოლიტიკურად ძალიან ძნელი განსახორციელებელია. ამან შეიძლება ახალი აგრესიული გეგმები გამოიწვიოს რუსეთში, კერძოდ – იქნებ, საქართველო იმდენად დასუსტდეს, რომ ვისარგებლოთ ამით და ბრძოლით დავისაკუთროთ. ამ თემაზე საკმაოდ ღიად საუბრობს ჩრდილოეთ ოსეთის მასმედია. ისინი პირდაპირ საუბრობენ იმაზე, თუ როდის დასუსტდება საქართველო იმდენად, რომ ისარგებლონ შემდეგი საბაბით – საქართველოში არსებობს ოსებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები, მათ უნდათ ეს გამოიყენონ და საქართველოს ახალი დამატებითი ტერიტორიები წაართვან. სხვა ქვეყნების მიმართ ასეთი აქტიურობით ეს თემები არ იხილება. იმიტომ, რომ ისტორიულად ერთი ქვეყნის ნაწილი ახლა არის სხვა ქვეყნის ნაწილი, ამას ყველა შეგუებულია და ხედავენ, რომ ამ თემაზე საუბარს აზრი არ აქვს. საქართველოსთან მიმართებაში აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ჩრდილოეთ ოსეთში იწერება უამრავი მასალა, სადაც მითითებულია, რომ მათ ტერიტორიული პრეტენზიები აქვთ ჩვენთან,

შეტევაზე არიან გადმოსული. ამბობენ, რომ უნდა დასვან საკითხი, რათა ტერიტორიები დაიბრუნონ. მათ არავითარი უფლება არ აქვთ, ტერიტორიები წაგვართვან.

– აქედან გამომდინარე, რამდენად რეალურია საფრთხე ახალი ტერიტორიების დაკარგვის?

– გეტყვით რას ემყარება ზემოაღნიშნული მოსაზრება – საქართველოს იმიჯს, რომ ის არის არათანმიმდევრული, სუსტი პოლიტიკის მატარებელი ქვეყანა. ამიტომაც დგება აქტიურად საკითხი იმის შესახებ – ხომ არ წავართვათ ტერიტორიები საქართველოს.

– პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც საქართველო ამ ეტაპზე საკმაოდ დასუსტებულია.

– დიახ. თურქებს, იცით, რისი იმედი აქვთ? – თუ რუსეთი დაგვარტყამს, ამასობაში ესენიც წაგვართმევენ რამეს. რუსეთს ჯერჯერობით აბალანსებს მთელი მსოფლიოს პოზიცია. თურქეთის პოზიცია ამ ეტაპზე შემდეგნაირია – იგი მოვლენათა განვითარებას ელოდება. თუ რუსეთი დაგვარტყამს, ამ შემთხვევაში თურქეთი აჭარას დაიკავებს.



2 რეზონანსი საქართველოს ამბები 2009 წლის 22 სექტემბერი, სამშაბათი

გაგრძელება

«შპიგელი»: ტალიავინის კომისია საქართველოს ადანაშაულებს

გერმანულმა ჟურნალმა თავის წყაროებზე დაყრდნობით უკვე მესამედ გამოაქვეყნა ცნობები ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილების შინაარსზე

2009

რეზონანსი

„შპიგელი": ტალიავინის კომისია საქართველოს ადანაშაულებს

„რეზონანსი", 2009 წ. 22 სექტემბერი, #255 (6127), გვ. 1, ჟურნალისტი რუსიკო მაჩაიძე

„შპიგელი" კიდევ ერთხელ ამტკიცებს, თითქოს რუსეთთან ომი საქართველომ დაიწყო. სტატია ანონიმი „ბრიუსელელი დიპლომატის" ინფორმაციაზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ტალიავინის კომისია ქართულ მხარეს ომის დაწყებაში, რუსეთს კი ძალის გადამეტებაში დაადანაშაულებს. მართალია, ეს ინფორმაცია ტალიავინს, წინა შემთხვევების მსგავსად, ჯერ-ჯერობით, ოფიციალურად არ უარუყვია, მაგრამ ქართველი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ „ეს ინფორმაცია სანდო არ არის" და „სჯობს, საზოგადოება დასკვნის ოფიციალურად გამოცხადებას დაელოდოს".

გერმანულმა ჟურნალმა „შპიგელმა" გუშინ კიდევ ერთხელ გამოაქვეყნა სტატია იმის შესახებ, თუ რა წერია ტალიავინის კომისიის დასკვნაში, რომელიც, ევროკავშირის გადაწყვეტილებით, შარშანდელი ომის საკითხებს სწავლობს.

ამ კომისიამ ერთ მთავარ კითხვას უნდა გასცეს პასუხი – რეალურად ვინ დაიწყო ომი და რა იყო ამისი გამომწვევი მიზეზები.

კომისიის დასკვნის გამოქვეყნების თარიღმა რამდენჯერმე გადაიწია და, ბოლო ვარიანტით, ეს დასკვნა თვის ბოლოს გამოქვეყნდება. თუმცა ბოლო პერიოდში „შპიგელი“ უკვე მესამედ აქვეყნებს სტატიას, სადაც საუბარია დასკვნის შინაარსზე.

მართალია, წინა შემთხვევებში ტალიავინს და მისი კომისიის წევრებს მოუხდათ განმარტებების გაკეთება, რომ ჟურნალისთვის მათ ინფორმაცია არც ოფიციალურად მიუციათ და არც არაფორმალურად, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს თემა ამ ჟურნალისთვის მაინც ერთ-ერთ საინტერესო თემად რჩება და გუშინ კიდევ გამოქვეყნდა სტატია, სადაც ისევ დასკვნის შინაარსზეა საუბარი.

მართალია, ამ შემთხვევაში აღარ არის ნათქვამი, რომ მათ ეს ინფორმაცია კომისიის ხელმძღვანელისა თუ წევრებისგან აქვთ, როგორც წინა შემთხვევაში იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ბოლო სტატიის თანახმადაც, ტალიავინის კომისიის დასკვნა ისეთივე იქნება, როგორც ეს წინა სტატიებში იყო წარმოჩენილი.

ბოლო სტატიის წყარო ანონიმი „ბრიუსელელი დიპლომატი“ არის და სწორედ მის ინფორმაციაზე დაყრდნობით კიდევ ერთხელ ამტკიცებენ, რომ საქართველო-რუსეთის ომის მიზეზების შემსწავლელმა ევროკავშირის კომისიამ დაადგინა, თითქოს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტში ლომის წილი საქართველოს მიუძღვის.

თუმცა „შპიგელი“ იმასაც აღნიშნავს, რომ კომისია ომში ნაწილობრივ რუსეთსაც ადანაშაულებს, რომელმაც „გაამწვავა კონფლიქტი და მოქმედებაში ჩართო მსხვილი საარმიო შენაერთი.“

ოფიციალური მონაცემებით, კომისიამ დასკვნა 30 სექტემბერს უნდა გამოაქვეყნოს. თუმცა, „შპიგელის“ ინფორმაციით, ჰაიდი ტალიავინს დასკვნის მოგვიანებით გამოქვეყნება სურს, რადგან აპირებს, გამოძიების საკამათო ეპიზოდები გაერო-ს გენერალურ მდივანს, პან გი მუნს წარუდგინოს. ამის შემდეგ

კი, გერმანული გამოცემის მტკიცებით, ბრიუსელში შეიკრიბებიან ევროკავშირის 27 წევრი-სახელმწიფოს ელჩები, საქართველოსა და რუსეთის სამთავრობო დელეგაციების წარმომადგენლები და ტალიავინი მათ კომისიის დასკვნის საბოლოო ვარიანტს გააცნობს.

საქართველოს ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ „ამ საკითხთან დაკავშირებით „შპიგელის“ ინფორმაციაზე კომენტარის გაკეთება არ ღირს“ და „სჯობს, საზოგადოება კომისიის დასკვნის გამოქვეყნებას დაელოდოს.“

აღსანიშნავია, რომ ეს არის ის შემთხვევა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას ყველა ექსპერტი ეთანხმება და ამ შეფასებას იზიარებს. ამ შეფასებისას კი ექსპერტებისთვის გადამწყვეტი არის სწორედ ის ფაქტორი, რომ „შპიგელი“ მსგავს ინფორმაციას უკვე მერამდენედ ავრცელებს და ეს ინფორმაცია აქამდე არათუ არ დადასტურებულა, არამედ თავად ტალიავინმა განაცხადა, რომ ის ინფორმაცია, რაც მის კომისიაზე იყო მიწერილი, მათგან არ გასულა.

ის ფაქტი, რომ ჟურნალმა უკვე მესამედ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა წერია კომისიის დასკვნაში, ერთი მხრივ, აჩენს უნდობლობას და მიანიშნებს ამ თემისადმი მათ განსაკუთრებულ დაინტერესებაზე, მეორე მხრივ კი, ჩნდება ეჭვი, თუ არის შესაძლებელი, გამომცემლობა კიდევ ერთხელ ავრცელებდეს ცრუ ინფორმაციას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტი გოგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ „გამომცემლობისადმი უნდობლობის მომენტი სჭარბობს ლოგიკურ ახსნას.“

„ამ გამოცემას მაინცდამაინც არ ვენდობი იმის გამო, რომ აქამდეც ორჯერ იყო მსგავსი შემთხვევა, რომ გაავრცელეს მცდარი ინფორმაცია და „შპიგელის“ პუბლიკაციები ამ საკითხთან დაკავშირებით სერიოზულად არ აღიქმება. მე სულ ვცდილობ, რომ ამ დასკვნასთან დაკავშირებით რაღაც ინფორმაცია მოვიპოვო, თუ რა პროგნოზი კეთდება ან რა ინფორმაციამ გაჟონა, მაგრამ ამ ინფორმაციას კომისიის წევრები საგულდაგულოდ მალავენ და ცდილობენ, რომ წინასწარ არ გახმაურდეს და არანაირი პროგნოზი არ არსებობს. ამიტომ

ჩემთვის ამ „ბრიუსელელი დიპლომატის“ მოშველიებაც საეჭვოა და, მეტიც, მიღრმავებს იმ ეჭვს, რომ ეს ყველაფერი შეგნებულად ვრცელდება“, – აცხადებს გოგი ხუციშვილი.

თუკი იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ გამომცემლობის ვარიანტის დასკვნა ყველაზე მეტად რუსეთს უნდა აძლევდეს ხელს, ბუნებრივად ჩნდება ეჭვი, რომ ეს „კუდები“ სწორედ რუსეთისაკენ მიდის. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ „შპიგელის“ ერთ-ერთი ოფიციალური მეპატრონე რუსული „გაზპრომია“.

მიუხედავად ამისა, ექსპერტები მაინც მიიჩნევენ, რომ წინასწარ იმაზე საუბარი, რომ ეს რუსული დაკვეთით ხდება, არ შეიძლება, თუმცა რუსული ინტერესებისადმი ლობირებას ცალსახად აღნიშნავენ.

„შპიგელი“ პრორუსული სტატიების გამოქვეყნებაში საერთოდ შემჩნეულია, მაგრამ მე აქედან არ მინდა გავაკეთო ისეთი დასკვნა, რომ ეს ინფორმაცია მაინცდამაინც რუსების დაკვეთით არის გასული. არ ვიცი, ვისი დაკვეთით არის, მაგრამ „შპიგელს“ შერყეული რეპუტაცია რომ აქვს, ეს ფაქტია“, – აცხადებს გოგი ხუციშვილი.

თუმცა, საინტერესოა ის, რომ იგი აქცენტს იმ ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე აკეთებს, რასაც ამ სტატიების მეშვეობით ცდილობენ.

„ის, რაც ხდება ამ გამომცემლობის მეშვეობით, ფსიქოლოგიურ ზეწოლას ჰგავს, როდესაც რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ჟურნალის ფურცლებზე კეთდება ისეთი დასკვნები, რომელიც არის რუსეთისთვის სასარგებლო და თითქოს ეს იქნება კომისიის დასკვნა. ეს კი სწორედ კომისიაზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ჰგავს“, – მიიჩნევს გოგი ხუციშვილი.

რაც შეეხება იმას, თუ როგორი შეიძლება იყოს ეს დასკვნა და რამდენად არის მოსალოდნელი „შპიგელის“ პროგნოზების გამართლება, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ, სავარაუდოდ, დასკვნაში ყველა მხარე იქნება გაკრიტიკებული.

„ვინაიდან ტალიავინის კომისიის საერთო წონა არის ძალიან სერიოზული, მათ ევროკავშირის მხრიდან ძალიან სერიოზული ფუნქცია აქვთ დაკისრებული და ჰქონდათ სერიოზული და-

ფინანსება და საშუალება იმისა, რომ საკითხი საფუძვლიანად შეესწავლათ. ამიტომ, ჩემი აზრით, ეს დასკვნა, ალბათ, იქნება ობიექტური და აქ ყველა მხარის პასუხისმგებლობაზეა ლაპარაკი. არ იქნება რომელიმე მხარე მთლიანად გამართლებული ან მთლიანად გამტყუნებული.

ამასთან, ყველა მხარის პასუხისმგებლობის შესახებ, სავარაუდოდ, იქნება ლაპარაკი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ მინდა წარმოვიდგინო, რომ რუსეთის, როგორც აგრესორის, როლი არ იქნება სათანადოდ შეფასებული, იმიტომ, რომ ეს არ იყო პროპორციული რეაქცია იმაზე, რაც გააკეთა სააკაშვილმა. ეს იყო ჩაფიქრებული და განხორციელებული სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ტალიავინის დასკვნაში იქნება ასახული. მაგრამ რაც შეეხება იმას, თუ საითკენ იქნება გადახრილი, ამასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ გადახრილი არ იქნება არსაით და ობიექტურად იქნება შეფასებული“, – აცხადებს გოგი ხუციშვილი.



გოგი ხუციშვილი: ნატო-ში გაწევრიანება ხანგრძლივი პროცესია

„ჯი-ეიჩ-ენი“, 2009 წ. 3 დეკემბერი, ფოტოთი

ექსპერტი გოგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ დღეს ბრიუსელში დაგეგმილ ნატო-ს მინისტერიალზე საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მესიჯები არ გაკეთდება.

მისი განცხადებით, დღეს მსოფლიოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება დროში გაწელილი პროცესია და ეს მყისიერად არ მოხდება.

ექსპერტის თქმით, დღევანდელ მინისტერიალზე იქნება სამუშაო პროცესი, სადაც საუბარი შეეხება საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პროცესის ფარგლებში საქართველოში მიმდინარე პროგრამების განხორციელების საკითხებს.

„დღეს მსოფლიოში არსებული რეალობის გათვალისწინებით საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას ახლო პერსპექტივა არ აქვს. ამიტომ დღევანდელ მინისტერიალზე საუბარი შეეხება იმ პროგრამებს, რომელიც საქართველოში ნატო-ში ინტეგრაციის ფარგლებში ხორციელდება. დღეს

იქნება ანგარიშის ჩაბარება, თუ როგორ ხორციელდება აღნიშნული პროგრამები. რაც შეეხება ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში უნდა წარმოვიდგინოთ, რომ სწრაფად მოხდება საქართველოს ნატო-ში მიღება“, – აცხადებს გოგი ხუციშვილი.


2

მთელი კვირა საქართველოს ამბები 2010 წლის 12 აპრილი, ორშაბათი

კონფლიქტის ზონა

ახალგორში ოსური პასპორტების გაცემა იწყება!

„ძალდატანებით არ იქნება, ვისაც მოუნდება ოსური პასპორტის აღება, ის აიღებს“

2010

მთელი კვირა

ახალგორში ოსური პასპორტების გაცემა იწყება!

„ძალდატანებით არ იქნება, ვისაც მოუნდება ოსური პასპორტის აღება, ის აიღებს“

„მთელი კვირა“, 2010 წ. 12 აპრილი, #92, გვ. 2, ჟურნალისტი მარი ოთარაშვილი, ფოტოთი

ახალგორში ოსური პასპორტების გაცემა მაისიდან დაიწყება. როგორც „მთელ კვირას“ ახალგორიდან წყარომ შეატყობინა, ამაზე ქსნის ხეობაში უკვე სერიოზული ლაპარაკი მიმდინარეობს. დე ფაქტო ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ პროცესი ძალდატანებითი არ იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ პასპორტს ის აიღებს, ვისაც მოესურვება.

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ტელევიზიებმა გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს ახალგორელ დირექტორებსა და მასწავლებლებს დე ფაქტო ადმინისტრაცია იბარებდა ქართული პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დატოვებისა და ოსური პასპორტის აღების მოთხოვნით. „მთელ კვირასთან“ საუბრისას ეს ინფორმაცია თავად დირექტორებმა უარყვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მოთხოვნით დე ფაქტო ადმინისტრაციაში არავინ დაუბარებიათ (როგორც თავად ახალ-

გორელები ამბობენ და ამას დე ფაქტო ადმინისტრაციაც ირწმუნება), ერთი რამ მაინც ცხადი იყო: ოსური პასპორტიზაცია (და თანაც უკვე ძალიან მალე) მოსალოდნელი იყო.

კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილი „მთელ კვირასთან“ საუბრისას ამბობს, რომ ოსურ მხარეს დიდი ხანია, რაც გამშვები პუნქტის დახურვა სურდა, მაგრამ გაითვალისწინა რა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, გადაიფიქრა. ხუციშვილისვე თქმით, ახალგორის დე ფაქტო ადმინისტრაციას კარგად მოეხსენება, რომ გამშვებ პუნქტზე დიდი მოუწესრიგებლობაა, რაც საბოლოოდ, კონფლიქტოლოგისვე მოსაზრებით, ოსური პასპორტების დარიგებით დარეგულირდება.

„ოსურ მხარეს ახალგორის გამშვები პუნქტის ჩაკეტვა დიდი ხანია, რაც უნდოდა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები გაითვალისწინეს. ანუ სულ ჩაკეტვა პრაქტიკულად არ გამოდის, რადგან იქით-აქეთ გადაადგილება ადგილობრივ მოსახლეობას სჭირდება. ლაპარაკი იყო იმაზე, იქნება, რაღაცნაირად ყურადღება მივაქციოთ გამშვები პუნქტის სერიოზულად და უკეთ ჩამოყალიბებასო. მაგრამ ესეც არ კეთდება. ყოველ შემთხვევაში, ოსური პასპორტების გაცემას რომ აპირებენ, ფაქტია. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, ძალიან გაძნელებული და სრულიად მოუწესრიგებელია ახალგორის მიმართულებით მგზავრობა. ოსურ მხარეს გამშვები პუნქტის საერთოდ დახურვა კი იმიტომ უნდოდა, რომ იყო ვერსიები, თითქოს იქ კონტრაბანდა შედიოდა, ვიღაც არასასურველი პიროვნებები შედიოდნენ და ა. შ. სულაც რაიმე პროვოკაციის მოლოდინი რომ არ ჰქონდეთ, კარგად ახსოვს ყველას ტირძნისელი მოზარდების დაკავება, რომლებსაც საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან ერთად იარაღის შენახვაც ედებოდათ ბრალად. მაშინ სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ოსებს გამშვები პუნქტის დახურვა მოუნდათ, რომ იქაც არ მომხდარიყო ვინმეს შეგზავნა იარაღით. ანუ თვლიან, რომ ქართული მხრიდან პროვოკაციის საშიშროებაა მოსალოდნელი.“

გარდა იმისა, რომ გიორგი ხუციშვილი ოსური პასპორტების გაცემას პროგნოზირებს, იმასაც დასძენს, რომ ახალგორის

გამშვები პუნქტი შესაცვლელია და ის უნდა იყოს ისეთივე, როგორიც აფხაზეთშია.

„მოწესრიგებული იქნება მაშინ, როცა ახალგორთან გაიხსნება ისეთი გამშვები პუნქტი, როგორიც არის აფხაზეთთან. აფხაზეთში ხალხი რომ მიდის და მოდის, პრობლემები არ ექმნებათ, ახალგორთან კი ყველაფერი მოუწესრიგებელია: არავინ იცის, ვის როდის დააყაჩაღებენ, დააშანტაჟებენ, პროდუქტს თუ ფულს როგორ წაართმევენ და ა.შ. მართალია, ასეთი რაღაცეები ძირითადად ქართული საგუშაგოს მხრიდან უფრო ხდება, ვიდრე რუსულ-ოსურიდან, მაგრამ მაინც ხომ ხდება?! ყოველ შემთხვევაში, გამშვებ პუნქტზე სიძნელეები არსებობს, რაც იმას ნიშნავს, რომ გამშვები პუნქტის გახსნა ნორმალურად უნდა მოხდეს და არა დარჩეს ისეთი ფორმით, როგორიც ახლაა“.



საერთაშორისო ურთიერთობები

რას მოუტონს ნატო-ს ახალი სტრატეგია საქართველოს

„რეზონანსი“, მთელი კვირა, 2010 წ. 19 მაისი, #128, გვ.16, ჟურნალისტი ეკა ბასილაია, ფოტოთი

ნატო-ს სამომავლო 10-წლიანი სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი რუსეთთან თანამშრომლობის გაღრმავებაა. დოკუმენტი ნოემბერში უნდა დამტკიცდეს. ქართველი ექსპერტების აზრით, საქართველო თავისი აქტუალობით ბოლო ადგილზე ინაცვლებს, რადგან ახალი სტრატეგიის თანახმად, ნატო ეცდება, რუსეთი უფრო ინტენსიურად ჩართოს პროექტებში და უფრო დაიახლოვოს ის.

ამერიკული სააგენტო „ასოშიეიტიდ პრესი“ აქვეყნებს ნატო-ს ახალ პროგრამულ განცხადებას, რომლის თანახმად, მომდევნო ათწლეულის განმავლობაში ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა ავღანეთის ომი უნდა მოიგოს, რუსეთთან კავშირები უნდა გააფართოვოს, ისეთ საფრთხეს უპასუხოს, როგორიც ირანული რაკეტებია და ასევე თავისი 28 წევრის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს.

„ორშაბათს გამოქვეყნებული დოკუმენტის პროექტი ცდილობს იმ მზარდი განხეთქილების გადალახვას, რომელიც აშშ-ს

და ევროპის ქვეყნებს შორის არსებობს: შეერთებული შტატები ნატო-ს საერთაშორისო როლის გაძლიერების მომხრეა, ხოლო ევროპულ ქვეყნებს სურთ, რომ ორგანიზაციამ თავისი ტრადიციული თავდაცვითი კურსი შეინარჩუნოს.

„ნატო-ს გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი დოკუმენტის პროექტს ახალი სტრატეგიული კონცეფციისათვის გამოიყენებს, რომელსაც ალიანსს დასამტკიცებლად ნოემბერში, ლისაბონში დაგეგმილ სამიტზე წარუდგენენ.

საბჭოთა ინტერვენციის საფრთხესთან გამკლავების მიზნით, 1948 წელს შექმნილ ალიანსს საშუალო ასაკის კრიზისი აქვს. 28 ქვეყნისგან შემდგარი ბლოკი კომუნისტური მეტოქის დაშლიდან 20 წლის შემდეგ საკუთარი ფუნქციის ძიებაშია.

წინა სტრატეგიული კონცეფცია დიდწილად აქცენტს ნატო-ს სამშვიდობო როლზე აკეთებდა ისეთ ადგილებში, როგორებიცაა ბოსნია და კოსოვო. ის 1999 წელს მიიღეს, „ცივი ომის“ დასრულებიდან მალე და იქამდე, ვიდრე 2001 წლის აშშ-ის 11 სექტემბრის ტერაქტებმა ალიანსს ახალი ამოცანების ჩამოყალიბებისკენ არ უბიძგა, როგორებიცაა ავღანეთში აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები.

ალიანსი მოწოდებულია, შექმნას სტაბილური ავღანეთი, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმის ბაზა არ იქნება“ – ნათქვამია დოკუმენტში.

პროექტში ასევე ნათქვამია, რომ „ალიანსმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, რომელიც ალიანსს ავღანეთში დაეხმარება და მას ამ ხმელეთით გარშემორტყმული ქვეყნისკენ ევროპიდან მარშრუტი გაუხსნას“.

„ნატო-მ და რუსეთმა უფრო მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ სხვა საერთო ინტერესების სფეროებში, როგორებიცაა, მაგალითად, ანტისარაკეტო თავდაცვა, ტერორიზმთან და ნარკოტიკებთან ბრძოლა და საზღვაო უსაფრთხოება...“

გიორგი ხუციშვილის თქმით, „შეიძლება ნამდვილად მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ. ჩვენ უნდა წარმოგვედგინა ეს სიტუაცია. ამისი განჭვრეტა შეიძლებოდა. ნამდვილად მძიმე მდგომარეობაში შეიძლება აღმოვჩნდეთ. რუსეთი აშშ-სთვის,

მთელი დასავლეთისთვის, ნატო-სთვის იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ დასავლეთი ყველაფერს აკეთებს, რათა მოსკოვი თავისი გავლენის სფეროში მოაქციოს. ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს რაღაც გარკვეულ თანამშრომლობაზე წასვლას. რუსეთთან მიმართებაში დასავლეთის სიფრთხილე ისევ გაგრძელდება, მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრ დათმობაზე წავლენ. ცდილობენ, დაამუშაონ ისეთი პროექტები, რომ პროცესებში ჩართონ რუსეთი და ამით ნაკლებად საფრთხისმომცველი გახადონ. ამის შედეგად ხდება იმ ურთიერთობათა გადახედვა, რომელიც ნატო-სა და აშშ-ს აკავშირებდა პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებთან. ასე იქნება ჩვენთანაც. ურთიერთობები გადაიხედება.“

გიორგი ხუციშვილს მიაჩნია, რომ „ამის მიუხედავად, ნატო და აშშ რუსეთთან თანამშრომლობის ჩარჩოში ჩვენს ინტერესებს არ დააზარალებს, მაგრამ ლობირება, ისეთი, როგორიც ადრე იყო, არ იქნება. ობამას ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ ჩვენდამი დამოკიდებულება შეიცვალა და ეს ამ სტრატეგიის გახმოვანებამდეც იგრძნობოდა. აგვისტოს ომის შემდგომ, არა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთმა ცნო აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და განალაგა ბაზები, არა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში თავის სასარგებლოდ რაღაც პროცესები განავითარა – არა. არამედ იმიტომ, რომ ჩვენ ვმონაწილეობდით აგვისტოს ომის გაჩაღებაში. ამან ჩვენ ძალიან დაგვაზარალა და მიზეზი ჩვენშია.“

რა შეიძლება მოხდეს ამ ახალი სტრატეგიის შედეგად?

„ჩვენ შეიძლება წარმოვიდგინოთ ის, რომ იქნება კიდევ მცდელობა რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავების, ახალ ეტაპზე გადასვლის და რუსეთის უფრო ჩართვის ნატო-ს პროგრამებში. უფრო მჭიდრო ურთიერთობები, ვიდრე ადრე იყო.

ჩვენ მიმართ იქნება ისეთივე დამოკიდებულება, როგორიც ადრე იყო, მაგრამ უპირობო მხარდაჭერა და ლობირება, რაც ჩვენს ხელისუფლებას აგვისტოს ომამდე ჰქონდა, აღარ ექნება. ეს იქნება ერთადერთი განსხვავება. ამის შედეგად დასავლეთის დღის წესრიგში საქართველო გაცილებით დაბალ ადგილას იქნება, ვიდრე იყო ომამდე“, – ამბობს გიორგი ხუციშვილი.


www.banksandfinance.ge

ბანკები და ფინანსები

გოგი ხუციშვილი: „ირანთან ურთიერთობების განვითარება რუსეთის როლის დაბალანსებისთვის აუცილებელია“

2010

გოგი ხუციშვილი: „ირანთან ურთიერთობების განვითარება რუსეთის როლის დაბალანსებისთვის აუცილებელია“

„ბანკები და ფინანსები“, პოლიტიკური პანორამა, 2010 წ. მაისი, #235, გვ. 14, ჟურნალისტი არჩილ კაიკაციშვილი, ფოტოთი ასევე გამოქვეყნდა „მედიანიუსში“

საქართველო და ირანი ორმხრივ ურთიერთობებს აღრმავებენ. როგორც ამ დღეებში გახდა ცნობილი, მალე ბათუმში ირანის ისლამური რესპუბლიკის საკონსულო გაიხსნება, დაგეგმილია ორ ქვეყანას შორის უვიზო რეჟიმის შემოღება, პირდაპირი საჰაერო ფრენების აღდგენა და კულტურული მიმართულებებით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება. ირან-საქართველოს თანამშრომლობის ასეთ პერსპექტივას მედიასა და ექსპერტულ წრეებშიც არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ამ კონტექსტში ყურადღება ძირითადად გამახვილებულია საქართველო-ამერიკის სტრატეგიულ თანამშრომლობაზე, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მართებულობასა და უსაფრთხოებაზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ გოგი ხუციშვილთან.

– ბატონო გოგი, როგორ შეაფასებთ საქართველო-ირანს შორის ურთიერთობების ახალ ფაზას? საქართველოს პრეზიდენტი ირანის პრეზიდენტს ქვეყანაში ეპატიჟება. როგორ შეაფასებთ ამ მოვლენას?

– საქართველოში უკვე იმყოფებოდნენ ირანული მედიის წარმომადგენლები. გვქონდა მათთან საიტერესო შეხვედრა. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ურთიერთობების გაღრმავების ორმხრივი სურვილი და ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ირანთან ისტორიულად ძალიან ბევრი რამ აკავშირებს, ჩვენი თანამედროვე კონტაქტები ძალიან სუსტი იყო. თუნდაც, თურქეთთან გაცილებით მეტი იყო დიპლომატიური ურთიერთობები, ვიდრე ირანთან. მიმაჩნია, რომ ირანთან უნდა დაიწყოს და განვითარდეს ურთიერთობა, რადგანაც ეს ქვეყანა საქართველოსთვის მხოლოდ ავეჯის მომწოდებლის მდგომარეობით არ არის საგულისხმო. ირანი არის უმნიშვნელოვანესი გეოსტრატეგიული ქვეყანა რეგიონში, გააჩნია ენერგომატარებლები, მას უჭირავს სტრატეგიული სტატუსი. ირანი მჭიდროდაა დაკავშირებული აზერბაიჯანის პრობლემებთან, რადგანაც არსებობს ირანული აზერბაიჯანი. ამიტომაც ირანი არის სერიოზული მოთამაშე რეგიონში. აქამდე ამას ხელს უშლიდა მისი ბირთვული პროგრამა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან სანქციების დაწესების საფუძველი ხდებოდა და იმ პროდასავლური ქვეყნების დამოკიდებულებები, რომლებიც ასეთ ქვეყანასთან ურთიერთობისგან თავს იკავებდნენ. ამჟამად ვითარება პირიქითაა. ის ქვეყნები, რომლებიც დასავლური, ევროპული ორიენტაციის გზაზე დგანან, თვითონ იჩენენ ინიციატივას ირანთან ურთიერთობების განვითარებისთვის. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ რუსეთის როლი, გარკვეული ფორმით, დაბალანსდეს და რუსეთი აღარ წარმოადგენდეს ირანთან მიმართებით დომინანტურ ქვეყანას. ამდენად, ყოველთვის მომხრე ვიქნები სხვა ქვეყნების ირანთან ურთიერთობის დამყარების.

– საქართველო-ირანის ურთიერთობები მოიტანს თუ არა რაიმე ცვლილებას საქართველოსთვის?

– ვფიქრობ, რომ ასეთი პოლიტიკური ინიციატივები შეთანხმებული ნაბიჯებია. არ მიმაჩნია, რომ ამერიკას საქართველოსთვის რაიმე ფუნქცია მიენიჭებინოს ირანში სიტუაციის შეცვლისათვის. ამაზე ზედმეტია საუბარი, რადგანაც ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებული გავლენა არ გააჩნია. მეორეც, ამერიკიდან საქართველო ასეთ ფუნქციას იმიტომ ვერ მიიღებდა, რომ შეცვლილია ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ხარისხი და ამერიკის ადმინისტრაცია ბუშის პრეზიდენტობის დროინდელი საქართველოსთან ურთიერთობის მდგომარეობაში არ იმყოფება. ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ქვეყანა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებისთვის თავად უნდა იჩენდეს ინიციატივას. საქართველოს სურვილი, თანამშრომლობდეს ირანთან, ეს იქნება მხოლოდ სასიკეთო. მართალია, შეიძლება ითქვას, რომ ირანში რუსეთის ფაქტორი რაღაცა დოზით არსებობს, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ასეთი ფაქტორებია აზერბაიჯანი და სხვა ქვეყნები. სამომავლოდ, როგორ განვითარდება ენერგომატარებლების მარშრუტები, აუცილებლად საჭიროა, რომ საქართველოს ირანთან ჰქონდეს ნორმალური ურთიერთობები.

– არსებობს მოსაზრება, თითქოს საქართველოს ხელისუფლების ირანთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება აშშ-ის ადმინისტრაციის მხრიდან მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ იმედგაცრუებას უკავშირდება. რამდენად მართებულია ასეთი შეფასება?

– ასე გადაჭრით ირანთან საქართველოს ურთიერთობებს ამ ვარაუდით ვერ დავუკავშირებ. შეიძლება იყოს რაღაც საპასუხო აქცია იმ მოტივით, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეგულისხმა, თუკი აშშ სათანადო ყურადღებას არ გვაქცევს, მივმართავთ სხვა პოლიტიკას, მაგრამ ასეთი მიდგომა სერიოზულად არ მიმაჩნია. მე უფრო რეგიონული პოლიტიკის ახალი სტრატეგიული მიმართულებები მიმაჩნია სერიოზულ პროცესად. თუკი საქართველოს ხელისუფლებამ ირანთან ურთიერთობა, მართლაც, რაღაც ჯიბრის გამო გადაწყვიტა, მე ეს გადაწყვეტილება არ მიმაჩნია სერიოზულად და გამართლებულად.

– რას შეცვლის რეგიონში ირან-საქართველოს თანამშრომლობა?

– კონკრეტულად არ ვიცი, როგორ შეცვლის, მაგრამ არსებობს იმისი პოტენციალი, რომ დადებითად შეცვალოს.

– როგორ შეაფასებდით საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსს. ირანთან ურთიერთობები, რუსეთთან დათბობის პოლიტიკის ძიება. რაზე მეტყველებს ასეთი ტენდენციები?

– საგარეო პოლიტიკურ რაკურსში საგრძნობლად შეცვლილია ვითარება. ნატოც კი ცდილობს, რომ რუსეთთან განავითაროს ურთიერთობა. ამ მხრივ, არ შეიძლება, ჩვენ გლობალური დინების საწინააღმდეგო ქვეყანა ვიყოთ. ამიტომაც უნდა ვეძიოთ დიალოგი რუსეთთან, განვავითაროთ ურთიერთობა, რაც ამ დროისთვის გამოგვდის და არ მიმაჩნია, რომ რადგანაც ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, რუსეთს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ასეთი მიდგომები განვავითაროთ რუსეთთან, რადგან თვით აშშ რუსეთთან ახალ პოლიტიკას გვთავაზობს. ჩვენ კი არ უნდა დავუპირისპირდეთ ამ პროცესს, არამედ პროცესის მონაწილე უნდა გავხდეთ.


2 რეზონანსი საქართველოს ამბები 2010 წლის 3 ივლისი, შაბათი

ინტერვიუ

ხუციშვილი: ხელისუფლება, ხალხის ხარჯზე, ცდილობს თავი პროგრესულად წარმოაჩინოს

ეკა ბასილაია

2010

რეზონანსი

ხუციშვილი: ხელისუფლება ხალხის ხარჯზე ცდილობს, თავი პროგრესულად წარმოაჩინოს

„რეზონანსი“, 2010 წ. 3 ივლისი, #173 (6398), გვ. 2, ჟურნალისტი ეკა ბასილაია

ხელისუფლება დასავლეთის თვალში საკუთარი იმიჯის გამოსწორებისათვის ათასგვარ ხერხს მიმართავს – „ცუდი“ საბჭოური გადმონაშთების ნგრევით ცდილობს, ლიბერალის და პროგრესის დამცველის სახელი მიიღოს და ამ ყველაფერში საკუთარი ხალხისა და ეკლესიის იმიჯსაც სწირავს, ამბობს „რეზონანსთან“ საუბარში კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი.

„წლების განმავლობაში სტალინის ძეგლის გადატანა ბევრჯერ შეეძლოთ და ეს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ იმხელა მხარდაჭერის ფონზე რომ გაეკეთებინათ, კაციშვილი არ ამოიღებდა ხმას, მაგრამ ახლა გააკეთეს იმიტომ, რომ აგვისტოს ომის შემდგომ შეუსუსტდათ მხარდაჭერა მსოფლიოს მხრიდან. იმიჯის გამოსასწორებელი ღონისძიებები სჭირდებათ და დროდადრო აკეთებენ მსგავს რაღაცეებს, რომ თავი მოიწონონ, როგორ იბრძვიან უარყოფითი საბჭოთა წარსულის სიმბოლოების წინააღმდეგ. ამ დროს კი ჩამორჩენილი მოსახ-

ლეობა უშლის ხელს.“ მისი თქმით, „აბსოლუტურად მისაღებია, რომ სტალინის ძეგლი მუზეუმში გადაიტანეს, მაგრამ ჩნდება კითხვები – რატომ მაინცდამაინც დღეს, რატომ მაინცდამაინც ღამით და ასეთ პირობებში?“

გ.ხ.: „სტალინის ძეგლი დიდი ხანია, თავის რიგს ელოდებოდა... ის, რომ გორის ცენტრიდან მისი მოშორება უნდოდათ, სხვადასხვა ინტერვიუებიდან და მასალებიდან კარგად ჩანს. ჯერ ომის დროს ოსებს დაავალეს, რუსებს ფულიც შესთავაზეს, მაგრამ ვერავინ მოისყიდეს, რომ ძეგლის მოშორება ოსების ხელით მომხდარიყო. ამიტომაც ახლა თავად გააკეთეს.

საბჭოთა სიმბოლოების მოშლით კიდევ უფრო აღიზიანებენ რუსებს. ამასაც ხელისუფლება დაგეგმილად აკეთებს. ერთი მხრივ, საუბარია დიალოგისთვის მზადყოფნაზე, მაგრამ ქვეყნის შიგნით ისეთი რაღაცეები ხდება, რომ რუსეთის უფრო გაუცხოება და გაღიზიანება მოხდეს. ეს ყველა პროცესი ხელს უწყობს იმას, რომ სინამდვილეში დიალოგი არ დაიწყოს.

ჩემი აზრით, სტალინის ძეგლი გორის მოედანზე არ უნდა ყოფილიყო. ის ჩვენთვის არ არის ისტორიული პიროვნება, რომელიც ასე გამოსაჩენ ადგილზე, გორის ცენტრალურ მოედანზე იყოს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ძეგლის დემონტაჟი ღამით მოხდა, რომ ხალხი არ მიუშვეს კამერებით და ადგილობრივ მოსახლეობას იმისი საშუალება არ მისცეს, თავისი დამოკიდებულება დაეფიქსირებინა – ყველაფერი მეტყველებს იმაზე, რომ თან ძალიან უნდოდათ ძეგლის აღებაც და თანაც ეშინოდათ, ხალხის რეაქცია ძალიან მწვავე არ ყოფილიყო.“

„რ“: ძეგლის ღამით აღების ოფიციალური არგუმენტი უსაფრთხოების ზომების დაცვა იყო, ქუთაისის დიდების მემორიალის ნგრევისა და ტრაგიკული შედეგის გათვალისწინებით.

გ.ხ.: უსაფრთხოების ზომების დაცვა დღისითაც შეიძლებოდა, ხომ? მე ამაში სხვა რამ დავინახე. უნდათ, რომ საერთაშორისო სამსჯავროზე გაიტანონ ამბავი – აი, ჩვენ როგორი პროგრესულები ვართ, ასეთი უარყოფითი და საშინელი ისტორიული პიროვნების ძეგლს ვიღებთ და ამ დროს რა შეუგნებელი მოსახლეობა გვყავს, რომელიც ხელის შეშლას აპირებს

და ამიტომ გახდა საჭირო ღამით დემონტაჟი. ხელისუფლების სურვილი იყო მოსახლეობის ჩამორჩენილად და განუვითარებლად და, ამავდროულად, საკუთარი თავის პროგრესის მატარებლად წარმოჩენა.

თანაც, ეს არ არის პირველი შემთხვევა. შედარებების მოყვანა ბევრის შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს. მაგალითად, ანალოგიური შემთხვევა იყო ერეკლე დეისაძის წიგნის ირგვლივ ატეხილი ამბავი. ისიც იმისათვის გაკეთდა, რომ ხელისუფლებას თავი ლიბერალებად, პროგრესისტებად წარმოეჩინა, მოსახლეობა კი – ჩამორჩენილად.

„რ“: საკუთარი ხალხის დამცირება რაში უნდა აძლევდეს ხელს ქვეყნის ხელისუფლებას?

გ.ხ.: მსოფლიოში სააკაშვილს მხარდაჭერა შეუსუსტდა და დასავლეთისათვის დასავლური ღირებულებების ანგაჟირებით სურს იმიჯის აღდგენა.

„რ“: იმიჯისთვის საკუთარი მოსახლეობის დამცირება რატომ იყო აუცილებელი თუ ეს არის ხალხის მიმართ სიძულვილის გამომჟღავნება?

გ.ხ.: არა, სიძულვილი – არა. საკუთარი თავის პროგრესულად წარმოჩენა უნდა და თან ეს რაღაცის საწინააღმდეგოდ, კონტრასტის ჩვენებით უნდა მოხდეს. კონტრასტი კი რასთან გამოდის? მოწინააღმდეგე ამ შემთხვევაში გამოვიდა არა კონკრეტული ძალა, არამედ მთელი მოსახლეობა. მოსახლეობასთან კონტრასტის გაღვივებით უფრო ცხადად აჩვენა, რომ ის პროგრესულია.

„რ“: ანუ ხელისუფლება საკუთარი რეიტინგის და კეთილგანწყობისათვის სწირავს ხალხის იმიჯს?

გ.ხ.: ასე გამოუდის. ეს შეგნებულად ხდება თუ არა, ამას აბსოლუტურად ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება იქმნება.

„რ“: დეისაძის წიგნის, „საიდუმლო სირობის“, ირგვლივ ატეხილი სკანდალი ხელისუფლების მხრიდან იყო ინსპირირებული?

გ.ხ.: საერთოდ მეჩვენება, რომ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ მართვადი ორგანიზაციაა და არა მხოლოდ

ეკლესიის რიგი წარმომადგენლების მხრიდან, სხვა ძალების მხრიდანაც.

„რ“: სხვა – ვისი?

გ.ხ.: სამთავრობო ძალების მხრიდან, ამიტომაც, მომენტებში ეს ძალა იყო გამოყენებული. ერთი მხრივ, გამოყენებული იყო დეისაძის წიგნის პრეზენტაცია, მეორე მხრივ – „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ და შეიქმნა ისეთი ფონი, როდესაც გამოჩნდა „ექსტრემისტული“ მართლმადიდებლური ეკლესია და პროგრესის დამცველი მთავრობა. თუმცა აქ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა, „კავკასიის“ ტელეეთერში შეჭრა გეგმაში არ შედიოდა, რადგან შემდეგ სულ სხვა ჭრილში გადავიდა ეს ყველაფერი.

„რ“: თვლით, რომ ხელისუფლება ეკლესიასაც შეებრძოლა?

გ.ხ.: ეკლესიაც ჩამორჩენილად არის გამოცხადებული, რომელიც ებრძვის ლიბერალურ ღირებულებასა და გამოხატვის თავისუფლებას.

მანამდე მართლმადიდებლური კავშირისა და ეკლესიის პოზიცია განსხვავებულად არ ჩანდა, მაგრამ ეს სქემა მას შემდეგ დაინგრა, რაც ტელევიზიაში შეჭრა და ის ცემა-ტყეპა მოხდა, რომელმაც მართლა ცუდად გამოაჩინა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“. სხვათა შორის, ვიცი, რომ თავად ეკლესიაშიც ძალიან ბევრი ადამიანი ემიჯნება ამ მართლმადიდებლურ ორგანიზაციას.

„რ“: გამოდის, რომ ხელისუფლება საზოგადოებას და მის ღირებულებებს ებრძვის?

გ.ხ.: ებრძვის – არა. ეკლესიას იყენებს, როგორც უარყოფით, უფრო ჩამორჩენილ ფონს და ეს მხოლოდ იმისათვის, რომ მსოფლიოს საკუთარი თავი აჩვენოს უფრო პროგრესულად და ლიბერალური ღირებულებების დამცველად.



წინასწარ განწირული მოლაპარაკებები?

მოსკოვი და თბილისი ურთიერთობის აღდგენისათვის მზადყოფნას აცხადებენ

„მთელი კვირა“, 2010 წ. 12 ივლისი, #182, გვ. 5, ჟურნალისტი სალომე ცეცხლაძე, ფოტოთი

ის, რომ რუსეთი საქართველოსთან დიალოგისა და თანამშრომლობისთვის მზადაა, გასულ კვირას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებამ გვამცნო. პასუხად სააკაშვილმაც დაადასტურა რუსეთთან უპირობო თანამშრომლობის მზადყოფნის შესახებ.

ექსპერტების აზრით, შესაძლოა, დიალოგი მართლაც დაიწყოს, მაგრამ მის შედეგიანობაში ეჭვი ეპარებათ.

ექსპერტ გოგი ხუციშვილის თქმით, არც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაა მზად იმისთვის, რომ დიალოგი გამართოს რუსეთთან და არც რუსეთი. ამიტომ დიალოგის გადაწყვეტილება ორივესთვის მტკივნეული ნაბიჯია.

მისი აზრით, ქვეყნებმა ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგეს, რომ არსებობს საერთაშორისო ზეწოლა და მოთხოვნა მსოფლიოს ისეთი წამყვანი ძალისგან, როგორიცაა აშშ და ევროკავშირი.

ხუციშვილი აშშ-ს ამ საკითხში განსაკუთრებულ როლს ანიჭებს, რადგან მისი პოლიტიკა რუსეთის გაუცხოებაში ან მის იზოლირებაში აღარ მდგომარეობს, რაც ბუშის პოლიტიკის მიზანი იყო.

ხუციშვილის თქმით, „გადატვირთვის“ ფონზე ამერიკა და დასავლეთ ევროპა ცდილობენ, რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობა ააწყონ. არა იმიტომ, რომ რუსეთს ყველაფრის გაკეთების უფლება მისცენ, არამედ იმიტომ, რომ ჩართონ რუსეთი სხვადასხვა პროცესებში, რაც ამ ქვეყანას პასუხისმგებელს გახდის თავის ქმედებაში და უფრო გახსნილი იქნება ურთიერთობებში.

„ყველა ჩვენი მოკავშირე, გარდა ბალტიისპირეთის ქვეყნებისა, გვეუბნება, რომ საჭიროა დიალოგის დაწყება. ამიტომ უცხოეთის დასანახად რუსეთი და საქართველო აცხადებენ, რომ ამისთვის მზად არიან“, – ამბობს ხუციშვილი.

მისი თქმით, ამ მოლაპარაკებებით რუსეთი არაფერს კარგავს, საქართველოსთვის კი იგი უსაფრთხოებისა და პერსპექტივის თვალსაზრისით სამომავლო რისკს შეიცავს.

„რუსეთი რომ არაა მზად ამ მოლაპარაკებებისთვის, არ მგონია, მას ეს აღელვებდეს, მაგრამ ჩვენ რომ არ ვართ მზად, ეს არის რისკი. იმ საკითხებში, რაშიც რუსეთთან თანამშრომლობა გამოდის, უნდა ვითანამშრომლოთ. ეს არის ნორმალური ურთიერთობები და პოლიტიკა, თუნდაც ჩვენ მიმართ ისეთ არაკეთილგანწყობილ ქვეყანასთან ურთიერთობაში, როგორიც რუსეთია“, – ამბობს ხუციშვილი.

მისი თქმით, მიუხედავად დიალოგზე საუბრისა, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება მსოფლიოში, რომ კონფრონტაციისთვის ვემზადებით. სულ ვაჩვენებთ, რომ რუსეთის მხრიდან მოსალოდნელია კონფრონტაცია და არა რაიმე საკითხში თანამშრომლობა. ტელევიზიები და ყველა პროპაგანდული მანქანა ჩვენს ქვეყანაში იმაზე მუშაობენ, რომ ხალხს დაანახონ, რა ცუდი და უსამართლოა რუსეთი, პატარა ბავშვებსაც შთააგონებენ ამას.

„ჩვენ ვაჩვენებთ, რომ რუსეთი არის ისეთი ურჩხული, რომელთანაც ნორმალური ურთიერთობა, მენეჯმენტი, ურთი-

ერთობის პოზიტივზე გათვლა შეუძლებელია; ის მაინც მოგატყუებს, დაგჩაგრავს, ეცდება, ჩაგყლაპოს, დაგყოს და ა.შ. რუსეთის ასეთი გაგება გამორიცხავს იმას, რომ გამოიყენებ ურთიერთობის შესაძლებლობებს, რომელიც არსებობს. ხალხში თესავ გაუცხოებას რუსეთის მიმართ, ამიტომ რუსეთსაც არ უჩნდება სურვილი შენთან ურთიერთობისა და რაიმე პრობლემის მოგვარებაში დახმარებისა – თუნდაც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემას ეხებოდეს ეს“, – ამბობს ხუციშვილი.

მისი აზრით, რუსეთშიც ამ მხრივ საქართველოსმაგვარი სიტუაციაა, ხოლო როცა მხარეები დიალოგის აუცილებლობის შესახებ ლაპარაკობენ, ამავე დროს, კონფრონტაციის შენარჩუნებას არ უნდა უწყობდნენ ხელს. ეს ეხება როგორც საქართველოს, ისე რუსეთის პოლიტიკასაც.

შეგახსენებთ, რომ 8 ივლისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ტელეკომპანია „მირთან“ ინტერვიუში განაცხადა:

„პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის პირობებშიც კი, როცა რუსეთის ინტერესებს საქართველოში და საქართველოსას რუსეთში შვეიცარია წარმოადგენს, ჩვენ მზად ვართ ნორმალური კონტაქტებისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ამით როგორც რუსი, ისე ქართველი ერი დაინტერესებულია. ჩვენ მოძმე ერები ვართ, რომელთა ერთმანეთზე გადაკიდება რთულია, თუმცა პრეზიდენტი სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რომ ზუსტად ამას მიაღწიოს.“



გიორგი ხუციშვილი: ის, რასაც გვთავაზობენ, ჩვენზე მაღალი დემოკრატიის მქონე ქვეყნისთვის იქნებოდა მისაღები...

„საქართველოს რესპუბლიკა“, 2010 წ. 5 აგვისტო, #145, გვ. 2,
ჟურნალისტი თეა მოსია, ფოტოთი

კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების შესახებ გვესაუბრება საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი გიორგი ხუციშვილი, რომელიც საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის, ავთანდილ დემეტრაშვილის არგუმენტებს უპასუხებს.

– ავთანდილ დემეტრაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, საზოგადოებრივი კომისიის სასირცხვილოდ უნდა ითქვას, რომ მას ჩვენთვის არაფერი მოუწოდებიაო. მართლა ასე იყო, ბატონო გიორგი?

– ვერ დავეთანხმები. ჩვენ კონსტიტუციის ახალი ვარიანტის კონცეპტუალური ნორმები, ანუ ახსნა-განმარტება, ცალკე დოკუმენტად გვქონდა შემუშავებული და გაგზავნილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიისთვის. როგორც კი გვთხოვდნენ, რომ მიგველო მონაწილეობა, საზოგადოებრივი კომისიის წარმომადგენლები ყოველთვის ვმონაწილეობდით. ამის შემ-

დეგ ასეთი რამით აპელირება ნამდვილად არ შეიძლება. თუმცა, მე ვიტყოდი, რომ ეს არ იყო საკმარისი. და ამაში ვგულისხმობ იმას, რომ, ვთქვათ, მხოლოდ ორ ადგილს გვთავაზობდნენ სახელმწიფო კომისიაში. ჩვენ კი გვყავდნენ სპეციალისტები, რომლებიც დარგობრივად კონსტიტუციის სხვადასხვა ნაწილებს ამუშავებდნენ, ამიტომ საჭირო იყო მათი მეტი რაოდენობით წარმოდგენა და კომისიაში აქტიურად ჩართვა. ახლა ასეთ საკითხებზე ამით ვაჭრობა, ცოტა არ იყოს, უხერხულია.

– საზოგადოებრივი კომისიის წევრს, ვახტანგ ხმალაძეს, რამდენჯერმე შესთავაზეს სახელმწიფო კომისიაში ჩართვაო..

– ამის შესახებ, უმჯობესია, ვახტანგ ხმალაძეს ჰკითხოთ. თავიდან, როგორც ვიცი, მართლაც იყო შეთავაზება, მაგრამ მხოლოდ წევრობაზე. თუმცა იმთავითვე იყო იმისი განცდა, იქ პოლიტიკური მიზნების გამო ჩარევები იქნებოდა. ეტყობა, ამიტომაც შეიკავა თავი.

– როგორც ჩანს, არც დემეტრაშვილია საკონსტიტუციო ცვლილებებით დიდად კმაყოფილი.

– დიახ, მაქვს იმისი საფუძველი, ვიფიქრო, რომ შედარებით სხვა ვარიანტის გატანა სურდა. საბოლოოდ დემეტრაშვილ-შარმანაშვილის მოდელი გავიდა, მაგრამ, როგორც ვიცი, ეს არ იყო სრული სახით მიღებული.

– ითქვა საზოგადოებრივი კომისიის არაკომპეტენტურობაზე...

– ეს მთლიანად მათ სინდისზე იყოს. ჩვენი კომისია, მართალია, მცირერიცხოვანია, მაგრამ მისი პოტენციალი და ძლიერი იურისტების შემადგენლობა სახელმწიფო კომისიაზე ნაკლები კი არა, შეიძლება, მეტიც იყოს.

– თქვენგანაც მსმენია საყვედურები სახელმწიფო კომისიის არაკომპეტენტურობის გამო, ეხებოდა თუ არა ის უშუალოდ კომისიის თავმჯდომარეს?

– არავითარ შემთხვევაში ის ავთანდილ დემეტრაშვილს არ შეეხებოდა. მაგრამ აქ საუბარია იმაზე, რომ ჩვენმა კომისიამ აბსოლუტურად უსასყიდლოდ, სრულიად უანგაროდ შექმნა კომპეტენტური დოკუმენტი.

– კარგი, ურთიერთბრალდებებს შევეშვათ. შესაძლებელია თუ არა კონსტიტუციის კანონპროექტის წაკითხვა და განხილვა მოესწროს ხელისუფლების მიერ გამოყოფილ დროში?

– არ შეიძლება. სწორედ ამიტომ ვითხოვთ ოთხ თვეს. მოსახლეობა ერთ თვეში ვერ მოახერხებს განხილვას, მხარდაჭერას. ის აქტიური ადამიანები, რომლებიც მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულნი არიან კონსტიტუციაში, აქვთ ინტელექტუალური პოტენციალი, აქტიურად ვერ ჩაერთვებიან ამ პროცესში, ვინაიდან ზაფხულია, ზოგი ქალაქიდანაა გასული, ზოგი – ქვეყნიდან, ყოველ შემთხვევაში, მიუწვდომელია. ამიტომ საზოგადოების აქტიური ჯგუფები დასუსტებული არიან და ორგანიზებულად ვერ ფუნქციონირებენ.

ამას გარდა, მოსახლეობა არ არის გარკვეული კონსტიტუციის არსში, იმაში, თუ რითი განსხვავდება ძველი მოდელი ახლისგან, არ არის გამარტივებული ენით ახსნილი, რაც კიდევ ერთ დამატებით შემაფერხებელ ფაქტორს ქმნის „სახალხო განხილვის“ პროცესში. ხომ გახსოვთ 2004 წლის თებერვალში მიღებული კონსტიტუცია, რომელმაც მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა თავად ამჟამინდელი სახელმწიფო კომისიის მესვეურთა მხრიდან. არავინ ეუბნება მოსახლეობას, რითი იყო ეს კონსტიტუცია ცუდი ან რა უკეთესი პირობებით იცვლება ის, თანაც ასე სასწრაფოდ. ამიტომ კონსტიტუცია აგვისტოში კი არ უნდა განიხილებოდეს, არამედ უნდა შედგეს გეგმაზომიერი პროცესი, როცა მოსახლეობა შეძლებს საკონსტიტუციო ცვლილებების გაცნობიერებას.

ერთადერთი, რაც ხალხმა იცის, ესაა, რომ საპრეზიდენტო მოდელი არ იყო გაკრიტიკებული პრეზიდენტის მეტისმეტი, გადაჭარბებული ძალაუფლების გამო და საჭიროა ამისი შეცვლა. ამჯერად ძლიერდება პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტი, თუმცა შეიძლება გათამაშდეს პუტინისეული ვარიანტი. საქართველოს აქვს აბსოლუტური ბერკეტები საიმისოდ, რომ პრეზიდენტის პოსტიდან გადავიდეს პრემიერ-მინისტრის სავარძელში და დარჩეს თითქმის ისეთივე ძლევამოსილი ფუნქციები, რაც პრეზიდენტობისას ჰქონდა. გამოდის, რომ არაფერი იც-

ვლება და კონსტიტუციას ვჭრით და ვკერავთ იმისათვის, რომ სააკაშვილს გაუხანგრძლივდეს ხელისუფლებაში ყოფნის ხანა.

– დემეტრაშვილის აზრით, კონსტიტუციას სწორად ვერ კითხულობენ ან ცუდ ინტერპრეტაციას აძლევენ. მაგალითად, პრემიერ-მინისტრს კი არა, პრეზიდენტს აქვს უფლება, დაითხოვოს პარლამენტი, როცა ის უუნაროა.

– დიახ. პრეზიდენტს შეუძლია დაშალოს პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ.

– თუმცა თქვენი წარმოდგენელი პროექტის მიხედვით უფრო საპარლამენტო ტირანიის ნიშნები იკვეთება, ვიდრე დაბალანსებული სახელისუფლებო შტოების გადანაწილება.

– ქვეყნის რეალობას გააჩნია. აუცილებელია ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინება.

ახალი კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტი არ დგას უფრო მაღლა თავისი ფუნქციითა და უფლებამოსილებით, ვიდრე პრემიერ-მინისტრი. გადაწყვეტილების მიღება კი ხდება აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ. ახალი საკონსტიტუციო მოდელი თავისთავად საშიში არ იქნებოდა, რომ არ გვქონდეს თითქმის ერთპარტიული სისტემა პარლამენტში. ჩვენ გვაქვს პარლამენტი, სადაც დომინირებს სახელისუფლებო პარტია. გარდა ამისა, არ მონაწილეობენ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ღიად უპირისპირდებიან და რადიკალურად აკრიტიკებენ ხელისუფლებას.

– 2013 წელს იქნებ შედგეს პლურალისტური პარლამენტი. ამ შემთხვევაში გამოდგებოდა თუ არა ახალი ცვლილებების მიხედვით მიღებული კონსტიტუცია?

– ასეთ შემთხვევაშიც კი პრეზიდენტს მაინც რჩება ბერკეტი პარლამენტის დასაშლელად.

– უუნარო იქნება თუ უნარიანი, არა აქვს მნიშვნელობა?

– ჩვენი კომისიის დასკვნით – არავითარი. ეს რომ ასე არ მოხდეს, სწორედ იმიტომ ვითხოვდით ამ ნაწილის შეცვლას. თუკი დასჭირდებათ, პარლამენტს ქმედუუნაროდ გამოაცხადებენ. ჩვენთან ყველაფერი გაუდის იმას, ვის ხელშიც ხელისუფლებაა. ახალი ვარიანტის მიხედვით, თუკი პრეზიდენტი გადააჭარბებს უფლებამოსილებას, პარლამენტს არავითარი

ბერკეტი არ რჩება საიმისოდ, რომ გადააყენოს პრეზიდენტი. აი, ასეთნაირად ჩამოყალიბდა სისტემა წლების განმავლობაში და დაუსჯელობის ინსტიტუტი ისევ არსებობს.

ზოგადად, მრჩება შთაბეჭდილება, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები უფრო მაღალი დემოკრატიის მქონე ქვეყნისთვის იქნებოდა შესაფერი, მაგრამ არა ისეთი პოლიტიკური კულტურის მქონე საზოგადოებისთვის, როგორიც საქართველოა. საშიშროება სწორედ აქედან მომდინარეობს, რადგან არ არიან ჩვენთან ისეთი მძლავრი დემოკრატიული ინსტიტუტები, რომლებიც ასეთ სიტუაციაში ჩაერევიან.

– იცით, როცა საპარლამენტო უმცირესობის ნაკლებ უფლებამოსილებაზეა საუბარი, დემეტრაშვილი ამბობს, რომ მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება – პარლამენტში ანარქია არ გამოიწვიოს...

– სასაცილო არგუმენტია. ეს ნამდვილად არ გამოიწვევდა საპარლამენტო ანარქიას. რაც უნდა იყოს, დემეტრაშვილმა კარგად იცის, რა იქნებოდა უმჯობესი. მის კომპეტენტურობაში ეჭვი არავის ეპარება. სწორედ ის მექანიზმი, რომ არ მოხდეს ეს საპარლამენტო ანარქია, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მოდელშია დარეგულირებული. ჩვენ კიდევ გვაქვს იმედი, რომ გამოიჩენენ კეთილგონიერებას, საზოგადოებას მისცემენ სახალხო განხილვისთვის საჭირო დროს და ხალხი თავად გადაწყვეტს, რა არის უმჯობესი, რომელი კანონპროექტიდან რა არის მისაღები და რა – არა.



პერევი რუსების და ახალგორი ქართველების გარეშე?!

„Georgian Life“, 2010 წ. ნოემბერი, გვ. 23-24, ჟურნალისტი ქეთი გაბინაშვილი, ფოტოთი

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჟენევაში საქართველოს, რუსეთის, ამერიკის, ევროკავშირის, გაერო-სა და სეპარატისტული რეგიონების წარმომადგენლები მეცამეტედ შეიკრიბნენ. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ დევნილების უპირობო დაბრუნების საკითხი დააყენა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მათი მთავარი არგუმენტი გაერო-ს მიერ მიღებული რეზოლუცია იყო. საუბრები პოლიტიკური უსაფრთხოების ახალ კონცეფციებსაც შეეხებოდა.

მოლაპარაკებაზე ორი საყურადღებო განცხადება გაჟღერდა. ეს იყო ოფიციალური მოსკოვის ინიციატივა პერევიდან რუსული ჯარის გაყვანის შესახებ და სეპარატისტული ცხინვალის განცხადება – ახალგორში ოსური იურისდიქციის ქვეშ დევნილების დაბრუნება.

ჟენევის მეცამეტე რაუნდზე გაჟღერებული განცხადებებისა და ინიციატივების შეჯამება კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილს ვთხოვეთ:

– ჟენევის მოლაპარაკებები მხარეებს შორის ერთადერთი არხია და ამიტომ მისი შეწყვეტა მიზანშეწონილი არ იქნება. მეცამეტე რაუნდზე რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის შედეგია. მიუხედავად ამისა, მათი მხრიდან პერევის დატოვება უდავოდ დადებითი ნაბიჯია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ სარკოზი-მედვედევის მიერ მიღებული დოკუმენტის შესასრულებლად ყველა მუხლი უნდა იყოს გათვალისწინებული. 2008 წლის 6 აგვისტომდე არსებული მდგომარეობის აღდგენა ჯერჯერობით შეუძლებელია. რუსეთი ამაზე არ წამოვა, მაგრამ თითოეული სოფლის დატოვება უკვე რაღაცას ნიშნავს.

– პერევიდან ჯარის გაყვანის სანაცვლოდ საქართველოს მსო-ში რუსეთისათვის სასარგებლო მოქმედება ხომ არ მოუწევს?

– პერევიდან ჯარის გაყვანის გადაწყვეტილების სანაცვლოდ რუსეთი თავის მოთხოვნებს აყენებს. იმისათვის, რომ ეს პროცესი შეუქცევადი გახდეს და სასაზღვრო ნაწილები მთლიანად გაიყვანონ, საქართველომ არ უნდა გადადგას გაუთვალისწინებელი ნაბიჯები: არ შეიყვანოს დიდი რაოდენობით ჯარი და არ გააკეთოს ისეთი მანევრი, რომელიც იმ მონაკვეთში სიტუაციას დაძაბავს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველო მსო-ში რუსეთის გაწევრიანებას შეუწყობს ხელს. ქართულმა მხარემ თავდაპირველად დასვა ეს საკითხი, რომ ჩვენი ტერიტორიიდან ჯარების სრულად გაყვანის შემთხვევაში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის სასარგებლოდ მივცემდით ხმას. მაგრამ მოგვიანებით ოფიციალურმა თბილისმა განსხვავებული შინაარსის განცხადება გააკეთა. მათი თქმით, აღნიშნული ინიციატივა არასწორად იქნა გაგებული. საქართველოს ჯარების გაყვანისა და მსო-ში გაწევრიანების საკითხი ერთად არ განიხილება. ეს თემები ერთმანეთთან კავშირში არ არის. აღნიშნული გადაწყვეტილება ლოგიკურიცაა, რადგან საერთაშორისო ასპარეზზე ირონიას გამოიწვევს, თუკი ხელში ბერკეტი ჩაგვივარდება და ამ გზით შევეცდებით ჩვენი პრობლემის მოგვარებას, ეს არაადეკვატური მიდგომა იქნება. საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყ-

ვანა ყველა შემთხვევაში უნდა მოხდეს, არა აქვს აზრი, ისინი მსო-ში გაწევრიანდებიან თუ არა.

– რაც შეეხება ახალგორში დევნილების დაბრუნების საკითხს?

– ახალგორში დევნილთა დაბრუნება სასაზღვრო რეჟიმის გამკაცრებას უკავშირდება. სეპარატისტების კონტროლირებად ტერიტორიაზე შემსვლელი ყველა ადამიანი გარკვეულ გადასახადს იხდის. ამასთანავე, ახალი ინიციატივის თანახმად, რეჟიმი მკაცრდება. სეპარატისტებს ქართულ მოსახლეობასთან ახალი მოთხოვნა აქვთ: ახალგორში ცხოვრებას მხოლოდ ქართული პასპორტის ჩაბარების შემთხვევაში გააგრძელებენ. კონფლიქტურ რეგიონში მცხოვრებ ადამიანებს მძიმე გადაწყვეტილების მიღება უხდებათ. აქამდე მათ ქართული და ოსური პასპორტები ჰქონდათ, ახლა ოსებს ამ ფაქტის აღკვეთა უნდათ. ჩემი აზრით, ამ სიტუაციიდან ყველაზე კარგი გამოსავალია, ოსური დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიაზე დროებით იყოს დაშვებული, როგორც გადაადგილების საშუალება, რაც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვს. სხვა შემთხვევაში, ჩემი პროგნოზით, ახალგორის რაიონი ქართული მოსახლეობის გარეშე დარჩება.

– ანუ ქართველები რეგიონს დატოვებენ?

– ალბათ, ახალგორი ქართველებისგან დაიცლება. ზოგიერთი პასპორტსაც ჩააბარებს, მაგრამ უფრო მეტი იქნება ისეთი, რომელსაც არ უღირს იმ ტერიტორიაზე დარჩენა. ხალხი იქაურ უსაფრთხოებასა და სასიცოცხლო პირობებს არ ენდობა. საქართველოს კონტროლირებად მხარესთან მათ გარკვეული კავშირების შენარჩუნება სჭირდებათ. საკვები პროდუქტებიც კი აქედან შეაქვთ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ისინი ახალგორს დატოვებენ. თუ რეგიონი ქართველებისგან დაცარიელდა, უფრო მცირე ბერკეტი დაგვრჩება. პრობლემის მოსაგვარებლად მნიშვნელოვანია, მოსახლეობა საკუთარ სახლებში დარჩეს.

– როგორ უნდა ავირიდოთ ეს პროცესი თავიდან?

– მოსაძებნია ერთგვარი დოკუმენტის სახე. უნდა დავუშვათ კომპრომისი, რადგან ჩვენს მოქალაქეებს მდგომარეობა

შევუმსუბუქოთ. საჭიროა, რომ ქართველები ახალგორში დარჩნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კონფლიქტის მოგვარება უფრო მეტად გაგვიძნელდება.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გიგა ბოკერიას აზრით, „რუსები შეეცდებიან ამ ფაქტის გაყიდვას, როგორც კიდევ ერთი კონსტრუქციული ნაბიჯი. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ეს უმცირესი ნაწილია იმ ვალდებულებებისა, რაც მათ აღებული აქვთ 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი შეთანხმებით.“

18 ოქტომბერს სოფელი პერევი რუსული ჯარისგან გათავისუფლდა, დაიშალა საგუშაგოებიც. ჩააბარებენ თუ არა საქართველოს მოქალაქეები ქართულ პასპორტებს და დაიცლება თუ არა ახალგორის რაიონი, ეს ქართველების გადაწყვეტილებასა და მთავრობის მიერ დაშვებულ კომპრომისებზეა დამოკიდებული.

ჟენევის მოლაპარაკებების მეთოთხმეტე რაუნდი კი 16 დეკემბერს გაიმართება.



სახალხო დიპლომატიის პოტენციალი ომის შემდგომ – ქართულ-ოსური კონფლიქტის მაგალითი

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროგრამის ხელმძღვანელი, 2010 წ. 29 ნოემბერი, აშშ კონფლიქტების ანალიზისა და მოგვარების ცენტრი, ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტი, გამოქვეყნდა უნივერსიტეტის ვებგვერდზე

ამ ორიოდე წლის წინ ჩვენ განსაკუთრებული პრობლემის გარეშე, თავისუფლად შეგვეძლო ცხინვალში გამგზავრება ჩვენი მეგობრების მონახულების მიზნით, ხოლო მათ კიდევ უფრო იოლად შეეძლოთ, გვწვეოდნენ თბილისში. კიდევ უფრო ადრე, კერძოდ კი 2004 წლის ზაფხულამდე, ჩვენ უპრობლემოდ შეგვეძლო სემინარის, ტრენინგისა თუ კულტურული ღონისძიების ორგანიზება ცხინვალის ადგილობრივი მოსახლეობისათვის ანდა ამავე მიზნით შეგვეძლო, მოგვეწვია ისინი თბილისსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში. ოსებიც ასევე აქტიურები და შემოქმედებითნი იყვნენ. დღეს ჩვენ ამის შესახებ ისე ვსაუბრობთ, თითქოს ეს ყველაფერი სიზმარში ხდებოდა. ჩვენ შორის ხელახლა გაიარა სიძულვილის, სისხლისა და გაუცხოების ტალღამ. ასეთ შემთხვევებში კონფლიქტის

ესკალაციის სპირალი ახალ საფეხურზე ადის და დიალოგის დაწყება თითქმის ნულოვანი ათვლის წერტილიდან გვიხდება. საბედნიეროდ, ორივე მხარის სამოქალაქო საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ მშვიდობიანი თანაცხოვრების პერიოდი და სჯერათ მხარეთა შერიგების. რაც მთავარია, მათ სურთ შერიგება. ისინი არ ელოდებიან ნებართვებსა და მითითებებს, არამედ მოქმედებენ გულისა და გონების კარნახით. ამ მიზეზით კონფლიქტის ორივე მხარეს ის ადამიანები, რომლებსაც სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობის გამოცდილება ჰქონდათ, 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტის დასრულებისთანავე გაერთიანდნენ პროცესში სახელწოდებით – „თვალსაზრისი“. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ სახალხო დიპლომატია წარმატებული მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც მას პოლიტიკური პროცესიც უჭერს მხარს. გავიხსენოთ 90-იანი წლები, როდესაც ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური არაფორმალური დიალოგი ჯერ წარმატებით წავიდა წინ, მაგრამ შემდგომ ჩაიშალა.

ყველაზე დიდი შედეგი მიიღწევა იქ და მაშინ, როდესაც არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორების ურთიერთთანამშრომლობა ხდება შესაძლებელი. მრავალ ქვეყანაში სამშვიდობო ინფრასტრუქტურები წარმატებული არიან კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ასეთ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ შერიგების კომისიები კენიაში, განასა და სხვა ქვეყნებში, რომელთა წარმატება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ მათში მონაწილეობენ არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებიც. კომისიები საქმიანობენ როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დონეზე. რა თქმა უნდა, იქაც ყველაფერი ასე იოლად მოგვარებული არ არის, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ, სპეციალისტების აზრით, ამ ფორმამ ხელი შეუწყო ომის შემდგომი გაუცხოების გრძნობის გადალახვას.

სამშვიდობო პოტენციალის მიმართ ჩვენს საზოგადოებაში გამეფებული იმედგაცრუებისა და უნდობლობის ფონზე ისეთი ინიციატივები, როგორიცაა „თვალსაზრისი“, განსაკუთრე-

ბულ ყურადღებას იქცევს. რაში მდგომარეობს მისი არსი? არის ეს კონტრასტის ეფექტი თუ ურთიერთდაინტერესების ინდიკატორი? ჩვენ უკანასკნელი გვგონია. მის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ახალგაზრდა ლიდერების დიალოგის მონაწილეების შერჩევა მსურველთა საკმაოდ დიდი ჯგუფიდან ხდება. ამ პროგრამას ხელმძღვანელობს ICCN და პროგრამის მონაწილეები დიდი ენთუზიაზმით ებმებიან ამ მძიმე საქმეში. იზრდება კონფლიქტების გადაწყვეტის კვალიფიციურ სპეციალისტთა რიცხვი და სამშვიდობო ორგანიზაციების ქსელი. რაც ყველაზე მთავარია, საჭიროა, რომ მათგან აღმოცენდეს რეალური ძალა, რომელიც შეძლებს, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ სტაბილური და სამართლიანი სამყარო განხორციელებადია და, ასევე, მოახდინოს გავლენა პოლიტიკოსებზე, რათა აიძულოს ისინი, ამ მიმართულებით იმუშაონ.



საქართველოს უსაფრთხოების დილემა აგვისტოს შემდგომ რეალობათა შუქზე

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, 2010 წ.
დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის გამოცემა

საქართველო მეტად რთულ მდგომარეობაშია: ქვეყნის მეტ-ნაკლებად მშვიდი 15-წლიანი განვითარების პერიოდი გამანადგურებელი და დამამცირებელი სამხედრო ინტერვენციით დასრულდა; თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე გადაუჭრელი ეთნოტერიტორიული დავა რუსეთის მიერ იქნა „გადაჭრილი“ 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ, რასაც მოჰყვა დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა საქართველოსა და რუსეთს შორის. ორ მეზობელ ქვეყანას შორის კონფრონტაციის დონე მაღალია. პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში მზარდ წუხილს იწვევს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზეც. ამგვარ ვითარებაში საქართველოს ხელმძღვანელობის პოლიტიკური სვლები მიმართული უნდა იყოს რაციონალური შუალედური მიდგომების გამონახვისა და ქვეყნისთვის უფრო მეტად დაცული სამომავლო პოზიციების ხელშეწყობისაკენ, როგორც სტრატეგიულ მოკავშირეებთან, ისე სტრატეგიულ მოწინააღმდეგეებთან ნდობის აღდგენისა

და, პარალელურად, ქვეყნის შიდა პოლიტიკისა და ადამიანთა უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის სტაბილიზაციის მეშვეობით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ეროვნული ერთობის შექმნის ობიექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული პოლიტიკითა და ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხზე ღია დიალოგის დემონსტრირების საშუალებით. დღემდე ის, რასაც ჩვენ რეალურად ვხედავთ, რადიკალურად საპირისპიროა: მმართველი გუნდის მიდგომები და სვლები ნაკლებად კონსტრუქციულია, უმეტესად სუბიექტური და არა ობიექტური მიზეზების გამო. მთლიანობაში, ქვეყნის შიდა მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა აგვისტოს ომის შემდეგ. იმისათვის, რომ განვჭვრიტოთ, თუ რა შეიძლება მოხდეს ან არ მოხდეს უახლოეს მომავალში, შესწავლილი უნდა იყოს ქვეყანაში შექმნილი ვითარების როგორც საშინაო, ისე საგარეო ასპექტები.

აგვისტოს შემდგომი გამოწვევები და რეაგირების გარეშე დარჩენილი საფრთხეები

2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელმაც დაამტკიცა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმის გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების შესახებ. აღნიშნული ქმედება ცალმხრივად განხორციელდა, ყოველგვარი კონსულტაციის გარეშე როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ისე საქართველოსთან – ქვეყანასთან, რომლის ტერიტორიის ნაწილსაც შეადგენენ სადავო რეგიონები. საქართველოა ის ქვეყანა, რომელმაც რუსეთის ფედერაციასთან ერთად 1990-იანი წლების დასაწყისში ხელი მოაწერა შეთანხმებებს, რომელნიც საქართველოში არსებულ კონფლიქტის ზონებთან დამოკიდებულებას განსაზღვრავდნენ. რუსეთის მიერ ზემოაღნიშნულ აღიარებას მოჰყვა, როგორც დამოუკიდებელ ხელისმომწერ მხარეებს შორის, ორმხრივი შეთანხმებების გაფორმება სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ჩათვლით.

2010 წლის დამდეგისთვის სამი ქვეყნის გარდა (ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ), არც ერთ სხვა ქვეყანას არ დაუჭერია

მხარი რუსეთისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად ცნობის საკითხში. მოსკოვის ძალისხმევის მიუხედავად, ბელარუსმა უარი განაცხადა, დაეყენებინა აღნიშნული აღიარების საკითხი პარლამენტის დღის წესრიგში.

საერთაშორისო საზოგადოებრიობამ უარყოფითად შეაფასა რუსეთის გადაწყვეტილებები, თუმცა გადაჭარბებული სიფრთხილე გამოიჩინა რუსეთის ქმედებების შეფასებისას იმ ტერიტორიებზე, რომელსაც საქართველო ოკუპირებულად მიიჩნევს[1], ვიდრე საქართველოში კონფლიქტის შესახებ ევროკავშირის მიერ შექმნილი ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის (ე.წ. „ტალიავინის კომისია“) ანგარიში გამოქვეყნდებოდა. 2009 წლის შემოდგომაზე გამოქვეყნებული ამ კომისიის დასკვნების მიხედვით, აღიარების აქტი ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და პრინციპებს.[2] რუსეთის ლიდერები მას შემდეგ მხოლოდ ირწმუნებიან, რომ მათი გადაწყვეტილება აღიარების შესახებ (აგრეთვე შესაბამისი შეთანხმებები და დოკუმენტები) „საბოლოოა და არ შეიცვლება“.

რუსეთისთვის თვითგამამართლებელი სურათის ათვლის წერტილს წარმოადგენდა პრეზიდენტ სააკაშვილის 2008 წლის 7 აგვისტოს ტელევიზიებით ფართოდ გაშუქებული განცხადება იმის შესახებ, რომ ქართული სამხედრო შეანერთები მთლიანად აკონტროლებდნენ ქალაქ ცხინვალს და რომ უახლოეს დღეებში მზადდებოდა სეპარატისტული რეგიონის მთელი ტერიტორიის გათავისუფლება, რითიც დასრულდებოდა ოცწლიანი ეთნოტერიტორიული დავა. რუსეთის მასმედია, ამავდროულად, ავრცელებდა ქართული არტილერიის ქმედებათა შესახებ საგანგაშო ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, ცხინვალის დასახლებული უბნები იბომბებოდა, რითაც ქართველები თითქოსდა ლამობდნენ არა უბრალოდ ქალაქის დაპყრობას,

[1] გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2009 წლის რეზოლუციამ დაადასტურა როგორც პირველი, ისე მეორე (აგვისტოსშემდგომი) ნაკადის იძულებით გადაადგილებულ პირთა თავიანთ სახლებში დაბრუნების ურყევი უფლება. გ.ხ.

[2] იხ. საქართველოში კონფლიქტის შესახებ ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, ტომი I, 2009 წლის სექტემბერი, გვ. 10-33. გ.ხ.

არამედ ოს სეპარატისტებთან ძველი ანგარიშების გასწორებას და მათ მთლიანად განადგურებას (!!!).

არც ტალიავინის კომისიამ და არც რაიმე სხვა კომპეტენტურმა წყაროებმა არ დაადასტურეს გენოციდის შესახებ რუსეთის ბრალდება, თუმცა, მეორე მხრივ, დაადასტურეს ცხინვალში სააკაშვილისეული ოპერაციის მაპროვოცირებელი როლი, რომელმაც რუსეთის მიერ სამხედრო ოკუპაციის კატასტროფული შედეგები, სამოქალაქო მსხვერპლი და განადგურებული ინფრასტრუქტურა მოიტანა სუვერენული ქვეყნის დიდ ტერიტორიაზე.[1] არ არის გასაკვირი, რომ რუსეთის მიერ საქართველოში შემოჭრა 8 აგვისტოს შემდეგ მსოფლიოში კვალიფიცირებული იყო (აგვისტოს ომის დროს და მის შემდეგ ჯორჯ ბუშისა და კონდოლიზა რაისის განცხადებების ჩათვლით), როგორც „რუსეთის მიერ არაპროპორციული რეაქცია“ (ცხადია, სააკაშვილის ქმედების მიმართ) და არა როგორც „არაპროვოცირებული აგრესია“, როგორც ის, უეჭველია, რომ სხვა შემთხვევაში შეფასდებოდა.

თავიანთი ქმედებების სამართლებრივად დასაბუთებისათვის რუსეთის ლიდერები ყოველთვის ცდილობენ, ნაწილობრივ, მოიხმარონ საერთაშორისო სამართლის ადაპტირებული პრინციპები, უფრო მეტად კი, სუპერსახელმწიფოებისათვის ჩვეული „რეალ-პოლიტიკის“ თამაშის წესები და პრაქტიკა. მოცემულ შემთხვევაში, რუსეთის ქმედებები საქართველოს წინა-

[1] უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დიდი და დადებითი რეზონანსი მოჰყვა ანდრეი ილარიონოვის კვლევას რუსეთ-საქართველოს ომზე. იგი ნამდვილად შეიცავს მტკიცებულებას იმისა, რომ რუსეთი აგვისტომდე დიდი ხნით ადრე ემზადებოდა ომისთვის, ამყარებდა რა აფხაზეთთან კვაზისახელმწიფოებრივ ურთიერთობას და ბევრჯერ მოუხდენია ქართული მხარის პროვოცირება. ამავე დროს, ილარიონოვის ნაშრომი მთლიანად იგნორირებას უკეთებს საქართველოს მხრიდან კონფრონტაციის პროვოცირების რაიმე ფაქტს (მაგ. როგორ უნდა იყოს სარწმუნო 2004 წელს ზაფხულში სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფრონტაციის აღწერა, თუკი ნახსენებიც არ არის იმდროინდელი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის როლი ან თუ საერთოდ არ შეეხები საქართველოს სამხედრო შეტევას ცხინვალზე 2008 წლის აგვისტოში?). ილარიონოვის კვლევა სასარგებლოა, როგორც მტკიცებულება რუსეთის როლისა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში განვითარებულ მოვლენებში. იგი მეტად ცალმხრივია და არ ქმნის სრულ და ობიექტურ სურათს, რისი პრეტენზიაც გააჩნია. გ.ხ..

აღმდეგ, თითქოსდა, გამოწვეული იყო „სამხრეთ ოსეთში თავიანთი ე.წ. „მოქალაქეების“ დაცვის შესახებ პასუხისმგებლობით (მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისთვის ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი საყოველთაოდ იყო აღიარებული, როგორც საქართველოს ნაწილი). სინამდვილეში რუსეთმა ხელოვნურად შექმნა რუსული დიასპორა რუსეთის პასპორტების დარიგების საშუალებით, რითაც სამხედრო ჩარევის საფუძველი განიმტკიცა. თავისი ქმედებების სამართლებრივი დასაბუთებისათვის რუსეთის მიერ საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობის მცდელობას კვლავაც სერიოზული წინააღმდეგობები გააჩნია. გაერო-ს გენერალური ასამბლეის 2005 წლის დოკუმენტი მხოლოდ ქვეყნის შიგნით მოქალაქეთა დაცვის შესახებ სახელმწიფოს პასუხისმგებლობას განსაზღვრავს. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში (როგორც, მაგალითად, ეს 2008 წლის აგვისტოში მოხდა) იგი გულისხმობს სხვა სახელმწიფოს საქმეებში ან ტერიტორიაზე შეჭრის გამართლებას.[1]

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა 2008 წლის აგვისტოს შემდგომი მოვლენების განვითარებისთანავე. რუსეთის ხელმძღვანელობა მიმართავს ძალისხმევას, რომ ყველანი შეეგუონ „ახალ რეალობას“. მისი თვალთახედვით, აღარ არსებობენ შიდა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები საქართველოში: ეს საკითხი, თითქოსდა, ამოიწურა ორი თვითაღიარებული სახელმწიფოს ცნობით. საქართველოში ცეცხლის შეწყვეტის მონიტორინგის და ადგილზე სიტუაციის დაკვირვების (უსაფრთხოების ზონებში) მანდატით დასადგურებული საერთაშორისო მისიების ბედი, შესაბამისად, უნდა გადასინჯულიყო. რუსეთის აზრით, აღარ არსებობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებს შიგნით უსაფრთხოების კონტროლის აუცილებლობა, რადგან რუსები ისედაც აკონტროლებენ საზღვრებს და, მათი ინტერპრეტაციით, საქართველოს არ ემუქრება რაიმე საფრთხე „ყოფილი სადავო ტერიტორიების მხრიდან“. მეორე მხრივ,

[1] იხილეთ გაერო-ს გენერალური ასამბლეის 2005 წლის შემაჯამებელი დოკუმენტი, აგრეთვე შესაბამის საკითხთან დაკავშირებით შექმნილი საერთაშორისო კოალიციის მასალები „დაცვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (R2P) და დოქტორ გარეთ ევანსის – იმ დროს საერთაშორისო საკრიზისო ჯგუფის თავმჯდომარის – მიერ გაკეთებული განმარტებები. გ.ხ.

საქართველო აპროტესტებს თავის ტერიტორიაზე ცალმხრივი საერთაშორისო მისიების არსებობას, რაც დაადასტურებდა რეალური საფრთხის რუსულ ინტერპრეტაციას. მედვედევ-სარკოზის ექვსპუნქტიანი შეთანხმების განხორციელება სწორედ იმ პუნქტებზე შეფერხდა და წაბორძიკდა, რომელიც სამხედრო შენაერთების 6 აგვისტოს მდგომარეობით განთავსებას (რისი შესრულებაც რუსეთის ხელმძღვანელობას არც კი უფიქრია) და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის მოქმედების მანდატს ეხებოდა კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ზონებში.

როგორც აღმოჩნდა, აგვისტოსშემდგომი სტატუს-კვოს ფარგლებში ჩაკეტვა ორივე ქვეყნის ხელმძღვანელთა ინტერესში იყო. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ოფიციალური პოზიციის მიხედვით, აგვისტოსშემდგომი რეალობის განვითარების ინტერპრეტაციას გარკვეული პარალელები აქვს რუსულ ინტერპრეტაციასთან. რამდენადაც სარისკო უნდა იყოს ეს, ითქვა, რომ აგვისტოს შემდეგ ჩვენ აღარ გვაქვს აღარც კონფლიქტური ზონები საქართველოს ტერიტორიაზე, აღარც შიდაპოლიტიკური კონფლიქტები, არამედ გვაქვს მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიები.[1] როგორც ჩვენ ამას შემდგომ ტექსტში ვნახავთ, აღნიშნული ინტერპრეტაცია გამოწვეული იყო, ნაწილობრივ, დიალოგის საკითხის დღის წესრიგიდან ამოშლისა და მისი შეუძლებლობის დასაბუთების საჭიროებით, ისევე, როგორც იმით, რომ იგი შეესაბამებოდეს პოსტსაბჭოური საქართველოს პოლიტიკურ აზროვნებაში დომინირებულ თვალსაზრისს – საქართველოსთვის ერთადერთ საპირისპირო „მეორე“ მხარეს რუსეთი წარმოადგენს – რითაც კონფლიქტის მრავალმხრივი სტრუქტურის მხოლოდ ქართულ-რუსულ კონფლიქტამდე დაყვანა და „მეორე“ მხარის მთლიანად რუსეთთან გაიგივება მიიღწეოდა.

[1] ომის დასრულებისთანავე საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ გაკრიტიკებული იყო ვენეციის კომისიის მიერ ურთიერთგამომრიცხავი პუნქტების გამო. იგი ასევე წინააღმდეგობაში მოდის მთავრობის მიერ მიღებულ სტრატეგიის დოკუმენტთან (იხ. ქვემოთ) და ამიტომ, სავარაუდოდ, შეიცვლება. გ.ხ.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ოფიციალურ დღის წესრიგში კვლავ მაღალ ნიშნულზე დგას, თუმცა ეს საკითხი უფრო მეტად რიტუალური გახდა, ვიდრე რეალური მიზანი. ეს ცხადია ყველასთვის, ვინც ათვითცნობიერებს იმ ფუნდამენტურ ცვლილებებს, რასაც ადგილი აქვს 2008 წლის აგვისტოს შემდეგ. ყველაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ცვლილებები, რომლებიც 5-დღიანი ომის შემდეგ დღემდე დამდგარა, მოიცავს რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ საერთაშორისო საზოგადოებაზე ზეწოლის შედეგად ეუთო-ს მისიის საქართველოდან გაყვანას და ასევე გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის შეწყვეტა/არგაგრძელებას, რამაც საქართველოში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ზონები, ფაქტობრივად, ყოველგვარი საერთაშორისო კონტროლის საშუალებების გარეშე დატოვა.

მხარეების მიერ ერთმანეთის აღქმა

მოსკოვი ცდილობს, საქართველოს დაუმკვიდროს საერთაშორისო ნორმების და შეთანხმებების დამრღვევი ქვეყნის იმიჯი, რომელიც მუდმივად მიმართავს დესტრუქციულ ძალისმიერ ქმედებებს მისგან გამოყოფილი რეგიონების მიმართ, ხელს უწყობს ტერორიზმს ჩრდილოეთ კავკასიაში და, ამგვარად, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო სტაბილურობას. მოსკოვი მოითხოვს რუსეთის, როგორც უფრო განვითარებული და პასუხისმგებლობის მქონე ძალის მხრიდან მთელ რეგიონზე კონტროლის დაწესებას. მთავრობის მიერ კონტროლირებადი მასმედიისა და დიპლომატიური ბერკეტების მეშვეობით მოსკოვი ცდილობს, დაარწმუნოს საერთაშორისო საზოგადოებრიობა, რომ არ დაეხმაროს საქართველოს პოლიტიკურად ან ეკონომიკურად, რადგან ნებისმიერ საერთაშორისო დახმარებას საქართველო სამხედრო პოტენციალის აღსადგენად გამოიყენებს და კვლავ შეეცდება, ძალით შემოიერთოს დაკარგული ტერიტორიები. პოლიტიკურ დონეზე ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა კვლავ შეწყვეტილია და მედვედევიც და პუტინიც ადასტურებენ, რომ არავითარი მოლაპარაკება არ იქნება შესაძლებელი, ვიდრე სააკაშვილია ხელისუფლების სათავეში.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გამოხატული დამოკიდებულების მიხედვით, ქართული საზოგადოება არ არის მეგობრულად განწყობილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოების მიმართ და, იმის მაგივრად, რომ მოინანიოს თავისი როლი ეთნიკური ომების გაღვივებაში, საქართველო რუსეთს ადანაშაულებს სეპარატიზმის მხარდაჭერაში. გამოყოფილი რეგიონებისთვის „მაღალი დონის“ ავტონომიის მეტად ზოგადი ხასიათის შეთავაზების გარდა, ტერიტორიული მოწყობის ფედერალური პრინციპის და ძალაუფლების დეცენტრალიზაციის იდეას არასოდეს მოუპოვებია მხარდაჭერა საქართველოში, რის გამოც, აფხაზები და ოსები საქართველოდან წამოსულ ნებისმიერ წინადადებას გაერთიანების შესახებ არასერიოზულად და მათთვის საზიანოდ მიიჩნევენ. ისინი თვლიან, რომ საქართველო არ არის დაინტერესებული ადამიანური და კულტურული კავშირების აღდგენით აფხაზურ და სამხრეთ-ოსურ საზოგადოებასთან და მხოლოდ დაკარგული ტერიტორიების შემოერთება სურს. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არ მიმართავენ არავითარ ძალისხმევას, რომ განასხვაონ რეჟიმები, სამოქალაქო საზოგადოება, მოსახლეობა და ისტორიული ეტაპები – საქართველო მათთვის ერთი საერთო მტერია.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკმაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, 2008 წელს საქართველო გეგმავდა, იერიში მიეტანა აფხაზეთზე და ამას შეასრულებდა, თუმცა უკანასკნელ მომენტში შეცვალა გეგმა და ცხინვალს დაარტყა ანდა „აფხაზეთის ოპერაციას“, სავარაუდოდ, უნდა დაეფარა „ოსეთის ოპერაცია“, რომელიც საქართველოს ხელმძღვანელობას უფრო ადვილად განხორციელებადად მიაჩნდა ბუნებრივი ლანდშაფტისა და საზღვრებთან ადვილი მისადგომებიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, წყაროებზე დაყრდნობით, აფხაზეთის ხელმძღვანელობამ (სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობისაგან განსხვავებით) შეგნებულად შეიკავა თავი აგვისტოში რუსეთის სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობისაგან კონფლიქტური ტერიტორიების მიღმა და არჩია, არ გაეხსნა „მეორე ფრონტი“ კოდორში.

აფხაზური შემართება ევროპასთან კავშირების დამყარების მიმართებით აშკარად ეყრდნობა ეკონომიკისა და ტურიზმის ხელშეწყობის იდეას, ფარული განზრახვა კი იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეულწილად დააბალანსოს რუსეთის მზარდი დომინირება აფხაზეთში. თუმცა ამ ეტაპზე არავითარ შემთხვევაში ეს არ ნიშნავს აფხაზეთის უფრო მეტად ტოლერანტულ დამოკიდებულებას საქართველოსთან ურთიერთკავშირის დამყარების საკითხში. აფხაზეთის საქართველოსგან გაუცხოების დონე კვლავ მაღალია, ხოლო მის მიმართ ნდობის ფაქტორი კი ისევ ყველაზე დაბალ ნიშნულზეა.

ჩვენებები და უკუჩვენებები დიალოგისათვის

შექმნილი ჩიხური სიტუაცია არ შეიძლება აიხსნას და გამართლებული იყოს, როგორც მთლიანად მესამე მხარის ინტერვენციის შედეგი. საქართველოს ოფიციოზის მიერ შექმნილი მანკიერი წრე, რომელიც ასაბუთებს მისსავე უმოქმედობას აგვისტოს შემდგომ სტატუს-კვოსთან მიმართებით, შესაძლებელია ამგვარად ჩამოყალიბდეს (ქვემორე არგუმენტები მრავალჯერ იქნა გამეორებული საქართველოს პრეზიდენტისა და მისი უახლოესი გარემოცვის მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფორმით): „გვეუბნებიან, რომ ჩვენ პირდაპირ უნდა ვესაუბროთ მოწინააღმდეგე მხარეს – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტ ლიდერებს. კი ბატონო, დაველაპარაკებოდით მათ, მაგრამ ისინი მხოლოდ იმას იტყვიან, რასაც მათ უფროსები დაავალებენ მოსკოვიდან. გამომდინარე იქიდან, რომ სეპარატისტი ლიდერები მთლიანად მოსკოვზე არიან დამოკიდებულნი, მიგვაჩნია, რომ აზრი არ აქვს „დე ფაქტო“ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას. მზად ვართ, ვისაუბროთ მათ ხელმძღვანელებთან მოსკოვში, რადგან გვესმის, რომ ისინი ფლობენ მოლაპარაკების გასაღებს. მაგრამ რუსეთის ხელმძღვანელობა უარს აცხადებს ჩვენთან საუბარზე და სწორედ ისინი კეტავენ ჩიხიდან გამოსასვლელს და არა ჩვენ“. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ერთადერთი გზა იმისათვის, რომ გავარღვიოთ არსებული სიტუაცია, გახლავთ ის, რომ ძლიერ და მოტივირებულ საერთაშორისო ძალებს მივცეთ მობილი-

ზების საშუალება, სიტუაციაში ჩაერიონ და ცვლილებებს მიაღწიონ.

ყველაზე ზერელე შეხედვითაც კი ნათელია ამ არგუმენტაციის ჯაჭვის სისუსტე, რომელიც არსებითად უშლის ხელს იმ შიდა ცვლილებებს, რაც აუცილებელია ახალ გამოწვევებზე და პრობლემებზე საპასუხოდ და რომელიც პასუხისმგებლობას საერთაშორისო მოთამაშეებს აკისრებს და საბოლოოდ ყველას „მესიის“ გამოჩენის მოლოდინში ამყოფებს. მთავრობის მიერ კონტროლირებადი მედიაარხები უსაზღვრო ინფორმაციას ამუშავებენ, რათა რაიმე მტკიცებულება მოძებნონ იმისა, თუ როგორი დემორალიზებული და დეზორგანიზებულია რუსეთის ჯარი, როგორი არეულობაა ჩრდილოეთ კავკასიაში, როგორ იზრდება ენერგეტიკის ექსპორტზე ფასები ან ციტირებენ შეერთებული შტატებისა თუ ნატო-ს ტექსტებს საქართველოს ნატოში გარდაუვალი გაწევრიანების შესახებ – მოკლედ, ისინი ყველაფერს მიმართავენ, რამაც მოსახლეობას შესაძლებელია მოლოდინები გაუძლიეროს იმ მიმართულებით, რომ რუსეთი მალე დაიქცევა ან საქართველო უფრო ძლიერ მხარდაჭერას მოიპოვებს. თუმცა ამავდროულად შექმნილი ვირტუალური რეალობა სინამდვილეში სიღრმისეულად ადასტურებს, რომ ეს მანკიერი წრე ჭეშმარიტად მანკიერია და ვერ გაჯანსაღდება.

ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში არსებული ვითარება

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა არ აღიარებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დე ფაქტო“ ხელისუფლებას. მეტიც, მათთან ყველა საკომუნიკაციო არხი დაიკეტა და კრიტიკულ სიტუაციაში, როგორც, მაგალითად, ცხინვალში 2009 წელს ქართველი მოზარდების დაკავების შემდეგ, საერთაშორისო ორგანიზაციებს უწევთ თავისთავზე მედიატორობის ინიციატივის აღება.[1] 2007 წლიდან გაუქმდა ერთ დროს აქტიური ერთობლივი საკონტროლო კომისია და ერთადერთი ფორმატი, რომელიც მხარეებს შეხვედრის და დისკუსიის შესაძლებლობას

[1] ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროპის საბჭოს უმაღლესი კომისრის, თომას ჰამარბერგის ძალისხმევით 2009 წლის დეკემბერში ცხინვალიდან გათავისუფლებული იყვნენ დაკავებული მოზარდები. გ.ხ.

აძლევს, ევროკავშირის ეგიდით შექმნილი ჟენევის ფორმატია, რომელიც არასაკმარისია და არაეფექტური (ჟენევაში შეთანხმებული ინციდენტთა საწინააღმდეგო მექანიზმი დღემდე ერთადერთი პოზიტიური შედეგია, რაც კი ომისშემდგომ მრავალმხრივ მოლაპარაკებებს მოჰყოლია). ქართველი ოფიციალური პირების პოზიცია „დე ფაქტო“ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის უარყოფის შესახებ შემდეგ არგუმენტებამდეა დაყვანილი: ა) ისინი არიან მარიონეტული რეჟიმები და არ შეუძლიათ მოსკოვის ნაკარნახევისგან განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღება ან პოლიტიკის შემუშავება და, შესაბამისად, აზრს კარგავს მათთან ურთიერთობა; ბ) მოსკოვი უარს ამბობს საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე და, ამდენად, ადგილზე სიტუაციის მართვა ვერ მოხერხდება მოსკოვთან ურთიერთობის საშუალებით. ერთადერთი ბერკეტი საერთაშორისო საზოგადოებრიობის ხელშია, რომლის, ხშირ შემთხვევაში, პასიურობასაც საყვედურობენ თბილისში.

თბილისში არსებული მოლოდინების თანახმად, რუსეთის ენერგოდომინანტის ამბიციებიდან გამომდინარე, რეალურ საფრთხეს ევროპის უფრო კონსოლიდირებული რეაქცია უნდა გამოეწვია. ამ ვერსიამ დაკარგა თავისი დამაჯერებლობა მაშინ, როდესაც, მიუხედავად რუსეთის მიერ ევროპისთვის გაზმომარაგების შეწყვეტისა 2008 წლის ზამთარში და რუსეთ-უკრაინის „გაზის ომისა“, ევროპის მთელი იმედები რუსეთთან მიმართებაში დაკავშირებული აღმოჩნდა „თანამშრომლობის საშუალების მართვის“ პოლიტიკასთან, პრეზიდენტ ობამას მიერ წამოწყებულ „გადატვირთვის“ მცდელობაზე დაყრდნობით.

რაშია გამოსავალი? უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ, რომ, როგორც უნდა შეიცვალოს პოლიტიკა ან ლიდერები მოსკოვსა და თბილისში, ცხინვალის და სოხუმის შემობრუნება თბილისისკენ უახლოეს წლებში ვერ მოხდება. აშკარაა, რომ ორმხრივად გაუცხოებული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობები მოითხოვს სახალხო დიპლომატიის განახლებულ ინექციას, განგრძობად ძალისხმევას, რომელიც ორივე მხრიდან უფრო ფართო და გავლენიან ჯგუფებზე იმოქმედებს და სამუშაო საკომუნიკაციო არხს გახსნის. მას შემ-

დეგ, რაც თემურ იაკობაშვილი გახდა სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში (ადრე ცნობილი, როგორც კონფლიქტების მოგვარების სამინისტრო), გაფართოვდა დიალოგის წარმოების ძალისხმევაში მონაწილე სამოქალაქო საზოგადოების ნაწილთან მისი უწყების ურთიერთობა. საქართველოში შექმნილ შიდა ვითარებაზე საერთაშორისო რეზონანსმა მთავრობა აიძულა, ეჩვენებინა ახალი კონსტრუქციული მიდგომები და დიალოგისთვის გახსნილობა და მზაობა. 2009 წლის ბოლოსთვის დამოუკიდებელ ექსპერტებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად შემუშავებული სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტი, რომელსაც „ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგია – ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ ეწოდება, პირველად უსვამს ხაზს დიალოგის აუცილებლობას სეპარატისტულ საზოგადოებებთან და აღიარებს სამოქალაქო საზოგადოების როლს ამ კუთხით. „თანამშრომლობის გზით ჩართულობის“ სტრატეგიის მიხედვით, არც „დე ფაქტო“ ხელისუფლებასთან ურთიერთობაა გამორიცხული.

კვლავ არ ჩანს, რომ ხელისუფლების პრაქტიკული ქმედება დამტკიცებული სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისი იყოს. ქართული არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომელთა ინიციატივითაც შედგა მხარეებს შორის არაფორმალური შეხვედრები, ყველა სიძნელის მიუხედავად, კვლავ არ იშურებენ ძალისხმევას, რომ შეინარჩუნონ დიალოგისა და კომუნიკაციის არსებული არხები.

ჩიხური სიტუაციები, როგორც პოლიტიკის წარმოების იარაღი

ფართოდ ცნობილია ხელისუფლების თეზისი: „ვიდრე ქართული მიწების ოკუპაცია გრძელდება, ომი არ დამთავრებულა“. როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასეთ შემთხვევაში ომი, მით უმეტეს, თუ სამშვიდობო მოლაპარაკება შეუძლებლადაა გამოცხადებული?

კონფლიქტების გადაწყვეტაში ჩიხურ სიტუაციასა და გამოუვალ მდგომარეობას ერთი „სასარგებლო“ მხარე ახლავს თან, განსაკუთრებით თუკი ეს სიტუაცია დაკავშირებულია გარე,

მესამე მხარის აქტივობიდან გამომდინარე საფრთხეებთან: გადაწყვეტილების მიმღები პირი შესაძლებელია უმტკივნეულოდ იყოს გათავისუფლებული იმ პასუხისმგებლობისაგან, რომელიც მას კონსტრუქციული გამოსავლის ძიებაში პროგრესის მიღწევას აკისრებს; საშუალება ეძლევა, მის წინაშე მდგარი ამოცანები შემდეგ პოლიტიკურ თაობას გადააბაროს და გარკვეული დროის განმავლობაში თავიდან აიცილოს უუნარობის ბრალდება. ამგვარად, არსებობს ცდუნება, რომ ჩიხური მდგომარეობა „დინამო-მანქანად“ გადააქციონ, შექმნან გარე საფრთხის იმიჯი, როგორც მუდმივის, ყოვლისმომცველის და უმართავის და, შესაბამისად, შიდაპოლიტიკური რეალობა ნახევრად-სამხედრო ქრონიკულ საგანგებო სიტუაციად აქციონ. სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე დღეს საქართველოში.

საქართველოს ხელმძღვანელობა და მის სამსახურში მყოფი იდეოლოგები ხშირად აფიქსირებენ, რომ „მათ ადგილას ვერავინ შეძლებდა უკეთესად“; „ცოტაც მოითმინეთ და ცვლილებებიც იქნება“. სხვაგვარად წაგებულ ომზე პასუხისმგებლობის წილი და ქვეყნის ერთიანობის აღდგენის დაკარგული შანსი უფრო მეტად წამოიწევს წინა პლანზე, ხოლო მოქმედი ხელმძღვანელობის ხელახალი არჩევისა კი უფრო შემცირდება. საკითხი არ დგას იმგვარად, რომ ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო ზოგიერთი ინსტრუმენტის და საშუალების შემუშავება ან გამოყენება. უბრალოდ, არ არსებობს ისეთი ინსტრუმენტები და შესაძლებლობები, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ამოცანის შესრულება რუსეთის მონაწილეობის გარეშე. ამგვარად აფასებს სიტუაციას საერთაშორისო თანამეგობრობა, იმ გამონაკლისი პიროვნებების და დაჯგუფებების გარდა, რომლებიც ცდილობენ, საფრთხეებისა და რისკების ყველა ობიექტური მტკიცებულების საწინააღმდეგოდ, ნებისმიერ ფასად, ბოლომდე დაუჭირონ მხარი საქართველოს აქტიურ ანტირუსულ პოზიციას, რაც საზიანოა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ უფრო ფართო რეგიონის უსაფრთხოებისთვისაც.

შექმნილი ჩიხური სიტუაციის განზომილებებია:

- საქართველოს ხელმძღვანელობა ქმნის სურათს, თითქოს ფლობს რუსეთთან მკაცრი პოლიტიკური ხაზის გატარების ბერკეტებს მაშინ, როცა ამ მიმართულებით არ არსებობს აქტიური საგარეო მხარდაჭერა ან შესაფერისი გარემო;
- რუსეთი საქართველოში წარმოჩენილია, როგორც მხარე, რომელთანაც შეუძლებელია მოლაპარაკება; რუსეთის იმიჯი ირაციონალურ სფეროშია გადაყვანილი;
- არავითარი რეალური პოლიტიკური ქმედებები არ განხორციელებულა, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის საქართველოს მიმართ გაუცხოების ხარისხის შემცირება;
- არავითარი რესურსი და შესაძლებლობა არ ჩანს საერთაშორისო საზოგადოებრიობის რუსეთზე ზეწოლის გააქტიურებისათვის, რათა ამ უკანასკნელმა შეცვალოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნობის გადაწყვეტილება.

რუსეთთან დიალოგის დაწყების პერსპექტივები

მოსკოვსა და თბილისში არაერთგვაროვანი სურათი იკვეთება. რუსული წყაროების მიხედვით, მოსკოვში არსებობს ორი პოზიციის გარშემო დაჯგუფებული გავლენიანი პიროვნებები: პირველი ჯგუფი ემხრობა მოვლენების განვითარებას არსებული ფორმატით, ანუ არავითარი ოფიციალური კონტაქტები და მოლაპარაკებები, ვიდრე სააკაშვილი ხელისუფლებაშია; გაგრძელდეს საინფორმაციო ომი და ა.შ. ამის საპირისპიროდ, მეორე ჯგუფი ცდილობს, დაასაბუთოს წინაპირობების გარეშე ურთიერთობის დამყარების პროცესის აუცილებლობა, რასაც ქართული მხარისგან ანალოგიური მზადყოფნის დემონსტრირება დასჭირდება. საქართველოს მხარეზე შექმნილი სურათი ნაკლებად ბუნდოვანია: საქართველოს საჯარო სივრცეში საკითხისადმი გამეფებული ირაციონალური დამოკიდებულება (იხ. ზემოთ) ხელს უშლის ნებისმიერ გავლენიან ჯგუფს, ღიად დაიცვას დიალოგის მხარდაჭერის შესაბამის პოლიტიკაში გადაზრდის აუცილებლობა.

სააკაშვილის საჯარო განცხადებების აღქმა მნიშვნელოვნად განსხვავდება შევარდნაძის პრეზიდენტობისდროინდელი განცხადებების აღქმისგან: ეს უკანასკნელი აკეთებდა პოლიტიკური ხაზის მიმანიშნებელ კარგად გააზრებულ მითითებებს, სააკაშვილი უფრო ხშირად თავის ემოციურ განწყობას გამოხატავს და უფრო „პიარ-კამპანიას“ აწარმოებს, ვიდრე რაიმე მწყობრ სტრატეგიულ ხაზზე მიანიშნებს თავის გამოსვლებში.

ამგვარად, ქართული თვითმხილველი უკანასკნელ წლებში მიეჩვია იმას, რომ არ შეხედოს მის განცხადებებს, როგორც მისი გუნდის პოლიტიკური დღის წესრიგის აუცილებელ ნაწილს, როდესაც პრეზიდენტი პარლამენტის ტრიბუნიდან აცხადებს, რომ „არავითარი დიალოგი არ დაიწყება, ვიდრე უკანასკნელი ოკუპანტი ჯარისკაცი არ დატოვებს ჩვენს მიწას“, ეს ისე აღიქმება, თითქოს ისეთ რამეს ამბობდეს, რასაც მთელი მისი გუნდი ეთანხმება და რაც სხვებს შიშს ჰგვრის. მთავარი კითხვა ამ განცხადებასთან მიმართებით შემდეგია: როგორ უნდა დაიწყოს ოდესმე დეოკუპაციის პროცესი, თუკი მას წინ არ უძღვის მოლაპარაკების პროცესი? რადგან ხელისუფლების მიერ მკაცრად კონტროლირებად მედიასივრცეში არ ისმება ასეთი კითხვები და არ ფიქსირდება განსხვავებული პოზიცია, იმავე მედიის ინტერპრეტაციით, საზოგადოება, თითქოს მხარს უჭერს ზემოხსენებულ განცხადებას.

პუტინმა და მედვედევმა რამდენიმეჯერ გაიმეორეს აგვისტოს ომის შემდეგ, რომ ვიდრე სააკაშვილია ხელისუფლებაში, ისინი არ დაელაპარაკებიან საქართველოს ხელმძღვანელობას. ამგვარი განცხადების ჩანაფიქრი იყო აგვისტოსშემდგომი სტატუს-კვოს „გაყინვა“, მოლაპარაკებების პერსპექტივის ჩაკეტვა და მიზნად ისახავდა შიდა ძალების წახალისებას სააკაშვილის შესაცვლელად, რაც გზას გახსნიდა ძლევამოსილ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის აღდგენისთვის. პუტინის განცხადებამ აგვისტოს ომის დასრულებისთანავე მართალია, დროებით, მაგრამ მაინც საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო – ხალხი სასწრაფოდ გაერთიანდა არსებული ეროვნული სიმბოლოების (პრეზიდენტის ჩათვლით) გარშემო, მასში კიდევ უფრო გაძლიერდა რუსეთის, როგორც მარადიული მჩაგვრე-

ლის, ნეგატიური იმიჯი. მოსკოვის გათვლების საპირისპიროდ, სააკაშვილის რეიტინგი აგვისტოს ომის შემდგომ გარკვეულ პერიოდში კიდევ უფრო გამყარდა. ახლაც კი ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა საჭიროდ თვლის, გაემიჯნოს მოსკოვთან ნებისმიერი კონტაქტის დამყარების მცდელობას, რათა არ დაბრალდეთ ანტიპატრიოტული ქმედება.

გაყინული ჩიხიდან გამოსასვლელად ალტერნატიული არხების ძიების მაგივრად, თუნდაც ოპოზიციის ლიდერთა აქტივობის საშუალებით, რეალური სიტუაცია საქართველოში ხელს უშლის მოსკოვთან და სეპარატისტულ მთავრობებთან კონტაქტის დამყარების ყველა მცდელობას და ყოველი ასეთი მცდელობის ინიციატორს სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობაში ბრალდების საშიშროებას უქმნის.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საკითხის ირაციონალურ სფეროში მოქცევა იმ ფიქრების მთელი ჯაჭვის თავიდან აცილების საშუალებაა, რომელიც გარდაუვლად დაიპყრობს ხალხის გონებას და მარტივ ჭეშმარიტებას გამოავლენს: ყველა ის პროცესი, რომელიც პრობლემების შესახებ დიალოგს, ნდობის აღდგენას, ურთიერთობების დამყარებას ემსახურება და მომავალში ქვეყნის მთლიანობის აღდგენის შანსს შექმნიდა, დღევანდელი ხელმძღვანელების პოლიტიკურ კეთილდღეობას ეწირება, იმ ლიდერებისას, რომელთაც არ შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი.


2011, 4 თებერვალი, №29

საზოგადოება 7

ვის გადააბარებს სააკაშვილი ხელისუფლებას

რას მოგვიტანს მძიმე ეკონომიკური ვითარება

ინტერვიუ კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილთან

ახალი თაობა

2011

ვის გადააბარებს სააკაშვილი ხელისუფლებას

რას მოგვიტანს მძიმე ეკონომიკური ვითარება

„ახალი თაობა“, 2011 წ. 4 თებერვალი, #29, გვ. 3, ჟურნალისტი ნათია ხურცილავა, ფოტოთი

ინტერვიუ კონფლიქტოლოგ გიორგი ხუციშვილთან

– ბატონო გიორგი, ტუნისში, ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებზე რაიმე სახით შეიძლება ქართულმა ოპოზიციამ, საზოგადოებამ აქცენტები გააკეთოს?

– ტუნისი, ეგვიპტე, ლიბანი – ყველგან მოვლენები ერთად და ინტენსიურად განვითარდა. ეს მოვლენები რაღაც კანონზომიერებას უკავშირდება. მთლიანად არასტაბილურია საერთაშორისო სისტემა. საერთაშორისო სისტემა ახლა ტრანსფორმირებას განიცდის. თუ დროზე არ იქნება მიღებული ზომები, შეიძლება ამ პროცესმა ძალიან დესტრუქციული ხასიათი მიიღოს.

– რა ზომებს გულისხმობთ?

– ვგულისხმობ კონფლიქტებისადმი დამოკიდებულებას ან კონფლიქტებში ჩარევის, მოგვარების საერთაშორისო მექანიზმებს, რომელიც ძალიან სუსტია და უმოქმედო, რაც არ

აძლევს საერთაშორისო თანამეგობრობას საშუალებას, რომ დროულად იმოქმედოს იქ, სადაც სიტუაცია იძაბება. რაც შეეხება ეგვიპტეს, აქ ძირითადი ფაქტორი იყო ის, რომ პიროვნებას, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში მართავდა ქვეყანას, ახასიათებდა დიქტატორის ნიშნები. დიქტატურული მმართველობა ეგვიპტეში მომაკვდინებელი იყო საზოგადოებისთვის. სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებთან მქონდა შეხვედრები და ვიცი, რა საშინელ მდგომარეობაში იყო ეგვიპტელი ხალხი. ამ პირობებში, როდესაც ხალხმა დაინახა, რომ ცვლილებების შანსი გაჩნდა, რა თქმა უნდა, ქუჩაში გამოვიდა და მოითხოვა ცვლილებები. ფაქტობრივად, სახალხო რევოლუციაა. არ მინდა ჩვენს სიტუაციას შევადარო ეგვიპტის მოვლენები, არც შევარდნაძის პიროვნება მინდა მუბარაქს შევადარო, მაგრამ რაღაც მსგავსება მაინც არის. ლიდერი, რომელიც თავის დროზე შეიძლება ძალიან ეფექტური მნიშვნელოვანი ფიგურა იყოს ქვეყნისთვის, დროთა განმავლობაში, როცა ხანდაზმულია და დიდხანს რჩება თავის სავარძელზე, ვიდრე ეს დასაშვებია და მისი შრომისუნარიანობა თუ მმართველობის უნარს სცილდება, დესტრუქციული მოვლენები მოჰყვება ხოლმე. გადაჭარბებული ვადით გაჩერებული მმართველი სიტუაციაზე გავლენას ვერ ახდენს და ძალაუფლებას ებღაუჭება. ეს არის ფენომენი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა პირობებში თავს იჩენს. ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი ღირებულება მმართველისთვის ხდება საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნება და საკუთარ საზოგადოებას, ხალხს უპირისპირდება. ამ სიტუაციის დისონანსად მინდა გავიხსენო ბორის ელცინი. ყველა ამბობდა, რომ ის არის კაცი, რომელიც ვერ აზროვნებს, მაგრამ ძალიან კარგად აზროვნებდა. მოტვინა, როდესაც მას პრობლემები შეექმნა ძალაუფლებასთან დაკავშირებით, რომ დაეტოვებინა მემკვიდრე.

– თუმცა როგორი მემკვიდრე დატოვა პუტინის სახით...

– თავისთვის ძალიან კარგი. გარანტია შეიქმნა თავისთვის და ოჯახისთვის. არაფრისთვის პასუხი არ მოეკითხებოდა, რაც მან ჩაიდინა პრეზიდენტობის დროს.

– ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო...

– დიახ, ხელშეუხებლობის ერთგვარი გარანტია მიიღო. ამ მხრივ ძალიან ჭკვიანურად მოიქცა.

– ისევ ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებს რომ დავუბრუნდეთ, კლინტონმა უკვე მოუწოდა ეგვიპტის ხელისუფლებას, რომ ხელისუფლების გადაბარების პროცესი დაიწყოს...

– მმართველი ცდილობს, ოპოზიციას შესთავაზოს გეგმა, რომ ის წავა იმ დროს, როდესაც ლეგიტიმური არჩევნების დრო მოვა, რომ იქამდე მოამზადებს ძალაუფლების ტრადიციის გადაცემისთვის ყველაფერს და არჩევნების საფუძველზე, კონსტიტუციურად წავა, მაგრამ ხალხი ამ გეგმას არ სჯერდება. ხალხი მოითხოვს დაუყოვნებლივ ცვლილებებს. ამ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ ეგვიპტეში მოვლენები ვერ გაჩერდება. მიუხედავად იმისა, რომ ლოგიკურად ჯობია, ხელისუფლებამ არჩევნებამდე მიიყვანოს პროცესი და კონსტიტუციურად მოხდეს ცვლილება, მაგრამ ეს ეჯახება ხალხის მოუთმენლობას, რადგან თუ მმართველს მიეცა ძალაუფლების კონსოლიდაციის შანსი, მერე შეიძლება შეტრიალდეს სიტუაცია, გააყალბოს არჩევნები, ისევ ძალები მოიკრიბოს და არ მოხდეს ხელისუფლების შეცვლა.

– მსგავსი მოვლენები შეიძლება ვიღაცისთვის იმპულსი იყოს?

– გამოქვეყნდა დიქტატორების სია, რომლებიც აუცილებლად უნდა ელოდნენ იმას, რომ მათ აუცილებლად გადააყენებენ.

– სიაში არის ირანის პრეზიდენტიც...

– ირანის პრეზიდენტიც და ლუკაშენკოც, მაგრამ რამდენად გამართლებულია, რომ მსოფლიოში მსგავსი სიები დგებოდეს, ასეთი მიდგომა იყოს. ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ქვეყნის შიგნით ვინ არის გადასაყენებელი და ვინ არის შესანარჩუნებელი. ასეთი სიები, წესით, არ უნდა დგებოდეს.

– თუმცა ფაქტია, რომ ზესახელმწიფოები კარნახობენ პატარა ქვეყნებს, ვინ უნდა იყოს და ვინ – არა...

– ეს არ არის ნორმალური. ეს არის სამწუხარო რეალობა, რომ ზესახელმწიფოები მსოფლიოში დანარჩენებს კარნახობენ, ვინ როგორ უნდა იცხოვროს, მაგრამ ეს არ არის ნორ-

მალური. ნორმალურია, როდესაც ხალხი იღებს გადაწყვეტილებას, საიდანაც აკეთებენ ზესახელმწიფოები დასკვნას და აგებენ ურთიერთობებს.

– ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ ჩვენი პრეზიდენტის ბედი გადაწყვეტილია, რომ საერთაშორისო პოლიტიკა მის მიმართ ლოიალურად არ არის განწყობილი. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?

– ბევრჯერ მქონია საუბარი სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ამერიკის დიპლომატიურ წრეებში და შემიძლია ვთქვა, რომ დამოკიდებულება ლოიალურია. როგორც კი მოახერხა ამ ხელისუფლებამ 2009 წლის კრიზისული ზაფხულის მოვლენების შემდეგ კონსოლიდირება, როგორც კი მოახერხა ასეთი მეთოდით ქვეყნის მართვა, რომ დაპირისპირება და ექსცესები არ გამოეწვია, მაშინვე ევროპამ და ამერიკამ გადაწყვიტა: ჩვენ ახლა უფრო მნიშვნელოვანი საქმეებიც გვაქვს, საქართველოში სიტუაცია სტაბილურია და ამიტომ მხარი დავუჭიროთ იმ ხელისუფლებას, რომელიც არის იმის ფონზე, რომ ოპოზიცია სუსტია, გაბნეულია, ერთიანი არ არის და მათთან საქმის დაჭერას აზრი არ აქვს.

– ეს დამოკიდებულება გრძელდება?

– გრძელდება, ერთი დამოკიდებულია, მოახლოებულ არჩევნებში ხელისუფლება შეცდომას დაუშვებს თუ არა. მეორე, რამდენად გაქაჩავს ჩვენი ეკონომიკური მდგომარეობა. კონსოლიდაცია და სტაბილურობა იყო იმის გამო, რომ აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენ მივიღეთ დიდი დახმარება.

– მილენიუმის პროგრამაზე საუბრობს ხელისუფლება, საიდანაც თანხებს ელოდება, ეს არ მოაგვარებს პრობლემებს?

– ახალი დახმარების გააქტიურება ხდება, მაგრამ იმ დონის მაინც ვერ იქნება. ფარული ინფლაცია იზრდება. ლარი შიდა ბაზარზე სტაბილური რომ არის, ეს არაფერს ნიშნავს. ეს მხოლოდ შიდა ბაზარზეა, მაგრამ ფასები რომ იზრდება. ფასების ზრდა ინფლაციის მაჩვენებელია.

– სოციალურად კრიტიკულ სიტუაციას გადააგორებს ხელისუფლება?

– თეორია გაჩნდა: რადგან ეკონომიკური სიტუაცია გამწვავდა, რადგან დიდი ინვესტიციები არ ხდება, დაუსაქმებელია მოსახლეობის ძალიან დიდი პროცენტი, უმუშევრობა ნომერ პირველი პრობლემაა ქვეყანაში (რაც „ენდიაის“ გამოკვლევამაც გვაჩვენა), შეიძლება ხელისუფლებამ იფიქროს დროზე ადრე წასვლაზე, არ ვგულისხმობ ვადამდელ არჩევნებს, რაზეც ამ ბოლო დროს ხშირია საუბარი, ვსაუბრობ იმაზე, რომ ემზადოს, მართლაც გადააბაროს ხელისუფლება სხვა ჯგუფს.

– რომელ ჯგუფს?

– ძალაუფლების გადანაწილება შეიძლება მხოლოდ გუნდის შიგნით მოხდეს. ეს კარგად თქვა თავად პრეზიდენტმა სააკაშვილმა: ის კი არ არის მთავარი, მე პრეზიდენტად ან პრემიერ-მინისტრად დავრჩეო, მთავარია, გუნდი დარჩეს ხელისუფლებაში. ეს არის ის ბოლო ზღვარი, რომლის იქით ხელისუფლება არ წავა. არანაირ ოპოზიციას, არც დესტრუქციულს, არც კონსტრუქციულს ისინი ხელისუფლებას არ გადააბარებენ. რადგან ეს თუ მოხდა, მოხდება მათი სრული დისკრედიტაცია და მოკითხვა დაკარგული ტერიტორიების, დევნილების საკითხის, ამაზე ხომ უნდა აგოს ვიღაცამ პასუხი. ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ, რომ არასოდეს ამაზე პასუხი არ აგონ.

– კულუარებში საუბარია გიგა ბოკერიაზე, რას იტყვით?

– რატომღაც ეს ეწინააღმდეგება იმ სტილს, რომელიც აქამდე ამ კაცს ჰქონდა. ის ყოველთვის მეორე როლზე იყო, მაგრამ სერიალურად მართავდა სიტუაციას, მაგრამ არის ადამიანი, რომელიც მართავს სიტუაციას და პირველ როლზეც არის. ეს არის ვანო მერაბიშვილი. შიგნით, რა თქმა უნდა, არის კონკურენცია და გარკვეულ ჯგუფებად დაყოფა. არ გამოვრიცხავ იმას, რომ იმ შემთხვევაში, თუ უარესი სცენარი განვითარდა ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის თვალსაზრისით, მაშინ ამჯობინოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა, არც პრემიერ-მინისტრად დარჩეს. თუმცა ამას ეწინააღმდეგება მისი ბუნება, რომელიც ვერ ეგუებოდა ვერასოდეს მეორე როლებს. თუმცა მათ ხომ იციან, რომ ცუდად არის საქმე ქვეყანაში ეკონომიკურ-სოციალური კუთხით, ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ამან პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს.



„ადრე თუ გვიან კავკასიელებს კოლექტიური უსაფრთხოების ხედვა გაუჩნდებათ"

ანუ სქემა, რომელმაც მტრებად ქცეული ხალხები უნდა გააერთიანოს

„გზა", 2011 წ. 10 მარტი, #10, გვ. 7, ჟურნალისტი ხათუნა ბახტურიძე, ფოტოთი

„აფხაზებმა და ოსებმა რუსეთისგან თავის დაღწევაზე ფიქრი დაიწყეს... ჩვენ ვიცით, როგორ შემოვირიგოთ ისინი", – აცხადებს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორი გოგი ხუციშვილი და ჩვენს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების მოგვარების ახალ იდეას გვთავაზობს. როგორც ბატონი გოგი ამბობს, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი და რუსი პოლიტოლოგები უკვე ორ წელიწადზე მეტია, რაც ერთმანეთს სტამბოლში ხვდებიან და მსჯელობენ. ახლახან პროექტში მონაწილე ექსპერტებმა და პოლიტოლოგებმა თავიანთი ნაშრომების კრებული – „რუსეთი და საქართველო – კრიზისიდან გამოსვლის გზები" გამოსცეს... წიგნის ერთ-ერთი ავტორი, ბატონი გოგი

ხუციშვილი, საზოგადოებას კავკასიური კონფედერაციის შექმნის იდეას სთავაზობს და ირწმუნება, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული სქემა სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

– ბატონო გოგი, მაინც როგორ გესახებათ საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარება და როგორია თქვენ მიერ ჩამოყალიბებული სქემა?

– კავკასიური კონფედერაციის სქემა არის „სამი პლუს სამი“, სადაც სამი სახელმწიფო (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) და სამი განსაკუთრებული სტატუსის მქონე ტერიტორია (აფხაზეთი, ცხინვალი და ყარაბაღი) გაერთიანდება. აფხაზეთი, ცხინვალი და მთიანი ყარაბაღი – ეს არის სამხრეთკავკასიური კონფლიქტების ზონები, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ პირობებში, საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით ჩამოყალიბდა. ამიტომ, გარკვეული რეგიონული პროცესების განვითარების შემდეგ, ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება მხოლოდ და მხოლოდ აქ, კავკასიაშია შესაძლებელი.

– რა პროცესებს გულისხმობთ?

– რეგიონულ ინტეგრაციას. პირველ რიგში, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფრონტაციისა და წინააღმდეგობების დაძლევას.

– კონფრონტაციის დაძლევა როგორ იქნება შესაძლებელი, როდესაც ბოლო დროს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა? ექსპერტების ნაწილი ამ ორ ქვეყანას შორის ომის დაწყებასაც არ გამორიცხავს.

– კი, ბატონო, ამ ორ ქვეყანას შორის სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია და, შესაძლოა, საქმე ომამდეც მივიდეს. სხვათა შორის, ექსპერტების დიდი ნაწილი ყარაბაღის კონფლიქტის განახლების სტიმულატორად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს მიიჩნევს. კონფლიქტის ძალადობრივი მეთოდით მოგვარების მცდელობას კავკასიაში უკვალოდ არ ჩაუვლია. ფაქტია, რომ კონფრონტაციებისა და საომარი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ ზომებია მისაღები.

– ამ ეტაპზე რა ზომების მიღებაა შესაძლებელი?

– უნდა დაიწყოს მოლაპარაკების პროცესი... თუ სომხებსა და აზერბაიჯანლებს შორის არსებული პრობლემები გარკვეულწილად მაინც მოგვარდა და დროებითი ზავი დაიდო, მაშინ კავკასიაში ინტეგრაციის პროცესიც დაიწყება.

– **დიალოგის დასაწყებად კომპრომისზე წასვლაა საჭირო, რასაც არც ერთი მხარე არ აპირებს...**

– ვფიქრობ, თუ ყარაბაღის სტატუსთან დაკავშირებით აზერბაიჯანიც წავა დათმობაზე, შესაძლოა, სომხეთმა ოკუპირებული ტერიტორიის გარკვეული ნაწილი დათმოს. ჩვენ არ ვამბობთ იმას, რომ ბაქომ ყარაბაღის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს, უბრალოდ, ისეთი სტატუსი უნდა მიანიჭოს, რომლის საშუალებითაც ყარაბაღი აზერბაიჯანის პირისპირ მარტო არ დარჩება. ე.ი. როგორც უკვე მოგახსენეთ, შეიქმნება ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურა, ანუ სამხრეთკავკასიური კონფედერაცია (ეს დაახლოებით ისეთი ორგანიზაციაა, როგორიც ევროკავშირი. თქვენ იცით, რომ ამ ორგანიზაციაში შესულია როგორც ძველისძველი სახელმწიფოები, ისე კოსოვოს მსგავსი ტერიტორიებიც), რომელშიც დაწესდება უვიზო რეჟიმი და შეიქმნება თავისუფალი ეკონომიკური ზონა. ამ ყველაფერს მხოლოდ ერთი, რომელიმე ქვეყანა კი არ გააკონტროლებს, არამედ კავკასიის მასშტაბით შექმნილი, ერთიანი მმართველობითი ორგანო. ყარაბაღელებს მარტო ბაქო არ ეყოლებათ ზედამხედველად, აფხაზებს კი – თბილისი. ასეთ სიტუაციაში აფხაზეთიც, ცხინვალიც და მთიანი ყარაბაღიც სხვაგვარად აღიქვამენ თავიანთ როლს ამ გაერთიანებაში და მათი ინტეგრაციაც ადვილად განხორციელდება.

– **საქართველოს რა დათმობაზე მოუწევს წასვლა?**

– თქვენ თუ დათმობად მიიჩნევთ იმას, რომ აფხაზეთი და ცხინვალი მხოლოდ საქართველოზე არ იქნებიან დამოკიდებული და ჩვენ ცალმხრივად, კავკასიური გაერთიანების გარეშე, ვერ მივიღებთ ამ რეგიონებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, არ ვიცი; სხვა მხრივ, არანაირ დათმობაზე არ მოგვიწევს წასვლა. ვფიქრობ, რომ საინტერესო სქემაა.

– **იმედი უნდა გვქონდეს, რომ ამ სქემის განხორციელებას მოსკოვი ხელს არ შეუშლის? ისე, კავკასიელები რუსე-**

თის „დახმარების“ გარეშეც ვერასდროს ახერხებდნენ საერთო ენის გამონახვას...

– კავკასიური გაერთიანების ჩამოყალიბება მოსკოვის ინტერესში ნამდვილად არ შედის. რუსეთი პრობლემებს აუცილებლად შეგვიქმნის, მაგრამ ხელს ვერ შეგვიშლის. ყველაფერი მაინც კავკასიელ ხალხებზეა დამოკიდებული. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ დასავლეთი დავარწმუნოთ ჩვენი სქემის განხორციელების აუცილებლობაში. დამოუკიდებლად, ევროპისა და ამერიკის დახმარების გარეშე, ამ იდეის განხორციელება ძალზე გაგვიჭირდა. სხვათა შორის, პრეზიდენტ სააკაშვილსაც ჰქონდა ინიციატივა, რომლის მიხედვითაც საქართველო-აზერბაიჯანის კონფედერაცია უნდა შექმნილიყო. ამისი განხორციელება ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა იმიტომ, რომ სომხეთთან კონფრონტაციაში ჩაბმა მოგვიწევდა. კავკასიური კონფედერაციის შექმნის შემთხვევაში კი არც ერთ ჩვენს მეზობელ ქვეყანასთან არ მოგვიწევს დაპირისპირება. საერთოკავკასიურ ოჯახში ყველა ქვეყანას, ავტონომიასა და ტერიტორიულ ერთეულს თავისი ღირსეული ადგილი ექნება მიჩენილი. ეს სიტუაციას ძალიან ცვლის. თქვენ აღნიშნეთ, რომ კავკასიელებს ყოველთვის უჭირდათ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვა. გეთანხმებით, ეს ისტორიულად ცნობილი ფაქტია. მაგრამ დღეს რეალობა სხვაგვარია, საფრთხის შეგრძნება და ომის თავიდან აცილების სურვილი კავკასიელებს გაერთიანებისკენ უბიძგებს. გარდა ამისა, ხაზგასმით ვამბობ, რომ ჩვენ ძალიან გვჭირდება ამ პროექტში ევროპის და ამერიკის აქტიური ჩაბმა. სხვათა შორის, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შეუძლებლად მიიჩნეოდა სომხეთსა და თურქეთს შორის დიალოგის დაწყება და საზღვრის გახსნა. ხომ ხედავთ, რომ უკვე დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზეც დაიწყო საუბარი?

– საუბარი კი დაიწყო, მაგრამ რეალური ნაბიჯები ჯერ კიდევ არ არის გადადგმული...

– კი, მაგრამ ისიც კარგია, რომ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. მე მა-

ინც მგონია, რომ ადრე თუ გვიან კავკასიელებს კოლექტიური უსაფრთხოების ხედვა გაუჩნდებათ.

– ამ საკითხთან დაკავშირებით კავკასიის სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან თუ გისაუბრიათ?

– კი, რა თქმა უნდა. ამ მოსაზრებების შესახებ ერევანსა და ბაქოში გამართულ კონფერენციებზე ვილაპარაკე. შეიძლება ითქვას, რომ იდეა უკვე „გაშვებულია“...

– აფხაზებისა და ოსების პოზიციასაც თუ იცნობთ?

– აფხაზები ადრე ცალსახად ამბობდნენ, რომ მათ არ სურდათ ქართველებთან პირისპირ დარჩენა; ახლა (ხმამაღლა – ვერა, მაგრამ მაინც...) ამბობენ, რომ არც რუსებთან პირისპირ დარჩენა სურთ. აფხაზებმა გააცნობიერეს, რომ რუსეთი მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საშუალებას არ მისცემს. ამიტომ მათთვის ახლა გაცილებით მომგებიანია კავკასიური კონფედერაციის ჩამოყალიბება, სადაც საქართველოს წინაშე მარტონი არ იქნებიან.

– აფხაზებისაგან განსხვავებით, ოსებს სულ არ აწუხებთ ის ფაქტი, რომ რუსეთი მათ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების საშუალებას არ აძლევს. ეს ხალხი დამოუკიდებლობისთვის არასდროს იბრძოდა, იმთავითვე რუსეთის ფედერაციაში გაერთიანებას ითხოვდა. როგორ ფიქრობთ – მოინდომებენ კავკასიურ კონფედერაციაში გაწევრიანებას?

– ვფიქრობ, მოინდომებენ – უბრალოდ, ამისთვის ბევრი უნდა ვიმუშაოთ და მათ ინტეგრაციაზე ვიზრუნოთ... მგონია, რომ მათთვისაც ძალიან საინტერესო უნდა იყოს ჩვენი ინიციატივა – სხვა კავკასიელებთან ერთად, კოლექტიურად მიიღონ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები. ჩემი სქემის მიხედვით, აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს კი არა, კავკასიის შემადგენელი ნაწილებია. კავკასიელობაზე უარს არც თავად აფხაზები და არც ოსები ამბობენ.

– ამ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებას კავკასიური ქვეყნების მმართველ ძალებთან აწარმოებთ თუ ოპოზიციონერების აზრებსაც ითვალისწინებთ?

– აუცილებლად გავითვალისწინებთ ოპოზიციური ძალების მოსაზრებებსაც, თუმცა საბოლოოდ ყველაფერი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის უნდა შეთანხმდეს.

– თქვენი სქემის მიხედვით, კონფედერაციაში ჩრდილოკავკასიელები არ ფიგურირებენ?

– ჩრდილოეთ კავკასია ამ სქემაში არ ჯდება. ის რუსეთის შემადგენელი ნაწილია.

– არის თუ არა გასათვალისწინებელი ის ფაქტი, რომ ჩრდილოკავკასიელები მოსკოვმა მათი ნების საწინააღმდეგოდ, ძალისმიერი მეთოდით მიუერთა რუსეთის ფედერაციას?

– თუ ჩრდილოკავკასიელი ხალხების ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის დასავლეთიც დაუჭერს მხარს, შესაძლოა, მომავალში მთელი კავკასიის გაერთიანების სქემაც განვიხილოთ. მაგრამ ეს ძალზე შორეული პერსპექტივაა. თეორიული თვალსაზრისით, რუსეთის დაშლა და მისგან ჩრდილოეთ კავკასიის გამოყოფა უახლოეს მომავალშიც შესაძლებელია, მაგრამ ჯერ ამის ნიშნებს, პრაქტიკულად, ვერ ვხედავ. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, ჩრდილოეთ კავკასიას რუსეთის შემადგენელ ნაწილად განვიხილავთ და მხოლოდ სამხრეთ კავკასიის გაერთიანებაზე ვაკეთებთ აქცენტს. არ იფიქროთ, რომ ჩემი სქემა უკვე საბოლოოდაა ჩამოყალიბებული და მასში ცვლილებების შეტანას არ ვაპირებ. ჯერ ყველაფერი ვარაუდების დონეზეა, ამიტომ გთხოვთ, ძალიან კრიტიკულიც ნუ იქნებით და ამ იდეას არსებობის უფლებას ნუ მოუსპობთ.

– საქართველოს ხელისუფლება თუ გამოეხმაურა თქვენს იდეას?

– ჯერჯერობით – არა, აი, ეს ინტერვიუ რომ გამოქვეყნდება, მერე ვნახოთ, რა იქნება...



ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ

უნდა შეასრულოს თუ არა საქართველომ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მედიატორის ფუნქცია

იმიტირებული სასამართლო – გოგი ხუციშვილი მამუკა არეშიძის წინააღმდეგ

თიკო ოსმანოვა

9 მარტს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრების გადაკვეთის წერტილში, ქვემო ქართლის რაიონის სოფელ ქალში სიმბოლური სასამართლო პროცესი გაიმართა. „სამშვიდობო ინიციატივების კავკასიის ცენტრის" თავმჯდომარის, გიორგი ვანიანის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ექსპერტები, ასევე საზოგადოებისა და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

იმიტირებული სასამართლოს განხილვის თემა გახლდათ – რამდენად შესაძლებელია, საქართველომ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის კონფლიქტის დარეგულირებაში მედიატორის როლი შეასრულოს.

ქართველმა ექსპერტებმა ამასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი შეფასებები გააჟღერეს.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველომ არ უნდა შეასრულოს მედიატორის როლი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რადგან, მათი თქმით, ამ შემთხვევაში საქართველო უფრო მსხვილ კონფლიქტში ჩათრეული აღმოჩნდება. ექსპერტთა ნაწილს კი მიაჩნია, რომ მიუხედავად გარკვეული დაბრკოლებებისა, საქართველო აუცილებლად უნდა იყოს ჩართული სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტის დარეგულირების საქმეში.

მოდელირებულ სასამართლო პროცესზე მოხსენებით ექსპერტები – გოგი ხუციშვილი და მამუკა არეშიძე წარდგნენ. მათ საკუთარი აზრი გამოთქვეს აღნიშნულ კონფლიქტთან დაკავშირებით და დიდი მსჯელობის შემდეგ სასამართლომ განაჩენიც გამოიტანა.

სასამართლოზე მამუკა არეშიძე ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ საქართველოს ყარაბაღის კონფლიქტში მედიატორის როლის შესრულება არ შეუძლია.

არეშიძის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ჩაერთო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კონფლიქტის დარეგულირების საკითხში, საქართველო საფრთხის წინაშე აღმოჩნდება და რუსეთის ხელშეწყობით არა მარტო ყარაბაღის, არამედ უფრო მსხვილი კონფლიქტი გაჩაღდება, რომელშიც საქართველოც იქნება ჩათრეული.

სასამართლო პროცესზე კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების კვლევის ცენტრის დირექტორმა გოგი ხუციშვილმა კი საწინააღმდეგო მოსაზრებები წარმოადგინა, რასაც იმიტირებული სასამართლოს მონაწილეებმა საბოლოოდ დაუჭირეს მხარი.

„მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, საქართველოს გააჩნია იმისი რესურსი, რომ მედიატორის როლი შეასრულოს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, რადგან საქართველო კავკასიური ქვეყანაა და აქვს კონფლიქტების გამოცდილება. მთავარია, სწორად შეირჩეს ადამიანები, რომლებიც თავის თავზე აიღებენ კონფლიქტის დარეგულირებას.

„რაც შეეხება რუსეთს, ამ შემთხვევაში რუსეთს აწყობს დაყოფილი კავკასია. ამიტომ იგი ორი ქვეყნის შერიგებას ხელს შეუშლის. მაგრამ მთავარია, კავკასიელებს გაუჩნდეთ ომის საშიშროების შეგრძნება, წინააღმდეგობა გაუწიონ რუსეთს და კონფლიქტის დარეგულირებაში მიიღონ მონაწილეობა“, – უთხრა „რეზონანსს“ ხუციშვილმა.



გამოუქვეყნებელი

რაშია შეუთავსებლობა მათ შორის

გოპრგი ხუციშვილი, 2011 წ. 6 ივნისი[1]

რაშია შეუთავსებლობა მათ შორის, რაც შენდება და რასაც ვაცხადებთ, რომ ვაშენებთ?

განსხვავებული აზრის აუტანლობა;
საზოგადოების წინაშე მოჩვენებითი ანგარიშგება;
პოლიტიკური ოპოზიციის მარგინალიზაცია;
სელექციური სამართალი.

საქართველო იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც ტრანზიტულობის პარადიგმის ფარგლებში მოიაზრებენ. უფრო მარტივი ენით რომ ვთქვათ, ერთი სისტემიდან უკვე გამოსული, მაგრამ მეორეში ჯერ არშესული და ამიტომ გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისა. ასეთია, ძირითადად, პოსტსაბჭოური სივრცის ქვეყნები. ეს გაურკვევლობა, გარკვეულწილად, იმასაც ეხება, ვშორდებით საბჭოთა სისტემას თუ ვუბრუნდებით მას.

ყოველთვის, როდესაც ევროპელ ან ამერიკელ პარტნიორებს სდომებიათ, პასუხი მიეღოთ კითხვაზე, თუ რა უშლის ხელს

[1] არ არის გამოქვეყნებული, დაუსრულებელია. ნ.ც.

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად ქვეყნის სათავეში მოსულ ლიდერებს, რომ თავიანთი საქმე...

წარმოვიდგინოთ, რომ „ბრძოლა ბოლომდეა მიყვანილი“. რას დაემსგავსებოდა ამ „ბოლომდე მიყვანილი ბრძოლის“ ველი? ანუ როგორია რეფორმების წინამძღოლთა ხედვა იმ ქვეყნისა, რომელიც საბოლოოდ უნდა მივიღოთ (ლაპარაკი ხომ „ბრძოლის ბოლომდე მიყვანაზეა“?).


1/29/2016 საქართველო, საინფორმაციო სააგენტო GHN - News Agency

გოგი ხუციშვილი: მოლაპარაკების დაწყებამდე საქართველომ აფხაზეთის სტატუსის განხილვაზე მორატორიუმი უნდა გამოაცხადოს

კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილის განცხადებით, მამუკა არეშიძის პოზიცია არ არის საუკეთესო გზა პერსპექტივის მისაღე[illegible] როგორც ხუციშვილმა "ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრისა[illegible] ყველა ექსპერტს აქვს უფლება, თავისი მოსა[illegible] ჰქონდეს, მაგრამ არ უნდა იყოს კონკრეტული შეთავაზ[illegible] დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებ[illegible]

"შეიძლება იყოს ლაპ[illegible]ბაზე მოლაპარაკებების გა[illegible]. არ დავაყენებდი საკითხს ისე, რომ თავიდანვე მზადყოფნა გამოვხატოთ დამოუკიდებლობის ასაღიარებლად. მოლაპარაკებების პროცესში გამოიკვეთება, რა გზები გაიხსნება. უნდა იყოს გახსნილობა სხვადასხვა შესაძლებლობის განსახილველად, რაც არ ნიშნავს იმას, რომ რამეზე ვაწერთ ხელს. სხვანაირად მოლაპარაკებებს ვერ გავააქტიურებთ. ადამიანმა თავისი ვარიანტი

გოგი ხუციშვილი: მოლაპარაკების დაწყებამდე საქართველომ აფხაზეთის სტატუსის განხილვაზე მორატორიუმი უნდა გამოაცხადოს

„ჯი-ეიჩ-ენი“, 2011 წ. 22 ივნისი

„შეიძლება იყოს ლაპარაკი გახსნილობაზე მოლაპარაკებების გასააქტიურებლად. არ დავაყენებდი საკითხს ისე, რომ თავიდანვე მზადყოფნა გამოვხატოთ დამოუკიდებლობის ასაღიარებლად. მოლაპარაკებების პროცესში გამოიკვეთება, რა გზები გაიხსნება. უნდა იყოს გახსნილობა სხვადასხვა შესაძლებლობის განსახილველად, რაც არ ნიშნავს იმას, რომ რამეზე ვაწერთ ხელს. სხვანაირად მოლაპარაკებებს ვერ გავააქტიურებთ. ადამიანმა თავისი ვარიანტი დააფიქსირა, ამ ვარიანტის დაფიქსირება ჩემთვის ნაკლებად მისაღებია“, – განაცხადა ხუციშვლმა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას.

მისი თქმით, იმისთვის, რომ პერსპექტივა გამოჩნდეს აღნიშნულ საკითხში, არ უნდა იყოს ლაპარაკი სტატუსზე.

„უნდა დავიწყოთ მოლაპარაკება საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენასა და ურთიერთობის შენებაზე. ამასობაში დე

ფაქტო და ჩვენს ხელისუფლებებს შორის უნდა იყოს რაღაც საქმიანი რეჟიმი კომუნიკაციის თვალსაზრისით. ეს იმ დოკუმენტითაც იყო გათვალისწინებული, რომელიც საქართველოს მთავრობამ მიიღო. ამის შემდეგ გაჩნდა პროფილი „ჩართულობა“ „არაღიარებასთან“ ერთად. ვფიქრობ, ჩვენს პირობებში არაღიარება სწორია, მაგრამ არ გამოგვდის ჩართულობა, ვინაიდან ხელს ვუწყობთ არაღიარებას და არ გამოგვდის ჩართულობა, ეს ხელს უწყობს აღიარებას“, – განაცხადა ხუციშვილმა.

მისი თქმით, საქართველომ უნდა გამოცხადოს მორატორიუმი სტატუსის განხილვის საკითხებზე, იქამდე, სანამ მოლაპარაკებები არ დაიწყება.



გოგი ხუციშვილი: ვინც არ უნდა გახდეს აფხაზეთის ახალი ლიდერი, ის მოსკოვის პოზიციის ალი-კვალი იქნება

„ჯი-ეიჩ-ენი“, 2011 წ. 26 აგვისტო, ფოტოთი

კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილის აზრით, ვინც არ უნდა გახდეს აფხაზეთის დე ფაქტო ახალი ლიდერი, ის მოსკოვის პოზიციის ალი-კვალი იქნება.

„ე.წ. პრეზიდენტობის ორივე სავარაუდო კანდიდატი: ანქვაბიცა და სერგეი შამბაც ქვეყნის შიგნით ურთიერთობის აგების თვალსაზრისით უფრო კონსერვატორები არიან, ვიდრე ბაღაფში იყო. თუმცა თავის დროზე ბაღაფშზეც არასწორი წარმოდგენა იყო შექმნილი, რომ ის უფრო ხისტი იქნებოდა მოსკოვთან ურთიერთობაში, ვიდრე არჩევნებში მისი მოწინააღმდეგე ხაჯინბა და სწორედ ამის გამო მისცა ბაღაფშს უპირატესობა აფხაზმა ხალხმა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აფხაზეთის უკვე გარდაცვლილი დე ფაქტო ლიდერი რუსეთთან ბევრ რამეში დამთმობი იყო და მეტიც, ამის გამო მას ხაჯინბაც კი აკრიტიკებდა. საბოლოოდ, ხაჯინბა უფრო კრიტიკული გამოდგა რუსეთის პოლიტიკის მიმართ. ამიტომაც,

ვფიქრობ, რომ ვინც უნდა გახდეს დე ფაქტო ლიდერი, ის მოსკოვის პოზიციის ალი-კვალი იქნება, მათ შორის, შამბაც და ანქვაბიც. ეს ორი ადამიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დადგეს აფხაზი ხალხის მოწოდების სიმაღლეზე, თუკი, მაგალითისთვის, რუსეთი კვლავ მოახდენს ზეწოლას, შეცვალოს ის კანონი, რომელიც აფხაზეთს საკუთარი მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეზე გაყიდვას უკრძალავს“, – განუცხადა გოგი ხუციშვილმა „ჯი-ეიჩ-ენს“.

ამასთან, მისივე აზრით, ახალ ლიდერად სერგეი შამბას ან ალექსანდრე ანქვაბის არჩევის შემთხვევაში სოხუმის საქართველოსთან დამოკიდებულება მხოლოდ გამკაცრდება.

„მგონია, რომ სერგეი ბაღაფშის გარდაცვალებითა და ახალი ლიდერის არჩევით ვითარება მხოლოდ აფხაზეთში შეიცვლება, თუმცა რა მიმართულებით, ეს იქნება დამოკიდებული იმაზე, ვინ გაიმარჯვებს ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნებში“. ახალი ლიდერის არჩევა საქართველოსთან აფხაზეთის დამოკიდებულებაზე, სავარაუდოდ, არ იმოქმედებს, ყოველ შემთხვევაში დადებითი კუთხით. პირიქით, თუ ე.წ. „პრეზიდენტი“ ანქვაბი ან შამბა გახდა, მგონია, რომ საქართველოსთან აფხაზეთის დამოკიდებულება გამკაცრდება. ამასთან, მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს ოფიციალური თბილისის პოზიციაც, რომელიც აფხაზეთს, როგორც მხარეს, არ აღიარებს და მას მხოლოდ რუსეთის მარიონეტად მიიჩნევს“, – განმარტა კონფლიქტოლოგმა.

შეგახსენებთ, რომ სეპარატისტულ აფხაზეთში დღეს ე.წ. „საპრეზიდენტო არჩევნები“ მიმდინარეობს.

გოგი ხუციშვილი: ახალ პოლიტიკურ ვითარებაში სტატუსკვო შეიძლება დაირღვეს

საქართველო, თბილისი - პარასკევი 16:08 01.29.2016



საქართველო შვეიცარიის მხარის კომპრომისულ წინადადებას დასთანხმდა, რომელიც რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების სანაცვლოდ საქართველო-რუსეთის საზღვარზე ტვირთების გადაზიდვის საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელებას ითვალისწინებს. პარალელურად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მეტად საინტერესო პროცესები ვითარდება. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ახალი პოლიტიკური „ფაქტორის" გამოჩენა მრავალ კითხვას ბადებს. ვმო-ს საკითხზე შეთანხმების, ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარების და შიდა პოლიტიკური პროცესების შესაფასებლად „ჯი-ეიჩ-ენი" კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელს გოგი ხუციშვილის ესაუბრა.

- საქართველომ თანხმობა განაცხადა შვეიცარიის მიერ შემუშავებულ კომპრომისულ წინადადებაზე, რაც საქართველო-რუსეთის საზღვარზე ტვირთების გადაზიდვაზე საერთაშორის მონიტორინგის განხორციელებას ითვალისწინებს. როგორ ფიქრობთ, დათანხმება თუ არა რუსეთ ამ წინადადებას?

- ძნელი სათქმელია. რუსეთი და პუტინი აცხადებდნენ, რომ ჩვენთვის არ არისო პრობლემა თუ არ

2011

NEWS AGENCY GHN.GE ახალი ამბების სააგენტო

გოგი ხუციშვილი: ახალ პოლიტიკურ ვითარებაში სტატუს-კვო შეიძლება დაირღვეს

„ჯი-ეიჩ-ენი", 2011 წ. 31 ოქტომბერი, ჟურნალისტი ალექსანდრე ნაბახტეველი, ფოტოთი

საქართველო შვეიცარიის მხრიდან კომპრომისულ წინადადებას დათანხმდა. რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების სანაცვლოდ საქართველო-რუსეთის საზღვარზე ტვირთების გადაზიდვის საერთაშორისო მონიტორინგი განხორციელდება. პარალელურად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მეტად საინტერესო პროცესები ვითარდება. საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ახალი პოლიტიკური „ფაქტორის" გამოჩენა მრავალ კითხვას ბადებს. ვმო-ს საკითხზე შეთანხმების, ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარების და შიდა პოლიტიკური პროცესების შესაფასებლად „ჯი-ეიჩ-ენი" კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელს, გოგი ხუციშვილს ესაუბრა.

– საქართველომ თანხმობა განაცხადა შვეიცარიის მიერ შემუშავებულ კომპრომისულ წინადადებაზე, რაც საქართველო-რუსეთის საზღვარზე ტვირთების გადაზიდვაზე სა-

ერთაშორისო მონიტორინგის განხორციელებას ითვალისწინებს. როგორ ფიქრობთ, დათანხმდება თუ არა რუსეთი ამ წინადადებას?

– ძნელი სათქმელია. რუსეთი და პუტინი აცხადებენ, რომ ჩვენთვის არ არისო პრობლემა, თუ არ გავწევრიანდებით აღნიშნულ ორგანიზაციაშიო. შვეიცარიელების წინადადება კომპრომისულ წინადადებას წარმოადგენს. ქართული მხარისათვის მისაღებია, რადგან აქამდე არსებული მდგომარეობით მხოლოდ რუსეთის მხრიდან ხდებოდა ტვირთების კონტროლი. ამიტომ შვეიცარიელების წინადადება ჩვენთვის სრულიად მისაღებია. ლოგიკურად მიმაჩნია, რომ ქართული მხარე ამას დათანხმდა რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანების სანაცვლოდ. ეს რუსეთისთვისაც მისაღები უნდა გახდეს. ეს არ არის პოლიტიკური დიდი დათმობა, ეს არის საერთაშორისო მონიტორინგი. თუ გაჯიუტდა რუსეთი, რაც საქართველოსთან მიმართებაში ახასიათებს ხოლმე, ასეთ შემთხვევაში შეიძლება შვეიცარიელების წინადადებამ რუსეთში მხარდაჭერა არ მოიპოვოს. მაგრამ რეალურად რომ ვიმსჯელოთ, რუსეთის თანხმობით დასრულდება ის დიდხნიანი მოლაპარაკებები, რომელიც საერთაშორისო დონეზე უკვე მობეზრებულია. ამის გათვალისწინებით საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ძალიან დიდი მცდელობა იქნება, რომ დაითანხმონ რუსეთი და ამ წინადადებას დათანხმდეს.

– რუსეთის თანხმობის შემთხვევაში ტვირთების გადაზიდვა განხორციელდება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რუსეთის მიერ დამოუკიდებლად აღიარებულ ტერიტორიულ ერთეულებზე. შვეიცარიის წინადადებაში კი ნახსენებია მონიტორინგი საერთაშორისოდ აღიარებულ საქართველოს საზღვრებზე. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?

– კი, ეს მართალია. ამ შემთხვევაში მართლა გამოდის ისე, რომ ისინი საწინააღმდეგოდ მიდიან საკუთარი პოზიციის, რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს შეეხება. მით უფრო, იმის შემდეგ, რაც რუსეთმა 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა

და მათთან, როგორც სახელმწიფოებთან, გააფორმა ორმხრივი ხელშეკრულებები. თან საზღვრის ეს მონაკვეთები, რომელსაც მთელი მსოფლიო თვლის და არის კიდეც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რუსეთი ამას ასეთად არ მიიჩნევს. საქმე ისაა, რომ არის წინააღმდეგობა რუსეთის გადაწყვეტილებას და საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიან პოზიციას შორის, რომელიც მიიჩნევს, რომ ეს არის საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. საერთაშორისო სამართლის ენით რომ ვთქვათ, არ შეიძლება რუსეთი დაეყრდნოს თავის ცალმხრივად გამოცხადებულ გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებასთან დაკავშირებით. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რომ იყვნენ გაერო-ს წევრები, მიღებული საერთაშორისო ოჯახში, მაშინ რუსეთს ექნებოდა სულ სხვა წონა, როდესაც ამ საკითხზე ილაპარაკებდა. აქ მნიშვნელობა ენიჭება ერთ რამეს – რუსეთს უნდა, ბოლოს და ბოლოს, გახდეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი თუ ჯიუტად მიაწვეს თავის პოზიციას და ვინაიდან არ თვლის საქართველოს საზღვრად, ამიტომ იქ არ უნდა დაუშვას საერთაშორისო მონიტორინგი.

– ოქტომბრის შუა რიცხვებში ბუნდოვანი იყო, გაგრძელდებოდა თუ არა მოლაპარაკებები. თვის ბოლოს კი სიტუაცია შეიცვალა და გაჩნდა შესაძლებლობა იმისა, რომ მხარეები კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. როგორ ფიქრობთ, რა შეიცვალა ამ მცირე პერიოდში და განხორციელდა ზეწოლა მხარეების მიმართ?

– ზეწოლა აშკარად იყო ორივე მხარის მიმართ. საქართველოს მიმართ იყო მოთხოვნა, რომ ნუ ითხოვთ ძალიან ბევრს, დათანხმდით კომპრომისს. ევროპაში გაღიზიანება იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საკითხის განხილვა გაიწელა. ეს კომპრომისული წინადადება წამოსულია შვეიცარიის მხრიდან, მაგრამ შეთანხმებულია ევროკავშირთან. საქართველომ გააკეთა დათმობები. მაგრამ მე ვიტყოდი, ეს არის გონივრული დათმობები. საქართველო უფრო მეტს აღნიშნული მოლაპარაკებებიდან ვერ მიიღებდა, სწორედ ამიტომ შემუშავდა ეს წინადადება.

– რაც შეეხება ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ 13 ნოემბერს დაგეგმილ დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებს. კენჭს 17 კანდიდატი იყრის. როგორ ფიქრობთ, ვის აქვს გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი?

– სამხრეთ ოსეთში სიტუაცია და არჩევნები ძალიან განსხვავდება აფხაზეთისგან. აფხაზეთში მაინც მოწესრიგებულად ჩატარდა და იქ უფრო დამაჯერებლად მოხდა შერჩევა. აქ ჯერ კიდევ გაურკვეველია, ვინ გახდება პრეზიდენტი. აქამდე რუსეთის ფავორიტად ბიბილოვი ითვლებოდა, რომელიც, პრაქტიკულად, კოკოითის კაცი იყო. კოკოითი დიდი ხანია ცდილობდა, რომ დარჩენილიყო ხელისუფლებაში. ამისთვის ის ყველანაირ მეთოდს იყენებდა. საკონსტიტუციო ცვლილებებიც უნდა მოეხდინა, რაც მას საშუალებას მისცემდა, კიდევ ერთი ვადით ეყარა კენჭი, მაგრამ ეს არ გამოუვიდა. ასევე იყო მცდელობა იმისა, რომ სამხრეთ ოსეთი გადაკეთებულიყო საპარლამენტო რესპუბლიკად და პარლამენტის თავმჯდომარე ყოფილიყო კოკოითი, მაგრამ ესეც არ გამოუვიდა. მერე იყო ლაპარაკი იმაზე, რომ მას თავისი კაცი გაეყვანა პრეზიდენტად და ამით რაღაც ბერკეტები შეენარჩუნებინა და ასეთ კაცად მოიაზრებოდა ბიბილოვი. ახლა კი მოსკოვი მხარს კავშირგაბმულობის მინისტრ კაბისოვს უჭერს. მაგრამ ეს შეიძლება კიდევ შეიცვალოს. კაბისოვი კოკოითის კაცად ნაკლებად ითვლება. სიტუაცია შეიძლება კიდევ დაიძაბოს, რადგან იქ არ არის სიტუაცია ისეთი, რომ შეიძლებოდეს რაიმე პროგნოზის გაკეთება. ყველაფერი დამოკიდებულია შიდა სიტუაციის ფეთქებადობაზე და მოსკოვის გადაწყვეტილებაზე, თუ ვის დაუჭერს მხარს. მე ერთი რაღაც მაფიქრებს, რომ მოსკოვი თითქოს არ იყო დაინტერესებული, კოკოითს რაღაც ბერკეტები დარჩენოდა. სჭირდებოდა სხვა ხალხის მოყვანა, რადგან საუბრობდნენ იმაზე, რომ საშინელი კორუფციაა და ფული, რაც არის ჩამოსული მოსკოვიდან, იჭმევა. ეს იყო დაკავშირებული კოკოითის სახელთან, ამიტომ მისი მოცილება რუსეთის ინტერესებში იყო. შემდეგ კი გაირკვა, რომ მოსკოვი თანხმდება იმას, რომ კოკოითი წამყვან პოზიციებზე დარჩეს. ყველაფერი სასწორზეა და პროგნოზის გაკეთება ამ დროისთვის რთულია.

– მოსკოვი თითქოს პასიურობს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რადგან მათ არ ჰყავთ გამოკვეთილი კანდიდატი არჩევნებში?

– სამხრეთ ოსეთს აქვს უფრო ფეთქებადი ტერიტორიის სტატუსი, ვიდრე აფხაზეთს. აფხაზეთი არის დაცული, განცალკევებული, ენგურის გასწვრივ ძალიან ბევრი სამხედრო ბაზაა აშენებული და რუსები და აფხაზები სიტუაციას იქ აკონტროლებენ. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს: მოგეხსენებათ, ახალგორი თბილისთან ძალიან ახლოს არის, იქ შენდება სამხედრო ბაზები და არავინ იცის, რა რაოდენობის და რა სახით. მუდმივად არასტაბილური სიტუაციებია ცხინვალშიც. სხვადასხვა ჯგუფები ერთმანეთს ებრძვიან. ამიტომ არა მგონია, რუსეთს ეს ყველაფერი კონტროლის გარეშე ჰქონდეს დატოვებული. რუსეთს არ აწყობს, უკონტროლოდ განვითარდეს მოვლენები. ძირითად საშიშროებას წარმოადგენდა თავად კოკოითი, რომელიც იყო მიმართული იმისკენ, რომ ან ის დარჩებოდა ხელისუფლებაში ან ძალიან გაართულებდა საქმეს. მოსკოვიდან უახლოეს დღეებში უნდა ველოდოთ გადაწყვეტილებას – ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მმართველობა მათ წარმოუდგენიათ კოკოითიანად თუ კოკოითის გარეშე.

– უნდა ველოდოთ თუ არა საქართველოსთან მიმართებაში არჩევნების შემდეგ რაიმე ცვლილებებს?

– არაფერი შეიცვლება. ეს არის აგვისტოს შემდგომი გაყინული სტატუს-კვო, რომელიც აფხაზეთშიც და სამხრეთ ოსეთშიც არის გატარებული ძალიან მკაფიოდ და რომელიც არ შეიცვლება უახლოეს პერიოდში. მოსკოვში არჩევნების შედეგი პრაქტიკულად უკვე ცნობილია. საქართველოში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენასთან დაკავშირებით დაიწყო პროგნოზები, როგორ შეიძლება გადანაწილდეს ხმები და გადანაწილდეს პოლიტიკური სპექტრი. აქ ცოტა უფრო რთულად არის სიტუაცია. სიტუაცია შეიცვალა და აღარ არის ცალსახა პროგნოზი, რომ ხელისუფლებაში სააკაშვილის გუნდი უპრობლემოდ დარჩება. თუ შეუფერხებლად განვითარდა ეს პოლიტიკური პროცესი, არჩევნებამდე ჩვენ ვნახავთ პოლიტიკურ სივრცეში სხვა განლაგებას და სხვა სიტუაციას. საქართველოში წინასაარჩევნო

სიტუაცია იმოქმედებს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სიტუაციებთან დაკავშირებით. აქამდე სტატუს-კვო იყო ორივე მხარის ინტერესებში. ჩვენ კი ვამბობთ, რომ დეოკუპაციისთვის ვიბრძვით, მაგრამ რეალურად ჩვენ არაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ დიალოგი დაგვეწყო ოსებთან და აფხაზებთან. რეალურად არაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ არაღიარებასთან ერთად ყოფილიყო ჩართულობა. გამოდიოდა ისე, რომ ჩვენ, პრაქტიკულად, ხელს ვუწყობდით იმ სტატუს-კვოს გაყინვას, რომელიც რუსეთმა დააწესა. ასეთი თანხვედრა ინტერესებისა თბილისსა და მოსკოვში იკვეთებოდა. საქართველოს ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ეს შეიძლება დაირღვეს.

– აფხაზები და ოსები აცხადებენ, რომ მათი ენები გადაშენების პირასაა. ამას ემატება 13 ნოემბერს ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ დაგეგმილი რეფერენდუმი, რომელიც რუსული ენისთვის „სახელმწიფოებრივი სტატუსის“ მინიჭებას შეეხება. რა ინფორმაცია გაქვთ, რა მდგომარეობაშია რეალურად აფხაზური და ოსური ენები?

– ოსური და აფხაზური ენები სერიოზული საფრთხის ქვეშ არიან. საერთოდ, ასიმილაცია იქნება გაძლიერებული. სოჭის ოლიმპიადამდე რუსეთი თავს იკავებს გამწვავებისგან და აფხაზეთში ასიმილაციის პროცესი აქტიურად არ დაწყებულა. მაგრამ შემდეგ აფხაზები თვითონ ელიან და ეშინიათ იმისი, რუსეთი ძალიან გაამკაცრებს პოლიტიკას აფხაზეთში. ჩამოასახლებს ხალხს და დაიწყება ასიმილაციის აქტიური პროცესი. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, იქ სავალალო მდგომარეობაა. იქ მოსახლეობა პოლიტიკურ მომავალს ვერ ხედავს. ამის გამო იქ მუდმივად არის საქართველოსთან მიბმულობის იდეა. ეს იყო ხალხი, რომელიც ჩვენი ნაწილი იყო. აფხაზები არიან უფრო ორიენტირებულები დამოუკიდებელ განვითარებაზე. ოსები არ ამბობენ, მაგრამ მაინც არიან საქართველოსთან ჭიპლარით დაკავშირებულები.

– ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებაში ახალი გუნდი მოვიდა. ანქვაბის გუნდის მოსვლის შემდეგ რა მდგომარეობაა აფხაზეთში და რას ფიქრობენ საქართველოში?

– ჯერჯერობით ისინი არანაირ გეგმას არ განიხილავენ საქართველოსთან მიმართებაში. თუ საქართველოში მდგომარეობა არჩევნების შემდეგ შეიცვალა, გაჩნდება სერიოზული პროცესები აფხაზებთან მიმართებაში. აფხაზები აკვირდებიან ამას ძალიან ყურადღებით. ისინი გახსნილ ურთიერთობაზე საქართველოსთან შეიძლება წამოვიდნენ, მაგრამ ერთიან სამართლებრივ სივრცეში რომ იყვნენ აფხაზები და ქართველები, არც კი განიხილება. ეს არის შორეული მომავლის ამბავი. ამის დასაჩქარებლად უნდა განავითაროს საქართველომ ურთიერთობები და უნდა მოხდეს კომუნიკაცია. ქართველები და აფხაზები უნდა იყვნენ ურთიერთობაში მყოფი ორი ხალხი. ამის საფუძველზე უნდა აშენდეს ახალი ურთიერთობა და ახალი პერსპექტივა გაერთიანების.



ვერტიკალი

თავისივე ქმნილების მძევლები

გიორგი ხუციშვილი, 2012 წ. 22 ივლისი[1]

ხელისუფლება აცხადებს, დემოკრატია ჯერ სრულად არ აგვიშენებიაო, მაგრამ ძლიერი სახელმწიფო ხომ უკვე ავაშენეთო, თავის დროზე დემოკრატიაც აშენდებაო. სინამდვილეში ის პოლიტიკური სისტემა, რაც შენდება, იმდენადვე ძლიერია, როგორც ერთმანეთზე დადუღებული რკინის კარკასებისგან შემდგარი ნაგებობა, რომელიც არ ითვალისწინებს დრეკადობის თეორიის კანონებს. ამგვარი მშენებლობის ისტორიაში ყველაზე შთამბეჭდავი მაგალითი ბაბილონის გოდოლი იყო, რომელსაც დასრულება არ ეწერა. ჩვენი გოდოლის მშენებლები, მართალია, ერთ ენაზე და ერთ ხმაშიც კი სინქრონულად და აწყობილად საუბრობენ, მაგრამ დრეკადობის კანონების დაცვისა, აბა, რა მოგახსენოთ... არადა, სწორედ დემოკრატიული წყობაა ის „დრეკადობა“ და მოქნილობა, რომელიც ნამდვილ მდგრადობას ანიჭებს თანამედროვე სახელმწიფოს.

[1] არ არის გამოქვეყნებული. ნ.ც.

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად სახელმწიფოს სათავეში მოსული გუნდი ბევრს იქებს თავს ქვეყანაში ჩატარებული რეფორმებით. ამავე დროს, მათივე ძალისხმევით, შეიქმნა პოლიტიკური სისტემა, რომელიც ურყევად გამოიყურება და, ამავე დროს, ერთი საბედისწერო თავისებურება გააჩნია: ის რეფორმირებას არ ექვემდებარება. ის შეიძლება ან გაგრძელდეს უცვლელი სახით, ან, ცვლილების შეტანის ნებისმიერი მცდელობის შედეგად, დაინგრევა. იმიტომ, რომ ამგვარი პოლიტიკური სისტემის თავისებურებაა სიცოცხლისუნარიანი ოპოზიციური ძალების თანაარსებობის შესაძლებლობის გამორიცხვა. თვითგაძლიერებისა და თვითგადარჩენის ინსტინქტის ფარგლებში გუნდურობის გაგება პოლიტიკური გარემოს დასუსტების და დაკნინების ხარჯზე ხდება და შედეგად მიღებული სისტემა, რომელიც დღეს მტკიცედ გამოიყურება, სულ უფრო ხისტი და მოუქნელი ხდება, სულ უფრო მეტად ესაჭიროება საყოველთაო შიშის ფაქტორი, ხალხისგან სულ უფრო გაუცხოვდება და გარე საშიშროებების ფეტიშიზაციას ახდენს, რათა ქვეყნის შიგნით დაკარგული ნდობის ფონზე პოზიციები გაიმყაროს. ასეთივე არარეფორმირებადი იყო საბჭოთა სისტემა, რომელმაც შვიდი ათწლეული გაძლო, მაგრამ როგორც კი დასავლეთის გავლენით გორბაჩოვს ლიბერალიზაციის და დემოკრატიზაციის ელემენტების შემოტანის მცდელობა ჰქონდა, მაშინვე ნგრევის პროცესი დაეწყო. რეფორმირება, ლიბერალიზაცია, პლურალიზაცია, დემოკრატიზაცია ასეთი სისტემისთვის შეუძლებელი ამოცანა და ფუჭი მცდელობაა, სანამ ის არსებობს.

ვიცი, თუ როგორ აღიზინებს ჩვენს მესვეურებს რუსეთის სიტუაციასთან და რუსეთის ლიდერებთან ნებისმიერი შედარება და სწორედ ასეთი შედარების მოყვანას ვაპირებ.

ასეთივე არარეფორმირებადი და ხისტია ის სისტემა, რომელსაც პუტინი აშენებს რუსეთში. იქაც მმართველი რეჟიმის ადვოკატები უკვე კარგა ხანია, ავითარებენ იმ თეორიას, რომ, რა თქმა უნდა, დემოკრატია არ გვაქვს, მაგრამ აბა, „სპექტრს“ გადახედეთ, ეგ რა პოლიტიკური ძალებია და რამდენი უჭერს მათ მხარს?! ესენი იქნებიან მდგრადი სახელმწიფოს შემქმნელები? ამომრჩეველს, უბრალოდ, სხვა არჩევანი არ რჩება,

ვიდრე ხმა არსებულ რეჟიმს, ანუ არსებულ ლიდერსა და მის პარტიას მისცეს (ისე რომ ვთქვათ, პუტინის პარტია სააკაშვილის პარტიასთან შედარებით პოლიტიკურ პარტიას უფრო ჰგავს). ორივე სისტემას, მასშტაბში განსხვავების მიუხედავად, სუსტი ოპოზიცია ესაჭიროება. რუსეთშიც და საქართველოშიც პოლიტიკური ლიდერების ხედვა და ამ ხედვით აშენებული სისტემა ძლიერ და კონკურენტუნარიან პოლიტიკურ გარემოს აბსოლუტურად გამორიცხავს. 2012 საარჩევნო წელს პირველად საქართველოში არსებული სისტემა რეალური გამოწვევის წინაშე დადგა.

ამგვარი სისტემის სათავეში და ცენტრში ერთპიროვნული ლიდერია, სულ ერთია, მას პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი დაერქმევა; მთავარია პიროვნება თავისი სახელითა და გვარით, გუნდში რკინისეული დისციპლინით და თავისი დაუნდობლობით შიდა თუ გარე ოპონენტების მიმართ. რა თქმა უნდა, ბელადს ერთგული გუნდი ესაჭიროება, რათა იბელადოს და მათ შორის ინტერესთა თანხვედრა უნდა არსებობდეს. ამავე დროს, მოცემულ სისტემაში, გუნდში აზრთა სხვადასხვაობა და შიდა ოპონირება გამორიცხულია: მმართველი ძალის მონოლითურობაში გარე სამყაროს ეჭვი არ შეიძლება შეეპაროს.

ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რამდენად რეალურია ერთპიროვნული ლიდერობა ასეთ სისტემაში? ჩვენში მოარული ხმები ხან იმისკენ იხრებოდა, რომ სააკაშვილი გუნდის მძევალია და გამჟღერებელი, ხან კი იმისკენ, რომ გუნდის მჩაგვრელია და დიქტატორი. ჩემი აზრით, გუნდიც და პრეზიდენტიც მათივე შექმნილი სისტემის მძევლები არიან. უბრალოდ, სისტემა ვერ იტანს აზრის გაორებას და გასამებას, ის ერთ პიროვნებასთან უნდა იყოს ასოცირებული და ერთი პიროვნების ხმით ლაპარაკობდეს. ამიტომაც დგება მმართველი გუნდი ძნელი ალტერნატივის წინაშე. თუ მათ გეგმის განხორციელება მოახერხეს და პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობა შეინარჩუნეს, სააკაშვილი დაიკავებს პრემიერ-მინისტრის პოსტს ვინმესთან მობოდიშების გარეშე. ვინაიდან ეს წამყვანი პოსტია, სისტემის ვერტიკალი უცვლელი დარჩება. ხოლო თუ დაკარგეს კონსტიტუციური უმრავლესობა, რაც სავსებით

რეალური პერსპექტივაა, ეს სისტემის შენარჩუნებას ვერ უზრუნველყოფს და მონოპოლიის აღსადგენად ექსტრემალურ სცენარს შეიძლება მიმართონ.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მალევე გამოითქმებოდა ვარაუდები, რომ თუ ქვეყანაში ძლიერი ოპოზიციური ალტერნატივა ვერ ჩამოყალიბდა, მმართველ ძალაშივე აღმოჩნდებოდა ჯანსაღი იმპულსი, რათა შიდა ჯგუფთაშორისი ოპონირება გაძლიერებულიყო, ინსტიტუციონალიზაცია გაევლო და შედეგად მიგვეღო ისეთი მოდელები, რასაც ვხედავთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, სადაც ორი, მაქსიმუმ, სამი ძლიერი პარტია იბრძვის ხელისუფლებისთვის, ხან ერთი მოდის ხელისუფლებაში, ხან – მეორე, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანს ერთნაირი ან მსგავსი ხედვა აქვს ფუძემდებლურ სახელმწიფოებრივ პრინციპებზე, არასდროს დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რაში სჭირდებათ გაორებულ ან გასამებულ მდგომარეობაში ყოფნა, არავის მოსდის ჭკუად, მოდი, გავერთიანდეთ და ერთმა ძლიერმა პარტიამ სამომავლოდ მართოს სახელმწიფო. მიზეზი ისაა, რომ სწორედ ამისი არდაშვება იმ ფუძემდებლურ პრინციპებში შედის, რასაც სახელმწიფოებრიობა ემყარება. მარტივი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გამოდის იმავე პრინციპების ჩვენში დამკვიდრება, იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ შემთხვევაში ქვეყანას ორი ან მეტი ლიდერი უნდა ჰყავდეს, რომელთაც საკუთარი როლის არამუდმივობა და ძალაუფლების არჩევნების შედეგად მონაცვლეობის გარდაუვალობა უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული.

სისტემა, რომელიც იდენტიფიცირებულია სააკაშვილის სახელთან, ვერ აიტანს მეორე ძლიერ პარტიას და მეორე ძლიერ ლიდერს თავის გვერდით, თუნდაც თანამოაზრეს და უახლოესი გარემოცვიდან გამოსულს. ძალაუფლების ვერტიკალს ერთი მწვერვალი უნდა ჰქონდეს. გავიხსენოთ მუხროვანის ინციდენტი, როგორ ტუქსავდა პრეზიდენტი პატარა ბიჭებივით, ფეხზე მდგომს და დარცხვენილს, ტელეკამერების წინ ზუსტად იმ ორ ადამიანს, ვისი ავტორიტეტიც ყველაზე მეტად ფასობდა სახელმწიფო სისტემის ძლიერად წარმოსახვის საქმეში – მერაბიშვილსა და ადეიშვილს. მათი საჯაროდ დატუქსვა შოუს შე-

მადგენელი ნაწილი იყო. საპარლამენტო ოპოზიციის, თუნდაც საკუთარი სატელიტების, ნებისმიერ განცხადებაზე თუ შენიშვნაზე პრეზიდენტის დამცინავი რეაქცია და შეურაცხყოფის მიყენებაც იმავე პოლიტიკის ნაწილია: არავის ეგონოს, ამათ, მასხარათა გარდა, რამე ფუნქცია აკისრიათო. ანუ უცხადესია, თუ რა ტიპის ძლიერი სახელმწიფო იგულისხმება, როგორც საბოლოო მიზანი.

ზუსტად ამავე მიზეზის გამო შეუძლებელია, ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება რეალურად მოხდეს. აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას ერთი და იგივე ვიწრო ჯგუფი უნდა აკონტროლებდეს.



გოგი ხუციშვილი: დსთ-ში დაბრუნების საკითხი, შესაძლოა, გვიან ეტაპზე განვიხილოთ

„კვირის პალიტრა“, 2012 წ. 21 ნოემბერი, ესაუბრა ლალი პაპასკირი, სპეციალურად საიტისათვის

რამდენიმე დღის წინ ესტონელმა ანალიტიკოსმა ედუარდ ტინიმ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სურვილს „სულელური გადაწყვეტილება“ უწოდა, რადგან, მისი აზრით, ამ ნაბიჯს რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა მოჰყვა... თავის მხრივ, ქართული მხარის განცხადებას – მზად არის რუსეთთან ურთიერთობები დაალაგოს – ჩრდილოელი მეზობელი დუმილით პასუხობს. გარდამავალი პერიოდის საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური პროცესების შეფასება კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელს, გოგი ხუციშვილს ვთხოვეთ:

– ამ რთულ, გარდამავალ პერიოდში, მიმაჩნია, რომ ჩვენ არ უნდა ვილაპარაკოთ იმ საკითხებზე, რომლის მოგვარება ჯერჯერობით შეუძლებელია. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსს. ამ თემაზე საუბარს სხვანაირი წინაპირობები სჭირდება, თუნდაც ორ-

მხრივი ურთიერთობების სურვილი... რაც შეეხება დსთ-ში დაბრუნების საკითხს, რომელზეც რუსეთის ოფიციალური პირები „მოგუდულად“ ლაპარაკობენ, მაგრამ ბოლო დროს მასმედიაში სხვადასხვა პუბლიცისტების მიერ არის შემოგდებული, ქართული მხარისგან ისეთი ნაბიჯების გადადგმას ითხოვს, რაც საქართველოს რუსეთის სივრცეს მიაბამს. ამას ნიშნავს მისი მხრიდან სრული დუმილი. პოლიტიკურ საკითხებს რომ დავანებოთ თავი, თავად რუსული საზოგადოებაა დაინტერესებული ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის გახსნით, მაგრამ ამაზეც კი არანაირი პასუხი არ ყოფილა.

– ანუ რუსეთის ფედერაცია ცდილობს, ცალმხრივ დათმობაზე წაგვიყვანოს?

– დიახ, ვინაიდან რუსეთი ტერიტორიულად დიდი ქვეყანაა, ის ამით სარგებლობს და ჩვენგან სულ მეტს ითხოვს, რადგან მიაჩნია, რომ დაუცველი, განვითარებადი ქვეყანა ვართ. ამიტომ მისი სურვილია, ისევ მის სივრცეში დავბრუნდეთ და ამით დავკმაყოფილდეთ. ხოლო ის უსაფრთხოება, რომელსაც ნატო-სგან ველოდებით, რუსეთისგან მოვიპოვოთ. ეს რუსეთის დიდი სურვილია, მაგრამ ჩვენ გვაქვს არჩეული ევროატლანტიკური გზა, რომელსაც არ უნდა გადავუხვიოთ და ახლა თუ ეს შეცდომა დავუშვით და ევროპისა და ამერიკის მხარდაჭერა დავკარგეთ, ეს საბედისწერო ნაბიჯი იქნება.

დსთ-ში დაბრუნების საკითხი, შესაძლოა, გვიან ეტაპზე განვიხილოთ. მაშინ, როდესაც ორმხრივი ურთიერთობები მოგვარებული იქნება, თავდაუსხმელობის გარანტიები იარსებებს, ეკონომიკური კავშირები აღდგენილი იქნება, ამის შემდეგ შეიძლება დავფიქრდეთ – იქნებ, ეს ქვეყანა გვჭირდება და მასთან ახლოს ყოფნა სარგებელს მოგვიტანს. თუმცა ყველა შემთხვევაში ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, მასთან ყოფნა გვინდა თუ არა. მაგრამ ამ ეტაპზე ამაზე ლაპარაკიც კი ჩვენთვის წამგებიანია.



მედვედევი საქართველოსთან მოლაპარაკებას სააკაშვილის გარეშე აპირებს

რუსეთის პრეზიდენტი, დიმიტრი მედვედევ იმედოვნებს, რომ საქართველოსთან ურთიერთობა მალე გაუმჯობესდება და ქართველ ხალხთან ურთიერთობაში გაუცხოების ხაზი მალე დასრულდება, მაგრამ აქვე დასძენს, რომ ამას საქართველოს ხელისუფლებისაგან საპასუხო ნაბიჯი უნდა მოჰყვეს. ამასთან, მედვედევი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში პოზიციას არ იცვლის. „მზად ვართ, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღვადგინოთ, რომელიც ჩვენ არც გაგვიწყვეტია. არსებობს მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელთანაც არ მსურს საქმის დაჭერა. მას არასოდეს შევხვდები და ხელს არასოდეს ჩამოვართმევ. რაც შეეხება ქართველ ხალხს მთლიანობაში, ვისურვებდი, ეს გაუცხოების ხაზი რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო. ბოლოს ჩვენ ავიამიმოსვლა დავუშვით. ახლა რუსეთის მსო-ში გაწევრიანების ფარგლებში ტვირთების უფრო ენერგიული გაცვლა იქნება. ასევე, უნდა გამარტივდეს ადამიანური ურთიერთობები, მაგრამ აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შემზადებული ნაბიჯები იყოს", — განაცხადა მედვედევმა.

რუსეთის პრეზიდენტის ამ განცხადებას ოფიციალურმა თბილისმა გზაში დაახვედრა სიტყვა, რომ საქართველოს ხელისუფლება და ხალხი განსხვავებულია და რომ მოსკოვან მოლაპარაკებები მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის შემდეგ შეიძლება დაიწყოს.

ქართველი კონფლიქტოლოგი, გოგი ხუციშვილი, მედვედევის განცხადებას საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისთვის მზადყოფნის შესახებ წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს და მიიჩნევს, რომ შემხვედრი ნაბიჯები ქართულმა მხარემაც უნდა გადადგას.

— ეს განცხადება საყურადღებოა, თუმცა არ არის პირველი. დიალოგის გამართვის სურვილს

მედვედევი საქართველოსთან მოლაპარაკებას სააკაშვილის გარეშე აპირებს

„სარკე", 2012 წ. 1-7 თებერვალი, #5 (722), ფოტოთი

რუსეთის პრეზიდენტი, დიმიტრი მედვედევი, იმედოვნებს, რომ საქართველოსთან ურთიერთობა მალე გაუმჯობესდება და ქართველ ხალხთან ურთიერთობაში გაუცხოების ხაზი მალე დასრულდება, მაგრამ აქვე დასძენს, რომ ამას საქართველოს ხელისუფლებისაგან საპასუხო ნაბიჯი უნდა მოჰყვეს. ამასთან, მედვედევი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან მიმართებაში პოზიციას არ იცვლის. „მზად ვართ, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღვადგინოთ, რომელიც ჩვენ არც გაგვიწყვეტია. არსებობს მხოლოდ ერთი ადამიანი, რომელთანაც არ მსურს საქმის დაჭერა. მას არასოდეს შევხვდები და ხელს არასოდეს ჩამოვართმევ. რაც შეეხება ქართველ ხალხს მთლიანობაში, ვისურვებდი, ეს გაუცხოების ხაზი რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო. ბოლოს ჩვენ ავიამიმოსვლა დავუშვით. ახლა რუსეთის მსო-ში გაწევრიანების ფარგლებში ტვირთების უფრო ენერგიული გაცვლა იქნება. ასევე, უნდა გამარტივდეს ადამიანური ურთიერთობები, მაგ-

რამ აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შემხვედრი ქმედებები იყოს“, – განაცხადა მედვედევმა.

რუსეთის პრეზიდენტის ამ განცხადებას ოფიციალურმა თბილისმა გზაშივე დაახვედრა სიტყვა, რომ საქართველოს ხელისუფლება და ხალხი განუყოფელია და რომ მოსკოვთან მოლაპარაკებები მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების დეოკუპაციის შემდეგ შეიძლება დაიწყოს.

ქართველი კონფლიქტოლოგი, გოგი ხუციშვილი, მედვედევის განცხადებას საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისთვის მზადყოფნის შესახებ წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს და მიიჩნევს, რომ შემხვედრი ნაბიჯები ქართულმა მხარემაც უნდა გადადგას.

– ეს განცხადება საყურადღებოა, თუმცა არ არის პირველი. დიალოგის გამართვის სურვილს რეალურად აქამდე ვერც ერთი მხრიდან ვერ ვხედავდით, ახლა კი უნდა განისაზღვროს, რა პირობებით მოხდება ეს. მედვედევის შემოთავაზება უკვე წინგადადგმული ნაბიჯია. ვთქვათ, ერთი ქვეყნის პრეზიდენტი არ ელაპარაკება მეორე ქვეყნის პრეზიდენტს, მაგრამ შეიძლება შეიქმნას მაღალი რანგის ჯგუფი, რომელიც ამ მოლაპარაკებებს გაუძღვება, – განაცხადა ხუციშვილმა საინფორმაციო სააგენტო „პირველთან“ საუბრისას.

ამასთან, ხუციშვილის თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქართულ მხარეს ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაციასთან დაკავშირებით მყარი პოზიცია აქვს და ეს საკითხი მოლაპარაკებებზე აუცილებლად უნდა დაისვას.

– ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხის დასმა აუცილებელია, მაგრამ ეს უკვე განვითარებული ურთიერთობების ეტაპზე უნდა მოხდეს. თუ ჩვენ აღვადგინეთ ავიამიმოსვლა, რუსეთს მსო-ში გაწევრიანების შესაძლებლობა მივეცით, გავხსენით ლარსი, თუ რუსეთი მზად არის, დააბრუნოს თავის ბაზარზე ქართული საქონელი, მოლაპარაკების საწყის ეტაპზე შეიძლება სხვა საკითხებიც დაისვას, როგორიცაა თავისუფალი მიმოსვლა, კომუნიკაციების აღდგენა, საზოგადოებრივ სფეროებში თანამშრომლობა. ყველა შემთხვევაში აუცილებელია, ფართომასშტაბიანი დიალოგი დაიწყოს, რასაც ჩვენგანაც უნდა მოჰყვეს შემხვედრი ნაბიჯები, – აცხადებს პოლიტოლოგი.


კონფლიქტის ზონა

ერგნეთის ბაზრის აღდგენის მითი და

„ამ ბაზრობის გახსნა მარტო მატერიალურ–ეკონომიკური მიმართულებით კი არ იქნე
ქართველები და ოსებიც შევრიგდებით“ – ამბობს ერგნეთელი ოფელია დოიჯ

მარი ოთარაშვილი

„ვაშლი „პადვალში“ გვილპება. გორში რომ წავიღო გასაყ
გასაყ ლარი ღირს თითო „იაშჩიკი“, 3 ლარი კი ერთი
ერთ გუთის
დედ ორს ან
ძრო აჭამ
გნეთის ბაზრ ვაშლი
ვის დაულპ — ამ-
პობს „რეზონანსთან“ საუბ-
რისას ერგნეთის მკვიდრი
ოფელია დოიჯაშვილი.

იგი ხაზს უსვამს, რომ ერგნეთის ბაზრის აღდგენა ხალხის მატერიალური ყოფის გასაუმჯობესებლად და ქართულ-ოსური ურთიერთობების აღსადგენად პოზიტიური ნაბიჯი იქნება.

ბოლო პერიოდში ერგნეთის ბაზრის გახსნაზე აქტიურად საუბრობს ახალი დე ფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილო-

2012

გორში ერგნეთის ბაზრის აღდგენა, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დაიწყება მოლაპარაკებები ქართველებსა და ოსებს შორის“

ააატა ზაქარეიშვილი: „დე ფაქტო ხელისუფლებას სურს სრულიად ზომიერი, გონივრული, მაგრამ არააბსოლიტური დისტანცირება რუსეთისგან“

სას ამბობს, რომ ერგნეთის ბაზრის გახსნა ოსურ მხარეს ხელს აძლევს.

ააატა ზაქარეიშვილი: „დე ფაქტო ხელისუფლებისთვის სარგებელი არის იმ მხრივ, რომ ოსებს ნამდვილად უნდათ იზოლაცია-

კონფლიქტოლოგი აღნიშნავს, რომ ერგნეთის ბაზრობა ვერ აღდგება, რადგან საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის იზოლაციის პოლიტიკას ეწევა.

„არარეალურია ეს, რადგან ქართული მხარე ამის გამკეთე-

თან, ააკაშვილის სტრატეგია გაკორექტებული აღმოჩნდება, რადგან ყველა დაინახავს, რომ ამ ხალხთან ლაპარაკი შეიძლება და რუსეთი ვერ, ან არ გაჯა თამაშიდან, მაგრამ მისი როლი ერთი-ორად შესუსტდება.“

ერგნეთის ბაზრის აღდგენის მითი და რეალობა

„ამ ბაზრობის გახსნა მარტო მატერიალურ-ეკონომიკური მიმართულებით კი არ იქნება კარგი, არამედ ქართველები და ოსებიც შევრიგდებით“, – ამბობს ერგნეთელი ოფელია დოიჯაშვილი

“რეზონანსი“, 2012 წ. 5 მაისი, #118 (7050), გვ. 5. ჟურნალისტი მარი ოთარაშვილი, ფოტოთი

„ვაშლი „პადვალში“ გვილპება. გორში რომ წავიღო გასაყიდად, 5 ლარი ღირს თითო „იაშჩიკი“, 3 ლარი კი ერთი ყუთის ჩატანა გვიჯდება. სჯობს, ისევ ღორს ან ძროხას აჭამო. მაშინ, ერგნეთის ბაზრის დროს, ვაშლი ვის დაულპებოდა?!“ – ამბობს „რეზონანსთან“ საუბრისას ერგნეთის მკვიდრი ოფელია დოიჯაშვილი.

იგი ხაზს უსვამს, რომ ერგნეთის ბაზრის აღდგენა ხალხის მატერიალური ყოფის გასაუმჯობესებლად და ქართულ-ოსური ურთიერთობების აღსადგენად პოზიტიური ნაბიჯი იქნება.

ბოლო პერიოდში ერგნეთის ბაზრის გახსნაზე აქტიურად საუბრობს ახალი დე ფაქტო პრეზიდენტი ლეონიდ თიბილო-

ვი, თუმცა ეს წარმოუდგენლად მიაჩნიათ კონფლიქტოლოგ-ექსპერტებს.

პოსტკონფლიქტური სიტუაციების დარეგულირებაში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ექსმოადგილემ, მერაბ ჩიგოევმა, ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში ჩატარებულ ბოლო შეხვედრაზე აღნიშნა, რომ თავის დროზე ბაზრობის დახურვა დიდი სისულელე იყო.

„სამხრეთ ოსეთის ოფიციალური პოზიცია ასეთია: ერგნეთის ბაზრობა საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს. თუ უნდათ, დაე, გახსნან. ჩვენ კი – ანუ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას, ჩვენს ტერიტორიაზე ბაზრის გახსნა არ გვსურს“, – მოკლედ მოუჭრა ჩიგოევმა „ეხო კავკაზის“ ჟურნალისტს.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ჯერ კიდევ დე ფაქტო ხელისუფლების სათავეში მოსვლამდეც საუბრობდა ერგნეთის ბაზრის გახსნაზე.

კონფლიქტოლოგი გიორგი ხუციშვილიც ერგნეთის ბაზრობის გახსნას არარეალურად მიიჩნევს ამ ხელისუფლების პირობებში.

გიორგი ხუციშვილი: „ძალიან კარგი იდეაა ერგნეთის ბაზრობის აღდგენა, მაგრამ შეუძლებელია დღევანდელ პირობებში. ეს შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ დაიწყება მოლაპარაკებების ახალი ეტაპი ქართველებსა და ოსებს შორის.

ერგნეთის ბაზარი განახლდება იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება და კომუნიკაცია მოხდა ჩვენს ხელისუფლებასა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის.

ჩვენს ხელისუფლებას არ აწყობს იმასთან მოლაპარაკების დაწყება, ვისაც მარიონეტულ რეჟიმს უწოდებს. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ერგნეთის ბაზრობის აღდგენაზე ლაპარაკი ზედმეტია“.


რეზონანსი საქართველოს ამბები 2012 წლის 19 სექტემბერი, ოთხშაბათი

მოსაზრება

პოლიტიკური სოლიფსიზმი ქართულად

გიორგი ხუციშვილი

2012

რეზონანსი

პოლიტიკური სოლიფსიზმი ქართულად

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
„რეზონანსი“, 2012 წ. 19 სექტემბერი, #254 (7186), გვ. 5[1]

სოლიფსიზმი (ლათინურად „სოლუს იპსე“, ანუ „ვარსებობ მხოლოდ მე“) ძველად არსებული ფილოსოფიური ექსტრემისტული მიმართულებაა, რომლის მიხედვითაც არსებობს ერთი სუბიექტი, ხოლო გარე სამყარო ამ სუბიექტის წარმოსახვაა. ბევრ მოზარდს ახასიათებს ე.წ. „სოლიფსიზმის“ სინდრომი, როდესაც მას საკუთარი თავი სამყაროს ცენტრი ჰგონია, ხოლო გარე სამყარო – მისი წარმოქმნილი, იქამდე, რომ დაძინებისას (ან გონების დაკარგვისას) სამყარო წყვეტს არსებობას და გაღვიძებისთანავე ისევ იქმნება. მოზარდები იზრდებიან და რწმუნდებიან, ხშირად ძალზე მტკივნეულად, რომ გარე სამყარო არსებობს და ისინი მხოლოდ მისი მცირედი ნაწილი არიან, მასზე დამოკიდებული და მის მიერ განსაზღვრული.

[1] **And what does it give a man if he gains the whole world and loses his own soul?** – გიორგი ხუციშვილის წანამძღვარი მის სტატიაზე: „პოლიტიკური სოლიფსიზმი ქართულად“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „რეზონანსში“ 2012 წ. 19 სექტემბერს. ეს წანამძღვარი არ დაუბეჭდავთ გაზეთში. სტატია გიორგიმ 2012 წლის 22 ივლისს გადასცა რედაქციას – ნ.ც.

ჩვენ გვმართავს ხელისუფლება, რომლისთვისაც მთელი მსოფლიო საკუთარი ეგოს პროექციაა და რომელსაც ეს სინდრომი წლების განმავლობაში უღვივდება. ამ მდგომარეობას შეიძლება დავარქვათ გლობალიზებული ეგოიზმი გლობალიზაციის ეპოქაში.

ხელისუფლება აცხადებს, დემოკრატია ჯერ სრულად არ გამოგვდისო, მაგრამ ძლიერი სახელმწიფო ხომ უკვე ავაშენეთო, თავის დროზე დემოკრატიაც აშენდებაო. სინამდვილეში ის პოლიტიკური სისტემა, რაც შენდება, იმდენადვე ძლიერია, როგორც უმაგრესი მასალებით აშენებული მრავალსართულიანი ნაგებობა, რომელიც არ ითვალისწინებს დრეკადობის თეორიის კანონებს. ის მოდერნიზებული ბაბილონის გოდოლს უფრო წააგავს, რომელსაც ადრე თუ გვიან დაშლა უწერია. მართალია, როგორც ძველ აღთქმაში წერია, ბაბილონის გოდოლი იმის გამო დაინგრა, რომ ადამიანთა თავხედობით განრისხებულმა ღმერთმა გოდოლის მშენებელთა ენები აღრია და ერთმანეთის აღარ ესმოდათ. ასე იყო თუ ისე, გოდოლს დასრულება და მომავალი არ ეწერა. ჩვენი გოდოლის მშენებლები, მართალია, ერთ ენაზე სინქრონულად საუბრობენ, მაგრამ დრეკადობისა და საძირკვლების სწორი დაცვისა, აბა, რა მოგახსენოთ.

„ვარდების რევოლუციის“ შედეგად სახელმწიფოს სათავეში მოსული გუნდი ბევრს იქებს თავს ქვეყანაში ჩატარებული რეფორმებით. ამავე დროს, გავიხსენოთ, „რეფორმისტულმა დემოკრატიულმა მმართველობამ“ რამდენჯერ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ სამოქალაქო საზოგადოებამ უკვე მოჭამა თავისი ფუნქცია და როლი, რომ ოპოზიციური სპექტრი მთლიანად მარგინალებისგან შედგება და „სასარგებლო (ან უსარგებლო) იდიოტები არიან“ და ა.შ. და მხოლოდ ხელს უშლიან რეფორმების გატარებას.

ამავე დროს, მათივე ძალისხმევით, შეიქმნა პოლიტიკური სისტემა, რომელიც ურყევად გამოიყურება და, ამავე დროს, ერთი საბედისწერო თავისებურება გააჩნია: ის რეფორმირებას არ ექვემდებარება. ის შეიძლება ან გაგრძელდეს უცვლელი სახით, ან, ცვლილების შეტანის ნებისმიერი მცდელობის შედეგად, უნდა დაინგრეს. იმიტომ, რომ ამგვარი პოლიტიკური

სისტემის თავისებურებაა, სიცოცხლისუნარიანი ოპოზიციური ძალის ჩამოყალიბების შესაძლებლობის გამორიცხვა. თვითგაძლიერებისა და თვითგადარჩენის ინსტინქტის ფარგლებში გუნდურობის გაგება პოლიტიკური გარემოს დასუსტების და დაკნინების ხარჯზე ხდება, რის შედეგადაც მიღებული სისტემა, რომელიც დღეს მტკიცედ გამოიყურება, სულ უფრო ხისტი და მოუქნელი ხდება, სულ უფრო მეტად ესაჭიროება საყოველთაო შიშის ფაქტორი, ხალხისგან სულ უფრო გაუცხოვდება და გარე საშიშროებების ფეტიშიზაციას ახდენს, რათა ქვეყნის შიგნით დაკარგული ნდობის ფონზე პოზიციები გაიმყაროს. ასეთივე არარეფორმირებადი იყო საბჭოთა სისტემა. როგორც კი დასავლეთის გავლენით გორბაჩოვს ლიბერალიზაციის და დემოკრატიზაციის ელემენტების შემოტანის მცდელობა ჰქონდა, მაშინვე ნგრევის პროცესი დაეწყო. რეფორმირება, ლიბერალიზაცია, პლურალიზაცია, დემოკრატიზაცია ასეთი სისტემისთვის შეუძლებელი ამოცანა და ფუჭი მცდელობაა, სანამ ის არსებობს.

ამგვარი სისტემის სათავეში და ცენტრში ერთპიროვნული ლიდერია, სულ ერთია, მას პრეზიდენტი თუ პრემიერ-მინისტრი დაერქმევა; მთავარია პიროვნება, თავისი სახელითა და გვარით, გუნდში რკინისეული დისციპლინით და თავისი დაუნდობლობით შიდა თუ გარე ოპონენტების მიმართ. რა თქმა უნდა, ბელადს ერთგული გუნდი ესაჭიროება, რათა იბელადოს და მათ შორის ინტერესთა თანხვედრა უნდა არსებობდეს. ამავე დროს, მოცემულ სისტემაში, გუნდში აზრთა სხვადასხვაობა და შიდა ოპონირება გამორიცხულია: მმართველი ძალის მონოლითურობაში გარე სამყაროს ეჭვი არ შეიძლება შეეპაროს.

ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ რამდენად რეალურია ერთპიროვნული ლიდერობა ასეთ სისტემაში? სახელმწიფოს მართვა და პოლიტიკის ჩამოყალიბება, რა თქმა უნდა, გუნდურად, ანუ რამდენიმე ადამიანის ტვინში ხდება და, სრულიად დასაშვებია, ეს არ იყოს პრეზიდენტის ტვინი, მაგრამ გარესამყაროსთვის ყველაფერს ერთი, კერძოდ, პრეზიდენტის სახელი უნდა დაერქვას.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ანალიტიკოსებში გამოითქმებოდა ვარაუდები, რომ თუ ქვეყანაში ძლიერი ოპოზიციური ალტერნატივა ვერ ჩამოყალიბდა, მმართველ ძალაშივე აღმოჩნდებოდა ჯანსაღი იმპულსი, რათა შიდა ჯგუფთაშორისი ოპონირება გაძლიერებულიყო, ინსტიტუციონალიზაცია გაევლო და შედეგად მიგვეღო ისეთი მოდელები, რასაც ვხედავთ ამერიკასა და დასავლეთ ევროპაში, სადაც ორი, მაქსიმუმ სამი ძლიერი პარტია იბრძვის ხელისუფლებისთვის, ხან ერთი მოდის ხელისუფლებაში, ხან – მეორე, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათგანს ერთნაირი ან მსგავსი ხედვა აქვს ფუძემდებლურ სახელმწიფოებრივ პრინციპებზე, არასდროს არ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რაში სჭირდებათ გაორებულ ან გასამებულ მდგომარეობაში ყოფნა. არც ერთ ჭკუათმყოფელს არ მოსდის თავში, მოდი, გავერთიანდეთ და ერთმა ძლიერმა პარტიამ სამომავლოდ მართოს სახელმწიფოო. მიზეზი ისაა, რომ სწორედ ამისი არდაშვება შედის იმ ფუძემდებლურ პრინციპებში, რასაც სახელმწიფოებრიობა ემყარება. მარტივი მიზეზი იმისა, თუ რატომ არ გამოდის იმავე პრინციპების ჩვენში დამკვიდრება, იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ შემთხვევაში ერთმწვერვალოვანი ვერტიკალი აღარ გამოდგება, ქვეყანას ორი ან მეტი ლიდერი უნდა ჰყავდეს, რომელთაც საკუთარი როლის არამუდმივობა და ძალაუფლების არჩევნების შედეგად მონაცვლეობის გარდაუვალობა უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული.

სააკაშვილის გუნდი ვერ იტანს მეორე ძლიერ პარტიას და მეორე ძლიერ ლიდერს თავის გვერდით, თუნდაც თანამოაზრეს და უახლოესი გარემოცვიდან გამოსულს. საერთოდ, განსხვავებულს ვერ იტანს. ძალაუფლების ვერტიკალს ერთი მწვერვალი უნდა ჰქონდეს და შიდა იერარქიის თაობაზე არავის კითხვა არ უნდა გაუჩნდეს. გავიხსენოთ მუხროვანის ინციდენტი, როგორ ტუქსავდა პრეზიდენტი პატარა ბიჭებივით, ფეხზე მდგომსა და დარცხვენილს, ტელეკამერების წინ ზუსტად იმ ორ ადამიანს, ვისი ავტორიტეტიც ყველაზე მეტად ფასობდა სახელმწიფო სისტემის ძლიერად წარმოსახვის საქმეში – მერაბიშვილსა და ადეიშვილს. მათი საჯაროდ დამცირება ტელევი-

ზიებით გაშუქებული შოუს შემადგენელი ნაწილი იყო. არავის არ შეეპაროს ეჭვი, რომ ამ ქვეყანას ერთი პატრონი გააჩნია. წარმოუდგენელია, გუნდში ეს მდგომარეობა ყველას მოსწონდეს, მაგრამ სხვანაირად სისტემა ვერ წარმოუდგენიათ.

ასევე, საპარლამენტო ოპოზიციის, თუნდაც საკუთარი სატელიტების, ნებისმიერ შენიშვნაზე პრეზიდენტის დამცინავი რეაქცია და შეურაცხოფის მიყენებაც იმავე პოლიტიკის ნაწილია: არავის არ ეგონოს, ამათ, მასხარათა გარდა, რამე ფუნქცია აკისრიათო. ამავე მიზეზებისა გამო, შეუძლებელია, ხელისუფლების შტოებს შორის ძალაუფლების განაწილება რეალურად მოხდეს. აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას ერთი და იგივე ვიწრო ჯგუფი აკონტროლებს, რომელიც ერთ ხმაში ელაპარაკება ხალხს. ანუ უცხადესია, თუ რა ტიპის ძლიერი სახელმწიფო იგულისხმება, როგორც საბოლოო მიზანი.

საზოგადოების პოლარიზაციისა და შავ-თეთრი აზროვნების დანერგვის შედეგად არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ საზოგადოებრივ და ბიზნესსტრუქტურებში უნდა დამკვიდრდეს ძალაუფლებრივი ვერტიკალის მოდელები და ანარეკლები, რასაც შედეგად მოჰყვება ტოტალიტარული მენტალიტეტის განვითარება. ყველა ადამიანის გონებაში იმოქმედებს თვითცენზორი, რომელიც სისტემის ფარგლებში დაპროგრამებულ ქცევას გაუწევს კონტროლს. ძალაუნებურად გაგახსენდება ჯორჯ ორუელი და მისი უკვდავი პოლიტიკური რომანი „1984“.

ასეთივე არაფორმირებადი და ხისტია ის სისტემა, რომელსაც პუტინი აშენებს რუსეთში. იქაც მმართველი რეჟიმის ადვოკატები უკვე კარგა ხანია, ავითარებენ იმ თეორიას, რომ, რა თქმა უნდა, დემოკრატია არ გვაქვს, მაგრამ აბა, „სპექტრს“ გადახედეთ, ეგ რა პოლიტიკური ძალებია და რამდენი უჭერთ მათ მხარს?! ამომრჩეველს, უბრალოდ, სხვა არჩევანი არ რჩება, ვიდრე ხმა არსებულ რეჟიმს, ანუ არსებულ ლიდერსა და მის პარტიას მისცეს (ისე რომ ვთქვათ, პუტინის პარტია სააკაშვილის პარტიასთან შედარებით პოლიტიკურ პარტიას უფრო ჰგავს). ორივე შემთხვევაში სუსტი ოპოზიცია იმისი შედეგია, რომ რუსეთშიც და საქართველოშიც პოლიტიკური ლიდერე-

ბის ხედვა და ამ ხედვით აშენებული სისტემა ძლიერ და კონკურენტუნარიან პოლიტიკურ გარემოს აბსოლუტურად გამორიცხავს. ასე ჩამოყალიბდა პოლიტიკური სპექტრი 2011 წლის შემოდგომისთვის საქართველოში და ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება ჩაკვდა.

როგორც კი ოპოზიციას მოულოდნელად სერიოზული რესურსის მქონე ლიდერი მოევლინა, მაშინვე სისტემა მისი კომპრომეტირების, დამცირებისა და მტრული ძალის აგენტად წარმოჩენის მიმართულებით ამუშავდა. წინასაარჩევნო ბრძოლა სამოქალაქო ომის ველს დაემსგავსა, სადაც ან „ჩვენ“ ვიმარჯვებთ ან „ისინი“. მესამე, ისე, როგორც ყველაფერ დანარჩენში, გამორიცხულია. ამავე დროს, დავუკვირდეთ, ეს ხომ არჩევნების შედეგის წინასწარი გამოცხადებაა! თუკი არჩევნების შედეგი ამომრჩევლის ნების გამოხატვაზეა დამოკიდებული, სახელისუფლებო გუნდი უნდა ისეთ შედეგსაც ითვალისწინებდეს, როდესაც მას პარლამენტში იმ „უცხო“ და „მტრული“ ძალის წარმომადგენლებთან ერთად მოუწევს მუშაობა და გადაწყვეტილებებზე შეთანხმება. ამისი წინასწარ გამორიცხვა სამოქალაქო ომის გამოცხადების ტოლფასია. ამას კი სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ქვეყნის ინტერესებზე მზრუნველი პოლიტიკური გუნდი არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ აკეთებს.


პოლიტიკა

ივანიშვილის მოსვლა რუსულ გავლენას ვერ გაზრდის

„ჩვენ გავხსენით საზღვარი იქ, სადაც ყველაზე ფეთქებადი სიტუაციაა“

2012

ივანიშვილის მოსვლა რუსულ გავლენას ვერ გაზრდის

„ჩვენ გავხსენით საზღვარი იქ, სადაც ყველაზე ფეთქებადი სიტუაციაა“

„სარკე“, 2012 წ. 3-9 ოქტომბერი, #40, გვ. 17, ჟურნალისტი მანანა გეგია, ფოტოთი

მოუხედავად იმისა, რომ სამხედრო წვრთნები „კავკასია 2012“ დასრულდა, საქართველოს საზღვრებთან განლაგებული რუსული ჯარი ტერიტორიას არ ტოვებს. ზოგიერთი ექსპერტი პარალელს 2008 წლის ომის მოვლენებთან ავლებს, როცა მსგავსი სწავლებებით გაწვრთნილი ჯარი, საბოლოო ჯამში, საქართველოს ტერიტორიაზე საომრად შემოვიდა. „კავკასია 2012“ საქართველოს საზღვრებთან მეზობელ სომხეთსა და ოკუპირებულ რეგიონებში ერთდროულად ჩატარდა. გასაიდუმლოებული იყო სამხედროების რაოდენობა, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მოსკოვმა წვრთნების პერიოდში სამხრეთ კავკასიაში ყველაზე ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფები გადმოისროლა. ის, რომ რუსეთმა მასშტაბური სამხედრო წვრთნები უშუალოდ საქართველოში მიმდინარე საპარლამენ-

ტო არჩევნებს დაამთხვია, ეჭვს უჩენს უცხოელ ექსპერტებს, რომ კრემლს უფრო შორსმიმავალი გეგმები აქვს, ვიდრე ჩვეულებრივი წვრთნების ჩატარებაა.

რამდენად რეალურია რუსული საფრთხე, „სარკე“ კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის დირექტორს, გიორგი ხუციშვილს ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, მართლაც ისეთი რთული სიტუაციაა, როგორც მედიასაშუალებები აცხადებენ თუ ესეც ჩვენი ხელისუფლების მორიგი ფანდია?

– ზოგადად, რუსეთის მეზობლობა რთული საქმეა. ცხადია ისიც, რომ 2008 წელს ჩატარებული წვრთნები, რომლებიც ოსეთის მიმდებარე ტერიტორიებზე მიმდინარეობდა, ბოლოს ჩვენთვის ცუდად დამთავრდა. სწორედ მისი დახმარებით რუსეთმა სამაჩაბლო და აფხაზეთი გააფორმა, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტები. მერე კი ორმხრივი ხელშეკრულებები გააფორმა და იმდენი სამხედრო ბაზა განალაგა, რამდენიც მათ სჭირდებოდათ და არა – იმდენი, რაც საერთაშორისო ხელშეკრულებით შეეძლო განელაგებინა სამშვიდობო ძალების სახით.

ასე რომ, რუსეთის მეგობრობა მძიმე ამოცანაა, მაგრამ, ამავე დროს, ამ თემით ყოველთვის ხდებოდა სპეკულირება შიდა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად – ხალხში პანიკის დასათესად, დაძაბულობის შემოსატანად და ა.შ. ამას ხელისუფლება ყოველთვის მიზანმიმართულად აკეთებდა.

– ახლაც სპეკულაციასთან გვაქვს საქმე?

– წვრთნები ოსეთის სამხრეთ საზღვრებთან იყო დაგეგმილი და მე ვიტყოდი, რომ ეს არ იყო გაკეთებული მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. იცით, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სერიოზული პრობლემებია – კონფლიქტები, ტერიტორიული დავები, უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ, პლუს სოციალური პრობლემები. ამ ყველაფერს კი დაღესტნის პრობლემაც ემატება, სადაც თითქმის სამოქალაქო ომამდეა საქმე მისული. ამ ყველაფრის მიუხედავად, ვთვლი, რომ ამ წვრთნებს დაძაბულობის გაზრდა არ მოჰყოლია.

– ითქვა, რომ „კავკასია 2012“-ში მონაწილე სამხედროების რაოდენობა რუსეთის მხრიდან გასაიდუმლოებული იყო, არც წვრთნების სცენარი იყო ცნობილი. მხოლოდ ის გააჟღერეს, რომ წვრთნებზე ყველაზე ბრძოლისუნარიანი ქვედანაყოფები გადმოისროლეს.

– კონკრეტულად რამდენი იყო დივიზია, არ ვიცი, მაგრამ არც ისე გასაიდუმლოებული, როგორც აქ წარმოაჩენენ, ჩემთვის მასშტაბზე მეტად ის უფრო იყო საინტერესო, რამდენად ახლოს იყვნენ საქართველოს საზღვრებთან. იცით, ალბათ, რომ ბოლო მომენტში მოსკოვში გადაწყდა, წვრთნები ჩეჩნეთიდან მოშორებით ყოფილიყო, რომ არ მიეცათ საბაბი დაპირისპირებული მხარისთვის და სიტუაცია კონტროლიდან არ გამოსულიყო. ლოპოტას ინციდენტმაც გარკვეული გავლენა მოახდინა, რომ ეს წვრთნები საქართველოს საზღვრებთან ახლოს არ ჩატარებულიყო.

– სამაგიეროდ, მასში ჩართული იყო სომხეთიც და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიც.

– სომხეთი რომ რუსეთის პარტნიორია და მასზეა დამოკიდებული, ეს ფაქტია. გარდა ამისა, სომხეთში რუსეთის სერიოზული ბაზებია განლაგებული, რომელთა მომარაგება ძალიან ძვირი უჯდება რუსეთს. დღეს იგი თავის ბაზებს საჰაერო გზებით ამარაგებს, ამიტომაც საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობა და ხელშეკრულებები სჭირდება, რაც საშუალებას მისცემს, გამოიყენოს საქართველოს ტერიტორია. სომხეთისთვის კი საქართველოსთან ნორმალურ ურთიერთობას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან არც რუსეთთან აქვს საზღვარი და არც ზღვაზე გასასვლელი. სწორედ ეს ფაქტორი თავის დროზე და ახლაც დიდ გავლენას ახდენს იმ ზომიერ პოზიციაზე, რომელიც უკავია სომხეთის მთავრობას ჯავახეთის საკითხებთან დაკავშირებით. ოფიციალური ერევანი ყოველთვის აკავებს იმ ნაციონალისტურ ჯგუფებს სომხეთის შიგნით, რომლებიც ცდილობენ, რომ ჯავახეთში სიტუაცია გაამწვავონ.

– დაღესტნის და, ზოგადად, კავკასიის პრობლემები რა გავლენას იქონიებს საქართველოზე?

– რა თქმა უნდა, გარკვეულ გავლენას იქონიებს. თვითონ დაღესტნის გეოგრაფიულ და ეთნოკულტურულ კომპოზიციას თუ გადახედავთ, დაინახავთ, რომ მრავალეთნიკურია და მოიცავს სრულიად განსხვავებული ტრადიციების მქონე ჯგუფებს, ამიტომ ძალიან რთულია იქ ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც სიტუაციას ჩააწყნარებს. პრობლემები აქვთ როგორც მეზობლებთან, ისე შიგნითაც. სწორედ ლოპოტას ინციდენტი იყო ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ რამდენად შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ჩვენზე და რამდენად მნიშვნელოვანია, რომ საზღვრები საგულდაგულოდ იყოს დაცული. მართალია, ლოპოტას ინციდენტთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა ვარაუდი, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ გავხსენით საზღვარი იქ, სადაც ყველაზე ფეთქებადი სიტუაციაა.

– სხვათა შორის, ერთ-ერთ ვერსიად ითქვა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ისლამისტ მებრძოლებს დერეფანი გაუხსნა.

– ლოპოტას ინციდენტზე კიდევ დიდხანს იქნება საუბარი, სანამ სიმართლე გაირკვევა. მე გრძელვადიან პრობლემას მინდა შევეხო და არა – ინციდენტებს. საქართველოს მიერ კავკასიურ ავტონომიებთან საზღვრის გახსნა რუსეთში აღქმული იქნა, როგორც შესაძლებლობა საქართველოს მხრიდან დაძაბულობის შეტანისა ჩრდილოეთ კავკასიაში, ვინაიდან ჩვენ რუსეთთან საომარ მდგომარეობაში ვართ და მას საქართველოს ტერიტორიების 20% ოკუპირებული აქვს. ამას ემატება ისიც, რომ უპირობო და ტოტალური დაცვის დოქტრინა იქნა მხარდაჭერილი ჩვენ მიერ. ეს დოქტრინა კი გულისხმობს პარტიზანული მოქმედებების უფლებას საომარ ქვეყანასთან, ანუ საქართველოს შეუძლია, რაღაც დაპირისპირებულ ჯგუფს დაუჭიროს მხარი და ამით უფრო დაძაბოს სიტუაცია იმ ტერიტორიაზე. ეს დოქტრინა ჩვენთან ძალიან მოსწონდათ და ახლაც მოსწონთ.

– ამით ხომ შეიძლება ისევ პროვოკაციას წამოვეგოთ?

– რა თქმა უნდა, თან რუსეთს სჯერა, რომ საქართველო ცდილობს პრობლემების შექმნას, თუმცა მე სიზუსტის და სამართლიანობის გამო ვიტყოდი, რომ ამ ეტაპზე საქართვე-

ლოს მხრიდან ამ საშუალებების გამოყენება ნაკლებად ხდება, ეტყობა, მიხვდნენ, რომ ჯობია, არ ვიაქტიუროთ. კარგია, რომ არის ასეთი ზომიერი დამოკიდებულება, თუმცა იმისი თქმა, რომ ამ მონაკვეთიდან საფრთხე არ არსებობს, რთულია, თუნდაც აგვისტოს ომიდან გამომდინარე. ჩვენ გვაქვს საქმე ისეთ ადამიანებთან, რომლებმაც ხელი შეუწყვეს რუსეთთან ომის გაჩაღებას.

– თუ პარლამენტში ბიძინა ივანიშვილის გუნდი სერიოზული ძალით მოვა, თქვენი აზრით, ქვეყანაში რუსული გავლენა გაიზრდება, როგორც პრეზიდენტი გვაშინებს?

– ჩემი გათვლით, კიდევაც რომ მოიგოს არჩევნები ოპოზიციამ, სააკაშვილის გუნდი სტრატეგიულ პოზიციებს მაინც შეინარჩუნებს. მას აქვს სერიოზული დასაყრდენი მოსახლეობაშიც, გარდა იმისა, რომ აქვს უზარმაზარი ადმინისტრაციული რესურსი. მე ვიტყოდი, რომ სააკაშვილის რესურსი განუზომლად უფრო ძლიერია, ვიდრე ივანიშვილის მთელი ქონება. ალბათ, გაგრძელდება დაპირისპირება ამ ორ ძალას შორის.

ის, რომ ივანიშვილს თავისი ქონება რუსეთში აქვს დაგროვებული და რუსეთზეა დამოკიდებული, პოლიტიკურ ბრძოლაში მხოლოდ შიდა სპეკულაციის საგანია. იმისი თქმა, რომ თუ ხელისუფლებაში მოვა, რუსულ პოლიტიკას გაატარებს, აბსოლუტურად ლოგიკასაა მოკლებული. გაცილებით უფრო გონიერია იმისი თქმა, რომ ეს კაცი საკუთარ პოლიტიკას დაიწყებს და იმ პოლიტიკას გაატარებს, რომელიც მის გუნდში იქნება შეთანხმებული. ვიცნობ მისი გუნდის წევრებს და დარწმუნებული ვარ, რომ მათთვის პროდასავლური ორიენტაცია აბსოლუტურად უალტერნატივოა. დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე საქართველო იმდენად კარგავს პოზიციებს, რომ მას რუსეთის ინტერესი ვერაფრით ჩაანაცვლებს. ამიტომაც ივანიშვილის პოლიტიკა რუსეთის ინტერესზე ორიენტირებული ვერ იქნება.



გოგი ხუციშვილი: კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით "ქართული ოცნების" წინაშე სერიოზული ამოცანა დგას

„გლობალ ნიუსი“, 2012 წ. 4 ოქტომბერი

კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილის შეფასებით, კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ წინაშე სერიოზული ამოცანა დგას. მისი თქმით, ხელისუფლების შეცდომა ის იყო, რომ მათ რუსეთთან საუბრის დაწყება სტატუსის გადახედვის საკითხით სურდათ.

როგორც გოგი ხუციშვილმა „გლობალ ნიუს“-ს განუცხადა, დასავლური კურსი საქართველოსთვის უალტერნატივოა, „ქართულმა ოცნებამ“ კი დასავლეთს უნდა დაუმტკიცოს, რომ აპირებს ძირითად მიმართულებად დასავლური მიმართულების შენარჩუნებას, ამავდროულად კი შესწევს უნარი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისა, რომ ამან მის დასავლურ კურსს და ევროკავშირთან ინტეგრაციას ხელი არ შეუშალოს.

ამასთან, ის პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის მიერ კონფლიქტების მოგვა-

რებისა და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის კუთხით გაკეთებულ განცხადებას აფასებს.

„რუსეთთან თანამშრომლობაზე ნაადრევია ლაპარაკი, მაგრამ მოლაპარაკება უნდა დაიწყოს. უნდა დაიწყოს სერიოზული დიალოგი იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება რუსული ბაზარი ფართო მასშტაბით გაიხსნას საქართველოსთვის და, ამავე დროს, გაიხსნას სხვა შესაძლებლობებიც ურთიერთობათა განვითარებისთვის. ამავე დროს, ეს ყველაფერი უნდა იყოს მიბმული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხთან, მაგრამ არა ისეთნაირად, რომ რუსეთს მოვთხოვოთ, გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება სტატუსის შესახებ ახლავე, რადგან ამას ამ ეტაპზე მაინც ვერ მივაღწევთ. ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ რუსეთმა, სულ ცოტა, ხელი მაინც არ შეგვიშალოს, განვავითაროთ ურთიერთობები აფხაზებთან და ოსებთან. ეს იქნება პირველი ეტაპი. შემდეგ კი, როდესაც გაიხსნება საზღვარი, დაიწყება ვაჭრობა და ურთიერთობა აფხაზებთან და ოსებთან, ეს თავისთავად იმოქმედებს პოლიტიკურ სტატუსზეც“, – ფიქრობს კონფლიქტოლოგი.

მისი თქმით, წინა ხელისუფლების შეცდომა სწორედ ის იყო, რომ მათ რუსეთთან საუბრის დაწყება სწორედ სტატუსის საკითხით სურდათ, რამაც პროცესი ჩიხში შეიყვანა.

„ჩიხიდან გამოსავალი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ უნდა ვეძებოთ ურთიერთობის განვითარების გზები რუსეთთან და შემდეგ სეპარატისტულ რეგიონებთან. მას შემდეგ, რაც საქართველოსა და რუსეთს შორის ანტაგონიზმი და დაპირისპირება აღარ იქნება, აფხაზები და ოსებიც თანამშრომლობის საკითხს სხვაგვარად შეხედავენ და ის ფონი დაიშლება, რომელიც სეპარატისტული რეგიონების ე.წ. „ხელისუფლებას“ საშუალებას აძლევდა, ქართველებისა და ოსების, ქართველებისა და აფხაზების ურთიერთდაახლოებისთვის დაბრკოლებები შეექმნათ. ჩვენ ახლა ის შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ, რაც ამ მდგომარეობაში გვაქვს და შემდეგ ვიფიქროთ სტატუსზე. ეს უკვე მომავლის საქმეა“, – აღნიშნა მან.


News Press

გოგი ხუციშვილი პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას მხარს არ უჭერს

13:47 24.10.2012

2012

ექსპერტი გოგი ხუციშვილი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რომელიმე ძალის მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას, თუმცა ამ ეტაპზე, ახალი ხელისუფლების პირობებში, მას ეს კატასტროფად არ მიაჩნია.

1 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები ექსპერტმა დღეს ჟურნალისტებთან შეაფასა.

როგორც ხუციშვილმა აღნიშნა, 1 ოქტომბერს საქართველოში ისტორიული რამ მოხდა, ხელისუფლება ოპოზიციის ხელში არჩევნების გზით გადავიდა.

ხუციშვილი აცხადებს, რომ ერთი მხრივ, საქართველოში მომგებიანი ვითარებაა - ქვეყანას მართავს ძალა, რომელმაც ხმების უმრავლესობა მიიღო. პარლამენტში წარმოდგენილია მანდატების რაოდენობის თვალსაზრისით ძლიერი ოპოზიცია, რომელსაც ოპონირება შეუძლია და არსებობს შეთანხმება, რომ

გოგი ხუციშვილი პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას მხარს არ უჭერს

„ნიუსპრესი“, 2012 წ. 24 ოქტომბერი

ექსპერტი გოგი ხუციშვილი მიზანშეწონილად არ მიიჩნევს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში რომელიმე ძალის მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას, თუმცა ამ ეტაპზე, ახალი ხელისუფლების პირობებში, მას ეს კატასტროფად არ მიაჩნია.

1 ოქტომბრის შემდეგ ქვეყანაში განვითარებული მოვლენები ექსპერტმა დღეს ჟურნალისტებთან შეაფასა.

როგორც ხუციშვილმა აღნიშნა, 1 ოქტომბერს საქართველოში ისტორიული რამ მოხდა, ხელისუფლება ოპოზიციის ხელში არჩევნების გზით გადავიდა.

ხუციშვილი აცხადებს, რომ, ერთი მხრივ, საქართველოში მომგებიანი ვითარებაა – ქვეყანას მართავს ძალა, რომელმაც ხმების უმრავლესობა მიიღო. პარლამენტში წარმოდგენილია მანდატების რაოდენობის თვალსაზრისით ძლიერი ოპოზიცია,

რომელსაც ოპონირება შეუძლია და არსებობს შეთანხმება, რომ გადაწყვეტილებები ცივილიზებულ ფარგლებში მიიღება.

თუმცა, ექსპერტი იქვე დასძენს, რომ სინამდვილეში დღეს არ არის ევროპის დემოკრატიული ქვეყნების მსგავსი სიტუაცია, როდესაც ამომრჩეველი გადაწყვეტილებას პოლიტიკური ძალის პროგრამების მიხედვით იღებს.

„გვაქვს შედეგი ორი ძალის დაპირისპირებისა, პირველს ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის განვითარება ჩიხში შეჰყავდა და დიქტატურას აშენებდა, მეორე კი მას დაუპირისპირდა“, – აღნიშნა ხუციშვილმა და განმარტა, რომ „ქართულ ოცნებას“, როგორც კოალიციას, ქვეყნის მართვის დიდი გამოცდილება არ აქვს, მაგრამ საზოგადოება მას ენდო და დაიჯერა, რომ მას დიქტატურისკენ ქვეყნის სვლის შეჩერება შეუძლია.

ამასთან, ექსპერტის აზრით, „ნაციონალური მოძრაობის“ იმ ბირთვს, რომელსაც ხალხი დაუპირისპირდა, პარლამენტში დემოკრატიული გარდაქმნა არ შეუძლია.

აქედან გამომდინარე, ხუციშვილი ფიქრობს, რომ საპარლამენტო ბრძოლა უმრავლესობასა და უმცირესობას შორის საკმაოდ მტკივნეულად იდეოლოგიური დაპირისპირების ფარგლებში წარიმართება.

მისივე თქმით, „ნაციონალურ მოძრაობას“ მისი ყოფილი წევრები უკვე გაემიჯნენ, რაც იმისი ნიშანია, რომ მასში ეროზიაა დაწყებული.

რაც შეეხება საკონსტიტუციო უმრავლესობას, ხუციშვილი აცხადებს, რომ სწორედ ეს იყო „მიზეზი ქვეყანაში ათასი უბედურებისა და მათ შორის აგვისტოს ომისა“.

„ჩვენ რომ დღევანდელი პარლამენტი გვყოლოდა, აგვისტოს ომი არ მოხდებოდა და არც აფხაზეთისა დ სამხრეთ ოსეთის აღიარების მოწმენი გავხდებოდით. ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანაში არ იყო ძალა, რომელსაც შეეძლო, წინ აღდგომოდა რამდენიმე ადამიანის კაბინეტებში მიღებულ და არავისთან შეთანხმებულ არაჯანსაღ გეგმებს, რომლის განხორციელებამაც კატასტროფამდე მიგვიყვანა“, – განაცხადა მან.

ამდენად, ხუციშვილი მიიჩნევს, რომ სჯობს საკონსტიტუციო უმრავლესობა არც ერთ ძალას არ ჰქონდეს, რადგან ის

ოპონირების რეჟიმს აფერხებს და დემოკრატიულ პროცესებს ხელს უშლის. ექსპერტი საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნას არ მიესალმება, თუმცა არც კატასტროფად განიხილავს, ვინაიდან, მისი თქმით, დღეს უმრავლესობაში არ არიან ისეთი იდეებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებმაც, შესაძლოა, ქვეყნის განვითარება ჩიხში შეიყვანონ.


"სტამბოლის პროცესზე" ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა განცხადება შეიმუშავეს

27 ნოემბერი, 2012

"სტამბოლის პროცესის" სახელწოდებით ცნობილ შეხვედრაზე პირველად მოხდა კონკრეტული განცხადების შემუშავება, - ამის შესახებ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე შეხვედრის მონაწილე ქართველმა ექსპერტებმა – გოგი ხუციშვილმა, ლადო პაპავამ და მამუკა არეშიძემ განაცხადეს.

როგორც გოგი ხუციშვილმა განაცხადა, "სტამბოლის პროცესის" სახელწოდებით ცნობილი შეხვედრის მორიგი ეტაპი სტამბოლში 16-17 ნოემბერს გაიმართა, სადაც ქართველი და რუსი ექსპერტები მონაწილეობდნენ. როგორც ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლადო პაპავა აცხადებს, ეს შეხვედრა იყო ძალიან ნაყოფიერი სხვა შეხვედრებისგან განსხვავებით, პირველად მოხდა კონკრეტული განცხადების შემუშავება.

პაპავას განცხადებით, ამ ეტაპზე რთულია დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბარი, მაგრამ ექსპერტები დასაშვებად მიიჩნევენ, რომ მოსკოვში საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის

2012

For.ge

www.for.ge

„სტამბოლის პროცესზე" ქართველმა და რუსმა ექსპერტებმა განცხადება შეიმუშავეს

www.for.ge 2012 წ. 27 ნოემბერი

„სტამბოლის პროცესის“ სახელწოდებით ცნობილ შეხვედრაზე პირველად მოხდა კონკრეტული განცხადების შემუშავება, – ამის შესახებ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე შეხვედრის მონაწილე ქართველმა ექსპერტებმა – გოგი ხუციშვილმა, ლადო პაპავამ და მამუკა არეშიძემ განაცხადეს.

როგორც გოგი ხუციშვილმა განაცხადა, „სტამბოლის პროცესის“ სახელწოდებით ცნობილი შეხვედრის მორიგი ეტაპი სტამბოლში 16-17 ნოემბერს გაიმართა, სადაც ქართველი და რუსი ექსპერტები მონაწილეობდნენ. როგორც ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლადო პაპავა აცხადებს, ეს შეხვედრა იყო ძალიან ნაყოფიერი სხვა შეხვედრებისგან განსხვავებით, პირველად მოხდა კონკრეტული განცხადების შემუშავება.

პაპავას განცხადებით, ამ ეტაპზე რთულია დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე საუბარი, მაგრამ ექსპერტები დასაშვებად მიიჩნევენ, რომ მოსკოვში საქართველოს ეკონო-

მიკის სამინისტროსა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლობა გაიხსნას და ანალოგიური მოხდეს თბილისშიც.

რაც შეეხება შემუშავებულ განცხადებას, მასში აღნიშნულია, რომ, უპირველეს ყოვლისა, ხელი უნდა შეეწყოს ქვეყნებს შორის ჰუმანიტარული, კულტურისა და ეკონომიკის სფეროში მთელი რიგი პრობლემების მოგვარებას. რაც შეეხება ჰუმანიტარულ და კულტურულ სფეროს, ექსპერტები მიზანშეწონილად მიიჩნევენ, რომ მოხდეს კონტაქტების სტიმულირება, აღდგეს კავშირები განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ასევე მოხდეს სავიზო რეჟიმის შემსუბუქება საქართველოს მოქალაქეებისთვის.

რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნორმებისა და წესების შესაბამისად, უნდა მოხდეს დაჩქარებულ რეჟიმში ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქციის რუსული ბაზრისთვის საჭირო სერტიფიკაციისა და დაშვების საკითხების გადაწყვეტა.

პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროსთან დაკავშირებით კი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უნდა მოხდეს რეგიონული უსაფრთხოების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებული პარლამენტთაშორისი და საექსპერტო კავშირების აღდგენა, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტერორიზმთან და რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლენასთან ბრძოლას, „სოჭი 2014“-ის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით.

ექსპერტმა მამუკა არეშიძემ აღნიშნა, რომ საუბარი შეეხო სეპარატიზმის თემას, თუმცა აღმოჩნდა, რომ რუსი კოლეგები ამას სიფრთხილით ეკიდებიან. მიუხედავად ამ სიფრთხილისა, როგორც არეშიძე ამბობს, ის, რომ აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოს ტერიტორიებია, რუს ექსპერტებს ამისი საწინააღმდეგო არაფერი უთქვამთ. რაც შეეხება შემუშავებულ დოკუმენტს, ქართველი ექსპერტები ამბობენ, რომ მას მთავრობას გადასცემენ. „სტამბოლის პროცესის“ მორიგი შეხვედრა კი მომავალი წლის დასაწყისშია დაგეგმილი.


აფხაზეთში თურქი-აფხაზების ჩასახლების თემა კიდევ ერ

3 დეკემბერი, 2012

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის დე-ფაქტო პ
ანქვაბის სპეციალური პროგრ ამით აფხაზეთში თურქი-აფხ
იგეგმება. სოხუმის ადგილობრივმა მ სახლემ "ივერიონ" ა
აფხაზებს სოხუმში, იმ სახლებში ჩაასახლებენ, სადაც ა

ადგილობრივების განცხადებით, აღნიშნულმა საკითხმა აფ
არაერთგვაროვანი მიდგომა გამოიწვია. მიუხედავად იმისა
ნახევარი აღნიშნული პროგრამას დადებითად შეხვდა, მოსახ
კითხვები გააჩინა. მოსახლეობას აინტერესებს, თუ რა მოელ
აფხაზების ჩასახლების შედეგად და რას მოუტანს ეს ადგილ

სოხუმის ერთ-ერთი მკვიდრის ცნობით, აფხაზეთში თურქ
დელეგაცია უკვე იმყოფებოდა. ეს იმ ფონზე, როცა უკანასკ
განმავლობაში აფხაზეთი არ განვითარებულა და ახლაც ის
ქართველებმა დატოვეს. აფხაზებს აინტერესებთ, რატომ არ
აფხაზეთში, მათ შორის, ეთნიკური აფხაზებიც რატომ არიდებენ თავს ინვესტირებას,

აფხაზეთში თურქი აფხაზების ჩასახლების თემა კიდევ ერთხელ წამოსწიეს

www.for.ge, 2012 წ. 3 დეკემბერი

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის დე ფაქტო პრეზიდენტის, ალექსანდრე ანქვაბის სპეციალური პროგრამით აფხაზეთში თურქი აფხაზების ჩასახლება იგეგმება. სოხუმის ადგილობრივმა მოსახლემ „ივერონს“ აცნობა, რომ თურქ აფხაზებს სოხუმში იმ სახლებში ჩაასახლებენ, სადაც ამჟამად არავინ ცხოვრობს.

ადგილობრივების განცხადებით, აღნიშნულმა საკითხმა აფხაზურ მოსახლეობაში არაერთგვაროვანი მიდგომა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ნახევარი აღნიშნულ პროგრამას დადებითად შეხვდა, მოსახლეობის ნაწილში მან კითხვები გააჩინა. მოსახლეობას აინტერესებს, თუ რა მოელით აფხაზებს თურქი აფხაზების ჩასახლების შედეგად და რას მოუტანს ეს ადგილობრივ მოსახლეობას.

სოხუმის ერთ-ერთი მკვიდრის ცნობით, აფხაზეთში თურქი აფხაზების ერთი დელეგაცია უკვე იმყოფებოდა. ეს იმ ფონზე, როცა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში აფხაზეთი არ

განვითარებულა და ახლაც ისეთია, როგორიც ქართველებმა დატოვეს. აფხაზებს აინტერესებთ, რატომ არ დებენ ინვესტიციებს აფხაზეთში, მათ შორის, ეთნიკური აფხაზებიც რატომ არიდებენ თავს ინვესტირებას, მაშინ, როდესაც კლიმატური პირობებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, აფხაზეთი ინვესტიციისთვის საუკეთესო ადგილია.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის დირექტორს, გოგი ხუციშვილს, ეეჭვება, რომ აფხაზეთში ე.წ. „თურქი აფხაზების“ ჩასახლებამ მასობრივი ხასიათი მიიღოს. მისი თქმით, ადრეც ჰქონდათ აფხაზებს მათი ჩასახლების თაობაზე სახელმწიფო პროგრამები.

„ძალიან დიდი აფხაზური დიასპორაა თურქეთში და უნდოდათ, ეს ხალხი ჩაეყვანათ და დემოგრაფიული დისბალანსის პრობლემა გადაეწყვიტათ, რადგან, მე მგონი, სომხები აფხაზებზე მეტნი არიან აფხაზეთში. თუმცა თავის დროზე ეს არ გამოუვიდათ. თურქეთიდან ჩასულმა, წარმომავლობით აფხაზმა, ბიზნესმენებმა როცა დაინახეს, აფხაზეთში არ აქვთ მუშაობის, ბიზნესის კეთების პირობები, ისევე, როგორც ეს თურქეთში ხდება, რა თქმა უნდა, თურქეთში დარჩენა არჩიეს“, – აცხადებს გოგი ხუციშვილი For.ge-სთან საუბარში.

მისი თქმით, აგვისტოს ომის წინ პირადად იგი სოხუმში იყო ჩასული, სადაც გაიცნო აფხაზეთის პარლამენტის წევრი, რომელიც ამ საკითხებს განაგებდა და თვითონაც თურქეთიდან იყო წამოსული. ახლაც გოგი ხუციშვილი გაოცებულია, რა უნდა ჰქონდეთ აფხაზებს ის უპირატესობა ან სტიმული, რომ თურქეთში მცხოვრებმა აფხაზებმა მასობრივად დაანებონ თურქეთს თავი და აფხაზეთი არჩიონ. ასეთი სტიმულის არსებობის შესახებ კი გოგი ხუციშვილს არ სჯერა.

„პერიოდულად უჩნდებათ ეს იდეა სოხუმში, მაგრამ, როგორც წესი, ეს აზრი მასობრივ ხასიათს არ ღებულობს. სინამდვილეში, აფხაზებს, უპირველეს ყოვლისა, უნდათ, რომ დემოგრაფიული დისბალანსი დაძლიონ და რაოდენობრივად უფრო მეტნი იყვნენ. გარდა ამისა, მათ სურთ, განავითარონ თურქული ბიზნესი, თურქეთთან ბიზნესკავშირები და ამითი

ცოტათი გამოაცოცხლონ აფხაზეთის ეკონომიკა“, – აღნიშნა გოგი ხუციშვილმა.

მანვე კიდევ ერთი მიზეზი დაასახელა, თუ რატომ სურთ აფხაზებს თურქეთში მცხოვრები თანამემამულეების დაბრუნება. ეს მიზეზი ქართველ დევნილებს უკავშირდება. კერძოდ, მოჰაჯირთა შთამომავლების აფხაზეთში ჩასახლების შემთხვევაში კიდევ უფრო გართულდება ქართველთა საკუთრების ამბავი. შესაბამისად, აფხაზებს არ სურთ, დაისვას ყოფილ მესაკუთრეთა საკითხი. ასე რომ, აქ სხვადასხვა მოტივაციებია. თუმცა ერთია, რომ აფხაზები ცდილობენ, აჩვენონ საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომ მას ძალიან გართულებულად ექნება საქმე და აჯობებს, საერთოდ არ მოჰკიდოს ხელი აფხაზეთის საკითხს.


2012 10 დეკემბერი

ლავროვისგანცხადებადამაბრკოლებელგარემოებადგამოიყურება,
მაგრამმდგომარეობიდან, დიპლომატიურიგამოსავალიარსებობს

2012

For.ge

www.for.ge

ლავროვის განცხადება დამაბრკოლებელ გარემოებად გამოიყურება, მაგრამ ამ მდგომარეობიდან დიპლომატიური გამოსავალი არსებობს

www.for.ge, 2012 წ. 10 დეკემბერი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, გოგი ხუციშვილი, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადების შეფასებისას, რომლის თანახმადაც, ქართული მხარის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებად გამოცხადება დიალოგის დასაწყებად არასასურველი რიტორიკაა, აცხადებს, რომ ლავროვის ეს განცხადება დამაბრკოლებელ გარემოებად და ისევ ბლოკის შემქმნელად გამოიყურება, რადგან იციან, რომ ეს მტკივნეული საკითხია, რომელზეც ქართველები უკან არ დაიხევენ.

როგორც ხუციშვილმა for.ge-სთან საუბარში განაცხადა, ამ შემთხვევაში ყველაფერი გაყინულ და სტატუს-კვოს მდგომარეობაში გვრჩება, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ მდგომარეობიდან დიპლომატიური გამოსავალი არსებობს.

„დიპლომატიური გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ყველგან ჩვენი პოზიცია დაფიქსირებული გვაქვს და ამიტომ ოკუპირებული ტერიტორიების თემა ამ შემთხვევაში, შეიძლება, მოლაპარაკებათა შემადგენელი ნაწილი არ იყოს, სანამ ის მომენტი არ დადგება, რომლის დროსაც ამაზე უკვე საუბარი შესაძლებელი იქნება. ეს არავითარ შემთხვევაში ჩვენს პოზიციაზე უარის თქმას არ ნიშნავს, ეს ნიშნავს, რომ შენ ეს საკითხი გადადებული გაქვს და ამ საკითხზე საერთოდ არ საუბრობ, სანამ პირობები არ მომწიფდება“, – განაცხადა ხუციშვილმა.

კონფლიქტოლოგის თქმით, ამჟამად ტერიტორიებთან დაკავშირებით კონსენსუსი ვერ მიიღწევა და უმჯობესია, თავდაპირველად რუსეთთან სხვა საკითხების მოგვარებაზე ვიზრუნოთ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ფედერაცია ამაზეც არ წამოვა, მაშინ გამოდის, რომ ბარიერებს ისინი ხელოვნურად ქმნიან.

„ჩვენს წინადადებებში უნდა იყოს ასეთი რამ, რომ თქვენ გაქვთ თქვენი შეფასება და სტატუსი ამ ტერიტორიებისა, ჩვენ გვაქვს ჩვენი სტატუსი და შეფასება. ე.ი. ამაზე ვერ შევთანხმდით და კომპრომისამდე ვერ მივალთ, ამიტომ ამ საკითხზე ჯერჯერობით არ ვისაუბროთ და წინაპირობადაც ნუ განვიხილავთ. ამ ეტაპზე ეს მაინც ვერ მოხდება, რადგან პრაქტიკულად ჩვენ ისევ გაყინულ მდგომარეობაში ვართ“, – განაცხადა ხუციშვილმა და აღნიშნა, რომ ახლა რუსეთის ფედერაციას სურს, ისეთი მდგომარეობა წარმოაჩინოს, რომ ჩვენ არაკონსტრუქციულად ვიქცევით, მაგრამ პირიქით, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ვითარება, რომლის დროსაც არაკონსტრუქციულობა უკვე მათ მიეწერებათ და ნათელი გახდება, რომ არაკონსტრუქციულად ისინი იქცევიან.

კითხვის პასუხად, ლავროვის ამ განცხადების შემდეგ მოსალოდნელია თუ არა საქართველოს ხელისუფლების ამა თუ იმ ნაბიჯზე შემხვედრი ნაბიჯი და პოზიტიური სიგნალი, ხუციშვილი აცხადებს, რომ სინამდვილეში უფრო მეტი მზადყოფნა არსებობს იმისათვის, რომ ეს პროცესი დაიძრას.

„ლავროვის განცხადებას თუ, მაგალითად, მედვედევისა და კარასინის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან ერთად განვიხილავთ, რომლებიც ლავროვთან შეუთანხმებელი არ იქნებოდა, გამოდის, რომ ისინი უფრო იმედისმომცემი განცხადებები იყო, თუმცა ეს განცხადებები საერთო ჯამში რომ განვიხილოთ, ვფიქრობ, გამოდის, რომ რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი, პირველი დიპლომატი ცდილობს, რომ უფრო უკომპრომისო პოზიცია დაიკავოს, რათა რაღაც ეჭვები ჩრდილოკავკასიაში ან თუნდაც აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ არ შექმნას, რომ შესაძლოა, ისინი რაიმე დათმობაზე წავიდნენ, მაგრამ სინამდვილეში უფრო მეტი მზადყოფნა არსებობს იმისათვის, რომ ეს პროცესი დაიძრას“, – განაცხადა ხუციშვილმა და აღნიშნა, რომ როცა ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები რაღაც დონემდე განვითარდება და მათ შორის ოდნავი ნდობა გაჩნდება, ამ მტკივნეულ საკითხს ასეთ პირობებში უნდა დავუბრუნდეთ.



კონფლიქტოლოგები გიგი წერეთლის წინააღმდეგ

რას გვასწავლის კონფლიქტის მოგვარების თეორია

„რეზონანსი", 2012 წ. 13 დეკემბერი, გვ. 15, ჟურნალისტი თეონა გიგაური, ფოტოთი

საპარლამენტო უმცირესობის წევრ გიგი წერეთლის განცხადებით, რუსეთს თამაშში არ უნდა ავყვეთ, რადგან ის გვთავაზობს, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ნატო-ში ინტეგრაციაზე არ ვილაპარაკოთ. მისი თქმით, თუ ამ საკითხებს მოლაპარაკებების ფორმატი არ მოიცავს, მაშინ „ქართულმა ოცნებამ" უნდა განაცხადოს, რომ ეს აწყობს რუსეთს, რათა ილაპარაკოს ყველაფერზე ამ საკითხების გარდა და თქვას, რომ საქართველო შეეგუა ამ ყველაფერს. კონფლიქტოლოგები კი აცხადებენ, რომ რუსეთთან მოლაპარაკების მწვავე საკითხების განხილვით დაწყება არ ივარგებს.

როგორც გოგი ხუციშვილი „რეზონანსთან" საუბარში აცხადებს, „გიგი წერეთელს, როგორც ჩანს, მოლაპარაკებების ჩაშლა სურს და ამიტომ ამბობს ამას. ელემენტარული ლოგიკით, მოლაპარაკებების დაწყება იმ საკითხებით, რომლითაც პოზიციის დაახლოება ვერ მოხერხდება, არ შეიძლება. მოლაპარაკებების

უფრო განვითარებულ დონეზე, როდესაც გარკვეული შეთანხმებები და კონტაქტები უკვე მიღწეული იქნება, ამის შემდეგ უნდა დაისვას აღნიშნული მწვავე საკითხები“.

„ჩემი აზრით, ძალიან სერიოზული შანსია იმისა, რომ რუსეთთან ურთიერთობა გამოვიდეს. „ნაციონალური მოძრაობა“ მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ისინი მართლები აღმოჩნდნენ და ახალ ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება არ გამოუვიდეს. რადგან თუ „ქართული ოცნება“ ამას ვერ შეძლებს, საპარლამენტო უმცირესობა თავის პლუსად ჩათვლის და იტყვის – „აი, ჩვენ ხომ ვამბობდით, რომ რუსეთთან დალაპარაკება შეუძლებელია და ამიტომაც არ ველაპარაკებოდით“. ხომ უნდა დაველოდოთ, გამოდის თუ არა რამე ამ მოლაპარაკებებით?!“ – ამბობს ხუციშვილი.

ამასთან, მისივე თქმით, „გიგი წერეთლის მოსაზრება, რომ ოკუპირებული ტერიტორიებისა და ნატო-ში ინტეგრაციის საკითხი რუსეთთან მოლაპარაკების ფარგლებში გამართული ყველა შეხვედრის დღის წესრიგში დადგეს, გაართულებს ყველა მოლაპარაკებას, – აცხადებს ხუციშვილი, – ის, რომ ჩვენ არ ვიცვლით პოზიციას და ისევ ვადასტურებთ, რომ არ ვეთანხმებით რუსეთის გადაწყვეტილებას აგვისტოს ომის შემდეგ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის ცალმხრივად სტატუსის მინიჭებას, ყველამ იცის და ახლა ეს მოლაპარაკების დღის წესრიგში რომ არ შევიტანოთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პოზიცია შევიცვალეთ.

დეოკუპაციის და ყველა ასეთი საკითხის მოგვარების ერთადერთი გზა რუსეთთან ურთიერთობის ეტაპობრივი აღდგენაა. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენთვის მტკივნეული საკითხების დასმის დროც მოვა, მაგრამ ამისათვის ჯერ რაღაც გზა უნდა გავიაროთ“, – აცხადებს გოგი ხუციშვილი „რეზონანსთან“ საუბრისას.

მისივე თქმით, „სააკაშვილის ხელისუფლებისთვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა პრიორიტეტული არასოდეს ყოფილა. მათთვის მთავარი იყო, თვითონ გამოჩენილიყვნენ მართლები და მტყუანი – სხვა. იმის გამო, რომ აგვისტოს ომის დროს დაშვებული შეცდომები არ მოეკითხოთ, ყველაფერს ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ „ქართულ ოცნებას“ წარმოუდგენელი ამოცანა აქვს დასმული“, – უთხრა „რეზონანსს“ გოგი ხუციშვილმა.



აფხაზურ და ოსურ მხარეს საქართველო-რუსეთის დაახლოების ეშინიათ, რადგან მიიჩნევენ, რომ ეს მათ პოზიციებს რისკის ქვეშ აყენებს

www.for.ge, 2012 წ. 16 დეკემბერი

კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი ჟენევის მოლაპარაკებების 22-ე რაუნდს, მიუხედავად იმისა, რომ დისკუსიის მეორე ნაწილი მოსკოვის, სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლებმა დატოვეს, წარუმატებლად არ მიიჩნევს.

ხუციშვილი სოხუმისა და ცხინვალის წარმომადგენლების ამ ქმედებას რაღაც „საშინაო დავალებას“ უკავშირებს და აღნიშნავს, რომ არ იცის, ეს უფრო ლოკალურად სოხუმსა და ცხინვალში განვითარდა თუ მოსკოვიდან მომდინარეობდა.

კონფლიქტოლოგის განცხადებით, აფხაზურ და ოსურ მხარეს საქართველო-რუსეთის დაახლოების ეშინიათ, რადგან, მისი თქმით, მიიჩნევენ, რომ ეს მათ პოზიციებს რისკის ქვეშ აყენებს.

„საერთოდ, ფონი ძალიან გართულებული იყო. არ ვიცი, ლოკალურად სოხუმსა თუ ცხინვალში განვითარდა თუ ეს მოს-

კოვიდან მომდინარეობდა, მაგრამ ბოლო თვეების განმავლობაში, განსაკუთრებით, არჩევნების შემდეგ პერიოდში, სოხუმსა და ცხინვალში გარკვეული შიში განვითარდა იმის გამო, რომ საქართველო-რუსეთს შორის, შეიძლება, რაღაც მოლაპარაკებებში პროგრესი მოხდეს. გუნდებმა, რომლებიც სოხუმსა და ცხინვალში სიტუაციას მართავენ, საქართველო-რუსეთს შორის რაღაც პოზიციების დაახლოებით საკუთარი მისამართით საფრთხე დაინახეს და ამიტომ იქ გაამკაცრეს, როგორც რეჟიმი, ისე ანტიქართული განწყობაც გაიზარდა“, – განაცხადა ხუციშვილმა.

მისი თქმით, ჩვენ ეს ეტაპი როგორმე უნდა გადავიაროთ და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რუსეთთან მოლაპარაკებების პროცესი დაიძრას.

„როცა საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების პროცესი დასტაბილურდება, გაირკვევა, რაში შესაძლებელია გვქონდეს შეთანხმებული პოზიცია, ეს პროცესი წინ ნაბიჯ-ნაბიჯ წავა. ვფიქრობ, საბოლოო ჯამში, ეს სოხუმსა და ცხინვალში არსებულ სიტუაციაზე გავლენას მოახდენს. ამ ფონის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე სხვა შედეგის წარმოდგენა შეუძლებელი იქნებოდა“, – განაცხადა ხუციშვილმა და აღნიშნა, რომ თუ შეცდომები არ დავუშვით და ეს პროცესი სწორად, მშვიდად და დიპლომატიურად განვითარდა, მომავალში ჟენევის მოლაპარაკება გადაიქცევა მართლაც მოლაპარაკებებად და არა საკონსულტაციო შეხვედრებად, როგორც ახლა არის.



გოგი ხუციშვილი: რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა უნდა გვქონდეს

„ახალი თაობა“, 2012 წ. #99, ჟურნალისტი ნათია ხურცილავა, ფოტოებით

ინტერვიუ კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილთან:

– ბატონო გოგი, რას იტყვით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინისა და პრემიერის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის შეხვედრაზე?

– წინასწარ ცნობილი იყო, რომ ეს შეხვედრა ტექნიკურ ხასიათს ატარებდა. ეს ხაზგასმით იყო ნათქვამი. ცნობილი იყო, რომ ეს იქნებოდა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, ერთგვარი მოთელვა, გარკვეული პოზიციების ერთმანეთთან შეჯერება და იმისი განსაზღვრა, რომ მომდევნო შეხვედრები რა ფორმატით, როგორი პროცედურებით შეიძლება წარიმართოს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ წინასწარ ქართულ მხარეს გარკვეული კონტაქტი ჰქონდა რუსულ მხარესთან. უკვე იყო საუბარი, თუ რა პრიორიტეტული საკითხები არის შესაძლებელი, რომ მოლაპარაკების საკითხი გახდეს.

– მაგალითად, რა შეიძლება გახდეს მოლაპარაკების საგანი?

– მაგალითად, ეკონომიკის საკითხები. ვაჭრობის, ეკონომიკური ურთიერთობის, ჰუმანიტარული ურთიერთობის და ა.შ. გამოდის, სუფთა ფურცლიდან არ ვიწყებთ. რაღაც ეტაპი უკვე იყო. შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრის ფაქტი წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ორივე მხრიდან. ჩვენი მხრიდან ეს იყო ინიციატივა, წინადადება და ეს არ არის გასაკვირი, რადგან ჩვენ ობიექტურად ვართ დაინტერესებული იმაში, რომ არსებული მდგომარეობა შეიცვალოს, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ შეიქნა. რუსეთმა ცოტა ცივი რეაქცია მისცა ამას ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. საქართველოში უკვე გამოჩნდა ის ძალა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული, რომ დიალოგი განავითაროს და რუსეთის ფედერაციასთან სერიოზული დიალოგი დაიწყოს, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელია.

– ამ შეხვედრასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ბზიგნევ ბჟეზინსკიმ განცხადება გააკეთა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის აღდგენა ამერიკის მეგობრობის ხარჯზე შეიძლება მოხდეს. როგორ ფიქრობთ, რამ მისცა ამ განცხადების გაკეთების საფუძველი?

– ეს იყო ვარაუდი, რომელიც, პრაქტიკულად, გაფრთხილებას ნიშნავდა, რომ თუ ამ მიმართულებით წავიდა, მაშინ ეს ამერიკის მეგობრობის ხარჯზე მოხდება, მაგრამ მე ვთვლი, რომ ამ მიმართულებით არ წავა ჩვენი ურთიერთობა. რუსეთის გავლენის ქვეშ ჩვენ არ მოვექცევით, ამაზე საუბარი შეუძლებელია. ჩვენ გვექნება საუბარი იმ საკითხებზე, რომელიც რეალურად განხორციელებადია.

– შეიძლება თუ არა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, აშფოთებდეს სწორედ ის, რომ ევრაზიის კავშირი, რუსული ორბიტის ქვეშ დაბრუნება, მოხდეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი რამის ხარჯზე და ეს შეიძლება მაპროვოცირებელი აღმოჩნდეს?

– ეს შეუძლებელია. გეტყვით, ამ ყველაფრის ფონი რა არის: ლუკაშენკო გამოვიდა ინიციატივით, რომ მომავალ წელს საქართველოს დსთ-ში დააბრუნებს. ლუკაშენკოს უნდა, რომ

თავისი როლი წარმოაჩინოს რეგიონში. მას უნდა მომრიგებლის, შუამავლის როლი ითამაშოს რუსეთსა და საქართველოს შორის. რაღაცნაირად თითქოს ისტორიული მისია ითამაშოს, მაგრამ ეს არ გამოუვა, რადგან საქართველო არავითარ შემთხვევაში არ დააყენებს დღის წესრიგში დსთ-ში დაბრუნების საკითხს. იმ გაყინულ მდგომარეობაში, რომელიც ახლა რუსეთ-საქართველოს შორის არის, შეუძლებელია, რომ ამაზე საუბარი იყოს. ამიტომ ეს ლუკაშენკოს არ გამოუვა. ეს, რა თქმა უნდა, ცნობილია ვაშინგტონში. რაც შეეხება ბჟეზინსკის განწყობას, მასზე იმოქმედა, როგორც ჩანს, ლუკაშენკოს განცხადებამ, ვაითუ, რაღაც ხდება, რაც იცის ლუკაშენკომ და მე არ ვიცი. მეორე მხრივ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, სააკაშვილის გუნდი ცდილობს, თავისი ლობისტური არხების მეშვეობით ახალი ხელისუფლების დისკრედიტაცია მოახდინოს. მათი მხრიდან მუდმივი პედალირება ხდება იმაზე, რომ ივანიშვილი არის სწორედ ის პიროვნება, რომელიც იმისთვის არის მოსული, რომ საქართველო რუსულ ორბიტაზე დააბრუნოს, რომ ადრე თუ გვიან ეს მოხდება, რადგან მილიარდები მას რუსეთში აქვს ნაშოვნი და რომ, ასე ვთქვათ, რუსეთთან ვალშია. ეს არის სრულიად ხელოვნური მსჯელობა. მე ვფიქრობდი, რომ ეს ვარაუდი საერთოდ გაბათილდა, რადგან რუსეთისგან ძალიან ცივი რეაქცია მივიღეთ. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, ვაშინგტონში ზოგიერთ წრეებში კითხვები და ეჭვები ისევ არის.

– **როგორ ფიქრობთ, იმ ორ პრინციპს, რომელზეც ახალი ხელისუფლება საუბრობს – საქართველოს თავისუფალ არჩევანს, რომ თავად აირჩიოს, რომელ კავშირში გაწევრიანდება, ვინ იქნება მისი სტრატეგიული პარტნიორი და ქვეყნის სუვერენიტეტს, ტერიტორიული მთლიანობის დაცვას საფრთხე ემუქრება?**

– არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ეს არის ორი პრინციპი, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ურთიერთობაში. საქართველომ ინტენსიური ურთიერთობა რომც დაიწყოს რუსეთთან, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამის გამო დასავლეთმა სამაგიერო გადაგვიხადოს და აღარ ცნოს ჩვენი ქვეყნის

ტერიტორიული მთლიანობა. ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. ეს ორი საკითხი ერთმანეთზე არ არის დამოკიდებული, რომ ჩვენ დასავლეთის კეთილგანწყობა დავკარგოთ. დარწმუნებული ვარ, არ გვემუქრება, რუსეთს ისე დავუახლოვდეთ, რომ დასავლეთთან ჩვენმა ურთიერთობამ მოსკოვზე გაიაროს. ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება და თუ მოხდება, ეს იქნება კატასტროფა ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენ უნდა გვქონდეს ევროინტეგრაციის პირდაპირი კურსი და ამავე დროს უნდა ვეცადოთ ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობა გვქონდეს რუსეთთან, ჩვენს დიდ მეზობელთან. ორ ქვეყანას შორის სასარგებლო მიმართულებების განვითარება ხელს არ უშლის არც ევროკავშირთან და არც ვაშინგტონთან კეთილგანწყობილ ურთიერთობებს.



კოჰაბიტაციის ფენომენი საქართველოს პოლიტიკაში

„ჯეორჯიამონიტორი“, www.georgiamonitor.org, 2013 წ. 13 თებერვალი

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი გოგი ხუციშვილი ყოფილსა და ახალ ხელისუფლებას შორის კოჰაბიტაციის შესაძლებლობას გამორიცხავს.

„შემოთავაზება, რასაც კოჰაბიტაცია ჰქვია, ძალიან კარგია, მაგრამ ამისი განხორციელება ძალიან საეჭვოდ მეჩვენება. კოჰაბიტაცია ის მდგომარეობაა ქვეყანაში, როცა პრეზიდენტი და საპარლამენტო უმრავლესობა ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენენ. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო 20-წლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში პირველად დადგა იმ ფაქტის წინაშე, რომ ერთად, ოპოზიციური ძალების გაერთიანებით განეგრძო არსებობა, დემოკრატიზაციის პროცესის დახვეწა და ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური განვითარება. მაგრამ ეს დიდი იმედები ბოლო დროს განვითარებული მოვლენების საფუძველზე ილუზიის ფორმაში უფრო გადაიზარდა. კოჰაბიტაცია არ შედგა, რად-

განაც კოჰაბიტაცია შესაძლებელი არის მხოლოდ იმ ძალებს შორის, რომელნიც თანხმდებიან რაღაც ფუნდამენტურზე, რაღაცით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მაგრამ ასე დაპირისპირებული არ არიან ერთმანეთთან, როგორც „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“. ეს ევროპული მოდელი ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეზე ვერ იქნება გადმოტანილი. ამიტომ მე თავიდანვე ეჭვის თვალით ვუყურებდი კოჰაბიტაციის მოდელს. როდესაც ევროპის რომელიმე ქვეყანაში მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლა პარტიებს შორის, ეს პარტიები ერთმანეთს ქვეყნის მტრებს არ ეძახიან, ამაშია განსხვავება. რაც შეეხება კოალიციას, მის შიგნითაც არის დაძაბულობა, ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა ბოლო დროს ალასანიას ვიცე-პრემიერობიდან გადაყენების შემდეგ. თუმცა იმედია, რომ კოალიცია არ დაიშლება, ვინაიდან ამას ქვეყნის სტაბილურობისთვის ძალიან ცუდი შედეგი მოჰყვება. დღეს უკვე ვხედავთ თვალნათელ და სერიოზულ დაპირისპირებას პრეზიდენტსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის, რაზეც ბევრი ფაქტი მიუთითებს“, – აცხადებს ხუციშვილი.



კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილის განცხადებით, როგორც კი დაიწყო საქართველო-რუსეთს შორის დიალოგი, მაშინვე გამკაცრდა პოზიციები ცხინვალსა და სოხუმში.

ამის შესახებ გოგი ხუციშვილმა ჟურნალისტებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილისა და კონფლიქტების თემაზე მომუშავე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა. შეხვედრაზე განიხილება ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები, რომელიც მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, ასევე საექსპერტო აზრს.

„შეიძლება ითქვას, რომ არის ძირითადი თანხვედრა პოზიციებში, რომელიც აქვს სამოქალაქო საზოგადოებას და რეინტეგრაციის სამინისტროს ახალ შემადგენლობას. ჩვენ ვუჭერთ, რომ მეტი ...ცია იყოს ...თან და იყოს ... საშუალებები ... ნდობის ჩამოყალ... ამას ხელი უნდ... ყოს საქ... მიმართულებ... ნაბიჯე... იმით, რომ სა... და სოხუმში", - განაცხადა გოგი ხუციშვილმა.

მისი თქმით, აფხაზეთსა და ცხინვალში ჰგონიათ, რომ შესაძლოა, თბილისსა და მოსკოვს შორის გარიგება ხდება, რომელიც მათზე აისახება. კონფლიქტოლოგი აცხადებს, რომ მოსკოვი დაარწმუნოს ისინი - მსგავსი არაფერი ხდება.

"სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მსგავსი რამ არ ხდება. ჩვენ არც ვაპირებთ, რომ მათ ... გვქონდეს მოსკოვთან", - დასძინა გოგი ხუციშვილმა.

მასალის გამოყენების პირობები

2013

ipn
ინტერპრესნიუსი

გოგი ხუციშვილი: აფხაზეთსა და ცხინვალში ჰგონიათ, რომ შესაძლოა, თბილისსა და მოსკოვს შორის გარიგება ხდება

„ინტერპრესნიუსი“, 2013 წ. 14 თებერვალი

კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილის განცხადებით, როგორც კი დაიწყო საქართველო-რუსეთს შორის დიალოგი, მაშინვე გამკაცრდა პოზიციები ცხინვალსა და სოხუმში.

ამის შესახებ გოგი ხუციშვილმა ჟურნალისტებს რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილისა და კონფლიქტების თემაზე მომუშავე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა. შეხვედრაზე განიხილება ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემები, რომელიც მოითხოვს სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას, ასევე საექსპერტო აზრს.

„შეიძლება ითქვას, რომ არის ძირითადი თანხვედრა პოზიციებში, რომელიც აქვს სამოქალაქო საზოგადოებას და რეინტეგრაციის სამინისტროს ახალ შემადგენლობას. ჩვენ

მხარს ვუჭერთ, რომ მეტი კომუნიკაცია იყოს აფხაზებთან და ოსებთან და იყოს ახალი საშუალებები დალაპარაკების, მეტი ნდობის ჩამოყალიბების. ამას ხელი უნდა შეუწყოს საქართველო-რუსეთს შორის მიმდინარე პროცესმა. ამ მიმართულებითაც ჯერ პირველი ნაბიჯები იდგმება, თუმცა უკვე ჩანს, რომ პროცესები გადაჯაჭვულია თუნდაც იმით, რომ საქართველო-რუსეთს შორის დიალოგი როგორც კი დაიწყო, მაშინვე გამკაცრდა პოზიციები ცხინვალსა და სოხუმში“, – განაცხადა გოგი ხუციშვილმა.

მისი თქმით, აფხაზეთსა და ცხინვალში ჰგონიათ, რომ, შესაძლოა, თბილისსა და მოსკოვს შორის რაიმე ფარული გარიგება ხდება, რომელიც მათზე აისახება. კონფლიქტოლოგი აცხადებს, რომ მოსკოვი, თავის მხრივ, ცდილობს, დაარწმუნოს ისინი – მსგავსი არაფერი ხდება.

„სინამდვილეში, რა თქმა უნდა, მსგავსი რამ არ ხდება. ჩვენ არც ვაპირებთ, რომ მათ ზურგს უკან რაიმე გარიგებები გვქონდეს მოსკოვთან“, – დასძინა გოგი ხუციშვილმა.



ცხინვალისა და სოხუმის ფობიები

www.for.ge, 2013 წ. 19 თებერვალი

საქართველოსა და რუსეთს შორის დაწყებული მოლაპარაკებების ფონზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ საქართველოს მიმართ გაკეთებული განცხადებები გამწვავდა. რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის შეფასებით, საქართველოს მთავრობის ინიციატივებზე აფხაზური და ოსური მხარეების ნეგატიური რეაქცია მოულოდნელი არ უნდა იყოს, რადგან კონფლიქტების მოგვარება ხანგრძლივი პროცესია და საქართველოს ახალი მთავრობა მზადაა, საკითხებს მოთმინებით მიუდგეს.

კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშვილის განცხადებით, აფხაზეთსა და ცხინვალში ჰგონიათ, რომ შესაძლოა, თბილისსა და მოსკოვს შორის რაიმე ფარული გარიგება ხდება, რომელიც მათზე აისახება. სინამდვილეში კი მსგავსი რამ არ ხდება.

რატომ უჩნდებათ ეჭვები აფხაზებსა და ოსებს და რა შეიძლება იყოს ამ სიტუაციიდან გამოსავალი, ამ თემებზე ექსპერტი გოგი ხუციშვილი გვესაუბრება.

– ბატონო გოგი, რაში იგრძნობა რომ აფხაზებსა და ოსებს გარკვეული ეჭვები გაუჩნდათ?

– ლაპარაკია იმაზე, რომ სოხუმსა და ცხინვალში საქართველო-რუსეთს შორის დათბობის პოლიტიკა აღიქვეს, როგორც საფრთხე საკუთარი თავის მიმართ. ვგულისხმობ იმ მდგომარეობას, რასაც მათ მიაღწიეს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. იმის საფრთხეს კი არ გრძნობენ, რომ რუსეთი თავის აღიარებაზე უარს იტყვის ან ამ თვალსაზრისით არც განსხვავებულ პოზიციას შესთავაზებს, არამედ ეშინიათ იმისი, რომ თუ საქართველოსა და რუსეთს შორის გაჩნდა ნდობა, განვითარდა ვაჭრობა, არა სტატუსთან დაკავშირებული, მაგრამ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები მოწესრიგების გზაზეა, მათ უკვე აღარ ექნებათ საფუძველი, საქართველო მტრის ხატად გამოიყენონ.

აქამდე საქართველო მათთვის მტრის ხატი იყო არა ომის გამო, არამედ იმითი, რომ პოლიტიკურად ზურგს საქართველოსა და რუსეთს შორის გამწვავებული ურთიერთობა უმაგრებდა. ის პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც დე ფაქტო რესპუბლიკების სათავეში არიან, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ საფრთხეებს გრძნობენ. დაახლოებით ერთი და იგივე ტიპის ჯგუფები მართავენ სოხუმსაც და ცხინვალსაც, ხოლო მათთვის საქართველო-რუსეთს შორის შეცვლილი კლიმატი გარკვეული რისკის შემცველია.

– ამის შესახებ უკვე ღიად საუბრობენ?

– თავიანთი მოტივაციის შესახებ, რა თქმა უნდა, არაფერი განუცხადებიათ, მაგრამ შეგვიძლია მაგალითად მოვიყვანოთ სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტის, ლეონიდ თიბილოვის ბოლო განცხადება, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ არც ვაჭრობა გვინდა საქართველოსთან, არც სხვა რაიმე ურთიერთობა იქამდე, ვიდრე ჩვენს დამოუკიდებლობას არ ცნობენო.

თუ განვიხილავთ, ცხინვალში რეალურად რა მდგომარეობაა, პრაქტიკულად, ცხინვალის წყლითა და გაზით მომარაგება დამოკიდებულია იმაზე, რომ ორივე მხარემ უნდა ითანამშრომლოს. ისეა გადახლართული ქართული და ოსური სოფლების კომუნიკაციები, რომ ვერ მოხდება მათი უზრუნველყოფა, თუ ორივე მხარე არ შეთანხმდა. ამ შემთხვევაში თიბილოვის განცხადება იმას ნიშნავს, რომ არც გაზი გვინდა თქვენი,

არც წყალი, ოღონდაც თქვენთან არანაირი ურთიერთობა არ გვქონდესო.

– როდესაც ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ დიდი შრომის ფასად ოსურ სოფლებამდე გაზი მიიყვანეს, ოსური მხარისგან მყისიერად გაკეთდა განცხადება, რომ დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ ისინი ქართულ მხარესთან ამ თემაზე მოლაპარაკებას, მაგრამ უშედეგოდ და ახლა უკვე დაგვიანებულია გაზის შეყვანა. ეს ნიშნავს თუ არა, რომ რაღაც პროცესები უკვე გავუშვით ხელიდან?

– ვფიქრობ, ეს დროებითია. უფრო საქართველოსა და რუსეთს შორის დაწყებულ მოლაპარაკებებზე რეაქციაა, რადგან იქ არსებობს გრძელვადიანი ინტერესები. მაგალითად, აფხაზებს გრძელვადიანი ინტერესი აქვთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურთან დაკავშირებით, ვარდნილ ჰესებთან დაკავშირებით, რომელიც ძალზე დიდ პოტენციალს შეიცავს. სრული დატვირთვით რომ ამუშავდეს, საშუალება გვექნება, დიდი რაოდენობით ელექტროენერგია გავყიდოთ. ეს არ შეიძლება არ აწყობდეთ აფხაზებსაც, რადგან თავიანთ წილს ისინიც მიიღებენ. არ შეიძლება, ეს მათთვის უმნიშვნელო იყოს.

ცოტა უფრო სხვა საკითხია, მაგრამ ერგნეთის ბაზრობამაც შეიძლება შემოსავლები მისცეს ოსებს, ვგულისხმობ პერიოდს, როცა უფრო მოწესრიგდება რეჟიმი და გახსნილი გახდება ურთიერთობა. ამ ეტაპზე ამ თემაზე საუბარი ნაადრევია.

– ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა კიდეც, რომ ერგნეთის ბაზრობა იყო ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ როდესაც რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები აღდგენას იწყებს, ერგნეთის ბაზრობა თავის აქტუალობას თავისთავად კარგავს. შესაძლოა, ოსური მხარე ამანაც გააღიზიანა?

– მართალია, აქტუალობას კარგავს, მაგრამ საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე ვაჭრობა ძალზე მნიშვნელოვანია ზუგდიდშიც და ახალგორშიც. გალიდან ხალხი ჩამოდის, რაღაცეებს ყიდის, შეიძლება ამისი განვითარება ბაზრობის მოწყობის სახით. ასევე შეიძლება ახალგორთანაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ ბაზრობებს ისეთი დატვირთვა ვეღარ ექნება, თუკი

საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობები განვითარდება.

– რაც შეეხება თვითონ ხალხს, ალბათ, აფხაზებსა და ქართველებს, ოსებსა და ქართველებს შორის ურთიერთობისთვისაც დადებითი მომენტი იქნებოდა ასეთი ბაზრობების არსებობა, მაგრამ საინტერესოა არასამთავრობო სექტორის როლი. ამ შემთხვევაში რამდენად შეუძლიათ ამ ურთიერთობებში დადებითი დატვირთვის შეტანა?

– არსებობს რაღაც ურთიერთობები არასამთავრობო სექტორს შორის, მაგალითად, შეხვედრები ნეიტრალურ ტერიტორიებზე, მაგრამ ამას ძალზე ვიწრო მასშტაბი აქვს. რა თქმა უნდა, სახალხო დიპლომატიას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ეკონომიკურ-სავაჭრო ურთიერთობები, რომელსაც მომავალში მიეცემოდა თავისუფალი სავაჭრო ზონების სტატუსი, კარგი იქნებოდა.

საბოლოოდ, ყველაფერში ამოსავალი წერტილი ის არის, რომ ნებისმიერი რამ ორივე მხარისთვის მომგებიანი უნდა იყოს და არ უნდა იყოს პოლიტიზებული. თუ ორივე პირობა დაცული იქნება, მსგავსი პროექტები აუცილებლად განვითარდება.

– იმის მიუხედავად, რომ ეს რეგიონები რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან, ისინი ეკონომიკურად ვერ ვითარდებიან. გვაქვს შანსი, რომ ეკონომიკის განვითარებით საქართველოს მიმართ მათი ინტერესი გაიზარდოს?

– აფხაზეთში გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ თუ აფხაზეთს შევადარებთ სოჭის რაიონს, დავინახავთ უზარმაზარ სხვაობას. აფხაზები საქართველოში რომ ჩამოდიოდნენ, დაინახავდნენ, რომ აქ ბევრად უკეთესი ინფრასტრუქტურაა, ვიდრე მათთან. მართალია, რუსებთან გათანაბრებული პენსიები აქვთ, მაგრამ გაცილებით უარესი მდგომარეობა აქვთ ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური თვალსაზრისით. მათ შეეძლოთ, საქართველოსგან თავიანთთვის სასარგებლო პროექტები მიეღოთ, მაგრამ ამ ეტაპზე განსაკუთრებით ფრთხილობენ იმის გამო, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის მათ ზურგს უკან რაიმე გარიგება არ მოხდეს. ფიქრობენ იმასაც,

რომ თბილისის შეცვლილი პოლიტიკა ხომ არ არის მიმართული იქითკენ, რომ ხელი მოეწეროს რაღაც დოკუმენტს, რაც აღიარების თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯი იქნება მათთვის.

– მათ არჩევნებამდე გააკეთეს განცხადებები, რომ ბიძინა ივანიშვილთან საუბარი შესაძლებელი იყო. მათი მხრიდან ხომ არ იგრძნობა რაიმე ინიციატივა, რომ რაღაც პროცესის დაწყება სურთ?

– სწორედ ასეთ ნაბიჯებს ველოდებოდი, მაგრამ რატომღაც საპირისპირო ხდება და ისინი პოზიციას ამკაცრებენ. როგორც ჩანს, მათთვის ამ ეტაპზე პოლიტიკური პოზიციის დაფიქსირება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაღაც პოლემიკაში ჩართვა, რომელმაც მათ შეიძლება მოუტანოს რაღაც სარგებლობა, მაგრამ პოლიტიკურად მომგებიანი არ იყოს. ამიტომაც ვთვლი, რომ საქართველო-რუსეთის დიალოგის განვითარება ძალზე მნიშვნელოვანია.

– როდესაც აფხაზებსა და ოსებს რაღაც ეჭვები უჩნდებათ, შესაძლებელია თუ არა ჟენევის ფორმატის გამოყენება საიმისოდ, რომ ბევრ ისეთ თემაზე გაიხსნას დიალოგი, რაც აქამდე ვერ ხერხდებოდა?

– ჩვენთვისაც ბევრად სასარგებლოა, რომ ჟენევის ფორმატი უფრო სასარგებლო გახდეს, მაგრამ აფხაზებისა და ოსებისათვის ჟენევაში დელეგაციების სტატუსის მინიჭება, რასაც ისინი ითხოვენ, შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ეს იყოს მოლაპარაკებაში მონაწილე მხარის სტატუსი და არა სახელმწიფოებრივი სტატუსი. თუ რაღაც ისეთი ფორმულირება მოიძებნება, რომ მსგავსი შეთანხმება მოხდეს, ეს უკვე დიდი წინსვლა იქნება და სულ სხვა დატვირთვას შესძენს ჟენევის მოლაპარაკებებს. თუმცა ეს თემა ძალზე საფრთხილოა, იმიტომ, რომ შესაძლოა, ამას შემდეგ სხვა მოთხოვნები მოაყოლონ. მათი მხრიდან დროის გაწელვის პოლიტიკაც არის. როდესაც ჩვენი მხრიდან გამართლებულ და დასაბუთებულ ნაბიჯებს ვდგამთ, ეს მათი მხრიდან სერიოზულად აღიქმება. ჩვენ თვითონვე უნდა შევქმნათ ისეთი სურათი, რომ იზოლა-

ციაში კი არ ვაქცევთ, არამედ გვსურს, რომ ისინი ჩავრთოთ მოლაპარაკებებში.

წინა ხელისუფლების პოლიტიკა სწორედ ასეთი იყო, ჩვენ არ გვაქვს საქმე აფხაზებთან და ოსებთან, საქმე გვაქვს მხოლოდ რუსეთთან, მოახდინოს რუსეთმა დეოკუპაცია და მერე დაველაპარაკებით აფხაზებსა და ოსებს. ასეთი პოლიტიკა აბსოლუტურად ჩიხში აგდებდა სიტუაციას. ახლა სხვანაირად უნდა მოხდეს, ისინი უნდა ჩავრთოთ მოლაპარაკებებში არა სახელმწიფოებრივი სტატუსით, არამედ კონფლიქტის მხარეებად. ასეთ შემთხვევაში მგონია, რომ რაღაც პროცესები დაიძვრება.


NEWS
ახალი ამბები - Mcvane.Ge
2013
A+ A−

იგი მიიჩნევს, რომ მაქსიმალურად უნდა გააქტიურდეს ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები, უნდა დაიწყოს დიალოგი. ექსპერტის აზრით, საქართველომ რომ ხელი ჩაიქნიოს და მოლაპარაკებები არ აწარმოოს, ის პერსპექტივაც დაიკარგება, რაც დღეს არსებობს.

„ჩემი აბსოლუტურად გააზრებული პოზიციაა, რომ უნდა გაგრძელდეს ქართულ-ოსური დიალოგი და, საბოლოოდ, ეს დიალოგი პოზიტიურად იმოქმედებს ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე. ჩვენ ახლა უნდა გავიაროთ ყველაზე მტკივნეული ფაზა. კერძოდ, დაძლეული უნდა იქნეს იმ ძალების პოზიცია, რომლებსაც კონფლიქტური ვითარება აწყობთ, რათა საღმა აზრმა გაიმარჯვოს და საერთო პერსპექტივებზე და საერთო ინტერესებზე დაყრდნობით რაიმე სახის აქტივობები დაიწყოს“, – ამბობს კონფლიქტოლოგი.

მისი თქმით, საერთო ინტერესები აუცილებლად იარსებებს და აღნიშნავს, რომ სამართლებრივ ჭრილში რაიმე სახის ქმედებები უფრო შორეული პერსპექტივაა, მაგრამ მანამდე უნდა გააქტიურდეს ვაჭრობა, ადამიანური ურთიერთობები, უნდა შემსუბუქდეს ადინისტრაციული საზღვრის რეჟიმი და ამაში რუსეთი ხელს არ უნდა გვიშლიდეს. მისი თქმით, რუსეთშიც არიან ძალები, რომლებიც რუსეთსა და საქართველოს შორის დაწყებულ დიალოგს ხელს უშლიან და, როგორც ჩანს, მათი ძალისხმევის შედეგია, რომ ადმინისტრაციულ საზღვარზე მავთულხლართების გავლება ხდება.



საბჭოეთისდროინდელი საზღვრების აღდგენა თუ სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება

რეზონანსი, 2013 წ. 31 მაისი, გვ. 1-2, 141 (7431).
ჟურნალისტი თაკო მათეშვილი[1]

„საზღვარი იმიტომ გადმოსწიეს, რომ საბრძოლო მოქმედების შემთხვევაში უპირატესობა ჰქონდეთ“.

რუსები საბჭოთა პერიოდის რუკის მიხედვით სამხრეთ ოსეთის იმ საზღვრებში მოქცევას ცდილობენ, რომელიც რეგიონს მაშინ ჰქონდა – ასე ფასდება რუსეთის ქმედება სოფელ დიცთან საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით. თუმცა პოლიტოლოგები, რომელთაც „რეზონანსი“ ესაუბრა, სხვა ვერსიასაც განიხილავენ: „მათ უნდათ დააფიქსირონ, რომ თუ საქართველო თავის საგარეო პოლიტიკას არ შეცვლის, მაშინ ე.წ. „გეოპოლიტიკური რეალობა“, რაც არსებობს, არ შეიცვლება“.

რისი მიღწევა უნდა რუსეთს საზღვრის გადმოწევით? რას ემსახურება მისი ეს ქმედება? რა უნდა გააკეთოს ხელისუფლე-

[1] ეს სტატია შემცირებული სახით ქართული პრესის მიმოხილვაში გამოქვეყნდა ინტერპრესნიუსის მიერ 31.05.2013. http://www.interpressnews.ge. ნ.ც.

ბამ? რამდენად ეფექტური აღმოჩნდა ახალი ხელისუფლების მიერ შემუშავებული ახალი ტაქტიკა და პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში? ეს კითხვები ბოლო დღეების განმავლობაში საზოგადოებასა თუ პოლიტიკურ წრეებში აქტიურად ისმის, თუმცა პასუხი, როგორც ჩანს, ხელისუფლებაშიც არ აქვთ, რადგან ბიძინა ივანიშვილმა გულწრფელად აღიარა, რომ რუსეთისაგან ასეთ ქმედებას არ ელოდა.

კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი მიიჩნევს, რომ რუსები, უბრალოდ, ტერიტორიას კი არ აფართოებენ, კონკრეტულ საზღვრებს ასწორებენ, რომელიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს საბჭოთა პერიოდში ჰქონდა. ამბობს, რომ პროცესი ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით მიმდინარეობს და რომ ამით იქაური მაცხოვრებლები, შესაძლოა, მეტად დაზარალდნენ.

„აქ საზღვრის გაფართოებაზე კი არაა საუბარი, არამედ იმაზე, რომ საბჭოთა პერიოდში, როცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი არსებობდა, ეს სოფლები – დიცი და დვანი იმ რაიონში შედიოდა, რომელიც ახლა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეა. ახლა ამ საზღვარს ასწორებენ.

ყველაფერი ადგილობრივ მაცხოვრებლებთან შეუთანხმებლად, ადამიანის უფლებების დარღვევით კეთდება. ეს ხომ უბრალოდ რუკაზე ხაზის გავლება არაა. აქ საქმე კონკრეტულ სოფელს, კონკრეტულ ეზოსა და ოჯახს ეხება.

გამოდის, რომ საზღვარმა, შეიძლება, შუა ეზოში გაიაროს და სახლები შუაზე გაყოს. ან, მაგალითად, თუ ადამიანს თავისი ოჯახის წევრები ეზოში ჰყავს დასაფლავებული, ახლა საზღვრის გამო იქ მისვლის უფლება არ ექნება. იმას რომ თავი დავანებოთ, ასე ცალმხრივად საზღვრების გავლება უკანონოა, ადამიანური ფაქტორის უხეშად უგულებელყოფა ხდება. ეს საკითხი ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით საერთაშორისო დონეზე უნდა დაისვას“, – აცხადებს ხუციშვილი.

მისი აზრით, რუსეთის მხრიდან ასეთი საქციელი ორ ქვეყანას შორის დაწყებულ დიალოგს საფრთხეს უქმნის და თუკი

მსგავსი ნაბიჯები გაგრძელდება, ცხადი იქნება, რომ კრემლში დიალოგი არ სურთ.

„ასეთი მიდგომა წარმოუდგენელია მაშინ, როცა დღეს საქართველო–რუსეთის დიალოგია დაწყებული, სერიოზული პროცესები მიდის, ახალი ხელისუფლება გარკვეული ინიციატივით გამოდის და ა.შ., როცა საქართველოს მთავრობა ცდილობს, ამ პროცესს კონსტრუქციული მიმართულება მისცეს, მათი მხრიდან აბსოლუტურად არაკონსტრუქციული, ძალისმიერი ქმედება ხდება.

თუ რუსეთი ყველაფრის იგნორირებით ასეთ ქმედებას აგრძელებს, გვეცოდინება, რომ დიალოგი არ უნდათ. მათ ეს ყველაფერი უნდა გამოასწორონ, რათა საქართველო-რუსეთს შორის დაწყებული დიალოგი არ ჩაიშალოს“, – აღნიშნავს კონფლიქტოლოგი.

„რეზონანსთან“ საუბარში ის ამბობს, რომ საქართველოს შექმნილი ვითარების შეცვლა და საპასუხო ნაბიჯების გადადგმა არ შეუძლია. თუმცა, მისი აზრით, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი ხელისუფლების პოლიტიკა რუსეთის მიმართ წარუმატებელი აღმოჩნდა და რომ ტონის შერბილებამ შედეგი ვერ გამოღო.

„საქართველო, რა თქმა უნდა, დაზარალებულია, მაგრამ ბერკეტი არ გვაქვს, რომ სიტუაცია შევცვალოთ. ასე რომ, ახალ ხელისუფლებას ტყუილად ადანაშაულებენ. დასკვნა, რომ ივანიშვილის პოლიტიკა რუსეთთან არ ამართლებს, ჯერ არ შეიძლება. ეს ძალიან ცუდი და არასასიამოვნო, მაგრამ მაინც ცალკეული შემთხვევაა და ინციდენტია“, – აცხადებს გოგი ხუციშვილი.



გიორგი ხუციშვილი – პრემიერ-მინისტრის არც ერთ განცხადებასა და მოსაზრებას ქვეყნის საგარეო პოლიტიკისთვის ზიანი არ მიუყენებია

„ინტერპრესნიუსი“, 2013 წ. 31 მაისი, ჟურნალისტი კობა ბენდელიანი

„სოციოლოგიური კვლევის ანალიზის ინსტიტუტის“ კვლევის შედეგებზე, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევის ცენტრის ხელმძღვანელს, გიორგი ხუციშვილს ესაუბრა.

– ბატონო გიორგი, „სოციოლოგიური კვლევის ანალიზის ინსტიტუტის“ კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 76,6% მზად არის, მონაწილეობა მიიღოს როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნებში. 23, 4% არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს. გამოკითხულთაგან 63%მხარს უჭერს „ქართულ ოცნებას“ და მის კანდიდატს, 10% – „ნაცმოძრაობას“, 4,3% – „ლეობორისტებს“, 2,0% – „ქრისტიან-დემოკრატებს“, 0,9% – „თავისუფალ საქართველოს“, 0,4-04% მხარს უჭერს „ახალ მემარჯვენეებსა“ და

ბურჯანაძის „დემოკრატიულ-მოძრაობა – ერთიან საქარ თველოს“. როგორ შეაფასებდით სოციოლოგიური კვლევის შედეგებს?

– კვლევის შედეგები ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ მხარდაჭერებს შორის თანაფარდობას 6/1-ზე ვვარაუდობდი. ჩემთვის არც სხვა პარტიებისათვის დაბალი მხარდაჭერა ყოფილა მოულოდნელი. შესაძლოა, გარკვეული გადახრა იყოს პარლამენტსგარეთ დარჩენილ პარტიებთან მიმართებაში, მაგრამ, მთლიანობაში, ეს სურათს დიდად არ ცვლის. მთავარია, თუ როგორია ორ ძირითად პოლიტიკურ ძალას შორის თანაფარდობა. არანაკლებ მნიშვნელოვანია, აქვს თუ არა რომელიმე მესამე ძალას რეალური მხარდაჭერა. ვინაიდან ამ გამოკითხვით რომელიმე მესამე ძალისთვის სერიოზული მხარდაჭერა არ იკვეთება, როგორც ჩანს, შემდგომ არჩევნებზე ბრძოლა სწორედ ამ პარტიებს შორის გაიმართება. მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მოსალოდნელია, კოალიციის შიგნით ძალების გადახალისება. „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ ჩვენს რეალობაში არსებულ ყველა პოლიტიკურ გემოვნებას არ აკმაყოფილებს. იმის გათვალისწინებით, რომ თავად კოალიციაში არსებობს გარკვეულ საკითხებში აზრთა განსხვავება, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ამ განსხვავებულობის უფრო მკვეთრად დაფიქსირების აუცილებლობა გაჩნდება. ამის შედეგად ჩვენ უფრო პლურალისტურ პარლამენტს მივიღებთ.

– რაზე მიანიშნებს ის, რომ გამოკითხულთა 7% არჩევნებში მონაწილეობისგან თავს იკავებს, 6%-ს უჭირს არჩევანის გაკეთება, 5% მხარს არც ერთს არ უჭერს. მათი ჯამი არც ისე პატარაა და 18%-ს შეადგენს...

– სოციოლოგიური თვალსაზრისით ეს მაჩვენებელი იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვენთან საკმაოდ კარგადაა ჩამოყალიბებული ამა თუ იმ პოლიტიკური ძალების მხარდამჭერთა და არამხარდამჭერთა ჯგუფების არსებობა. ამომრჩეველს საკმაოდ კარგად აქვს ჩამოყალიბებული თავისი დამოკიდებულება ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ. მიუხედავად ამისა, მაინც საკმა-

ოდ დაბალი პროცენტია იმათი, ვისაც უჭირს პასუხის გაცემა და იმათი, ვინც არავის უჭერს მხარს.

– გამოკითხვების ასეთი შედეგების ფონზე რამდენად საფუძვლიანად გამოიყურება გახშირებული მოწოდებები იმის თაობაზე, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება აუცილებელია?

– ჩემი აზრით, არც ახლა და არც უახლოეს მომავალში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას აზრი არა აქვს. ამას იმის გამო არ აქვს აზრი, რომ ჩვენ ვერანაირად ვერ მივიღებთ უკეთეს შედეგსა და უკეთეს პარლამენტს. არჩევნების ჩატარების შემთხვევაში ფიასკო გარანტირებული აქვთ პარლამენტსგარეთ დარჩენილ პარტიებს, რომლებსაც ახლა პარლამენტში მოხვედრის დიდი იმედი აქვთ. რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შემთხვევაში გაცილებით ნაკლებ ხმებს მიიღებს „ნაცმოძრაობა“, მაგრამ პარლამენტში ძალთა თანაფარდობა „ქართული ოცნების“ საზიანოდ არ შეიცვლება. რიგგარეშე არჩევნები სულაც არ გახლავთ იმისი გარანტია, რომ ის პარტიები, რომლებიც ახლა პარლამენტსგარეთ არიან დარჩენილი, პარლამენტში აუცილებლად მოხვდებიან. ამიტომაც ვფიქრობ, რომ მათი მოლოდინი აშკარად გადაჭარბებულია და ამაზე ეს გამოკითხვაც მიანიშნებს.

– ბატონო გიორგი, სოფელ დიცში რუსი სამხედროების გააქტიურებამ ჩვენს პოლიტიკურ რეალობაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. უკავშირდება თუ არა სოფელ დიცში რუსი სამხედროების გააქტიურება საქართველოს საგარეო პოლიტიკით კრემლის უკმაყოფილებას, ჯერ კვლავ გაურკვეველი რჩება. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის განცხადებით, რუსი მესაზღვრეები რუსეთის ხელისუფლების დავალებით მოქმედებენ. თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე და რამდენად ადეკვატური იყო საქართველოს ხელისუფლების რეაქცია?

– სოფელ დიცში მომხდარმა ქართულ საზოგადოებაში გამაოგნებელი რეაქცია გამოიწვია. ხალხის უმეტესობა ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იმას მაინც ელოდებოდა, რომ საქართველო-რუსეთს შორის დაწყებული დიალოგი უფრო

ხელშესახები იქნებოდა იმის მიუხედავად, რომ ყველას ესმის, რომ არსებობს წითელი ხაზები და საკმაოდ შეზღუდულია იმ საკითხების წრე, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს დიალოგი. მიუხედავად ამისა, ადამიანების უმრავლესობას ჰქონდა იმისი მოლოდინი, რომ დაწყებული რუსულ-ქართული დიალოგი გაიშლება და მოსკოვსა და თბილისს შორის დაახლოების, ურთიერთგაგების უფრო მძლავრი პროცესი დაიწყება, რომელიც შემდეგ გარკვეულწილად იმოქმედებს იმ საკითხების გადაწყვეტაზე, რომელიც ქართულ მხარეს ყველაზე მეტად აწუხებს, მხედველობაში მაქვს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ საკითხები.

– პრემიერ-მინისტრმა ივანიშვილმა ტელეკომპანია „კავკასიაში“ განაცხადა, რომ „მომხდარი გაუგებრობა ჰგონია“.

– კარასინის განცხადებიდან ირკვევა, რომ დიცში მომხდარი საზღვრის გადმოწევა გაუგებრობა სულაც არ არის. ეს გახლავთ გეგმური პროცესი, რომელიც დღეს არ დაწყებულა. აგვისტოს ომის შემდგომ იყო საუბარი იმის შესახებ, რომ რუსულ მხარეს სურს ადმინისტრაციული საზღვარი დაამსგავსოს სახელმწიფოთაშორის ნამდვილ საზღვარს. მაგრამ პრობლემაც ამაშია და მეც მაქვს კითხვა – რაში დასჭირდა რუსეთს პროცესის ამ მიმართულებით განვითარება და თანაც უხეში ფორმით ახლა, როცა დაწყებულია რუსულ-ქართული დიალოგი. მომხდარი შოკისმომგვრელ ეფექტს ახდენს იმ ხალხზე, ვინც თვლის, რომ უნდა დაუჭიროს მხარი ახალი ხელისუფლების პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში, რასაც, შესაძლოა, ხელშესახები შედეგი მოჰყვეს.

– რამდენადაც ვხვდები, თქვენც იზიარებთ რეინტეგრაციის მინისტრის, პაატა ზაქარეიშვილის აზრს იმის თაობაზე, რომ სოფელ დიცში საზღვრის გადმოწევით რუსეთს ქართული მხარის სასაზღვრო საკითხებში მოლაპარაკებების დაწყებაში ჩათრევა და ქართული მხარის მიერ უკვე გარკვეული აზრით არსებული საზღვრების აღიარება სურს. სწორად გავიგე?

– დიახ, სწორედაც რომ ასეა. რუსეთის ისტებლიშმენტის აზროვნება ასეთია – კი ბატონო, საქართველოსთან ურთიერ-

თობას მოვაწერიგებთ, მაგრამ იცოდეთ, რომ ამასთან ერთად ქართულმა მხარემ უნდა გააცნობიეროს და გაითავისოს ის, რომ 2008 წლის აგვისტოში შეუქცევადი პროცესი მოხდა. ჩვენ კი გვინდა, რომ კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით სტატუს-კვოს სიტუაცია შეიცვალოს. ამ შემთხვევაში ვსაუბრობ ქართულ-ოსურ საზოგადოებებს შორის ურთიერთობის შედეგად ვითარების შეცვლაზე. ანუ მომხდარი, უპირველესად, იმაზე მიუთითებს, რომ მხარეებს სხვადასხვა პროექტები აქვთ. რუსული და ქართული პროექტები ერთმანეთს არ ემთხვევა.

– საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, ნიკოლოზ ვაშაკიძემ პრემიერ-მინისტრს საგარეო პოლიტიკაზე საუბრისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა. მისივე აზრით, პრემიერის არაკომპეტენტურმა განცხადებებმა უკვე ავნო ქვეყნის საგარეო პოლიტიკას. თქვენც ფიქრობთ, რომ ივანიშვილის განცხადებებმა საგარეო პოლიტიკას კონკრეტული ზიანი უკვე მიაყენა?

– გითხრათ სიმართლე, მე არ ვიცი, თუ რას გულისხმობდა ბატონი ვაშაკიძე. კარგი იქნებოდა, თავად გაეცა პასუხი კითხვაზე, ივანიშვილის რომელმა განცხადებამ ავნო საქართველოს საგარეო პოლიტიკას. ჩემი აზრით, პრემიერ- მინისტრის არც ერთ განცხადებასა და გამოთქმულ აზრს ქვეყნის საგარეო პოლიტიკისათვის ზიანი არ მიუყენებია. უბრალოდ, პრემიერ-მინისტრს აზრის გამოხატვის თავისუფალი სტილი აქვს და ყოველთვის დიპლომატიური და ყოველთვის ყველა ნიუანსში გათვლილი არაა. მაგრამ საგარეო პოლიტიკაზე მის მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებები ძირითადად სწორია და ამას აქვს მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ მუშაობენ უწყებები. თუ როგორ მუშაობს ევროინტეგრაციისა და საგარეო საქმეთა სამინისტრო. რა კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგა ახალი ხელისუფლების გაცხადებული საგარეო პოლიტიკური კურსის განსახორციელებლად. სხვათა შორის, ამ უწყებებმა დიცის ინციდენტთან დაკავშირებითაც დიპლომატიური არხებით ყველაფერი გააკეთეს, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო. შესაძლოა, მათი მოქმედება უფრო ეფექტური

შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ჩვენ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ყველაფრის გაკეთება მოკლე დროში შეუძლებელია.

– პრემიერმა ბრძანა, რომ სოფელ დიცის მონაკვეთზე პოლიციელთა რიცხვი გაიზრდება, ქართული მხარე საერთაშორისო მონიტორების გაზრდას შეეცდება. ეს ზომები რამდენად შეუწყობს ხელს, რომ ვითარება კონტროლს დაექვემდებაროს?

– კარგია, რომ დიცის მონაკვეთზე პოლიციელთა რაოდენობა გაიზრდება, მაგრამ ქართული მხარე უნდა ეცადოს, პოლიციელთა რიცხვის გაზრდა არ გახდეს მეორე მხარისთვის დაძაბულობის ესკალაციის საბაბი. რაც შეეხება მონიტორების რაოდენობის გაზრდას, ეს ჩვენზე არაა დამოკიდებული. მონიტორებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ როგორ იმოქმედებენ და როგორ გადანაწილდებიან ადმინისტრაციულ საზღვარზე მონიტორინგის საწარმოებლად. არ გამოვრიცხავ, ევროკავშირმა დამკვირებელთა მისია გააფართოვოს. მაგრამ ამისი გაკეთება მხოლოდ მათზეა დამოკიდებული.

– უმცირესობის წარმომადგენელთა მცდელობის მიუხედავად, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეამ არ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ევროპარლამენტარებს ვანო მერაბიშვილის დაკავება „ნაცმოძრაობის“ ლიდერთა დევნად უნდა შეეფასებინათ. ამის თაობაზე იმავე ევროსაბჭოს პრეზიდენტმა მინიონმა კრიტიკული შენიშვნები თბილისში ვიზიტისას კი გამოხატა, მაგრამ როგორც „ნაციონალები“ ვარაუდობდნენ, მათივე გენმდივნის დაკავებას საზღვარგარეთ მაინცადამაინც დიდი აჟიოტაჟი არ მოჰყოლია, თუ არ ჩავთვლით ამ საკითხზე ვაშინგტონის თავშეკავებულ კომენტარს და „ნაციონალების“ ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების ტრადიციულ „შეშფოთებებს“.

– დასავლეთის რეაქცია იმაზე, რაც ჩვენთან ხდება, ახლა აშკარად განსხვავდება იმისაგან, რაც ახალი ხელისუფლების მოსვლის პირველივე თვეებში იყო. საკვირველი ის არის, რომ ბაჩო ახალაიაზე მეტი აჟიოტაჟი იყო დასავლეთში ატეხილი, ვიდრე ახლა ვანო მერაბიშვილის დაკავებაზეა. პოლიტიკაში ყველაფერს თავისი დროის ფარგლები აქვს. საქართველოში

ხელისუფლების ცვლილებასთან დაკავშირებით ჩვენ მიმართ დასავლეთის ყურადღება მეტი იყო და ამიტომაც ახალაიას დაკავებაზე რეაქციაც მყისიერი, მაგრამ, ჩემი აზრით, მაინც არაადეკვატური გახლდათ. ახლა დასავლეთს მერაბიშვილის დაკავებაზე ისეთი სერიოზული რეაქცია იმიტომაც არ ჰქონდა, რომ დასავლეთში ივანიშვილის მთავრობისადმი დამოკიდებულება კარდინალურად შეცვლილია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთს მხოლოდ სააკაშვილის დაპატიმრებაზე თუ ექნება რეაქცია, ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ვინც არ უნდა დააკავოს ახალმა ხელისუფლებამ, დასავლეთს არ გაუკვირდება. ამისი მიზეზი გახლავთ ის, რომ საქართველოში ვითარება მეტ-ნაკლებად ჩაწყნარდა, დასავლეთი ახალი მთავრობის საქმიანობაში საფრთხეების მოლოდინსა და გართულების შესაძლებლობას ნაკლებად ხედავს.

– ნინო ბურჯანაძემ საპრეზიდენტო კანდიდატად მისივე დასახელების შესახებ საზოგადოებას თავად ამცნო. ცნობილია, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მეორე ქალბატონი, სალომე ზურაბიშვილიც მიიღებს. ამ ქალბატონებს შორის კონკურენცია უბრალო ქალური ქიშპი არ გახლავთ, ვინაიდან ბურჯანაძეს პრორუსი პოლიტიკოსის იმიჯი აქვს, ხოლო სალომე ზურაბიშვილს – მკაფიოდ გამოხატული პროდასავლურის. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების რა შანსები აქვთ ბურჯანაძესა და ზურაბიშვილს? და კიდევ, სავარაუდოდ, როგორ აისახება მათ შორის კონკურენცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის შედეგებზე?

– უპირველესად ბურჯანაძის პრორუსულობაზე უნდა ვთქვა. ჩვენთან პრორუსულობა იარლიყივითაა და იმას ნიშნავს, რომ ესა თუ ის ძალა ქართულ პოლიტიკაში მოსკოვის პოლიტიკის გამტარებელია. ასეთი ადამიანი პოლიტიკას ახლოს არ უნდა გააკარო, მაგრამ ბურჯანაძის შემთხვევაში მე არ მჯერა, რომ იგი რუსეთის აგენტი ან რუსული პროექტის განმახორციელებელია. უბრალოდ, იგი გახლავთ პოლიტიკოსი, რომელიც თვლის, რომ რუსეთთან დაახლოების გზით, შესაძლებელია, ჩვენ მივაღწიოთ იმ შედეგებს, რომელსაც სხვა გზით ვერ მი-

ვაღწევთ. მაგალითად, ისეთ საკითხში, როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ პოზიციას მრავლად ჰყავს კრიტიკოსი და მოწინააღმდეგე. ისინი თვლიან, რომ რუსეთთან ურთიერთობების დალაგება ბევრჯერ ვცადეთ, მაგრამ ამით არაფერი არ გამოდის და მოსკოვთან ურთიერთობების დალაგების მცდელობით საქართველო რეალურ დამოუკიდებლობას დაკარგავს და ტერიტორიული მთლიანობის საკითხს მაინც ვერ გადავწყვეტთ. ბურჯანაძეს ამ საკითხში თავისი მიდგომა აქვს და მიაჩნია, რომ ამ გზით შესაძლებელია ჩვენი პრობლემის გადაწყვეტა. პირადად მე სკეპტიკურად ვუყურებ იმას, რომ ამ გზით შესაძლებელი იყოს ჩვენი ტერიტორიული პრობლემების მოგვარება. მიუხედავად ამისა, მე ნინო ბურჯანაძეს მოსკოვის აგენტს არავითარ შემთხვევაში არ დავარქმევდი. გარკვეული სერიოზული შანსები ორივეს აქვს. იმის გამო, რომ ბურჯანაძე საქართველოში მეტად არის და მისი პარტია გააქტიურებულია, მისი მოქმედების არეალი მეტია, ვიდრე სალომე ზურაბიშვილს აქვს. გარდა ამისა, ქალბატონ ზურაბიშვილს თავისი პარტია კი ჰყავს, მაგრამ იგი მის ძლიერ მხარდამჭერ ჯგუფად ვერ განიხილება. მიუხედავად ამისა, მე მაინც მიმაჩნია, რომ დღევანდელ სიტუაციაში ივანიშვილის მიერ წარდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატი უპირობო უპირატესობით სარგებლობს ნებისმიერ სხვა კანდიდატთან შედარებით. სწორედ ამის გამო მარგველაშვილს, სხვა სავარაუდო კანდიდატებთან შედარებით, ძალიან დიდი ფორა აქვს და გაცილებით უკეთეს სასტარტო მდგომარეობაში იმყოფება.



ჩვენი თანამემამულეების სახლ-კარში რაღაც ხდება და ამას რეაგირება სჭირდება

„კვირის პალიტრა“, 2013 წ. 9 ივნისი, #23 (983), გვ. 2, 3, ფოტოთი

თბილისიდან ძალიან ადვილია მსჯელობა და წერა, რა რეაქცია უნდა გვქონდეს რუსეთის მიერ დიცთან დამატებითი ტერიტორიის მიტაცებასა და ე.წ. „საზღვრის“ 300 მეტრით გადმოწევაზე. წუთით წარმოვიდგინოთ, რომ საკუთარ ეზოში მავთულხლართებს გივლებენ, შენს სახლ-კარშივე გაპატიმრებენ და გეუბნებიან – სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვარი დაარღვიეო; შემდეგ მიჰყავხარ ცხინვალში, სადაც ფულს გძალავენ, მერე „იღებენ მოწყალებას“ და გიშვებენ. სახელმწიფოს სიძლიერე სწორედ ის არის, რომ მან ერთი მოქალაქე ისევე უნდა დაიცვას, როგორც ათი ათასს დაიცავდა. მეორე მხრივ, ხელისუფლება სწორედ იმიტომაცაა ხელისუფლება, რომ ემოციებს არ აჰყვეს, რაციონალური, ზოგჯერ არაპოპულარული გადაწყვეტილება მიიღოს და ქვეყანა მორიგ შარში არ გახვიოს. კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი ამ მოსაზრებას ეთანხმე-

ბა და მიიჩნევს, რომ სიჩქარემ და არაადეკვატურმა რეაქციამ, შესაძლოა, სახელმწიფოს სერიოზული პრობლემები შეუქმნას.

– საბოლოო პასუხი იმის შესახებ, კონკრეტულად რა მიზანს ისახავს ან ვინ დგას დიცთან ოკუპაციის არეალის გაფართოების უკან, არ გვაქვს. შესაძლოა, ეს ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების ინიციატივა იყო.

– თუმცა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილის, გრიგორი კარასინის კომენტარი სულაც არ მიუთითებს, რომ მოსკოვი არაფერ შუაშია და დიცის ინციდენტის უკან მხოლოდ ცხინვალელი მარიონეტები დგანან.

– კარასინი სხვა კომენტარს ვერც გააკეთებდა. სხვა განცხადება რომ გაეკეთებინა, გამოდის, რომ მოსკოვი მხარს არ უჭერს ცხინვალის რეჟიმს, რომელიც გააფთრებით ცდილობს, რაც შეიძლება მეტი წინააღმდეგობა შექმნას გამყოფ ზოლთან დაკავშირებით, ადამიანების მიმოსვლის კუთხით და ა.შ. ცხინვალის ინტერესებში არც ქართულ-რუსული ურთიერთობების ნორმალიზება შედის.

– ანუ შეგვიძლია ორ ვერსიაზე ვისაუბროთ: პირველი – ეს მოსკოვმა შეგნებულად გააკეთა და მიგვანიშნა, რომ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში გარკვეული პოზიტივის მიუხედავად ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით დათმობას არ უნდა ველოდოთ, მეორე – ამის უკან მარიონეტები (და სხვა ძალები) დგანან და მათი მიზანი თბილისი-მოსკოვის დიალოგის ჩაშლაა.

– რა თქმა უნდა. თუ დიცის ინციდენტის უკან ცხინვალი დგას, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში იძულებულია, ეს „გააპრავოს“ და იქაურ რეჟიმს მხარი დაუჭიროს.

– ხომ შეიძლებოდა, მოსკოვს ცხინვალისთვის ებრძანებინა – 300 მეტრის გამო თბილისთან დათბობისკენ წასულ ურთიერთობებს დარტყმას ნუ მიაყენებთო?

– მოსკოვი რომ ასე მოქცეულიყო, სოხუმსა და ცხინვალში არასტაბილური გარემო შეიქმნებოდა. იქ გაჩნდებოდა ეჭვი, რომ რუსეთი აფხაზეთთან და ე.წ. „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით თბილისთან რაღაც დათმობაზე მიდის.

– მოსკოვს სოხუმსა და ცხინვალთან ურთიერთობა ქართულ-რუსული ურთიერთობის გამოსწორებაზე უფრო ძვირად უღირს?

– ეს არის მთავარი კითხვა, რომელიც ამ დღეებში ყველა მხრიდან მესმოდა. ჩემი პოზიცია ასეთია – დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

თუ მოსკოვი დიცთან დაკავშირებული საკითხის მიმართ ჯანსაღ მიდგომას გამოიჩენს, მივხვდებით, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობები მისთვის პრიორიტეტია. ხოლო თუ გაგრძელდება მავთულხლართების გავლება, დადასტურდება თქვენ მიერ დასახელებული ერთ-ერთი ვერსია – რუსეთისთვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების არსებობა უფრო ღირებულია, ვიდრე საქართველოსთან ურთიერთობის დალაგება.

ასეთ შემთხვევაში შესაბამისი დასკვნების გაკეთება მოგვიწევს.

– თქვენ რომელი ვერსიისკენ იხრებით?

– მაქვს ურთიერთობა კომპეტენტურ რუს ექსპერტებთან, რომლებიც უმაღლეს პოლიტიკურ წრეებთან არიან დაახლოებულნი. ისინი მიიჩნევდნენ და მეც მქონდა ინფორმაცია, რომ სულაც არ არის ისე საქმე, თითქოს რუსეთი მხოლოდ ღვინოსა და კულტურულ ურთიერთობებზე დაგველაპარაკება. მოსკოვში სერიოზულად მუშაობენ იმაზე, რომ საქართველო არ იყოს კავკასიაში რუსეთისთვის მართული ქვეყანა და თბილისთან შეიძლებოდეს სხვადასხვა საკითხზე თანამშრომლობა, მათ შორის, უსაფრთხოებაზეც. ამის გამო ცოტა ძნელად წარმომიდგენია, რომ ეს ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა ან მოსკოვმა ერთ დღეში შეცვალა პოლიტიკა და ე.წ. „საზღვრის გადმოწევით“ მიგვანიშნა, რომ საქართველო არ აინტერესებს.

– არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსულ პოლიტიკაში დეზინფორმაციის გავრცელება აპრობირებული მეთოდია. თუ მოსკოვს მართლაც აქვს ზემოხსენებული გეგმა, თუნდაც სიმბოლურად გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას. მაგალითად, შეწყვიტოს მავთულხლართების გავლება, ქართველების ლამის საკუთარ ეზოებში დაკავება.

– არ გამოვრიცხავ, რუსეთმა ეს გააკეთოს. თუმცა არც მოვლენათა სხვანაირი განვითარება უნდა გამოვრიცხოთ. მაგალითად, ის, რომ მოსკოვში იმსჯელეს და გადაწყვიტეს – საქართველო ვეღარასოდეს იქცევა რუსეთის გავლენის სფეროდ, ის არის დასავლეთის ფორპოსტი კავკასიაში და თბილისთან ურთიერთობას აზრი არ აქვს. მაგრამ მოსკოვიდან საწინააღმდეგო ინფორმაცია მომდიოდა, იქ იციან, რომ საქართველოს დასავლური ორიენტაცია უკვე მოცემულობაა, მაგრამ ამავე დროს თბილისთან ურთიერთობების მოწესრიგების საჭიროებასაც ხედავენ.

– ბიძინა ივანიშვილს არაერთხელ უთქვამს, რომ შესაძლებელია რუსეთთან ურთიერთობების დალაგებაც და ევროატლანტიკური კურსის გაგრძელებაც. თუმცა ბევრ ექსპერტს ამ ორი ცნების თავსებადობაში ეჭვი ეპარება.

– მჯერა, ივანიშვილი ორმაგ თამაშს არ თამაშობს. ზოგიერთისგან გამიგია – პრემიერი პროდავლურ კურსზეც კი ლაპარაკობს, მაგრამ შეგნებულად მიჰყავს საქმე იქითკენ, რომ ქვეყანა უფრო მოწყვლადი და რუსეთზე დამოკიდებული გახადოსო.

ეს „ნაციონალების“ თეორიაა. სხვათა შორის, სწორედ „ნაციონალებისა“ და პირადად მიხეილ სააკაშვილის ძალისხმევით გაგვირთულდა დასავლეთთან ურთიერთობა. თუმცა ქვეყნის ორიენტაციის კუთხით არაფერი შეცვლილა. რამდენიმე დღის წინ ბრიუსელში ქართველი და რუსი ექსპერტები წავიყვანე და ევროკავშირის ფორმატში ვმსჯელობდით სამომავლო ურთიერთობებზე. ევროკავშირის წარმომადგენლებისგან მოვისმინე, რომ მათთვის საქართველოს, როგორც პროდასავლური ქვეყნის, სტატუსი არ შეცვლილა. ვიტყვი იმასაც, რომ რუსეთს რეალურად აქვს შეფასებული – საქართველო უახლოეს მომავალში ნატო-ს წევრი ვერ გახდება.

– ისე, ივანიშვილი ვარაუდობს, რომ 2014 წელს საქართველო MAP-ს მიიღებს.

– არა მგონია. 2014 წელს MAP-იც რომ მივიღოთ, ნატო-ს სრულ წევრობამდე დიდი გზა გვაქვს გასავლელი. ეს კარგად იცის რუსეთმა. მოსკოვმა ისიც კარგად იცის, რომ ალიანსი

საქართველოს თავის წევრად არ მიიღებს, თუ რუსეთმა ამაში თავისი ინტერესიც არ დაინახა. ვთქვათ, საერთაშორისო არენაზე მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ დასავლეთს სასწრაფოდ დასჭირდა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება, მიუხედავად იმისა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების თემა მოგვარებული არ არის. ეს ჩვენი უსაფრთხოების საკითხს მაშინვე ვერ მოაგვარებს, ვერც იმის ბერკეტს მოგვცემს, რომ რუსეთზე ზეწოლა მოვახდინოთ და აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით გადაწყვეტილება შევაცვლევინოთ. შესაბამისად, ძალზე რაციონალურად მეჩვენება პოლიტიკა, რომ რუსეთთან ურთიერთობისას ზოგიერთ თემას დროებით არ შევეხოთ და განვავითაროთ ურთიერთობა იმ სფეროებში, რომელშიც შესაძლებელია.

– და მშვიდად შევხვდეთ დამატებითი ტერიტორიების მიტაცებასა და ქართველების დაკავებას საკუთარ სახლებში?

– მშვიდად არ უნდა შევხვდეთ. თუ გაგრძელდა რუსეთის მხრიდან საქართველოს იგნორირებისა და მოქალაქეებისთვის პრობლემების შექმნის პოლიტიკა, ეს აბსოლუტურად ყველაფერზე გავლენას მოახდენს. საქართველოს მოსახლეობა, საზოგადოება უკვე ისეა განწყობილი, რომ ეჭვქვეშ აყენებს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის შესაძლებლობას. არადა, მოლოდინი იყო, რომ რუსეთი დიალოგის გასაფუჭებლად რაიმე ნაბიჯს არ გადადგამდა. პირიქით მოხდა და ამან საზოგადოების გაოგნება გამოიწვია.

– მომხდართან დაკავშირებით საქართველოს ახალი ხელისუფლების რეაქციაზე ბევრი კითხვა დაისვა და ეს ამბავი „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის ურთიერთბრალდებების საფუძველიც გახდა. მართლაც, ცოტა დაბნეულად ხომ არ გამოიყურებოდა ხელისუფლება?

– როგორც წესი, არსებობს შესაბამისი სამსახურები, რომლებიც ამუშავებენ ამა თუ იმ სცენარს და სახელმწიფო ნებისმიერ გამოწვევას უკვე მზად ხვდება. ეს კუთხე ახალ ხელისუფლებას ძალიან სუსტი აქვს. რაღაც რომ მოხდება, შემდეგ მსჯელობენ, რა რეაქცია ჰქონდეთ. ასე იყო წინა ხელისუფლების დროსაც – ზის ადამიანი თავის კაბინეტში და ჰგონია,

რომ თვითონ შეუძლია ყველაფრის გათვლა და არავის აზრი არ უნდა ჰკითხოს. დიცის ინციდენტის შემდეგ ბრალდებების კუთხით ძირითადი „დარტყმა“, სამწუხაროდ, პაატა ზაქარეიშვილმა მიიღო. კარგად ვიცნობ ზაქარეიშვილის პოზიციას და ვიტყვი, რომ ამ კაცს ნამდვილად აქვს სახელმწიფოებრივი აზროვნება და ხედვა. შესაძლოა, ვიღაცას ჰგონია, რომ ე.წ. „საზღვარზე“ აჟიოტაჟის ატეხით წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდები და ისე გამოვა, თითქოს ოკუპირებული ტერიტორიების რაღაც სტატუსს აღიარებ. მაგრამ ახალი ხელისუფლება ამას უნდა მიუდგეს ჰუმანური კუთხით – ჩვენი თანამემამულეების სახლ-კარში რაღაც ხდება და ამას რეაგირება სჭირდება.

– საქართველოში ყოფნისას „რუსი და ქართველი ხალხის ერთიანობის“ ფონდის პრეზიდენტმა, ვლადიმერ ხომერიკმა, განაცხადა – მე პუტინის ნდობით აღჭურვილი პირი ვარ და მისგან მაქვს ინფორმაცია, რომ რუსეთის პრეზიდენტს ივანიშვილთან შეხვედრა სურსო. რამდენად სერიოზულად უნდა აღვიქვათ ხომერიკის ეს განცხადება?

– ცოტა არასერიოზულია. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ხომერიკს ეს შეტყობინება მოსკოვიდან დააბარეს, რათა შეემოწმებინათ, რა რეაქცია ექნებოდა ქართველ საზოგადოებას. თუ პუტინს ივანიშვილთან შეხვედრა სურს, მზადყოფნა ამის შესახებ დიპლომატიური არხებით უნდა წამოვიდეს. შემდეგ ოფიციალური თბილისიც დაფიქრდება და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს.


გოგი ხუციშვილი: ..თურქეთი საქართველოს ნატო-ში შესვლას ხელს არ შეუწყობს"

2013

გოგი ხუციშვილი: „თურქეთი საქართველოს ნატო-ში შესვლას ხელს არ შეუწყობს“

„სარკე“, 2013 წ. 9-25 ივნისი, #25, გვ. 19, ჟურნალისტი მანანა გეგია, ფოტოთი

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა უკანასკნელად გააფრთხილა დემონსტრანტები, რომლებიც სტამბოლის ცენტრში არიან შეკრებილნი და მათ გეზის პარკის დატოვება მოსთხოვა, თუმცა – უშედეგოდ. რამდენიმე კვირაა, ქვეყანაში ანტისამთავრობო გამოსვლები მიმდინარეობს, რასაც, თურქული მედიასაშუალებების ცნობით, ოთხი ადამიანი ემსხვერპლა. არიან დაჭრილები და ასობით დაპატიმრებული.

პოლიტოლოგი გოგი ხუციშვილი თურქეთში სტამბოლის პროცესის მორიგ შეხვედრაზე იმყოფებოდა. ეს არის საქართველო-რუსეთის საექსპერტო დიალოგის პროცესი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ყოველწლიურად ტარდება. პოლიტოლოგი მეზობელი ქვეყნიდან საინტერესო ამბებით დაბრუნდა.

– მიუხედავად იმისა, რომ ერდოღანმა მოიბოდიშა და თითქოს ყველაფერი სტაბილიზაციისაკენ მიდიოდა, საპროტესტო

გამოსვლები ისევ გრძელდება. მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პროცენტი დაახლოებით შუაზე იყოფა. საინტერესოა, რომ ტაქსიმის მოედნის მახლობლადაც კი ქალაქი ცხოვრობს ჩვეულებრივი ცხოვრებით, უცხოელებზე არავითარი გაღიზიანება, აგრესია, ემოციები არ გადააქვთ. ეს მიანიშნებს მათ კულტურაზე. იციან, რომ ტურისტები უნდა იყვნენ და ეკონომიკა უნდა განვითარდეს. ხომ შეიძლებოდა, ეფექტისთვის უფრო გაემძაფრებინათ სიტუაცია, მაგრამ თურქი ხალხი ტერორისტული იდეების მატარებელი არ არის.

– პარკის თემა უკვე მეორეხარისხოვანი გახდა და ხელისუფლების შეცვლას ითხოვენ. რა არ მოსწონთ ერდოღანის?

– ახლა მიდის ერდოღანის პოლიტიკის შეფასება. ყველა აღნიშნავს, რომ ბოლო წლებში თურქეთმა დიდი ნაბიჯები გადადგა ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით. ამიტომ ეკონომიკური პრობლემა არ არის წამყვანი. უმუშევრობა არის, მაგრამ – არა მასობრივი და შემაწუხებელი. და მაშინ რა ხდება? რატომ არის ხალხი წინააღმდეგი ერდოღანის მმართველობის? ტაქსიმის მოედანზე გამოვიდა ხალხი, რომელსაც უნდა, ლიბერალური წყობა და ლიბერალური დემოკრატია იყოს, ხოლო ერდოღანს უნდა აღმოსავლური ტიპის მმართველობა მაღალი ეკონომიკური განვითარების პირობებში. გარდა ამისა, აქ კიდევ დიდ როლს თამაშობს ისლამის მომენტი. უნდა, რომ მკაცრი ნორმები შემოიღოს. ადგილობრივებისგან მესმოდა, მას ქვეყანა ირანიზაციისკენ მიჰყავს და არ გვინდა, ჩვენი ქვეყანა ირანს დაემსგავსოსო.

– ბევრჯერ გამიგია თურქებისგან, რომ ერდოღანი მუსლიმი ძმების გაერთიანების წევრია.

– მართლაც არის ვერსია, რომ ერდოღანი ცდილობს, ისეთი წყობა შემოიღოს, რომელიც უფრო შეესაბამება ეგვიპტეში ან სხვაგან „არაბული გაზაფხულის“ შედეგად მოსული ხელისუფლების მმართველობას. მაგრამ თურქეთში ამას საკმაოდ სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავს. ერდოღანი აბსოლუტურად გამორიცხავს, რომ იმას, რაც ხდება ახლა თურქეთში, რაიმე საერთო აქვს „არაბულ გაზაფხულთან“. თუმცა ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში იყო წასული სწორედ იმ დროს,

როცა ხდებოდა შეტაკებები ტაქსიმის მოედანზე, უკვე ბევრზე მეტყველებს. გარდა იმისა, რომ იღებდა კონსულტაციებს, ეს იყო იმისი დემონსტრირება, საითკენ აქვს ორიენტაცია.

– ანუ ეჭვები სერიოზულია?

– ფაქტია, რომ ხდება რაღაც გეოპოლიტიკური ალიანსების განვითარება. რა დონემდე განვითარდება, საითკენ და რა მიმართულებას მიიღებს, ჯერ საკითხავია. მე მაინც მგონია, რომ ერდოღანისთვის რეგიონული მხარდაჭერის სტრუქტურის ჩამოყალიბება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაღაც რელიგიური გაერთიანება, თუმცა აქ რელიგიაც ინსტრუმენტია. თურქეთი ყველგან ახდენს დემონსტრირებას, რომ არის დემოკრატიული ქვეყანა, ანუ ადრე თუ გვიან ერდოღანის ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. იმისათვის, რომ ეს თავიდან აიცილოს, ცდილობს, ხელისუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივოს.

– რამდენად აქვს ამისი მიღწევის შანსი?

– თურქეთი არის რელიგიურად გაწონასწორებული, ლიბერალურად მოაზროვნე მუსლიმებისათვის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ქვეყანა იყოს ღირებულებებზე დამყარებული, ევროპული წესით მოაზროვნე და, ამავე დროს – ისლამური. მისი არსებობა იძლევა იმედებს და ახლა ეს თუ შეიცვალა, ამას ექნება კატასტროფული შედეგი, რაც ხელს შეუწყობს ექსტრემისტული ისლამის განვითარებას.

– არსებობს საფუძველი, რომ თურქეთი მართლა ირანიზაციისკენ წავიდეს?

– იმედი მაქვს, რომ არ წავა, მაგრამ სერიოზული საშიშროება ნამდვილად არის.

– თუ მართლა ასეთი რამ მოხდება, ეს რამდენად საშიში იქნება საქართველოსთვის? მით უმეტეს, რომ ერდოღანი ხელისუფლებაში ახალი ოსმალეთის აღდგენის იდეით მოვიდა.

– ჩვენ გვინდა, დავინახოთ პოზიტიური სცენარი, ანუ პოზიტიური პარტნიორი, რომელთანაც პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ პროპორციას, რაც ჩვენ გვაქვს მასთან მიმართებაში, გამოდის, რომ ჩვენ ვართ რაღაც გარკვეული სავაჭრო და საბაზრო დანამატი თურქეთისთვის

საქონლის გასაღების კუთხით და თანაბარ ურთიერთობებზე ლაპარაკი ზედმეტია.

– ისიც ცნობილია, რომ თურქეთი ევრაზიულ კავშირზე აქტიურად ფიქრობს.

– კი და ამ თემაზე მას რუსეთთან სერიოზული საუბარი აქვს. მართალია, ამ მხრივ ისინი ერთსა და იმავეს არ გულისხმობენ, თუმცა ორივე ევრაზიულ კავშირზე ოცნებობს. ერდოღანს უნდა, ევროპის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის რაღაც ეკონომიკური გაერთიანება და არა – პოლიტიკური. პუტინის ევრაზიული კავშირის იდეა კი არის პოლიტიკური ხასიათის, რომელიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რუსული გავლენის რესტავრაციის მცდელობაა. არა მგონია, ეს განხორციელდეს. პუტინი ამ ევრაზიულ კავშირში მეტს გულისხმობს, ვიდრე დსთ-ა. თუმცა არანაირი ნიშანი არსებობს იმისი, რომ, თუ დსთ ევრაზიული კავშირით შეიცვლება, ის უკეთესად იმუშავებს. ამიტომ ჯობია, ეს რუსეთის მხრიდან კარგად იყოს გააზრებული. ჩვენნაირი ქვეყნებისთვის კი არის რაღაც საფრთხობელა, რომელიც მაინც საბოლოოდ ვერ განხორციელდება.

– ანუ თურქულს მეტი პერსპექტივა აქვს?

– პერსპექტივა ექნება, თუ მას ეკონომიკური, ტურისტული და ვაჭრობის კუთხით ღია სივრცე გაუჩნდება. სხვანაირად სხვა ქვეყნები არ მიიღებენ მონაწილეობას. თანაც ერდოღანი, როგორც ავტორიტარი პოლიტიკოსი, უკვე იწვევს ზოგიერთი ქვეყნის გაღიზიანებას.

– რამდენადაც ვიცი, დაუდ ოღლუს რუკაში, რომლის პროგრამითაც ერდოღანის მთავრობა ხელისუფლებაში მოვიდა, ბათუმი თურქეთის ტერიტორიადაა დატანებული.

– იმედია, 21-ე საუკუნის თურქეთი ასე არ აზროვნებს. დიდ პატივს ვცემ ოსმალურ აზროვნებას, მაგრამ ყარსის ხელშეკრულება, აჭარაში მათი ქცევა და სავაჭრო ურთიერთობები გარკვეულ ეჭვს იწვევს იმაზე, რომ ზოგიერთ თურქულ წრეში განიხილება ნეოოტომანური იდეის აღდგენა. თუ საქართველო სუსტად გამოჩნდება ამ ჭიდილში, ბევრ რამეს დავკარგავთ. ჩვენი საგარეო პოლიტიკა უნდა იყოს ძალიან ძლიერი. დიდი

სახელმწიფოებიდან საფრთხეები ყოველთვის იქნება, თუ პატარა ქვეყნები სიცოცხლისუნარიანობას ვერ აჩვენებენ. ჩვენი სიძლიერე კი იმითი უნდა გამოიხატოს, რომ გავატაროთ დაბალანსებული რეგიონული პოლიტიკა.

მიხეილ სააკაშვილი და მისი პარტია ექსტრემისტულ პოლიტიკას აწარმოებდნენ სამეზობლო და საერთაშორისო დონეზე, იღებდნენ ფუნქციას ანტირუსული ფორპოსტისა, რაც საქართველოსთვის უკიდურესად საშიში იყო. რა თქმა უნდა, თურქეთი თვლიდა, რომ საქართველო იყო დაუცველი. ამ სიტუაციის გამოსწორებას შევძლებთ, თუ გვექნება გაწონასწორებული, საერთო ინტერესებზე დამყარებული მოლაპარაკება ყველა ჩვენს მეზობელთან, უპირველესად კი – რუსეთთან.

– რაზე საუბრობენ მოსკოვი და ანკარა?

– ამ რეგიონში ერთმანეთის ინტერესები რომ გაითვალისწინონ და თურქეთის, როგორც ლიდერის, როლი გაძლიერდეს. რაც შეეხება საქართველოს, მისი როლი აქ უკვე მეორეხარისხოვანია.

– ჩვენი ადგილი საით არის?

– ჩვენ საგარეო პოლიტიკა გვაქვს მკაფიო და ეს არის პროევროპული, ევროინტეგრაცია. ამ მხრივ უფრო ვართ თურქეთთან. რუსეთს კი არ უნდა, საქართველო იყოს ნატო-ში და, სიმართლე გითხრათ, არ აქვს ამ მხრივ საფრთხე. ჩვენი ქვეყნის ნატო-ში გაერთიანება ჯერ მაინც ვერ მოხდება. მართალია, არის ისეთი გეგმა, რომ საქართველო განიხილებოდეს, როგორც მაპ-ის მიმღები ქვეყანა, მაგრამ იმის მიხედვით, რეალურად თუ როგორ ნაწილდება ძალები ევროპაში, უკვე წინასწარ შემიძლია ვთქვა, რომ ეს არ გამოვა. მაპი არ არის ნატო-ს წევრობა, მაგრამ გამოწვევაა და რუსეთის გაღიზიანება ამითაც კი არ უნდათ. თურქეთს არ სურს, რუსეთს შეუქმნას შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ნატო-ში შესვლას ხელს უწყობს. ამიტომ განყენებულ მდგომარეობას ირჩევს და, ამავე დროს, რუსეთს ეუბნება, თქვენი პარტნიორი ვარო.

– თემამ მოიტანა და ამერიკის კონგრესის დასკვნა მართლა ცუდ შედეგს მოუტანს საქართველოს?

– ის დასკვნა არ არის სწორი. თავიდან, როცა ივანიშვილი მოვიდა და რაღაც გამოძიებებზე დაიწყეს საუბარი, მაშინ იყო განცდა, რომ ეს იქნებოდა გლობალური პროცესი. ხელისუფლება კი დათმობაზე წავიდა და ბევრი საქმე დააკონსერვა. თუმცა ისიც მესმის, ეს პროცესი რატომაც შეფერხდა. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, როცა ყოფილ პრემიერს აპატიმრებ, მისი დანაშაული უნდა იყოს გამოკვეთილი, მყვირალა. მაგრამ, როცა მეორეხარისხოვან მტკიცებულებებზე დაყრდნობით აკავებ და არა მთავარ მასალაზე, ამერიკაში ამბობენ, ხომ არ ჯობდა, დაგეცადათ, სანამ მთავარ საქმეებზე მტკიცებულებები არ იქნებოდაო. მე ვთვლი, რომ ძალიან ყვირის 26 მაისის და 7 ნოემბრის საქმეები და ამ მხრივ არის საკმარისი მტკიცებულებები. ამ შემთხვევაში კი სააკაშვილის დანაშაულიც გამოიკვეთებოდა.

– მერაბიშვილის დაკავების ფაქტი და კონგრესის განცხადება ქვეყნის იმიჯს დააზარალებს?

– სამწუხაროდ, ჩვენი საგარეო პოლიტიკა ისე ძლიერად არ გამოიყურება, როგორიც უნდა იყოს. მესმის, რომ დიდი ხნის განმავლობაში ელჩები არ ინიშნებოდნენ. ახლაც არის პრობლემები და ამ მიმართულებით „ნაციონალური მოძრაობა“ კარგად მუშაობს.

– საქართველოში მიმდინარე მოვლენები საქართველო-ამერიკის ურთიერთობებზე იმოქმედებს?

– არა მგონია, ვთვლი, რომ არაფერი შეიცვლება და ამისი მაგალითი ვილნიუსის სამიტი იქნება. თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვილნიუსის სამიტის დასკვნა ნიშნავს, რომ ჩვენ მალე გვექნება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, მალე მოხდება ვიზების გამარტივება. სამწუხაროდ, სასწრაფოდ არაფერი მოხდება.

– პუტინის განცხადებას ანტიტერორისტულ ერთობლივ მუშაობაზე როგორ უყურებთ?

– რუსეთის მიერ მავთულხლართების გადმოწევამ ქართველებში უარყოფითი განწყობა გამოიწვია. პუტინს ამ განცხადების გაკეთება აგრესიის შესარბილებლად დასჭირდა.

– ასეთი თანამშრომლობა მართლა ნიშნავს რუსული ბაზების დაბრუნებას, როგორც ამას თავდაცვის ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი ამბობს?

– არა, ეს „ნაციონალების“ საუბარია. შესაძლებელია, ასეთი რამ მართლაც შეიქმნას, ოღონდ გვიან. ამ ეტაპზე ეს წარმოუდგენელია. მე ვხედავ იმ დიალოგის პერსპექტივას, რაც ივანიშვილმა დაიწყო.

– საუბარი არის ევრაზიულ კავშირში საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შესვლაზე, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტების. რუსეთში ეს თემა მართლა აქტუალურია?

– რუსეთში ნამდვილად არის ლაპარაკი, საქართველო ხომ არ დათანხმდება, რომ ევრაზიულ კავშირში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ერთად შევიდეს. ეს წააგავს რაღაც კონფედერაციულ კავშირს. მაგალითად, სერბეთის და კოსოვოს პრობლემის გადაწყვეტა იქნება ის, რომ, თუ იუგოსლავიის ყველა ყოფილი ქვეყანა გახდება ევროკავშირის წევრი, წაიშლება საზღვრები. იქ, ევროპაში, არის გამოსავალი, მაგრამ აქ ევრაზიის კავშირი რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება და შექმნის თუ არა შესაძლებლობას, საქართველო იყოს ერთიან სამართლებრივ სივრცეში აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან, სიმართლე გითხრათ, ოპტიმისტურად არ მესახება. თუმცა რუსეთში ეს სცენარი მუშავდება.



ჟენევის მოლაპარაკებები

ამერიკის ხმა, 2013 წ. 25 ივნისი

„საჭიროა პირდაპირი დალაპარაკება ივანიშვილი-პუტინის დონეზე“ – ჟენევაში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური მოლაპარაკებების მორიგი, ოცდამეოთხე რაუნდი იმართება. მას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, დავით ზალკალიანი უხელმძღვანელებს. შეხვედრაში იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას.

„განხილული იქნება ჟენევის მოლაპარაკებების ფორმატით გათვალისწინებული ყველა ძირითადი მიმართულება. მათ შორის, ადგილზე შექმნილი სიტუაცია უსაფრთხოების თვალსაზრისით და ამ კონტექსტში ჩვენ ძალიან მწვავედ დავაყენებთ საკითხს საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მავთულხლართების აგებასთან დაკავშირებით და მოვთხოვთ თანათავმჯდომარეებს, რომ მოხდეს მისი ადეკვატური შეფასება. ასევე იქნება მოწოდება ჩვენი მხრიდან რუსეთის ფედერაციის მიმართ, რომ მან დაიცვას 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და პატივი სცეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა თავისუფალი გადაადგილების უფლება“, – განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, გოგი ხუციშვილი, ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ მავთულხლართების საკითხის თაობაზე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის მიერ გაკეთებული განცხადება ცხადად მოწმობს, რომ რუსეთის ფედერაციისთვის ეს თემა გარკვეულია. „მათ აღიარეს ეს რესპუბლიკები და ახლა აწარმოებენ საზღვრის დემარკაციის სამუშაოებს“, – ამბობს გოგი ხუციშვილი. მისივე თქმით: „არა მგონია, ეს მოლაპარაკებები წარმატებული იყოს, რადგან კარასინმა მაშინ, როდესაც დიცის მოვლენები იყო, ჩამოაყალიბა რუსეთის ხელმძღვანელობის აზრი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ეს არაა ახალი პროცესი. უბრალოდ, ახლა მოუწიათ ადამიანების ეზოებსა და სახლებზე გავლა და ამიტომ ამან გამოიწვია რაღაც რეაქცია და, სინამდვილეში, თვლიან, რომ ესაა გეგმიური პროცესი. გეგმიურობა იმაში მდგომარეობს, რომ ვინაიდან რუსეთმა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი აღიარა სახელმწიფოდ, ამიტომ მისი საზღვარი უნდა დაამსგავსოს სახელმწიფო საზღვარს. დემარკაცია ხდება იმ რუკის მიხედვით, რომელიც საბჭოთა კავშირისდროინდელ ავტონომიურ ოლქს შეესაბამება. რუკის საკითხი საკამათოა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არანაირი გამოკვეთილი საზღვარი იმ ადგილას არ არსებობდა. მას შემდეგ, რაც დაიწყეს საზღვრის გავლება, ხალხი დაზარალდა და გამოვიდა, რომ უფრო აქეთ შემოიწიეს, ისეთ ადგილას, რომელიც ითვლებოდა საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიად უკვე. აი, ამ ყველაფერზე, მე დარწმუნებული ვარ, ქართული მხარე ჟენევაში ისაუბრებს, წამოწევს ამ საკითხს, მაგრამ არა მგონია, რომ რამე განსხვავებული პოზიცია მოსკოვმა დაიკავოს ამასთან დაკავშირებით“. გოგი ხუციშვილი ასევე ამბობს, რომ მოლაპარაკებების ფორმატი ჟენევაში კარგავს ეფექტიანი შედეგის მიღწევის იმედს დიალოგის განვითარების თვალსაზრისით. მისი თქმით, გაცილებით რეზულტატური შეიძლება აღმოჩნდეს პირდაპირი მოლაპარაკებები რუსეთთან, ამიტომ, უკეთესი იქნება, თუ საქართველო გაზრდის აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატს, რაც ამ დრომდე მხოლოდ ეკონომიკურსა

და კულტურულ ჩარჩოებშია მოქცეული და მას დაამატებს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ნაწილებს. „ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ივანიშვილი და პუტინიც შეხვდებიან ერთმანეთს“, – ამბობს ხუციშვილი. „აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ფორმატი უნდა გაფართოვდეს ან ამას უნდა დაემატოს სხვა ფორმატები, რომლებშიც საქართველო-რუსეთის დიალოგი გასცდება მხოლოდ ეკონომიკას და კულტურაზე საუბარს და მოიცავს ასევე პოლიტიკურ საკითხებს. მაგრამ ჯერჯერობით ეს არ კეთდება. საჭიროა პირდაპირ დალაპარაკება. მე ვთვლი, რომ საჭიროა პირდაპირი დალაპარაკება ივანიშვილი-პუტინის დონეზე. უნდა შეიქმნას რაღაც სამუშაო კომისიები, ამის შედეგად უნდა მოხდეს შევსება ჟენევის მოლაპარაკებებისა, რაც სინამდვილეში არაა მოლაპარაკებები, ესაა კონსულტაციები და არანაირი ძალა მოლაპარაკებებისა ამ ფორმატს არ აქვს“, – მიიჩნევს გოგი ხუციშვილი.

ჟენევაში შეხვედრა ორდღიანია და იგი ხვალ დასრულდება.



აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები საქართველო–რუსეთის დიალოგის ფონზე

გიორგი ხუციშვილი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, „საქართველოს მაჯისცემა ოქტომბრიდან ოქტომბრამდე 2012 – 2013“, დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი, 2013 წ. თბილისი[1]

„ყველა სერიოზულ კრიზისს აერთიანებს ის, რომ მათი გადალახვა შეუძლებელია საკუთარი აზროვნების ტრანსფორმაციის გარეშე“.

კავკასიის გადაუჭრელი კონფლიქტები არაერთი ნაშრომისა და კვლევის საგანი გამხდარა. თუმცა ამ ორი თემის – კონფლიქტისა და გადაუჭრელობის – ურთიერთკავშირი, განსაკუთრებით კი მეორე ფაქტორის გავლენა პირველზე, ნაკლებად არის გამოკვლეული. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გამოასწოროს ეს ხარვეზი და გამოიკვლიოს სამხრეთ კავკა-

[1] *გიორგი ხუციშვილმა ეს ნაშრომი დაწერა ინგლისურ ენაზე 2013 წლის აგვისტო-სექტემბერში, სპეციალურად „დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის“ ორენოვანი გამოცემისთვის. ნაშრომის დასრულება მან, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო. მისი გარდაცვალების შემდეგ ნაშრომი ქართულ ენაზე ითარგმნა და ორივე ენაზე დაუსრულებელი გამოქვეყნდა ექსპერტთა დამოუკიდებელი კლუბის გამოცემაში, 2013 წ. ნოემბერში – ნ.ც.*

სიის გადაუჭრელი კონფლიქტების მრავალმხრივი გავლენა დემოკრატიის მშენებლობის პროცესსა და პერსპექტივებზე როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებში და აუღიარებელ რესპუბლიკებში, ისე მთლიანად რეგიონში (განხილული იქნება ძირითადად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაგალითები და ქართულ-რუსული ურთიერთობები). რეგიონის უსაფრთხოების საკითხები, გონივრული სამეზობლო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევრო და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ისევე, როგორც, ზოგადად, მათი მდგრადი განვითარება, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დემოკრატიისა და კონფლიქტის ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების რეალისტურ შეფასებაზე. ურთიერთგაუცხოების, სტერეოტიპული აზროვნების, მტრის ხატის შექმნის და სხვა საყოველთაოდ ცნობილი შაბლონების გარდა, კავკასიის შემთხვევაში ვხვდებით ასევე ისეთ შაბლონებს, რომლებიც ზუსტად იმეორებს სხვა რეგიონებში გავრცელებულს ან მათი ანალოგიებია. თუმცა კავკასიის რეგიონში უნიკალური ტენდენციებიც ჩამოყალიბდა. გადაუჭრელი კონფლიქტები ქვეყნის ხელისუფალთ ავტორიტარული მმართველობისა და უკომპრომისო პოზიციისაკენ უბიძგებს იმ საკითხებში, რომელთა გადაწყვეტაც კომპრომისის გარეშე შეუძლებელია.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ეთნოპოლიტიკურმა კონფლიქტებმა უმძიმესი გავლენა მოახდინა კავკასიის რეგიონზე. ამ კონფლიქტების შედეგად 30,000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, ხოლო, სულ მცირე, ერთმა მილიონმა ადამიანმა იძულებით დატოვა საკუთარი სახლ-კარი. ამ ძალადობრივი კონფლიქტების შედეგად დაიწყო ეკონომიკური ქაოსი, პოლიტიკური არასტაბილურობა, მასობრივი მიგრაცია და დაისადგურა საყოველთაო გაჭირვებამ და სასოწარკვეთამ. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მყიფე შეთანხმებების შედეგად, გარკვეულწილად, მოხერხდა სტაბილურობის შენარჩუნება ერთ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში. თუმცა საერთაშორისო მედიატორობით ჩატარებულმა მოლაპარაკებებმა ვერ უზრუნველყო კონფლიქტის გადაჭრა. საქართველოში ორი გადაუჭრელი პრობლემა იქნა „გაყინული“.

დაზავების ხაზების გაყოლებით, რომლის ერთ მხარეს იყო ცენტრალური მთავრობა და მეორეზე – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული გაერთიანებები, ეს მდგომარეობა შენარჩუნდა 2008 წლის ხანმოკლე კრიზისამდე, როდესაც მცირე ხნით „გალღვა“ კონფლიქტი და ახალ ჩიხში შევიდა. ამის შემდეგ ქართულ საზოგადოებაში რუსეთისადმი, როგორც მშვიდობისმყოფლის მიმართ, არსებული ხანგრძლივი უნდობლობა კიდევ უფრო გაღვივდა, რასაც შედეგად მოჰყვა ორ ქვეყანას შორის სოციალური, კულტურული და პოლიტიკური კავშირების თითქმის სრული გაწყვეტა. ეკონომიკური ურთიერთობები შენარჩუნდა, თუმცა ძალიან დაბალი ინტენსივობით, ორივე მხრიდან ანტაგონისტური რიტორიკის ფონზე.

კონფლიქტები ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაყინული იყო, თუმცა საომარი მოქმედების განახლების მაღალი რისკიც არსებობდა. 2008 წლის აგვისტოს საქართველო-რუსეთის 5-დღიანი ომის შემდეგ კი ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები, პირველად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პრაქტიკულად, შეწყდა. ომის დაწყებამდე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გადაწყვეტა, ძირითადად, ჩიხში იყო შესული, მოლაპრაკებები უნაყოფო იყო და არც ერთი მხარე არ ამჟღავნებდა ღია დიალოგის დაწყების სურვილს თუ კომპრომისზე წასვლის მზადყოფნას.

ევროკავშირის ინიციატივით ჩამოყალიბებული, საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ფაქტების დამდგენი მისიის მიერ შემუშავებული ანგარიშის (ე.წ. „ტალიავინის ანგარიში“) მიხედვით, აღნიშნული კრიზისი სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალზე ქართველი სამხედროების მიერ განხორციელებულმა მოულოდნელმა სარაკეტო შეტევამ გამოიწვია. რუსეთის დაუყოვნებელმა სამხედრო ინტერვენციამ და შემდგომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურმა აღიარებამ კიდევ უფრო გაართულა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო გზების მოძიების შესაძლებლობა და პოლიტიკური დიალოგის წარმართვის ყველა შესაძლებლობა მოსპო. შემდგომ პერიოდში პოლიტიკური ინერტულობა და ორივე მხარის ანტაგონისტური რიტორიკა კიდევ უფრო

აუარესებდა ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, ხელს უწყობდა მათ შორის საერთო დაძაბულობის შენარჩუნებას, რაც მოლაპარაკებების განახლების ყველა შესაძლებლობას გამორიცხავდა. ამ გამოუვალი მდგომარეობის დროს უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რომ შერიგების საერთაშორისო მცდელობებისათვის მხარი დაეჭირათ ადგილობრივ მონაწილეებს და განევრცოთ ისინი, მაგრამ პოლიტიკური კონიუნქტურა ამას არ უწყობდა ხელს. ასევე შეიქმნა დაბრკოლებები ევროკავშირის მიერ შემუშავებულ „არაღიარებისა და ჩართულობის“ მიდგომასთან დაკავშირებით, რომელიც ოფიციალურმა თბილისმა გაიზიარა. საქართველოს ოფიციალური პოზიცია, რომელიც უგულებელყოფდა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მოწოდებებს მოსკოვთან დიალოგის დაწყების შესახებ, ხელს უწყობდა ომის შემდგომ არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას და კიდევ უფრო გაღრმავებას მაშინ, როდესაც საქართველოს, პირიქით, დიალოგი ესაჭიროებოდა. საერთაშორისო საზოგადოებამაც ვერ შეძლო ისეთი სტრატეგიის შემოთავაზება, რომელიც დიალოგის გამართვას შეუწყობდა ხელს, ხოლო პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი მთავრობა მკაცრად იცავდა წამგებიან თეზისს: „პირველ რიგში დეოკუპაცია და შემდგომ – დიალოგი“. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „ოკუპირებულ ტერიტორიად“ გამოცხადების შემდეგ ოფიციალური თბილისი აღარ განიხილავდა მათ, როგორც კონფლიქტის მხარეებს და აცხადებდა, რომ საქართველოს ჰქონდა ერთი საერთაშორისო კონფლიქტი რუსეთთან, რომლის შედეგიც იყო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თანმდევი კონფლიქტები. ლოგიკურად, ამ ფორმულამ პოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის ყველა შესაძლო გზა ჩახერგა.

რა გავლენას ახდენს ხანგრძლივი სტატუს-კვო და კომუნიკაციის უქონლობა გადაუჭრელ პრობლემაზე? გამოჩნდება კი პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობები დროთა განმავლობაში? პასუხი ცხადია. ერთი მხრივ, არსებობს სეპარატისტული რეგიონების იზოლაციიდან გამოყვანის ობიექტური საჭიროება და საქართველოს მთავრობამ, დეკლარაციის დონეზე, მხარი დაუჭირა ამ მიდგომას (იხილეთ 2010 წლის დასაწყისში

დამტკიცებული დოკუმენტი „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ“). მეორე მხრივ, რეალურად ჩვენ მოწმე გავხდით იმ პოლიტიკის, რომელმაც გააღრმავა იზოლაცია და გაზარდა უსაფრთხოების რისკები. 2008 წლის ომის შედეგად რუსეთმა მიაღწია თავის მთავარ გეოპოლიტიკურ მიზანს რეგიონში: 2005 წელს მოსკოვში ხელმოწერილი ორმხრივი ხელშეკრულების შედეგად სამხედრო ბაზების გაყვანის შემდეგ, მან კვლავ შემოიყვანა თავისი სამხედრო ძალები რეგიონში. რაც უფრო მეტხანს გრძელდება ეს გამოუვალი მდგომარეობა, მით უფრო მცირდება საქართველოს შანსი, შეცვალოს იგი. ამავე დროს, ევროპელი მოკავშირეები საქართველოს ურჩევდნენ, გამოეჩინა „სტრატეგიული მოთმინება“, რაც სასარგებლო რჩევა იქნებოდა სტრატეგიის არსებობის შემთხვევაში. ოფიციალურად გამოცხადებული მყარი არაღიარების პოლიტიკისა და ჩართულობისაკენ გადადგმული რეალური ნაბიჯების გარეშე საქართველო ქმნიდა საბოლოო აღიარების წახალისების რისკს. ამ დროს ერთადერთი რეალური ალტერნატივა იყო რუსეთისადმი მიმართული ანტაგონისტური რიტორიკის შეწყვეტა და ქართულ-რუსული დიალოგის დაწყება საკითხების ფართო სპექტრის შესახებ. თუმცა ამას არ ეწერა განხორციელება, რადგან რუსეთის მიმართ ანტაგონიზმის ესკალაციას სააკაშვილის მთავრობა შიდა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებდა, სახელდობრ: ადგილობრივი საზოგადოების მობილიზებისთვის, საგარეო პოლიტიკური მხარდაჭერის მოსაპოვებლად და გადაუჭრელი კონფლიქტების მიმართ გამოყენებული წარუმატებელი მიდგომების გასამართლებლად.

სიტყვიერად მხარდაჭერილმა საქართველო-რუსეთის დიალოგმა ვერ გამოიღო თვალსაჩინო შედეგები, რაც კონფლიქტის მონაწილე ყველა მხარის პოლარიზებით დასრულდა. ამავე გარემოების გამო, დაპირისპირებული მხარეების სამოქალაქო საზოგადოებებს შორის დიალოგი მნიშვნელოვნად შესუსტდა და მის ადგილას შიშმა და უნდობლობამ დაისადგურა.

რუსეთის პოზიცია (პოზიციები)

ამ დრომდე რუსეთმა, ფაქტობრივად, ორი პოზიცია გამოხატა. ერთი პოზიცია საკმაოდ მკაცრია, მოითხოვს საქართველოს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, ამ ორი ტერიტორიული ერთეულის სახელმწიფო საზღვრების დაცვას, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის პროგრამების შეზღუდვას; ასევე, რუსეთის მიერ კონტროლირებულ ალიანსებში, როგორიცაა დსთ, საბჭოთა კავშირი და, გრძელვადიან პერსპექტივაში – ევრაზიის კავშირი – გაერთიანებას. არც კი განიხილება შეკითხვა, თუ რას მიიღებს სანაცვლოდ საქართველო, თუ იგი ყოველივე ამას შეასრულებს. ამგვარად მოაზროვნე კატეგორიას სურს, საქართველო იხილოს არა მხოლოდ დაჩიავებულ, დასუსტებულ, ეკონომიკურად დაუძლურებულ და დაუცველ ქვეყნად, არამედ ისეთ ქვეყნად, რომელსაც არსებობა მხოლოდ რუსეთის პროტექციის ქვეშ და რუსეთის გულმოწყალების შემთხვევაში შეუძლია, თუმცაღა შემცირებული ტერიტორიებით. საქართველო, როგორც სახელმწიფო, რეალურად, საერთოდ არ არის ამ განტოლების ნაწილი და მიჩნეულია ამერიკის და ნატო-ს გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად, რომელიც ემუქრება რუსეთის სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოებას. ვინ გამოხატავს ამგვარ ოპოზიციას? უმთავრესად ეს გახლავთ სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურისა და საზოგადოების იმ ჯგუფების წარმომადგენლები, რომელთაც მსგავსი ინტერესები აკავშირებთ, ის ადამიანები, რომლებიც შეპყრობილნი არიან იმპერიული განდიდების სინდრომით და ისინი, ვინც სარგებელს ღებულობენ პოსტკონფლიქტური სტატუს-კვოს შედეგად.

უფრო ობიექტურად მოაზროვნე და ზომიერი ადამიანები აცნობიერებენ, რომ რუსეთს და საქართველოს სჭირდებათ მეზობლური ურთიერთობის ჩამოყალიბება, თანამშრომლობის განვითარება და, მიუხედავად ცხადი დისპროპორციისა, რომლებიც არსებობს ქვეყნის ზომას და ძლევამოსილებას შორის, მიღწეული უნდა იქნას კომპრომისი რთულ საკითხებთან დაკავშირებით, რათა შერბილდეს გრძელვადიანი უნდობლობისა და ბოლო დროს მომხდარი შეიარაღებული კონფრონტაციის

უარყოფითი შედეგები. ამ ადამიანებს კარგად მოეხსენებათ, თუ სად გადის „წითელი ხაზები“, ანუ ის, რომ საქართველოს არ შეუძლია პარტნიორების შეცვლა, განსაკუთრებით ხანმოკლე პერიოდში და ისიც არაფრის სანაცვლოდ. ასევე – ისიც, რომ საქართველოს არ შეუძლია გამოყოფილი რეგიონების აღიარება და მათი ლეგიტიმაცია რუსეთის დასაკმაყოფილებლად, ასევე, რუსეთს არ შეუძლია 2008 წლის აგვისტოში საკუთარი გადაწყვეტილებების გაუქმება საქართველოს დასაშოშმინებლად. მაგრამ ურთიერთობების აღდგენის დაწყებას ალტერნატივა არ გააჩნია და ამისი გაკეთება, პირველ რიგში, პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმით უნდა დაიწყოს. რუსების ნოსტალგიამ ქართული ღვინის, მინერალური წყლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიმართ – რომელთა შეტანა რუსეთის ბაზარზე 2006 წელს აიკრძალა – ხელი შეუწყო საქართველოს ახალი მთავრობის ძალისხმევას, რომელიც მიმართულია მოლაპარაკებების დაწყებისაკენ და აღნიშნული საქონლის იმ ბაზარზე დასაბრუნებლად, სადაც ის ერთ დროს ასეთი პოპულარობით სარგებლობდა.

საქართველოს პოზიცია (პოზიციები)

სააკაშვილის მთავრობამ შექმნა მეტად საკამათო კონცეფცია საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ტრანსფორმირების შეუძლებლობის შესახებ. სააკაშვილი და მისი გუნდი ცდილობდა, ყველა დაერწმუნებინა, რომ რუსეთი საქართველოს არ „ყლაპავს“ მხოლოდ იმის გამო, რომ მათ თავდაცვითი კედელი აღმართეს რუსეთის წინაშე. ისინი საკუთარ თავს წარმოაჩენდნენ ერთადერთ, უნიკალურ, შორსმჭვრეტელ და პატრიოტ გუნდად, რომელსაც მუდმივად უხდება ბრძოლა არა მხოლოდ გარეშე საფრთხეებისა და გამოწვევების, არამედ ასევე ქვეყანაში არსებული ფარული აგენტებისა და მეხუთე კოლონის წინააღმდეგ, რომლებიც პოლიტიკური ოპოზიციისა და მისი მხარდამჭერების სახელით მოქმედებენ. ამდენად, ერთპარტიულმა მმართველობამ და ოპონენტების მარგინალიზაციამ ლეგიტიმურობა მოიპოვა. საოცარია, თუ როგორ შეიძლება დაიჯეროს გარესამყარომ ეს გამონაგონი სერიოზული

კითხვების დაუსმელად. ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში ეს ასე მოხდა.

სტამბოლის პროცესი და შემდგომი ძალისხმევა

2008 წლის აგვისტოს კრიზისის შემდგომ ხანმოკლე პერიოდში კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) ინიციატივით დაიწყო ქართველი ექსპერტების დიალოგის პროცესი რუს კოლეგებთან, რომლის გრძელვადიანი მიზანია უფრო ფართო პოლიტიკური დიალოგისა და შერიგების პროცესის კატალიზება. პირველი შეხვედრა სახელწოდებით „ქართულ-რუსული ურთიერთობები: კრიზისიდან გამოსვლის გზები“ 2008 წლის ნოემბერში გაიმართა. ეს იყო პოზიციების პირველი გაცვლა და ორი ქვეყნის ექსპერტების მიერ მოსაზრებების გამოთქმა 2008 წლის აგვისტოს კრიზისის შესახებ. ამ შეხვედრით, ასევე, დაიწყო კონფლიქტის ფუნდამენტური მიზეზების, ძირითადი გამომწვევი ფაქტორების, ასევე ურთიერთობის სტაბილიზაციის მექანიზმების შესახებ კომპლექსური ანალიზისა და მოსაზრებების გაზიარების პროცესი. სამომავლო მუშაობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა სტამბოლის პროცესის მემორანდუმში. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ხელშეწყობით, აღნიშნული ჯგუფის წევრებს შორის უწყვეტი კომუნიკაციის შემდეგ დიალოგის მეორე რაუნდი ორივე მხარის გაფართოებული შემადგენლობით 2009 წლის ნოემბერში გაიმართა.

შეხვედრის მონაწილეთა განსხვავებული პოზიციებისა და ხედვის მიუხედავად, მონაწილეებმა მოახერხეს, განესაზღვრათ და შეეთანხმებინათ მთელი რიგი საერთო მიზნებისა, მათ შორის მედვედევ-სარკოზის 2008 წლის 12 აგვისტოს გეგმის განხორციელების სრული მხარდაჭერა და რუსეთის და საქართველოს საზოგადოების წევრებს შორის უწყვეტი დიალოგის მექანიზმების არსებობის საჭიროება.

ამავე ჯგუფმა, ასევე, განსაზღვრა სამეცნიერო კვლევის განხორციელების საჭიროება ინფორმირებული დებატების გასამართად. შედეგად, განხორციელდა რუსეთისა და რუსების შესახებ საქართველოს მოსახლეობის აღქმის ხარისხობრივი

კვლევა. ანალოგიური კვლევა განხორციელდა რუსეთის მხრიდანაც, რამაც შესაძლებელი გახადა ქართულ-რუსულ ექსპერტთა ჯგუფის შედეგების შედარება და გაანალიზება. კვლევა მთლიანად დასრულდა და მისი შედეგები წარმოდგენილი იქნა სტამბოლის შეხვედრაზე 2012 წლის ნოემბერში.

სტამბოლის პროცესის ფარგლებში 2010 წელს გამოიცა პირველი პუბლიკაცია ქართულ-რუსული ურთიერთობებისა და დინამიკის შესახებ რუსი და ქართველი ექსპერტების თანაავტორობით.

წიგნის – რუსეთი და საქართველო: კრიზისიდან გამოსვლის გზები – გამოქვეყნება და მისი საჯარო პრეზენტაცია 2011 წლის თებერვალში მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა საზოგადოებრივი აზრის გამოხატვის თვალსაზრისით და ორივე ქვეყანაში ექსპერტთა ჯგუფების ძალიან კარგი შეფასება დაიმსახურა. ეს წიგნი ხსენებული ჯგუფისათვის ადვოკატირების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება გახდა პოლიტიკის შესახებ ერთობლივი რეკომენდაციების შემუშავებისა და გავრცელების თვალსაზრისით.

ადვოკატირების პროცესის მხარდამჭერი ვიზიტები დიალოგის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. აუცილებელია შემუშავებული დაშვებების, შუალედური შედეგებისა და დასკვნების გადამოწმება და დადასტურება, ასევე მოვლენათა განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა ექსპერტების მონაწილეობით არა მხოლოდ ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმებში და პოლიტიკის შემუშავების ინსტიტუტებში, არამედ – უშუალოდ საერთაშორისო ცენტრებში. ამ თვალსაზრისით, 2012 წლის სექტემბრის მიწურულს სტამბოლის პროცესის ჯგუფის ვიზიტი შეერთებულ შტატებში უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა. ქართველმა და რუსმა მეცნიერებმა შეძლეს მათ მიერ გამოვლენილი ფაქტებისა და შემუშავებული რეკომენდაციების წარდგენა სახელმწიფო და აკადემიური დაწესებულებების ფართო სპექტრის წინაშე, როგორიცაა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, კარნეგის საერთაშორისო მშვიდობის ფონდი და მსოფლიოს ფედერალისტური მოძრაობა (ნიუ-იორკი). ჯგუფის

წევრები შეხვდნენ და თანამშრომლობდნენ შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველ მეცნიერებთან. აშშ-ის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ამ ვიზიტით შეივსო საქართველოში და კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ არსებული ინფორმაციული ვაკუუმი, რის შედეგადაც ეს პროცესები უფრო გასაგები გახდა (რაც დადასტურდა 2012 წლის ოქტომბერში არჩევნების მოულოდნელი შედეგებით).

მნიშვნელოვანია სტამბოლის პროცესის, რომელიც გახლავთ მიმდინარე ქართულ-რუსული დიალოგის ყველაზე ხანგრძლივი პლატფორმა რეგიონში, განმტკიცება, შეცვლილი პოლიტიკური კლიმატისა და ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხისადმი გაზრდილი ინტერესების პირობებში. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დიალოგი არ არის ფოკუსირებული მხოლოდ სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაძაბულ ურთიერთობებზე, არამედ საქართველო-რუსეთს შორის წარმოქმნილ პრობლემათა უფრო ფართო ხედვას გვთავაზობს. იგი მიზნად ისახავს ურთიერთობებისა და ცოდნის კონსოლიდირებას საქართველოსა და რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, უფრო სისტემატური ურთიერთობის დამყარებას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საკითხების განხილვის მოცვით. ამ მიდგომას გრძელვადიან პერიოდში გააჩნია იმისი პოტენციალი, რომ ჩამოაყალიბოს ლეგიტიმური პლატფორმა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ როგორც რეგიონში მნიშვნელოვანი გავლენის მქონე საერთაშორისო მოთამაშეები, ისე პოლიტიკის შემმუშავებლები და გადაწყვეტილების მიმღები პირები ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე.

2012 წლის ოქტომბრის შემდეგ საქართველოში შექმნილი ვითარება

საქართველოში რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა მას შემდეგ, რაც ოპოზიციურმა კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ დაამარცხა მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 2012 წლის ოქტომბერში. საარჩევნო კამპანიის დროს საზოგადოების ერთ-ერთი კონკრეტული მოთხოვნა გახლდათ დიალოგის გამართვა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალი-

ზების მიღწევის მიზნით. ახალმა მთავრობამ და საპარლამენტო უმრავლესობამ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის ახალი კურსი გამოაცხადა. ელჩი, ზურაბ აბაშიძე, რომელიც სტამბოლის პროცესის აქტიური მონაწილე გახლდათ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენლად დაინიშნა ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხებში. თუმცა მდგრადი ქართულ-რუსული დიალოგის საფუძვლის მომზადების თავდაპირველი მცდელობები რთულ ვითარებაში წარიმართა, რადგან არსებობდნენ ამ პროცესის მომხრეები და სკეპტიკოსები როგორც საქართველოში, ისე რუსეთში.

მიმდინარეობს ამჟამად ოპოზიციაში მყოფი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების მიერ ღია კრიტიკა და დისკრედიტაციის კამპანია. ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ შეუძლებელია რუსეთთან ურთიერთობების ჩამოყალიბება ევროინტეგრაციის პარალელურად და, ამდენად, ამტკიცებენ, რომ მათ მიერ წარმოებული რუსეთთან გაუცხოების პოლიტიკა გამართლებული იყო.

საქართველოში პოლიტიკური დებატები მიმდინარეობს 2012 წლის 1 ოქტომბრიდან მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც, ერთი მხრივ, მმართველი „ქართული ოცნების“ კოალიციის და მისი ამომრჩევლების და, მეორე მხრივ, ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და მათი მომხრეების პოზიციები განსხვავდება ხან რადიკალურად, ხან – ზომიერად. თუმცა არსებობს ერთი საკითხი, რომელიც ყველა სხვა დანარჩენი საკითხისგან გამორჩეულია თავისი მნიშვნელობით და აქტუალობით ქვეყნის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. ეს საკითხი შემდეგში მდგომარეობს: ევროპასთან და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია და, ზოგადად, დასავლური ორიენტაცია და სტაბილური და პროგნოზირებადი ურთიერთობების დამყარება რუსეთთან ურთიერთგამომრიცხავია თუ შეთავსებადი? ოპოზიციის ყველაზე მკაცრი კრიტიკა და ახალი უმრავლესობის პოლიტიკის კატეგორიული მიუღებლობა სწორედ ამ კითხვაზე პასუხს ეხება. მეტიც, საერთაშორისო პრესაში ზოგიერთი უცხოელი პოლიტიკოსის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ადასტურებს,

რომ ამ პრობლემურ კითხვაზე პასუხი ვერ მოიძებნება მხოლოდ პოლიტიკური დებატების გზით და საჭიროა მასში სიცხადის შეტანა მნიშვნელოვანი ანალიზისა და დისკუსიის გზით პროფესიონალ მკვლევრებთან ერთად.

ცხადია, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესის საერთაშორისო მხარდაჭერა უნდა განხორციელდეს როგორც პოლიტიკური, ისე არასამთავრობო არხებით. ამ სიტუაციაში, როდესაც საქართველო დაინტერესებულია აგვისტოს შემდეგ შექმნილი სტატუს-კვოს შეცვლით, ხოლო რუსეთი მისი შენარჩუნებისაკენ მიისწრაფვის – თუმცა ორივე მხარე აცნობიერებს, რომ პროგრესის მიღწევა შეუძლებელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის განხილვის გარეშე – მაინც არსებობს იმისი ნიშნები, რომ შესაძლებელია, წარმატებით იქნეს გამოკვლეული ამ ურთიერთობების ეკონომიკური, ჰუმანიტარული, კულტურული და უსაფრთხოების ასპექტები. ეს, თავის მხრივ, ზეგავლენას მოახდენს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ ურთიერთობებში ამჟამად არსებულ გამოუვალ მდგომარეობაზე და ახალი შესაძლებლობების ფანჯარას გახსნის. ამ ეტაპზე მიჩნეულია, რომ აფხაზეთზე გამავალი რუსეთ-საქართველოს რკინიგზის აღდგენის იდეა და მხარეების თანამშრომლობა ენგურის ელექტროსადგურის ერთობლივი ექსპლუატაციის პროცესში ურთიერთობების აღდგენის შესაძლო საშუალებებია.

ინტელექტუალური დილემა თუ პოლიტიკური მანიპულირება?

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის კოჰაბიტაცია მიჩნეული იყო ქვეყნის სტაბილიზაციის, მისი მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფის საშუალებად. ამის ნაცვლად, საქართველო მკაცრი პოლიტიკური ბრძოლის არენად გადაიქცა. ახლა საპარლამენტო უმრავლესობა და საქართველოს მთავრობა პირველ რთულ ნაბიჯებს დგამენ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზაციისაკენ და, ამავე დროს, აცხადებენ, რომ ევრო და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დიდი ხნის წინ არჩეული კურსი არ შეიცვლება.

ამავე დროს, ოპოზიციური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და მისი ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი, აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება და, პარალელურად, სტრატეგიული პარტნიორობის შენარჩუნება დასავლეთთან შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ გამოჩნდა ზოგიერთი დასავლელი ჟურნალისტი და პოლიტიკოსი, რომელიც მხარს უჭერს პოლიტიკურად მოტივირებულ ამ თეზისს, თუმცა მთლიანად დასავლური აკადემიური წრეები საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. პროექტის მიზანია ამ მსჯელობის განვრცობა, მსოფლიოში წამყვანი ინსტიტუტებისა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების ჩართვა და იმისი დასაბუთება, რომ საქართველოსათვის, ერთი მხრივ, მისაღები და საჭიროა, რომ ჩამოყალიბდეს ეკონომიკურად მომგებიანი და კულტურულად ურთიერთგამამდიდრებელი ურთიერთობები რუსეთთან, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფილი უნდა იქნას რუსეთის სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოება და რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიაში მშფოთვარე რეგიონების სტაბილურობა.

შექმნილი პოლიტიკური კლიმატის პირობებში რუსულ და ქართულ მხარეებს შორის დიალოგის გააქტიურება შესაძლებელია საზოგადოების წარმომადგენლების და დიპლომატიის მეორე არხის გამოყენებით, პოლიტიკურ ელიტებს შორის განახლებული სასარგებლო დიალოგის პარალელურად. თუ ამგვარი პროცესის შედეგად მონაწილე მხარეებს შორის საკმარისი ხარისხით ჩამოყალიბდება ნდობა, გაჩნდება შესაძლებლობა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ამით დაინტერესდნენ გადაწყვეტილების მიმღები და პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილე პირები, რომელთაც ძალუძთ მნიშვნელოვანი, ხანგრძლივი შედეგის მქონე ცვლილებების მოხდენა. სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია დამაკავშირებელი რგოლის და მონიტორინგის განმახორციელებლის ფუნქცია შეასრულოს. ამისათვის საჭიროა, მთავრობამ აღიაროს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მონაწილეობა სამშვიდობო პროცესსა და უსაფრთხოების საკითხების გადაჭრაში საბოლოოდ გააძლიერებს სახელმწიფოს უსაფრთხოებას და სახელმწიფომ, ასევე, უნდა აიღოს ამგვარი თანამშრომლობის

გაგრძელების ვალდებულება. თუმცა, ფაქტობრივად, საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერისა და განვითარების პასუხისმგებლობა უმეტესწილად დაკისრებულია გარე მონაწილეებზე, ისეთებზე, როგორიცაა საერთაშორისო ინსტიტუტები, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკის შემმუშავებელი სტრუქტურები.

ერთნახევარი არხის გამოყენების პერსპექტივა

ამ დრომდე სტამბოლის პროცესი ჩამოყალიბდა, როგორც დიპლომატიის მეორე არხის პროცესი. განზრახვა ის იყო, რომ გააქტიურებულიყვნენ არასამთავრობო სექტორში მომუშავე ცნობილი ექსპერტები და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები, რათა მათ გამოეხატათ და გაეზიარებინათ თავიანთ დამოუკიდებელი პოზიციები და გაემართათ მეცნიერული დისკუსია. თანდათანობით სტამბოლის პროცესი ექსპერტიზის გავლენიან წყაროდ გადაიქცა პოლიტიკური მოვლენების შეფასებისა და მედიაანალიზის თვალსაზრისით. სტამბოლის პროცესის ზოგიერთმა მონაწილემ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მაღალი თანამდებობები დაიკავა საქართველოს მთავრობასა და პარლამენტში (მაგ., ბატონები: პაატა ზაქარეიშვილი, ზურაბ აბაშიძე, გიორგი ვოლსკი, არჩილ გეგეშიძე და სხვ.). ისინი აქტიურ თანამშრომლობას განაგრძობენ სტამბოლის პროცესთან. ამ პროცესის რუსი მონაწილეები ადასტურებენ, რომ რუსული ოფიციალური წრეების წარმომადგენლები დაინტერესებული იქნებიან დიალოგში ჩართვით, თუკი სტამბოლის პროცესის ფარგლებში ამისი საშუალება იქნება. ამდენად, ყველა წინაპირობა შეიქმნა იმისათვის, რომ მეორე არხიდან ეს პროცესი გადავიდეს ერთნახევარ არხზე, ანუ არასამთავრობო სექტორის ექსპერტებს შორის დიალოგის ფორმატიდან სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებს შორის დიალოგის შერეულ ფორმატზე. ამგვარი გადასვლის კარგი მაგალითია დიალოგის ე.წ. „მოსაზრების გამოხატვის“ პროცესი, რომელიც 2008 წლის შემოდგომაზე დაიწყო ჯორჯ მეისონის უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზისა და გადაჭრის სკოლაში და რომელიც ფოკუსირებული იყო ქართულ-ოსურ დიალოგზე. თავდაპირველად მთელი

რიგი შეხვედრები და მრგვალი მაგიდები, რომელიც თბილისიდან და ცხინვალიდან არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და ექსპერტების მონაწილეობით იმართებოდა, თანდათან გადაიქცა მძლავრ და მდგრად პროცესად, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ეს კი იმ საკითხების პროფესიულად და ეფექტურად გადაჭრის საშუალებას იძლეოდა, რომელთა შემთხვევაშიც აუცილებელი იყო გადაწყვეტილებების მიმღები პირების თუ სტრუქტურული ერთეულების დასწრება და დიალოგში მონაწილეობა.

ინფრასტრუქტურა მშვიდობისათვის (I4P)

ინფრასტრუქტურა მშვიდობისათვის (I4P) ომისშემდგომი და კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიანი ტრანსფორმირების მართვის საერთაშორისო მასშტაბით გამოცდილი ინსტრუმენტია. I4P-ის ზეგავლენა მშვიდობასა და შერიგების პროცესზე ყველაზე უფრო მეტად წარმოჩინდა სამთავრობო გადაწყვეტილებების საფუძველზე კენიაში, განაში, უგანდასა და კოსტა-რიკაში შექმნილი სამშვიდობო კომისიების მეშვეობით, რომელთა წევრებადაც მიწვეულნი იყვნენ სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც ერთობლივად მუშაობდნენ ეფექტური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და განხორციელებაზე. I4P-ის გამოყენება სასურველია ქართულ-რუსულ და კავკასიის გადაუჭრელ კონფლიქტებთან დაკავშირებულ პროცესებთან მიმართებითაც.

წარმატება და რისკფაქტორები

დიალოგის დაწყების პოზიტიურობის მიუხედავად, საქართველოსა და რუსეთს შორის ამჟამად არსებული ურთიერთობები, ასევე, ის მიდგომები, რომელთაც მხარეები იყენებენ კონფლიქტის გადასაჭრელად, ბარიერებს უქმნის მათ შორის დიალოგის გაგრძელებას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ფრთხილი შერჩევის პროცესის განხორციელებით და კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის რეპუტაციის გამოყენებით, ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისი

მხარეების ნდობა მოიპოვოს. ნდობის შენარჩუნება და მისი ხარისხის გაზრდა შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი ნათლად ჩამოაყალიბებს მის მიერ შემუშავებული ადვოკატირების ქმედებებისა და რეკომენდაციების მიზანს და თუ ისინი დაეფუძნება ემპირიულ და ანალიტიკურ მახასიათებლებს. საფუძვლად აღებული დაშვება გულისხმობს, რომ ჯგუფი შეძლებს, მონაწილეობის არსებული დონიდან – რომელიც შედგება იდეების გაცვლისა და დებატებისაგან – მიაღწიოს პროგრესს და მივიდეს საერთო იდენტობამდე, მიზნამდე და საბოლოოდ – ერთობლივ ქმედებამდე. ამისათვის კი საჭირო იქნება, ჯგუფმა შეძლოს კონსენსუსის მიღწევა ცალკეულ ძირითად საკითხებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით; ან, სხვაგვარად, რომ ვთქვათ, შეძლოს შეთანხმების მიღწევა ერთობლივ რეკომენდაციებში წარმოსადგენი განსხვავებული პერსპექტივების მეცნიერული დასაბუთების შესახებ.

ძირითადი რისკები შემდეგია:

- ამ პროცესმა, შესაძლოა, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს და გააღრმაოს ამჟამად არსებული უთანხმოება იმ შემთხვევაში, თუ დიალოგი სწორად არ წარიმართება და გაჩნდება ფარული ინტერესები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია GPPAC-ის, როგორც დამოუკიდებელი ფასილიტატორის როლი და მისი მჭიდრო თანამშრომლობა ICCN-თან, რომელიც ადგილობრივ კონტექსტს იცნობს. გათვალისწინებული იქნება შესაბამისი გამოცდილება და განისაზღვრება დამატებითი ინდიკატორები ფასილიტაციის ფუნქციის შესასრულებლად, რათა შესაძლებელი იყოს მეთოდოლოგიების მუდმივი დახვეწა და კორექტირება;
- შეზღუდულმა პოლიტიკურმა სივრცემ და პოლარიზებულმა საზოგადოებრივმა აზრმა, შესაძლოა, შეზღუდოს სტამბოლის პროცესის მონაწილეთა ჩართულობის დინამიკა და მათი მონაწილეობის ხარისხი. ადრეულ ეტაპზე უსაფრთხო ადგილის შექმნას დიალოგისათვის როგორც ფიზიკურად (მაგალითად, სტამბოლი, თურქეთი; შესაბამის შემთხვევაში „ჩეთემ ჰაუსის“ კონფიდენციალურობის წესის დაცვით), ისევ ვირტუალურად (ანონიმურობა და დახურული ჯგუფე-

ბი „მშვიდობის პორტალზე“) არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან, ჯგუფს მიეცა რეკომენდაცია, ღიად გამოეხატა მათთვის საინტერესო საკითხების შესახებ შეშფოთება და ჯგუფის გარე კომუნიკაციების, ანგარიშებისა და პოზიციების გამომხატველი დოკუმენტების თანამფლობელობა. ამჟამად თბილისში ან საქართველოს სხვა ქალაქებში, ასევე რუსეთში შეხვედრებისა და სხვა ღონისძიებების გამართვის კარგი შესაძლებლობა არსებობს, თუ დავეყრდნობით ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კეთილგანწყობას, რაც იძლევა როგორც ოპტიმიზმის, ისე სიფრთხილის საფუძველს;

- მედიასთან უფრო პროაქტიულმა თანამშრომლობამ და სტამბოლის პროცესის განხილვების ძირითადი შედეგებისა და მესიჯების გასაჯაროებამ, შესაძლოა, დააბრკოლოს დიალოგის პროცესი იმ შემთხვევაში, თუ იგი არასწორად იქნება განხორციელებული და არ იქნება დაცული კონფლიქტების მიმართ სენსიტიური ჟურნალისტიკის პრინციპები. ეს განსაკუთრებით შეეხება იმ მედიას, რომელიც იდენტიფიცირებულია საქართველოს პოლიტიკური სპექტრის ოპოზიციურ ნაწილთან, რის გამოც სტამბოლის პროცესის ქართველ მონაწილეებს, შესაძლოა, ბრალი დასდონ ქართული სახელმწიფოს პოზიციის კომპრომეტირებაში. თუმცა ამ რისკფაქტორის თავიდან აცილება შესაძლებელია სტამბოლის პროცესში მთავარი მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მონაწილეობის გზით.

შედეგების დონე:

დაგეგმილი შედეგების მისაღწევად მთავარი დაშვება გულისხმობს, რომ სტამბოლის პროცესის მონაწილეთა ჩართულობისა და ინტერესის დონე, მინიმუმ, უნდა შენარჩუნდეს. ამიტომ ძირითადი მუშაობა იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ არ შემცირდეს შექმნილი იმპულსი ფიზიკურ შეხვედრებს შორის პერიოდში და რომ მონაწილეებმა ამ შეხვედრების შინაარსის თანაავტორებად იგრძნონ თავი. ასევე, არსებობს დაშვება, რომ პარტნიორებს, მონაწილეებს და დაინტერესებულ მხარეებს საკმარისი სამეცნიერო და ანალიტიკური უნარ-ჩვე-

ვები აქვთ ფაქტების სათანადო ხარისხით დადგენისათვის. ამ ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები შემდეგია:

- ნდობის ხარისხის შესუსტების და ჯგუფის შიდა დინამიკის დარღვევის შემთხვევაში არსებობს შეთანხმების მიუღწევლობის რისკი სადავო საკითხების გამო;
- კვლევასა და ანალიზში ხარვეზები, როგორიცაა გენდერული პერსპექტივის ან რეგიონში გენდერის საკითხების შესახებ კონსულტანტების მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობა;
- ფიზიკური შეზღუდვები შეხვედრების გასამართად (როგორც სტამბოლის, ისე თბილისი/მოსკოვის შეხვედრები) ვიზის შეზღუდვების, დღის წესრიგის შეუთანხმებლობის ან მასპინძელ ქვეყანაში ფიზიკური პირობების გამო. მშვიდობის პორტალი ასეთ შემთხვევებში ვირტუალური შეხვედრის ალტერნატიულ შესაძლებლობას გვთავაზობს;
- შესაძლებლობა, რომ შემუშავებული ინსტრუმენტები და მასალები არ დააკმაყოფილებს შესაბამისი დაინტერესებული მხარის მოთხოვნებს ან არ იქნება სათანადოდ ხელმისაწვდომი (ტექნოლოგიურად, შინაარსობრივად); ამიტომ შემუშავებული ინსტრუმენტები და მასალები მიჩნეული უნდა იქნეს განგრძობითი პროცესის ნაწილად და არა „პროექტის საბოლოო პროდუქტად“ და მათი შეფასება და განახლება რეგულარულად უნდა განხორციელდეს, რათა უზრუნველყოფილი იქნას რეალური მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ის რისკები და ღონისძიებები, რომელიც დაკავშირებულია მედიის მონაწილეობის დონის გაზრდასთან, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, ასევე შეეხება პროექტის შედეგებსაც.

ორი დოქტრინა და ალტერნატიული ხედვა

ოპოზიციაში გადასვლის შემდეგ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოახერხა დისკუსიის განახლება – უფრო მეტად საერთაშორისო, ვიდრე ადგილობრივ დონეზე – მათი მტკიცებით, იმ სავარაუდო წინააღმდეგობაზე, რომელიც ახლავს ოქტომბრის შემდეგ ქართულ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას და, ამას-

თან, სტრატეგიული პროდასავლური კურსის შენარჩუნებასა და ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ წინსვლას.

სააკაშვილის მსჯელობა, ალბათ, ამგვარი იყო: დიდი ალბათობა არსებობდა, რომ გეოპოლიტიკური გარემოებები და ძალაუფლების განაწილება არ შეიცვლებოდა ისე, რომ ტერიტორიული საკითხები საქართველოს სასარგებლოდ ყოფილიყო მოგვარებული მისი პრეზიდენტობის განმავლობაში. ამიტომ შესაძლებელი იყო ორი ალტერნატივის არსებობა: ერთი ის, რომ მომზადებულიყო ნიადაგი რთული, თანდათანობითი სვლების განხორციელებით მომავალი თაობის პოლიტიკოსებისათვის, რათა მათ გადაეჭრათ ეს პრობლემა და, ამ შემთხვევაში, დიდი ალბათობით მას არ მიეწერებოდა ეს გამარჯვება, თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში არსებულ ჩამოუყალიბებელ პოლიტიკურ კულტურას და პოსტტოტალიტარულ მასობრივ მენტალობას; მეორე ალტერნატივა იყო გეოპოლიტიკური სიტუაციის იმგვარ საზღვრებში მოქცევა, რაც გარანტირებულად უზრუნველყოფდა ჩიხური მდგომარეობის შექმნას, მაგრამ სამართლებრივ საფუძველს შექმნიდა იმისათვის, რომ მთლიანი პასუხისმგებლობა რუსეთს დაკისრებოდა. აგვისტოს ომმა თითქმის სრულყოფილი შესაძლებლობა შექმნა მდგომარეობის ამ მიმართულებით განვითარებისათვის.

გამოცემებსა და ინტერვიუებში ასახული უამრავი თვითმხილველის გადმოცემის მიხედვით, შესაძლოა დადასტურებულ ფაქტად იქნეს მიჩნეული, რომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შემუშავებისას სააკაშვილმა გადახაზა ის პუნქტი, რომელიც შეეხებოდა სადავო ტერიტორიების მომავალი სტატუსის განსაზღვრას საერთაშორისო თანამეგობრობის ფასილიტაციით გამართული მოლაპარაკებების დროს, სპეციალურად შექმნილი კომისიის პირობებში. გადმოცემის მიხედვით, სააკაშვილის მოქმედებამ გააკვირვა პრეზიდენტი სარკოზი და მედვედევი, მაგრამ ცნობილი ექვსპუნქტიანი შეთანხმების ტექსტი საბოლოოდ ამ პუნქტის გარეშე იქნა ხელმოწერილი. დამკვირვებლები სააკაშვილის ამგვარ ქცევას ახირებას ან დაბნეულობას მიაწერენ, მაგრამ, ფაქტობრივად, ეს გამიზნული ნაბიჯი იყო,

რომელიც პასუხობდა მის პირად გრძელვადიან სტრატეგიას გადაუჭრელი კონფლიქტებისა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების მიმართულებით. მალევე რუსეთმა პრეზიდენტ მედვედევის ხელმოწერით აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა (2008 წლის 26 აგვისტო) და ოკუპაციის სტატუსი საბოლოოდ გაფორმდა ქართული მთავრობის მიერ, რაც აისახა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში. ეს კანონი საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო 2008 წლის ოქტომბერში.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დოქტრინა უმალ ცხადი გახდა ყველა თავისი ასპექტით. საქართველოს უკვე აღარ აქვს კონფლიქტები ან „ეთნოტერიტორიული დავები“ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან – ეს საკითხი ყოველთვის კომპრომისის საგანი იყო რუსეთის ფაქტორის გამო და ახლა კი, უბრალოდ, ეს პრობლემა გაქრა ახალი რეალობის შედეგად და მხოლოდ რუსეთთან კონფლიქტმა მიიღო საბოლოო სახე დიდი ხნის ლოდინის შემდეგ.

„მცოცავი ანექსიის“ ღია ანექსიად გადაქცევით რუსეთმა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დოქტრინის მიხედვით, აგვისტოს ომის საშუალებით მოახერხა სრული კონტროლის დამყარება საქართველოდან გამოყოფილ ტერიტორიებზე და აღადგინა სამხედრო ძალები საქართველოში, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გახლდათ რუსეთისათვის. აზრს მოკლებულია ურთიერთობების დამყარება აფხაზებთან და ოსებთან, რომელთაც მარიონეტული რეჟიმები მართავენ იმ დრომდე, სანამ არ მოხდება საქართველოს მიწების დეოკუპაცია. აქედან გამომდინარეობს ფორმულა: „პირველ რიგში დეოკუპაცია, შემდგომ – დიალოგი“.

რუსეთის ქმედებების დასაბუთება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დოქტრინის მიხედვით:

- რუსეთი არასოდეს შერიგებია დამოუკიდებელი და სუვერენული ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობას და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იყენებდა ეთნოტერიტორიულ დავებს და თამაშობდა შუამავლის როლს მანიპული-

რებისა და ზეწოლის განსახორციელებლად, რათა საბჭოთა რესპუბლიკები კვლავ რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცია;

- სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვარი თბილისთან 45 კილომეტრზე მოახლოვდა, რამაც გარდაუვალი საფრთხის სინდრომი და ზეწოლის განხორციელების შესაძლებლობა შექმნა.

დამოუკიდებელი ანალიზის მიხედვით სააკაშვილის ლოგიკა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დოქტრინის ჩამოყალიბებისას:

სააკაშვილის დოქტრინამ საქართველოს საზოგადოებას თავს მოახვია პრობლემის მოგვარების ექსტრემალური პოზიცია, რომელიც გამორიცხავდა პრობლემის გადაჭრაში რაიმე პროგრესის მიღწევას ამგვარი ექსტრემალური პოზიციის რეალიზების შემთხვევაში. გარე მოხმარებისათვის მას სჭირდებოდა ისეთი პორტრეტის შექმნა, რომლის მიხედვითაც ის წარმოჩინდებოდა, როგორც საზოგადოებაზე ჭკვიანი, ხოლო საზოგადოება – რეტროგრადი და ჩამორჩენილი.

დასკვნა

2008 წლის შემოდგომაზე ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის მიხედვით, რომელიც ფართოდ იყო ციტირებული და უმთავრესად კი დაცინვის საგანს წარმოადგენდა, რესპონდენტთა 22% მიიჩნევდა, რომ საქართველომ აგვისტოს ომი რუსეთს მოუგო (!!!). ანალიტიკოსებმა ეს შედეგი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოსტატური პროპაგანდით ახსნეს. შესაძლოა, ეს უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ გამოკითხვის შედეგი ზუსტი იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საქართველომ კი არ მოიგო ომი, არამედ სააკაშვილმა მოიგო თავისი პირადი ომი რუსეთის ლიდერებთან და ამის მეშვეობით – საკუთარ ერთან.

საშინაო და საერთაშორისო რეაქცია ორი დოქტრინის მიმართ

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი თეზისი, რომლის მიხედვითაც ახალი მთავრობა გამოცხადებულ პრო-

დასავლურ კურსს ღალატობს, არგუმენტების სერიოზულ ნაკლებობას განიცდის და იგი მოუთმენლად ეძებს ნებისმიერ მინიშნებას, რომელსაც „ქართული ოცნების“ საგარეო პოლიტიკას უფრო მკაცრად გასაკრიტიკებლად გამოიყენებს.

თუმცა ივანიშვილი ყოველთვის არ არის ძალიან შორსმჭვრეტელი მაღალ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევისას, მან უნაკლო არჩევანი გააკეთა, როდესაც ზურაბ აბაშიძე პრემიერ-მინისტრის რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში სპეციალური წარმომადგენლის ახლადჩამოყალიბებულ პოსტზე დანიშნა. ბენელუქსის ქვეყნებში და შემდგომ რუსეთში საქართველოს ელჩი არა მხოლოდ ამ სფეროს ექსპერტია, არამედ ასევე უაღრესად პროფესიონალი და ფრთხილი დიპლომატია, რომელიც პრემიერ-მინისტრის ოპონენტებს არასოდეს არ მისცემს რაიმე მაკომპრომეტირებელ, ან, თუნდაც, ბუნდოვნად ინტერპრეტირებად მონაცემს, ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ პაატა ზაქარეიშვილისაგან განსხვავებით (რომლის კომპეტენციას განეკუთვნება კონფლიქტები), რომელსაც მინისტრად დანიშვნის ადრეულ ეტაპზე შეეძლო, პირდაპირ გაეხმაურებინა საკამათო იდეები, რომელიც უარყოფით დისკურსს ქმნიდა. „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ უწევდა ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკის განხორციელების პარალელურად ქართულ-რუსული მოლაპარაკებების წარმოების შესახებ თავისი კრიტიკა დაეფუძნებინა მხოლოდ ბრალდებებზე, თუმცა ისინი, რატომღაც, სერიოზულად აღიქმებოდა ევროპის სახალხო პარტიისა (EPP) და სხვათა მიერ.

შეიძლება თუ არა პატარა ქვეყანა დამოუკიდებელი იყოს? თუ საკითხი შეეხება მხოლოდ იმას, რომელ ქვეყანაზე დამოკიდებულება გვირჩევნია, ანუ რომელია ჩვენთვის მისაღები ქვეყანა? შესაძლებელია, ორ პატრონს ემსახურო?

პოსტმოდერნისტული თეზისი, რომ ურთიერთდამოკიდებულება უკეთესია, ვიდრე დამოუკიდებლობა, შესაძლოა, მკრეხელურად ჟღერდეს, მაგრამ, რეალურად, ეს იმას ნიშნავს, რომ ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევაში ჩნდება ზეგავლენის მექანიზმები, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დამოუკიდებლობა განაცალკევებს, იზოლაციაში აქცევს და, საბოლოოდ,

ზიანი მოაქვს. კომუნიკაციის ნაკლებობა აძლიერებს მტრის ხატს, ქმნის ფობიებს და ზრდის კონფრონტაციის რისკს. ამისგან განსხვავებით, კომუნიკაცია და ურთიერთდამოკიდებულება ზრდის პროგნოზირების შესაძლებლობას ორმხრივი ურთიერთობების დროს და ხელს უწყობს ნდობის ჩამოყალიბებას.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდგომი პერიოდი[1]

...

[1] ეს ქვეთავი დაუსრულებელია. ნაშრომის დასრულება გიორგი ხუციშვილმა ვეღარ მოასწრო – ნ.ც.


„შესაძლოა, მძიმე პროცესები დაიწყოს“
„საოცარია, რომ „ჯიჰადის ვიდეოს“ საქმის გამოძიება ერთი თვის წინ დასრულდა და საზოგადოებას არ აცნობეს“
2013
ყველა სიახლე
„დიალოგს და ურთიერთობების ნორმალიზებას ხელი ეშლება და

„შესაძლოა, მძიმე პროცესები დაიწყოს“

„საოცარია, რომ „ჯიჰადის ვიდეოს“ საქმის გამოძიება ერთი თვის წინ დასრულდა და საზოგადოებას არ აცნობეს“

ყველა სიახლე, 2-8 ოქტომბერი, 2013 წ. 40. გვ. 3. ფოტოთი. ჟურნალისტი ნათია დოლიძე[1]

ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლიდან ერთი წელი გავიდა. გამარჯვებული ძალის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება ისიც იყო, რომ მოახერხებდნენ რუსეთთან ურთიერთობის დალაგებისა და აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი დიალოგის გზით კონფლიქტების მოგვარების პროცესის დაძვრას. ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებს და დღეს არსებულ ვითარებას კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი აფასებს:

– ერთი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესებს და რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობას თუ შევა-

[1] ეს სტატია სათაურით: **„გოგი ხუციშვილი – ივანიშვილი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ უნაკლოა, რომ რასაც აკეთებს, უკეთესად გაკეთება არ შეიძლება, რაც ასევე არ მგონია, რომ რეალური იყოს“** – 2013 წ. 2 ოქტომბერს საინფორმაციო სააგენტო ინტერპრესნიუსმა გამოაქვეყნა. http://www.interpressnews.ge – ნ.ც.

ფასებთ, შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით ახალი ხელისუფლების პოლიტიკა სწორად იყო შერჩეული, თუმცა წავაწყდით მოულოდნელ სიძნელეებს. კარასინისა და აბაშიძის შეხვედრების ფორმატში მიღებული გადაწყვეტილება ქართული პროდუქციისათვის რუსეთის ბაზრის გახსნის თაობაზე ნამდვილად წარმატებული იყო. ასევე სწორია ისიც, რომ შეიცვალა უარყოფითი და ანტაგონისტური რიტორიკა, რაც წინა ხელისუფლებას ახასიათებდა და რაც მხოლოდ ვნებდა ქვეყნის ინტერესებს. ოფიციალურ თბილისსა და მოსკოვს შორის გადაიდგა პირველი ნაბიჯები, თუმცა ვერ მივაღწიეთ იმას, რომ ეს ქცეულიყო ფართომასშტაბიან და ქმედით დიალოგად. ჩვენთან ხელისუფლების შეცვლის ერთი წლის თავზე გვაქვს ვითარება, როდესაც პროცესები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ კვლავაც გართულებულია. საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკის საპასუხოდ სრულიად შეუსაბამოა ის, რაც ხდება ადმინისტრაციული საზღვრის გაყოლებაზე, როდესაც სასაზღვრო ნაგებობებს აგებენ და მავთულხლართებს ავლებენ ისე, რომ ადამიანებს საცხოვრებლისა და სახნავ-სათესი მიწის გარეშე ტოვებენ. ბუნებრივია, რომ დიალოგს და ურთიერთობების ნორმალიზებას ეს პროცესები უშლის ხელს და ეს ყველაფერი ჰუმანიტარული კრიზისის ფორმას იღებს. არადა, ველოდით, რომ მოსკოვი საქართველოს ინიციატივებს უფრო დადებითად გამოეხმაურებოდა და არ ეცდებოდა ვითარების გამწვავებას. რაც შეეხება ცხინვალსა და სოხუმს, მათთან ურთიერთობაშიც არ ჩანს გაუმჯობესება, პირიქით, უფრო მეტად ჩაიკეტნენ. გაწყდა კომუნიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობა მათთან ურთიერთობაში კონსტრუქციულობის გამოჩენას ცდილობს. დე ფაქტო ხელისუფლებები არათუ ჩვენს პოზიტიურ დამოკიდებულებას არ ეხმიანებიან, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციების ბლოკირებასაც ცდილობენ. ეს, ჩემი აზრით, თბილისსა და მოსკოვს შორის დაწყებული დიალოგის მიზეზით ხდება. ეს დიალოგი უფრო მეტად იყო გაპიარებული, ვიდრე რეალურად მოიტანა რაიმე შედეგი. სოხუმსა და ცხინვალში აშკარად შიშით ფიქრობენ, რომ საქართველომ და რუსეთმა შეიძ-

ლება მათი ბედი მათ გარეშე გადაწყვიტონ, ამიტომაც აშკარად უფრო ნეგატიურად გააქტიურდნენ.

– რითი შეიძლება აიხსნას რუსეთის მიერ საოკუპაციო ხაზის გადმოწევის პროცესი და რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამას სოჭის ოლიმპიადასთან, რასაც ხშირად ახსენებს ხოლმე პრემიერი?

– თუ შევადარებთ ჩვენში მიმდინარე პროცესებს აღმოსავლეთ პარტნიორობის სხვა ქვეყნებში მიმდინარე პროცესებთან, ცხადი გახდება, რომ რუსეთი აშკარად აძლიერებს ზეწოლას იმისთვის, რომ ამ ქვეყნებზე გავლენა მოიპოვოს. სომხეთის შემთხვევაში ეს უკვე მოახერხა, ამ ცოტა ხნის წინ მოლდოვამაც განაცხადა, რომ თითქმის მზად არის, საბაჟო კავშირსა და რუსეთის დადგენილ რეგულაციებს შეუერთდეს, რაც ევროკავშირთან ასოცირებული წევრობისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე უარის თქმას ნიშნავს. საქართველო კი არ აპირებს ამაზე უარის თქმას, ნოემბერში, ვილნიუსის სამიტზე ველოდებით ამ თვალსაზრისით წინ გადადგმულ ნაბიჯებს, რაც აღიზიანებს რუსეთს. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ აუცილებელია რუსეთთან დიალოგის გაღრმავება და გაფართოება, ამის გარეშე ვითარება უფრო მეტად გართულდება. საქართველო შეიძლება იყოს რუსეთის პარტნიორი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საგარეო პოლიტიკური კურსი უნდა შეიცვალოს. თუ ეს ბოლოს და ბოლოს გაიგეს კრემლში, მაშინ, ალბათ, უნდა ველოდოთ გარკვეულ დადებით ცვლილებებს.

– ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ვითარება კვლავაც დაძაბულია, არსებობს პროცესების ესკალაციის საფრთხეც, რამდენად ფართომასშტაბიანი შეიძლება აღმოჩნდეს ეს ესკალაცია?

– საფრთხე ნამდვილად არსებობს, შეიძლება, უფრო მძიმე პროცესებიც დაიწყოს, მაგრამ გამოვრიცხავ, რომ ეს გადაიზარდოს რაიმე შეტაკებასა და შეიარაღებულ დაპირისპირებაში, ეს არავის აძლევს ხელს, მათ შორის, არც რუსეთს. ნამდვილად დიდი სიფრთხილეა საჭირო ჩვენი მხრიდან, კარგი იქნებოდა, ეს პრობლემა უფრო მაღალი დონის მოლაპარაკებაზე გადაწ-

ყვეტილიყო. მიმაჩნია, რომ ივანიშვილისა და პუტინის პირისპირ შეხვედრა უნდა მომზადდეს, რა თქმა უნდა, წინასწარ უნდა გაითვალოს ის საკითხები, რაზეც შეთანხმება შეიძლება. თუ ეს მოხერხდა, მაშინ მათი შეხვედრა აუცილებლად უნდა შედგეს.

– როგორ შეაფასებთ პრემიერ-მინისტრისა და ექსპერტების შეხვედრას?

– სამწუხაროდ, ვერ ვესწრებოდი, რადგან არ ვიყავი ქვეყანაში. მიმაჩნია, რომ ამგვარი შეხვედრები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, თუნდაც ძალიან მწვავე დებატების ფორმატში, მეტად აუცილებელია. მაგრამ ვერ ვხვდები, რა საჭირო იყო მისი სატელევიზიო ტრანსლირება. იყო ერთი მომენტიც – როდესაც ის ექსპერტების მიერ მედიასაშუალებებში გამოთქმულ მოსაზრებებს მიმოიხილავდა, კარგი იქნებოდა, დასახელებულიყო ამ ინფორმაციის წყარო მედიასაშუალებები. მაგალითად, მან ჩემი ერთი ციტატაც მოიყვანა, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებ, ამგვარი ფორმულირებით სად გამოქვეყნდა ჩემი მოსაზრება. შეხვედრას ძირითადად ესწრებოდნენ ექსპერტები, რომლებიც ახალი ხელისუფლების მხარდამჭერებად მიიჩნევიან, თუმცა სწორედ მათი კრიტიკული შეფასებები იყო ამოკრეფილი, რამაც დამაეჭვა, რომ პრემიერს ტენდენციურად უმზადებენ მასალას. ამ ქვეყნად უნაკლო არავინ არის, არც მთავრობა, რომელიც წელიწადია, რაც ხელისუფლებაშია, თუმცა ივანიშვილი ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ უნაკლოა, რომ რასაც აკეთებს, იმის უკეთესად გაკეთება არ შეიძლება, რაც ასევე არა მგონია, რომ რეალური იყოს.

– შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ე.წ. „ჯიჰადის ვიდეორგოლების“ საქმის გამოძიება ერთი თვის წინ დასრულდა. მან ეს განცხადება მას მერე გააკეთა, რაც ამ გამოძიების შეფერხების გამო უკმაყოფილება თავდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ, გამოთქვა.

– მიჭირს კომენტარი გავაკეთო უწყებათაშორის არსებულ ურთიერთობებზე, მაგრამ ჩემთვისაც გასაოცარია, როგორ მოხდა, რომ ერთი თვის წინ დასრულდა „ჯიჰადის“ ვიდეორგოლების საქმის გამოძიება, საზოგადოებას კი, რომელსაც განსაკუთრებით აინტერესებდა ეს საქმე, დღემდე არაფერი აცნობეს.



შესაძლოა, მძიმე პროცესები დაიწყოს

„ქრონიკა“, 2013 წ. 13 ოქტომბერი, #40, გვ. 10, ჟურნალისტი ნათია დოლიძე, ფოტოთი[1]

„ყველა სიახლე“: ე.წ „სამხრეთ ოსეთის“ ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ვითარება კვლავ დაძაბულია, არსებობს პროცესების ესკალაციის საფრთხეც, რამდენად ფართომასშტაბიანი შეიძლება აღმოჩნდეს ეს ესკალაცია?

გოგი ხუციშვილი, კონფლიქტოლოგი: საფრთხე ნამდვილად არსებობს, შეიძლება უფრო მძიმე პროცესებიც დაიწყოს, მაგრამ გამოვრიცხავ, რომ ეს გადაიზარდოს რაიმე შეტაკებასა და შეიარაღებულ დაპირისპირებაში. ეს არავის აძლევს ხელს, მათ შორის, არც რუსეთს. ნამდვილად დიდი სიფრთხილეა საჭირო ჩვენი მხრიდან, კარგი იქნებოდა, ეს პრობლემა უფრო მაღალი დონის მოლაპარაკებებზე გადაწყვეტილიყო. მიმაჩნია, რომ ივანიშვილისა და პუტინის პირისპირ შეხვედრა უნდა მომზადდეს. რა თქმა უნდა, წინასწარ უნდა გაითვალოს ის საკითხები, რაზეც შეთანხმება შეიძლება. თუ ეს მოხერხდა, მაშინ მათი შეხვედრა აუცილებლად უნდა შედგეს.

[1] გიორგი ხუციშვილი 2013 წლის 4 ოქტომბერს დილით, მოულოდნელად, თსუ-ში სხდომაზე გარდაიცვალა. მითითებული მასალა განმეორებით 13 ოქტომბერს გამოქვეყნდა. უკომენტაროდ – ნ.ც.

ამონარიდები

2006-2013

„ეს მუდმივი ბრძოლის ველია, სადაც დემოკრატიამ უნდა სძლიოს ბიუროკრატიას, საზოგადოებაშიც და ხელისუფლებაშიც დამკვიდრდეს სამართლებრივი და ჰუმანური მსოფლმხედველობა და ქცევა“ – 2006 წ. ივნისი, გვ. 33

„ფიცი მწამს, მაგრამ რა ვუყო იმ უტყუარ ჭეშმარიტებას, რომ კონფლიქტები სასწაულებრივად არ გვარდება? ... ყველაფერი ეს მწარედ გვაფიქრებინებს, რომ მიზანი პრობლემის გადაწყვეტა კი არა, არამედ გადაწყვეტის მიმართულებით მოძრაობის ილუზიაა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდებში უნდა გაძლიერდეს“ – 2006 წ. 30 სექტემბერი, გვ. 54

„ჩვენთან რატომღაც ვერ გაუგიათ, რომ სახელმწიფო გადამხდელთა ფულით არსებობს. პრეზიდენტი ხშირად ჩუქნის რაღაცეებს ვიღაცას, რაც სინამდვილეში მისი კი არა, ჩვენი საჩუქარია“ – 2006 წ. 9 ოქტომბერი, გვ. 60

„ჩვენ გვინდა ისეთი ქვეყანა, სადაც ხელისუფლებაც ძლიერი იქნება და ოპოზიციაც. ამის მისაღწევად ბრძოლა საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ, უნდა ვეცადოთ, გავაქტიურდეთ და სიმართლის თქმის არ შეგვეშინდეს“ – 2006 წ. 9 ოქტომბერი, გვ. 60

„იმედი მინდა ვიქონიო, რომ ვცდები და “ხავერდოვანი ავტოკრატიისკენ“ არ მივდივართ“ – 2006 წ. 11 დეკემბერი, გვ. 71,79

„ჩვენი ხელისუფლება კაბინეტებში სულ სხვა მოლაპარაკებებს აწარმოებს, მასმედია სულ სხვა სურათს გვიხატავს და, ფაქტობრივად, საზოგადოება მოქცეულია იმ ვაკუუმში, რომელსაც ხელისუფლება უქმნის მედიისა თუ სხვა საშუალებებით“ – 2007 წ. 15 თებერვალი, გვ. 85

„საქართველოში მენტალიტეტი მიიჩნევა ჩამორჩენილად, არაცივილიზებულად, უფრო აზიურად, ვიდრე ევროპულად. ამიტომ საბოლოოდ მას ბრალდება ყველაფერი, რაც ვერ გამოდის: აბა, ამ მენტალიტეტის ხალხთან შეიძლებოდა რამე გამოსულიყოო? აქ მენტალიტეტი ძალაუფლების განმტკიცებისათვის ხელისშემწყობ გარემოებას წარმოადგენს. გამზადებული ინდულგენციაა“ – 2007 წ. 17 აპრილი, გვ. 114

„[ხელისუფლებისათვის] მთავარი ის კი არ არის, რომ ყველა მუდმივად კონტროლის ქვეშ იყოს, არამედ ის, რომ ხალხს სჯეროდეს, რომ ეს ასეა“ – 2007 წ. 17 აპრილი, გვ. 115

„ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით კონფლიქტის ზონაში რაიმე დადებითის მიღწევა შეუძლებელია“ – 2007 წ. 4 ივნისი, გვ. 133

„ხელისუფლებას ოლიგარქების ეშინია არა იმიტომ, რომ დემოკრატიული იდეალები აწუხებს, არამედ იმიტომ, რომ ეშინია ნებისმიერის, ვინც რესურსს ფლობს, მათ კონტროლს არ ექვემდებარება და შეუძლია, ოპონენტი გააძლიეროს“ – 2007 წ. 5 ნოემბერი, გვ. 153

„ოპოზიციას, რამდენიც უნდა ეცადოს, რევოლუციის გამოწვევა არ შეუძლია. რევოლუციამდე ქვეყნის მიყვანა შეუძლია ხელისუფლებას“ – 2007 წ. 5 ნოემბერი, გვ. 154

„როდესაც ვამტკიცებთ, რომ უპრეცედენტო მხარდაჭერა გვაქვს, ეს არის უპასუხისმგებლო განცხადება. ძალების რა განლაგებაა მსოფლიოში, რისი პერსპექტივა გვაქვს პრაქტიკულად, რა არის არარეალური — ეს ყველაფერი უნდა განვუმარტოთ საზოგადოებას“ – 2008 წ. 18 აპრილი, გვ. 194

„რუსეთი დღეს ომს ელოდება. ომი კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან სწორედ ეს არის ის კოზირი, რითაც რუსეთი საბოლოოდ მთელ თამაშს იგებს საქართველოს დასამარცხებლად“ – 2008 წ. 19 აპრილი, გვ.203

„საზოგადოებამ ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დასვას. ამის გარდა, მთელ მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენც ისეთი საზოგადოება ვართ, რომელსაც მოვლენების შეფასების არ ეშინია. ამის გარეშე არავინ დაგვიჯერებს, რომ საქართველო შემდგარი სახელმწიფოა“ – 2008 წ. 7 ოქტომბერი, გვ. 233

„ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ოფიციალურ დღის წესრიგში კვლავ მაღალ ნიშნულზე დგას, თუმცა ეს საკითხი უფრო მეტად რიტუალური გახდა, ვიდრე – რეალური მიზანი“ – 2010 წ. ნოემბერი, გვ. 371

„ყველა ის პროცესი, რომელიც პრობლემების შესახებ დიალოგს, ნდობის აღდგენას, ურთიერთობების დამყარებას ემსახურება და მომავალში ქვეყნის მთლიანობის აღდგენის შანსს შექმნიდა, დღევანდელი ხელმძღვანელების პოლიტიკურ კეთილდღეობას ეწირება, იმ ლიდერებისას, რომელთაც არ შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი“ – 2010 წ. ნოემბერი, გვ. 380

„კონფლიქტის ძალადობრივი მეთოდით მოგვარების მცდელობას კავკასიაში უკვალოდ არასოდეს ჩაუვლია. ფაქტია, რომ კონფრონტაციებისა და საომარი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ ზომებია მისაღები. უნდა დაიწყოს მოლაპარაკების პროცესი...“ – 2011 წ. 10 მარტი, გვ. 387

„რეფორმირება, ლიბერალიზაცია, პლურალიზაცია, დემოკრატიზაცია ასეთი სისტემისთვის შეუძლებელი ამოცანა და ფუჭი მცდელობაა, სანამ ის [სისტემა] არსებობს. ამგვარი სისტემის სათავეში და ცენტრში ერთპიროვნული ლიდერია, სულ ერთია, მას პრეზიდენტი თუპრემიერ-მინისტრი დაერქმევა; [ამ სისტემაში] მთავარია პიროვნება, თავისი სახელითა და გვარით, გუნდში რკინისეული დისციპლინით და თავისი დაუნდობლობით შიდა თუ გარე ოპონენტების მიმართ“ – 2012 წ. 19 სექტემბერი, გვ. 421

„სჯობს, საკონსტიტუციო უმრავლესობა არც ერთ ძალას არ ჰქონდეს, რადგან ის ოპონირების რეჟიმს აფერხებს და დემოკრატიულ პროცესებს ხელს უშლის“ – 2012 წ. 24 ოქტომბერი, გვ. 433



გიორგი ხუციშვილი
15.11.1948 – 4.10.2013

ბიოგრაფია

გამოჩენილი ქართველი კონფლიქტოლოგი, კონფლიქტოლოგიის დარგის ერთ-ერთი დამფუძნებელი საქართველოსა და კავკასიის რეგიონში, მშვიდობის დარგის მეცნიერი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიორგი შოთას ძე ხუციშვილი, დაიბადა 1948 წლის 15 ნოემბერს ქ. თბილისში, შოთა და სოფიო (სამიკო) ხუციშვილების ოჯახში.

1966 წელს გიორგი ხუციშვილმა დაამთავრა თბილისის ი. ვეკუას სახელობის 42-ე ზოგადსაგანმანათლებლო მათემატიკური სკოლა #და იმავე წელს ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1971 წელს.

1971-1972 წწ. მუშაობდა ინჟინერ-მათემატიკოსად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში. 1972-1979 წწ. – მკვლევრად, შემდეგ წამყვან მკვლევრად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში.

1976 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „უსასრულობისა და მისი აბსტრაქციის პრობლემა მეცნიერებაში“ და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი 1977 წ.

1979 წელს გიორგი ხუციშვილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების მეთოდოლოგიის საბჭოში თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ თანათავმჯდომარედ აირჩიეს. მეცნიერების მეთოდო-

ლოგიის საბჭოს 1988 წლის ჩათვლით თანათავმჯდომარეობდა. ეს იყო მიხეილ გორბაჩოვის „პერესტროიკის“ პერიოდი. იმ დროს მეცნიერების მეთოდოლოგიის საბჭო დემოკრატიული რეფორმების საჭიროებებზე ატარებდა რეგულარულ სამეცნიერო საჯარო ლექციებს, სადაც მას ხშირად იწვევდნენ ლექციების წასაკითხად. 1988 წლის ოქტომბერში ოლაფ კრესსემ, გდრ-ის კულტურული ლიგის სახელით (Eastern-German organization Kulturbund) აღნიშნული ლექციების წასაკითხად იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში მიიწვია (ალექსანდრე ჰუმბოლტის უნივერსიტეტი, აღმ. ბერლინი; კარლ მარქსის უნივერსიტეტი, ლეიფციგი, ჰალესა (ზაალე) და დრეზდენის უნივერსიტეტები).

1982 წ. ატესტაციის უმაღლესი კომისიის (ქ. მოსკოვი) მიერ მიენიჭა ფილოსოფიის მეცნიერებათა პროფესორის წოდება. 1987 წ. წარმატებით დაამთავრა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის გაძლიერებული კურსი – „ინგლისური ენის სინქრონული თარგმანი“ – და გადაეცა დიპლომი. 1988 -1990 წლებში საქართველოს განათლების სამინისტროში სოციალურ მეცნიერებათა განყოფილების ხელმძღვანელად განაგრძო მუშაობა.

1991 წ. მისი რუსულენოვანი გამორჩეული ნაშრომის – „თეორიული აზროვნების სტრუქტურის გენეზისი“ (1989) («Генезис структуры теоретического мышления» Тбилиси, «Мецниереба», АНГССР, Институт Философии) საფუძველზე გიორგი ხუციშვილი მიიწვიეს ქ. კიევში, სადაც უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სპეციალიზებული საბჭოს სხდომაზე 28.07.91 წ. დაიცვა დისერტაცია და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის მიერ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება მიენიჭა. ხარისხის მინიჭება დაამტკიცა ატესტაციის უმაღლესმა კომისიამ (ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, დიპლომი ДТ # 011423, გაცემული ქ. მოსკოვში უმაღლესი საატესტაციო კომისიის მიერ 1991 წ. 13 დეკემბერს, პროტოკოლი 46д/8).

1992 წლიდან თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ გიორგი ხუციშვილი პროფესორად აირჩია. ამავე ინსტიტუტში იგი ფილოსოფიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე 1981 წლიდან მუშაობდა.

პროფესორი ხუციშვილი 1980-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში დაინტერესდა კონფლიქტოლოგიით. მაშინ ეს დარგი საქართველოში არ არსებობდა, მაგრამ დასავლეთში უკვე საკმაოდ იყო განვითარებული. იმ პერიოდში გიორგიმ დაიწყო მუშაობა თბილისის მენეჯერთა სკოლაში და პირველად სწორედ იქ შეიტანა კონფლიქტოლოგიის სასწავლო კურსი (1987 წ.).

1992 წელს დაარსდა ეროვნულ უმცირესობათა და ადამიანის უფლებათა სახელმწიფო კომიტეტი, სადაც სპეციალურად პროფესორ გიორგი ხუციშვილს გაუხსნეს „კონფლიქტების კვლევისა და ანალიზის

ცენტრი“. ამ დროს უკვე შეიარაღებული კონფლიქტები მძვინვარებდა საქართველოში, შესაბამისად, ცენტრი დიდი გამოწვევების საპასუხოდ შეიქმნა და კონფლიქტების მეცნიერულ კვლევაზე ორიენტირებული პირველი სახელმწიფო სტრუქტურა იყო საქართველოში.

1993 წლის 8 იანვარს გიორგი ხუციშვილმა გაიმარჯვა აშშ-ის საერთაშორისო კვლევის და გაცვლების საბჭოს (IREX) კონკურსში და, შედეგად, სტენფორდის (აშშ) უნივერსიტეტთან არსებულ საერთაშორისო უსაფრთხოებისა და შეიარაღების კონტროლის ცენტრში მკვლევარ-მეცნიერის თანამდებობაზე მიიწვიეს. ამერიკაში მუშაობისას იგი დიდმა ფილანტროპმა, მეცენატმა, ჰიულეტ-პაკარდის (Hewlett-Packard) თანადამაარსებელმა – დეივიდ პაკარდმა – პერსონალურად დააფინანსა. მას, მოგვიანებით, იმავე ცენტრში შესთავაზეს პოსტსაბჭოთა სივრცის ეთნიკური კონფლიქტების მიმართულებით კონსულტანტის თანამდებობა მომდევნო წლის განმავლობაში (1994-95 წწ., კონტრაქტი #PR8575).

1993 წლის გაზაფხულზე ხუციშვილმა გაიმარჯვა ნატო-ს პროგრამაში და „კონფლიქტების კავკასიური კვანძი მზარდი გლობალური უსაფრთხოების ჭრილში“ – კვლევითი გრანტი მიიღო.

ამერიკაში მუშაობისას კოლეგებმა რეკომენდაცია გაუწიეს გიორგის და მან დაფინანსების მისაღებად მიმართა ცნობილ ამერიკულ „ჯონ და ქეთრინ მაკარტურების ფონდს“ (The John D. and Catherine T. MacArthur Foundation), რომლისაგან კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების დამოუკიდებელი ცენტრის დასაარსებლად პირველი გრანტი მიიღო. გრანტის პირობების მიხედვით, ამ წამოწყებაში მისი პარტნიორი გახლდათ სტენფორდის უნივერსიტეტი.

1994 წელს, ამერიკიდან დაბრუნებისთანავე, გიორგი ხუციშვილმა საქართველოში დააარსა პირველი დამოუკიდებელი პროფილური ორგანიზაცია, რომელმაც კონფლიქტების მეცნიერული შესწავლა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების საგანმანათლებლო მიმართულებით საქმიანობა წამოიწყო. 1994 წლის 8 აგვისტოს გიორგი ხუციშვილის ინიციატივითა და 63 დამფუძნებელი წევრის მონაწილეობით შედგა კრება და დაფუძნდა „კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთშორისო ცენტრი“. გიორგი ხუციშვილს, კრების საერთო გადაწყვეტილებით, დამაარსებლის სტატუსი მიენიჭა.

გიორგი ხუციშვილმა ორგანიზაცია აამუშავა და გააძლიერა თავის მეუღლესთან და თანამოაზრესთან, ნინო ციხისთავი-ხუციშვილთან ერთად. მათ 1995 წლის 8 აპრილს იქორწინეს, 1996 წლის 27 მაისს კი შეეძინათ ქალიშვილი – ვიქტორია-სოფიო ხუციშვილი.

საქართველოს კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების გამო კონფლიქტოლოგიის ცენტრმა რამდენიმე ხელახალი რეგისტრაცია გაიარა. 1998 წ. 30 დეკემბერს ცენტრის დასახელება შეიცვალა და დარეგისტრირდა შემდეგი დასახელებით: „კონფლიქტებისა და მო-

ლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი“, (International Center on Conflict and Negotiation (ICCN)) (www.ICCN.ge). კონფლიქტოლოგიის ცენტრს (როგორც მას საზოგადოებაში დღემდე უწოდებენ), სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა პროფესორი გიორგი ხუციშვილი.

1994 წელს გიორგი ხუციშვილი საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კონფლიქტებისა და მშვიდობის კვლევათა ასოცირებული პროფესორი გახდა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მოღვაწეობდა 2006 წლამდე.

1995 წელს აშშ-ში ჰარვარდის სამართლის სკოლის მოლაპარაკებათა ტრენინგში წარმატებული მონაწილეობის გამო მას სერტიფიკატი გადაეცა. ტრენინგი იურისტთა ინსტრუქციის პროგრამით განხორციელდა. მანამდე, ასეთივე კურსი მან შვედეთში (1988-89 წწ.) გაიარა. 1995 წლიდან 1997 წლის ჩათვლით იგი დაინიშნა სოციოლოგიის პროფესორად ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალში. 1995 წელს ხუციშვილი, საქართველოს ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. აღნიშნული თანამდებობა 1997 წლის ჩათვლით ეკავა.

1996 წ. 9 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ პროფესორი გიორგი ხუციშვილი ახლად დაარსებული სახალხო დამცველის ინსტიტუტის პირველ კანდიდატად – სახალხო დამცველად – წარადგინა. ამას წინ უძღოდა საქართველოში წარმოდგენილი დიპლომატიური კორპუსის მხრიდან გიორგი ხუციშვილის კანდიდატურის ხანგრძლივი ლობირება, მათი რეკომენდაციების საქართველოს პრეზიდენტისთვის მიწოდება, რათა პრეზიდენტს ამ ახალი თანამდებობის შესაფერისი კანდიდატურისათვის მხარი დაეჭირა. მაშინდელი საპარლამენტო უმრავლესობის, „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციასთან კანდიდატის წინასწარი შეხვედრისას, პროფესორი გიორგი ხუციშვილი არ დათანხდა სახალხო დამცველად მისი არჩევის შემთხვევაში პარტიული დავალებების შესრულებას. მან განაცხადა, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი დამოუკიდებელი იქნებოდა. ეს განცხადება გადამწყვეტი აღმოჩნდა და გიორგი ხუციშვილმა პარლამენტში საკმარისი ხმები ვერ დააგროვა.

1995 წლიდან იგი გამოსცემდა და რედაქტორობდა სამენოვან პერიოდულ ჟურნალებსა და ბიულეტენებს, რითაც კონფლიქტებისა და მშვიდობის სფეროს შესაბამისი საექსპერტო და საგანმანათლებლო მასალას ავრცელებდა კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაში. ამ საქმემ დიდი წვლილი შეიტანა საზოგადოების გაძლიერებაში („კონფლიქტები და მოლაპარაკებები“ (1995-2001); „ალტერნატივა“ (1996-1998); „მონადა“ (1997–1998); „კონფლიქტის ალტერნატივა“ (1998-2003); „დრო მშვიდობისა“ (2001-2013)).

1995 წლიდან გიორგი ხუციშვილის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ დიალოგს სახალხო დიპლომატიის ფორმატით. შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ ცალკეული კონტაქტები არსებობდა კონფლიქტით გახლეჩილ საზოგადოებაში, თუმცა, დიალოგის დაწყების თვალსაზრისით, კონფლიქტების და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, გიორგი ხუციშვილის თაოსნობით, პიონერი იყო. მან პირველი დიალოგის პროცესის დაწყების შესახებ წინადადებით მიმართა აფხაზებს მოსკოვში, კონფერენციაზე (1995 წ.), სადაც შეხვდა მანანა გურგულიასა და რომან დბარს. ხუციშვილმა ამ იდეით დააინტერესა აგრეთვე კუმარ რუპესინკხე, რომელიც მაშინ „საერთაშორისო განგაშის“ (International Alert, (IA) London) წარმომადგენელი იყო და, შემდგომში, პირველი ქართულ-აფხაზური დიალოგის პროექტი მისი მხარდაჭერით განხორციელდა. პირველი ქართულ-აფხაზური დიალოგი 1996 წლის ივლისში შედგა. დიალოგის პროგრამა მრავალი წელი გაგრძელდა.

ქართულ-ოსური მოლაპარაკებების პროცესი დაიწყო 1995 წელს. პროფესორ ხუციშვილს დაუკავშირდა ცნობილი მეცნიერი როჯერ ფიშერი, რომელმაც შესთავაზა თანამშრომლობა ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ფორმატით (Conflict Management Group (CMG) US). ასე დაიწყო ქართულ-ოსური დიალოგის პროცესი ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს (NRC) მხარდაჭერით. ეს ორგანიზაცია ხუციშვილის ცენტრის პარტნიორი იყო იმთავითვე და დევნილთა სამშვიდობო, საგანმანათლებლო პროგრამებს უზრუნველყოფდა. პირველი ქართულ-ოსური შეხვედრა 1996 წ. იანვარში, ქ. ოსლოში (ნორვეგია) სწორედ ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს თხოვნით შედგა.

1996 წელს გიორგი ხუციშვილმა ნატო-სთან ერთობლივი სემინარი „კავკასიისათვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება“ ჩაატარა. ეს სემინარი მაღალი სტატუსი იყო მისი ორგანიზაციისათვის. კონფერენციამ დასავლეთის ყურადღება მიიპყრო საკითხით – „ჩვენ ჯერ არა ეროვნული უსაფრთხოების, არამედ რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციების შემუშავება გვჭირდება“. სემინარის მუშაობის თემა დაეფუძნა გიორგი ხუციშვილის იდეას, რომელიც მან ნატო-ს შესთავაზა. ნატო იმ პერიოდში პრაქტიკულად ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას აყალიბებდა და ამით ეხმარებოდა სახელმწიფოებს. ხუციშვილის იდეა – ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არ შეიძლება განვითარდეს რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის გარეშე – განიხილა და შეაჯამა სემინარმა. შედეგები გამოქვეყნებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე წიგნებში: „კავკასიისათვის რეგიონული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავება“, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 1996 წლის 4-6 ოქტომბერი, თბილისი, საქართველო. რედაქტორი

გიორგი ხუციშვილი, 1997. ნატო-ს მხრიდან ეს მიდგომა შემდგომში სხვადასხვა ქვეყანაში დაინერგა.

1998 წელს ხუციშვილი მიიწვიეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურ დეპარტამენტში კონფლიქტების კვლევების პროფესორად. უნივერსიტეტში ლექციებს 2001 წლის ჩათვლით კითხულობდა. 2006-2011 წწ. წლების მანძილზე იგი სრული პროფესორი იყო საქართველოს უნივერსიტეტში.

2001–2010 წწ. გიორგი ხუციშვილი, როგორც ექსპერტი, წევრად იყო მიწვეული სხვადასხვა სამინისტროსთან არსებულ სახელმწიფო კომისიებში: ტრანსკავკასიური მილსადენის, მედია თავისუფლების, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის, კონფლიქტების მოგვარების, არჩევნებისა თუ სხვა თემებზე.

2003 წელს მან, ცნობილი პიროვნებების მონაწილეობით, სპეციალური სხდომა მოიწვია და დააარსა „საზოგადოებრივი მოძრაობა რელიგიური ექსტრემიზმის წინააღმდეგ“ იმ პერიოდში მომძლავრებული რელიგიური ექსტრემიზმის ძალადობრივი ქმედებების საპირწონედ. მისი საქმიანობის პერიოდში იგი მუდმივად უჭერდა მხარს კანონის უზენაესობის, არაძალადობრივი ქმედებებისა და შემწყნარებლობის დამკვიდრებას საზოგადოებაში.

2003-2013 წლებში გიორგი ხუციშვილი „შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური ქსელის“ – ჯიპაკის (www.gppac.net) – ერთ-ერთი დამფუძნებელი წევრი გახლდათ. ქსელის ფორმატში იგი მსოფლიოში სხვადასხვა კონფლიქტის შემსწავლელ ჯგუფთა მუშაობაში მონაწილეობდა. აგრეთვე, საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის, პრევენციისა თუ მოგვარების სპეციალურ მისიათა წევრად ირიცხებოდა.

2006 წ. მისი აქტიური მხარდაჭერით სამოქალაქო საზოგადოება სტრუქტურული ძალადობის წინააღმდეგ გაერთიანდა და არასამთავრობო ორგანიზაციათა რეგულარული კონგრესის მოწვევით დაიწყო ერთიანი პლატფორმის შემუშავება. არასამთავრობო ორგანიზაციათა პირველი კონგრესი საქართველოში 2006 წ. ჩატარდა. მეორე და მესამე კონგრესი კი – 2007, 2008 წლებში, საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა ფართო მონაწილეობით.

2008 წ. რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ პროფესორ გიორგი ხუციშვილის ინიციატივით იწყება ომისშემდგომი ქართულ-რუსული დიალოგის შეხვედრებისა და მოლაპარაკებათა ციკლი, რომელსაც შემდგომში „სტამბოლის პროცესი“ დაერქვა, რადგან ომისშემდგომი პირველი შეხვედრა ქ. სტამბოლში, 2008 წლის ნოემბერში ჩატარდა. პირველივე შეხვედრით საფუძველი ჩაეყარა საექსპერტო დიალოგს, რომლის ფორმატში დღესაც გრძელდება შეხვედრები. ექსპერტები დიალოგის გზით ერთობლივად იკვლევენ არსებული

კონფლიქტის ფუნდამენტურ მიზეზებსა და გამოსავლის გზებს. ქართულ-რუსული დიალოგის შედეგად კრიზისიდან გამოსვლის გზების შესახებ ნაშრომები წიგნად გამოქვეყნდა.

2008-2009 წწ. ევროკომისიის საერთაშორისო პროგრამაში ხუციშვილი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მრავალარხიანი დიალოგის უფროსი მკვლევარი იყო ქართული მხრიდან.

2001-2002, 2009, 2011-2012 წლებში ამერიკის განვითარების სააგენტომ (USAID) იგი საქართველოში კონფლიქტის შეფასების მისიის ჯგუფის წევრად მიიწვია.

გ. ხუციშვილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი და დამფუძნებელი „საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიისა“ (Public Constitutional Commission (PCC), www.konstitucia.ge), რომელიც შეიქმნა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის საპასუხოდ და გააერთიანა ქვეყნის ცნობილი კონსტიტუციონალისტები და საზოგადო მოღვაწეები. 2009-2011 წწ. საზოგადოებრივმა საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა კონსტიტუციის სრულიად განახლებული, საქართველოსთვის უფრო დაახლოებული და მისაღები რედაქცია, რომელიც თავისუფალი იყო ყველა პოლიტიკური და პარტიული ინტერესისგან. კონსტიტუციის ახალი რედაქციის ვერსია კომისიის 17 წევრის ავტორობით ქართულ და ინგლისურ ენებზე 2010 წლის 9 აპრილს გამოიცა წიგნად (საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის განვრცობილი კონცეფცია, თბილისი, 2010 წ. 9 აპრილი, ISBN 978-9941-0-2364-4).

წლების მანძილზე გიორგი ხუციშვილი მიწვეული გახლდათ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კომისიათა და სოციალურ მეცნიერებათა ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრად.

2013 წლის 4 ოქტომბერს, დილის ათ საათზე, პროფესორი გიორგი ხუციშვილი აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კომისიის დანიშნულ სხდომაზე დასასწრებად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-4 კორპუსში მივიდა. სხდომის დაწყებიდან ხუთ წუთში (10:10 სთ.) გიორგი ხუციშვილი მოულოდნელად შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა 64 წლის ასაკში. ამის შესახებ ინფორმაცია მყისიერად გავრცელდა ყველა მედიასაშუალებით. მისი მგლოვიარე ოჯახი და ორგანიზაცია სამძიმარს თვეების მანძილზე ღებულობდა საქართველოსა და მსოფლიოს მრავალი კუთხიდან. ათეული წლების განმავლობაში გიორგი ხუციშვილს ყოველდღიური კავშირი ჰქონდა საზოგადოებასთან უამრავი საგაზეთო, ტელე, რადიო ინტერვიუთი და წერილებით.

ხალხისათვის სიმართლის თქმა და ყველა სირთულის, კრიზისისა თუ გასაჭირიდან გამოსავლის მშვიდობიანი გზების ჩვენება მისი მთავარი ამოცანა იყო.

გიორგი ხუციშვილის შესახებ:

1996-1997 – ვინ ვინაა საქართველოში, პირველი გამოცემა, გამომცემლობა დიოგენე, 1997 წ.

1997 – საპატიო ლიდერთა საერთაშორისო საძიებელი, ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტი;1998 – ვინ ვინაა საერთაშორისო საძიებელი, საერთაშორისო ბიოგრაფიული ცენტრი, კემბრიჯი, დიდი ბრიტანეთი;

1998-1999 – ვინ ვინაა საქართველოში, მეორე გამოცემა, ქართული ბიოგრაფიული ლექსიკონი; ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 1999 წ.;

2001-2002 – ვინ ვინაა საქართველოში, მესამე გამოცემა, ქართული ბიოგრაფიული ლექსიკონი; ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა – ქართული ბიოგრაფიული ცენტრი, 2002 წ.

2007 წ. – საქართველოს სამოქალაქო სექტორმა გიორგი ხუციშვილის კანდიდატურა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრად წარადგინა. ასევე, მისი რეკომენდაცია საქართველოს სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა წარადგინა. როგორც ეს მოსალოდნელი იყო, გიორგი ხუციშვილის პრინციპული პოზიციისა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხის გამო, საქართველოს პარლამენტმა გიორგი ხუციშვილი სამეურვეო საბჭოს წევრად არ აირჩია.

2008 – რადიო თავისუფლების დღიურები. რადიო „თავისუფლება“, 2009 წ.

საპატიო წოდებები, ჯილდოები, პრემიები, პრიზები:

1990 წელს მიენიჭა ატლანტის (ჯორჯიას შტატი, აშშ) საპატიო მოქალაქის წოდება;

1993 წელს აირექსის (IREX) პროგრამაში გაიმარჯვა;

1993 წელს გახდა ნატო-ს პირველი სტიპენდიანტი საქართველოში;

1994 წელს მისი საქმიანობის გაგრძელება სტენფორდის უნივერსიტეტში (აშშ) დამატებით 1 წლით დიდმა მეცენატმა დევიდ პაკარდმა დააფინანსა;

1995 წელს საქართველოს კულტუროგრამის შემუშავებისათვის მადლობის სიგელი გადაეცა დ. კენედის სახ. საერთაშორისო კვლევების ცენტრისა და კულტუროგრამის ცენტრის მიერ (აიოვას შტატი, აშშ);

2006 წელს მიენიჭა ლოს-ანჟელესის (კალიფორნიის შტატი, აშშ) საპატიო მოქალაქის წოდება;

2008 წელს მადლობის სიგელი გადაეცა „მომავლის გზის“ მიერ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის გაწეული დახმარებისთვის;

2008 წელს საქართველოში ეთნოსთაშორისი ტოლერანტობის ხელშემწყობ საქმეში შეტანილი წვლილისთვის გადაეცა გამარჯვებული

კონკურსანტი ბავშვის მიერ შესრულებული ნახატი ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველოს“ მიერ;

2009 წელს გიორგი ხუციშვილს და მის ორგანიზაციას, კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევით ცენტრს გადაეცა წლის ტოლერანტის სიგელი სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრისაგან;

2010 წელს მიენიჭა მშვიდობის ელჩის წოდება მშვიდობის მსოფლიო ფედერაციისგან;

2013 წელს 15 ნოემბერს გიორგი ხუციშვილს გარდაცვალების შემდეგ გადაეცა სახალხო დამცველის ჯილდო წლის ტოლერანტი ადმიანის წოდების მინიჭებასთან ერთად.

აკადემიური საგანმანათლებლო საქმიანობა:

1974-1986 წწ. – კლასიკური ფილოსოფია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

1983-1986 წწ. – სიმბოლური ლოგიკა, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი;1980-1993 წწ. – კლასიკური ფილოსოფია ინგლისურ და რუსულ ენებზე, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი;

1987-1991 წწ. კონფლიქტების გადაწყვეტის საფუძვლები, თბილისის ბიზნესსკოლა, (ამჟამად – თავისუფალი უნივერსიტეტი);

1988-1991 წწ. – ბიზნესინგლისური; თბილისის ბიზნესსკოლა (ამჟამად – თავისუფალი უნივერსიტეტი);

1994-1996 წწ. – თანამედროვე მეცნიერების საფუძვლები (ინგლისურ ენაზე) სინქრონის კურსები თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი;

1996–1997 წწ. – შესავალი სოციოლოგიაში (ინგლისურ ენაზე), ჰავაის ამერიკული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი;

1999–2001 წწ. მშვიდობის მშენებლობა და კონფლიქტების მენეჯმენტი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;

1994-2006 წწ. კონფლიქტის თეორიები (საბაკალავრო და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

2007-2011 წწ. კონფლიქტის საერთაშორისო ანალიზი, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთათვის, თავისუფალი უნივერსიტეტი.

პერსონალური ჩართულობა, კონფლიქტის ზონებში მუშაობა, მედიაცია:

აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი; კვიპროსი (ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილები); კოსოვო და სერბეთი; მინდანაო (ფილიპინები); ბასკეთი (ესპანეთი); მოლდოვა და დნესტრისპირეთი; შრი-ლანკა; ბოსნია და ჰერცოგოვინა; ჩრდილოეთ ირლანდია; ჩრდილოეთ. კავკასიის რეგიონები; იერუსალიმი, დასავლეთი სანაპირო; ლიბანი (ახლო აღმოსავლეთი) და სხვ.

პუბლიკაციები:

18 მონოგრაფიის ავტორი, თანაავტორი და/ან რედაქტორი-შემდგენელი; ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული 200-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორი ან თანაავტორი, 1 გამოქვეყნებული მოთხრობისა და მრავალი პუბლიცისტური წერილის ავტორი. [1]

1 იხ. სრული ბიოგრაფია და ბიბლიოგრაფია https:wikipedia.org/გიორგი ხუციშვილი. ნ.ც.

PROF. DR. GEORGE KHUTSISHVILI (1948-2013)

As a Professor and prominent Georgian conflict researcher, George Khutsishvili was one of the founders of the study of conflict in Georgia and the Caucasian region. Originally contributing significantly to the problem of infinity in the field of mathematics and philosophy, from the 1990s onwards he dedicated his life to establishing the academic field of peace and conflict studies in Georgia. He was Philosophy Doctor from Ukraine Academy of Sciences (1991) and from Tbilisi State University (1977), Founder and since 1994 Director of the International Center on Conflict and Negotiation (ICCN), Full Professor of University of Georgia (from 2006), Associate Professor of Tbilisi State University (1995-2006), Professor of Tbilisi Institute of Foreign Languages (1979-1993), Visiting Research Fellow and Consultant in Ethnic Conflicts at Stanford University (1993-1995). Initiated and organised the first track-two post-war dialogue processes with Abkhaz (1995), Ossets (1996) and Russians (2008); played a key role in mobilizing the civil society against the religious and ethnic intolerance in Georgia in 2002 onwards. Since 2003 was the Caucasus Regional Coordinator of the Global Partnership for the Prevention of Armed Conflict (GPPAC). Professor Khutsishvili was one of the initiators and a founder of the Public Constitutional Commission (PCC) (2009). Has visited and explored many conflict and tension zones of the world; author and co-author of numerous books and articles. George Khutsishvili published over 200 articles and edited and co-authored numerous books. He remained involved in mediation in many different conflict zones throughout the world. Was an acknowledged political analyst and conflict mediator. Combined the qualification and experience of both scholar and practitioner in the field.

In 2013, Professor George Khutsishvili sadly passed away at the age of 64. He is fondly remembered by his many colleagues in the fields of peacebuilding, mediation and conflict studies.

RESUME

The book 'George Khutsishvili: How to Resolve Conflicts' presents a selection of newspaper interviews and analytical articles by Doctor of Philosophy, Professor George Khutsishvili (1948-2013), Founding Director of the International Center on Conflict and Negotiation (ICCN).

The selected work (1991-2013) is divided and published in two volumes: Book I and Book II, materials of which were written during 1991-2005 and 2006-2013 years respectively. Both books include newspaper interviews and analytical articles compiled chronologically reflecting ethnic, religious and political conflict resolution and peacebuilding approaches of the author.

The two volumes comprise the original Georgian language material including some unpublished commentaries from his personal archive.

George Khutsishvili's original English and Russian language articles, written in the same year span, are to be published in separate volumes for the reader to acknowledge his work in full perspective.

The work offers its readers an interesting insight into the issue such as scientist - state relations, both declaring a desire to settle conflicts. The author offers peacebuilding concepts and nonviolent ways of conflict resolution as a basic principle of democratic development of South Caucasus, Georgia in particular.

The demonstrated notions of the work derive from the author's peaceful mindset and nonviolent way of life.

The following publication is intended for researchers in the field of peace and conflict studies, as well as a broader spectrum of readers.

სახელთა საძიებელი

ა

აბაშიძე ზურაბ 272, 447, 488, 489, 500, 503, 511, 514, 533
აბულაშვილი ია 277, 311
ადეიშვილი ზურაბ 181, 411, 422
აკაბა ნათელა 190
ალასანია ირაკლი 65, 165, 202, 296, 297, 452, 516
ანთაძე მერაბ 165
ანქვაბი ალექსანდრე 399, 400, 406, 437
არეშიძე მამუკა 300, 392, 393, 435, 436
არძინბა ვლადისლავ 252
აქიშბაია მალხაზ 118
ახალაია ბაჩო 471, 472
ახალაია ნათია 174, 313

ბ

ბაიბურთი ვან 311
ბაიდენი ჯო 322
ბარანკევიჩი ანატოლი 279, 281
ბასილაია ეკა 339, 346
ბაქრაძე დავით 164, 165, 183
ბაღაფში სერგეი iv, 43, 45, 82, 135, 143, 144, 216, 224, 225, 226, 295, 319, 399, 400
ბახტურიძე ხათუნა 189, 319, 386
ბენდელიანი კობა 241, 466
ბენდუქიძე კახა 153
ბენედიქტე XVI 76
ბიბილოვი ანატოლი 404
ბოგარდუსი ემორი სტეფენი 284
ბოდენი დიტერ iii, x, xiii, 257, 533
ბოკერია გიგა 90, 385
ბოლშაკოვი ალექსნდრე 280
ბჟეზინსკი ბზიგნევ 448
ბუზუგლი ივან 126, 127
ბუთბაია მაია 65
ბურჯანაძე ნინო 233, 472, 473, 533
ბუში ჯორჯ 58, 135, 368

გ

გაბინაშვილი ქეთი 358
გაგლოევა ირინა 280
გამსახურდია ზვიად xii, 252, 253, 254
გაჩეჩილაძე ლევან 180
გეგეშიძე არჩილ 503
გეგია მანანა 425, 480
გვარამია ნიკა 90, 175
გიგაური თეონა 443
გირგვლიანი სანდრო 95, 100, 113, 137
გორბაჩოვი მიხეილ 409, 421
გორდელაძე მარიკა 102, 105
გრძელიშვილი დაჩი 71, 130
გურგენიძე ვლადიმერ 181

დ

დეისაძე ერეკლე 348, 349
დემეტრაშვილი ავთანდილ 353, 354, 356, 357
დოიჯაშვილი ოფელია 417
დოლიძე ნათია 513, 517

ე

ელდერენბოში ონო 161
ელცინი ბორის 382
ერდოღანი რეჯეფ თაიფ 480

ვ

ვანიანი გიორგი 392
ვაშაკიძე ნიკოლოზ 470
ვოლსკი გიორგი 503
ვოლტერი ფრანსუა მარი არუე 282

ზ

ზალკალიანი დავით 487
ზანდუკელი მარი 91
ზაქარეიშვილი პაატა 455, 469, 479, 503, 511, 533
ზერეკიძე გიორგი 96, 101
ზურაბიშვილი სალომე 58, 59, 472, 473

თ

თარგამაძე გივი 87, 90
თევზაძე ვერიკო 121
თეზიევი ოლეგ 279, 280
თიბილოვი ლეონიდ 456
თოდუა ლიკა 69

ი

იაკობაშვილი თემურ 164, 165, 169, 170, 172, 173, 178, 181, 182, 322, 376
ივანიშვილი ბიძინა vi, 405, 425, 429, 430, 449, 457, 459, 464, 465, 469, 470, 472, 473, 477, 479, 485, 486, 487, 489, 511, 513, 516
ილარიონოვი ანდრეი 368
ინალიფა არდა 190
იორში მათიას 174
იოსელიანი ჯაბა 253

კ

კაბისოვი გიორგი 404
კაიკაციშვილი არჩილ 342
კარასინი გრიგორი 442, 447, 468, 469, 475, 488, 489, 514
კვარჩელია ლიანა 190
კვიციანი ემზარ 168
კიწმარიშვილი ეროსი 233
კლინტონი ბილ 383
კოდუა ერეკლე 177
კოკოითი ედუარდ iii, iv, v, 31, 42, 43, 45, 61, 82, 98, 105, 108, 109, 119, 124, 125, 131, 132, 133, 134, 136, 138, 139, 140, 141, 146, 147, 148, 149, 150, 166, 167, 168, 236, 274, 279, 280, 281, 319, 404, 405, 534
კოწოწაშვილი შორენა 146
კუკავა კახა 180
კულუმბეგოვი ტორეზ 253

ლ

ლავროვი სერგეი vi, 24, 72, 73, 216, 294, 350, 352, 440, 441, 442
ლიტვინენკო ალექსანდრ 74
ლომაია კახა 303, 304, 534
ლუკაშენკო ვლადიმერ 383, 448, 449

მ

მათეშვილი თაკო 463
მაისაია ვახტანგ 300, 301
მაკკეინი ჯონ 246
მამულაშვილი გერა 19, 23
მარაბდელი მეგი 80
მაჩაიძე რუსიკო 307, 329
მაჭარაშვილი მადლენ 26, 42
მედვედევი დიმიტრი vi, 212, 213, 235, 237, 243, 248, 297, 314, 315, 319, 320, 359, 370, 379, 415, 416, 442, 497, 508, 509
მერაბიშვილი ვანო 87, 181, 385, 411, 422, 471, 472, 485
მესხელი ამირან 87, 88
მიქიაშვილი ნინო 208, 217
მოვსესიანი ჰამლეტ 26
მოროზოვი იური 279
მოსია თეა 199, 230, 353
მუბარაქი ჰოსნი 382

ნ

ნაბახტეველი ალექსანდრე 401
ნაბდზოროვი სვიატოსლავ 273
ნადარეიშვილი თამაზ 253
ნაუმანი ფრიდრიხ 143
ნოდია გია 181
ნოღაიდელი ზურაბ 23, 25, 31, 72, 233

ო

ობამა ბარაკ 244, 246, 306, 313, 314, 315, 316, 341, 375
ოთარაშვილი მარი 237, 239, 247, 279, 290, 336, 417
ორუელი ჯორჯ 423
ოსმანოვა თიკო 287, 392
ოღლუ დაუდ უსუფ 483

პ

პან გი მუნი 303, 304, 309, 330
პანტელეევი ალექსანდრე 279, 280, 281
პაპავა ლადო 435
პაპასკირი ლალი 189, 204, 413
პატარკაციშვილი ბადრი 94, 153, 176, 177
პუტინი ვლადიმერ 58, 135, 187, 195, 204, 226, 297, 314, 320, 379, 382, 402, 409, 410, 423, 479, 483, 485, 487, 489, 516, 517, 534

რ

რაისი კონდოლიზა 122, 368
რიკაძე იზო 56, 71
რობაქიძე ბუტა 95, 100, 113
როგოზინი დიმიტრი 205
რურუა ნიკა 87, 90
რუსია თეა 164

ს

სააკაშვილი მიხეილ vi, xii, 32, 54, 59, 70, 73, 77, 84, 105, 106, 141, 157, 159, 167, 173, 174, 177, 178, 179, 181, 182, 186, 187, 189, 191, 196, 212, 247, 248, 272, 297, 304, 321, 322, 325, 333, 344, 348, 352, 355, 356, 367, 368, 371, 378, 379, 380, 381, 385, 389, 405, 410, 411, 415, 422, 423, 429, 444, 449, 472, 477, 484, 485, 493, 494, 496, 502, 508, 510, 534
სანაკოევი დიმიტრი 61, 88, 98, 105, 106, 107, 108, 118, 119, 124, 125, 132, 133, 134, 136, 140, 141, 146, 147, 148, 149, 150, 155, 158, 166, 167, 168, 236
სარკოზი ნიკოლა 128, 235, 237, 243, 315, 359, 370, 497, 508
სარქისიანი სერჟ 325
სიგუა თენგიზ 253
სტალინი იოსებ 346, 347
სუვარიანი ნონა 49, 234

ტ

ტალიავინი ჰაიდი v, 314, 315, 329, 330, 331, 332, 333, 367, 368, 492
ტინი ედუარდ 413
ტყეშელაშვილი ეკატერინე 181

ქ

ქარჩავა თამთა 138
ქვლივიძე სოფო 184
ქობალია მაკა 224

შ

შამბა სერგეი 88, 399, 400
შაშიაშვილი თეიმურაზ 54
შაშკინი დიმიტრი 486
შევარდნაძე ედუარდ x, xii, 27, 34, 54, 77, 108, 112, 133, 135, 154, 253, 254, 379, 382, 535
შვარცენბერგი კარელ 290, 291
შველიძე თამარ 302, 324
შტაინმაიერი ფრანკ-ვალტერი 214

ჩ

ჩიბიროვი ლუდვიგ 274
ჩიგოევი მერაბ 418
ჩირიკბა ვიაჩესლავ 190, 535
ჩიქოვანი თამარ 193
ჩურკინი ვიტალი 289, 308

ც

ცაბოშვილი მაია 61
ცეცხლაძე ზვიად 130, 136
ცეცხლაძე სალომე 350
ციხელაშვილი ქეთევან 453

წ

წერეთელი გიგი vi, 443, 444
წიკლაური ელზა 142, 157, 170

ჭ

ჭავჭავაძე ილია 114

ხ

ხაინდრავა გიორგი 165
ხაჯინბა რაულ 43, 399
ხმალაძე ვახტანგ 354
ხომერიკი ვლადიმერ 479
ხურცილავა ნათია 381, 447

ჯ

ჯაფარიძე ნინო 87
ჯეჯელავა თამარ 61

GEORGE KHUTSISHVILI

HOW TO RESOLVE CONFLICTS

Book II

(in Georgian)

'George Khutsishvili: How to Resolve Conflicts' Book II – presents selection of 2006-2013 Georgian newspapers' interviews and analytical articles by Georgian scientist of Peace and Conflict Studies, Doctor of Phylosopgy, Professor George Khutsishvili (1948-2013). The following publication is intended for researchers in the filed of peace and conflict studies and broader spectrum of readers as well.

Compiler, Editor: Nina Tsikhistavi-Khutsishvili

Technical Editing: Irina Kakoiashvili

Design: Maya Katsitadze

Typography & Design: Alexander Jikuridze

The Book is published with Financial Support of
International Center on Conflict and Negotiation (ICCN)



Cover photo: George Khutsishvili, March, 2006

© Nina Tsikhistavi-Khutsishvili, 2016

UDC 316.48
ჯ – 512

ISBN 978-99928-937-4-6 (for both books)
ISBN 978-99928-937-8-4 (for Book II)

2016 წელს გამოიცა

პროფესორ გიორგი ხუციშვილის (1948–2013)

საგაზეთი ინტერვიუებისა და სამეცნიერო
ანალიტიკურ ნაშრომთა ნაწილი

2 ტომად





გამოსაცემად მზადდება:

Георгий Хуцишвили: Как разрешить
Конфликты (1989–2013) Книга III

George Khutsishvili: How to Resolve Conflicts (1989–2013) Book IV

გიორგი ხუციშვილი: ფილოსოფიური შრომები, წიგნი V

Георгий Хуцишвили: Труды по философии Книга VI

სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 214 34 01, 577 33 38 55
stamba.damani@gmail.com
სტამბა დამანი / Print House Damani

„ყველაფერი ეს მწარედ გვაფიქრებინებს, რომ მიზანი პრობლემის გადაწყვეტა კი არა, არამედ გადაწყვეტის მიმართულებით მოძრაობის ილუზიაა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდებში უნდა გაძლიერდეს"

„სამოქალაქო საზოგადოება ვალდებულია, პასუხი მოსთხოვოს არჩეულ ხელისუფლებას"

„[ხელისუფლებისათვის] მთავარი ის კი არ არის, რომ ყველა მუდმივად კონტროლის ქვეშ იყოს, არამედ ის, რომ ხალხს სჯეროდეს, რომ ეს ასეა"

„ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ოფიციალურ დღის წესრიგში კვლავ მაღალ ნიშნულზე დგას, თუმცა ეს საკითხი უფრო მეტად რიტუალური გახდა, ვიდრე – რეალური მიზანი"

„სჯობს, საკონსტიტუციო უმრავლესობა არც ერთ ძალას არ ჰქონდეს, რადგან ის ოპონირების რეჟიმს აფერხებს და დემოკრატიულ პროცესებს ხელს უშლის"

ISBN 978-99928-937-8-4

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი